ევგენი ბარათაშვილი
ზურაბ ნასარაია
ნაირა გალახვარიძე
ლეილა მამულაშვილი

საქართველოს ეკონომიკა



ევგენი ბარათაშვილი, ზურაბ ნასარაია,
ნაირა გალახვარიძე, ლეილა მამულაშვილი

საქართველოს ეკონომიკა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2022

ნაშრომი ეძღვნება ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორის, პროფესორის ***ნინო ძახარაშვილი–ბარათაშვილის*** *ნათელ ხსოვნას.*

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკის აქტუალური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია, როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე რეგიონული ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, ეკონომიკური პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციაზე, ქვეყნის გეოპოლიტიკურ გარემოზე, ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირებაზე, საქართველოსა და რეგიონული დასაქმების საკითხებზე.

წიგნში ფართოდაა განხილული საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს თანამედროვე მდგომარეობა, 90-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის მიზეზები, ხასიათი, სპეციფიკურობები, მისი კავშირი გლობალურ პროცესებთან.

განსაკუთრებული აქცენტებია გაკეთებული ქვეყნის პერსპექტივებზე – ეკონომიკის მომავალი განვითარების მიმართულებებზე, შინაარსზე, მაშტაბებზე, წანამძღვრებზე – ინტელექტუალურ-კულტურულ პოტენციალზე. ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების აუცილებლობაზე, მცირე ბიზნესის განვითარების თავისებურებებზე საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და ბიუჯეტშორისი ურთიერთობების რეგულირებაზე და ფისკალური ფედერალიზმის ფორმირების თავისებურებებზე საქართველოში.

ნაშრომი განკუთვნილია მაგისტრების, დოქტორანტებისა და მეცნიერ-მკვლევარებისთვის. იგი საინტერესო იქნება აგრეთვე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სამეცნიერო-რედაქტორები:

მიხეილ ჯიბუტი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

რეცენზენტები:

ლარისა თაკალანძე – ეკონომიკის დოქტორი. სახუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნიკოლოზ ჩიხლაძე – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბადრი გეჩბაია – ეკონომიკის დოქტორი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

© ე. ბარათაშვილი, ზ. ნასარაია,
ნ. გალახვარიძე, ლ. მამულაშვილი, 2022

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2022**

თბილისი, 0186, ა. ჯოლიტაოვსაკის №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-241-8

სახელმძღვანელო ეძღვნება
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
100 წლის თუბილეს

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება, იზრდება ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების როლი. ასეთ სიტუაციაში ვერცერთი ქვეყანა, ვერცერთი ეროვნული ეკონომიკა, მათ შორის საქართველოს ეკონომიკა ვერ შეძლებს წარმატებით განვითარებას უცხოეთთან გაფართოებული თანამშრომლობის, მსოფლიო ბაზრებთან ღრმა ინტეგრაციის გარეშე, რადგანაც ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ბაზართან ურთიერთობის გარეშე და ქვეყნის შიგა ეკონომიკური, საფინანსო პოლიტიკის გლობალურ, რეგიონულ ლიდერებთან კოორდინაციის გარეშე.

ქვეყნის ობიექტურ სტრატეგიულ მიზნად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაციისა და პერსონიფიცირების პროცესში.

საქართველოს საშუალოვადიანი საგარეო პოლიტიკური ინტერესები, გამომდინარე და განხილული სტრატეგიული ამოცანების კონტექსტში, მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საგარეო პირობების უზრუნველყოფაში, საქართველოს საზოგადოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებაში, ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს მოქალაქის გარანტირებული უფლებისა და თავისუფლების დაცვაში.

ეკონომიკურ სფეროში საქართველოს მიერ არ არის მკვეთრად გამოკვეთილი ერთიანი სამეურნეო ინტერესები სხვა ქვეყნების მიმართ. ასეთ პირობებში საუბარია არა იმაზე, თუ საქართველოსათვის რა არის მთლიანობაში სასარგებლო, არამედ იმის გაგებასა და ცნობაზე, რა ესაჭიროებათ, რა უნდათ საქართველოს ძირითად საგარეოეკონომიკური ურთიერთობების მოღვაწეობის სუბიექტებს.

საქართველოს ძირითად „მოთამაშეებს“ მსოფლიო და რეგიონულ ბაზრებზე წარმოადგენენ: ნავთობისა და ბუნებრივი აირის კომპანიები, საბანკო სტრუქტურები, კოსმოსური მომსახურების ექსპორ-

ტიორები, ენერგეტიკის ექსპორტ-იმპორტიორები, უცხოური ინვესტიციების მიმღებები, რეგიონული ხელისუფლებები.

მათი ინტერესები მოითხოვს ჩვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში მათ სხვადასხვაგვარ გათვალისწინებას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების განვითარების ისტორიული გამოცდილების მრავალფეროვნება ადასტურებს, რომ შეუძლებელია ნებისმიერი სახელმწიფოს მყარი განვითარება მსოფლიოს სამეურნეო კავშირებში მისი აქტიური ჩარევის გარეშე. შრომის საერთაშორისო დანაწილების თანამედროვე დონემ ფაქტობრივად

არ დატოვა მსოფლიო რუკაზე ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური ცხოვრება იზოლირებულია მსოფლიო სამეურნეო პროცესისაგან და მოქცეულია ვიწრო, ეროვნულ ფარგლებში.

ცივილიზებული აზროვნებითა და გაგებით საქართველო წარმოადგენს ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც ევროსაბჭოს წევრია და ესწრაფვის ევროპულ სტრუქტურაში სრულფასოვან გაერთიანებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის ცივილიზებული, ეკონომიკური და პოლიტიკური არსი, ჯერ კიდევ რჩება საქართველოს კონკრეტული საშინაო სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის ფარგლებს მიღმა.

საქართველოს ხედვა ევროპულ კონტექსტში აუცილებელ საფუძველს ქმნის დღევანდელი და მომავალი ტექნოლოგიების, ეკონომიკური გლობალიზაციისა და მსოფლიოში ჩვენი ადგილის გაგებისათვის.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია უნდა დამუშავდეს ე.წ. ეკონომიკური გლობალიზაციის „ორ ფეხზე“, რაც გულისხმობს ევროპულს – დასავლეთ ევროპული ინტეგრაციის გზას და აზიურს – აზიური გზით ინტეგრაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით პრიორიტეტულად საქართველოსა და აზიის რეგიონებს შორის ურთიერთქმედებისათვის გვესახება: ნავთობის, გაზის რესურსების განვითარება და ნავთობგაზსადენის ქსელის გაყვანა კავკასიის რეგიონსა და ცენტრალურ აზიას შორის. აგრეთვე შესაძლებელია ელექტროენერგიის გადამცემი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის გაყვანა.

ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული განვითარება შეუძლებელია მსოფ-

ლიო ბაზართან ურთიერთობის გარეშე, ქვეყნის შიდაეკონომიკური, საფინანსო პოლიტიკის გლობალურ და რეგიონულ ლიდერებთან კორ-დინაციის გარეშე.

XXI საუკუნის მიჯნაზე საქართველო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. მათ შორის უმთავრესია სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რომელიც მისი პოლიტიკური, ეკო-ნომიკური, სოციალურ-კულტურული პროგრესის საფუძველია, უახ-ლოეს და შორეულ მომავალში. ამ ამოცანის განხორციელება მოით-ხოვს ეროვნული და მსოფლიო განვითარების ინტერესების გათვა-ლისწინებით, საქართველოს ისტორიული როლის გაცნობიერებას. ქვეყნის განვითარების შესაძლებლობების ახლებურად დანახვას და შესაბამისად სწორი სტრატეგიის განხორციელებას.

დღეს ბევრი იწერება ეროვნული ეკონომიკის საფუძვლიანად რეორგანიზაცია-განახლების, ერის სამომავლო გრძელვადიანი სტრა-ტეგიული ეკონომიკური მიზნების განხორციელების შესახებ. ამასთან არის უშუალოდ დაკავშირებული საქართველოს უმდიდრესი ბუნებრი-ვი, გეოპოლიტიკური და რაც მთავარია

ქართველი ხალხის შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გა-მოყენება.

თავის მხრივ, ამისათვის საჭიროა შესაბამისი თეორიული ბაზის მომზადება, რასაც წინ უნდა უსწრებდეს ღრმა მეცნიერული ანალიზი, დაგეგმვა და პროგნოზი. ეს საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ თანა-მედროვეობის შესატყვისი ეკონომიკური პოლიტიკა, მისი რეალიზაცი-ის გზები და მიმართულებები.

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა – ეს უწინარეს ყოვლი-სა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაა. უკვე რამოდენიმე წელია სა-ქართველოში მიმდინარეობს რთული წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესები. ათეული წლების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკურ იზოლაციაში ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლია. საქართველო თავის არ-სებობის მანძილზე ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ეტაპზე აღმოჩნდა, არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ეკონომიკის კონვერ-სიის თვალსაზრისით მრავალ რთულ პრობლემას წარმოშობს.

საკითხების თეორიულ-პრაქტიკული გამოკვლევა ეყრდნობა მეცნიერულ აბსტრაქციას, შედარებით ანალიზის, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობას, სტატისტიკური დაჯგუფებისა და ა.შ. მეთოდებს.

სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოს ეკონომიკის ყველა ის საკითხი, რომელიც აუცილებელია იცოდეს დემოკრატიულ ქვეყნებში მცხოვრებმა განათლებულმა მოქალაქემ.

ადამიანი საზოგადებრივი არსებაა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავისუფლების გარკვეულ ხარისხს ფლობს. თანამედროვე პირობებში დიდ პოპულარობას იძენს „ახალი ეკონომიკის" თეორია, რომლის მთავარი მიმართულებაა ადამიანისეული კაპიტალის ფუნქციონალური მნიშვნელობის ზრდა. აღნიშნული დღის წესრიგში აყენებს, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენლის შეფასების მეთოდოლოგიის დამუშავებას. ვინაიდან სწორედ ადამიანისეული კაპიტალი და არა მანქანები და ნედლეული, წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის, ეკონომიკური ზრდის მთავარ წყაროს.

ქვეყნის უსაფრთხოება ვერ იქნება უზრუნველყოფილი მაღალი სამოქალაქო განათლების მქონე კვალიფიციური კადრების გარეშე. სახელმწიფოს ცივილიზებული განვითარების ფაქტორებს შორის განათლება გამოდის ერთ-ერთ პირველ ადგილზე. განვითარებულ ქვეყნებში განათლებით უზრუნველყოფა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდის 40 %-ია. სწორედ განათლების პრიორიტეტების აღიარებით აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა- იაპონიამ, სამხრეთ კორეამ, ტაილანდმა, მალაიზიამ 10-15 წლის განმავლობაში მიაღწიეს განვითარებული ქვეყნების კეთილდღეობის დონეს. ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორის ხ. ოჰასას აზრით „ცივი ომის დასასრულმა გაათავისუფლა კაცობრიობა უნაყოფო კონკურენციისაგან. დღეს სახელმწიფოს ყველა ჭკვიანი ლიდერი აცნობიერებს, რომ განათლება და მეცნიერება არის გადამწყვეტი ფაქტორი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის და ეკონომიკური განვითარებისათვის".

განათლება წინააღმდეგობრივი და რთული პროცესია. იგი ორიენტირებული უნდა იყოს როგორც ცოდნის დაგროვებაზე, ისე გარე-

მოს ცვალებად პირობებში მის შემოქმედებით გამოყენებაზე. სწორედ ამაში მდგომარეობს ეკონომიკის პრაქტიკული ფუნქცია. ეკონომიკურად განათლებულ პიროვნებას უნდა შეეძლოს კონკრეტულ აზროვნებაზე დამყარებული აქტიური და განვითარებადი ანალიზის უნარი. ქვეყნისა და რეგიონის დონეზე ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების

ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოსალოდნელი ცვლილებების განჭვრეტა. „ეკონომიკის სახელმძღვანელო ერთ-ერთი იმ საშუალებათაგანია, რომლის დახმარებითაც მომავალ ეკონომისტს

შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უკეთესი ხელისუფლებისა და მომავლის ფორმირებაში“.[1]

„საქართველოს ეკონომიკის“ სახელმძღვანელოში გაშუქებულია, როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე რეგიონების ეკონომიკის ძირითადი საკითხები, პირველ რიგში კურსის საგანი, ამოცანები, კვლევის მეთოდები, დახასიათებულია და გაანალიზებულია, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, მისი ელემენტები. ((ბუნებრივ რესურსული, შრომითი, სამეცნიერო-ტექნიკური, წარმოებრივი, ინფრასტრუქტურული, ორგანიზაციული და სხვა) ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონე, ტემპები, პროპორციები, სტრუქტურა, გადაუწყვეტილი პრობლემები და ამოცანები. გამოუყენებული რესურსები, რეზერვები და შესაძლებლობანი.

[1] გრეგორი მენქიუ „ეკონომიკის პრიონციპები“, 21 საუკუნის სახელმძღვანელო თბ. 2000 წ.

თავი I

საქართველოს ეკონომიკა, საგანი და ამოცანები

1.1. საქართველოში ეკონომიკური აზრის განვითარების მოკლე ისტორია

ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, ძველი ისტორიოგრაფია ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე წინაგვაროვნული და გვაროვნული საზოგადოებების არსებობას.

საყურადღებოა, რომ პირველი ცნობები საქართველოს შესახებ ანტიკურ ხანას განეკუთვნება. ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებს აღწერილი აქვთ არა მხოლოდ საქართველოს ბუნება, არამედ ქართველ ტომთა (მესხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ხალიბები, სასპერები და ა.შ.) ყოფა-ცხოვრება, წეს ჩვეულებები, რაც მნიშვნელოვან მასალებს იძლევა მათი სამეურნეო საქმიანობის შესახებ. მრავალფეროვანია აგრეთვე ბიზანტიელ ავტორთა ცნობები და ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერები საქართველოს შესახებ.

საქართველოს ეკონომიკური ისტორია ქვის ხანის უძველესი ეტაპიდან-შელის ეპოქიდან იწყება.

პალეოლითის ეპოქის წინაგვაროვნული საზოგადოების წარმოების იარაღები აღმოჩენილი იქნა დასავლეთ საქართველოში (ხარაგაულის, თერჯოლის, ზესტაფონის რაიონებში).

პალეოლითის ეპოქაში შეიქმნა ქვის დამუშავების ახალი ტექნიკა, გავრცელდა ძვლისა და რქის ახალი იარაღები.

მეზოლითის ეპოქაში წინა გვაროვნული საზოგადოებიდან გვაროვნულზე გადასვლით დაიწყო ახალი ეტაპი წარმოების იარაღების განვითარებაში, რაც საფუძვლად დაედო ნეოლითს. ეს პერიოდი უმნიშვნელოვანესი ეტაპია როგორც მთლიანად კაცობრიობის, ისე საქართველოს განვითარებაში. ჩამოყალიბდა მეურნეობრივი საქმიანობის ახალი ფორმები – მიწათ მოქმედება, მესაქონლეობა.

ენეოლითის (სპილენძ-ქვის) ხანა საქართველოში ძვ.წ.ღ. VI-IV ათასწლეულია, ხოლო ბრინჯაოს ხანა III-II ათასწლეული. ძვ.წ.აღ. IV ათასწლეულის შუა პერიოდიდან საქართველოს ტერიტორიაზე დაიწ-

ყო სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოება, რაც განსაკუთრებით III ათასწლეულიდან განვითარდა. სწორედ ამ პერიოდში დაედო სათავე კავკასიურ მეტალურგიას, რითაც ასე განთქმული იყო საქართველო. ძვ.წ. აღ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისიდან ფეხს იკიდებს რკინის წარმოება.

იმდროინდელ კოლხეთში აღებ-მიცემობის განვითარებაზე მეტყველებს ქართული ვერცხლის მონეტა „კოლხური თეთრი", რომელიც ძვ.წ.აღ. VI-III საუკუნეებით თარიღდება და მსოფლიოს უძველესი მონეტების რიცხვს განეკუთვნება.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში ისტორიულ საქართველოში დიაოხისა და კოლხას გაერთიანებების ჩამოყალიბებამ, ხოლო ძვ.წ.აღ. IV საუკუნის ბოლოს ქართლის სამეფოს აღმოცენებამ გააძლიერა სავაჭრო ურთიერთობა გარე სამყაროსთან. ქართლის სამეფო (იბერია), ისევე როგორც კოლხეთის სამეფო, ითვლება ადრემონათმფლობელურ სახელმწიფოდ.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე მიუთითებს ის მრავალი უძველესი სამიმოსვლო-სავაჭრო გზა, რომლებითაც იგი გარე სამყაროს უკავშირდებოდა. ძვ.წ.აღ. IV-III საუკუნეებში არსებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო გზა სამხრეთ კავკასიაზე გადიოდა. ეს გზა ინდოეთიდან იწყებოდა. მდინარე ოქსოსით (ამუდარია). ინდური საქონელი შემოჰქონდათ ჰირკაანის (კასპიის) ზღვაში, ხოლო აქედან მდინარე მტკვრით, სურამის უღელტეხილთა და რიონ-ყვირილის მაგისტრალით შავ ზღვამდე გადაჰქონდათ.1გარდა ამისა, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი კიდევ მრავალი სავაჭრო-სატრანსპორტო გზა გადიოდა საქართველოს ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელსაც დასაბამი მიეცა ძვ.წ.აღ. II საუკუნეში. ეს გზა ჩინეთს დასავლეთთან აკავშირებდა. მისი ერთი განშტოება კასპიის ზღვის გავლით უკავშირდებოდა კავკასიას, გადაკვეთდა საქათველოს და ფაზისიდან შავი ზღვით ბიზანტიასა და რომს აღწევდა.

ამრიგად, საქართველოს სახმელეთო, სამდინარო და საზღვაო გზები ოდითგანვე საერთაშორისო სავაჭრო გზათა შემადგენელი ნაწილი იყო, რასაც ადასტურებს რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ

შედგენილი მსოფლიო საგზაო რუკაც. საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის უბრალო გამტარ აუზს კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი თვითონაც იყო ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში და როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა სახელმწიფოებთან გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდა.

V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, ქართლის სამეფომ დიდ სამეურნეო აღმავლობას მიაღწია. გაუმჯობესდა სამიწათმოქმედო ტექნიკა, დაიწყო რკინის გუთნისა და სარწყავი ტექნიკის გამოყენება, ფართოდ გავრცელდა ვაზის კულტურა, განვითარდა ვაჭრობა.

XI საუკუნეში საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი სამეფოს უფლებების შავი ზღვიდან, კასპიის ზღვამდე გავრცელების შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა მისი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.

ფეოდალურმა საქართველომ ეკონომიკური და კულტურული განვითარების უმაღლეს საფეხურს XII საუკუნეში მიაღწია. დავით აღმაშენებლის აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას. საქართველო დიდ საქარავნო ვაჭრობას ეწეოდა ირანთან, ერაყთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან და ა.შ. გაჰქონდათ: ბამბა-აბრეშუმი, ოქრონემსეული ფარჩა, ბეწვეული, ძვირფასი სამოსელი, მატყლი, ღვინო, კაკალი, თაფლი, გაჰყავდათ ცხენები და ა.შ. შემოჰქონდათ: ძვირფასი ქსოვილები და ჭურჭელი, იარაღ-საჭურველი, სამოსელი ბეწვეული, თვალ-მარგალიტი, ნელ-საცხებლები, ხმელი ხილი, თევზეული და ა.შ. ვაჭრობის განვითარებამ ხელი შეუწყო ქალაქების ზრდას[1].

XIII საუკუნეში დაწყებულმა ძნელბედობამ მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაზე. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას დიდი დარტყმა მიაყენა მონღოლთა შემოსევებმა და ბატონობამ, რის შედეგადაც ფეოდალური მეურნეობა დაეცა, ვაჭრობა ჩაკვდა, ქალაქები განადგურდა.

ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლება დაიწყო XIV საუკუნის 30-იანი წლებიდან, გიორგი V ბრიწყინვალის მეფობის დროს, როდესაც გა-

[1] ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1957 გვ. 149.

დაგდებულ იქნა მონღოლთა უღელი და აღდგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

1386-1403 წლებში თემურლენგის რვა ლაშქრობას საქართველოში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეწირა. საქართველო კვლავ დაქვეითდა ეკონომიკურად.

ოსმალეთი გაბატონდა შავ ზღვასა და იმ გზებზე, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნებს. საქართველო მოსწყდა საერთაშორისო სავაჭრო გზებს, დაქვეითდა ვაჭრობა, ხელოსნობა, მოიშალა სამეურნეო ცხოვრება.

XV საუკუნე კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისათვის. ჯერ ყარა-ყოიუნლუს (შავბატკნიანთა) თურქმანებმა შეარყიეს ისედაც ძლიერ შელახული მისი ეკონომიკური ცხოვრება, ხოლო შემდეგ ოსმალებმა მოამწყვდიეს ჩიხში.

უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევებისა და ეკონომიკური დაქვეითების შედეგად, XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის პოლიტიკურად დაშლამ, რომელიც XVI-XVII საუკუნეებში კიდევ უფრო გაღრმავდა (დამოუკიდებელ სამთავროებად ჩამოყალიბდნენ ოდიშის, გურიის, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროები), მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა მის ეკონომიკაზე. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არ შეწყვეტილა, რადგან ამას მოითხოვდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები. საქართველოს მადლიანი მიწა იძლეოდა სოფლის მეურნეობის განვითარების საშუალებას. მაგ: კახური ყურძნით დამზადებულმა ღვინომ სწორედ მაშინ გაითქვა სახელი მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ასევე ქართული აბრეშუმი როგორც საშინაო ისე საგარეო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი საგანი გახდა. შავი ზღვის სანაპიროზე ფართოდ განვითარდა მეთევზეობა. მთაში გავრცელდა ტყავის დამუშავება. ფარდაგებისა და შალეულის ქსოვა, ქურქის, ნაბადის, ყაბალახის დამზადება. ყოველივე ამის მიუხედავად XVI-XVII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ყმა გლეხთა უცხოელებისათვის ტყვედ მიყიდვა ანგრევდა არა მხოლოდ ქვეყნის მეურნეობას, არამედ საფრთხეს უქმნიდა თვით ერის არსებობას. XVII საუკუნის დასაწყისში საქართველოში შაჰაბასის შემოსევებმა უდიდესი დარტყმა მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს.

საქართველოს ეკონომიკაზე დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინა მის აღმოსავლეთ ნაწილში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალთა და სპარსთა ბატონობამ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მშვიდობიანი ცხოვრებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ამ პერიოდიდან იწყება ეკონომიკის გამოცოცხლება და აღმავლობა, რასაც მოჰყვა ქალაქებისა და სოფლების აღდგენა. ფეხი მოიკიდა დაქირავებული შრომის გამოყენებამ. გაფართოვდა ვაჭრობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეკონომიკის შემდგომი განვითარების გზების ძიებას. ქართულ ენაზე ითარგმნებოდა ევროპელ განმანათლებელთა ნაშრომები.

ქართულმა ეკონომიკურმა აზრმა განვითარებას მიაღწია ფეოდალური საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაციის პირობებში, რაზეც მეტყველებს იაკობ ცურტაველის (V-ს), იოანე საბანიძის, გიორგი მთაწმინდელის XII-ს, იოანე პეტრიწის XI-XII-ს და სხვათა შრომები. გამოთქვამდნენ რა საკუთარ მოსაზრებებს მეურნეობის გაძღოლის შესახებ აკრიტიკებდნენ სიცრუეს ვაჭრობაში, მომხვეჭველობას, მათი აზრით კერძო საკუთრება არის ბუნებრივი მოვლენა და საზოგადოების ცხოვრების საფუძველი.

აღსანიშნავია ცნობილი მეფეების ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლის, გიორგი ბრწყინვალის მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფოს გონივრული მართვა. XII საუკუნის დასასრულს განხორციელებული ფინანსური რეფორმების შედეგად შეიცვალა ფულის მონეტები და მიმოქცევაში დამკვიდრდა ეროვნული ვალუტა. საფუძველი ჩაეყარა მტკიცე საფინანსო საკრედიტო სისტემების ჩამოყალიბებას. საერთოდ საქართველოს ძლიერების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ეფექტიანი ფინანსური ეკონომიკური პოლიტიკა იყო. იმ პერიოდის ქართული სოციალურ ეკონომიკური რენესანსის სოციალურ-კულტურული შეხედულებები ასახულია შოთა რუსთაველის უკდავ პოემა „ვეფხისტყაოსანში“

XIII- XIV ს.ს. სამართლის წიგნში საუბარია ეკონომიკურ ურთიერთობებზე. სამართლის წიგნის ზოგიერთი მუხლი ეხება სავახშო ურთიერთობებს. აღსანიშნავია, რომ სარგებლის ნორმა მაშინ საკმაოდ მაღალი იყო და განისაზღვრებოდა 20%- ით.

გვიან შუა საუკუნეებში, ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დავით გურამიშვილ-

მა და სულხან-საბა ორბელიანმა. მათ მემკვიდრეობაში აღსანიშნავია მოსაზრებები საფინანსო სისტემების მოწყობის შესახებ, სიმდიდრის წყაროების შესახებ და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ საინტერესო მოსაზრებები სულხან- საბა ორბელიანს გამოთქმული აქვს ფიზიოკრატებისა და კლასიკური სკოლის ცნობილ ეკონომისტებთან შედარებით 100 წლით ადრე.

ქართული ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II, რომელიც ქვეყნის საფინანსო მოწყობის ეროვნულ ფორმებს ნერგავდა.

XVIII საუკუნიდან იწყება ქართულ ენაზე ევროპელი განმანათლებლების შრომების თარგმნა. 1738 წელს ი. ციციშვილმა ფრანგულიდან რუსულად თარგმნა, იმ დროს პოპულარული წიგნი „ეკონომია“, რომელიც მოგვიანებით 1749 წელს ქართულად ითარგმნა სიმონ მაქაცარიას მიერ. 1799 წელს იოანე ბატონიშვილმა (1768-1830) იტალიურიდან ქართულად თარგმნა „პოლიტეკონომია“ 1707-1709 წწ. დაიწერა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, რომელიც სამეფო კარის „სწავლულ კაცთა“ მიერ იყო შედგენილი იგი წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს, სადაც ასახულია სხვადასხვა დროს შექმნილი დასტურლამების გარიგებები, რომელიც არეგულირებდა ფეოდალურ ურთიერთობათა სამეურნეო იერარქიას და იცავდა კერძო საკუთრების ინსტიტუტს.

საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული 1799 წელს შედგენილ „სახელმწიფო წესწყობილების რეფორმის კანონპროექტებში“ სადაც კეინზიანელებზე 130 წლით ადრე დასაბუთებულია ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის აუცილებლობა. განხილულია შემოსავლის წყაროები. ხაზინის შევსების ერთ-ერთ წყაროდ მიჩნეულია საიჯარო ურთიერთობების განვითარება.

აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის როლი საქართველოს ეკონომიკური აზრის განვითარებაში. ილია გარდა საზოგადო მოღვაწეობისა, წარმატებით უძღვებოდა სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობას. ილიას რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „ცისკარი“ სადაც იყო პოლიტიკური ეკონომიკის განყოფილება. აქ იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ქიქოძის, დავით ბაქრაძის, გიორგი წერეთლის, ივანე მაჩაბლის, სერგო მესხის ეკონომიკური ხასიათის სტატიები.

მე-20 საუკუნის ქართველ ეკონომისტთა შორის აღსანიშნავია ფილიპე გოგიჩაიშვილი. მან პირველად თარგმნა ქართულად ა. სმითის აღიარებული ნაშრომი „ერის სიმდიდრის მიზეზების გამოკვლევა“

პაატა გუგეშვილი შეიძლება ჩაითვალოს ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქად. მის კალამს ეკუთვნის საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19, მე-20 საუკუნეებში რომელიც გამოიცა შვის ტომად.

ვასილ ჩანტლაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მის კალამს ეკუთვნის „ფინანსების თეორიის საკითხები“ „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები“. „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“ და ა.შ.

ამდენად, წარსულის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავლის გზების დასახვისათვის, თუ ესპანელ ფილოსოფოსს ხოსე ორტეგა იგარეტს დავესესხებით, რომელიც აღნიშნავდა, რომ „წარსული არის ერთადერთი არსენალი, რომელშიც ვპოვებთ აღჭურვილობას მომავლის გასაფორმებლად“, გერმანელი მოაზროვნის მარტინ ჰაიდერგერის სენტენციას თუ გავიხსენებთ, რომელიც ამბობდა, რომ „ვიდრე არ გავიაზრებთ მას, რაც იყო და არის, ვერასოდეს ვერ შევძლებთ ვეკუთვნოდეთ იმას, რაც იქნება.“[1]

ამდენად მომავლის გზების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წარსულის კვლევას.

1.2. ეკონომიკა, როგორც მეურნეობა და მეცნიერება

„ეკონომიკა“, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი და ურთულესი სფერო შეიძლება მრავალმხრივ განვიხილოთ: როგორც მეურნეობა, როგორც მეცნიერება და როგორც კულტურა.

როგორც მეურნეობა ეს არის ადამიანთა ურთიერთობის კულტურა მეურნეობრიობის, წარმოების სფეროში.

როგორც მეცნიერება სწავლობს და იკვლევს მეურნეობის სულ ერთია ეს იქნება მთლიანად ქვეყნის, დარგის, თუ ფირმის მაშტაბით.

---

[1] ბარათაშვილი ნინო, გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგი. თბ. 2004 წელი. გვ.

ეკონომიკა, როგორც ინტეგრირებული სისტემა არის მეურნეობაც, მეცნიერებაც და კულტურაც.

„ეკონომიკა“ – როგორც მეცნიერება და „ეკონომიკა“ როგორც მეურნეობა, ერთმანეთისაგან განსხვავდება აბსტრაქტულობისა და კონკრეტულობის თვალსაზრისითაც. „ქვეყნის ეკონომიკა“ (მაკროეკონომიკა), დარგის ან დარგთაშორისი კომპლექსის (მაგალითად აგროსამრეწველო) ეკონომიკა, საწარმოს, ფირმის ეკონომიკა (მიკროეკონომიკა), მაგრამ როგორც კი თითოეულ მათგანს წარმოვიდგენთ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის, დარგის, დარგთაშორისი კომპლექსის, საწარმოს მაგალითზე, როგორც მეურნეობრივ რეალობას, ფუნქციონირებად ორგანიზმს, მაშინ ისინი გვევლინებიან შესაბამისი მაშტაბის მეურნეობებად, სათანადო მეცნიერებათა კვლევისა და შესწავლის ობიექტად.

ქვეყნის, დარგის, დარგთაშორისი კომპლექსის, თუ საწარმოს ეკონომიკები, როგორც მეცნიერებანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგებია საერთოდ, მიუხედავად იმისა რომელი ქვეყნის, დარგის, დარგთაშორისი კომპლექსის თუ საწარმოს ეკონომიკას სწავლობენ ისინი. თითოეული მათგანი როგორც მეცნიერების კვლევის საგანი და ობიექტი იმდენია რამდენიც ქვეყანაცაა და მეურნეობის რამდენი დარგი, დარგთაშორისი კომპლექსი საწარმო ფუნქციონირებს ნებისმიერ ქვეყანაში. ამასთან კვლევისა და შესწავლის ეს ობიექტები ხშირად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც განვითარების შესაძლებლობებითა და მიღწეული დონით, ისე პარამეტრების, მაჩვენებლების ელემენტების თანაფარდობით, სტრუქტურით და საერთოდ ეკონომიკის სრულყოფით.

კაცობრიობა ყველა სფეროში, მათ შორის ეკონომიკაშიც თავისი არსებობის მანძილზე შეძენილი ცოდნითა და დაგროვილი გამოცდილებით სარგებლობს. მათზე აშენებს ახალ ცოდნასა და ახალ გამოცდილებას.

განვითარების დიალექტიკა, ძველისა და ახლის, დრომოჭმულისა და პროგრესულის, წარსულისა და მომავლის ბრძოლაში, დაპირისპირებაში უარსაყოფს უარყოფს, შესანახს შეინახავს სრულყოფს. ამასთან ინარჩუნებს მემკვიდრეობის პრინციპსაც და ამით მიუხედავად ზიგზაგისებრი ხასიათისა, სპირალისებური გზით მოძრაობისა, უზ-

რუნველყოფს განვითარების აღმავალ ხაზს, საბოლოო შედეგის თვალსაზრისით.

ასევე წყვეტენ ისტორიული ეპოქები თავიანთ ამოცანებს, რომლებიც დროის ყოველ მეტ-ნაკლებად ხანგძლივ მონაკვეთში სხვადასხვა წარმატებებით სრულდება, სადაც წინსვლას უკან დახევა ცვლის, განვითარების სწრაფ ტემპებს დაბალი ან უკანსვლის ტემპები. აღმავლობას-დაღმავლობა, დაქვეითება, სტაგნაცია და უკანსვლა, მერე ისევ შემობრუნება და წინსვლა და ასე დაუსრულებლად.

როგორც ნებისმიერი მეცნიერება, ეკონომიკური მეცნიერება, ანუ ეკონომიკა მრავალფეროვანია. მისთვის ნიშანდობლივია მრავალი სხვადასხვა შეხედულებანი, კონცეფციები, მიმართულებანი, თეორიები.

ნამდვილი ეკონომიკა არის ბუნებრივად განვითარებადი ეკონომიკა, რომელიც ემყარება თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებს, სამართლებრივად თანასწორუფლებიანი საკუთრების მრავალ ფორმას და საწარმოთა შესაბამის ტიპებს, რომელიც სახელმწიფოს მიერ რეგულირდება და წონასწორობაში მოიყვანება ეკონომიკური ბერკეტებითა და იურიდიული აქტებით, მეურნეობრიობის დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით.

ეკონომიკური მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა შეიმუშაოს მეურნეობრიობის ისეთი მეთოდები, პრინციპები და პროგრამები, რომელთა სამეურნეო ცხოვრებაში გატარება უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ფენის, კლასის ინტერესების შეხამებას, ხელშემწყობი ფაქტორების ამოქმედებას, წარმოების მამოძრავებელი ძალების მოქმედებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და ყოველივე ამის შემდეგ ეკონომიკის ბუნებრივ განვითარებას, მის წინაშე მდგარი ამოცანებისა და პრობლემების რაციონალურ გადაწყვეტას.

თანამედროვეობა ეკონომიკისაგან მოითხოვს წარმოების მიზნებისა და შესაძლებლობების, მისი ფასეულობების საშუალებებისა და მექანიზმების, შედეგების გააზრებას, რაც მთავრია მოითხოვს ადამიანის, ადამიანთა ურთიერთობის, ასევე ადამიანის საკუთარ თავთან მიმართების გააზრებას და ამ ურთიერთობის მუდმივ სრულყოფას..

ეკონომიკის, როგორც კულტურის დარგის ამოცანა, ფუნქცია და ადგილი ურთიერთობაში „ადამიანი-ადამიანი“ განისაზღვრება სამი ფუნდამენტური კავშირით:

1. „ადამიანი-წარმოება-ბუნება“
2. „ადამიანი-კულტურა-წარმოება“
3. „ადამიანი-კულტურა-ბუნება“

სწორედ ამ კავშირების საფუძველზე და მათ ფარგლებში ყალიბდება ურთიერთობა „ადამიანი-ადამიანი“

როგორც ვხედავთ ადამიანთა ურთიერთობის, ურთიერთმიმართების გამაშუალებელი ფაქტორებია ბუნება, წარმოება, კულტურა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა ურთიერთობა ყოველთვის გულისხმობს ურთიერთობას ბუნებასთან, წარმოებასთან, კულტურასთან. ეს ურთიერთობა მრავალმხრივია, მრავალფეროვანია. მაგ: ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან დაპირისპირებასაც გულისხმობს და მასთან წონასწორობაში, ჰარმონიაში ყოფნის აუცილებლობასაც. მეტ-ნაკლებად ასევეა ადამიანთა მიმართება, ურთიერთობა წარმოებასთან და წარმოებაში ადამიანთა ურთიერთობა ერთმანეთთანაც. ყველაზე მთავარი ისაა, რომ საბოლოო ჯამში ყველაფერს ადამიანი შრომითა და ბრძოლით, მთელი თავისი შემოქმედებითი უნარით ქმნის- წარმოებასაც, კულტურასაც, მოიპოვებს ბუნებისაგან, გარდაქმნის ბუნებას, თავის თავსაც და ამავე დროს ყველაფერს თავის სამსახურში აყენებს. ამიტომ ყველაფერი იწყება ადამიანით, იქმნება ადამიანის მიერ, ემსახურება ხმარდება ადამიანს და მთავრდება ადამიანით.

1.3. საქართველოს ეკონომიკის საგანი

ადამიანთა ცხოვრება უაღრესად რთული წინააღმდეგობრივი და მრავალფეროვანია,ის მოიცავს ეკონომიკას, პოლიტიკას, იდეოლოგიას, კულტურას და ა.შ. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეები შეისწავლება სხვადასხვა მეცნიერებათა მიერ. საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებანი წარმოებას სწავლობენ, როგორც ადამიანისა და ბუნებას შორის მიმდინარე პროცესებს. მათი შესწავლის ობიექტია უპირატესად შრომის საგნებისა და იარაღების თვისებები, წარმოების პროცესში ამ თვისებების ქიმიური და ფიზიკური ცვლილებები, მზა ნაწარმის სამომხმარებლო თვისებები, წარმოების საშუალებების შექმნისა და გამოყენების საკითხები.

სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებანი სწავლობს ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას, წარმოების პროცესში ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთობას, ურთიერთდამოკიდებულებას, შრომისა და წარმოების საზოგადოებრივ ორგანიზაციას, განაწილების ფორმებს და მათ განმაპირობებელ მიზნებს, საფუძვლებს.

სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური მეცნიერება.

„ქვეყნის ეკონომიკა", ანუ „მაკროეკონომიკა" მეცნიერების ერთი დარგია საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომელი ქვეყნის ეკონომიკას, მეურნეობას სწავლობს ის. ასევეა „მრეწველობის ეკონომიკა", „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა" და ა.შ. კვლევის საგანი და ობიექტი კი იმდენია, რამდენიც ქვეყანაცაა და მეურნეობის რამდენი დარგიცაა განვითარებული ნებისმიერ ქვეყანაში. ამასთან კვლევისა და შესწავლის ეს ობიექტები თუ საგნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც განვითარების შესაძლებლობებითა და მიღწეული დონით, ისე პარამეტრების, მაჩვენებლების, ელემენტების თანაფარდობით, სტრუქტურით, საერთოდ ეკონომიკის სრულყოფით. ამიტომ ნებისმიერ ქვეყანაში „ეკონომიკის" როგორც მეცნიერების, მეცნიერული დისციპლინის კვლევის, შესწავლის საგანია მოცემული ქვეყნის მთელი ეკონომიკა, ან მისი რომელიმე დარგი (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვა). ამდენად, რომელიმე ქვეყნის ეკონომიკა ან მისი ნებისმიერი დარგის ეკონომიკა, ჩვენს მაგალითზე „საქართველოს ეკონომიკა", „საქართველოს მრეწველობის ეკონომიკა", „საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკა" და ა. შ. გვევლინება მეცნიერული დისციპლინის არსებობის კონკრეტულ ფორმად.

ეკონომიკურ დისციპლინებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის „ქვეყნის ეკონომიკას" ჩვენს მაგალითში, „საქართველოს ეკონომიკას", როგორც მეცნიერულ დისციპლინას, რომელიც შეისწავლის დარგთა ერთობლიობას მათი (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, ინფრასტრუქტურის დარგების და ა.შ.) განვითარების საერთო ეკონომიკურ კანონზომიერებებს. მათ შორის ურთიერთკავშირებს, ტემპებს, პროპორციებს და სხვა ქვეყნის მაშტაბებით.

ქვეყნის ეკონომიკა დაკავშირებულია მრავალ ეკონომიკურ მეცნიერებასთან, რომლებიც სწავლობენ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ფართო სპექტრს. იგი სწავლობს მეურნეობის ოპტიმალური ხელმძღვანელობის საკითხებს, განაზოგადებს მეურნეობრივი საქმიანობის პრაქტიკას, სისტემატიზაციას უკეთებს მოწინავე გამოცდილების მონაცემებს, ავლენს რეზერვებსა და გამოუყენებელ შესაძლებლობებს და განსაზღვრავს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზებს ცალკეულ დარგებსა და მთელ ეკონომიკაში.

საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენს ერთიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსს, რომელიც ემყარება წარმოების საშუალებებზე საკუთრების მრავალფეროვან ფორმებს (სახელმწიფო, კოლექტიური, კერძო) და საწარმოთა შესაბამის ტიპებს.

საქართველოს ეკონომიკა სწავლობს მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების კანონებს, საზოგადოებრივი წარმოების პროცესებს, ეკონომიკურ ურთიერთობებს კონკრეტულად და მთლიანად ქვეყნის მაშტაბით.

„საქართველოს ეკონომიკა“, როგორც მეცნიერება სწავლობს „საქართველოს ეკონომიკას“, როგორც მეურნეობას, მისი განვითარების მიღწეულ დონეს, ტემპებს, პროპორციებს, სტრუქტურას, გამოყენებულ და გამოუყენებელ რესურსებს, რეზერვებს, შესაძლებლობებს. მათი მეურნეობრივ ბრუნვაში ჩართვის მეთოდებს, წესებს, პრინციპებს, ეკონომიკის ჩამოყალებების განვითარებისა და ახალ თვისებრიობაში გადასვლის კანონზომიერებებს და ყოველივე ამის საფუძველზე განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს პერსპექტივაში, უზრუნველყოფს შეზღუდული რესურსების პირობებში შეუზღუდავი მოთხოვნილებები რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს განვითარების ყოველ მოცემულ ეტაპზე.[1]

„საქართველოს ეკონომიკა“ წარმოადგენს საბაზო დისციპლინას, საგანს, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც „ნაციონალური ეკონომიკა“ და როგორც „ქვეყნის ეკონომიკა“

„საქართველოს ეკონომიკის“ მიზნია სტუდენტს მისცეს სრული წარმოდგენა საქართველოს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის, მისი სფეროების, დარგების, რეგიონების პოტენციალის, ქვეყნის

[1] ყუფუნია გურამ, საქართველოს ეკონომიკა, თბ. 2006წ.

ფორმირებადი დარგების თვითღირებულების პოტენციალის, ასევე სახელმწიფო მაკონტროლებადი ხელისუფლების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საქმიანობის და სამეურნეო მართვის ყველა დონის შესახებ.

დისციპლინის შესწავლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: სპეციფიკური ეკონომიკური კანონების გამოკვლევა, მათი გამოვლენის კანონზომიერებების, განვითარების მოცულობისა და ტემპების, პროპორციების, კვლავწარმოების პროპორციებისადმი მაკროეკონომიკური მიდგომები, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გაანალიზების და გაფართოებული სახით განხილვა. კერძოდ მათი პოტენციური შესაძლებლობებისა და ბაზრების შესწავლა, გამოვლენა. საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის, პრობლემების, მიღწევების და პერსპექტივების შესწავლა.

საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში ქვეყნის ეროვნული მეურნეობის სისტემა დინამიურად იცვლება, მასში იკვეთება და გამოვლინდება, როგორც პოზიტიური, ასევე უარყოფითი, ნეგატიური ტენდენციები. ვლინდება ახალი პრიორიტეტები, იცვლება თანაფარდობა მომპოვებელ და გადამამუშავებელ დარგებში. მიმდინარეობს სტრუქტურული გადადგილებები.

ტერმინი ,,საქააათველოს ეკონომიკა" ან თუნდაც ,,ეროვნული ეკონომიკა" ერთი მხრივ ნიშნავს ობიექტს, რომელსაც ის შეისწავლის, ხოლო მეორე მხრივ მეცნიერულ დისციპლინას. ზემოთ მოცემული ფორმულირების მიხედვით ტერმინი ,,ეროვნული ეკონომიკა" შეიძლება განვიხილოთ როგორც მაკროეკონომიკურ დონეზე ეროვნული მეურნეობის გაძღოლის წესი.

ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს შედარებით ახალ სამეცნიერო დისციპლინას. ამდენად, მისი შესწავლისას საკითხის საზღვრების განსაზღვრა რჩება დისკუსიური.

ეროვნული ეკონომიკა, როგორც მეცნიერული დისციპლინა მოიცავს შემდეგ შემადგენელ ნაწილებს: მეცნიერების ობიექტი, მეცნიერების საგანი, მეცნიერების მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები და მეცნიერების სუბიექტი.

საერთო სახით ეროვნული ეკონომიკის ობიექტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ქვეყნის ნაციონალური სამეურნეო სისტემა, მას-

ში შემავალი სხვადასხვა დონორი და რაიონული შემადგენლობით. შესწავლის ობიექტი უფრო დეტალურად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, როგორც საწარმოო ძალების ერთობლიობა, მეურნეობის და ფასეულობების გაძღოლის სოციოკულტურული ტრადიციები, რომლებიც ზემოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თავისებურებებზე.

საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში, როგორც ქვეყნის ერთიან „ეკონომიკურ სივრცეში" გამოიყოფა რამდენიმე დონე:

1. საერთაშორისო დონე – ეს არის საქრთველოს ეროვნული ეკონომიკის ურთიერთობების დონე საზღვარგარეთის ქვეყნებთან და მთლიან მსოფლიო სამეურნეო სისტემასთან.

2. ფედერალური (საერთოეროვნული, მაკროეკონომიკური) დონე – ეს არის შიდა სამეურნეო ურთიერთზემოქმედების მაშტაბები.

3. რეგიონული დონე – ეს არის ეკონომიკის ურთიერთკავშირის დონე, უპირველეს ყოვლისა თითოეული ფედერალური რგოლისა. მეორე მხრივ საქართველოს რესპუბლიკის თითოეული სუბიექტის. 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დაიყო ცხრა მხარედ და ერთ ქალაქად, რომელსაც რეგიონული მნიშვნელობა აქვს (დედაქალაქი თბილისი). ასე, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით საქართველო დაყოფილია 12 პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეგიონად. თუმცა უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა 1993 წლიდან დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, მაგრამ ის განიხილება, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

4. შიდარეგიონული დონე – ეს არის შიდა მეურნეობის განსაზღვრული სუბიექტის ურთიერთობების სისტემა საზოგადოებრივი შრომის დანაწილების ჩარჩოებში.

5. ნაციონალური ეკონომიკის დარგთაშორისი კომპლექსის დონე – ეს არის აგროსამრეწველო კომპლექსის, სათბობენერგეტიკული კომპლექსის, შიდა ურთიერთობების დონე და სხვა.

6. ნაციონალურ სამეურნეო სისტემის ცალკეული დარგების დონე – ეს არის სამეურნეო ურთიერთზემოქმედების მაშტაბები მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვა.

7. შიდა დარგობრივი – ეს არის ნაციონალური ეკონომიკის შიდა ცალკეული ქვედარგების დონე (მაგალითად სოფლის მეურნეობაში გამოიყოფა ორი ქვედარგი: მემცენარეობა და მეცხოველეობა).

8. ეროვნული სამეურნეო სისტემის პირველადი რგოლების ურთიერთკავშირის დონე: გაერთიანებები, საწარმოები, ორგანიზაციები.

9. ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული მეურნეობის ცალკეული ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმების დონე (აქციონერული საზოგადოება, კავშირები, ყველა სახის ამხანაგობა და სხვა)

10. შიდა საწარმოო დონე: საამქროების, საწარმოების მომსახურების, კომპანიების, ფირმების, ორგანიზაციების გაერთიანებების და სხვა.

ნაციონალური ეკონომიკის საგნად გამოდის კვლავწარმოების სოციალურ-ეკონომიკური პროცესები,გამოვლინებული მოცულობის, ტემპების და პროპორციების განვითარების კანონზომიერებებში.

ნაციონალური ეკონომიკა ხასიათდება წარმოებისა და მისი შედეგების ერთობლიობით და ფორმირდება როგორც შიდა პროცესების ურთიერთკავშირების ერთიანი ორგანიზმი, როგორც ქვეყნის ეროვნული მეურნეობა.

1.4. ეროვნული ეკონომიკის შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლები

ეროვნული ეკონომიკის შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძველი, საერთოა ყველა ეკონომიკური დისციპლინისათვის.

მეთოდი არის საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების, მათი ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებების შემეცნება. ეკონომიკა იყენებს როგორც ზოგადფილოსოფიურ, ისე საკუთარ სპეციფიკურ და კონკრეტულ მეთოდებს.

მეთოდოლოგია კვლევის მეთოდთა მთელი სისტემაა, რომლითაც ეკონომიკურ მოვლენათა შესწავლა ხორციელდება. რაც უფრო ფართოა სწავლული ეკონომისტის გონებრივი ჰორიზონტი, მით უფრო

მრავალ მეთოდს მიმართავს იგი და მეთოდების მთელ ერთობლიობას გამოიყენებს ეკონომიკური მოვლენების შემეცნების პროცესში.

1. დიალექტიკური მეთოდი – დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ. მისი ყველა ძირითადი ფორმა დასრულებული სახით ჩამოყალიბებულია გერმანელი მოაზროვნის გ. ჰეგელის „ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიაში". დიალექტიკური მეთოდის გარდაუვალი მოთხოვნაა ეკონომიკური მოვლენები და პროცესები განხილულ იქნეს მკაცრ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. ასეთი კავშირები იმანენტურად გულისხმობენ მოძრაობას, ამიტომ, ეკონომიკური მოვლენები და პროცესები უნდა განვიხილოთ დინამიკურობაში. მოძრაობა იწვევს ცვლილება-განვითარებას, რომელსაც რაოდენობრივი და თვისობრივი განსაზღვრულობანი ახასიათებთ.

თვისებრიობა მოვლენათა შინაგანი განსაზღვრულობაა, რომლის შეცვლით ძველი მოვლენის ადგილას მკვიდრდება ახალი. რაოდენობა კი მოვლენათა გარეგანი განსაზღვრულობაა. რაოდენობრივი ცვლილებები ნიშნავს მოვლენათა სიდიდეს, მოცულობის ან ინტენსივობის შეცვლას. ეკონომიკური მოვლენათა არსი არ შეიძლება დავუქვემდებაროთ რაოდენობრივ განსაზღვრულობას. დიალექტიკური მეთოდის უმთავრესი მოთხოვნაა მოვლენათა კაუზალური კავშირების, მოძრაობის, ცვლილება-განვითარების შინაგანი იმპულსის, მისი წყაროს დადგენა. ეს იმპულსია შინაგანი წინააღმდეგობა, დაპირისპირებულ მხარეთა ერთიანობა და ბრძოლა.

2. ისტორიულ და ლოგიკურ მეთოდთა თანაფარდობა. ისტორიული მეთოდის ამოცანაა არსის გამოვლინების ფორმების შესწავლა. იგი აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ყოველი ლოგიკური კონსტრუქციის ჩამოყალიბების პროცესში. ამასთან, ეკონომიკური და სამოქალაქო ისტორიის შესწავლის დროს ისტორიულთან ერთად ლოგიკური მეთოდიც გამოიყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორია, როგორც მეცნიერება ვერ შეძლებდა ისტორიულ ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას.

ლოგიკური მეთოდის გამოყენებით მკვლევარი ახდენს, ისტორიული მეთოდით დაგროვილი მასალის ანალიზს, ადგენს მოვლენათა არსს.

ისტორიული და ლოგიკური მეთოდები მეცნიერების ყველა დარგში ერთნაირად არ გამოიყენებიან. ეკონომიკური და სამოქალაქო ისტორიის შესწავლის დროს წინა პლანზე წამოიწევა ისტორიული მეთოდი, ხოლო როცა საქმე ეხება ცნებებსა და კატეგორიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ლოგიკურ მეთოდს ენიჭება. ისტორიული მეთოდის გამოყენებით არსებითად ეკონომიკურ მოვლენათა იდეოგრაფია ხორციელდება, ხოლო ლოგიკური მეთოდის საშუალებით არსის დადგენა ხდება.

3. ლოგიკური მეთოდი, როგორც შემეცნებისა და დასაბუთების წესების ერთიანობა- შემეცნების ანუ კვლევა -ძიების და დასაბუთების, ანუ გადმოცემა დალაგების წესების ერთიანობაა. ეს წესები ობიექტური პროცესების შესწავლის სტადიებს წარმოადგენენ და მხოლოდ მთლიანობაში ხორციელდებიან, პირველი ნამდვილი წინამძღვარია მეორესი.

კონკრეტულიდან აბსტრაქტუკლისაკენ და აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლა ეს არის კვლევა-ძიების მაგისტრალზე მოძრაობა.

4. „ეკონომიკური უჯრედი“ და დასაბუთების დასაწყისი – დასაწყისის შემეცნება ყოველი თანმიმდევრული მეცნიერული დარგის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

ადამ სმითის თეორიულ სისტემაში დასაწყისი არის სიმდიდრე, ხოლო მისი სუბსტანცია-შრომის დანაწილება.

დასაწყისის პრობლემის შემეცნების ყველაზე უფრო მისაღები მეთოდოლოგიური პრინციპები ჩამოაყალიბა ჰეგელმა.

დასაწყისის თანამედროვე შემეცნება კაცობრიობის მომავალი ყოფის მეცნიერული წინასწარხედვის აუცილებელი პირობაა.

5. ანალიზისა და სინთეზის გამოყენება ეკონომიკურ მოვლენათა შესწავლაში. „ანალიზი“ ბერძნული სიტყვაა და დაშლას ნიშნავს შემადგენელ ნაწილებად. „სინთეზიც“ ბერძნული სიტყვაა და დაშლილი ნაწილების შეერთებას გულისხმობს ერთ მთელად. ანალიზი არის ეკონომიკური მოვლენის თავისთავთან დამოკიდებულების გარკვევა. იგი არ მიდის მოცემულის იქით, ანალიზი უშუალოდ გადადის სინთეზში. განსხვავებათა შინაგანი კავშირი სინთეზურია, ცნებათა დადგენის პროცესში ერთიანობისა განსხვავების ლოგიკური ასახვა ანალიზისა და სინთეზის და აუცილებელი ერთიანობით მიმდინარეობს.

6. ინდუქციის, დედუქციისა და რედუქციის როლი ეკონომიკური პროცესების თეორიულ შესწავლაში. ეროვნული სისმდიდრის მოძრაობის ძირითად ფორმათა შემეცნების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდუქცია, დედუქცია და რედუქცია.

ინდუქცია ლოგიკური მეთოდია, რომელიც შემეცნებისა და დასაბუთების წესების მოქმედებაში, კერძოდან ზოგადზე გადასვლის საშუალებას იძლევა.

დედუქცია მოქმედებს მაშინ, როცა ეკონომიკურ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად მიღებული ზოგადი დებულება ვრცელდება ახალ ეკონომიკურ მოვლენაზე ხდება ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოტანა.

ინდუქციისა და დედუქციის ერთიანობაში იგულისხმება რედუქცია, რომელიც შედეგიდან საფუძველზე გადასვლას ნიშნავს. რედუქციაში იგულისხმება ზოგადისა და კერძოს ერთმანეთისათვის აუცილებლობა, მაგრამ მხოლოდ შედეგის საფუძველზე დაყვანის სახთ. იგი წინასწარ გულისხმობს ზოგადსა და კერძოს შორის ინდუქციურ და დედუქციურ დამოკიდებულებას. ინდუქცია კერძოდან ზოგადზე გადადის, დედუქცია კი ზოგადიდან კერძოზე.ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს საფუძვლიან შედეგზე გადასვლას, რედუქცია კი პირიქით, შედეგიდან საფძველზე გადადის. რედუქცია როგორც შედეგის საფუძველზე დაყვანა, წინასწარ გულისხმობს საფუძვლიანი შედეგის მიღებას. ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებების დიალექტიკური შემეცნების საყოველთაოდ აღიარებული მეთოდებიდან უნდა გამოიყოს სისტემური მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს სხვადასხვა სახის სისტემების მეცნიერული ანალიზი მათ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე.

სისტემურ მიდგომას საფუძვლად უდევს თეორიული კვლევებისა და პრაქტიკული გამოცდილების ერთიანობა, რის საფუძველზეც ხდება რეალური სისტემების შესწავლ, მისი შემეცნება, ადამიანის ცნობიერებაში ასახვა, ხოლო შემდეგ მიღებული სისტემური ცოდნის საფუძველზე ხდება პრაქტიკული ზემოქმედება სისტემაზე.

სისტემური მიდგომა – ეს თვისობრივად უფრო მაღალია მეცნიერული შემეცნების ვიწრო საგნობრივ მეთოდთან შედარებით.

7. დიალექტის ძირითადი კანონების გამოყენება ეკონომიკური მოვლენების კვლევაში – ეკონომიკურ კატეგორიათა სისტემის დად-

გენა აუცილებლად მოითხოვს მათი კაუზალური კავშირებისა და ცვლილება-განვითარების განმსაზღვრელი კანონების შესწავლას. დიალექტიკის ძირითადი კანონები, რომელთაც უშუალოდ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლის დროს გამოვიყენებთ, იმავე დროს ეკონომიკურ კატეგორიათა სისტემის კანონებიცაა. ასეთებია; 1. რაოდენობრივ და თვისებრივ ცვალებადობათა ურთიერთგადასვლის კანონი; 2. უარყოფის უარყოფის კანონი; 3. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი.

8. ფსიქოლოგიური მეთოდის როლი ეკონომიკურ მოვლენათა შესწავლაში 1898 წელს ვ. ზობარტმა ჟურნალ „ნოვოე სლოვოში“ გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც დააკნინა დიალექტიკური მეთოდის მნიშვნელობა ეკონომიკური სტრუქტურების შემეცნებაში. მისი აზრით ჰეგელის დიალექტიკა, როგორც ეკონომიკურ მოვლენათა კვლევის მეთოდი თანამედროვე პირობებში დრომოჭმულად უნდა ჩაითვალოს. გვჭირდება სოციალური მოვლენების ფსიქოლოგიური ახსნა.

XIX საუკუნის ბოლოს ფსიქოლოგიური მეთოდის როლი ეკონომიკურ კვლევაში განსაკუთრებით გაძლერდა. თანამედროვე პირობებში მან უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ამჟამად, დასავლეთის ეკონომიკური თეორიები არსებითად ფსიქოლოგიურ მეთოდს ეფუძნებიან, მაგრამ ეს არ იძლევა დიალექტიკური მეთოდის მნივნელობის უგულებელყოფას.

ეკონომიკურ კვლევაში გაიზარდა ფსიქოლოგიური მეთოდი, მაგრამ დიალექტიკა დარჩა მთავარ მეთოდად. ფსიქოლოგიური მეთოდი კი მისდამი დაქვემდებარებულ მეთოდად, ვინაიდან ფსიქოლოგიური პროცესებიც დიალექტიკურია თავისი ბუნებით. რაც უფრო დაწინაურებულია ამა თუ იმ ერის სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, მით უფრო დიდია მისთვის ფსიქოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობა.

სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მეთოდი ეკონომიკურ თეორიაში დაამკვიდრეს ავსტრიული სკოლის (მენგერი, ვიზერი,ბეგბავერკი) წარმომადგენლებმა ეს სკოლა იდეურ სათავეს არსებითად ადამ სმითის მოძღვრებიდან იღებს.

ადამ სმითის აზრით, ადამიანი ეგოისტია. მას განსაკუთრებით სამეურნეო საქმიანობაში, მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებს. ერთი ინდივიდის პირადი ინტერესები შეზღუდულია სხვა ინდივითთა

პირადი ინტერესებით. სმითი არ უარყოფს საზოგადოებრივ ინტერესებს, მაგრამ ეს უკანასკნელი მას გამოჰყოფს ინდივიდის ბუნებიდან, ადამიანები ერთმანეთს სჭირდებიან, მაგრამ როგორც ეგოისტები, ერთმანეთს პატივს სცემენ ნაცვალგების საფუძველზე. ეს დაედო საფუძვლად ავსტრიულ სკოლას, რომელნიც თეორიული ძიების ცენტრში აყენებდნენ პიროვნებას და მის ინტერესებს. ეს სკოლა ანალიზს იწყებს არა ეკონომიკკური სტრუქტურის უმარტივესი მოვლენიდან, არამედ ინდივიდუალური მეურნეობიდან და მისი მფლობელის სუბიექტური მისწრაფებებიდან.

ავსტრიული სკოლა ნეოკლასიკურია. მისი მეთოდოლოგიური მიღწევები შემდგომ განავითარეს თანამედროვე ნეოლიბერალური მიმართულების წარმომადგენლებმა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ:მილტონ ფრიდმანი, ჰაიეკი, ლაფერი, გულდერი და სხვა.

კეინსისა და კეინსინელების ეკონომიკური მოძღვრებაც არსებითად ფსიქოლოგიური მეთოდითაა გაშუქებული.

9.შედარებითი ანალიზის მეთოდის როლი ეკონომიკურ მოვლენათა შესწავლაში – ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა გამოაშკარავებულ იქნას განსხვავებულ მოვლენათა მსგავსება,გაირკვეს მათი გენეტიკური ნათესაობა, მათი წარმომშობი საერთო მიზეზები.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის თავისებურებანი და პერსპექტივები სრულყოფილად ვერ გაშუქდება სხვა მსგავსი ქვეყნების ეკონომიკური ყოფის მოვლენებთან შედარებითი ანალიზის გარეშე.

10.. სტრუქტურული – ფუნქციონალური მეთოდის როლი ეკონომიკურ მოვლენათა შესწავლაში – ეს მეთოდი განვითარებული მთელისადმი მისი განკერძოებული მომენტების დამოკიდებულების გამოაშკარავების შესაძლებლობას იძლევა. მკვლევარებს, რომელნიც ამ მეთოდის უპირატეს როლს ანიჭებენ, არსებითად არ აინტერესებთ მთელის დამკვიდრების გენეტიკურ-ისტორიული პროცესი, მათი მიზანია იმის გაშუქება, თუ მთელის საფუძველზე როგორ შეიძლება აიხსნას მისი განკერძოებული მომენტების განვითარების თავისებურებანი.

მეცნიერს, რომელიც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდის გამოყენებით იკვლევს, აინტერესებს არა, ამ უკანასკნელის წარმოშობის გენეტიკურ-ისტორიული

პროცესი, არამედ მისი თანამედროვე სტრუქტურა, მისი განკერძოებული მომენტების მიმართება მთელთან. ამის გარკვევას, თუ რა ადგილი უჭირავს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში შრომის ბაზარს, კონკურენციას და ა.შ.

1.5. საქართველოს ეკონომიკის, როგორც მეცნიერების ამოცანები

„საქართველოს ეკონომიკის“ როგორც სასწავლო დისციპლინის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრობლემების საბაზრო ურთიერთობათა ასპექტში განხილვა, რადგან სწორედ საბაზრო ეკონომიკას ძალუძს ქვეყნის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა.

რესპუბლიკის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა და მისი გადაქცევა ერთიან დამოუკუდებელ ეროვნულ მეურნეობრივ კომპლექსად სულ სხვა დატვირთვას აძლევს „საქართველოს ეკონომიკას“, როგორც სასწავლო დისციპლინას. გარკვეული აზრით, აინტერესებს ფუნქციონალური და დარგობრივი ეკონომიკურ დისციპლინათა დასკვნები.

„საქართველოს ეკონომიკა“, როგორც სასწავლო დისციპლინა მოწოდებულია მოგვცეს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის არსებითი ნიშანთვისებების, მისი განვითარების, თავისებურებების მთლიანი გეგმა. ამ შინაარსით „საქართველოს ეკონომიკა“ წარმოადგენს რესპუბლიკის მთელი ეროვნული მეურნეობისადმი ერთიანი ხელმძღვანელობის, ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე მისი გადაყვანის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და მეთოდურ საფუძველს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე „საქართველოს ეკონომიკა“, როგორც სასწავლო დისციპლინის, საგანი და ამოცანები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ „საქართველოს ეკონომიკა“ სწავლობს მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების კანონებს, საზოგადოებრივ-წარმოებრივ პროცესებს, ეკონომიკურ ურთიერთობებს არა ზოგადად ან წარმოების ცალკეული დარგების მიხედვით, არამედ კონკრეტულად, მაგრამ მთლიანად ქვეყნის მაშტაბით. იგი იკვლევს ეროვნული მეურნეობრივი კომპლექსის კომპონენტთა დიალექტიკურ ურთიერთკავშირებსა და განპირობებუ-

ლობას, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ასპექტით განიხილავს ისეთ კარდინალურ საკითხებს როგორიცაა: ეკონომიკის როგორც მეცნიერული კატეგორიისა და შესწავლის ობიექტის არსისა და სტრუქტურის განსაზღვრა. ეკონომიკის ჩამოყალიბების, განვითარებისა და ახალ თვისებრიობაში გადასვლის კანონზომიერებანი; ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი და მისი გამოყენება, მწარმოებლურ ძალთა და საზოგადოებრივ – ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაციის ფორმები; წარმოების ზრდის ტემპები, პროპორციები დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებანი და სრულყოფის გზები; მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებრივი სფეროს კომპლექსებისა და დარგების განვითარების ძირითადი მიმართულებანი; ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირების ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები; საქართველოს ეკონომიკის ადგილი და როლი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში; მოსახლეობის ცხოვრების დონე და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები და სხვა. ყოველივე ამის საფუძველზე სახავს შეზღუდული რესურსების პირობებში შეუზღუდავი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზებსა და განსაზღვრავს სოციალურ -ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს პერსპექტივაში.

1.6. საქართველო, როგორც სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი და გლობალიზაცია

საქართველო განეკუთვნება სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპას. საქართველო და სამხრეთ კავკასია საზოგადოდ უნდა განვიხილოთ ევრაზიული კონტინენტის საკუთრივ ევროპულ ნაწილში მდებარე რეგიონად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ ქვემიზანს საშუალოვადიანი პერიოდისათვის მისი ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს, რაც შესაბამის მოთხოვნებსა და ამოცანებს უყენებს ქვეყანას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. უპირველეს ყოვლისა, ამოცანა მდგომარეობს ევროკავშირში გაწევრიანების ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმებით“. განსაზღვრული პარამეტრების მიღწევის უზრუნველყოფაში.

ევროპული რეგიონალიზმი ვითარდება ევროკავშირის გაფართოების ხარჯზე აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთით. ევროპული რეგიონა-

ლიზმის გაფართოება მიმდინარეობს „სივრცობრივადაც“ ევროკავშირის მიერ ინტეგრაციული ურთიერთქმედებათა დალაგებით ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. ასევე აზიასა და აფრიკაში ფორმირებად ერთიან ბაზრებთან.

აზიური რეგიონალიზმის მომავალი ჯერ-ჯერობით უფრო ნაკლები აქტიურობით წარმოჩინდება. ერთიანი აზიური ბაზრის ჩამოყალიბება საქართველოს ინტერესებსაც უკავშირდება. ჩვენი ქვეყნის ინტერესები გამოიხატება საქართველოს არა მარტო ფორმალურად შესვლაში აზიის რეგიონის ეკონომიკურ თანამშრომლობაში, არამედ აღნიშნული სივრცის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპიდანვე მასში აქტიური თანამშრომლობის მიზანშეწონილობით.

ეჭვს გარეშეა, რომ გლობალიზაცია და რეგიონალიზმი საქართველოსათვის წარმოაჩენს სერიოზულ გამოწვევებს, უფრო მეტიც უნდა ვაღიაროთ რომ გლობალიზაციისა და რეგიონალიზმისადმი სწორი დამოკიდებულების გარეშე, საქართველო ვერ შეძლებს ჯეროვანი ადგილის მოპოვებას მსოფლიო, ევროპულ და აზიურ ეკონომიკაში. უფრო გაუჭირდება თვით ქვეყნის შიგა ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაც.

ცნობილია, რომ კავკასია მსოფლიოს სხვა გეოსივრცეებისაგან სრულიად გამორჩეულია „ბუნებრივი პირობებით, ისტორიული წარსულითა და აწყმოთი, დაგროვილი პოტენციალითა და გეოპოლიტიკური მდებარეობით განპირობებული უპირატესობით. სწორედ ამ და სხვა რეალობის წყალობით, დღეს კავკასია ბევრის ყურადღებას იპყრობს მსოფლიოში.“[1]

კავკასია ევროპის საერთო ბაზრის პროექტისა და ამავე დროს, კავკასიის გეოპოლიტიკის საკითხებზე საინტერესო მონოგრაფიის ავტორი, ეროვნებით ჩეჩენი ხოჟ-ახმედ ნუხაევი თავის ნაშრომში ინგლისელი გეოგრაფ გეოპოლიტიკოსის მაკინდერის დუალისტურ პრინციპს აფართოებრს ტრიადამდე „ზღვა-ხმელეთი-მთები“

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ყოფნა კავკასიისათვის და მითუმეტეს საქართველოსათვის ახალი არაა. კავკასია ისტორიულად ყოველთვის იყო მეზობელი და შორეული ქვეყნების ყურადღების ცენტრში. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, სამუელ ჰანტინ-

[1] ბარათაშვილი ნ. კავკასიის გეოპოლიტიკური ასპექტები თბ. 2003 გვ. 40

გტონის[1] მიხედვით,მომავალში მსოფლიო ომები მოსალოდნელია განსხვავებულ ცივილიზაციებს შორის, დაპირისპირებულ ცივილიზაციათა ზონებში, სადაც კავკასიაც არის ნავარაუდევი. ეს რეგიონი მსოფლიოს გაცხოველებულ ინტერესს იწვევს მითუმეტეს დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც სახეზე გვაქვს ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის გაძლიერებული პროცესები. ესაა დასავლეთი და ახლო აღმოსავლეთი რუსეთი, თურქეთი, ირანი, ცენტრალური აზია, იაპონია, ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა.

ცნობილია, რომ გლობალიზაცია თავის განვითარებაში გაივლის რამდენიმე ეტაპს. ეკონომიკური გლობალიზაციის პირველ ეტაპზე ხორციელდება პრაქტიკულად ყველა ეროვნული ეკონომიკის ისეთი გაძლიერებული დამოკიდებულება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის, ტექნოლოგიების, ცოდნისა და ნოუ-ჰაუს საერთაშორისო ბაზარზე, რომ ეროვნული ეკონომიკის წინსვლით და ეფექტიანი განვითარება შეუძლებელი ხდება მსოფლიო ეკონომიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე.

მეორე ეტაპზე, რომელსაც მსოფლიო უკვე მჭიდროდ მიუახლოვდა, წარმოიშობა და წყდება სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკურ-სამართლებრივი პირობების გამოთანაბრების ამოცანები და ხორციელდება სახელმწიფოთა საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია.

მესამე ეტაპზე მოხდება ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება მაკრო დონეზე ეკონომიკური პროცესების ერთიანი მართვა და მიკროდონეზე ერთიანი „თამაშის წესების“ შემოღება.

მსოფლიო დღეს ნეოლიბერალური მოდელის შესაბამისად ვითარდება. ამ მოდელის მიხედვით, განვითარების ძირითად რეგულატორად მიჩნეულია სტიქიური საბაზრო მექანიზმი.

თანამედროვე ეტაპზე ნეოლიბერალიზმი გზას იკვლევს სამი მიმართულებით:

პირველი – გლობალიზაციის ცენტრების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის თვისებრივად ახალი საფუძვლის შექმნა, გლობალიზაციის პოლიიტიკის განსაზღვრა განვითარებაში ლიდერის როლის შესრულებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

---

[1] Ханингтон С. Столктовение цивилизаций Жур. „Полис“ №1 1994

მეორე – გლობალიზაციის რეგულირების ძლიერი ინსტიტუციური საერთაშორისო მექანიზმის ფორმირება და დასახული ამოცანების შესაბამისად გლობალიზაციის ობიექტზე მუდმივი ზედამხედველობა – გლობალიზაციის რთული პროცესის ლიდერისათვის სასურველი მიმართულებით განვითარება;

მესამე – პერიფერიებზე მიმდინარე პროცესების უშუალოდ ცენტრისადმი დაქვემდებარება, ცენტრიზაციის გაძლიერება განმტკიცება.

თანამედროვე მსოფლიოში, ფაქტობრივად, გლობალიზაციის ლიდერების ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიული ამოცანებია:

1. უცხოური ნედლეულით საკუთარი წარმოების უზრუნველყოფა;
2. ფილიალების შექმნით სხვა ქვეყნების ბაზრებში შესვლა, თავიანთი საწარმოების იქ განლაგება, სადაც დანახარჯები უფრო ნაკლებია, ვიდრე საკუთარ ქვეყნებში;
3. ტექნიკურ-ფინანსურ სტრატეგიაზე ორიენტაცია;
4. ძველი საწარმოების მოდერნიზაცია;
5. ფინანსურ ბაზარზე მოგების მიღება და სხვა.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას წინ უძღვის ან, პირიქით ეწინააღმდეგება რეგიონალიზმი. რომელიც, ასევე მოასწავებს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულობას და სამეურნეო სუბიექტების ინტერესების ეროვნული საზღვრებიდან გასვლას, მაგრამ, ამასთან ერთად, ამ ტენდენციების მოქმედების სფერო შეზღუდულია რეგიონულ ჩარჩოებში. რეგიონალიზმი, არსებობს როგორც რეგიონული განვითარების ტენდენცია და როგორც შეგნებულად ფორმირებადი მიზანი.

ღია რეგიონალიზმი, რომელიც მოცემული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებისა და ინტეგრაციულ ურთიერთქმედებას განიხილავს მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტში, მოქცეულია ეკონომიკური გლობალიზაციის კალაპოტში. ამასთან, ღია რეგიონალიზმი არსებითად წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის თავისებურ წინა ეტაპს, წინმსწრებ სტადიას. ასეთი ღია რეგიონალიზმის მაგალითად გვევლინება ევროკავშირი. ღია რეგიონალიზმი, როგორც ანალიზისა და გადაწყვეტილებათა გამომუშავების მეთოდოლოგია წარმოადგენს გლობალიზაციის მეთოდოლოგიის შემადგენელ ნაწილს. ასეთი სახის რეგიონალიზმის ნიმუშად გვესახება სამხრეთ-

აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმის, ანუ კავკასიის რეგიონალიზმის პერსპექტივა.

რაც შეეხება დახურულ რეგიონალიზმს, პირიქით ის გლობალიზაციის საწინააღმდეგო ქმედებაში გამოიხატება. ასეთი რეგიონალიზმი გამიზნულია მოცემული რეგიონის გლობალიზაციის ნეგატიურ შედეგებისაგან დასაცავად. იგი წარმოადგენს რეგიონის საზღვრებამდე გაფართოებულ პოლიტიკას – „დაყრდნობა საკუთარ ძალებზე". დახურული რეგიონალიზმის მაგალითად გამოდგება ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მოღვაწეობა. უნდა ვივარაუდოთ რომ სწორედ დახურული რეგიონალიზმის სტრატეგია გახდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის კრახის მიზეზი, რადგანაც აღნიშნული უუნარო აღმოჩნდა მზარდი მსოფლიო ურთიერთდამოკიდებულების მიმართ ადაპტირებისადმი. დახურული რეგიონალიზმის მეთოდოლოგია არსებითად პროტექციონალიზმის მეთოდოლოგიას წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება, იზრდება ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების როლი. ასეთ სიტუაციაში ვერც ერთი ქვეყანა, ვერც ერთი ეროვნული ეკონომიკა (მათ შორის საქართველოც) ვერ შეძლებს წარმატებით განვითარებას უცხოეთთან გაფართოებული თანამშრომლობის გარეშე, მსოფლიო ბაზართან ღრმა ინტეგრაციის გარეშე. როგორც უკვე აღვნიშნეთ სახეზე გვაქვს უახლოესი წარსულის სამწუხარო მაგალითი, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირი და მისი ინიციატივით შექმნილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, ცდილობდა მიეღწია სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის, მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის სფეროს გარეთ, ფუნქციონირებისათვის რისგანაც არაფერი გამოვიდა.

დღეს აუცილებელია, ყოველთვის თვალთახედვაში გვქონდეს ფიქრი და მსჯელობა, თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის შესახებ. რასაკვირველია მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული ჩართვა წარმოშობს საქართველოს მიმართ გამოწვევებსაც და მუქარებსაც. მაგრამ რაციონალურ ეფექტიან გამოწვევებზე პასუხის გაცემა და მუქარების მოგერიება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთქმედებებით. ეს ალბათ თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ქმედების კონცეფციის საბაზისო დებულებაა.

საქართველო ევროპული ქვეყანაა და მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მეტად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მონაკვეთზე და უშუალოდ ემიჯნება აზიის კონტინენტს. იმისათვის რომ გატარდეს ეფექტიანი ეკონომიკური სტრატეგია და საგარეო პოლიტიკა, საჭიროა აუცილებლად გათვალისწინებულ იქნეს ქვეყნის ევროპული აზიური ზღურბლის ვექტორის მნიშვნელობა მომავალი განვითარებისათვის.

შეცდომა რომ არ დავუშვათ, ევროპასთან და აზიასთან ურთიერთობის საკითხში, საქართველოს ადგილის განსაზღვრისას საჭიროა გამოვიყენოთ საქართველოზე ორი დონის, ორი სახის შეხედულება: პირველი ეს არის შეხედულება საქართველოზე მთლიანად როგორც გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მონაწილე, ხოლო მეორე საქართველოზე, როგორც გეოეკონომიკურ გეოპოლიტიკურ სივრცეში განლაგებულ ქვეყანაზე.

ასეთი ორი სახის, ორი დონის მიდგომა თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის მიმართ საშუალებას გვაძლევს სწორად და უშეცდომოდ დავინახოთ ჩვენი ქვეყნის ადგილი ევროპასთან და აზიასთან ურთიერთობაში. ევროკავშირისა და აზიის რეგიონის კავშირის ქვეყნებთან ურთიერთობაში.ასეთი მიდგომებით გამოიკვეთება საქართველოს როლი, სახე და ადგილი ორ განზომილებაში გლობალურ ეკონომიკაში და რეგიონულ ეკონომიკაში. ჯერჯერობით საქართველოს ეკონომიკის გლობალური ხასიათი საკმაოდ მოკრძალებულია ჩვენი ეკონომიკის მძიმე კრიზისის გამო და გამოიხატება ტვირთების გადაზიდვებით, რომელიც საგრძნობლად გაიზარდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და გაზსადენის ექსპლუატაციაში შესვლით (2006წ).

1.7. გლობალიზაცია და საქართველოს განვითარების პერსპექტივები

ყოველი ერი ისტორიული არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, საკუთარი ყოფიერების რაობის ახლებურად გააზრებას და საკუთარი ყოფიერების ახლებურად ჩამოყალიბებას ახდენს. მისი არსებობა გარკვეულ დროით- სივრცულ არეალში რეალიზდება.

ერის ყოფიერებაზე შიგა ეროვნული და გარე ფაქტორები მნიშვნე-

ლოვან გავლენას ახდენს და ერის ყოფიერება თავისებურ „გამოწვევის სახეს იღებს, ზოგიერთ შემთხვევაში „გამოწვევა“ გულისხმობს მხოლოდ იმის აუცილებლობას, რომ ერმა უბრალოდ შეინარჩუნოს თავისი ეთნიკური სახე, ზოგ შემთხვევაში კი „გამოწვევა“ ერის წინაშე გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ამოცანას სახავს, ვიდრე უბრალოდ თვითგადარჩენაა.

დღევანდელი საქართველოს წინაშე მდგომი ამოცანა – ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება – ჩვენს ისტორიაში რამდენჯერმე დამდგარა, თუმცა, მისი გადაწყვეტის ფორმები იგივეობრიობით არ ხასიათდება. განსხვავებას განაპირობებს ის ისტორიული, იდეოლოგიური, ტექნოლოგიური გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფონი, რომელიც მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს ამ ამოცანის გადაწყვეტის სპეციფიკას.

ყოველი ერი, ასე თუ ისე, თავისუფალი სუბიექტია და თვითონვე განსაზღვრავს იმას, თუ რა სახით იარსებებს და რით უპასუხებს „გამოწვევას“.

ქართველი ერის წინაშე დღეს შემდეგი „გამოწვევა“ დგას: იარსებოს, როგორც სუვერენულმა ერმა, რომელსაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა გააჩნია, თუ იცხოვროს, როგორც სხვისი ხელის შემყურე და სხვის სახელმწიფოებრიობაში მორგებულმა ეთნოსმა.

მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ კარგი გეოპოლიტიკური მდებარეობა თავისთავად ვერ გახდება ერის ბედნიერების გარანტი. გეოპოლიტიკური არეალი ცარიელი ფიზიკური სივრცეა, რომლის მნიშვნელობას მექანიკური ფაქტორები კი არ განსაზღვრავს, არამედ ის თუ ვინ და როგორ ცხოვრობს ამ სივრცეზე. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სისტემის არსებობის შემთხვევაში ეს ტერიტორია ადრე თუ გვიან ერთვება სხვა ქვეყნების სახელმწიფოებრივი სისტემის მოქმედების არეალში. ქვეყანა კარგავს დამოუკიდებლობას და შესაბამისად შესაძლებლობას ისარგებლოს თავისი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობით.

ძირითადი ფაქტორი სახელმწიფოთაშორის, ერთა შორის ურთიერთობაში საკუთარი ნაციონალური ინტერესებისათვის ბრძოლაა. ნაციონალური ინტერესებისათვის კი, თავის მხრივ განმსაზღვრელია ერის თავისუფალი და დამოუკიდებელი სახით არსებობა, სამხედრო

ხიფათისა და სუვერენიტეტის დაკარგვის თავიდან აცილება; ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფა; საერთაშორისო სარბიელზე საკუთარი პოლიტიკური სტატუსის შენარჩუნება და მოკავშირეთა შენარჩუნება.

ჩინელი დიპლომატი კან იუნსიუანი აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს მოძებნოს საკუთარი ოპტიმალური ადგილი 21-ე საუკუნეში.

საქართველოს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობის მყოფელი სახელმწიფოს დამკვიდრება, რომელსაც შეეძლება აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მრავალმხრივ ურთიერთობათა განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება. ამ მიზნის შემადგენელი ოთხივე კომპონენტი: დამოუკიდებლობა, დემოკრატია, მშვიდობა და გეოსტრატეგიული პოტენციალის რეალიზება საქართველოსათვის ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთგაუმიჯნავი და ურთიერთგანმაპირობებელი სტრატეგიული იმპერატივია.

საქართველომ გააკეთა არჩევანი და საგარეო პოლიტიკური კურსი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ მიმართვა.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ტენდენციას დასავლური სივრცის გაფართოება წარმოადგენს, ანუ დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტების ფართოდ დანერგვა. ეს პროცესი არ გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელი ეთნოკულტურული სახის დაკარგვას. ტერმინი „დასავლეთი“ მეტ პოლიტიკურ მნიშვნელობას შეიცავს, ვიდრე ეთნოკულტურულს.

ის რომ სკანდინავიის და ბალკანეთის მკვიდრნი ერთნაირად „დასავლურნი“ ხდებიან, მათი პოლიტიკური ინსტიტუტების თვალსაზრისით არ ნიშნავს მათ შორის არსებული ეთნოკულტურული განსხვავებების ნიველირებას და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ თარგზე მოჭრას. დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტების დამკვიდრება რომ ოდნავადაც არ უშლის ხელს ეთნიკური და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ამის საუკეთესო მაგალითს იაპონია და სამხრეთ კორეა იძლევა. ამ ქვეყნებს თითქმის არაფერი ჰქონიათ სა-

ერთო დასავლეთთან არც კულტურული, არც ცივილიზაციური და არც რელიგიური თვალსაზრისით, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით დასავლური მოდელის დამკვიდრებას არამხოლოდ მოსახლეობის კეთილდღეობა მოჰყვა შედეგად, არამედ მაღალი ეთნოკულტურული ტრადიციის შენარჩუნებაც.

ევროპულ პოლიტიკურ ფასეულობებთან მიახლოების თვალსაზრისით საქართველომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთსშორისო არენაზეც. კერძოდ 1999 წლიდან საქართველო ევროპის საბჭოს წევრია და მონაწილეობს იმ ინსტიტუტებში, რომლებიც ხელს უწყობენ დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების დასავლური სტანდარტებით მშენებლობას.

1999 წელს ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება. (შეთანხმებას ხელი მოაწერა 1966 წლის 22 აპრილს. ლუქსემბურგში).

აღნიშნული შეთანხმების მამოძრავებელი ძალაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარების სურვილი, ურთიერთობისა, რომელიც დაფუძნებული იქნება მათ შორის არსებულ ისტორიულ და საზიარო ფასეულობებზე.[1]

შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთთანამშრომლობის სფეროების ფართო სპექტრს მოიცავს უპირველესი ამოცანა ეკონომიკური რეფორმების პროვესის ხელშეწყობაა, ასევე საქართველოს ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საქმეში დახმარების გაწევაა. ყოველივე ეს უნდა მოხდეს სოციალური და გარემოს დაცვითი პრობლემების გათვალისწინებით.

საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან.

საქართველო ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს დამფუძნებელი წევრია მნიშვნელოვანია საქართველოს მონაწილეობა ნატოს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის.“ 2002 წლის ნატო-ს პრაღის სამიტზე საქართველომ ოფიციალურად

განაცხადა სურვილი ნატო-ში გაწევრიანების შესახებ.

ბოლო ათწლეულში საქართველო თითქმის თვითგადარჩენასა და

[1] ბარათაშვილი ნინო „გლობალიზაციის თანამედროვე და ახალი მსოფლიო წესრიგი“ თბ.2004 გვ.372

მოკლევადიანი მიზნების მიღწევაზე იყო ორიენტირებული, ვიდრე „სტრატეგიული არჩევანის“, „საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის“, გრძელვადიანი პერსპექტივის“ კონცეფციებზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოუგვარებელი კონფლიქტებისა და რუსეთის ზეწოლის მიუხედავად, საქართველოს საგარეო პოლიტიკამ თანდათანობით დასავლური ორიენტაცია შეიძინა, რომლის საბოლოო მიზანიც ევროპულ თანამეგობრობაში ინტეგრირდება. ეს ტენდენცია თანდათან უფრო ცხადად იკვეთება და ამ თვალსაზრისით, შეუქცევად ხასიათს ატარებს.

საქართველოს სტრატეგიული არჩევნის სირთულეს ორი უმთავრესი ფაქტორი განაპირობებს:

პირველი – რეგიონული უსაფრთხოება, განსაკუთრებით კი მეზობელ რუსეთზე დამოკიდებულება.

მეორე – კი ქვეყნის საშინაო პრობლემებია, რომელიც მის თავისუფალ მოქმედებას ზღუდავს.

ამჟამად, რეგიონული თანამშრომლობის ზრდა და კასპიის ზღვისა და „აბრეშუმის გზის“ ფართომაშტაბიან საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის უმთავრეს საშუალებად განიხილება.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებებია:

– ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

– ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია;

– მეზობელ სახელმწიფოებთან დბალანსებული ურთიერთობების ჩამოყალიბება;

– საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო გავლენის შემცირება;

– რეგიონული თანამშრომლობის განვითარება;

– საგარეო ეკონომიკური დაინტერესების გაზრდა საქართველოსა და მთლიანად რეგიონის მიმართ;

– რეგიონულ ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობა[1].

დაახლოებით ხუთი საუკუნის წინათ, იმ დროიდან, როცა აქტიურ-

[1] ბარათაშვილი ნინო „გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგი“ თბ. 2004 გვ.376.

დება კონტინენტთა შორისი პოლიტიკური ურთიერთობანი, ევრაზია მსოფლიო ძლიერების ცენტრში ექცევა. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საშუალებებით ევრაზიაში დასახლებულმა ხალხმა, უმთავრესად კი მათ, რომლებიც დასავლეთ

ევროპულ ნაწილში ბინადრობდნენ, მსოფლიოს სხვა რეგიონებში შეაღწიეს და იქ გაბატონდნენ, ცალკეულმა ევრაზიულმა სახელმწიფოებმა კი წამყვანი მსოფლიო ძალაუფლების მქონე სტატუსისა და პრივილეგიების მოპოვება შეძლეს.

თანამედროვე ვითარებაში ევრაზია, კვლავაც ინარჩუნებს თავის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. არა მარტო მისი დასავლეთ ნაწილი, ევროპა გვევლინება წინანდებურად მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების თავმოყრის მნივნელოვან ადგილად, არამედ მისი აღმოსავლეთი ნაწილიც აზიაც უკანასკნელ პერიოდში ხდება ეკონომიკური განვითარებისა და მზარდი პოლიტიკური გავლენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ცენტრი.

არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ კავკასიის რეგიონი, რომელიც ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს ასრულებს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური დერეფნის როლს.

ტრასეკ-ზე (სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზია) დღეს გადაუჭარბებლად შეიძლება ვისაუბროთ, როგორც კავკასიის რეგიონის სამომავლო განვითარების უმნიშვნელოვანეს იმპერატივზე.

ტრასეკა კავკასიის რეგიონის პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარების ისეთი მზარდი ფაქტორია,რომელმაც რეალურად უნდა განსაზღვროს ამ გეოსივრცის მეურნეობრივი განვითარების სტრატეგიული მიმართულებანი.

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანმა, როგორც ტრანსკონტინენტარულმა ეკონომიკურმა ღერძმა, მისმა შემადგენელმა ნაწილმა სავაჭრო სატრანზიტო გზამ, როგორც აღნიშნული დერეფნის საკვანძო ხიდმა და საქართველომ, როგორც კავკასიის რეგიონისა და ტრასეკა-ს კარიბჭემ, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ხანგძლივი ისტორიული ეტაპები განვლო.

1.8. ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ისტორიულად ცნობილია „აბრეშუმის დიდი გზა“, ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა. ამ მარშუტით ვაჭრობას დასაბამი ძვ.წ. II საუკუნეში მიეცა. „აბრეშუმის დიდი გზა“ იწყებოდა ჩინეთის ქალაქ სინძიანში, გადიოდა ქალაქ დუნხუანზე, სადაც იგი ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ. პირველი ცენტრალური აზიის, კასპიის ზღვისა და კავკასიის გავლით ფაზისიდან შავი ზღვით ბიზანტიასა და რომს უკავშირდებოდა; ხოლო მეორე ჩრდილოეთ ირანზე გავლით შუა მდინარეთისაკენ, იქიდან კი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებისაკენ მიემართებოდა. „აბრეშუმის დიდი გზით“ უმთავრესად გაჰქონდათ მაღალხარისხოვანი ჩინური აბრეშუმი. აბრეშუმის ექსპორტი რომში, შემდეგ ბიზანტიაში ახლო აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების, პართიისა და მოგვიანებით, სასანიანთა ირანის შუამდგომლობით ხორციელდებოდა. „აბრეშუმის დიდი გზის“ იმ მონაკვეთისათვის, რომელიც ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაზე გადიოდა, რომსა და ბიზანტიას საუკუნოვანი ომები ჰქონდათ ჯერ პართიასთან, შემდეგ სასანიანთა ირანთან.

VII-IX საუკუნეებში ამ გზით შემოტანილი საქონელით ვაჭრობას ჯერ არაბთა სახელმწიფო უწევდა კონტროლს, შემდეგ მონღოლები. XVII საუკუნის მიწურულს, როდესაც ევროპელებმა აფრიკის შემოვლით საბოლოოდ აითვისეს ინდოეთისა და ჩინეთისაკენ მიმავალი საოკეანო გზა, „აბრეშუმის დიდმა გზამ“ თავისი ფუნქციური მნიშვნელობა დაკარგა.

ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზები ისტორიულად არსებული სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო საერთაშორისო სავაჭრო გზების სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. მისი ისტორია კიდევ უფრო ძველია, ვიდრე „აბრეშუმის დიდი გზისა“.

ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში კავკასიის მეშვეობით ხორციელდებოდა ტომთაშორისი კავშირები ძველი აღმოსავლეთისა და ევროპის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს შორის, მაგარამ, მაშინ ამ ურთიერთობებს არარეგულარული ხასიათი ჰქონდა.

VI-V საუკუნეებში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებობდა სავაჭრო -სატრანზიტო გზის ცალკეული მონაკვეთები, რომლებიც მიემართებოდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისაკენ, იქიდან კი მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისაკენ.

ძვ. წ. IV-III საუკუნეებში ვაჭრობამ ფართო საერთაშორისო ხასიათი მიიღო, წარმოიშვა დიდი სატრანზიტო სავაჭრო გზა, რომელიც ანტიკური ხანის ვტორთა მიხედვით ინდოეთიდან იწყებოდა. ცენტრალური აზიიდან კასპიის ზღვამდე სანაოსნო იყო (მდ. ოქსისი, ახლანდელი ამუდარია) შემდეგ მდინარე მტვარით. სურამის უღელტეხილითა და მდინარე ფაზისის (რიონ-ყვირილა) მაგისტრალით ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა, აღწევდა შავი ზღვის სანაპიროს ქალაქ ფაზისთან და ზღვით მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქალაქებს უკავშირდებოდა.

ძვ. წ.II საუკუნიდან კი აღნიშნული ამიერკავკასიის მაგისტრალი „აბრეშუმის დიდი გზის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო მონაკვეთს წარმოადგენდა.

ანტიკური ხანიდან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მცირე აზიიდან მიემართებოდა და სომხეთის დედაქალაქ არტაშანის გავლით მცხეთამდე აღწევდა. აქედა კი არაგვის ხეობით ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდა.

1990 წლის სექტემბერში ქ. ვლადივოსტოკში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნები: დიალოგი, მშვიდობა, თანამშრომლობა, პირველად დაისვა საკითხი ე.წ. „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინების თაობაზე.

1993 წლის მაისში, ბრიუსელის კონფერენციაზე, სადაც ევროგაერთიანების ქვეყნების გარდა მონაწილეობდნენ ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის წარმომადგენლები, გადაწყდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროგრამების შემუშავება, რომელიც განავითარებდა სატრანსპორტო დერეფანს ევროპიდან ცენტრალურ აზიამდე, აღმოსავლეთ ევროპის, შავი ზღვის, ამიერკავკასიისა და კასპიის ზღვის გავლით.

ტრასეკა ხორციელდება დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისათვის ტექნიკური დახმარების პროგრამით. რაც შეეხება მთა-

ვარ ინვესტიციებს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, მოგვიანებით შეუერთდნენ ისლამური განვითარების ბანკი და განვითარების აზიური ბანკი. იაპონიის მთავრობამ შეიმუშავა აბრეშუმის გზის აღორძინების სპეციალური პროგრამა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანს მძაფრი კონკურენტის პირობებში უწევს დამკვიდრება. ეს არის ჩრდილოეთით რუსეთზე გამავალი და სამხრეთით ირანზე და თურქეთზე გამავალი ალტერნატიული გზები.

უცხო სიტყვები

1. კარდინალური- ლათ. მთავარი-ძირითადი, უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი.
2. ინტეგრაცია- ლათ. აღდგენა და ინტეგრირება-1. ნაწილების გაერთიანება ერთ მთელად.
3. კაუზალური – ლათ. მიზეზი.
4. იდეოგრაფია – ბერძ.idea იდეა, graph -ვწერ აღნიშნავს საგანთან დაკავშირებულ იდეებს ცნებებს.
5. იმპერატივი- ლათ. ბრძანებითი კილო დაჟინებითი კატეგორიული მოთხოვნა.
6. ნიველირება- ფრან. განსხვავების მოსპობა; გათანაბრება.

თავი II

საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და რესურსები

2.1. საქართველოს გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა

დღეისათვის ფართო მსჯელობა მიმდინარეობს ზოგადსაკაცობრიო გლობალურ პრობლემებზე. მათი გადაჭრის გზებსა და მომავლის შესაძლო პერსპექტივებზე. ამ საკითხთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გეოპოლიტიკური პრობლემები და ბუნებრივია სრულიად ლოგიკურად წამოიჭრება კითხვები: მისი რაობის, საერთოდ იმის შესახებ, თუ რა ფუნქციის შესრულება შეუძლია საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით და როგორ შეიძლება იგი გამოიყენოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის?

გეოპოლიტიკა- ესაა მსოფლმხედველობა და აქედან გამომდინარე, უკეთესია იგი შეუდარდეს არა მეცნიერებებს ცალ-ცალკე, არამედ მეცნიერებათა სისტემას. ესაა ხელისუფლების მსოფლმხედველობა. საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლისა და ადგილის გარკვევა მსოფლიო თანამეგობრობაში, იმ გეოპოლიტიკური ძალების ცვლილების კონტექსტში, რომელიც ბოლო წლებში მოხდა. საქართველო მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორც ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა კავკასიის რეგიონში, მდებარეობს მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე, სწორედ ეს განაპირობებს იმ ფუნქციას, რომელიც ქვეყანამ შეიძინა გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო ღრმავდება გლობალური თანამშრომლობისა და ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობის ტენდენცია. თუ დავეყრდნობით ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის გამონათქვამს, „ევრაზია წარმოადგენს საჭადრაკო დაფას, რომელზედაც მიმდინარეობს ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის და ეს ბრძოლა შეეხება გეოსტრატეგიას- გეოპოლიტიკური ინ-

ტერესების სტრატეგიულ მართვას.“[1]. ასეთ პირობებში მთლიანად კავკასიის რეგიონი, მათ შორის საქართველო შეიძლება განვიხილოთ როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი. განვითარებულ ევროპას ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის უზარმაზარი სივრცე მრავალრიცხოვანი მოსახლეობითა და მდიდარი ბუნებრივი რესურსებით ესახება, როგორც უნიშვნელოვანესი პოტენციური ბაზარი, ასევე ენერგიისა და რესურსების სტრატეგიული წყარო. თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა სფეროშია.

საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენციალის ათვისებისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებას. შუა აზიიდან კერძოდ ტაშკენტიდან მანძილი საქართველოს საზღვაო პორტებამდე 2000 კმ-ია, მაშინ როდესაც სხვა უახლოეს საზღვაო პორტ ბანდერ-აბასამდე 3900 კმ, ოდესამდე 4230 კმ და ა.შ. ასეთი კორიდორით შეიქმნება ერთიანი, გრანდიოზული სატრანსპორტო არეალი, რომელიც აღმოსავლეთიდან, ჩინეთის საზღვაო პორტებიდან გავრცელდება ჩრდილოეთ ევროპის საზღვაო პორტებამდე (ამსტერდამი, როტერდამი), სარკონოგზო მაგისტრალის მეშვეობით წყნარი ოკეანის სანაპიროდან ევროპამდე სარკინიგზო გადაზიდვების მანძილი 4000 კმ-ით შემცირდა. აღნიშნული მარშრუტი 8000 კმ-ით უფრო მცირეა, ვიდრე საზღვაო ტრასა სუეცის არხის გავლით და 15000 კმ-ით ნაკლები, ვიდრე კეთილი იმედის კონცხის შემოვლით.

სპეციალისტების გამოთვლით, მისი ამოქმედება მნიშვნელოვანი მოგების წყარო იქნება 30 ქვეყნისათვის. მაგალითად ახალი მარშრუტით ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით 15 მლნ. ტონა ტვირთის ტრანსპორტირება ყოველწლიურად დაახლოებით 3 მილიარდი დოლარის ეკონომიას უზრუნველყოფა, მნიშვნელოვნად ამაღლდება ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა, გაფართოვდება ურთიერთობა საზღვარგარეთის პარტნიორებთან, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამოქმედების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

გეოპოლიტიკური სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენ-

[1] Г.аджев К. С. Георолитика М. 1998 стр 57

ლის მაკინდერის მტკიცებით „სახელმწიფოსათვის ყველაზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა არის შუაგულში, ცენტრალური მდებარეობა. ესაა სულ უფრო სასურველი გეოგრაფიული მდებარეობა.“ სწორედ კავკასიის რეგიონში ჩვენი ქვეყნის ცენტრალური მდებარეობა განაპირობებს მთელ რიგ უპირატესობას გეოპოლიტიკური თვალსაზრისით.

ჰოლანდიური წარმოშობის ამერიკელი ნიკოლას სპიკმენი თავის წიგნში „ამერიკული სტრატეგია მსოფლიო პრაქტიკაში“ და „მსოფლიოს გეოგრაფია“ გამოყოფს 10 კატეგორიას, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავს სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ სიძლიერეს. ესენია: 1.ტერიტორიის ზედაპირი; 2. საზღვრის ბუნება; 3. მოსახლეობის რაოდენობა; 4. წიაღისეულის არსებობა, არ არსებობა; 5. ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარება; 6. ფინანსური სიძლიერე; 7. ეთნიკური ერთფეროვნება; 8. სოციალური ინტეგრაციის დონე; 9. პოლიტიკური სტაბილურობა; 10. ეროვნული სული.

ამრიგად, საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების ბუნებრივი პირობებისა და რესურსების სამეურნეო შეფასება შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

1. საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და გეოგრაფიული მდებარეობის დადებითმა მხარეებმა, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ეფექტიანმა გამოყენებამ. ეროვნული მეურნეობისათვის მყარი საფუძვლის შექმნა უნდა ეფუძნებოდეს ბუნებრივ საწარმოო ძალებს, რომელთაც სრული შესაძლებლობა აქვთ უზრუნველყონ მატერიალური წარმოების ადგილობრივი რესურსებით მოსახლეობის მაქსიმალურად შესაძლო დაკმაყოფილება.

2. საქართველოს მცირე მიწიანობის ერთგვარი კომპესაცია ხდება კარგი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებით, რომლებიც ხელს უწყობენ ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტირების გავრცელებას.

3. ძვირფას რესურსებს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის წყლები და ნიადაგ-მცენარეული საფარი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ მდინარეებსა და წყალსაცავებს, რომლებიც ქვეყნის მთავარ ენერგეტიკულ რესურსს წარმოადგენენ. დიდი ფუნქციები აქვს ტყეებს, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ნიადაგ დაცვა, წყალშენახვა და კლიმატ-

რეგულირება. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მთავარ რესურს წარმოადგენს მაღალნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები, ბუნებრივი საძოვრები და სათიბები.

განუსაზღვრელია შავი ზღვის სატრანსპორტო-ეკონომიკური როლი.

საქართველოს აქვს სოლიდური მოცულობის მინერალური რესურსები. ქვეყანა საკმარისადაა უზრუნველყოფილი შავი და ფერადი ლითონების, სამთო-ქიმიური ნედლეულითა ჩვენში არსებობს სამშენებლო მასალების მდიდარი

საბადოები, საუკეთესო მინერალური წყლები, რომელთა სამკურნალო ბრუნვაში მოქცევა ბევრად უნდა დაჩქარდეს. როგორც მოკვლევა ადასტურებს, საქართველოს გააჩნია ნავთობისა და ბუნებრივი აირის საკმაოდ სოლიდური რესურსები, რომელთა ათვისების დაჩქარებით ქვეყანა მთლიანად უზრუნველყოფს მისი საჭიროების დაკმაყოფილებას.

2.2. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები

საქართველო არის ქვეყანა რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობზე. კერძოდ ის მდებარეობს ევრაზიაში. კავკასიაში. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობებისა და რესურსების მრავალფეროვნება, თავისებურებანი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ და ასრულებენ მისი ეკონომიკის სტრუქტურის, სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების საქმეში. ამიტომ ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ღრმად შესწავლასა და მათ მაქსიმალურად გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებისათვის, პერსპექტივაში ძირითადი მიმართულებების სწორად განსაზღვრისათვის.

საქართველოს ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, სამხრეთ – დასავლეთით თურქეთი, სამხრეთით – სომხეთი ესაზღვრება, დასავლეთით აკრავს შავი ზღვა, ტერიტორიის ფართობი 69,7 ათასი კვ.კმ. რომლის 23% მდებარეობს შავი ზღვის დო-

ნიდან 500 მ- ზე დაბლა. ტერიტორიის დანარჩენი კი განლაგებულია მაღალ სიმაღლეებზე. ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი 53% უკავია მთებს, 33,4% ნახევრადმთიან ადგილებს, 13,2% კი დაბლობებს. საზღვრების საერთო სიგრძე 1968,8 კმ-ია, აქედან სახმელეთო საზღვარი 1660,4 კმ-ია.

ვიდრე უფრო ღრმად გავაანალიზებთ საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს ყურადღება გავამახვილოთ ბუნებრივი რესურსების რაობაზე.

ბუნებრივი რესურსები ეს არის – მთელი ბუნებრივი პირობების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია კაცობრიობის არსებობისათვის. მისი ბუნებრივი გარემოს უმნიშვნელოვანესი კომპონენტები, გამოყენებულია ან გამოსაყენებელია საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ადამიანთა მატერიალური, კულტურული, სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნების მრავალფეროვნება. რელიეფი წარმოდგენილია მაღალი, საშუალო და დაბალი მთებით, ზეგნებითა და ვაკეებით.

საქართველოს ჰავის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს, ერთი მხრივ, მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მეორე მხრივ, რელიეფის განსაკუთრებული სირთულე. კლიმატის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა მიმართულებისა და სიმაღლის ქედები. ადგილობრივ კლიმატს ქმნის შავი ზღვა და კავკასიონი. ეს უკანასკნელი საქართველოს იცავს ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების უშუალო შემოჭრისაგან, ხოლო შავი ზღვა ზომიერს ხდის ტემპერატურის რყევას და ხელს უწყობს ნალექების დიდი რაოდენობით მოსვლას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

შედარებით დაბალ განედზე მდებარეობისა და ზომიერი ღრუბლიანობის გამო, საქართველო მზისაგან მნიშვნელოვან სითბოს იღებს. მზის ნათების ხანგძლივობა უდრის 1350-2520 სთ-ს.

საქართველოს კლიმატის ფორმირებაში მონაწილეობს როგორც ზომიერი, ისე სუბტროპიკულ სარტყელში განვითარებული ატმოსფერული პროცესები. დიდი მნიშვნელობა აქვს ზომიერი განედის, არქტიკული და ტროპიკული, როგორც ზღვის, ისე კონტინენტური ჰაერის

მასებს. ამინდის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე კონვენ-ციური პროცესები, რომლებიც წლის თბილ პერიოდში უფრო მკვეთ-რად არის გამოხატული. ჰაერის ტემპერატურა დიდი კონტრასტებით გამოირჩევა.

ცირკულაციის, რადიაციისა და ოროგრაფიული ფაქტორების ერ-თობლივი მოქმედება განსაზღვრავს ტერიტორიის ტენიანობის საკმა-ოდ დიდ კონტრასტებს. მაქსიმალური ნალექების მოსვლის ზონები დასავლეთ საქართველოში 300-500მმ-დან 3500 მმ-მდე, ხოლო აღმო-სავლეთ საქართველოში 1200მმ -დან 3500 მმ.-მდე მერყეობს.

რთული ოროგრაფიული პირობებისა და გაბატონებული ატმოს-ფერული ცირკულაციური პროცესების სირთულის გამო, ნალექების შიგაწლიური განაწილება თავისებურია: დასავლეთ საქართველოში ნალექების მაქსიმუმი ზამთარში ან შემოდგომაზეა, მინიმუმი – გა-ზაფხულზე ან ზაფხულში. აღმოსავლეთ საქართველოში მაქსიმუმი-გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისია, მინიმუმი -ზამთარში.

მზის რადიაციის რეჟიმით საქართველო სუბტროპიკულ ზონას მი-ეკუთვნება. ატმოსფერული ცირკულაციის ხასიათის და მასთან დაკავ-შირებული ამინდის პირობების მიხედვით გამოიყოფა ორი ცირკულა-ციური კლიმატური ოლქი და ერთი ქვეოლქი:

1. ზღვის სუბტროპიკული ნოტიო კლიმატური ოლქი (დასავლეთ საქართველო)

2. სუბტროპიკული კონტინენტური ჰავიდან ზღვის ჰავაზე გარ-დამავალი ოლქი (აღმოსავლეთ საქართველო) და წინა აზიის მთიანე-თის მშრალი სუბტროპიკული ჰავიდან ზომიერად ნოტიო ჰავაზე გარ-დამავალი ქვეოლქი (სამხრეთ მთიანეთის ცენტრალური სტეპური ნა-წილი)

რელიეფის მნიშვნელოვანი დასერილობა ზოგად ცირკულაციას იმ-გვარად გარდაქმნის და მეტეოროლოგიური ელემენტების რიცხვითი სიდიდეების ისეთ სხვადასხვაობას განაპირობებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებული კლიმატური რაიონები გამოიყოფა.

მთელ მსოფლიოში ქვეყნების ძალიან მცირე რიცხვს თუ ახასია-თებს (ტერიტორიის შესაბამის ფარგლებში) ბუნებრივ-კლიმატური პი-რობების ისეთი მრავალფეროვნება, როგორიც საქართველოს. მის ტე-რიტორიაზე წლის ერთსა და იმავე დროს შეიძლება შეხვდეთ ყველა

ტიპის კლიმატს- შავი ზღვისპირა ტენიანი და თბილი სუბტროპიკული კლიმატიდან დიდი კავკასიონის მარად თოვლიან ყინულოვან ცივ კლიმატამდე. ამ თვალსაზრისით საქართველოს სავსებით სამართლიანად უწოდებენ კონტრასტების ქვეყანას. დასავლეთ საქართველო ხასიათდება თბილი და ტენიანი სუბტროპიკული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო- მშრალი სუბტროპიკული ჰავით.

2.3. საქართველოს მდინარეები

საქართველო უაღრესად მდიდარია წყლის რესურსებით. საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მონაცემებით 26060 მდინარე აღირიცხება. აქედან 99,4% მცირე მდინარეებია, რომელთა სიგრძე 25კმ-ს არ აღემატება, დასავლეთ საქართველოში, სადაც ნოტიო სუბტროპიკული კლიმატია მდინარეთა ქსელის საშუალო სიხშირე 1,07 კმ2-ს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში 0,68 კმ კვადრატს შეადგენს. მდინარეთა ქსელის ყველაზე მაღალი სიხშირე აჭარაში აღინიშნება.

საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის საშუალო მრავალწლიური ჯამი 66 კმ2 რომლის 75% დასავლეთ საქართველოში ყალიბდება და შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი აღმოსავლეთ საქართველოში და კასპიის ზღვის მიმართულებით მიედინება, მდინარეთა ჩამონადენის საერთო რაოდენობის 15% საქართველოს ტერიტორიაზე საზღვრების გარედან შემოდის.

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი მნიშვნელოვანი სიმშრალით გამოირჩევა და აქ ჩამონადენი 50მმ-მდე მცირდება. საქართველოს მდინარეები უმეტესწილად შერეული საზრდოობით ხასიათდებიან: თოვლის, წვიმის, მყინვარული, და მიწისქვეშა წყლებით.

თოვლის წყლით საზრდოობა მატულობს ადგილის სიმაღლის მიხედვით. შავი ზღვისპირა პატარა მდინარეები თითქმის მთლიანად წვიმის წყლით საზრდოობს. კავკასიონის მდინარეთა მაღალმთიან აუზებში მნიშვნელოვანია მყინვარული წყლებით საზრდოობა, მათი ხვედრითი წილი ზოგჯერ 50%-საც აღწევს.

მეტად მნიშვნელოვანია მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმი. კოლხეთის დაბლობის მცირე მდინარეები გამოირჩევა წყალმოვარდნებით

მთელი წლის განმავლობაში. საშუალო სიმაღლის აუზებში აღინიშნება მკვეთრად გამოხატული გაზაფხულის წყალდიდობა, რაც გამოწვეულია თოვლის საფარის დნობით. რაც იწყება მარტის მეორე ნახევრიდან და მაისის შუა პერიოდამდე გრძელდება. მყინვარული საზრდოობის მდინარეებზე წყალდიდობა ხანგძლივია.

საინტერესოა მდინარეთა წყალმცირობის ფაზაც. მის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი წარმოადგენს მდინარეთა რესურსული შესაძლებლობის ზღვარს და ხშირად მასზეა დამოკიდებული ამა თუ იმ მდინარის ენერგეტიკული, საირიგაციო თუ სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ზღვრული ნორმა.

საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარეა რიონი (დასავლეთ საქართველოში). მას შავ ზღვაში ყოველ წამში 12,7 კმ3 წყალი ჩააქვს, მისი ძირითადი შენაკადებია: ყვირილა (1,9 კმ3), ცხენის წყალი (2,5 კმ3), ტეხური (1,0 კმ3), ხანის წყალი (0,7 კმ3) და სხვა. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა შორის ასევე აღსანიშნავია: ბზიფი (3,0 კმ3), კოდორი (4,1 კმ3), ენგური (5,9 კმ3) და სხვა.

აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადი მდინარეა მტკვარი, რომელსაც ყველაზე დიდი აუზი აქვს. მისი საშუალო მრავალწლიური ხარჯი ქ. თბილისთან 6,4 კმ3 -ია/ მისი შენაკადებიდან აღსანიშნავია: დიდი ლიახვი (1,4 კმ3), ქსანი (0,4 კმ3), არაგვი (1,8 კმ3), ფარავანი (0,6 კმ 3), ქცია (1,6 კმ3).

კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მიედინება თუშეთის ალაზანი, თერგი არხოტის წყალი, არღუნი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ღვარცოფების შესახებ, რომლებსაც პერიოდულად გამოაქვს დიდი რაოდენობით ქვა- ტალახის მასა. საქართველოში ღვარცოფული მდინარის კლასიკური მაგალითია მდინარე დურუჯი, რომელიც მდინარე ალაზანს ერთვის ქ. ყვარლის მახლობლად და მუდმივად დიდი საფრთხის წინაშე აყენებს ქალაქს.

საქართველოში 860-მდე ტბაა. უმეტესობა ძალიან პატარაა. მათი წყლის საერთო მარაგი 0,72კმ3 -ია სარკის ფართობით ყველაზე დიდია ფარავნის ტბა (37,5 კმ3) სიღრმით რიწის (101 მ).

საქართველოს ტერიტორიაზე თანამედროვე მყინვარების გავრცელება განპირობებულია ატმოსფერული პროცესების თავისებურებებით, რელიეფის მორფოლოგიულ- მორფომეტრული პირობებით და

მათი ურთიერთქმედებით. გამყინვარების ძირითადი კერები დაკავშირებულია კავკასიონის წყალგამყოფ ქედთან და ყაზბეგის მასივთან.

საქართველოში სულ 786 მყინვარია, საერთო ფართობით – 555,9 კმ2. უდიდესი მყინვარებია: მდინარე ენგურის აუზში- ლეხზირი, წანერი, ტვიბერი, ადიში და სხვა. კავკასიონის მთავარ წყალგამყოფზე მარადიული თოვლის ხაზი სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობს.

დედამიწის კლიმატის გლობალურმა დათბობამ მსოფლიოს ყველა რეგიონში და მათ შორის კავკასიონზეც მყინვარების შემცირება გამოიწვია. 1890-1980 წლებში საქართველოში გამყინვარების ფართობი 9,5 %- ით შემცირდა.2018წელს მყინვარების რაოდენობა შეადგენდა725, ხოლო ფართობი კი369.80კმ^2.

საქართველოს მიწისქვეშა წყლები მრავალფეროვანია როგორც სიღრმითი მდებარეობის, ისე ჩაწოლის ფორმისა და ფიზიკურ-ქიმიურ თვისებების მხრივ.

მთათაშორის ზოლში ძირითადად არტეზიული წყლებია კავკასიონისა და მესხეთ-თრიალეთის ნაოჭა ზონებში უმთავრესად უწნევო მიწისქვეშა წყლებია. კარსტული ზონისათვის დამახასიათებელია მიწისქვეშა მდინარეები და ვულკანური წყაროები.

საქართველო გამოირჩევა მინერალური წყაროების სიმრავლითა და მრავალგვარობით. აქ არის მინერალური წყლების გამოსავალთა 500- ზე მეტი ჯგუფი. საყოველთაოდ ცნობილია მინერალური წყლები: ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი, ზვარე, ლუგელა, სქური და სხვა.

2.4. საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ბუნებრივ-ტერიტორიული ლანდშაფტები

საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ნაირგვარი ბუნებრივ-ტერიტორიული ლანდფშატები დაწყებული ნახევარუდაბნოებისა (აღმოსავლეთ საქართველო) და კოლხური ნოტიო სუბტროპიკებიდან (დასავლეთ საქართველო), დამთავრებული მარადთოვლიანი-მყინვარებიანი (გლაციალურ- ნივალური) ლანდშაფტებით. აქ, როგორც ძირითად მთაგორიან ქვეყანაში, კარგად არის გამოხატული ბუნებრივი კონპონენტების ცვლა სიმაღლის მიხედვით და შესაბამისად ლანდფშატების სიმაღლებრივი ზონალურობა, ლანდფშატური ზონე-

ბის სრული სპექტრით. საქართველოს ტერიტორიაზე 100 – ზე მეტი დასახელების (ტიპი, ქვეტიპი, სახე) ლანდშაფტია გავრცელებული.

აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტები, დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკებთან შედარებით უფრო მგრძნობიარეა თანამედროვე კლიმატის ცვლილების მიმართ. რაც უკანასკნელ პერიოდში თერმული მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდითა და ატმოსფერული ნალექების რამდენადმე შემცირებით გამოიხატება.

საქართველოს ტერიტორია გამოირჩევა არა მარტო აგროკლიმატის მრავალფეროვნებით, არამედ ნიადაგის განსაკუთრებული სიჭრელითაც.

საქართველოში გამოიყოფა დასავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის ნიადაგური ოლქები. დასავლეთის ოლქისათვის დამახასიათებელია დაბლობის ჭაობიანი და სუბტროპიკული ეწერი, გორაკბორცვიანი მთისწინეთის წითელმიწა და ყვითელმიწა, მთა ტყის და მთა მდელოს ნიადაგების ზონები, აღმოსავლეთ ოლქისათვის კი ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, რუხ-ყავისფერი, მდელოს რუხ-ყავისფერი და შავი ნიადაგები. აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში გვხდება ნეშომპალა სულფატური ნიადაგები. დამლაშებული ნიადაგები ხშირია ტარიბანა- ნატბეურის, მარნეულის, გარდაბნის ველებზე, ელდარში მათი ძირითადი ნაწილი კი ალაზნის მარცხენა სანაპიროზეა (წნორთან). სამხრეთის ოლქში ძირითადად გაბატონებული შავმიწა, ყომრალი ნიადაგები, რომლებიც ძირითადად გავრცელებულია ზღვის დონიდან 1000 მ-დან 1900 მეტრამდე. 2300 მეტრის ზემოთ ჭარბობს მთა-მდელოს ნიადაგები.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემები – საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე მრავალფეროვანი ეკოსისტემებია წარმოდგენილი. რაც განპირობებუ;ია რთული რელიეფით, კლიმატის თავისებურებებით, აგრეთვე ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით. საქართველოში ოთხი ევროაზიური ბიოგეოგრაფიული რეგიონია: აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის, ჩრდილო ბორეალური, ირანთურანის და კოლხეთის.

რელიეფის დანაწევრებამ და ქედების რთულმა კონფიგურაციამ განაპირობა ეკოსისტემების გეოგრაფიული და ეკოლოგიური იზოლირება. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კლიმატის არსებითი

განსხვავების გამო სხვადასხვაგვარია ამ ტერიტორიებზე არსებული ეკოსისტემები, რაც ვერტიკალური სარტყლიანობის სტრუქტურებშიც ვლინდება.დასავლეთ საქართველოში 5 ძირითადი ვერტიკალური სარტყელია: ტყის (ზღვის დონიდან 1900მ-მდე), სუბალპური (1900-2500მ), ალპური (2500-3100მ), სუბნივალური (3100-3600მ) და ნივალური (3600მ). აღმოსავლეთ საქართველოში შვიდი სარტყელია: ნახევარუდაბნოს, მშრალი ველების, არიდული მეჩხერი (ნათელი) ტყეების (150-600მ), ტყის (600-1900მ), სუბალპური (1900-2500მ), ალპური (2500-3000მ), სუბნივალური (3000-3500მ) და ნივალური (3500მ).

საქართველოში ვხვდებით ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ისეთ მნიშვნელოვან და უნიკალურ ეკოსისტემებს, როგორიცაა: ტორფიანი ჭაობები, კოლხური. პოლიდომინანტური ტყეები მარადმწვანე ქვეტყით, სუბალპური ტანბრეცილი ტყეები, ჭალის ტყეები, ალპური მდელოები, გამოქვაბულები და მთის ვიწრო ხეობები, წიწვიანი ფოთოლმცვენი, არიდული ნათელი ტყეები, სტეპები და სხვა.

ადამიანის საქმიანობამ არსებითი ცვლილებები შეიტანა საქართველოს ეკოსისტემაში: ძლიერ შემცირდა ტყეებისა და მთისწინების მცენარეულობის ფართობები. გაჩნდა ტყის შემდეგი მდელოები, კულტურულ მცენარეთა ნათესები და ნარგავები. ბუნებრივი და ნაკლებად სახეცვლილი ეკოსისტემები მოსახლეობის განსახლების უკუპროპორციულად არის განფენილი.

ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნის ტერიტორიის 2/3 მთიანია და შენარჩუნებულია სასიცოცხლო გარემოს ბუნებრივი და ჰარმონიული ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტები ძირითადად კონცენტრირებულია კავკასიონის ფერდობებზე, მცირე კავკასიონსა და ივრის ზეგანზე, აგრეთვე კოლხეთის დაბლობის შავი ზღვის მიმდებარე ნაწილში, მნიშვნელოვანი ბუნებრივი წარმონაქმნები (ტბები, ჭაობები, ჭალები, კარსტული მღვიმეები, პალეონტოლოგიური გეომორფოლოგიური და ორგანული ბუნების ობიექტები.)

მეურნეობრივი თვალსაზრისით, საქართველოს ბუნებრივ-ნიადაგობრივი პირობების საერთო შეფასება, შესაძლებელს ხდის რაიონები დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: 1. ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით ხელსაყრელია კოლხეთის დაბლობი,

მტკვრის ხეობა, შიგა და ქვემო ქართლის ვაკე, ალაზნის ველი. 2. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მქონე ბუნებრივ -გეოგრაფიული ერთეულებია ივრის ზეგანი, ახალციხის ქვაბული. 3. მეურნეობრივი განვითარების თვალსაზრისით შედარებით ნაკლებად ხელსაყრელია ზემო იმერეთის მაღლობი, ჯავახეთის, წალკის, ერუშეთის, დმანისის პლატოები, რაჭის, ლეჩხუმის, თიანეთის, ერწოს ქვაბულები, ბაზალეთის პლატო. 4. რთული ბუნებრივი პირობების მქონე ზონაა კავკასიონისა და საქართველოს სამხრეთი მთიანეთის საშუალო მთიანი და მაღალი მთიანი სარტყელი.

2.5. ჰიდროენერგეტიკული რესურსები და ენერგიის არატრადიციული სახეები

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ პირობებს მნიშვნელოვან კეთილმყოფელ ელფერს აძლევს მდინარეებისა და ტბების სიმრავლე, რომელიც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ. სავარაუდოდ, ქვეყანაში სულ სამ ათეულ ათასამდე დიდი და პატარა მდინარეა, რომელთა საერთო სიგრძე 54,7 ათას კმ-ს აღემატება. აღნიშნულის გათვალისწინებით ჰიდროენერგეტიკული რესურსები საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა. ქვეყნის ძირითადი მდინარეების თეორიული ენერგეტიკული პოტენციალი 137 მილიარდ კილოვატს შეადგენს (ყველა მდინარის პოტენციალი მეცნიერსპეციალისტების მიერ ნავარაუდევია 194 მილიარდი კილოვატ საათი. აღსანიშნავია, რომ 1988 წელს, როდესაც საქართველოს ეკონომიკა სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა, ელექტროენერგიის წლიურმა მოხმარებამ 14,5 ათასი მილიარდი კილოვატ საათი შეადგინა. სამწუხაროდ, დღეისათვის გამოყენებულია ქვეყნის უდიდესი ჰიდროენერგო რესურსების მხოლოდ ძალიან უმნიშვნელო ნაწილი.

ტერიტორიის ერთეულზე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით საქრთველო პირველ ადგილზეა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და ჭარბობს „თეთრი ნახშირით“ მდიდარ საზღვარგარეთის ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, შვეიცრია, ესპანეთი, რუმინეთი და სხვა. მაგრამ დღეისათვის გამოყენებულია ამ რესურსების უმნიშვნელო ნაწილი დაახლოებით 10-12%.

მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ მრავალ ქვეყანაში ჰიდ-

რორესურსების ათვისების დონე გაცილებით მაღალია. მაგ: 1986 წლის ოფიციალური მონაცემებით ა.შ.შ.-ში ჰიდრორესურსები გამოყენებული იყო 47%-ით, საფრანგეთსა და შვეიცარიაში 90%-ით, იაპონიაში 65%-ით, შვეციაში 82%-ით, იტალიაში 70%-ით, ნორვეგიაში 59%-ით...[1]

საქართველოს ტერიტორიაზე 12 წყალსაცავია, წყალსაცავების ჯამური ფართობი 107 კმ2, ხოლო წყლის მოცულობა 2,4 კმ3-ია, წყალსაცავების ჯამური მოცულობა საქართველოს მდინარეთა წლიური ჩამონადენის 5,1% შეადგნს. წყალსაცავების წყალი ძირითადად გამოიყენება ჰიდროელექტროსადგურების ასამუშავებლად და სარწყავად.

ჩვენი რესპუბლიკის ჰიდროენერგორესურსების მოკლე მიმოხილვის შემდეგ საინტერესო იქნება ყურადღება გავამახვილოთ ენერგიის არატრადიციულ სახეებზე როგორიცაა მზისა და ქარის ენერგია.

თბო და ელექტროენერგიის წყაროდ მზის ენერგიის გამოყენების ერთგვარი გამოცდილება აქვთ ა.შ.შ.-ს, იაპონიას, იტალიას, საფრანგეთსა და ესპანეთს, სადაც აშენელებულია ან შენდება 30-მდე მზის ელექტრო სადგური (რამდენიმე ათეული ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრით). მომავალში ჩვენმა ქვეყანამაც უნდა იზრუნოს ამის თაობაზე, რამეთუ იგი საკმაოდ მდიდარია აღნიშნული რესურსით, როგორც სპეციალისტთა მიერ ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, მზის ენერგიის ხვედრითი მაჩვენებელი საქართველოს ტერიტორიის ერთ კვადრატულ მეტრზე წელიწადში თეორიულად შეადგენს 1300-1800 კილოვატ საათს, ხოლო შეჯამებული ჰელიოენერგეტიკული პოტენციალი რესპუბლიკის მთელ ფართობზე გაანგარიშებით აღწევს 10 მილიარდ კილოვატ საათს, რაც 30 მილიარდ ტონა პირობითი საწვავის ეკვივალენტურია.

ბუნებრივი რესურსების შესაბამისად, მზის ენერგია შეიძლება შედარებით უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული სამხრეთ საქართველოს მთიანეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს ბარში (ნინოწმინდის, თელავის, საგარეჯოს, გარდაბნის, მარნეულის, მხეთის რაიონები). აგრეთვე კოლხეთში, აფხაზეთსა და აჭარის სანაპირო ზოლში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მზის ენერგიის თბო და ელექტროენერგიის წყაროდ გამოყენების უკიდურესად დაბალი მაჩვენებ-

[1] გურამ ყუფუნია „საქართველოს ეკონომიკა“ თბ. 2006 გვ. 108

ლები აქვს არა თუ საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, დედამიწაზე არსებული მზის ენერგიის პოტენციალი, რომლის გამოყენება შეიძლება, 10 ჯერ მეტია მსოფლიოში მოხმარებულ ენერგიაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მზის ენერგია დღეისათვის 0,01 პროცენტითაც არაა გამოყენებული. რაც შეეხება ქარის ელექტროსადგურებს, იგი ატომურ და ორგანულ სათბობებზე მომუშავე ელექტროსადგურების კონკურენტად ითვლება.[1]

სპეციალისტთა გაანგარიშებით, საქართველოს ტერიტორიაზე ქარის ენერგიის გამომუშავების თეორიული რესურსები შეიძლება შეფასდეს 1012 კილოვატ საათის ოდენობით. რეალურად ქარის ენერგეტიკის წილად შეიძლება მივიღოთ 2-3 მლრდ კილოვატ საათი ელექტრო ენერგია.

ქარის ენერგეტიკის განვითარებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობებია ხაშურის, გორის, გარდაბნის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ქობულეთის რაიონებში, აგრეთვე თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის მიდამოებში, ღია უღელტეხილებზე და ცალკეული ქედების თხემებზე, სადაც წლის მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში (2000-4000 საათი) ქარის ენერგეტიკული სიჩქარე 4-5 მეტრზე მეტია წამში.

2.6. მინერალური რესურსები

საქართველოს მინერალური რესურსებით ძალიან მდიდარი არაა, მაგრამ ფართობის ერთეულზე მინერალური რესურსების კონცენტრაციის დონით იგი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ამავე დროს მათი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია: მანგანუმი, ფერადი ლითონების მადნები, ქვანახშირი, ნავთობი, დარიშხანი.

ქვანახშირის ძირითადი საბადოებია ტყიბულ-შიორის და ტყვარჩელისა, რომლებიც განლაგებულია რაჭისა და კოდორის ქედების ფერდობებზე.

მურა ნახშირის საბადო მდებარეობს სამხრეთ საქართველოში ქ. ახალციხის მახლობლად (დაბა ვალეს მიდამოებში) იგი შედარებით და-

[1] ქავთარაძე პ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური პრობლემები (მაკრო ეკონომიკური ასპექტები) თბ. 2003 გვ. 43

ბალი ხარისხისაა, მაგრამ სავსებით ვარგისია ენერგეტიკული მიზნით და საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის.

საქართველოს ქვანახშირი გამოიყენება როგორც ენერგეტიკული დანიშნულებით, ისე მეტალურგიულ მრეწველობაში.

მეტალურგიის საჭიროებისათვის გამოიყენება ტყიბულის ქვანახშირი, რომელიც კოქსვადია ტყვარჩელის ქვანახშირთან შერევით. თავისი რესურსებით ტყვარჩელის საბადო კოქსვადი ქვანახშირის მნიშვნელოვანი ბაზაა რესპუბლიკაში.

მეტალურგიაში გამოსაყენებელი ქვანახშირის მარაგი საქართველოში დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ხოლო ენერგეტიკული ქვანახშირის მარაგი მეტად მნიშვნელოვანია. პროგნოზით მარაგებისა და რესურსების საერთო ჯამი 1 მლრდ 300მლნ ტონას უდრის, როგორც ვარაუდობენ 2016 წლისათვის ქვანახშირის მარაგი ტყიბულშაორში 271 მლნ ტ და ტყვარჩელში 10 მლნ ტონაზე მეტი არ იქნება.[1].

აღნიშნული საბადოების გარდა საქართველოში ცნობილია კიდევ რამდენიმე ნაკლებ მნიშვნელოვანი საბადო: გელათის (ქ. ქუთაისიდან 10 კმ-ზე), მაგანის (ქ. ზუგდიდის ჩრდილო აღმოსავლეთით 40 კმ-ზე) და ბზიფის (აფხაზეთში).

საქართველოს ტერიტორიაზე არის ნავთობის საბადოებიც, ისინი გვხვდება დაწყებული შავი ზღვის სანაპიროდან (სუფრის საბადო) მის უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრამდე.

დღეისათვის ცნობილია ნავთობის 100 ზე მეტი გამოსავალი, რომელთა საბადოები ქმნის შემდეგ ჯგუფებს: კახეთის, ქართლის, სამაჩაბლოს, რაჭის, გურიისა და აფხაზეთის, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი საბადოა სამგორი-პატარძეულის (თბილისიდან აღმოსავლეთით 30-40 კმ-ზე), მირზაანის, პატარა შირაქისა და ელდარის (დედოფლის წყაროს რაიონი).

გეოლოგთა დასკვნით ჩვენში ნავთობისა და გაზის მოპოვების გაზრდის კარგი პერსპექტივა არსებობს. რასაც ადასტურებს ნიადაგის გეოლოგიური სტრუქტურა. ნინოწმინდაში აღმოჩენილია საკმაოდ მნიშვნელოვანი ახალი საბადო, რომლის დებიტია 60 ათასი მ3 დღეღამეში, რაც ამ რაიონის ნავთობ-გაზიანობის პერსპექტივას ადასტურებს.

---

[1] სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია, თბ. 1990, გვ. 145

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების მონაცემებით, საქართველოს ნავთობის საწყისი დათვლილი პოტენციალი 340 მლნ. ტონას შეადგენს, აქედან დღეისათვის მოპოვებულია პოტენციალის მხოლოდ 7,5%.[1].

საქართველოს ნავთობი მაღალი ხარისხისაა. იგი არ შეიცავს გოგირდის მინარევებს და ფართოდ გამოიყენება ნავთობქიმიაში.

საქართველოს ენერგორესურსებიდან ყურადღებას იქცევს ტორფი, რომლის მნიშვნელოვანი საბადოები განლაგებულია დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთში,მათგან მთავარია: ფოთის, რედუთკალეს, ხობის, ანაკლიის, ბებესირის, ნატანების, ქობულეთის, ოჩხამურის, გონიოს, სოხუმის და სხვა. საქართველოს ტორფი ჯერ-ჯერობით არ გამოიყენება სათბობად, სამაგიეროდ მას იყენებენ სოფლის მეურნეობაში, როგორც მაღალხარისხოვანი სასუქი.

დასავლეთ საქართველოში ძირულის მასივის პერიფერიაზე მდებარეობს მსოფლიოში ცნობილი ჭიათურის მანგანუმის საბადო. მადანში ლითონის მაღალი შემცველობა, მავნე მინარევთა არსებობა, წოლის ხელსაყრელი პირობები და ბოლოს მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა კერძოდ შავი ზღვის ნავსადგურებთან სიახლოვე – ყოველივე ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჭიათურის საბადოს.

დღეისათვის დასავლეთ საქართველოში დაძიებული მანგანუმის სამ აუზში (ჭიათურა, ჩხარი-აჯამეთი, ყვირილა) ითვლიან 245,1 მლნ. ტონა მანგანუმის მარაგს, რომლის 90,7% ჭიათურის აუზშია მოქცეული.

90-იან წლებში მანგანუმის მნიშვნელოვანი საბადოები აღმოჩენილია თეთრი წყაროს რაიონში.

საქართველოში გვხვდება აგრეთვე რკინის მადნები. ყველაზე მნიშვნელოვანია ძამის რკინის საბადო, რომელიც მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. უძველესი დროიდან ცნობილია ჩათახის (ბოლნისის რაიონი) საბადო, რომლის სამრეწველო ექსპლუატაცია არ წარმოებს.

საქართველოში ცნობილია ფერადი ლითონების რამდენიმე საბადო. მადნეულის, წითელი სოფლის, დამბუდის, მერისის კომპლექსური საბადოები სამხრეთ საქართველოშია განლაგებული, ხოლო კვაისის ტყვია-

[1] სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია, თბ. 1990, გვ. 144

თუთიის საბადო ჯავის რაიონში. ამ საბადოთა სპილენძის ჯამური მარაგი 439,2 ათას ტონას შეადგენს ((რომლის 62% მადნეულის საბადოზე მოდის), თუთიისა 300 ათას ტონას, ტყვიისა 100 ათას ტონას.

ვერცხლის წყლის ჯამური მარაგი 5025 ტონას შეადგენს, მაგრამ მისი მოპოვება დღესდღეობით არ ხდება.

ოქროს მარაგებიდან დღეისათვის საქართველოში მხოლოდ მადნეულის საბადოს დამუშავება წარმოებს, სადაც ბალანსზე აყვანილია 37,3 ტონა ოქრო. არსებობს პროგნოზული მარაგებიც, რომლის მიხედვით ბოლნისის რაიონში არის დაახლოებით 160 ტონა ოქრო, რაჭაში 80, აჭარა-თრიალეთში 15 ტონა, სვანეთში 25 ტონა. სპეციალისტთა დასკვნით საქართველოს წიაღში ოქროს რაოდენობა სულ ცოტა 2-ჯერ მეტია, ვიდრე ეს რეალურ პროგნოზულ მარაგებშია აღნუსხული, რაც შეეხება ვერცხლის მარაგს, იგი დაახლოებით 520 ტონას შეადგენს.

საქართველო მდიდარია, ისეთი მინერალური ნედლეულით, როგორიცაა დარიშხანი, რომლის სამი საბადოს ჯამური მარაგი 64,5 ათას ტონას შეადგენს, რომლოს 20% ლუხუნის (ზემო რაჭა) საბადოზე მოდის, ლუხუნის კომპლექსური საბადო, დარიშხანთან ერთად, გარკვეული ოდენობით ვოლფრამისა და ოქროს მარაგსაც შეიცავს.

სვანეთსა და ზემო რაჭაში ცნობილია ანთინომიუმის რამდენიმე საბადო, რომელთა ჯამური მარაგი 40 ათას ტონას აღემატება. მთიან აფხაზეთში რიწის ტბისა და დაბა ფასხუს მახლობლად განლაგებულია ვერცხლის წყლის ორი საბადო, რომელთა ჯამური მარაგი 5 ათას ტონას შეადგენს. სტიბიუმის საბადოები გამოვლენილია რაჭაში.

საქართველო გამოირჩევა არამადნეული წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგით და მრავალფეროვნებითაც (ბარიტი, ბენტონიტური თიხა, დოლომიტი, ანდეზიტი და სხვა) ცარცის მსხვილი საბადოა გალის რაიონში(3,0 მლნ ტონის მარაგით).

სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების პრაქტიკულად ამოუწურავი მარაგები გვაქვს ქვეყანაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალი ხარისხის მარმარილოსა და სხვა დეკორატიული ქვების, დეკორატიული ხრეშისა და პორტ ლანტცემენტის წარმოებისათვის საჭირო სათანადო თიხები. ქვეყნის თიხების საბადო 75 მლნ ტონა მარაგს შეიცავს, რაც ქმნის ქვეყანაში ცემენტის მრეწველობის განვითარების შესანიშნავ პირობებს.

ქვეყანაში არსებული გეოთერმული წყლების წყაროების მარაგია დაახლოებით 200-250 მილიონი კუბ. მ/ წელიწადში, რომელთა ტემპერატურა 50-1000C ფარგლებშია და შესაძლებელია ასეთი წყლებით ერთ მილიონამდე ადამიანის ცხელი წყლით მომარაგება, რაც როგორც გაანგარიშება გვიჩვენებს, წელიწადში 1,3-1,5 მილიონ ტონა პირობით საწვავს დაზოგავს. ამჟამად არსებული გეოთერმული წყლების მხოლოდ დაახლოებით ნახევარი პროცენტი გამოიყენება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი სახიფათოა მიწის ძვრის თვალსაზრისით საქართველოში სეისმური დარაიონების მიხედვით მთელი ტერიტორია მიეკუთვნება სეისმურობის 7 და 8 ბალიან სისტემას., აქედან ტერიტორიის ფართობის დაახლოებით 25% 8 ბალიანს, 75% 7 ბალიანს. აღსანიშნავია ისიც რომ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების მთლიანი გაძვირება არასეისმურ რაიონებთან 7 ბალიანის დროს 4%-ს შეადგენს, ხოლო 8 ბალიანის დროს 8%-ს. ეს ნიშნავს, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე გაწეული კაპიტალური დანახარჯების ყოველი ერთეული ჩვენს პირობებში წარმოადგენს 4-8% ნამატ სიდიდეს. ან სეისმურობის ყოველი ბალი დაწყებული 7-დან იწვევს მშენებლობის ღირებულების გაზრდას 4%-ით დღეისათვის კი უფრო მეტჯერ.

საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 38,6% ტყეს უკავია, ტყით დაფარულია ქვეყნის ტერიტორიის 2,69 მილიონი ჰა. ტყის ფონდი 2,0 მილიონ ჰა-ს, მერქნის საერთო მარაგი 451,7 მილიონ მ3. ტრადიციულად ქართული ტყეები იყოფა: ნაკრძალ ტყეებად, მწვანე ზოლის ტყეებად, ნიადაგ და წყალდამცველ ტყეებად, საექსპლოატაციო ტყეებად. ტყის ფონდის მხოლოდ მესამედს აქვს საექსპლოატაციო მნიშვნელობა.

ტერიტორიის ტყიანობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, მაგრამ ამასთან ტყეების 99% მიეკუთვნება პირველ კატეგორიას. მისი ძირითადი დანიშნულებაა წყალმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური და რეკრეაციული ფუნქცია. ამიტომ საჭიროა მათი გონივრული გამოყენება..

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველო უაღრესად მდიდარია წყლისა და ტყის რესურსებით. საკმარისია აღინიშნოს რომ აქ 26 ათასამდე დიდი, საშუალო, პატარა და მცირე მდინარეა. ტყეს უჭირავს ტერიტორიის 39% მდე აქ არის მანგანუმის, ქვანახშირის, ნავთობის, დარიშხანის, ფერადი და ძვირფასი ლითონების, საერთოდ

მადნეული და არამადნეული წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგებით განსაკუთრებით მდიდარია სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალებით, აგრეთვე მინერალური და თერმული წყლებით.

მინერალური რესურსების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მარაგების არსებობა და პერსპექტივაში კიდევ უფრო დიდი მარაგების აღმოჩენის შესაძლებლობა, საქართველოს მომავალში, ხელისუფლებისა და მოსახლეობის შესაბამისი ძალისხმევის შემთხვევაში გახდის მძლავრი მომპოვებელი მრეწველობის, მეტალურგიისა და მძიმე მრეწველობის სხვა განვითარებული დარგების მქონე ქვეყნად. მაგრამ ყოველივე აღნიშნული ძირითადად მხოლოდ შესაძლებლობების და პოტენციალების დონეზეა, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდე გამოუყენებელია ან უმნიშვნელოდ არის გამოყენებული.

საქართველო რომ გახდეს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა, საჭიროა მისი ბუნებრივი და მინერალური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება.

2.7. ეკონომიკური პოტენციალის არსი, სტრუქტურა და მაჩვენებლები

ეკონომიკური პოტენციალის შესწავლას, გამოვლენასა და გამოყენებას ყოველთვის ექცეოდა ყურადღება, მაგარამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამჟამად, საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.

ცნება „პოტენციალი“ წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან, რაც ნიშნავს შესაძლებლობას, აგრეთვე სიმძლავრეს და სხვადასხვა სიტყვებთან შეთანხმებით „ეკონომიკური პოტენციალი“, „წარმოებრივი პოტენციალი“, „შრომითი პოტენციალი“, ინტელექტუალური პოტენციალი“ და ა.შ. დიდი ხანია ხმარობენ სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში. როგორც წესი, პოტენციალში გულისხმობენ შესაძლებლობას, რომელიც მოცემული მომენტისათვის არ არის გამოყენებული, მაგრამ მომავალში შეიძლება რეალიზებულ იქნეს.

ეკონომიკური პოტენციალი უნდა გავიგოთ როგორც ეროვნული მეურნეობისა და მისი დარგების განვითარების მიღწეული დონე, ისე მისი უნარი აწარმოოს სამრეწველო, სოფლის მეურნეობრივი პრო-

დუქცია, განახორციელოს კაპიტალური დაბანდებანი, გადაზიდულ იქ-ნეს ტვირთი გაუწიოს მოსახლეობას მომსახურება და ა.შ.

ეკონომიკური პოტენციალი განისაზღვრება წარმოებლური პრო-დუქციისა და გაწეული მომსახურების აბსოლუტური მოცულობით. ის ახასიათებს საზოგადოების მიერ დაგროვილ ეროვნულ სიმდიდრეს.

ეკონომიკური პოტენციალი სტრუქტურულად წარმოგვიდგება შემდეგი ელემებტების ერთობლიობად: მოსახლეობისა და შრომითი რესურსების რიცხოვნობა, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, დარგობრივი და არაწარმოებრივი ძირითადი ფონდები, მთლიანი ეროვნული პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი, მინერალურ-სა-ნედლეულო, წყლის, ტყის ენერგეტიკული და სხვა რესურსები.

ეკონომიკური პოტენციალი რთული და მრავალწახნაგოვანი კატე-გორიაა. ობიექტური შინაარსით ეს არის დაგროვილი შრომა, რომე-ლიც წარმოების სისტემაში წარმოგვიდგება საერთო-სახალხო, კო-ლექტიური და პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გა-მიზნული მატერიალური დოვლათის სახით. პოტენციალის სუბიექტუ-რი შინაარსი ეს არის ადამიანთა მიერ დაგროვილი შრომის გამოყენე-ბის უნარი, რომელშიც ვლინდება საზოგადოებრივი წარმოების პრო-ცესების მართვის სუბიექტური შესაძლებლობანი.

თავისი ობიექტური შინაარსით ეკონომიკური პოტენციალი უახ-ლოვდება აღწარმოებას და ამიტომ შეიძლება დაიყოს წარმოების, გა-ნაწილების, გაცვლისა და მოხმარების პოტენციალად. აგრეთვე საზო-გადოებრივი აღწარმოების პროცესების მართვის პოტენციალად.

ეკონომიკური პოტენციალის ჩამოყალიბების ობიექტური ასპექტი ყველაზე მეტი ძალით ვლინდება წარმოებრივ პოტენციალებში, ხოლო სუბიექტური- მართვის პოტენციალში.

ეკონომიკური პოტენციალი არის ქვეყნის ეკონომიკური ძლიერე-ბის მთავარი მაჩვენებელი და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლე-ბის უმნიშვნელოვანესი პირობა. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ეკონომიკური ძლიერება და ეკონომიკური პოტენციალი. ქვეყნის, დარგის, საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი ხასიათდება დაგროვი-ლი რესურსებითა და მატერიალურად შესაძლებელი მოცულობით, რომელსაც შეიძლება მივაღწიოთ პერსპექტივაში არსებული რესურ-სების რაციონალურად გამოყენების პირობებში.

ეკონომიკური ძლიერება ახასიათებს მწარმოებლურ ძალთა განვი-

თარების ფაქტობრივად მიღწეულ დონეს გარკვეული პერიოდისათვის.. ეს გვიჩვენებს საზოგადოების მიერ დაგროვილი რესურსების სიდიდეს და მათი მეშვეობით ფაქტობრივად წარმოებული მატერიალური დოვლათისა და მომსახურების მოცულობას. ამდენად ეკონომიკური ძლიერება წარმოაჩენს რესურსების პოტენციური შესაძლებლობების გამოყენების ხარისხს, ეკონომიკური განვითარების მიღწეულ დონეს.

ეკონომიკური პოტენციალი გვიჩვენებს ქვეყნის შესაძლებელ ეკონომიკურ ძლიერებას და გვევლინება დაგროვილი და აღწარმოებული რესურსების სიდიდის განმაზოგადებელ მაჩვენებლად. ამ თვალსაზრისით ეკონომიკური პოტენციალი შეიძლება განვიხილოთ როგორც სოციალურ ეკონომიკური კატეგორია, რამდენადაც მისი ზრდა მიმართულია მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. რაც უფრო დიდია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მოცულობა და ზრდის ტემპი, მით უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს სხვა თანაბარ პირობებში ეროვნული შემოსავალი, მისი დაგროვებისა და მოხმარების ფონდები, რომლებიც განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და გაფართოებული აღწარმოების ტემპს.

ეკონომიკური პოტენციალი თავისი შინაარსით იღებს, როგორც ნატურალურ-ნივთობრივ, ისე ღირებულებით ფორმას.

ნატურალურ-ნივთობრივი ფორმით ეკონომიკური პოტენციალი გამოდის როგორც წარმოებრივი ძირითადი ფონდების, საბრუნავი საშუალებების ერთობლიობა.

ღირებულების მიხედვით, ეკონომიკური პოტენციალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარმოებრივი ძირითადი ფონდების (წ.ფ.) და სხვა მატერიალური დანახარჯების (მ.დ.), ეროვნული შემოსავლის (ე.შ.) აგრეთვე ბუნებრივი რესურსების (ბ.რ.) ერთობლივი ღირებულება. მაშასადამე, ღირებულების მიხედვით ეკონომიკური პოტენციალი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

ე.პ. = წ.ფ. + მ.დ. + ე.შ. + ბ.რ.

ეკონომიკური პოტენციალი უნდა განვიხილოთ, როგორც:

- ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების წყარო და ეროვნული სიმდიდრის ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობა.
- მწარმოებლურ ძალთა განვითარების შედეგი

- ქვეყნის, აგრეთვე თითოეული დარგის საწარმოს გაერთიანების რესურსების მაქსიმალური შესაძლებლობების მაჩვენებელი.

- ადამიანთა პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება

- მატერიალური დოვლათის წარმოების პროგნოზირების წინამძღვარი.

2.8. საქართველოს ბუნებრივ – რესურსული პოტენციალის შეფასებისა და გამოყენების რეგიონალური ასპექტები

ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის რესურსული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას ენიჭება. საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოს შორის კავშირურთიერთობების პრობლემა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების თავისებურებათა შესწავლის განსაკუთრებული ასპექტია და ამდენად, თეორიისა და პრქტიკის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. ბუნების დაცვა, მისი რესურსების ოპტიმალური და ეფექტიანი გამოყენება შეიძლება განხილული იქნეს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანათა ჰარმონიული გადაწყვეტის კონტექსტში.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების კვალობაზე, ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში უდაოდ პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებათა გათვალისწინება, ვინაიდან მისი ზეგავლენის ხარისხი საწარმოო ძალების ტერიტორიების რაოდენობა, ხარისხი და შეხამება განსაზღვრავს ტერიტორიის, რეგიონის ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს, რომელიც თავის მხრივ მოსახლეობისა და სამეურნეო საქმიანობის განლაგების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ბუნებრივი რესურსების მდიდარი წყაროების ათვისება ხელს უწყობს მსხვილი სამრეწველო ცენტრების წრმოქმნას, სამეურნეო კომპლექსებისა და ეკონომიკური რაიონების ჩამოყლიბებას. რეგიონის ბუნებრივ რესურსული პოტენციალი დიდ ზეგავლენას ახდენს მისი საბაზრო სპეციალიზაციისა და შრომის ტერიტორიულ დანაწილებაზე. ამასთანავე ბუ-

ნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების ხასიათი ზეგავლენას ახდენს რეგიონული განვითარების ეკონომიკურ ზრდაზე და ტემპებზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული ეკონომიკის შესწვლის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის განსაზღვრა, მისი ტერიტორიული შეთანწყობის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხების გამოვლენა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსში მისი რაციონალური და დაბალანსებული გამოყენების პრობლემების განზოგადება. აღნიშნულთან დაკავშირებით მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მნიშვნელოვან რეგიონულ ამოცანებს შორის გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები.[1]

1.ცალკეულ რეგიონებში ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის სტრუქტურის, ხასიათისა და მაშტაბების გამოკვლევა, როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის ფორმირებისა და ფუნქციონირების ობიექტური საფუძველი.

2. რეგიონის სამეურნეო კომპლექსის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და გამოყენების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავების მიზნით, ბუნებრივი რესურსების ტერიტორიული შეხამებისა და ათვისების პერსპექტივების შესწავლა.

3. ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება, როგორც მთლიანად ქვეყნის მაშტაბით, ასევე მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით.

4. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებით რესურსების სამეურნეო ათვისების ტენდენციების პროგნოზირება.

ამ მიმართულებით კვლევისას მიზანშეწონილია მოკლედ განვიხილოთ რიგი ცნებები, რომლებიც ახასიათებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.

გარემომცველი ბუნება- ბუნებრივი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების ხარისხსა და პირობებზე, აგრეთვე ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ბუნებათსარგებლობა- ადამიანისა და გარემომცველი ბუნების ურთიერთობები, მისი (იგულისხმება ადამიანი) სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მოღვაწეობის პროცესში.

---

[1] Некрасов Н. Н. региональная економика М. Экономика 1978 с. 186

რეგიონის ბუნებრივი რესურსები-- ბუნებრივი ობიექტის შემადგენელი ნაწილები, რომელიც ფლობს ადამიანის სასარგებლო თვისებებს.

რეგიონის ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა- ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, რომელიც ეკონომიკური პოზიციიდან და მეთოდების გამოყენებით სწავლობს რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემომცველი ბუნების დაცვის მიმართულებით რეგიონში მიმდინარე პროცესებსა და შედეგებს.

რეგიონული ეკონომიკის ეკოლოგიზაცია-ეს არის რეგიონში განხორციელებული მმართველობითი, ტექნოლოგიური, საფინანსო-ეკონომიკური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია გარემომცველ ბუნებაზე საწარმოთა ფუნქციონირების უარყოფითი ზეგავლენის შემსუბუქებისაკენ და ამავდროულად წარმოების ძირითადი მიზნების შენარჩუნების -რეალიზაციისაკენ.

რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი- ეს არის ბუნებრივი რესურსების ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური და ტექნიკური განვითარებისა და ტერიტორიის შესწავლის მოცემულ დონეზე შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანის სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობისათვის, როგორც მიმდინარე პერიოდში, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაშიც.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ასპექტების გაანალიზებისას საჭიროა დავახასიათოთ ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური კლასიფიკაციის თავისებურებანი. ამ მხრივ მათი დაყოფა შეიძლება ორი ძირითადი ჯგუფის მიხედვით.

1.მატერიალური წარმოების რესურსები, რომლებიც გამოიყენება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში. მაგ: სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, ლითონები, აგროქიმიური ნედლეული, ტყე, თევზის რესურსი, ნიადაგი და სხვა.

2. არასაწარმოო სფეროს რესურსები, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირი მოხმარების რესურსები (სასმელი წყალი, ველური მცენარეები, სეკრეაციული რესურსები და სხვა)

გარდა აღნიშნული ნიშნით დაყოფისა ბუნებრივი რესურსები შეიძლება დაიყოს ამოწურვადი, ჩანაცვლების, განახლებადი, ადგილმდებარეობის, წარმოშობისა და სხვა პრინციპების მიხედვით.

წარმოშობისა და ბუნებრივი თვისებების მიხედვით გამოყოფენ: მინერალურ რესურსებს, მიწის რესურსებს, წყლის რესურსებს, ბიოლოგიურ რესურსებს, კლიმატურ რესურსებს (მზის სითბომ და სინათლე, ნალექები), ბუნებრივი პროცესებიდან მიღებული ენერგიის რესურსებს (მზის გამოსხივება, მიწის შინაგანი სითბო, ქარი და სხვა.)

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მინერალურ რესურსებს, რომლებიც გამოყენების ხასიათის მიხედვით იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. სათბობ – ენერგეტიკული რესურსები (ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ჰიდროენერგია, ნახშირი, ტორფი, ურანი).

2. ლითონის მადნები – შავი, ფერადი, იშვითი, კეთილშობილი ლითონების მადნები.

3. არალითონური რესურსები- ფოსფორიტები, სხვადასხვა მარილები, აზბესტი, სამშენებლო ნედლეული, გრაფიტი და სხვა.

საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასების მიმართულებით მეტად საინტერესო გამოკვლევა იქნა ჩატარებული გაერთიანებული არების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ფარგლებში. ამ გამოკვლევით დადგინდა, რომ ქვანახშირის რეზერვი დაახლოებით 350 მილიონი ტონაა, პოტენციური კიდევ 700 მილიონი ტონა. მაქსიმალური ამოღება 1983წ. წელიწადში სამ მილიონ ტონამდე აღწვედა, მაგრამ ეს რაოდენობა ძლიერ შემცირდა მაღაროების არასწორი ექსპლუატაციისა და გამოფიტვის გამო.[1]

ქვანახშირის ძირითადი საბადოებია ტყიბულ-შაორის და ტყვარჩელისა, რომლებიც განლაგებულია რაჭის და კოდორის ქედების ფერდობებზე. მურა ნახშირის საბადო მდებარეობს სამხრეთ საქართველოში ვალეში (ახალციხის მახლობალდ), იგი შედარებით დაბალი ხარისხისაა, მაგრამ ვარგისია როგორც ენერგეტიკული, ისე საყოფაცხოვტრებო მოხმარებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან. ჯერ ერთი გათვალისწინებულია არა მხოლოდ არსებული რესურსები, არამედ ბუნებრივი გარემო პირობების თავისებურებანიც,

[1] ჰუმანური განვითარების ანგარიში, საქართველო, 1997 გვ.70

ვინაიდან ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და რელიეფი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.

მეორე, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება მოიცავს, მისი ცალკეული კომპონენტების პოტენციალების შეფასებასაც, ეს კი საკმაოდ რთულია.

მესამე, ცალკეული რესურსების ბუნებრივ-პოტენციალს გააჩნია, გაზომვის საკუთარი ერთეული. ამდენად, ამ შემთხვევაში წარმოიქმნება სხვადასხვა მაჩვენებლების საერთო მაჩვენებლამდე დაყვანის სირთულე.

რუსი მეცნიერი ბ.რაბინოვიჩი გვთავაზობს ბუნებრივ რესურსული პოტენციალის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ხუთ ძირითად ჯგუფად დაყოფას:

1. მაჩვენებელთა ეს ჯგუფი აერთიანებს ბუნებრივი რესურსების ცალკეული

2. სახეობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების მაჩვენებლებს, ანუ ასახავს ცალკეულ ნატურალურ მაჩვენებლებს.

მაჩვენებელთა ამ ჯგუფში ჩამოყალიბებულია ბუნებრივი რესურეების ცალკეული სახეობები, რომელიმე მიმართულებით გამოყენების ეროვნულ-მეურნეობრივი ღირებულების (სარგებლიანობის) შეფასების მაჩვენებელი.

3. ეს არის მაჩვენებელთა ინტეგრალური ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ცალკეული სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენების მაჩვენებლებს (რაოდენობრივი და თვისებრივი თვალსაზრისით) არა რომელიმე ვიწრო მიმართულებით, არამედ მთლიანად ეროვნულ-მეურნეობრივი ფასეულობის დადგენის კონტექსტში. ამდენად ეს არის გამსხვილებული მაჩვენებელთა ჯგუფი.

4. მაჩვენებელთა ეს ჯგუფი ასახავს რეგიონის ბუნებრივ რესურსული პოტენციალის ეროვნულ-მეურნეობრივი ღირებულების შეფასების მაჩვენებელს. ამ მაჩვენებლების ღირებულების შეფასების მაჩვენებლებს. ამ მაჩვენებლების გამოანგარიშება შეიძლება მესამე ჯგუფის მაჩვენებელთა ინტეგრირებით ბუნებრივი რესურსების სხვადსახვა სახეობებისა და ცალკეული ტერიტორიების მიხედვით.

5. მაჩვენებელთა ამ ჯგუფში ასახულია ბუნებრივ რესურსული პო-

ტენციალის ეროვნული მეურნეობრივი ღირებულების შეფასების მაჩვენებლები, რომლებიც გაანგარიშებულია ეროვნული მეურნეობის იერარქიის ცალკეული დონეების მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეროვნულ-მეურნეობრივი ღირებულების, სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი ფორმული სახით:

$$Пn = \sum_{I=1}^{n} Пi \ Qi$$

სადაც Пn ცალკეული სახეობის ბუნებრივი რესურსის, რომელიმე მიმართულებით ეროვნული მეურნეობრივი ფასეულობის (ღირებულების) გამოყენების ინტეგრალური მაჩვენებელია ლარებში.

Пi ცალკეული სახეობის ბუნებრივი რესურსის I ური მიმართულებით გამოყენების ეროვნულ მეურნეობრივი ფასეულობის (ღირებულების) ერთეული მაჩვენებელი ლარებში ერთეული რესურსის მოხმარებაზე.

Qi i იური მიმართულებით რესურსის გამოყენების (მოხმარების) მაჩვენებელი.

i = 1 n -ბუნებრივი რესურსის მოხმარების სხვადასხვა მიმართულებები.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ინტეგრალური გაანგარიშების მეთოდებიდან ფართოდ არსი გავრცელებული ე.წ. ბალებისა და ღირებულებითი მაჩვენებლების მეთოდები. პირველ შემთხვევაში განისაზღვრება შეფასების ერთიანი სკალა და რეგიონების ბუნებრივი რესურსის თითოეული სახეობა იღებს განსაზღვრულ ბალს, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$Ps = \sum_{S=1}^{n} Pi$$

სადაც Ps – ცალკეული ბუნებრივი რესურსების საერთო პოტენციალია. P1 ცალკეული სახეობის ბუნებრივი რესურსების კერძო პოტენციალი

n – შემადგენელთა რაოდენობა.

ცალკეული რესურსების მიხედვით პოტენციალის განსაზღვრის შემდეგ შესაძლებელია შეფასდეს ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი შემდეგი ფორმულით:

$$P = \sum_{S=1}^{N} Pi$$

P – ტერიტორიის საერთო პოტენციალია

N- შემადგენელების რაოდენობა

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შემუშავებული ბალების სკალის ნებისმიერი ფორმა, ვერ იქნება გარკვეულ სუბიექტურობას მოკლებული (ვინაიდან იგი ექსპერტების მიერ დგინდება) მაგრამ ეს მომენტი დაყვანილი უნდა იყოს მინიმუმამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების მიმართულებით განხორციელებული მთელი რიგი ღონისძიებებისა, ამ პროცესის ეფექტიანობა საკმაოდ დაბალია და დღის წესრიგში აყენებს, საქართველოს თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, შესაბამისი მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების ფორმირების აუცილებლობის საკითხს.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების მიზნით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ძირითადო მოთხოვნები:

1. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი ორიენტირებული უნდა იყოს მრეწველობის ბუნებრივ-რესურსული ბაზის კვლავწარმოების პროცესის ეფექტიანობის ამაღლებაზე. მან უნდა გამოიმუშაოს სტიმულირების ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტრატეგიული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფას, ბუნებრივი რესურსების კომპლექსის მონაწილე სამეურნეო სუბიექტების ინტერესების დაბალანსებასა და სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების სრულყოფას.

2. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ- ეკონომიკურმა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს ამა თუ იმ სტიმულის გამოყენების თანმიმდევრულობა (ადეკვატურობა საბაზრო კონიუქტურის გათვალისწინებით ავტომატურ რეჟიმში) იმის გათვალისწინებით, რომ იგი ზეგავლენას ახდენს კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის ქცევაზე, რომელზეც ზემოქმედებს აღნიშნული სტიმულები.

3. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი ორიენტირებული უნდა იყოს ინვესტიციური დანახარჯების რეალიზაციის ამაღლებაზე. რაც უფრო ეფექტიანად იფუნქციონირებს ორგანიზაციულ ეკონომიკური მექანიზმი, მით უფრო ძლიერი მასტიმულირებელი ზეგავლენა ექნება მას ინვესტიციურ პროცესებზე და ნაკლები ინვესტიციური დანახარჯებით (რესურსებით) იქნება მიღწეული სტრატეგიული მიზნები.

4. ორგანიზაციულ -ეკონომიკური მექანიზმის გამოყენება ორიენტირებული უნდა იყოს უპირატესად მართვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენებაზე, რომელიც გაითვალისწინებს ამ პროცესის მონაწილე სამეურნეო სუბიექტების დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას სტრატეგიული მიიზნების, გზებისა და მათი მიღწევის საშუალებათა განსაზღვრის საკითხებში და აგრეთვე მათი მოქმედების შედეგებზე.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება მოცემული მოთხოვნების შესაბამისად, არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ერთჯერადი მოქმედება. ეს არის რთული, მრავალეტაპიანი პროცესი, რომლის რეალიზაციის დროს უნდა იწარმოებოდეს ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელების შესაძლო შედეგების სიღრმისეული ანალიზი.

მინერალური რესურსების კლასიფიცირებას როგორც ეროვნული, ასევე საზღვარგარეთულ პრაქტიკაში, ანხორციელებენ სხვადასხვა პრინციპებზე დაყრდნობით: გენეზისის მიხედვით; ადგილმდებარეობის მიხედვით; პარამეტრებით; ფუნქციური შესაძლებლობებით; ეკონომიკისა და სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების ხასიათის მიხედვით. ამასთან პრაქტიკაში გამოიყენება კლასიფიკაციის ისეთი სახის მახასიათებლები, როგორიცაა გენეტიკური ტიპი, სტრუქტურული თავისებურებები, მინერალური და ქიმიური შემადგენლობა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები, სამრეწველო დანიშნულება და სხვა.

სამრეწველო წარმოებაში გამოყენების ხასიათის მიხედვით მინერალური რესურსები იყოფა შემდეგ რვა ჯგუფად“:

1. სათბობ ენერგეტიკული რესურსები (ქვანახშირი, ჰიდროენერგია, მუნებრივი აირი, ურანი).

2. შავი და ძნელად დნობადი, აგრეთვე ლეგირებული ლითონების საბადოები ((რკინა, მანგანუმი, ქრომი, ტიტანი, ვოლფრამი და სხვა).

3. ფერადი ლითონების საბადოები (ალუმინი, ტყვია, კალა, სპილენძი, ვერცხლის წყალი, თუთია).

4. კეთილშობილი ლითონების საბადოები (ალუმინი, ტყვია, კალა, სპილენძი, ვერცხლისწყალი, პლატინა).

5. ქიმიური და ჰიდროქიმიური ნედლეული (კალიუმის მარილები, ფოსფორიტები, აპატიტები, გოგირდი და სხვა).

6. ტექნიკური ნედლეული (ალმასი, აზბესტი, გრაფიტი და სხვა).

7. ფლუსები და ცეცხლგამძლე ნედლეული (დოლომიტი, მაგნეზიტი, კვარციტი, ქრომატები და სხვა).

8. სამშენებლო ნედლეული.

აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით მინერალური რესურსების გარკვეული სახეები შეიძლება მიეკუთვნოს რამოდენიმე ჯგუფს. მაგ: ნავთობი და ბუნებრივი აირი სათბობენერგეტიკული რესურსების გარდა, წარმოადგენს მნიშვნელოვან ქიმიურ ნედლეულს. ამდენად, მინერალური რესურსები მარტო სამრეწველო დანიშნულების და გამოყენების კლასიფიკაციის მიხედვით არ შეიძლება მოხმარებული იქნეს ბუნებათსარგებლობის პროცესში.

მინერალური რესურსების შედარებით მისაღები კლასიფიკაცია შემოთავაზებულია რუსი მეცნიერის ვ. პიტერსკის მიერ, რომელიც კომბინირებული კლასიფიკაციის სქემიდან გამომდინარე, გამოყოფს შემდეგ თავისებურებებს: 1. მინერალური კომპლექსი (ერთი სახის სასარგებლო წიაღისეულის ჯგუფი), 2. მისი როლი სამრეწველო წარმოებაში (ძირითადი ან დამხმარე) და მიღებული პროდუქციის მაშტაბები, 3. სამრეწველო და სხვა სახის გამოყენების ობიექტები (სამრეწველო წარმოების დარგები), 4. ღირებულება.[1]

ქართველი მკვლევარები მ. არდია და გ. გირგველიანი მინერალური რესურსების კლასიფიკაციას ახდენენ წარმოქმნის პირობებისა და მასთან დაკავშირებული გამოლევადობა – აღდგენის და დანიშნულების მიხედვით.[2]

---

[1] Питерский в В. М. Минеральние ресурсы и насиональная безопасность М. 1996 с 41-42

[2] არდია მ. მარგველანი გ, მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები თბ. 1998 გვ. 59

პირველი ნიშნის მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ჯგუფი: 1. პრაქტიკულად აღუდგენელი, 2. შორეულ მომავალში აღდგენადი, 3. შედარებით მალე აღდგენადი.

დანიშნულების მიხედვით კი შეიძლება გამოიყოს სამი ჯგუფი: 1. სათბობ-ენერგეტიკული, 2. მეტალურგიული, 3. სათბობ-ქიმიური ნედლეული.

საქართველო მინერალური რესურსებით ძალიან მდიდარი არაა, მაგრამ არც ღარიბი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. უფრო მეტიც ფართობის ერთეულზე მინერალური რესურსების კონცენტრაციის დონით იგი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მინერალური რესურსების საკმაოდ დიდი მარაგი არსებობს, რომლებიც თანამედროვე პერიოდში, მართალია რამდენადმე შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ეკონომიკური პოტენციალი ერთგვარად მაინც მაღალია, რომელთა მიზანმიმართულად და ეფექტიანად წარმართვა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო აღორძინებისა და ეკონომიკური განვითარების საქმეში.

ამჟამად საქართველოს მინერალური ნედლეულის ეკონომიკური პოტენციალი განისაზღვრება მინერალური რესურსის სახელმწიფო ბალანსზე აღრიცხული 450 დაძინებული საბადოს მარაგი, მათგან გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი და ეკონომიკურად შეფასებული იქნა ის ობიექტები, რომლებიც დღეისათვის შეიძლება ათვისებულ იქნეს მრეწველობის მიერ. შეფასებულ იქნა ქვეყნის მინერალურ-სანედლეულო ბაზის ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც საკმაოდ დიდია და შეადგენს 42,76 მლრდ. აშშ. დოლარს 1ხოლო ფასის ინდექსის მიხედვით შეფასებული საქართველოს მინერალურ სანედლეულო ბაზა 90 მლრდ დოლარს შეადგენს.[1]

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებას ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა წარმოადგენს, რადგან იგი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული მეურნეობის მდგრადი განვითარების მყარი საფუძვლების ჩამოყალიბებას.

---

[1] ვახანია ე. პაპავა დ. „მაცოცხლებელი შადრევანი“ საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მოკლე ისტორია“ თბილი 1996 გვ47

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი აირის პროგნოზული რესურსები საქართველოში 90 მლრდ კუბ მეტრით განისაზღვრება.3 მხედველობაში უნდა მოვიღოთ ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაიზარდა უცხოელი და ადგილობრივი ინვესტიციების დაინტერესება ბუნებრივი აირების მარაგის გამოვლენასა და მოპოვებაში (რიგი ექსპერტები ვარაუდობენ საწყის ეტაპზე ბუნებრივი აირის დღეღამურ მოპოვებას 500-700 ათას მ კუბს) ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით გატარებული გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში სავსებით შესაძლებელია ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალის მნიშვნელოვნად ამაღლება, რაც უდაოდ სერიოზულ სტიმულს მისცემს ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესებს.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნახშირის მოპოვებას, რომლის სავარაუდო მარაგია 745 მილიონი ტონა. ასევე აღსანიშნავია საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ სოლიდური მაშტაბითა და რაოდენობით გამოვლენილი ნავთობის მარაგი. ნავთობის მოპოვებამ საქართველოში ზენიტს მიაღწია 1982 წელს (3,3 მლნ. ტონა), ხოლო შემდგომ პერიოდში კი მისი მკვეთრად შემცირების ტენდენცია შეინიშნება, რაც ძირითადად როგორც პატარძეულის საბადოს მარაგების ამოწურვით არის განპირობებული.

როდესაც საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალის თავისებურებებს ვაანალიზებთ სასურველია განვიხილოთ აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის ჩამოყალიბების თანამედროვე საკითხები. კერძოდ მხედველობაში გვაქვს ახალი აბრეშუმის გზა-ევრაზიული სატრანსფორტო დერეფნის აღდგენის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც უკვე რეალიზებულია და ამჟამადაც მიმდინარეობს მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი პროექტების რეალიზაცია, როგორიცაა: „ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და სუფსის სახმელეთო ნავთობის ტერმინალის პროექტი“, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპერტო ნავთობსადენის პროექტი“, სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის სისტემისა „ბაქო-თბილისი-ეზრუმის“ პროექტი და მათთან დაკავშირებული სხვა პროექტები.

უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული პროექტების რეალიზაციით საქართველომ არა მარტო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქცია

შეიძინა, არამედ ევრაზიული დერეფნის ამოქმედებით შეიქმნება ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების რეალური წინაპირობები, მათ შორის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის გამართული ფუნქციონირების საფუძვლები.

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ამ პროექტის ამსახველი ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები (აღნიშნული და აღმოსავლეთ- დასავლეთის ერთიან ენერგეტიკულ დერეფანთან დაკავშირებით სხვა პროექტების შესახებ სტატისტიკური მასალები აღნიშნულია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის დოკუმენტებში)

1. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პროექტი იყო პირველი მრავალმაშტაბიანი საერთაშორისო ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოში, 600 მილიონი აშშ. დოლარის ოდენობის ინვესტიციით. პროექტის რეალიზაციის პროცესში დასაქმდა 25 ათასი საქართველოს მოქალაქე, რომელთა საშუალო ხელფასმა 350-400 ლარი შეადგინა, ხოლო 18 რაიონის 1950- ზე მეტმა ოჯახმა მიიღო მიწისა და მოსავლის კომპენსაცია.

2. ბაქო-თბილისი -ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობაში საქართველოში ინვესტირებული იქნება 514,67 მილიონი აშშ. დოლარი, ხოლო საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად საშუალოდ 62,5 მლნ აშშ. დოლარის ეკვივალენტს მიიღებს ეროვნულ ვალუტაში.

3. მეტად მნიშვნელოვანია და საკმაოდ სოლიდურია „ბაქო-თბილისი-ეზრუმის“ პროექტის (საქართველოსი ინვესტირება 500 მლნ. აშშ. დოლარი) რეალიზაციით მიღებული, როგორც ფულადი შემოსავლები, ასევე ბუნებრივი აირის რესურსები და მთლიანობაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები. საქართველოს ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სათანადო მოცულობის მიწისქვეშა საცავების (2 საცავი თითოეული 2,5 მილიარდი კუბური მეტრის მოცულობით) მშენებლობა. ეს შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ზაფხულის განმავლობაში დააგროვოს იაფი გაზის აუცილებელი მარაგები. ასევე აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო გადასახადის სახით საქართველო უფასოდ მიიღებს აზერბაიჯანიდან თურქეთში ჩვენი ქვეყნის გავლით ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირის 5%-ს, აქედან გამომდინარე, მაშინ როდესაც გაზსადენი

მიაღწევს საპროექტო სიმძლავრეს (წელიწადში 30 მილიარდი კუბური მეტრი აირი). საქართველო წელიწადში უფასოდ მიიღებს 1,5 კუბურ მეტრ გაზს, რაც საქართველოს დღევანდელ მოხმარებას (წელიწადში დაახლოებით 750 მლნ. კუბურ მეტრს) ორჯერ აღემატება.

ყოველივე ზემოაღნიშულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალი ამ პროექტების რეალიზაციით მნიშვნელოვნად ამაღლდება.

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია ნორვეგია, რომელმაც, გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოაჩინა ნავთობის საბადო ჩრდილოეთის ზღვაში. 1963 წელს მან მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც ნავთობის მარაგები გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად. 1990 წელს ნორვეგიაში შეიქმნა სახელმწიფო ნავთობის ფონდი, რომელსაც მომავალი თაობების ფონდი ეწოდა. ნორვეგიელები თვლიან, რომ არა აქვთ უფლება მთლიანად მოიხმარონ ნავთობიდან მიღებული შემოსავალი, ვინაიდან იგი მომავალ თაობებსაც ეკუთვნის. ამიტომ ნორვეგიაში კანონის თანახმად, მიმდინარე სახელმწიფო ხარჯებზე იხარჯება ფონდის მხოლოდ 4%, დანარჩენი კი ინახება თაობების ფონდში, რომლის დაგროვებამ უკვე საკმაოდ სოლიდურ თანხას მიაღწია. მაგ: დანაზოგმა 2005 წელს 182 მლნ. დოლარი შეადგინა. იგი განთავსებულია საზღვარგარეთის ფასიან ქაღალდებში და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაში, არამედ მთლიანად ეკონომიკურ განვითარებაშიც.

უცხო სიტყვები

1. კონვენციონალური – ლათ. რაც პირობას, ხელშეკრულებას შეესაბამება – დამკვიდრებული ტრადიციების შესაბამისი. პირობითი.
2. ოროგრაფია – ბერძ. (oros მთა arapo ვწერ) ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილი, რომელიც დედამიწის რელიეფს სწავლობ.
3. ცირკულაცია – ლათ წრიული მოძრაობა.
4. ლანდშაფტი – გერ. რაიმე ადგილის (სოფლის, მინდვრის, ტყის და სხვა) საერთო ხედი 2. (გეოგრაფ) დედამიწის ზედაპირის ნაწილი,

რომლისთვისაც დამახასიათებელია რელიეფის, ჰავის, ნიადაგის, მცენარეულობის, ცხოველებისა და სხვ. გარკვეული შეხამება.

5. ვოკლუზი- მიწისქვეშა მდინარე. დედამიწის ზედაპირზე წყაროდ გამოსული (სამხრეთ საფრანგეთში გამომდინარე წყაროს საკუთარი სახელის Varucluse- ის მიხედვით.
6. კარსტული. კარსტი – რელიეფის თავისებური ფორმები იმ ადგილებში, სადაც ნიადაგი შედგება მსხვილმარცვლოვანი ხსნადი ქანებისაგან (კირქვების, თაბაშირების, ქვამარილისა და სხვა).

თავი III

საქართველოს ეკონომიკის კონვერსიის ობიექტური აუცილებლობა და თავისებურებები

3.1. საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში

XX საუკუნის ბოლო პერიოდში მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში უდიდესი ცვლილებები მოხდა, რაც პოსტკომონისტურ ტრანსფორმაციას უკავშირდება. ეს ტრანსფორმაცია ბრძანებლურ- ადმინისტრაციულ ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო დემოკრატიაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემებზე გადასვლას გულისხმობდა.

ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლა წარმოშობს ეკონომიკის განსაკუთრებულ გარდამავალ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება არსებობდეს როგორც ერთ ქვეყანაში ისე რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად. ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლა არ ხდება ერთბაშად. ასევე იყო ტრადიციული ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა. გარდამავალი პერიოდის ხანგძლივობა დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის თავისებურებებზე, ისტორიულ პირობებზე, მოსახლეობის მენტალიტეტზე. თავის დროზე სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ხანგძლივობაზე, მისი განვითარების სიმწიფეზე და ა.შ. ამდენად საინტერესოა საკითხის განხილვა დავიწყოთ და განვიხილოთ როგორი იყო საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

სსრკ-ს დროს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკას საკმაოდ რთული, მრავალდარგობრივი სტრუქტურა გააჩნდა, რომელიც მთლიანად დაკავშირებული იყო საბჭოთა ეკონომიკის სისტემაზე. 1991 წლამდე საქართველოს ექსპორტის 96% და იმპორტის 72% ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე მოდიოდა.

საბჭოთა საქართველო მსოფლიო სტანდარტებით ითვლებოდა საშუალოდ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნად, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 4100 აშშ დოლარს შეადგენდა (1990 წ.). თუმცა შრომის ნაყოფიერება დაახლოებით ორჯერ, ხოლო შრომის ანაზღაურება

ათჯერ ჩამორჩებოდა განვითარებული სახელმწიფოების დონეს.[1] 1965 წელს საარსებო მინიმუმი საბჭოთა კავშირში შეადგენდა 40 მანეთს, მინიმალური ხელფასი 60 მანეთს. 1975 წელს საარსებო მინიმუმი 50 მანეთს, მინიმალური ხელფასი 70 მანეთს. 80-იანი წლების ბოლოს შესაბამისად 100 მანეთს საარსებო მინიმუმი და 165 მანეთი მინიმალური ხელფასი.[2].

სოციალიზმის მშენებლობა მხოლოდ ენთუზიაზმით, ვოლუნტარისტული მეთოდებით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებლად დაუძლეველ წინააღმდეგობებს წააწყდა. ქვეყანა სადაც მანქანური ინდუსტრიაც კი არ იყო ფორმირებული, ახალი დილემის წინაშე დადგა.

გასაბჭოების შედეგად ტოტალურმა გასახელმწიფოებრიობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი პროგრესის მთელ პროცესზე. სოციალიზმად წოდებული ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული სისტემა ემყარებოდა წარმოების საშუალებებზე ფორმით საზოგადოებრივ ხოლო შინაარსით სახელმწიფო საკუთრებას საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება ფაქტობრივად სახელმწიფო საკუთრების დანამატს წარმოადგენდა. აიკრძალა კერძო საკუთრება, მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლება. კერძო საკუთრების აკრძალვით საბჭოთა წყობას თავიდანვე გამოეცალა საფუძველი. სახელმწიფო საკუთრება თითქოს ყველას ეკუთვნოდა რეალურად კი ვინც მას განკარგავდა. კერძო საკუთრების ლიკვიდაცია ნიშნავს ადამიანის ინდივიდუალური ინტერესების, მოტივების უგულებელყოფას, ხოლო უფრო მაღალ ასპექტში, თვით ადამიანის გამორიცხვას ეკონომიკური ურთიერთობებიდან. ასეთ სისტემაში ადამიანი განკარგავს მის დაქვემდებარებაში მყოფ საკუთრებას არა მხოლოდ დოქტრინალური მოდელის სასარგებლოდ, არამედ საკუთარი ინტერესებისათვის. აღნიშნული შესაძლებლობების მაშტაბები დამოკიდებულია პიროვნების საზოგადოებრივ მდგომარეობაზე და დაკავებულ თანამდებობაზე.

ცენტრალიზებულმა დირექტიულმა დაგეგმვამ, რომელიც თითქმის გამორიცხავდა რეგულირების საბაზრო მექანიზმს და რომლის

---

[1] ტყეშელაშვილი გ. ხმალაძე ნ. მაკროეკონომიკა თბ. გამომ.“ნიკე“ გვ.257

[2] Римамевская Н М Бедностьи маргинелизация на селения ж социологические иследования 2004 №3 ст 33

ძირითადი სააღმსრულებლო ინსტრუმენტიც ხუთწლიანი გეგმა იყო, გამოიწვია ეკონომიკის მართვის ბიუროკრატიზაცია. ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ იერარქიულ დონეებზე ფაქტობრივად ერთიანი ეკონომიკური ცენტრის ფუნქციონირებამ, რასაც თან ახლდა გათანაბრებითი განაწილება, გამოიწვია მითვისების პროცესის დეფორმაციაც..

როგორც ნობელის პრემიის ლაურიატი ჯ.მ. ბიუკენენი აღნიშნავს ამა თუ იმ სახის საქონელსა და მომსახურებაზე პატერნალისტური ფასების დაწესებამ მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი გახადა პური, რძე, საქალაქო ტრანსპორტი, საბავშვო ბაღი, განათლება, სამედიცინო მომსახურება და ა.შ. მაგრამ იგი მიღწეულ იქნა არა მოთხოვნა – მიწოდების ურთიერთზემოქმედების, არამედ პოლიტიკური გზით, პოლიტიკური ფასების დაწესების საფუძველზე.[1]

ამით ძირი გამოეთხარა საზოგადოებრივი წარმოების მამოძრავებელ ეკონომიკურ ინტერესებს, რამაც წარმოშვა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა პიროვნების გაუცხოება წარმოების საშუალებებისაგან. შრომისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის სტიმულირების დაქვეითება, ცოდნის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ინტერესის დაკარგვა, კორუფცია და ა.შ. ამის შედეგად ჩამოყალიბდა დეფიციტური ეკონომიკა და „დაკანონდა“ წარმოებული საქონლისა და მომსახურების აბსოლუტური უმრავლესობის დაბალი ხარისხი. ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი კაპიტალისტურ ქვეყნებთან სამხედრო პარიტეტის ხარჯებმა შთანთქა. ასეთ ვითარებაში ცენტრალიზებულმა ეკონომიკამ ვერ შეძლო ეკონომიკური ტრიადის (რა? როგორ? ვისთვის?) ეფექტიანი გადაჭრა.

ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული დაგეგმვა ითვალისწინებდა პროდუქციის გამოშვების მოცულობის მეტ-ნაკლებად ზუსტად განსაზღვრას, რომელიც შემდეგ გეგმური დავალების სახით ნაწილდებოდა საწარმოო ერთეულებზე. ასეთი დავალებები 60-იან წლებამდე დადებით შედეგებს იძლეოდა, მაგრამ შემდგომ მან თანდათან გამოავლინა თავისი უარყოფითი მხარეები. ვერ სრულდებოდა როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი გეგმები, ცენტრი ფაქტობრივად უძლური იყო დაეცვა კვლავწარმოების პროპორციებს შორის წონასწორობა. ცენ-

[1] Бюкенен Д. М. Минимальная политика рыночной системы №12 1990 ст. 8

ტრალიზებულმა დაგეგმვამ პრაქტიკულად დაკარგა ეკონომიკის მართვისა და მისი რეგულირების ფუნქცია. გამოიკვეთა დირექტიული დაგეგმვის უპერსპექტივობა და მისი საბაზრო ურთიერთობებით შეცვლის ობიექტური აუცილებლობა.

80-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირი ფაქტობრივად, ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებით მეტ-ნაკლებად ახერხებდა არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნებას და ფუნქციონირებას.

1990 წელს საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელი (5,5 ათასი დოლარი) იყო და თითქმის 3,5 ჯერ ჩამორჩებოდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს (19,8 ათასი დოლარი) და 4,5 ჯერ აშშ - ისას (24 ათასი დოლარი), თუმცა 2,5 ჯერ უსწრებდა განვითარებადი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს (2,15 ათასი დოლარი).[1]

ამ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირი საშუალო განვითარების ინდუსტრიულ, აგრარულ ქვეყნად იყო მიჩნეული, მაგრამ მას არ ჰქონდა მომავალი და განვითარების პერსპექტივა იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში უარყოფილ იქნა საზოგადოებრივი განვითარების ისეთი ცივილიზებური ფორმები, როგორიცაა კერძო საკუთრება, კონკურენცია, შრომის მოტივაციის მექანიზმი, ყაირათიანობა, პასუხისმგებლობა, თავისუფალი აზროვნება, საბაზრო კოორდინაცია და ა.შ.

სამაგიეროდ გაბატონდა სახელმწიფო საკუთრება (90%) მკაცრი ადმინისტრაციულ ბრძანებლური კოორდინაციის ვერტიკალური სტრუქტურითა და დიქტატორული რეჟიმით.

სსრ კავშირში მიმდინარე პროცესებმა ბუნებრივია საქართველოშიც პოვა ასახვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდა ნავთობის 96%. ბუნებრივი აირის 100%, შავი ლითონების, ნაგლინისა და ფოლადის მილების 93%, ხე-ტყის 80%, ხორცის 40%, რძის 75%, მარცვლეულის 90%, შაქრის 98%. მართალია საქართველოდან გაჰქონდათ ჩაი, კონიაკი, ღვინო, ციტრუსები, მანგანუმი, ქიმიური პროდუქცია და ა.შ. მიუხედავად ამისა წლების განმავლობაში საქართველოს უარყოფითი საგადასახდელო ბალანსი ჰქონდა.

---

[1] Болотин Б Международные сравнения 1990-1997 №10 с 120

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა დაბალი მექანიზაცია და ავტომატიზაცია. 1985 წელს საქართველოს მრეწველობაში ხელით შრომობდა დასაქმებულთა 39% (კაცშირის მაშტაბით 35%), სოფლის მეურნეობაში, შესაბამისად 95,9 და 73,3%.[1]

საქართველოს მერვე ადგილი ეჭირა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ინდუსტრიული განვითარების დონის მიხედვით, მეექვსე ადგილი მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ, ხოლო პირველი ადგილი არასაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წონის მიხედვით. დასაქმების ასეთი მაღალი წილი არაწარმოებით სფეროში არ იყო მეცნიერულად დასაბუთებული და არ შეესაბამებოდა რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დონეს განსაკუთრებით მაღალი იყო დასაქმების დონე ადმინისტრაციულ-სამეურნეო სფეროში, საუწყებო კვლევით ინსტიტუტებში და ა.შ. არაწარმოებით სფეროში დასაქმების ზრდა არ გამომდინარეობდა ობიექტური პროცესებიდან, არამედ მას საფუძვლად ედო სუბიექტური მოსაზრებები.[2].

რეალურ გამოკვლევებს საბჭოთა ეკონომიკის შუქ-ჩრდილებზე აწარმოებდნენ ამერიკელი სოვიტოლოგები. ვ. ტრემლის მონაცემებით სსრკ-ში ჯერ კიდევ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ეკონომიკური განვითარების ტემპების შენელება. 1960 წლიდან კი გეგმების უმრავლესობა სრულდებოდა ქაღალდზე შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი ჯერ მცირდებოდა, შემდეგ კი გახდა უარყოფითი 1961-1965 წლებში 0,6%.

ზემოაღნიშნულისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების გამო 80-იანი წლების ბოლოს ბიუროკრატიული ორგანოების დემონტაჟის, სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ნგრევის აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში, ამ პროცესების პარალელურად საფუძველი შეერყა თვით საბჭოთა კავშირს. 1991 წლის დეკემბერში ოფიციალურად გამოცხადდა მისი დაშლა.

---

[1] статистическиий ежгодник стран член СЕВ М 1986 с 305

[2] ასათიანი რ. არასაწარმოებითი სფერო ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში თბ. 1978 გვ. 138-139

3.2. საბაზრო მეურნეობის ფორმირება საქართველოში

1991 წლის 31 რეფერენდუმის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ, ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო.

საქართველოს წინაშე რთული ამოცანა იდგა, კერძოდ სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმიდან, საბაზრო ეკონომიკაზე უმტკივნეულო გადასვლის სათანადო პირობების შექმნა.

დღეს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობის შექმნა აღიარებულია მსოფლიო ცივილიზაციასთან მიახლოების ძირითად მიმართულებად.

თანამედროვე პირობებში მხოლოდ საბაზრო მეურნეობა უზრუნველყოფს საზოგადოებრივ პროგრესს, რომელიც საკმაოდ აპრობირებულია მსოფლიოში და წარმატებით ფუნქციონირებს განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა დასავლეთის ზოგიერთ წარმატებულ ქვეყანაში მაგალითად გერმანიაში, დღის წესრიგში დგას სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნის საკითხი. სოციალური საბაზრო ეკონომიკა მომავლის ეკონომიკაა. თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის საკვანძო ქვეყნების ეკონომიკური წესრიგის ხასიათის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი სქემა.

სქემა 3.2.1

სამეურნეო წესების მოდელები და ევროკავშირის ქვეყნები

ცენტრალიზებულად მართული ეკონომიკა (ადმინისტრაციულ-ბრძანებითი სისტემა)	**„მესამე გზა“ – სოციალური საბაზრო ეკონომიკა**	**თავისუფალი კონკურენციის ბაზარი**
„აბსოლუტური წესრიგი“ რომელიც სახელმწიფო იცავს	სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკსა და საბაზრო სისტემის შეხამება, საბაზრო ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება	ანარქია და „უხილავი ხელი“, როგორც ძირითადი ეკონომიკური რეგულატორი.

მაქსიმალური სახელ-მწიფო რეგულირება	სახელმწიფოს ეკონომიკაში ოპტიმალური ჩარევა	სახელმწიფოს ეკონომიკაში მინიმალური ჩარევა
	ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, იტალია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ფინეთი, საფრანგეთი, შვედეთი	დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ესპანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია

როგორც ვხედავთ, ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა სოციალური ტიპის ეკონომიკების მქონეთა რიცხვს მიეკუთნება. ეკონომიკური წესრიგის განსაკუთრებული ფორმა – სოციალური საბაზრო მეურნეობა, როგორც განვითარების „ოქროს შუალედი“ და „მესამე გზა“, წარმოიქმნა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფრაიბურგის სკოლის, ჰუმანისტური ტრადიციების ნეოლიბერალებისა და სოციალ – ლიბერალების წარმომადგენელთა იდეების სინთეზის საფუძველზე, რომელნიც კათოლიკურ სოციალურ სწავლებაზე იყვნენ ორიენტირებულნი.

თვისებრივად ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირება საბაზრო ეკონომიკის სახით ორმა ერთმანეთისაგან განსხვავებულმა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულმა მოვლენამ განაპირობა, ეს არის ერთი მხრივ ეკონომიკური თეორიების განვითარება და მეორე მხრივ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე საზოგადოებრივ წარმოებაში მიმდინარე მძლავრი პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები.

ამ გზით მიმავალი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ახალი ამოცანები დაისახა.

სტრუქტურული რეფორმების სტრატეგიის დასაბუთებისათვის საუკეთესო თეორიულ ბაზას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ეროვნული მეურნეობის საბაზრო ტრანსფორმაციას, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ევოლუციური თეორია.

ეკონომიკური განვითარების ეტაპების დახასიათებისათვის ფართოდ გამოიყენება სამი სექტორის თეორია, რომლის საფუძვლებიც ჩამოაყალიბა კ.კლარკმა თავის „ეკონომიკის პროგრესის პირობები“ ეკონომიკის განვითარების პირობებში სექტორების ცვლილება გაანა-

ლიზებული აქვთ აგრეთვე ჟ. ფურასტიეს და ს. კუზნეცს (1966, 1971). ავტორებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომლის თანახმად ეკონომიკა სამ სექტორად ანუ მოღვაწეობის სამ ტიპად იყოფა: პირველადი ((მომპოვებელი), მეორადი (სამრეწველო), მესამედი (მომსახურების სფერო). შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკა თავის განვითარების შესაძლებლობის მიხედვით გაივლის სამ ეტაპს:

1. ინდუსტრიამდე ეპოქაში ჭარბობდა პირველადი სექტორი (სოფლის მეურნეობა, მომპოვებელი მრეწველობა), არსებობდა მეორადი საქმიანობის ზოგიერთი სახეები. (უმთავრესად მშენებლობა) და მესამე ტიპს თითქმის არ ჰქონდა ადგილი სტრუქტურული შეფარდება იყო ასეთი 80:10:10.

2. ინდუსტრიალიზაციის პერიოდში პირველადი სექტორის ხვედრითი წილი იზრდება, მაგრამ შედარებით ნელა, ვიდრე მეორადის ხვედრითი წილი, რომელიც სწრაფად იზრდება და დაახლოებით 50%-ს აღწევს. მომსახურე სექტორები აგრეთვე ფართოვდებიან, განსაკუთრებით პოსტინდუსტრიულ ((ინფორმაციულ) საზოგადოებაზე გადასვლის ეტაპზე, როდესაც ისინი უსწრებენ მეორადი სექტორების განვითარების ტემპებს.

3. ბოლოს პოსტინდუსტრიულ ეპოქაში საერთო პროდუქციის წარმოებაში და მეორადი სექტორების ხვედრითი წილი შესამჩნევად მცირდება მესამე სექტორთან შედარებით. სტრუქტურული შეფარდება 10:10:80. ამრიგად ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის ეტაპზე, რომელზედაც იმყოფება განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, ეკონომიკის პირველადი და მეორადი სექტორები სულ უფრო ნაკლებად საჭიროებენ სამუშაო ძალას, ხოლო მათი პროდუქცია სულ უფრო ნაკლებ ხვედრით წილს იჭერს ქვეყნის მთლიანი პროდუქციის მოცულობაში. ამავე დროს მნიშვნელოვნად იზრდება მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი (ინფრასტრუქტურის დარგების, ტრანსპორტის, კავშირის საშუალებებისა, ტელეკომუნიკაციის, ვაჭრობის, საქმის მომსახურების და ა.შ.). ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სამრეწველო წარმოებაში დასაქმებული მუშაკების ხვედრითი წილი დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის მიმართ საუკუნის ბოლო ხანებში 28% დან 18% მდე შემცირდა. ამჟამად ა.შ.შ. -ს მრეწველობაში მუშაობს ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა მხოლოდ ერთი მეექვსედი,

მაშინ, როდესაც მომსახურების სფეროში დასაქმებულია მომუშავეთა 70%-ზე მეტი. ევროკავშირის ქვეყნებში მრეწველობაში მუშაობს ეკონომიკაში დასაქმებული ყოველი მეხუთე ადამიანი.

მთავარი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ეკონომიკური ევოლუციური თეორიისაგან, მდგომარეობს მიზანმიმათული სტრუქტურული ტრანსფორმაციის გზით ეკონომიკის ზრდაზე გადასვლის მიღწევაში, ანუ უწინდელი არასაბაზრო ეკონომიკის სტრუქტურის პოსტინდუსტრიულ სტრუქტურაში თანდათანობით გარდაქმნაში.

პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ სტრუქტურული საბაზრო ტრანსფორმაცია. ეკონომიკური განვითარების თეორიის შესაბამისად არ შეიძლება მოხდეს ავტომატურად, „გარე ჩარევის" გარეშე. საბაზრო განვითარების საწყის სტადიაზე მყოფი ეკონომიკური სისტემის მიმართ თანდათანობითობის პრინციპი გულისხმობს უმცირესი დანახარჯებით სახელმწიფო ჩარევის გზით საბაზრო ევოლუციის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის უზრუნველყოფას. ასეთი გადასვლისათვის საჭიროა ახალი საბაზრო სტრუქტურებისათვის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, ეკონომიკური პოლიტიკის ადეკვატური გაძლიერება როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონულ დონეებზე. ასეთი პოლიტიკის განხორციელება უნდა ხდებოდეს მსოფლიო მეცნიერებაში და პრაქტიკაში საერთოდ აღიარებული პოზიციით: პოზიტიური სტრუქტურული ძვრების საწყის პოზიციად განიხილება მეცნიერულ ტექნიკური ინოვაციების განხორციელება. განხორციელებული სტრუქტურული გარდაქმნების მსვლელობისას ინოვაციების მხარდამჭერი ფაქტორები ორგანულად უნდა ეხმარებოდეს საერთო ეროვნულ და რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურების გარდაქმნა უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი სიმდიდრის დაგროვების პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობით და ამასთან მისი როგორც ინიციატორის, როგორც კერძო ინვესტიციების აქტიური მოზიდვის გარანტის მეშვეობით. რასაკვირველია, საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს არჩევითი ჩარევა მთელი სისრულით არის შეთავსებადი „წმინდა" საბაზრო დემოკრატიის პრინციპებიდან. მაგრამ ამასთან ასეთი სახის პოლიტიკა არაფრით არ ეწინააღმდეგება საბაზრო ინვესტორების ინტერესებს, პირიქით, იგი მიმართულია კაპიტალის ბაზრის უწინდელი დეფორმაციების შედეგების დაძლევისაგან.

კაპიტალის შექმნის პროცესში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა განპირობებულია აგრეთვე პოსტსოციალისტური ბაზრის ძირითადი ნიშან-თვისებებით, რაც ვლინდება ბაზრის სუბიექტების მოლოდინის გაურკვევლობაში, განსაკუთრებით კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდების შედეგების მიმართ.

ამრიგად, ბაზრის სუბიექტების მიერ ფინანსური კონიუქტურის მოლოდინი შესაძლებელია ნაკარნახევი იყოს სახელმწიფოს მიზანმიმართული ჩარევის გზით. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ინვესტიციურ პროცესებში სახელმწიფოს როგორც უშუალოდ და პირდაპირ მონაწილეობასთან, აგრეთვე მის მიერ ფინანსური ნაკადების ირიბ რეგულირებასთან. საკითხი ეხება ე.წ. სტრუქტურულ-საინვესტიციო მანევრების განხორციელებას, როდესაც ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენებას საბაზრო აგენტების ორიენტირებას ახდენს მომავალში საინვესტიციო მოთხოვნის ზრდაზე.

ამ იდეის თეორიული დასაბუთება რასაკვირველია კარგად არის ცნობილი საკმარისია განვიხილოთ ჯ. მ. კეინზის თეორია. ამ თვალსაზრისით ჯ. მ. კეინზის ცნობილი ნაშრომი „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936) კაპიტალისტურ ქვეყნებში წამოჭრის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების თავისებური გამოძახილი იყო. მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტების უმრავლესობა ამ ნაშრომს განიხილავს როგორც შემობრუნების ეტაპს ეკონომიკური აზრის ისტორიასა და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. ასეთი შეხედულება, პირველ ყოვლისა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ კეინზმა უარყო ეკონომიკაში გაბატონებული მიკროეკონომიკური მიდგომა და უპირატესობა მაკროეკონომიკურ თეორიასა და აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას მიანიჭა.

მაკროეკონომიკური რეგულირების კეინზიანურმა მოდელმა უარყო ეკონომიკურ თეორიასა და პოლიტიკაში გაბატონებული სმითისეული კონცეფცია, რომელიც სახელმწიფოს განიხილავდა როგორც „ღამის დარაჯს“, სახელმწიფოს საქმიანობას კი არა მწარმოებლურ შრომად და ადგილი დაუთმო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიას. ეს მოდელი საფუძვლად დაედო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას და წარმატებით გამოიყენებოდა 70 წლების შუა პერიოდამდე. „კეინზიანურმა რევოლუციამ“ დიდი როლი შეასრულა ამ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში, ამასთან რაც მთავა-

რია დააჩქარა კაპიტალიზმის გადაზრდა ახალ თვისებრიობაში საბაზრო-რეგულირებად ეკონომიკაში. კერძო კაპიტალისტური საკუთრების პრიორიტეტზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა შეცვალა საკუთრების პლურალიზმზე (საკუთრების მრავალფორმიანობა თითოეული ფორმის თანაბარი უფლებით) დაფუძნებულმა ეკონომიკურმა სისტემამ, რომელშიც განმსაზღვრელ ფენომენად ბაზარი წარმოჩინდა, ჩამოყალიბდა სრულიად სხვა შინაარსის ბაზარი, ვიდრე იყო წინა ეკონომიკურ სისტემაში.

აქვე საინტერესოა დავასახელოთ „დიდი ბიძგის" ცნობილი კონცეფცია, რომელიც პ. როზეშტეინ როდანს ეკუთვნის და ჩვეულებრივ განეკუთვნება ეკონომიკური განვითარების თეორიას. ამ კონცეფციის შესაბამისად ქვეყნები, რომლებიც საბაზრო განვითარების დაბალ დონეზე იმყოფებიან, დროის გარკვეულ მომენტში შეძლებენ განახორციელონ გრძელვადიენი ეკონომიკური ზრდა ინვესტიციური რესურსების აკუმულირების მეშვეობით და ძირითადად ტექნოლოგიური ჩამორჩენის დაძლევით.

აუცილებელია რომ მაშტაბურმა საინვესტიციო ექსპანსიამ, ყველა წარმოების გამოყენების ხარჯზე ეფექტიანობის ზრდის გათვალისწინებით, არ უნდა გამოიწვიოს საერთო ეკონომიკური სტაბილიზაციის დარღვევა. ამასთან დაკავშირებით უნდა გამოვყოთ შეზღუდვა.

1. მაკროეკონომიკური ფინანსური წონასწორობის დაცვა სტრუქტურულ გარდაქმნებში სახელმწიფოებრივმა მონაწილეობამ არ უნდა მიგვიყვანოს საბაზრო სუბიექტების ფინანსურ დანაკარგამდე და მით უმეტეს მათი მხრიდან საკუთრების უფლების დაცვის მექანიზმისადმი და საბაზრო სუვერენიტეტის პრინციპებისადმი ნდობის დაკარგვამდე. ცალსახად მიუღებელია აგრეთვე გადასახადების გადამხთელთა სახსრების ხარჯზე „სტრუქტურული" ინვესტიციების დეფიციტის საბიუჯეტო ფინანსირება.

2.საბაზრო სუბიექტების მხრიდან მთლიანად მიმდინარე საწარმოო და ფინანსური აქტიურობის სტიმულირების შენარჩუნების აუცილებლობა. დაუშვებელია უმეტეს სამოქალაქო დარგებში მწარმოებლების მხრივ ერთიანი საწარმოო მოთხოვნის შემცირება.

3. სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების განსაზღვრული პარიტეტის დაცვა. აშკარაა რომ მიუღებელია კერძო ინვესტიციების გამო-

დევნა ნებისმიერი საბაზრო სეგმენტებიდან მათი სახელმწიფო ინვესტიციებით ჩანაცვლების გზით.

საბაზრო ეკონომიკაში ბაზარი ჰორიზონტალური კავშირების განვითარების საფუძველზე გამორიცხავს ადმინისტრაციულ ჩარევას ფასწარმოქმნასა და რესურსების განაწილებაში, რითაც საგრძნობლად ამარტივებს მმართველობის იერარქიულ ვერტიკალურ სტრუქტურას.

საბაზრო ეკონომიკა ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებებს. კერძოდ მისთვის დამახასიათებელია: ა. საკუთრების პლურალიზმი, სადაც საკუთრების ნებისმიერ ფორმას თანაბარი უფლებები აქვს მინიჭებული; ბ. მწარმოებელთა დამოუკიდებლობა და ეკონომიკური პასუხისმგებლობა; გ. მეწარმეობაში რეგლამენტაციის არ ქონა, რაციონალიზმი კონტრაჰენტის არჩევაში და ა. შ. დ. ბაზარი შრომითი მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნით, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების გაერთიანების მოქნილი მექანიზმია.

საბაზრო ეკონომიკა, როგორც რეგულირებული ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, თვითონ ადგენს საზოგადოებამ რა აწარმოოს (ამ საკითხს მომხმარებლები წყვეტენ თავიანთი გადახდისუნარიანი მოთხოვნილების მიხედვით), როგორ აწარმოოს (ამას განსაზღვრავენ მწარმოებლები მაღალი შემოსავლის მიღების მცდელობით) და ვისთვის აწარმოოს. საბოლოო ანგარიშით, საზოგადოება აღწევს არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, შესაძლებელი ხდება წარმოების ოპტიმალური სტრუქტურული პროპორციებისა და მოცულობის დადგენა, ყალიბდება ისეთი წარმოების წესები, რომელიც უზრუნველყოფს დანახარჯების მონიმანიზაციისა და მოგების მაქსიმიზაციას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სხვადასხვა ვარიანტები არსებობს პოსტსბჭოთა ქვეყნების პრაქტიკიდან გამოიკვეთა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორი ძირითადი ვარიანტი:

1. ევოლუციური გზა (გრადუალიზმი) - საბაზრო ინსტიტუტების თანდათანობით ფორმირება. გამოყენებულ იქნა ძირითადად ჩინეთში და უნგრეთში. ამ დროს საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნაზე ძირითადად პასუხისმგებლობას ღებულობს სახელმწიფო, რომელიც იტოვებს საწარმოების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევის უფლებას.

2. „შოკური თერაპია“ გამოიყენეს უმეტეს ქვეყნებში მათ შორის რუსეთში და საქართველოში. შოკური თერაპიის დოქტრინა პირველად შემუშავებულ იქნა ჯეფრი საქსის მიერ და მეტნაკლებად წარმატებით განხორციელდა პრაქტიკაში მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნებში. 90-იან წლებში აღნიშნული დოქტრინა გამოიყენეს პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის. შოკური თერაპია ყველაზე საუკეთესოდ განხორციელდა პოლონეთსა და ესტონეთში.

შოკურ თერაპიასა და გრადუალიზმს შორის განსხვავება არის სისტემური ცვლილებების ჩატარების ვადებში და სახელმწიფოს მიერ საბაზრო მექანიზმის რეგულირების თავისებურებებში. კონკრეტული ვარიანტის არჩევა დამოკიდებულია, როგორც ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე ისე მოსახლეობის მენტალიტეტზე და კონკრეტულ პირობებზე: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ისტორიული ფაქტორების კომპლექსზე. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის უმრავლესობა ქვეყანამ შოკური თერაპიის გზა აირჩია.

საქართველომაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რადიკალური ვარიანტი- „შოკური თერაპია“ აირჩია. ეს არჩევანი ძირითადად განაპირობა რუსეთში დაწყებულმა ფასების ლიბერალიზაციამ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო კვლავ მანეთის ზონაში რჩებოდა. მას არ გააჩნდა არც ეროვნული და არც საერთაშორისო სავალუტო რეზერვები საკუთარი ვალუტის შემოსაღებად. ამიტომ რადიკალური რეფორმების არჩევანი გარკვეულწილად ობიექტური აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი ამოცანებია:

1. ეკონომიკის პრივატიზაცია და მეწარმეობის განვითარება;

2. საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება- კომერციული ბანკები, სავაჭრო-სამრეწველო კომპანიები, სასაქონლო და საფონდო ბირჟები, მარკეტინგული კომპანიები და ა.შ.

3. ეკონომიკის დემონოპოლიზაცია (ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას და საბაზრო წონასწორობის მიღწევას);

4. ფასების ლიბერალიზაცია. ფასწარმოქმნაზე სახელმწიფოს კონტროლის მოხსნით საბაზრო წონასწორობის (მოთხოვნა-მიწოდების) ფასის დამკვიდრება;

5. ფინანსურ – ეკონომიკური სტაბილიზაცია. მკაცრი ფულად საკრედიტო პოლიტიკის გატარება ბრუნვაში ფულის მოცულობის შეზღუდვის გზით;

6. ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში;

7. მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის ძლიერი სისტემის ფორმირება;

ცნობილი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურიატის დ. ნორტის მიხედვით საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ინსტიტუციონალური ცვლილებები მოიცავს:

1. საკუთრებითი უფლებების სრულყოფას და მესაკუთრეების დაცვის ეფექტური სისტემების შექმნას;

2. მოსახლეობის ფართო მასებში ნდობის და რეფორმებისადმი რეალური მხარდაჭერის მოპოვებას;

3. ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკური ნების, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და უნარიანი სახელმწიფო მართვის ორგანოების არსებობას;

4. რეფორმების განხორციელების მკაცრი ალგორითმის არსებობას: აშკარად დასახული მიზანი, ეტაპების განსაზღვრა, კავშირი მათ შორის, პასუხისმგებლობა განხორციელებებზე და ა.შ.

გარდამავალი ეკონომიკა მოითხოვს სამი ძირითადი პრობლემის გადაჭრას: 1. ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას 2. საკუთრების ურთიერთობების გარდაქმნას და 3. სტაბილიზაციას

ამ დროს როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. სახელმწიფო გამოდის როგორც ეკონომიკური წესრიგის ორგანიზატორი და პასუხისმგებელი. ქვეყნის მართვას ახორციელებენ სახელმწიფო მართვის სტრუქტურები. ამიტომ მათი ეფექტური მუშაობის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების მდგრადი და უსაფრთხო განვითარება.

გვევლინება რა გარდაქმნის ინიციატორად და წამყვანად, თავისი მოღვაწეობით, ხელისუფლებას შეუძლია სასურველი მიმართულებით წაიყვანოს დააჩქაროს ან შეანელოს გარდამავალი პერიოდი. ამ კონტექსტში მთავრობის როლი შეიძლება განვიხილოთ ტრანსფორმაციის მულტიპლიკატორის M ტრ. ხარისხში იგი მოიცავს შემდეგ ფაქტორებს: კორუმპირებულობის ხარისხი; კომპეტეცია; დაინტერესება დე-

მოკრატიულ გარდაქმნებში (რეალური პოლიტიკური ნება) ძალაუფლების მონოპოლიზაცია და ა.შ.

$$M_{\text{ტრ}} = \frac{\text{კორუმპირებულობა + ძალაუფლების მონოპოლიზაცია}}{\text{კომპეტენტურობა + პოლიტიკური ნება}}$$

რაც უფრო მაღალია მულტიპლიკატორის მნიშვნელობა (კორუმპირებულობის და ძალაუფლების მონოპოლიზაციის ხარისხი) მით უფრო მეტ დროს ანდომებს ქვეყანა ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. პირიქით მულტიპლიკატორის მცირე მნიშვნელობა (მაღალი პროფესიონალიზმი და პოლიტიკური ნება) უზრუნველყოფს გარდამავალი პერიოდის ნაკლებ დროში, წარმატებით გავლას.

3.3. საქართველოს ეკონომიკის კონვერსიის განხორციელების წინაპირობები და თავისებურებები

კონვერსია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და გარდაქმნას, შეცვლას გულისხმობს.

საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის დაისვა და საზოგადოებაში დიდი დისკუსია გამოიწვია თუ, როგორ უნდა განთავისუფლებულიყო ეკონომიკა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისაგან, რა გზით განხორციელებულიყო სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაცია და ეროვნული ეკონომიკის კონვერსია, მისი გადაყვანა საბაზრო საწყისებზე.

საქართველოს ეკონომიკის კონვერსიის ობიექტურმა აუცილებლობამ ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება მოითხოვა, რაც შესაძლებელი იყო ცხოვრების ყვალა სფეროში რადიკალური რეფორმების გატარებით., მაგრამ ეკონომიკის კონვერსიის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო წინაპირობების მომზადება. ასეთ წინაპირობებს ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სახელმწიფო მონოპოლისტური მარწუხებიდან თავის დაღწევა წარმოადგენდა. ეკონომიკური გარდაქმნების საბოლოო შედეგებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ბევრმა ნეგატიურმა პროცესმა. კერძოდ, საქართველოში სრულიად მოუმზადებლად დაიწყო ძველი ეკონომიკური სისტემის ნგრევის პროცესი, რასაც ხელი შეუწყო არახელსაყრელმა სასტარტო პირობებმა

და დაბალმა ეკონომიკურმა პოტენციალმა, შინააშლილობამ და საზოგადოების დაყოფამ ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილებად.

ეკონომიკური რეგულირების იმანენტური მექანიზმი, რომელიც მიმართულია საზოგადოების რეგულირების რაციონალური განაწილების, მათი ეფექტიანად გამოყენების, წონასწორობათა უზრუნველყოფის მწარმოებელთა დაინტერესების წარმოქმნისაკენ და ა.შ. ეკონომიკურ პირობათა ფართო სპექტრს მოიცავს და ეს უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური კანონებია. აქ უნდა აღინიშნოს საზოგადოების მოთხოვნილებათა სტრუქტურასთან საზოგადოებრივი წარმოების შესაბამისობის, ღირებულების, ეკონომიკის დარგებისა და ტერიტორიების პროპორციული განვითარების, შექმნილი დოვლათის ეკონომიკურ სუბიექტებს შორის განაწილების, მოთხოვნილებათა თანაბარზომიერი დაკმაყოფილების, შრომის ანაზღაურების კანონები და ა.შ. რომლებიც განსაზღვრავს ეკონომიკურ პროცესებს, ეკონომიკურ წესრიგს. ასევე უნდა ითქვას ეკონომიკურ რეგულირებაში ისეთი რეგულირების შესახებ როგორიცაა ეკონომიკური ინტერესები, მოთხოვნილება, მოთხოვნა, მოწოდება და სხვა.

ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმის და ბერკეტების მნიშვნელოვანი როლი ისაა, რომ ისინი ეკონომიკრი სუბიექტების საქმიანობის ორგანიზაციის ობიექტურ ბაზას ქმნიან. ეკონომიკური სუბიექტები ამ ბაზას იყენებენ ამა თუ იმ ზომით. ობიექტური თვითრეგულირების მექანიზმიც სუბიექტების საქმიანობის მისი შედეგების მიხედვით იქცევა რეალობად. სუბიექტური ობიექტურში გადადის და პირიქით.

ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმს მხოლოდ პირობების ფართო ბაზაზე შეუძლია შეასრულოს მთავარი როლი ეკონომიკის ფუნქციონირებაში.

თვითრეგულირების მექანიზმის დადებითი მნიშვნელობა ისაა, რომ იგი ეკონომიკის სტაბილობის ძირითად წინამძღვრებს ქმნის, რაც საზოგადოების მიზნებს და ინტერესებს შეესაბამება. ამასთან ერთად მას აქვს უარყოფითი მხარეები კერძოდ ის შეიცავს ეკონომიკური დესტაბილიზაციის შესაძლებლობებს, ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების მოთხოვნილებებისადმი წარმოების სრულ შესაბამისობას, უშვებს სტიქიურობისა და ქაოსის ელემენტებს; ნეიტრალურია ეკონომიკური სუბიექტების – მეწარმეთა და დაქირავებულთა ბედისადმი, აგ-

რეთვე ადამიანთა მიმართ ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკურ სამართლიანობას (ეკვივალენტურ გაცვლას), შემოსავლების ობიექტურ განაწილებას სუბიექტებს შორის სათანადო დონეზე. არ რეაგირებს ეკოლოგიურ პრობლემებზე და ა.შ. საერთოდ ეკონომიკური თვითრეგულირების მექანიზმში არ დევს უშუალოდ მიზნობრიობა და სოციალური დეტერმინანტი, ადამიანთა მოთხოვნილებებისადმი წარმოების შედეგების შესაბამისობა, რის გამოც სცილდება სოციალური იმპერატივის მოთხოვნებს. იგი დროულ სიგნალებს ვერ წარმოქმნის ეკონომიკურ პროცესთა მხრიდან, მომავლის მიზნებსა და საჭიროებებზე საკმარისად ვერ რეაგირებს და სხვა.

ამ ხარვეზების შევსების შესაძლებლობა განპირობებულია სწორედ ეკონომიკის ტრანსცედენტური ბუნებით ამოსავალი ფაქტორების თვალსაზრისით, მათი როლით. ეს ხარვეზები უნდა შეავსოს ეკონომიკისგარე, ინსტიტუციურ-სოციალური რეგულირების მექანიზმმა.[1].

ეკონომიკის გარე, ინსტიტუციური სოციალური რეგულირების მექანიზმი შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

– საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, ადამიანთა მენტალიტეტი, ზნეობა, მსოფლხედვა-ადათ-ჩვევები, ტრადიციები, ეროვნული თავისებურებები, რელიგია;

– ფასეულობათა ორიენტაცია (იდეალები), მიზნები, ამოცანები;

– სახელმწიფოს პოლიტიკა, სამართლებრივი აზროვნება, კულტურა, ზნეობრივი მრწამსი.

რეგულირებითი მექანიზმის უშუალო ბერკეტებია:

– სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები (ეკონომიკური, სოციალური, მეცნიერულ-ტექნიკური, ეკოლოგიური, ფისკალური, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და სხვა;

- მეწარმეთა და სხვა ეკონომიკური სუბიექტების ქცევის მოტივები;

– მისწრაფება მოგებისაკენ, შემოსავლებისაკენ, კეთილდღეობისაკენ, ქველმოქმედებისაკენ და სხვა;

---

[1] გიორგი მალაშხია „საქართველოს ეკონომიკა, საუკუნოვანი პანორამის შტრიხები. 2002წ. გვ.217.

– სახელმწიფო სამართლებრივი ნორმები-კანონები, საკანონმდებ-ლო აქტები და სხვა, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკურ სუბიექ-ტთა ქცევის წესებს;

– სახელმწიფო ხელისუფლების ადმინისტრაციული და აღმასრუ-ლებელი ორგანოების საქმიანობა.

საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის დაწყებას გარკვეულწი-ლად საფუძვლად დაედო ხელისუფლების მიერ მიღებული ეკონომიკუ-რი კანონები, საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები, მაგრამ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთაშორისო ორგანიზა-ციებმა- საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ), მსოფლიო ბანკმა, ევროგაერთიანებამ და სხვებმა. მათ მიერ შემუშავებული რეკომენდა-ციები და წინადადებები ძირითადად პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, რუსეთში მიმდინარე რეფორმის ანალოგიური იყო და ნაკლებად ითვა-ლისწინებდა ადგილობრივ თავისებურებებს, ეროვნულ ინტერესებსა და ქვეყანაში შექმნილ რთულ-სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეო-ბას. ქვეყანაში ეკონომიკურ კონვერსიასთან დაკავშირებული მოვლე-ნებისა და პროცესების შესწავლა არ ხდებოდა სისტემური კვლევის მეთოდებით, ზოგადი კანონზომიერებისა და თავისებურებების ინტეგ-რირებულობის კუთხით.

ამრიგად, საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყე-ბული ეკონომიკის კონვერსია, რაც გამოიხატება სისტემურ გარდაქ-მნებში, ინსტიტუციურ, სტრუქტურულ და ა.შ. ცვლილებებში და გარ-კვეული დოზით გამოიწვია ეკონომიკის ლიბერალიზაცია (ფასების აშ-ვება, ვაჭრობის განთავისუფლება ადმინისტრაციული მარწუხებისა-გან და ა.შ.), საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრება და სხვა. უდავოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი გარკვეულ პერიოდში მაგალითად 1991-1995 წლებში, საქართველოში ეკონომი-კური განვითარება დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდის გარეშე. ეკონო-მიკის კონვერსიამ, სასიკეთო ძვრებთან ერთად, მშპ-ის მკვეთრი შემ-ცირება, ინფლაციისა და უმუშევრობის მკვეთრი ზრდა, აქედან გამომ-დინარე, ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა განაპირობა, თუმცა რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესების პარალელურად, სა-ქართველოში გარკვეული ხარვეზებით, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ განვითარებას.

3.4. საკუთრების განსახელმწიფოებრივება, როგორც ინსტიტუციური ბაზის ფორმირების საფუძველი

პოსკომუნისტური გარდამავალი პერიოდის თანმხლები პროცესის ინსტიტუციური გარდაქმნების ძირითადი მიმართულებები, თვით ეკონომიკური რეფორმების კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარეობს და საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური პრინციპებითაა განპირობებული. ახალმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ საბაზრო ურთიერთობებისა და ბიზნესის განვითარებისათვის ჯანსაღი, სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნა. აქედან გამომდინარე უპირველესი პრიორიტეტი რეფორმის საკანონმდებლო- სამართლებრივ უზრუნველყოფას ენიჭება, რომელიც თავის მხრივ ახალი ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციურ უზრუნველყოფასა და შესაბამის კანონთა სისტემის შექმნას გულისხმობს.

ინსტიტუციური რეფორმის შემდეგი ძირითადი მიმართულებაა ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და ფუნქციების ტრანსფორმაცია, სახელმწიფო მმართველობის რადიკალური შეცვლა და საბაზრო პრინციპებთან მისადაგება, სახელმწიფო მართვის ახალი სტრუქტურების (სასამართლო სისტემა ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი კომისიები, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო, გარემოს დაცვის სტრუქტურა და ა.შ.) ჩამოყალიბება და სხვა.

ინსტიტუციური რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საკუთრების განსახელმწიფოებრივება (რასაც თან ახლავს კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრება) და მეწარმეობის განვითარება, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ხელშეწყობა, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბება და ა.შ.

ინსტიტუციური რეფორმების შემადგენელი ნაწილია საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება. საბაზრო ურთიერთობების რთული სისტემა მოითხოვს მის შესაბამის ინფრასტრუქტურას, მასში შედის ცალკეული ბაზრის ფარგლებში მოქმედი სპეციალიზებული ორგანიზაციები. ესენია: საქონლისა და საფონდო ბირჟები, საფინანსო საგადასახადო სისტემის შესაბამისი ინსტიტუტები, ბანკები, სადაზღვეო და საინვესტიციო კომპანიები და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უპირველეს ამოცანად საკუთრების გასახელმწიფოებრივებაა აღიარებული. ეს პროცესი, როგორც საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრების გარანტი მეწარმეობის განვითარების, კონკურენციული გარემოს შექმნისა და ეკონომიკური ზრდის საწინდარია.

საკუთრების განსახელმწიფოებრივება გულისხმობს სახელმწიფო ქონების უსასყიდლო გადაცემას, ან სხვადასხვა პირობით გაყიდვას როგორც შრომით კოლექტივებზე, ისე კერძო პირებზე, აქციონერებზე, საზღვარგარეთულ ფირმებსა და ა.შ. მისი მიზანია წარმოების საშუალებებისა და წარმოების შედეგებისაგან უშუალო მწარმოებელთა გაუცხოების მოსპობა, ბაზრის პოზიტიური შესაძლებლობების აქტივიზაცია და ა.შ. საკუთრების განსახელმწიფოებრივება, როგორც წესი, ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას. უყაირათობისა და კორუფციის დაძლევას. მას ახალი ეკონომიკური სტიმულები შეაქვს შრომით საქმიანობაში, ფართო გასაქანს აძლევს სასაქონლო ფულად ურთიერთობებსა და ზოგად საკაცობრიო ფასეულობებს. ასეთ პირობებში არსებითად იცვლება სახელმწიფოს როლი. იგი გვევლინება არა მხოლოდ როგორც მესაკუთრე და მეურნეობრივი სუბიექტი, არამედ როგორც ეკონომიკის რეგულატორი.

საკუთრების განსახელმწიფოებრივების შედეგად წარმოიქმნება თავისუფალი მეწარმეები, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილნი იყვნენ ინდივიდუალური მეწარმეების, მცირე, საშუალო ან მსხვილი ფირმების სახით.

ორანიზაციულ ფორმებს აქ არა აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია დაცული იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

1. მეურნეობრივი დამოუკიდებლობის მოპოვება, რომელიც შეხამებული იქნება ბაზრის მოთხოვნებთან, რაც თავის მხრივ გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების ჩაურევლად სამოქმედო პროგრამის განსაზღვრას,

2. მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ფასების ფორმირებას,

3. მიმწოდებლისა და მომხმარებლების თავისუფალ არჩევანს,

4. სავალდებულო გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავლების დამოუკიდებლად გამგებლობას,

5. საბოლოო შედეგებისათვის ეკონომიკური პასუხისმგებლობის გაძლიერება.

რაც უფრო სრულყოფილად იქნება დაცული ეს პირობები, მით უფრო მეტია საბაზრო მექანიზმის მეშვეობით ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობები.

საქართველოში საკუთრების განსახელმწიფოებრივებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იქნა პრივატიზაციაზე, როგორც განსახელმწიფოებრივობის ერთ-ერთ ძირითად ფორმაზე. იგი არა მხოლოდ ეკონომიკური არამედ პოლიტიკური აქტიცაა, რომლის განხორციელება ბევრად განსაზღვრავდა საქართველოში ეკონომიკური რეფორმების დაწყებას.

პრივატიზაცია სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნაა პერსონიფიცირებულ კერძო საკუთრებად. ამ დროს ქონების მფლობელი ხდება კონკრეტული პირი.[1].

საბაზრო სისტემაზე გარდამავალ ეკონომიკაში პრივატიზაცია განიხილება, როგორც სახელმწიფო საწარმოების დემონტაჟის საფუძველზე კერძო სექტორის წარმოქმნისა და გაფართოების ხანგძლივი ეკონომიკური სტრატეგია.

საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის საწყის ეტაპზე მისი სტრატეგიული მნიშვნელობა მდგომარეობდა კონკურენციული საბაზრო გარემოს რაც შეიძლება სწრაფად შექმნაში, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ეკონომიკური კრიზისაგან თავის დაღწევა.

საქართველოში მწვავე საბიუჯეტო კრიზისის პირობებში პრივატიზაციის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ბიუჯეტის ხარჯების შემცირება და პრივატიზებულ საწარმოებში ეფექტიანობის ამაღლების გზით საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა. ამის მისაღწევად კი პრივატიზაციასთან ერთად აუცილებელი იყო ბაზრების რეალური ლიბერალიზაციის განხორციელება, სახელმწიფოს მიერ რიგი ბარიერის გაუქმებით წარმოებისა და გასაღების დივერსიფიკაცია.

ბაზრების რეალური ლიბერალიზაცია იწვევს არა მხოლოდ სახელმწიფო მეწარმეობის შეფარდებით შემცირებას, არამედ ეკონომიკის დემონოპოლიზაციასაც, რითაც სახელმწიფო საწარმოები კარგავენ თავიანთ მონოპოლიურ მდგომარეობას ბაზარზე.

---

[1] ასათიანი რ. „საქართველოს ეკონომიკა ახალი ეპოქა“ თბ. 2009 გვ.88

საქართველოში ქონების გასახლმწიფოებრივების პროცესი მიმდინარეობდა ეტაპობრივად. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წლის 15 სექტემბერს მიღებული კანონის საფუძველზე, ქვეყანაში არსებული მთელი ქონება საქართველოს საკუთრებად გამოცხადდა.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე პრივატიზაციის მაშტაბები უპრეცედენტოა. თუ XX საუკუნის 80-იან წლებში მთელ მსოფლიოში პრივატიზებული იყო 6000 საწარმო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მხოლოდ 90-იანი წლების პირველ ნახევარში პრივატიზებულ იქნა 500001 საშუალო და მსხვილი საწარმო.

ნომენკლატურული პრივატიზაციისათვის შემზადება საქართველოში გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან დაიწყო, ხოლო რეალურად განხორციელდა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ეს იყო პრივატიზაციის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი განხორციელდა 1991-1995 წლებში ჰიპერინფლაციის პირობებში. მესამე ეტაპი 1996-2003 წლებში.

2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იწყება პრივატიზაციის პროცესის ახალი მეოთხე ეტაპი. „საკუთრების ხელახალი გადანაწილება“ საკუთრების აღნიშნული ტრანსფორმაციის პროცესში აღსანიშნავია ორი ძირითადი მომენტი: 1. მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სტრატეგიული ობიექტების: საქართველოს რკინიგზის, ენერგო და წყალმომარაგების ქსელის, სახელმწიფო ნაკრძალების, გასხვისების პროცესი, სახელმწიფო საკუთრების წილი დღეს მშპ-ს 8-10%-ია.[1] 2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით მიმდინარეობს კერძო საკუთრების ჩამორთმევის პროცესი აღნიშნულის გამართლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცესი ჩატარდება ობიექტურად.

პრივატიზაციის წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა:

1. მოსახლეობის ფინანსური მზადყოფნა რეფორმებისადმი;
2. სრულყოფილი კანონმდებლობა.

პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმა არსებობს:

---

[1] Kaufmann D Siegelbaum P. Privatizasion and Coruption Trsnsition F conomies of International Affairs 1996 419

1. მთელი საწარმოს მიყიდვა კოლექტივისათვის (პენსიაზე გამსვლელი მოქალაქეების ჩათვლით) გარკვეული შეღავათებით ან მის გარეშე[1];

2. საწარმოს ქონების ნაწილის მიყიდვა, კოლექტივისათვის (შეზღუდვებით ან მის გარეშე), ხოლო დანარჩენის სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება. შედეგად მიიღება საკუთრების შერეული ფორმა;

3. საწარმოს მთელი ქონების (ან ნაწილის) უფასოდ განაწილება კოლექტივისათვის;

4. საწარმოს მთელი ქონების (ან ნაწილის) გაყიდვა ყველა მსურველზე, მაგრამ მოცემული კოლექტივისათვის უპირატესი უფლებით;

5. საწარმოს პრივატიზება აქციების (პ აის) გაყიდვის გზით (კოლექტიური ფორმა)

6. პრივატიზაციის გარდამავალ ფორმად ხშირად გამოიყენება იჯარა-გამოსყიდვის უფლებრივი ურთიერთობები.

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესში გარკვევისათვის აუცილებელია საკუთრების კლასიფიკაცია.

საქართველოს კანონმდებლობით არსებობს საკუთრების შემდეგი ფორმები:

1.კერძო – არსებობს ინდივიდუალური და კოლექტიური სახით;

2. სახელმწიფო – ეროვნული, ფედერაციის სუბიექტის და მუნიციპალური საკითხების სახით;

3. შერეული – საკუთრების ნაწილი სახელმწიფოს ხელშია, ნაწილი კი კერძო საკუთრების ინდივიდუალური ან კოლექტიური სახითაა წარმოდგენილი;

4. პირადი საკუთრება. არსებობს ძირითადად პირადი მოხმარების საგნებზე.

საქართველოში კერძო და საზოგადოებრივ სექტორში ბიზნესის ორგანიზების სამართლებრივი ფორმები 2010 წლისათვის შემდეგი სახითაა წარმოდგენილი.

ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმების მიხედვით (2010 წლის პირველი სექტემბრის) მდგომარეობით სულ იყო 324917 სუბიექ-

[1] ოთინაშვილი რამაზი „საქართველოს ეკონომიკა“ სახელმძღვანელო თბ. 2009წ. გვ. 134

ტის რაოდენობა 1. კომერციული იურიდიული პირები 82952 სუბიექ-ტის რაოდენობა, 2.სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2458, 3.

3.კომანდიტური საზოგადოება 194,

4.შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 77235,

5.სააქციო საზოგადოება 1902,

6.კოოპერატივი 1163,

7. არაკომერციული იურიდიული პირები 22486,

8. ინდივიდუალური საწარმო 220344,

9. ფილიალი, წარმომადგენლობა 6481,

10. საჯარო სამართლის სუბიექტები 3654.

ასევე საინტერესოა საქართველოში ბიზნესის განვითარება საქ-მიანობის სახეების მიხედვით კერძოდ ბიზნესის რეგისტრაცია საქმია-ნობის სახეების მიხედვით 2010 წლის 1 სექტემბრისათვის შემდეგი სა-ხითაა წარმოდგენილი: სულ 324917 სუბიექტის რაოდენობა.

1. სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობაში 3948 სუბიექტის რაოდენობა,

2. თევზჭერა მეთევზეობაში 177 სუბიექტის რაოდენობა,

3. სამთომოპოვებით მრეწველობაში 580 სუბიექტის რაოდენობა,

4. დამამუშავებელ მრეწველობაში 15263 სიბიექტის რაოდენობა,

5. ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილე-ბაში 540 სუბიექტის რაოდენობა,

6. მშენებლობაში 5955 სუბიექტის რაოდენობა,

7. სასტუმროები და რესტორნებში 4765 სუბიექტის რაოდენობა,

8. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 8132 სუბიექტის რაოდენო-ბა

9. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება 3404 სუ-ბიექტის რაოდენობა.[1]

ბიზნესში ახლად რეგისტირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 50.8 ათას ერთეულს ხოლო 2020 წელს 41,5 ათას ერთეულს. სულ რეგისტირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა

[1] საქართველო ციფრებში 2010 წელი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვ.34

2019 წელს შეადგენდა 765.4 ათას ნაზარდ ჯამს, ხოლო 2020 წელს კი 802.0 ათას ნაზარდ ჯამს.

ბიზნეს სექტორში გამოშვებული პროდუქცია 2018 წელს შეადგენდა 86.6 მილიარდ ლარს ხოლო 2019 წელს 109.0 მილიარდ ლარს, იგივე მაჩვენებელი 2020 წელს შეადგენდა 114.3 მილიარდ ლარს.

უცხო სიტყვები

1. პატერნალიზმი - იტალ. (მამობრივი) – 1. მუშების ნაწილის მოსყიდვა „მამობრივი ზრუნვით“ (ხელფასის მომატებით, პრემიებით და სხვა) 2. ნეოკოლონიალიზმის ერთ-ერთი ფორმა მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ეკონომიკური და სხვა „დახმარება“ რომლის მიზანია ამ ქვეყნის დამონება.
2. დირექტივა – ფრან. ზემდგომი ორგანოს სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება აუცილებელია
3. იმპერატივი - ლათ. ბრძანებითი კილო დაჟინებით კატეგორიული მოთხოვნა; ბრძანება. კატეგორიული იმპერატივი (ფილოს) კანტის იდეალისტურ და მეტაფიზიკურ ეთიკაში: აუცილებელი ზნეობრივი ბრძანება, რომელიც თითქოს მუდამ ახლავს გონებას და რომელიც საფუძველია მორალისა.
4. ტრანსცედენტალური - ლათ. რაც საზღვარს სცილდება. 1. იდეალისტურ ფილოსოფიაში:’ ცდის გარეშე არსებული. გამოყენებულ-ლოგიკური
5. დილემა - ბერძ. მსჯელობა ან დასკვნა რომელიც შეიცავს ორ ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია. ისეთი ვითარება როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა.
6. ტოტალური - ფრან. ყოვლისმომცველი საყოველთაო.
7. ვოლუნტარისტული - ვოლუნტარიზმის მიმდევარი. ვოლუნტარიზმი - ლათ. პოლიტიკისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვითნებური, სუბიექტივისტური გადაწყვეტილებანი, რომლებიც

უგულებელყოფენ ობიექტურად არსებულ პირობებსა და კანონ-ზომიერებებს.

8. დოქტრინიორი - ფრან. ამა თუ იმ დოქტროსის ბრმად მიმდევარი.
9. დოქტრინა - ლათ. მეცნიერული ან ფილოსოფიური თეორია სის-ტემა.
10. ბიუროკრატიზაცია- ბიუროკრატიზმის დანგრევა. ბიუროკრატიზ-მი - 1. ექსპლუატატორული სახელმწიფოსათვის დამახასიათებე-ლი მმართველობის სისტემა, რომლის დროსაც ქვეყანას მართავენ ხალხს მოწყვეტილი და გაბატონებული კლასის ინტერესების დამ-ცველი მოხელეები. 2. ფორმალური დამოკიდებულება საქმისადმი, ცხოვრებისაგან მოწყვეტა.
11. დივერსიფიკაცია- ლათ. მრავალფეროვნება.
12. ტრანსცედენტური- ლათ რაც საზღვარს სცილდება. 1. იდეალის-ტურ ფილოსოფიაში : შესძლო ცდის ფარგლებს გარეთ არსებული, შემეცნებისათვის მიუღწეველი. 2. (მათემ) რასაც ალგებრულად ვერ გამოიანგარიშებენ, რაც ალგებრულად არ გამოისახება.

თავი IV

საქართველოს მოსახლეობა და შრომითი რესურსები

4.1. მოსახლეობა და მასთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები

მოსახლეობის ცნებაში იგულისხმება ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც მოცემული ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ და ურთიერთობებს ამყარებენ ერთმანეთთან. მოსახლეობა ადამიანთა ერთობლიობის უბრალო ჯამი არაა.

მატერიალური დოვლათი ბუნებრივ რესურსებთან, ინტელექტუალურ და სოციალურ ფასეულობებთან ერთად ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს წარმოადგენს. მატერიალური წარმოების სფერო მხოლოდ პიროვნული ფაქტორის მონაწილეობით ფუნქციონირებს და სწორედ ამიტომ, ნებისმიერი ქვეყნის მთავარი სიმდიდრე მოსახლეობაა. იგი თვითონ ქმნის, მოიხმარს მატერიალური და სულიერი კულტურის მონაპოვარს. ადამიანი მატერიალური დოვლათის არა, მხოლოდ მწარმოებელი და მომხმარებელია, არამედ მოდგმის გამაგრძელებელიცაა, ამიტომ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის. განსაკუთრებით ისეთი პატარა ერისათვის როგორც საქართველოა.

მოსახლეობა, ისევე როგორც საზოგადოებრივი კვლავწარმოება, მუდმივ განახლებას დ განვითარებას განიცდის. ქვეყნის მოსახლეობის კვლავწარმოებაზე განსაზღვრულ გავლენას ახდენს წარმოების წესი, ხალხის ტრადიციები. ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. მოსახლეობის კვლავწარმოება უშუალოდ გამომდინარეობს დემოგრაფიული პროცესებიდან (შობადობა, გარდაცვალება, ბუნებრივი ზრდა და ა.შ.) დემოგრაფიული პროცესები უშუალოკავშირშია შრომითი რესურსების ფორმირების, მისი თვისებრივი და რაოდენობრივი მხარის განსაზღვრის, რაციონალური დასაქმებისა და სხვა საკითხებთან. ამიტომ მოსახლეობის განვითარების კანონზომიერებათა ანალიზი განიხილება ორი გზით: მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესის ანალიზით და სამუშაო ძალის დასაქმების პრობლემების განხილვით.

დღეისათვის კაცობრიობის ყველაზე მტკივნეულ გლობალურ პრობლემებს შორის, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დემოგრაფი-

ულ პრობლემებს უჭირავს, ამ კუთხით ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

1. მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებში მოსახლეობის ჭარბწარმოება, რომელსაც სხვანაირად „გადამეტმოსახლეობის ბომბს“ უწოდებენ;

2. მსოფლიოს ცალკეულ რგოლებში მოსახლეობის ბუნებრივი აბსოლიტური კლება, რომელსაც ხშირად „დეპოპულაციის ნეიტრონულ ბომბად“ მოიხსენიებენ;

3. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს მოსახლეობა თავდაპირველად იმდენად ნელა მატულობდა, რომ მან ერთ მილიარდს მხოლოდ 1804 წელს მიაღწია, მეორე მილიარდს სულ 123 წელი დასჭირდა, მესამეს - 33 წელი, მეოთხეს-14 წელი, მეხუთეს – 13 წელი, მეექვსეს - 12 წელი. გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით XXI საუკუნეში მსოფლიოს მოსახლეობა თითქმის ყოველ 11 წელიწადში თითო მილიარდით მოიმატებს და 2050 წელს 9 მილიარდ 421 მილიონს მიაღწევს.[1] თანაც, განვითარებულ რეგიონებში მხოლოდ 86 მილიონით, ანუ 6,9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო განვითარებადში 2 მილიარდ 525 მილიონით, ანუ 45,3 %-ით. კონტინენტების მიხედვით კი ასეთი ცვლილებეია მოსალოდნელი. მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზრდება: აფრიკაში 2-ჯერ, აზიაში 32,6 %-ით მ.შ. ინდოეთში 577 მილიონით და მიიაღწევს 1 მილიარდ 748 მილიონ კაცს. ჩრდილოეთ ამერიკაში 41 %-ით.

მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობაში, აბსოლიტური გამოხატულებით მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად აზიის მოსახლეობის ხვედრითი წილი 2,5 და ევროპის 3,4 პროცენტული პუნქტით შემცირდება, ხოლო აფრიკისა 6,5 პროცენტული პუნქტით გაიზრდება. მსოფლიო მოსახლეობა 2022 წლის დასაწყისში შეადგენდა 7.925,559 - ათასს. აფრიკის მოსახლეობა 2022 წლის დასაწყისში იყო 1.394,612 ათასი, ხოლო აზიის 4.705,578 ათასი. ევროპის მოსახლეობამ კი მოცემული წლის დასაწყისში შეადგინა 748,365,559.

მოსახლეობის კვლავწარმოების ტემპი ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვანაირია.

---

[1] 2009 World population qtasheet population Regerense Buzeu. Washinqton 2009.

კავკასია, როგორც გეოსივრცის სახელწოდება პირველად მოხსენიებულია ძვ.წ. VI საუკუნეში, ბერძენი დრამატურგის ესქილეს თხზულებაში „მიჯაჭვული პრომეთე“ კავკასია შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე მხარეა, რომელსაც მთების მაღალი ქედი კავკასიონი ორ ნაწილად ყოფს: ამიერკავკასიად (სამხრეთ კავკასია) და იმიერ კავკასიად (ჩრდილოეთ კავკასია).

სამეცნიერო ლიტერატურაში ბუნებრივი პირობების მიხედვიდაც განასხვავებენ დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიას. პირველი მოიცავს აზოვისა და შავი ზღვის აუზებს, მეორე კასპიის ზღვის აუზს.

კავკასიის თანამედრვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა ძირითადად სამი დიდი რასობრივი ტიპითაა წარმოდგენილი: დასავლეთ-კასპიური და წინააზიური ტიპი. მათში საკმაოდ გარკვევითაა გამოყოფილი ლოკალური ქვეტიპები, რომლებიც მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

კავკასიაში ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი, რომლებიც ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ, ინდოევროპულ და ალთაურ ენობრივ ოჯახთა ენებზე. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტანურ ენათა ჯგუფები, ინდოევროპულ ოჯახთა ენაში შედიან რუსები, უკრაინელები, სომხები და ირანის ჯგუფის ხალხი. ალთაური ოჯახის თურქული ჯგუფების ენებზე ლაპარაკობენ აზერბაიჯანელები, ერთმანეთთან ახლო მონათესავე ყარაჩაელები, ბალყარები, ყულმუხები, ნოღაელები, თათრები, კავკასიის თურქმენები.

კავკასიაში მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ, აგრეთვე ბერძნები, ასირიელები, მოლდოველები, ესტონელები, კორეელები, ბოშები.

კავკასიის მორწმუნე მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტინობას აღიარებს. მართმადიდებლები არიან: რუსები, უკრაინელები, ოსების ძირითადი ნაწილი, ქართველებისა და აფხაზების უმრავლესობა, მოზდოკი ყაბარდოელები, მონოფიზიტები – სომხები, დანარჩენი ხალხის დიდი ნაწილი მუსლიმანებია, მათ შორის ლეკების მცირე ნაწილი – ში-

ტები, სხვები და ნაწილობრივ აფხაზები, ოსები და ქართველები – სუ-ნიტები, ქართველი და მთელი ებრაელები - უდეველები[1].

საქართველოს რელიგიური შემადგენლობა 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით: მართმადიდებელი ქრისტიანები 84,00%, მუსლი-მანები 9,9 %, სომეხი გრიგორიანელები 3,9 %, კათოლიკები 0,8%, არც ერთი 0,6% და სხვები 0,8 %.

მოსახლეობის რიცხოვნობა 2007 წელს იყო 4394,7 ათასი კაცი; 2008 წლისათვის 4382,1 ათასი კაცი, 2009 წლისათვის მან შეადგინა 4385,4 ათასი კაცი, ხოლო 2010 წელს 4436,4 ათასი კაცი. საქართვე-ლოს მოსახლეობა 2022წლის დასაწყისში შეადგენდა 3.976,981 ათას კაცს.

ქალაქის მოსახლეობა 2010 წლისათვის შეადგენდა 2350,5 ათასი კაცი, ხოლო სოფლის მოსახლეობა 2085,9 ათასი კაცი.

მოსახლეობის რაოდენობა რეგიონულ ჭრილში 2010 წლის 1 იან-ვრის მდგომარეობით იყო შემდეგი: საქართველოში 4436,4 ათასი კაცი, ქ. თბილისში 1152,5 ათასი კაცი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 386,9 ათასი კაცი, გურიაში 139,8 ათასი კაცი, იმერეთში 700,4 ათასი კაცი, კახეთში 404,5 ათასი კაცი, მცხეთა-თიანეთში 108,8 ათასი კაცი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 47,6 ათასი კაცი, სამეგრელო-ზემო სვანეთი 474,1 ათასი კაცი, სამცხე ჯავახეთი 211,3 ათასი კაცი, ქვემო ქართლი 499,9 ათასი კაცი, შიდა ქართლი 310, 6 ათასი კაცი.[2]

1989 და 2002 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით შეცვლილია მოსახლეობის ასაკობ-რივი სტრუქტურა: 24,9% დან 20,9 % -მდე მცირდება 15 წლამდე ასა-კის მოსახლეობა, ხოლო 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაო-დენობა მატულობს 8,9 % დან 12,8 % მდე ე.ი საქართველო მოსახლეო-ბის დაბერების მაღალი დონით ხასიათდება. 2005 წელს ამ უკანას-კნელმა 13,3% შეადგინა.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება ქვეყანას მნიშვნელოვანი სოციალუ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე აყენებს (საპენსიო ასა-

---

[1] ბარათაშვილი ნინო „გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგი გვ.300

[2] საქართველო ციფრებში 2010 ბ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსა-ხური

კის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და დასაქმებულთა ეკონომიკური დატვირთვის მატება ეს თავის მხრივ უარყოფითად აისახება ეროვნული შემოსავლის მატებასა და შესაბამისად ცხოვრების დონეზე)

საქართველოში დაფიქსირდა დეპოპულაციის პროცესი. უკანასკნელი წლების განმავლობაში შობადობის მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ შემცირდა. შობადობის შემცირება გამოხატულია ქალთა ყველა ასაკობრივ ჯგუფში განსაკუთრებით კი 20-29 წლის ქალებში, რამაც ხელი შეუწყო დემოგრაფიული დაბერების პროცესის დაჩქარებას.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვით ქვეყანა ნორმალური რეპროდუქციულობის დონეზე ბევტრად დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება 2005 წელს 1,35 ბავშვი ერთ ქალზე. ეს იმ დროს, როდესაც მოსახლეობის აღწარმოებისათვის ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა 2,14 - ნაკლები არ უნდა იყოს.

მოკვდავობის კოეფიციენტმა 2005 წელს 9,9 შეადგინა (ამ მაჩვენებლმა 2004 წელს აშშ-ში შეადგინა 8,3, ბელგიაში 9,8, თურქეთში 6,2, იაპონიაში 8,8, კანადაში 7,3, ფინეთში 9,1, ჩინეთში 6,9) თბილისის მოსახლეობა 2022 წელს 1 მილიონ 80 ათასია.

მოსახლეობის სიმჭიდროვე 2021 წელს შეადგენდა 25 ადამიანს. მოკვდაობის კოეფიციენტი 2021წ. იყო

4.2. მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა

დემოდგრაფია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს – demos ხალხი და grapho ვწერ. ის შეისწავლის მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობის დინამიკას და მოძრაობას (შობადობა, გარდაცვალება, მიგრაცია) დემოგრაფიული პროცესები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე.

საქართველოში ბოლო წლებში ხანგძლივი და ყოვლისმომცველი ეკონომიკური კრიზისის შედეგად მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებამ უმძიმესი გავლენა მოახდინა დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლებზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში შეიქმნა არაორდინალური სიტუაცია, რის გამოც ქვეყანა აღმოჩნდა კრიზისულ მდგომარეობაში, კერძოდ ცხოვრების დონის მიხედვით საქართველო მიეკუთვნება განვითარე-

ბად ქვეყნებს, ხოლო დემოგრაფიული განვითარების ძირითადი მახასიათებლებით კი განვითარებულ ქვეყნებს.[1] აქ ძირითადად იგულისხმება მოსახლეობის კვლავწარმოების დონე.

საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე მოსახლეობის კვლავწარმოების საკითხები არაერთხელ იდგა დღის წესრიგში, რადგან ერის გამრავლების საკითხს პატარა ქვეყნისათვის ეროვნული მნიშვნელობა აქვს.

მოსახლეობის კვლავწარმოება, მისი ზრდა დამოკიდებულია შობადობისა და მოკვდავობის კოეფიციენტებზე.

შობადობის დინამიკა საქართველოში, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით შეადგენდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში 35-40 ბავშვს; 1913 წელს 28-ს; 1960 წელს 24,7-ს; 1990 წელს 17,1-ს, ხოლო 2009 წელს კი ჩამოვიდა 11 პრომილამდე-მდე.

ასეთი ტენდენცია მხოლოდ ქართული მოვლენა კი არა, გლობალური კანონზომიერებაა.

საქართველო გამოირჩევა არა მარტო შობადობის კლების ტემპით, არამედ შობადობის ფრიად დაბალი დონითაც. ამ მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩება არა მარტო ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ (22%), მით უმეტეს ძალიან სუსტად განვითარებულ რეგიონებს (35%), არამედ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ რეგიონებსაც (12%)

მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებთან ერთად, საქართველოშიც შობადობის კლების პროცესის დაწყება და მისი თანდათანობით გაღრმავება განაპირობა წინა ეტაპებთან შედარებით, ოჯახის ფუნქციების ძირეულმა ტრანსფორმაციამ, ურბანიზაციამ, ქალთა ემანსიპაციამ, ბავშთა ინტელექტუალური აღზრდისადმი წაყენებულმა გაზრდილმა მოთხოვნებმა, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციამ.

სოციალური გამოკვლევების მონაცემებით, საქართველოში რესპოდენტთა 4% ერთ ბავშვს მიიჩნევს ოჯახში ბავშვთა სასურველ რაოდენობად, 52% ორს და მხოლოდ 35% სამ ბავშვს.

საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გამწვავებაზე მეტყველებს ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირებაც. ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით იგი 1980 წელს შეადგენდა 10-ს, ხოლო 2007

[1] ჯანხოთელი გრიგოლი „საქართველოს ეკონომიკა (ისტორია, რეალობა, პერსპექტივა) თბ.2007 გვ.81

წელს 5,7-ს. 2020 წელს 4,4 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქორწინების ცერემონიალი, არც თუ ისე იშვიათად მთავრდება საეკლესიო ჯვრისწერით და არ რეგისტრირდება იურიდიულად.ქორწინებათა რაოდნობამ 2020წელს შეადგინა 16359 ათასი, განქორწინებულთა რაოდენობამ კი 7643 ერთეული.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი ნეგატიური მაჩვენებელი, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მაღალი ხვედრითი წილი. 1980 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 4,7% იყო, 1990 წელს 18,2, ხოლო 2006 წელს 54,4%, 2008 წელს 34,3%1.

ის ფაქტი, რომ მოკვდაობა 1960 წელთან შედარებით 2009 წელს მცირდება. მსოფლიოში საშუალოდ 7პრომილით, ამერიკაში 8, აზიაში 10, აფრიკაში 10,8 პრომელით, ხოლო საქართველოში გაიზარდა 2,5 პრომელით.[1].

საქართველოსი 2021 წელს დაბადებულთა რიცხოვნობამ შეადგინა, 21,839, ხოლო გარდაიცვალა 25,821 ადამიანი.

მოკვდაობაზე მოქმედ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია სამედიცინო მეცნიერების განვითარება, ორგანიზმის საფუძვლიანი შესწავლა, მისი მკურნალობის საშუალებების სრულყოფა. პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლა, საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება. თავისუფალი დროის გამოყენების ორგანიზაცია. ცხოვრების დონე და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა.

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა ურთიერთ შეჯამებით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე, ე.ი. იმის შესახებ, იზრდება იგი თუ მცირდება. როცა შობადობა აღემატება მოკვდაობას და ეს თანაფარდობა სტაბილურია, საქმე გვაქვს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებასთან და პირიქით, როცა მეტი იხოცება, ვიდრე იბადება, აშკარაა მოსახლეობის ბუნებრივი კლება, ანუ დეპოპულაცია. ჩვენს ქვეყანაში რამდენადაც შობადობა სწრაფი

[1] ჩიქავა ლეო „საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი მსოფლიო მოსახლეობის აღწარმოების საერთო კანინზომიერებათა შუქზე“. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის „მოამბე XIII XIV თბ. 2010 გვ.27

ტემპით ეცემა, ხოლო მოკვდაობა სტაბილურია, ცხადია მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები თანდათანობით კლებულობს და უახლოვდება დეპოპულაციის ზღვარს. მოკვდაობის კოეფიციენტი 2020 წელს საქართველოში 13,6% შეადგენდა,ხოლო შობადობის კოეფიციენტი კი 12,5%-ს.

თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან დილემად მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას მიიჩნევენ. იგულისხმება მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ხანდაზმულთა მაღალი ხვედრითი წილი. გაეროს კლასიფიკაციით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 65 წლისა და უხნესი ასაკის პირთა ხვედრითი წილი თუ 4%-ზე დაბალია, იგი ახალგაზრდაა, თუ 4-7 %ის ფარგლებშია სიბერის ზღვრამდე იმყოფება, ხოლო თუ 7%-ს და მეტს შეადგენს, დემოგრაფიულად დაბერებულია. ცხადია, რაც უფრო აღემატება მით უფრო მეტადაა დაბერებული.[1]

2009 წლის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სიბერის მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ აღემატება მთელი მსოფლიოს მოსახლეობის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს.

მოსახლეობა მსოფლიოში, ყველა რეგიონსა და ყველა ქვეყანაში დემოგრაფიულად ბერდება ე.ი. ეს პროცესი გარდაუვალია, რამდენადაც მისი განმსაზღვრელი ორივე ფაქტორი (შობადობის კლება და სიცოცხლის ხანგძლივობის ზრდა) თანდათანობით ძლიერდება.

დემოგრაფიული პროცესების ანალიზისათვის გამოიყენება არა აბსოლიტური დაბადებულობის ან გარდაცვლილთა რიცხვი, არამედ დაბადებულთა კოეფიციენტი (კდ) და სიკვდილიანობის კოეფიციენტი (კს).

კერძოდ დაბადებულთა კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით

$$(\text{კდ}) = \frac{\text{წელიწადში დაბადებულ ბავშვთა რიცხვი}}{\text{მოსახლეობის რიცხოვნობასთან, საშუალოდ წელიწადში}} \times 1000$$

სიკვდილიანობის კოეფიციენტი

[1] წულუკიძე გ, მაღლაკელიძე ა, ვადაჭკორი ა, საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2008 თბ. 2009 გვ. 51.

$$(\text{კს}) = \frac{\text{წელიწადში გარდაცვლილთა რიცხვი}}{\text{მოსახლეობის რიცხოვნობასთან, საშუალოდ წელიწადში}} \times 1000$$

კოეფიციენტები ასახავენ დაბადებულთა ან გარდაცვლილთა რაოდენობას, რიცხვს ყოველ 1000 მაცხოვრებელზე წელიწადში და გამოისახება პრომილებში (%). მოსახლეობის ყოველწლიურ მატებას პროცენტებში ახასიათებს მაჩვენებელი, მოსახლეობის მატება[1].

თანამედროვე პერიოდში დასავლეთ ევროპაში ბევრი ქვეყანა (მათ შორის ავსტრია, გერმანია, ესპანეთი, იტალია)[2] ხასიათდება დაბალი დაბადებულობის კოეფიციენტით, რაც შეეხება საქართველოს შობადობა, მოკვდაობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება დინამიკაში ასეთ სურათს იძლევა: 2000 წლისათვის მოსახლეობის 1000 კაცზე შობადობის კოეფიციენტი იყო 11,0 მოკვდაობის კოეფიციენტი 10.7, ბუნებრივი მატება 0,3; 2005 წლისათვის შობადობა 10,7; მოკვდობა 9,9; ბუნებრივი მატება 0,8; 2008 წლისათვის შობადობა 12,9; მოკვდაობა 9,8; ბუნებრივი მატება 3,1 1 ჩვენს ქვეყანაში მაღალია ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი კერძოდ ის 2000 წელს შეადგენდა 22,5; 2005 წლისათვის შემცირდა და შეადგინა 19,7; 2008 წლისათვის 17,0. მართალია დინამიკაში მცირდება, მაგრამ მაინც მაღალია[3].

4.3. ადამიანური კაპიტალი

ადამიანური კაპიტალის თეორია, როგორც ეკონომიკური ანალიზის დამოუკიდებელი მიმართულება XX საუკუნის 50-60 იან წლებში ჩამოყლიბდა. ადამიანისეული კაპიტალის თეორიის შემუშავებისათვის და კვლევისათვის თეოდორ შულცს 1979 წელს და გარი ბუკერს 1992 წელს მიენიჭათ ნობელის პრემია. გ. ბეკერის წიგნში „ადამიანისეული კაპიტალი“ რომელიც 1964 წელს გამოიცა აღნიშნულია, რომ საწარმოო ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შრომის პროცესში მუშაკის ძალისხმევაზე. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენი-

[1] ჩიქავა ლეო „მოამბე“ მე-12 მე-14 თბ. 2010 გვ.28
[2] Демографический Энциклопедический словар м. 1985 с.117
[3] სტატისტიკური წელიწადეული 2009 გვ.26

ჭება მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პროგრესს, რომელიც რადიკალურად აფართოებს ადამიანის პოტენციალურ შესაძლებლობებს, მის საქმიანობაში ინტელექტუალური კომპონენტების პრიორიტეტული განვითარების საფუძველზე მძიმე და შრომატევადი ფიზიკური ძალისხმევის მკვეთრი შემცირებისას, რაც იწვევს ადამიანური და შრომითი რესურსების სტრუქტურის არსებით ცვლილებას.

ადამიანისეული კაპიტალი არის ცოდნის, უნარ-ჩვევების, მოტივაციების მარაგი, რომელიც თითოეულს გააჩნია. უფრო ზუსტად კი ადამიანისეული კაპიტალის ქვეშ იგულისხმება მუშაკის ყველა საწარმოო მახასიათებლების ერთობლიობა, ე.ი. ეს ცნება მოიცავს შეძენილ ცოდნას, უნარჩვევებს, აგრეთვე მოტივაციას და ენერგიას, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური დოვლათის წარმოებისათვის. მისი ფორმირება, ფიზიკური და ფინანსური კაპიტალის დაგროვების მსგავსად, მოითხოვს მიმდინარე მოხმარებისაგან სახსრების დაზოგვას მომავალში დამატებითი შემოსავლის მისაღებად. ადამიანში ინვესტიციების ძირითად ფორმებს მიეკუთვნება: განათლება, ჯანდაცვა, ბავშვთა გაჩენა და აღზრდა, აგრეთვე დანახარჯთა მთელი კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის წარმოებისათვის მომზადებასთან. ფიზიკური კაპიტალის მსგავსად მისი ფორმირება მოითხოვს, როგორც თვით ადამიანისაგან, ისე მთლიანად საზოგადოებისაგან მნიშვნელოვან დანახარჯებს. ისინი შეუძლებელი გახდებოდა, თუ კი არ უზრუნველყოფდნენ მისი მფლობელისათვის უფრო მაღალი შემოსავლის მიღებას. ამრიგად, ადამიანისეული კაპიტალი განიხილება როგორც მარაგი, რომელიც შეიძლება დაგროვდეს და მომავალში უფრო მაღალი შემოსავლის წყარო გახდეს, ამიტომ ადამიანში დაბანდების სწრაფი ზრდა დაკავშირებულია მოსალოდნელ მაღალ შემოსავალთან.

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის მეშვეობით ადამიანში დაბანდებები განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის წყარო.

განათლების წვლილის რაოდენობრივი შეფასებისას დადგენილი იქნა, რომ ოცი საუკუნის განმავლობაში ადამიანისეული კაპიტალის დაგროვება წინ უსწრებდა ფიზიკური კაპიტალის დაგროვების ტემპებს. ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორიცაა: ჰონკონგი, სინგაპური, სამხრეთ კორეა ადასტურებს, რომ განათლებასა და ჯანდაცვა-

ზე ინვესტირება ეკონომიკური განვითარების ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა.

ადამიანისეული კაპიტალის თეორიაში, ჩადებულმა იდეებმა სერიოზული ზეგავლენა მოახდინეს სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მისი მეშვეობით შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ადამიანში ინვესტირებასთან. მათში მოიაზრება ინვესტიციები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო ეფექტს, ამასთან, თავისი ბუნებით გრძელვადიანს. ამან უზრუნველყო განათლებისა და კადრების მომზადების სისტემის დაჩქარებული განვითარების თეორიული დასაბუთება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

საქართველოში სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით 2009-2010 სასწავლო წელს პროცენტებში, შემდეგ სურათს იძლევა: განათლებაზე 2,5%, ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება 18,4 %, სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი 42,0%, მეცნიერება 9,3 %, საინჟინრო დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები 9,7%, სოფლის მეურნეობა 3,5%, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 11,8%, მომსახურების სფერო 2,9%.

საქართველოში 2019 წელს 28740 სტუდენტმა გადალახა მინიმალური კონპეტენციის ზღვარი, 2020-2021 წლებში უცხოეთში გაგზავნილი სტუდენტები სახელმწიფო სასწავლებლებიდან შეადგენდა 181, ხოლო კერძო სასწავლებლებიდან 108. 2016-2017 წლებში სახელმწიფო სასწავლებლებში სტუდენტთა რიცხოვნბობა(იგულისხმება ყველა საფეხური),იყო 91700 სტუდენტი, ხოლო კერძო სასწავლებლებში 50000 სტუდენტი. 2017-2018 წლებში სახელმწიფო სასწავლებლებში იყო 94000 სტუდენტი, ხოლო კერძო სასწავლებლებში 51 800 სტუდენტი.

4.4. შრომითი რესურსები

ადამიანის ლოგიკა რადიკალურად განსხვავდება შრომის ლოგიკისაგან იმისათვის,რომ მოვახდინოთ მუშაკის ორიენტირება მიღწევებზე, საჭიროა იგი განვიხილოთ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ფლობს სპეციფიკურ ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს,თვისებებსა და შეზღუდვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომითი

რესურსები განიხილება, როგორც ადამიანური ინდივიდების ერთობლიობა, რომელიც სხვა რესურსებისაგან განსხვავებით ისეთ თვისებებს ფლობს, როგორიცაა პიროვნული მახასიათებლები; ნაციონალური კუთვნილება, უნარი თვითონ განსაზღვროს იმუშაოს თუ არა და თუ უნდა იმუშაოს, მაშინ რამდეხანს და რამდენად გულმოდგინედ. სხვა სიტყვებით ადამიანურ რესურსებს სჭირდებათ პასუხისმგებლობა, მოტივაციის, კუთვლების გრძნობა, მატერიალური სტიმულირება და დაჯილდოება, ლიდერობა სტატუსი და ფუნქციები.

შრომითი პოტენციალი – ეს შრომის შესაძლებელი რაოდენობა და ხარისხია, რომელსაც ფლობს საზოგადოება (შრომითი კოლექტივი) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მოცემულ დონეზე.

შრომითი პოტენცილის კომპონენტები უნდა ახასიათებდეს საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობის მონაწილეობის ფსიქო – ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს. ახალი იდეების მეთოდების წარმოსახვების გენერალიზაციის შესძლებლობებს, ქცევის რაციონალობას, ცოდნისა და სიახლის არსებობას, განსაზღვრულ ვალდებულებებსა და სამუშაოს აუცილებელ შესრულებისას, შრომის ბაზარზე წარდგენას, მოყვანილ ასპექტებს შეესატყვისება შრომითი პოტენციალის შემდეგი კომპონენტები. იხ.სქემაი 4.4.1.

შრომითი პოტენციალის მახასიათებლები

ანალიზის ობიექტები და მათი შესაბამისი მაჩვენებლები			
შრომის პოტენციალის კომპონენტები	ადამიანი	საწარმო	საზოგადოება
ჯანმრთელობა	შრომის უნარიანობა სამუშაოზე ავადმყოფობის გამო გაცდენები	ავადმყოფობისა და ტრამვების გამო სამუსშაო დროის დაკარგვა. ხარჯები პერსონალის ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის	სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობა. ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე. ასაკობრივი სიკვდილიანობა

	გარშემომყოფ-თა შორის ურ-თიერთობები	თანამშრომლებს შორის ურთიერ-თკავშირი. კონ-ფლიქტების გამო დანაკარგები თაღ-ლითობა	ურთიერთობები ინ-ვალიდებთან, ბავ-შვებთან, მოხუცებ-თან დანაშაულ,სო-ციალური ძალადო-ბა
შემოქ-მედები-თი პო-ტენციალი, აქ-ტიურობა	შემოქმედებითი შესაძლებლობა-ნი მისწრაფება ნიჭის რეალიზა-ციისათვის	გამოგონებების პა-ტენტების რაციო-ნალიზატორული წინადადებების რა-ოდენობა ერთ მო-მუშავეზე ახალი ნაკეთობები.	შემოსავლები საავ-ტორო უფლებიდან პატენტების და სა-ერთაშორისო პრე-მიების რაოდენობა ქვეყნის ერთ მოსახ-ლეზე. ტექნიკური პროგრესის ტემპი
ორგანი-ზება	მოწესრიგებუ-ლობა, რაციო-ნალურობა, დისციპრინილე-ბულობა, ვალ-დებულობაკე-თილსინდიდიე-რება	დისციპლინის დამ-რღვევთა მხრიდან დანაკარგები, სი-სუფთავე შესრუ-ლებადობა. ეფექ-ტური თანამშრომ-ლობა	კანონმდებლობის ხარისხი გზებისა და ტრანსპორტის ხა-რისხი. კანონებისა და მოლაპარაკებე-ბის გათვლისწინება
განათ-ლება	ცოდნა. წლების რაოდენობა სკოლასა და უმაღლეს სას-წავლებლებში	მუშაკთა საერთო რაოდენობაში უმაღლესი და სა-შუალო განათლე-ბულთა წილი. პერ-სონალის ხარჯები კვალიფიკაციის ამაღლებაზე	სწავლების საშუა-ლო ხანგძლივობა სკოლებსა და უმაღ-ლეს სასწავლებ-ლებში სახელმწიფი ბიუჯეტში სწავლის ხარჯების წილი
პროფე-სიონა-ლიზმი	კვალიფიკაციის დონე. განსწავ-ლულობა	პროდუქციის ხა-რისხი ქორწინები-დან დანაკარგები	შემოსავლები ექ-სპორტიდან ავარიი-დან დანაკარგები
სამუშაო დროის რესურ-სები	წლის განმავ-ლობაში დაკავე-ბულობის დრო	თანამშრომელთა რაოდენობა ერთი თანამშრომლის სა-მუშაო საათების რაოდენობა წლის გა ნმავლობაში	მოსახლეობის შრო-მისუნარიანობა. და-კავებულთა რაოდე-ნობა უმუშევრობის დონე, წლის განმავ-ლობაში საათების დასაქმებულთა რა-ოდენობა

ამ კომპონენტების მახასიათებელი მაჩვენებლები შეიძლება ეკუთვნოდეს, როგორც ცალკეულ ადამიანს, სხვადასხვა კოლექტივს, მათ შორის საწარმოს პერსონალის და ქვეყნის მოსახლეობას მთლიანად

განასხვავებენ შრომითი პოტენციალის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს მნიშვნელოვან რაოდენობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს მოსახლეობის რიცხოვნობა, რომელიც განისაზღვრება, როგორც საშუალო წლიური რიცხოვნობა, მიღებული კერძო გათვლებისგან თითოეული მათგანი მიეკუთვნება დროის განსაზღვრულ მომენტს.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის მოსახლეობა განიხილება სხვადასხვა ასპექტის ინტერესების კუთხით:

1. ძირითადში მისგან წარმოიქმნება კადრები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაში იქნებიან ჩართულნი;
2. მათგან ყალიბდება საქონლისა და მომსახურების მომხმარებელთა კონტიგენტი;
3. წარმოქმნიან სოციალურ გარემოს, რომელშიც ხორციელდება ეკონომიკური მოღვაწეობა საბაზრო ურთიერთობების პირობებში.

განსაზღვრული მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირებისათვის აქვს მოსახლეობის დინამიკის მაჩვენებელს. პოზიტიურად ითვლება მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტენდენცია. ის განაპირობებს ქვეყნის პროგრესულ განვითარებას. მაცხოვრებელთა რიცხვის შემცირება განაპირობებს და მიუთითებს ეკონომიკური ცხოვრების უძრაობაზე, დასახლებული პუნქტების დეგრადაციაზე, მოსახლეობის დაბერებაზე.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა დინამიკაში 2000 წლიდან 2009 წლამდე შემდეგ სურათს იზლევა: კერძოდ 2000 წელს ის შეადგენდა 4435,2 ათას კაცს მათ შორის ქალაქად 2308,2 ათას კაცს, ხოლო სოფლად 2127, 0 ათას კაცს. ე.ი. პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 52%, ხოლო სოფილი მოსახლეობა 48%.

2005 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობა შემცირდა და შეადგინა 4321,5 ათასი კაცი მათ შორის ქალაქის 2257,5 ათასი კაცი, სოფლის 2064,0 ათასი კაცი, პროცენტულად ქალაქის მოსახლეობამ მთელ მოსახლეობაში შეადგინა 52,2 %, ხოლო სოფლის მოსახლეობამ შეადგინა

47,8%, რაც შეეხება 2009 წელს ამ პერიოდში ქვეყნის მოსახლეობამ შეადგინა 4385, 4 ათასი კაცი, მათ შორის ქალაქად მცხოვრებელთა რიცხვი შეადგენდა 2309, 1 ათას კაცს, ხოლო სოფლის 2076, 3 ათას კაცს. პროცენტულად ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 52,7%, ხოლო სოფლის მოსახლეობა 47,3%.

შრომითი პოტენციალი რაოდენობრივად ხასიათდება დემოგრაფიული ფაქტორებით, რომლის შემადგენლობაში შედის ბუნებრივი მატება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა აგრეთვე შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი, მის აქტიურ ასაკში. უკანასკნელი მაჩვენებელი ასახავს შრომის რესურსებს, რომელსაც განაგებს ქვეყნის ეროვნული მეურნეობა დროის განსაზღვრულ პერიოდში.

საქართველოს შრომით რესურსებს მიეკუთვნება:

1. მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში – მამაკაცები 16-64 წლის ასაკში და ქალები 16 დან 59 წლამდე, არა მომუშავე შრომის და პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდების და პენსიაზე გასული პირების გამოკლებით;

2. საზოგადოებრივ წარმოებაში დაკავებული შრომისუნარიან ასაკის ხანდაზმული და ახალგაზრდა მოსახლეობა.

ადამიანი წარმოადგენს საზოგადოების მთავარ საწარმოო ძალას, რომელსაც შესწევს უნარი მოახდინოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ადამიანი ერთი მხრივ განიხილება, როგორც მატერიალური დოვლათის მწარმოებელი და მეორე მხრივ ამ სიკეთის ან დოვლათის მომხმარებელი.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა – ეს არის პირები, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის გაზომვისათვის დადგენილ ასაკში, რომლებიც განხილულ პერიოდში ითვლებიან დასაქმებულად ან უმუშევრებად. უმუშევრები – ეს არიან პირები, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის დადგენილი ზომის ასაკში, რომლებიც განხილულ პერიოდში აკმაყოფილებდნენ ერთდროულად შემდეგ კრიტერიუმებს: არ ჰქონდათ სამუშაო, ეწეოდნენ სამუშაოს მოძიებას, ე.ი. აკითხავდნენ დასაქმების სახელმწიფო ან კომერციულ სამსახურებს. იყენებდნენ ან ათავსებდნენ განცხადებას პრესაში, თანმიმდევრულად აკითხავდნენ სამუშაოს მიმწოდებლებს ან ორგანიზაციის ადმინისტრაციას, იყენებდნენ პირად კავშირებს და ა.შ. ან ღებულობდნენ გადაწყვეტილებას,

ახდენდნენ საკუთარი საქმის ორგანიზაციის მცდელობას, იყვნენ მზად დაეწყოთ განსაზღვრულ პერიოდში სამუშაო.

ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს საბაზრო წარმოებას. საბაზრო წარმოება მოიცავს საქმიანობას ქარხნებში, ფაბრიკებში, ფერმებში, მაღაზიებში, საოჯახო საწარმოებში და ა.შ. სადაც იწარმოება საქონელი და მომსახურება შემდგომში ბაზარზე გასაყიდად. საბაზრო წარმოება მოიცავს აგრეთვე საქმიანობას სახელმწიფო და სხვა სოციალურ და კულტურულ დაწესებულებებში, რომელთა პროდუქტიც შეიძლება არ იყოს გაყიდული ბაზარზე.

არა საბაზრო წარმოება თავის მხრივ მოიცავს საქმიანობის ოთხ ჯგუფს:

1. საკუთარი მოხმარებისათვის პირველადი პროდუქციის წარმოებას;
2. საკუთარი მოხმარებისათვის პირველადი პროდუქციის გამოშვებას თვით მეწარმეთა მიერ;
3. საკუთარი საჭიროებისათვის ძირითადი ფონდების წარმოებას;
4. საკუთარი საჭიროებისათვის არა პირველადი პროდუქტების წარმოებას, რომლებიც შეიძლება გატანილი იქნენ აგრეთვე ბაზარზე გასაყიდად.[1]

უმუშევარი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მკაცრი კრიტერიუმით 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მზად არის დაიწყოს მუშაობა და ეძებს სამუშაოს.

უმუშევარი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შერბილებული კრიტერიუმით – 15 და მეტი წლის ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაეწურა მისი შოვნის იმედი, მაგრამ შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას.

სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მიმართულებებს:

1. მოსახლეობის თვითდასაქმების და სახელმწიფოს მხარდაჭერის მცირე ბიზნესში;

---

[1] სტატისტიკური წელიწადეული 2009 გვ.41

2. ასაკობრივი დაუსაქმებელ მოსახლეობისათვის არასასწავლო ცენტრების ქსელის შექმნას, პროფესიული მომზადების და გადამზადების კუთხით;

3. მოსახლეობის დასაქმების ზემოქმედების ფონდების ფორმირება.

მთავარ მიმართულებად დასაქმების პრობლემების გადაწყვეტაში უნდა გახდეს ქვეყანაში საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა და მასიური უმუშევრობის არ დაშვება. შრომითი პოტენციალის ხარისხი ვლინდება შრომისუნარიანი მოსახლეობის ხარისხობრივ მახასიათებლებში, როგორიცაა შრომითი რესურსების მედიკო ბიოლოგიური, პროფესიულ-კვალიფიციური, სოციალური, ფსიქოლოგიური, იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური. შრომითი პოტენციალის შემადგენლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რა ელემენტებისაგან ჩამოყალიბდა და როგორი თანაფარდობითაა ისინი წარმოდგენილი. მოსახლეობა,როგორც რთული პოლისტრუქტურული სისტემა შეიძლება აღწერილ იქნას რამდენიმე სტრუქტურით შესაბამისად თუ რა ნიშნებით გამოიყოფა ადამიანთა ჯგუფები, აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის შემდეგი სტრუქტურები: დასახლებითი, დემოგრაფიული, ეთნიკური, სოციალური.

დასახლებითი (ურბანული) სტრუქტურა გამოხატავს მცხოვრებელთა განაწილებას სხვადასხვა ტიპის და ზომის დასახლების პუნქტებით, პირველ რიგში ქალაქისა და სოფლის დასახლების კუთხით.

დემოგრაფიული სტრუქტურა მოსახლეობის თანაფარდობის დახასიათებას გვაძლევს სქესისა და ასაკის, ასევე ოჯახის სხვადასხვა შემადგენლობისა და ზომის მიხედვით.

ეთნიკური (ნაციონალური) სტრუქტურა გვიჩვენებს მოსახლეობის განაწილებას ეროვნების მიხედვით (ეთნიკური დაქვემდებარებით)

სოციალური სტრუქტურა მოსახლეობის განაწილებას მოიცავს სოციალური ჯგუფების (ფენების) მიხედვით.

საქართველოში 62 დიდი და პატარა ქალაქია სადაც 2009 წლისათვის მთლიანი მოსახლეობა შეადგენდა 2309,1 ათას კაცს, რაც საქართველოს მოსახლეობის 52,7% შეადგენს ე.ი. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქალაქად არის წარმოდგენილი.

დემოგრაფიული სტრუქტურის მიხედვით 2009 წელს საქართვე-

ლოს მოსახლეობაში მამაკაცების რიცხვი შეადგენდა 2080,8 ათას კაცს, ხოლო ქალების 2304,6 ათას კაცს. ქორწინებათა რიცხვი 2008 წლისათვის შეადგენდა 31,4 ათას, განქორწინებულთა რიცხვი 3,2 ათას. შესაბამისად ქორწინების კოეფიციენტი მოსახლეობის 1000 კაცზე შეადგენდა 7,2; ხოლო განქორწინებულების კოეფიციენტი 0,7.

ეთნიკური სტრუქტურის მიხედვით 2002 წელს საქართველოში შემდეგი სურათი ისახებოდა: ქართველები მთელი მოსახლეობის 83,8% შეადგენდა, აფხაზები 0,1%-ს; ოსები 0,9%-ს; რუსები 1,5%-ს; უკრაინელები 0,2%-ს; აზერბაიჯანელები 6,5%-ს; სომხები 5,7%-ს; ებრაელები 0,1%-ს, ბერძნები 0,3%-ს, ქურთები 0,5%-ს.[1].

იმიგრანტთა რიცხოვნობა 2020წელს89996კაცი იყო,ხოლო ემიგრანტთა რიცხოვნობა კი 74264 კაცი.

4.5 კულტურა და საზოგადოება

ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის დახასიათებისათვის მიზანშეწონილია გამოვყოთ „მენტალიტეტის“ გაგება. მენტალიტეტი უნდა გავიგოთ, როგორც მსოფლიო აღქმის სპეციფიკური მდგრადი საშუალება, რომელიც ადამიანთა დიდი ჯგუფების მახასიათებელია (ეთნოსი, სოციალური ფენები)

მენტალიტეტისათვის დამახასიათებელია:

1. არარეფლექტურობა, გამოვლინების სტერეოტიპურობა (რეაგირების ქვეცნობიერი ხასათი);
2. მაღალი მდგრადობა, დაუქვემდებარობა სახელმწიფოს, ან სხვა სოციალური ინსტიტუტების მხრიდან ძირეული ცვლილებების მცდელობას.

საბაზრო მენტალიტეტი თანმხვედრია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მოსახლეობისათვის და ახასიათებს მათი ქცევის ინტერესების წრესა და ნორმებს.

კულტურის სოციოლოგიის პრობლემატიკა საზოგადოებაში კულტურულ ღირებულებათა ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებების, კულტურის განვითარების ტენდენციებზე სოციალურ-ეკონომი-

[1] სტატისტიკური წელიწადეული 2009 გვ.22

კური ფაქტორების ზემოქმედებას და საერთოდ, კულტურისა და საზოგადოების ურთიერთგავლენას განაპირობებს.

კულტურისა და საზოგადოების ურთიერთგავლენის საკითხი, როგორც სოციუმის, ისე კულტურის ფენომენი ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფციის ორგანოტროპიზმის მსოფლმხედველობის ფონზე განხილულია ქართველი ფილოსოფოსის ხელოვნებათმცოდნე კონსტანტინე კაპანალის შეხედულებებში. (კაპანელი, ნამდვილი გვარი ჭანტურია დაიბადა სოფელ კაპანში, აბაშის რაიონი 1889 წლის 5 მაისს, გარდაიცვალა 1952 წლის 10 დეკემბერს დაამთავრა საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტი). კაპანელისათვის კულტურა მთელი თავისი მრავალფეროვნებით იმ სოციალიზებულ გარემოს შესაფერის ელფერს ატარებს, რომელშიც აღმოცენდა და ვითარდება. მისი აზრით „ყოველი ხალხის ეკონომიკური ცხოვრება და კულტურა იშლებიან და იზრდებიან სოციალური მდგომარეობის მიხედვით. გადაადგილებულია არა მარტო ფიზიკური ყოფა, არამედ ყოფა სულიერიც. სოციალური მდგომარეობა ერთგვარი თერძია სულიერებისა და მისი ფილოსოფიური ილუზიების, მეცნიერებისა და ხელოვნების, იგი მოკარნახეა იდეალებისა და ზრახვების, კანონმდებელია მორალისა და გემოვნების; იგი ამოძრავებს წუთისოფლად ჩვენს სურვილებს“[1].

თავის ნაშრომში – „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები, ორგანოტროპიზმში“ კაპანელი აღნიშნავს, რომ უდიდესი კულტურა, მხოლოდ ტროპული განცდის თანადანაწყობებაა: სული ჩვენი იხედება წუთისოფლად სოციალურ-ტროპული ინტერესებისა და საჭიროების თვალებით. სისტემები, პრინციპები, კანონები და იდეალები განსხვავებულია ტროპული კუთხური ილუზიებით.[2]

სისტემაში „კულტურა და საზოგადოება“ კაპანელი განიხილავს ორგანოტროპული მიმართების ფორმას, გეოგრაფიული მდგომარეობის გავლენას კულტურის წარმოშობისა და განვითარებაზე, ანუ საკითხს იმის შესახებ თუ რამდენად განაპირობებს საზოგადოების არსებობისა და ფუნქციონირების გეოგრაფიული პირობები ამ საზოგადოების წიაღში შექმნილი კულტურის რაობას.

კაპანელის შეხედულებები უახლოვდება სოციოლოგიაში საკმაოდ

---

[1] კაპანელი კ. „ფილოსოფიური შრომები“ თბ. უნივერსიტეტი 1989 წ. გვ 299

[2] კაპანელი კ. „ფილოსოფიური შრომები“ თბ. უნივერსიტეტი 1989 წ. გვ. 225

აღიარებული გეოგრაფიული მიმართულების წარმომადგენელთა კერძოდ ინგლისელი ისტორიკოსის ჰენრი თომას ბოკლისა (1831-1862) და რუსი მეცნიერ-გეოგრაფის ლევ ივანეს ძე მეჩნიკოვის (1838-1888) თეორიულ კონცეფციებს. თავის ნაშრომში „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“ ბოკლი ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ცივილიზაციის განვითარება განსაზღვრულია კლიმატის, ნიადაგისა და ბუნების საერთო მდგომარეობით. ბოკლის აზრით, კლიმატი და ნიადაგი მოქმედებს, როგორც მატერიალური, ისე სოციალური კულტურის განვითარების დონეზე. რაც შეეხება ლ. მეჩნიკოვს სოციოლოგიურ ნააზრევს, თავის ნაშრომში „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები“ (1883) იგი აღნიშნავს, რომ კულტურის განვითარებაზე გავლენას ახდენს ასტრონომიური გარემო და გეოგრაფიული განედი, კლიმატის ცვლილებების შესაბამისად იცვლება ცივილიზაციის წარმოშობის შესაძლებლობანიც.

ნებისმიერ საზოგადოებრივ ფორმატში, მისი განვითარების წამყვან ფაქტორებს შორის, განიხილავენ ეკონომიკური ინტერესების ფორმირებისა და რეალიზაციის პრობლემას.

ეკონომიკური ინტერესების ფორმირებისა და რეალიზაციის პრობლემებს დიდ ყურადღებას უთმობენ თანამედროვე ეკონომიკური თეორიებიც. მაგ. „საზოგადოებრივი არჩევანის თეორია“ მეცნიერული კვლევა მიმართულია იმ ინსტრუმენტების შესწავლა-შემუშავებაზე, რომლის პრაქტიკული რეალიზაციის პირობებში მოსახლეობას შეიძლება სამთავრობო დაწესებულებების თავისი კერძო ინტერესების რეალიზაციისათვის გამოეყენებინა. კატეგორია „ეკონომიკური ინტერესი“ უნდა განვიხილოთ, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების მოცემულ ეტაპზე მატერიალური მოთხოვნილებების რეალიზაციის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ფორმა.

აქვე საინტერესოა განვიხილოთ პრაგმატიზმი. პრაგმატულ მიდგომას შემდეგი თავისებურებები ახასიათებს:

1. ორიენტირებულობა პრაქტიკულ გამოცდაზე;
2. მიზანმიმართულება კონკურენტულ საწყისებზე;
3. ინდივიდუალიზმი და ფოკუსირება პიროვნებაზე;
4. ორიენტირებულობა მოქმედებაზე.

რაციონალიზმი არის მიმართულება, რომელიც აღიარებს უფრო გონებას, ვიდრე გამოცდილებას ე.ი. ჭეშმარიტი ცოდნის წყაროს რაციონალიზმისა რაციონალისტურ მენეჯმენტისათვის დამახასიათებელია:

1. სამეცნიერო და პოზიტიური მიდგომა, ცნებების ჩამოყალიბების ლოგიკური საშუალება;
2. შეხედულება ორგანიზაციაზე სტრუქტურის, როლის იერარქიის და „აუცილებელი“ ბიუროკრატიის ცნებებით;
3. პროფესიული, მაგრამ ამასთან ერთად გაუპიროვნებელი მენეჯმენტი;
4. დაგეგმვის და სახელმწიფო რეგულირების, „დირიჟიზმის“ ფასეულობაში რწმენა.

ჰოლოზმი ნიშნავს ერთიან შეხედულებას, ანუ ერთიან მიდგომას ნაწილის დაქვემდებარებას მთელისათვის.

ჰოლისტური მენეჯმენტი ხასიათდება:

1. კოორდინაციასა და ინტეგრაციაზე ორიენტირებული სისტემებით;
2. კოოპერაციით და ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებებით;
3. ევოლუციური პროცესებით;
4. კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაბალანსებით;
5. ორგანიზაციის და მისი გარემოს ურთიერთდამოკიდებულობის მიმართ მგრძნობელობით.

ჰუმანიზმი არის მსოფლმხედველობა, რომელიც დამყარებულია ადამიანებს შორის თანასწორობის, სამართლიანობის, ადამიანურობის პრინციპებზე. იგი გამსჭვალულია ადამიანების მიმართ სიყვარულით, ასევე ადამიანური ღირსების პატივისცემით და ზრუნვით ადამიანების კეთილდღეობაზე.

ჰუმანისტური მენეჯმენტი ეფუძნება:

1. ოჯახისა და სოციალური ერთობის მაღალ დონეს;
2. პირადი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობას;
3. წამოწყებებზე, რომლებიც ემყარება ოჯახს, კოლექტივს ან სოციალურ-ეკონომიკურ ერთობას;

4. მოქნილობასა და ადაპტურობას, შემგუებლობაზე ცვლად გარემოში;

5. მართვის პერსონიფიცირებულ და „კომპანიურ“ სტილს.

4.6. შრომის ბაზრის არსი, სახეები, ელემენტები

შრომის ბაზრის არსი და შინაარსი ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხია, ამასთან სამამულო და საზღვარგარეთის მეცნიერთა შორის ვხვდებით პრინციპულად განსხვავებულ მოსაზრებებს ავტორთა ერთი ნაწილი განასხვავებს „შრომის ბაზრის“ კატეგორიას „სამამულო ძალის ბაზრისაგან“, სხვები კი პირიქით, მოიაზრებენ მათ, როგორც სინონიმებს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ყველაზე მისადაგებული და ზუსტია „შრომითი მომსახურების ბაზარი“, ამასთანავე, ერთნი თვლიან, რომ შრომის ბაზარზე იყიდება და შეისყიდება სამუშაო ძალა, სხვები კი, საბაზრო ურთიერთობების ობიექტად აღიარებენ შრომას და შრომით მომსახურებას.

შრომის ბაზრის არსის განსაზღვრისადმი მეცნიერ-ეკონომისტებს შორის არსებობს ორი სახის მიდგომა:

პირველი მიდგომისას შრომის ბაზარი შემოიფარგლება შრომისუნარიანი პირებით, რომლებიც ამა თუ იმ პერიოდში არ არიან დასაქმებულნი, ანუ არიან უმუშევრები, რომლებიც ეძებენ სხვა სამუშაოს, პირველად იწყებენ შრომით საქმიანობას, ან დროებით შეწყვიტეს მუშაობა.

მეორე მიდგომის თანახმად ეკონომისტები შრომის ბაზარს განსაზღვრავენ, როგორც უწყვეტ ბრძოლას მეწარმეებსა და მუშაკებს შორის მათი ურთიერთობების განსაზღვრული შეთანხმებებისა და კომპრომისების მიღწევისათვის.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ორი მიდგომა ხშირად შერწყმულია და იძლევა შრომის ბაზრის უნივერსალურ განმარტებას, რომლის თანახმად „შრომის ბაზრის“ ქვეშ იგულისხმება მეურნეობის საბაზრო სისტემის შემადგენელი ნაწილი, შრომითი რესურსების მოძრაობის საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმა, რომლის დროსაც, საბაზრო ეკონომიკის კანონებიდან გამომდინარე სამუშაო ძალა გარდაიქმნება საქონლად.

თვით კატეგორიაში „შრომის ბაზარი“ სამართლიანად გამოყოფენ ორ შემადგენელს: სამუშაო ადგილების (ვაკანსიების) ბაზარს, სამუშაო ძალის ბაზარს.

ამასთან თითოეულ ბაზარში გამყიდველები და მყიდველები როლებს იცვლიან. მაგ. დასაქმებული სამუშაო ადგილების ბაზარზე გამოდის მყიდველის როლში, ხოლო სამუშაო ძალის ბაზარზე -პირიქით, ამიტომ შრომის ბაზრის ფუნქციონირების ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მარტო შრომის პროცესის სამი ელემენტის (შრომის საშუალებები, შრომის საგნები და მიზანმიმართული საქმიანობა) ერთიანობაზე, არამედ სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მის მიწოდებას შორის დაბალანსების ხარისხზეც.

განვიხილოთ დასაქმების სხვადასხვა თეორიები:

დასაქმების კლასიკური თეორია გულისხმობს შრომაზე ერთობლივი მოთხოვნისა და შრომის ერთობლივი მიწოდების ფუნქციის აგებას სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის პირობებში. შრომის ბაზარზე მოთხოვნის სუბიექტებად გვევლინებიან ბიზნესი და სახელმწიფო, ხოლო მიწოდების სუბიექტებად შინა მეურნეობები.

ბაზარი ა. სმიტისათვის წარმოადგენს ბუნებრივი ეკონომიკური პროცესების გამოვლენის სფეროს, რომელიც წარმოიშობა ინდივიდების მოქმედებით, მათგან თითოეული ახორციელებს თავის მიზნებს, რაც თავის მხრივ „უხილავი ხელებით“ მიმართულია ყველას ინტერესებისაკენ. საზოგადოება, ეკონომიკა მოცემულ თეორიაში განისაზღვრება როგორც შედარებით ჰარმონიული სისტემა, რომელშიც მთელი მისი წევრების „კომპეტენციური ეგოიზმი“ რეალიზდება თავისუფალი კონკურენციის მეშვეობით და იწვევს თავის, მის წევრთა კეთილდღეობას[1].

ნეოკლასიკური თეორიის წარმომადგენელები შრომის ბაზარს განიხილავენ, როგორც შინაგანად არაერთგვაროვან, განსაკუთრებით დინამიურ და მოძრავ სისტემას, რომელთაც საფუძვლდ უდევს საბაზრო მექანიზმი. აღნიშნული სისტემის ძირითად რეგულატორად გამოდის სამუშაო ძალის ღირებულება. სწორედ მისი საშუალებით რეგულირდება სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდება და მათ შორის მყარ-

[1] Stating G. Vnemployments and Labour Market Elexibilily – Vnited Kingdom – Geneve ILO 1988 p59

დება აუცილებელი წონასწორობა. (მ.ფელდსტაინის. ხ. ხულის, ა. ლაფერის. პ. სამუელსონის, დ. ვანისკი და სხვათა ნაშრომებში). დასავლეთის ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიებში შრომის ბაზარი ეს არის ბაზარი, სადაც იყიდება მხოლოდ ერთ-ერთი საწარმოო რესურსი შრომა. ეკონომიკის მიწოდების მომხრეებმა შრომის ბაზარი განიხილეს ფასისმიერი წონასწორობის საფუძველზე. ე.ი. აქ ძირითადი რეგულატორი არის ფასი.

მოცემულ შემთხვევაში სამუშაო ძალის ფასი (ხელფასი) მათი აზრით. სწორედ ხელფასის საშუალებით რეგულირდება სამუშაო ძალის მოთხოვნა და მიწოდება, მყარდება წონსწორობა, შრომის ბაზრის ნეოკლასიკური კონცეფციიდან გამომდინარეობს, რომ სამუშაო ძალის ფასი მოქნილად რეაგირებს ბაზრის მოთხოვნებზე, ის მცირდება ან იზრდება მოთხოვნა – მიწოდებიდან გამომდინარე, რაც პრაქტიკაში უმუშევრობას გამორიცხავს.

მარჟინალური კონცეფციის თანახმად „ინდივიდი ინვესტიციებს დებს კვალიფიკაციაში“, მანამ სანამ ამ დაბანდებებზე მოგების ნორმა შემცირებას არ დაიწყებს. ამ თეორიის მომხრეები უმუშევრობის არსებობას ხსნიან შრომის ბაზარზე არასასურველი გარეგანი ფაქტორების არსებობით. ამ ფაქტორებს ისინი აკუთვნებენ პროფკავშირების გავლენას, სახელმწიფოს მიერ მინიმალური ხელფასის დაწესებას, რითაც იზღუდება შრომის ბაზრის მარეგულირებელი ფუნქცია. არსებობს თეზისი ნებაყოფლობითი უმუშევრობისა და სამუშაო ადგილის „ძებნის“, როგორც შრომის ბაზრის არასტაბილურობის გამომწვევი მოვლენების შესახებ, მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაქირავებული მუშაკები საკმაოდ გათვითცნობიერებულნი არიან და მიისწრაფიან მაქსიმალურად სარგებლიანი სამუშაოსაკენ.

კეინსიანელები და მონეტარისტები შრომის ბაზარს განიხილავენ, როგორც მუდმივი და ფუნდამენტური უწონასწორობის მოვლენას.

არაწონასწორული (კეინსიანური) მოდელი უარყოფდა ხელფასის ავტომატურ რეგულირებას, ე.ი. იმ მექანიზმს, რომელზედაც დაფუძნებულია კლასიკური თეორია. არა წონასწორული მოდელის თანახმად, შრომის ბაზარი არის განსაკუთრებული ბაზარი, სადაც შრომის მიწოდება თითქმის არა არის დამოკიდებული ხელფასის დონეზე, რადგან აუცილებელი არ არის ხელფსის შემცირებას მოჰყვეს დასაქ-

მების ზრდა, ამიტომ დასაქმების დონის ამაღლება შესაძლებელია, მხოლოდ ინვესტიციების ზრდის შედეგად. კეინსიანელები თვლიან რომ, წონასწორობის მიღწევა შესაძლებელია იმისათვის, რომ შემცირდეს იძულებითი უმუშევრობის დონე, რომელიც აუცილებლად ჩნდება, აუცილებელია ანტიციკლური ღონისძიებების გატარება. რადგანაც მოცემულ კონცეფციის თანახმად ფასი (ხელფასი) არ გვევლინება ბაზრის რეგულატორად. ის შემოტანილი უნდა იქნას გარედან. ეს როლი ეკისრება სახელმწიფოს, რომელიც ზრდის ან ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას და ამით სპობს მოცემულ უწინასწორობას.

სახელმწიფოს ანტიციკლური ღონისძიებების დახმარებით ახდენს ერთობლივი მოთხოვნის სტაბილიზაციას. აყენებს რა საკუთარ ხაჯებს კერძო სექტორის ხარჯების დონეში ნებისმიერი ცვლილებების კონპენსაციისათვის. ასე რომ დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა კეინსიური კონცეფციის ფარგლებში უარყოფს ჩაურევლობის კლასიკურ პრინციპს, როცა სახელმწიფოს როლი დაიყვანება მხოლოდ შრომის ბაზრის ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნამდე.

კლასიკური მიდგომის ფარგლებში დასაქმების ეფექტიანობის უზრუნველყოფა სრულად გამომდინარეობს თვითრეგულირებადი შრომის ბაზრიდან. უმუშევრობის წარმოშობა ან სამუშაო ადგილების ზედმეტობა მყარი მოვლენა არ არის, საბაზრო ძალები მოქმედებენ საბაზრო წონასწორობის მიმართულებით და ამით უზრუნველყოფენ სამუშაო ძალის სრულ დასაქმებას. ასე, რომ ამ მოვლენის მიხედვით სამუშაო ძალაზე მოთხოვნა რეგულირდება არა შრომაზე საბაზრო ფასების რყევებით, არამედ ერთობლივი მოთხოვნით ანუ წარმოების მოცულობით.

დასაქმების მიზანშეწონილი დონის განსაზღვრის მცდელობებს მივყავართ უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის კონცეფციის აღმოცენებამდე, უმუშევრობის „ბუნებრივი“ ნორმის იდეა, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, თითქმის ერთდროულად წამოაყენა ორმა ამერიკელმა ეკონომისტმა მ. ფრიდმანმა და ე. ფილიპსმა, შეფასებული იქნა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მაკროეკონომიკური თეორიაში. მოცემული იდეის თანახმად დროის მოცემული მომენტისათვის ეკონომიკური წონასწორობის მდგომარეობას შეესაბამება უმუშევრობის მხოლოდ ერთი განსაზღვრული დონე – უმუშევრობის ბუნებრივი დონე, რომელიც შეესაბამება სრული დასაქმების მდგომარეობას და გვიჩვენებს ეკონომიკაში დასაქმების მიზანშეწონილ დო-

ნეს, ამ კონცეფციის ფარგლებში შემუშავებულ იქნა ოუკენის კანონი, რომლის თანახმად, თუ უმუშევრობის ფაქტიური დონე აღემატება ბუნებრივ დონეს 1%-ით, მაშინ მეპ-ის მოცულობის ჩამორჩება შეადგენს 2,5%-ს. ეს თანაფარდობა 1:25 ან 2:5, ანუ უმუშევრობის დონის შეფარდება მეპ-ის ჩამორჩენასთან საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ უმუშევრობის ნებისმიერი დონით გამოწვეული პროდუქციის აბსოლუტური დანაკარგები.

ბუნებრივი უმუშევრობის კონცეფცია გულისხმობს, რომ ეფექტიანი დასაქმება დაკავშირებულია უმუშევრობის „ბუნებრივი" დონის არსებობასთან, რომელიც გამოწვეულია განსაზღვრული ობიექტური გარემოებებით, როგორიცაა სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობა. ამ შემთხვევაში სამუშაო ძალის რეზერვი ყოველთვის არსებობს, მაგრამ უმუშევრობის ხანგძლივობა მცირეა და ამდენად ის არ გადადის დასაქმების მოტივაციის შენელებაში. შესაძლებელია უმუშევრობა მცირეა ბუნებრივ დონესთან შედარებით, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ ეკონომიკური აქტიურობის ძლიერი ციკლური აღმავლობის შედეგად. უმუშევრობის ბუნებრივი ნორმა დამოკიდებულია საბაზრო მოდელის ხასიათზე, ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში განსაზღვრულ პერიოდზე, ინსტიტუციური გარდაქმნების მიმართულებებზე.

უმუშევრობის სოციალურად დასაშვები ნორმის მიმართულება უმუშევრობის განსაზღვრულ დონეს გვთავაზობს სოციალური დაძაბულობის ზრდისა და შესაძლებელი სოციალური აფეთქების კვალობაზე. მაგალითად ე. ბალაცკი უმუშევრობის ასეთ დონეს მიიჩნევს 1,5-2,5%-ს. ეკონომიკური ურთიერთობები შრომის ბაზარზე ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს:

1. პირადი და ეკონომიკური თავისუფლება, საკუთრების მრავალფეროვნება არის მოქალაქეთა ეკონომიკური თავისუფლების საფუძველი მათ შორის მუშაკის მიერ საკუთარი სამუშაო ძალის განკარგვა, შრომისუნარიან მოქალაქეებს აქვთ უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტონ, მიიღონ თუ არა მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში. შრომის ნებაყოფლობითობა გულისხმობს, რომ მუშაკს შეუძლია დამოუკიდებლად აირჩიოს მისთვის ყველაზე უფრო მისაღები დასაქმების რეჟიმი სამუშაო დროის ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმის საფუძველზე;

2. შრომის ბაზრის მოქმედების მეორე პრინციპი – ეს არის წარმოების საშუალებათა მესაკუთრეების უფლება თვითონ გადაწყვიტონ გამოყენებული სამუშაო ძალის რაოდენობისა და ხარისხის საკითხი;

3. შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელია თვისუფლება ხელფასის მოძრაობის საკითხში. ხელფასი არის სამუშაო ძალის მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ურთიერთობითა მთავარი რეგულატორი, მისი დონე განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ანუ მოთხოვნით და მიწოდებით

შრომის ბაზარი თავისი არსით რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს ეკონომიკაში. შრომის ბაზრის ძირითადი ფუნქცია არის შრომის პროცესის განხორციელებისათვის პირობების მომზადება მისი სუბიექტების უზრუნველყოფის თვალთახედვით. კერძოდ ის, გვევლინება შრომითი ურთიერთობების სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების შეთანხმების ინსტრუმენტად. შრომის ბაზარი უზრუნველყოფს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, რომელიც თავის თავში მოიცავს წარმოების განაწილების,გაცვლისა და მოხმარების ფაზების ერთობლიობას.

შრომის ბაზარი უპირატესად მოიცავს სამუშაო ძალის კვლავწარმოების პროცესში განაწილებითი ურთიერთობების სისტემას. ის ანაწილებს და გადაანაწილებს შრომით რესურსებს წარმოების დარგებსა და სფეროების მიხედვით, ანუ უზრუნველყოფს სამუშაო ძალის პრიორიტეტულ განაწილებას საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სტრუქტურის, საკუთრების ფორმისა და წარმოების ტექნოლოგიური დონის შესაბამისად.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია შრომის ბაზარს განსაზღვრავს როგორც „შეხვედრის ადგილს", სადაც მეწარმეთა და მომუშავეთა შორის ხდება ერთდროული მოლაპარაკებები (როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური) ხელფასისა და შრომის ორგანიზაციის პირობებთან დაკავშირებით.

გ. სტენდალის აზრით ასეთი მიდგომის რეალიზაცია საშუალებას გვაძლევს პრაქტიკაში გამოვყოთ თანამედროვე შრომის ბაზრის ხუთი მახასიათებელი 1.

1. დასაქმების გარანტია ხანგძლივი პერსპექტივით;
2. მომუშავეთა უზრუნველყოფა სტაბილური შემოსავლებით;

3. დასაქმების სტაბილურობა, მომუშავეთა განთავისუფლების მკაცრი რეგლამენტის წესების მიღების საფუძველზე;

4. სამუშაო პროცესის დადგენილი კლასიფიკაციის მკაცრი დაცვა;

5. მომუშავეთა უსაფრთხოება.

ამგვარად, შრომის ბაზარი ეს არის ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი ურთიერთობების ერთიანობა, რომელიც წარმოიშობა სამუშაო ძალის მფლობელებს (დაქირავებულ მუშებსა) და დამსაქმლებლებს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს) შორის, დაქირავების პირობებსა და სამუშაო ძალის გამოყენებისა და გაცვლის თაობაზე.

შრომის ბაზრის ძირითადი სუბიექტებია: დამსაქმლებლები და დაქირავებული მუშაკები.

დამსაქმებელი - ესაა დამქირავებელი, რომელიც გამოდის სხვადასხვა ფორმით. საკუთრებითი ურთიერთობების დაკანონებული სტრუქტურისაგან დამოკიდებულებით: სახელმწიფო საწარმოები, სააქციო საზოგადოება, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კოპერატივები, ერთობლივი წარმოებები, ინდივიდუალური მეწარმეები.

დაქირავებული მუშაკები - ესენი არიან თავისუფალი შრომისუნარიანი მოქალაქეები, რომელთათვისაც დაქირავება წარმოადგენს არსებობის საშუალებათა მთავარ წყაროს და ინდივიდუალურ კვლავწარმოებას.

ნებისმიერი ბაზრის განუყოფელ შემადგენელს წარმოადგენს კონკურენცია. შრომის ბაზარზე კონკურენცია წარმოადგენს დამოუკიდებელი მყიდველებისა და გამყიდველების დიდი რაოდენობის არსებობას, შრომის ბაზარზე თავისუფალი შესვლისა და გამოსვლის შესაძლებლობას.

შრომის ბაზრის ფუნქციონირების კანონზომიერებები საბაზრო ურთიერთობებით განსაზღვრულ კანონებს ემორჩილება, კერძოდ მოთხოვნისა და მიწოდების კანონებს. ამ კანონების გათვალისწინებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი ამოსავალი დებულებები, რომელთა დაცვა აუცილებელია საბაზრო გარიგებების განსახორციელებლად:

1. ბაზარზე ხდება იმის ყიდვა – გაყიდვა რისი გაყიდვაც სურს გამყიდველს და შეძენა მყიდველს;

2. ობიექტის ყიდვა-გაყიდვის პროცესი ნიშნავს მისი მესაკუთრის შეცვლას; გამყიდველი კარგავს ობიექტზე საკუთრების უფლებას, იღებს რა ამაში ფულს, ხოლო მყიდველი ამ ფულით შეიძენს ობიექტზე საკუთრების უფლებას;

3. მესაკუთრეს აქვს სამი უფლებამოსილება – ფლობის, განკარგვის და გამოყენების უფლება;

4. კონკრეტულ ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის გარიგება არის მოთხოვნითა და მიწოდებით განსაზღვრული ექვივალენტური გაცვლა.

აღნიშნული დებულებები სრულად ვერ ვრცელდება შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე,რაც განაპირობებს ამ ბაზრის განსხვავებულობას სხვა სახეობებისაგან. შრომის ბაზრის რეგულატორად გვევლინება, არა მარტო ეკონომიკური, არამედ დემოგრაფიური, სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები.

შრომის ბაზრის მექანიზმი მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს: მოთხოვნა, მიწოდება, ფასი და სახელმწიფო რეგულირება.

4.7. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში

შრომის ბაზარი ასრულებს ორ ძირითად სოციალუ-ეკონომიკურ ფუნქციას:

1. შრომის რესურსების განაწილება დასაქმების ალტერნატიულ სახეობებზე (პროფესიების, დარგების, საწარმოების, ტერიტორიების მიხედვით);

2. შემოსავლების განაწილება საგანაკვეთო ფორმით, ხელფასის როგორც შრომითი დაჯილდოვების და სტიმულირების სახით.

შრომის ბაზარზე ამ ფუნქციების რეალიზაცია ხელს უნდა უწყობდეს ეფექტიანობის ამაღლებას ე.ი. მწარმოებლურობის მაქსიმიზაციას.

სახელმწიფომ გეგმიურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში დააკანონა საზოგადიების ყველა წევრის გარანტირებული დასაქმება, მისცა მათ პროფესიული მომზადების შესაძლებლობა, პროფესიულ სასწავლებელთა კურსდამთავრებულთათვისაც უზრუნველყო დასაქმება, განუსაზღვრა საშუალო ოდენობის სტაბილური სახელფასო და საპენსიო ანაზღაურება.

შრომის ბაზრის რეგულირების მეთოდების გამოყენების პრაქტიკამ შექმნა წარმოდგენა ორი ტიპის პოლიტიკის აქტიური და პასიური ტიპის შესახებ.

პასიური პოლიტიკა გულისხმობს შრომის ბაზარზე მუშაკებისა და დამსაქმებლების მდგომარეობაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. ამ შემთხვევაში სახელმწიფო პატერნალიზმის „საბაზრო" სახე ფორმირდება, როგორც სოციალურ-შრომითი ურთიერთობების პატერნალიზმის გამოვლინება.

პასიური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს უმუშევრობისაგან დაზღვევა, რომელიც ფართოდ გამოიყენება განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში.

პასიური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა – უმუშევრებზე შემწეობის გაცემა, რამეთუ ის უზრუნველყოფს მათი არსებობის მინიმალურ დონეს, შემწეობის გაცემის სისტემას და უმუშევართა, მათი ოჯახის წევრების არაფულადი მხარდამჭერი ფორმების წარმოდგენას. ეს არის საბაზრო ურთიერთობების პირობებში სახელმწიფოს პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა მიმართულია სამუშაო ადგილის მიღების პროცესში ადამიანის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, გადამზადების, მომზადების, თვითდასაქმების, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის საშუალებით და გამომდინარეობს იქიდან, რომ ჯანმრთელობა ადამიანმა დამოუკიდებლად უნდა გამოიმუშაოს საკუთარი ოჯახის უზრუნველყოფის საშუალება და მისი ოჯახის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის პასუხისმგებლობაზე. სახელმწიფო კი არის მხოლოდ შუამავალი, რომელიც ხელს უწყობს მისი დასაქმების შესაძლებლობას.

შრომის ბაზარზე აქტიური პოლიტიკის დამუშავებაზე და განხორციელებაზე გავლენას ახდენს შემდეგი სამი მნიშვნელოვანი ჯგუფის ფაქტორები:

1. საერთაშორისო შრომის ნორმები, რომლებიც აწესებს ისეთ ძირითად უფლებებს, როგორიცაა თავისუფლად არჩეული დასაქმება, შესაძლებლობებისა და ურთიერთობების თანასწორობა, გაერთიანების თავისუფლება და ა.შ.;

2. დამყარებული სოციალური შრომითი ურთიერთობების ტიპი, რამდენადაც ფართოდაა აღიარებული, რომ ნებისმიერი პოლიტიკა, მათ შორის შრომის ბაზარზე აქტიურ პოლიტიკასაც აქვს წარმატების უდიდესი შესაძლებლობა, თუ იგი უზრუნველყოფილია მეწარმეთა, მშრომელთა და სხვა დაინტერესებულ სოციალური ჯგუფების მაგ. უმუშევრების აღიარებითა და მხარდაჭერით;

3. განსხვავებული პირობები, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნებისა და მის შიგნით არსებული ცალკეული რეგიონების შრომის ბაზარზე.

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა ეს არის იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც მიმართულია უმუშევართა სწრაფ ჩართვაზე, დაბრუნებაზე აქტიურ შრომით პროცესში და მოიცავს შრომით მოწყობაში დახმარებას, თანამშრომლობას პროფესიულ გადამზადებაში, თვითდასაქმების განვითარებას, პროფესიულ კონსულტაციების გაწევას და სხვა ღონისძიებებს.

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებად ითვლება პროფესიული მომზადება და გადამზადება, რამდენადაც თანამედროვე მსოფლიოში დასაქმების პერსპექტივა, რომელიც ხასიათდება სწრაფი ცვლილებებითა და სტრუქტურული გარდაქმნით დაკავშირებულია ადამიანურ კაპიტალში დაბანდებასთან. მაღალი კვალიფიციური განათლებისა და თანამედროვე პროფესიის მიღებასთან, რომლებიც წარმოადგენენ უმუშევრობისაგან თავის დაღწევის მყარ გარანტიებს.

საქართველოს გააჩნია არსებითი უპირატესობა კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით: გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ბუნებრივი სიმდიდრე და სასურველი ბუნებრივი კლიმატური პირობები. ამ უპირატესობების ათვისება – გამოყენება ხელს შეუწყობს: უმუშევრობის შემცირებას და პროდუქციული დასაქმების უზრუნველყოფას, რომლის მხრივ არცისეთი სასარგებლო მდგომარეობაა, კერძოდ:

საქართველოში აქტიური მოსახლეობა, სამუშაო ძალა (ათასი კაცი) 2005 წელს შეადგენდა 2023,9; 2006 წელს 2021,8; 2007 წელს 1965,3; 2008 წელს 1917,8; 2009 წელს 1991,8.2021წელს შეადგინა1533,6.

დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი კაცი) 2005 წელს შეადგენდა 1744,6; 2006 წელს 1747,3; 2007 წელს 1704,3; 2008 წელს 1601,9; 2009 წელს 1656,1.2021წელს1217,4.

თვითდასაქმებული (ათასი კაცი) 2005 წელს 1143,3, 2006 წელს 1141,6,; 2007 წელს 1078,8; 2008 წელს 1028,5; ხოლო 2009 წელს 1059,0.

უმუშევარი (ათასი კაცი) 2005 წელს 279,3; 2006 წელს 274,5; 2007 წელს 261,0; 2008 წელს 315,8; 2009 წელს 335,6.2021წელს316,2.

უმუშევრობის დონემ %-ში 2005 წელს შეადგინა 13,8%, 2006 წელს 13,6%; 2007 წელს 13,3%, 2008 წელს 16,5%, 2009 წელს 16,9%.2021წელს20,6.

როგორც ვხედავთ დინამიკაში ადგილი აქვს უმუშევრობის ზრდას. მოსახლეობის აქტიურობის დონემ %-ში 2005 წელს შეადგინა 64,0%; 2006 წელს 62,2%; 2007 წელს 63,3%; 2008 წელს 62,6%, ხოლო 2009 წელს 63,6%.

დასაქმების დონემ %-ში 2005 წელს შეადგინა 55,2%; 2006 წელს 53,8%; 2007 წელს 54,9%; 2008 წელს 52,3%; 2009 წელს 52,9%. უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი დინამიკაში. 2005 წელს ქალები 12,6%, მამაკაცებში 14,8%; 2006 წელს ქალებში 11,7%, მამაკაცებში 15,2%; 2007 წელს ქალებში 12,6%, მამაკაცებში 13,9%; 2008 წელს ქალებში 16,1%, მამაკაცებში 16,8%; 2009 წელს ქალებში 15,4%, მამაკაცებში 18,1%.

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში დინამიკაში იძლევა შემდეგ სურათს 2005 წელი ქალაქად 26,3%, სოფლად 5%; 2006 წელს ქალაქად 26,1%, სოფლად 4,8%; 2007 წელს ქალაქად 23,9%, სოფლად 5,4%; 2008 წელს ქალაქად 28,9%, სოფლად 7,1%; 2009 წელს ქალაქად 28,8%; სოფლად 7,8%.2021წელს ქალაქად 22,2%, სოფლად18,2%.

მოსახლეობის ეკონომიური აქტივობა რეგიონების მიხედვით 2009 წელს შემდეგი სურათით წარმოგვიდგება: კახეთი- უმუშევრობის დიონე 11%, დასაქმების დონე 62,7%, აქტიურობის დონე 70,5%;

თბილისი – უმუშევრობის დონე 29,6%, დასაქმების დონე 37,5%, აქტიურბის დონე 53,2%.

შიდა ქართლი – უმუშევრობის დონე 16,6%, დასაქმების დონე 51,6%, აქტიური დონე 61,9%.

ქვემო ქართლი- უმუშევრობის დონე 10,7%, დასაქმების დონე 58,1%, აქტიური დონე 65,0%.

აჭარა – უმუშევრობის დონე 22,1%, დასაქმების დონე 50,4%, აქტიურობის დონე 64,7%.

სამეგრელო – უმუშევრობის დონე 13,1%, დასაქმების დონე 59,5%, აქტიურობის დონე 68,5%.

იმერეთი – უმუშევრობის დონე 13,2%, დასაქმების დონე 57,8%, აქტიურობის დონე 66,7%.

დანარჩენი რეგიონები (სამცხე ჯავახეთი, გურია, მცხეთა-თიანეთი) უმუშებრობის დონე 8,3 %, დასაქმების დონე 67,0%, აქტიურობის დონე 73,0%.

საქართველოში უმუშევრობის დონე 16,9%; დასაქმების დონე 52,9%, აქტიურობის დონე 63,6%.1

უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით 2020 წელს პროცენტებში შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: თბილისი – 20.1% კახეთი – 10.4%, შიდაქართლი – 20.0%, ქვემოქართლი – 22.2%, აჭარის ა.რ – 18.2%, სამეგრელო ზემოსვანეთი – 15.9%, იმერეთი – 19.8%, სამცხე ჯავახეთი – 11.4%, გურია – 15.4%, რაჭა ლეჩხუმი – 31.9%, მცხეთა მთიანეთი – 18.3%, საქართველო – 18,5%.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი არა სახელმწიფო სექტორში უფრო მაღალია, ვიდერ სახელმწიფო სექტორში.

ქვეყანაში ბოლო წლებში იკვეთება ეკონომიკური ზრდის ტემპები და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ორინტირება კეთდება ინტეგრაციაზე მსოფლიო სამეურნეო კავშირების სისტემაში, მაშინ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასაქმების პოლიტიკის სტრატეგიული მიზანი: ქვეყანაში პრიორიტეტულ დარგებში პროდუქტიული დასაქმების გაზრდა და დინამიური ნაციონალური შრომის ბაზრის განვითარების საფუძველზე უმუშევართა დონის შემცირება.

ამასთან 2006 წელს, პირველად საქართველოში მოქმედება დაიწყო სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების პროგრამამ, რომელიც მიზნად უმუშევრობის დონის შემცირებას ისახავს.

საქართველოში შრომის ბაზრის წარმოშობის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს კანონი მოსახლეობის დასაქმების შესახებ. ამ კანონში

პირველად დაფიქსირდა მწარმოებლურ და შემოქმედებით შრომაში მოქალაქეთა მიერ საკუთარი შესაძლებლობების განკარგვის უფლება. კანონით უკვე განსაზღვრული იყო მუშაკის საკუთრების უფლება საკუთარ სამუშაო ძალაზე სრული მოცულობით, ანუ უფლება, განკარგვა და გამოყენება.

4.8 ცხოვრების დონე და საარსებო მინიმუმი

ნებისმიერი პროგრესული სახელმწიფოს მთავარი მიზანი, მომსახურეობის კეთილდღეობის ამაღლებაა. კეთილდღეობა ესაა საზოგადოების უზრუნველყოფა იმ ეკონომიკური სიკეთით, რომელიც საჭიროს კომფორტული და უსაფრთხო ცხოვრებისათვის.[1]

ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განვითარებულია მისი ეკონომიკური სისტემა და უსაფრთხოების როგორი გარანტიებია შექმნილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიხედვით, საზოგადოების კეთილდღეობის დონის ყველაზე ზუსტი მაჩვენებელია ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ინდექსი. იგი ძირითადად სამ პარამეტრს ეყრდნობა:

1. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე;
2. განსწავლულობის ხარისხი;
3. სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობა.

ეკონომიკური კეთილდღეობის თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა იტალიელმა ეკონომისტმა ვილფრედო პარეტომ (1848-1923წწ) ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია „პარეტოს ოპტიმუმის“ თეზისი, რომლის მიხედვითაც საზოგადოებაში არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს მდგომარეობა, როცა ერთნი მდიდრდებიან მეორეთა ხარჯზე. ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების განაწილებას შორის არსებობს წინააღმდეგობა – საზოგადოებაში. შემოსავლების ოპტიმალური განაწილების კრიტერიუმი არის არა ერთობლივი შემოსავლების მაქსიმიზაცია, არამედ აღნიშნული შემოსავლებით მაქსიმალური სარგებლის მიღება საზოგადოების თითოეული წევრისათვის.

---

[1] ოთინაშვილი რ. „;საქართველოს ეკონომიკა“ თბ. 2009 გვ. 407

საზოგადოებრივი კეთილდღეობის თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ა. პიგუს (1877-1959 წწ) შრომებში, რომელმაც შეიმუშავა კეთილდღეობის დონის მაჩვენებლები. მის მიხედვით საზოგადოების კეთილდღეობა მატულობს, როდესაც შემოსავლები მოსახლეობის შედარებით ფართო მასებზე ნაწილდება.[1]

კეთილდღეობას, თავის მხრივ, ცხოვრების დონე განსაზღვრავს. ცხოვრების დონე არის ეკონომიკური სიკეთეების მოხმარების მოცულობა და ხარისხი, რომელსაც ღებულობს საზოგადოება მათი ფულადი შემოსავლების სანაცვლოდ. გაეროს მიერ რეკომენდირებულია ცხოვრების დონის შემდეგი მაჩვენებლები:

1. მოქალაქის ეკონომიკური თავისუფლება და მისი საკუთრების უსაფრთხოება;
2. საცხოვრებელი პირობები. საცხოვრებელი ბინის მდგომარეობა და სანიტარულ ჰიგიენური პირობები;
3. შრომის პირობები და დასაქმება. სად მუშაობს რამდენად კომფორტულ გარემოში;
4. თავისუფალი დროის არსებობა და დასვენების ორგანიზაცია. სად და როგორ ატარებს თავისუფალ დროს;
5. ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ;
6. განათლებისა და კულტურის დონე;
7. შემოსავლები და დანახარჯები, მათი მოცულობა და სტრუქტურა;
8. სატრანსპორტო საშუალებების არსებობა რით გადადგილდება;
9. დემოგრაფიული ვითარება. შობადობისა და სიკვდილიანობის სტატისტიკა.;
10. სასურსათო საქონლის მოხმარება, რა საკვებს მოიხმარს, როგორი ნაირსახეობის და ხარისხის.

საარსებო მინიმუმი არის სახელმწიფოში ოფიციალურად დადგენილო შემოსავალი, რომელიც საჭიროა პიროვნების მოთხოვნილების მინიმალურ დონეზე დაკმაყოფილებისა და მიღებული ცხოვრების წესის შენარჩუნებისათვის

სამომხმარებლო კალათის „ნაკრები“ ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, მასში შედის კვების პროდუქტები.

---

[1] Пагу А. „кономическая теория“благосостояния пер с апгл.Прогресс,стр.52, 1985

აბსოლიტურ სიღარიბეში იგულისხმება შემოსავალი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ინდივიდის პირველად ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი დღიურად ერთ ადამიანზე 2 აშშ დოლარია.

სიღარიბის დონე არის ღარიბი მოსახლეობის წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში. სიღარიბის სიღრმე – ღარიბი მოსახლეობის სიღარიბის ზღვრამდე დაშორების მაჩვენებელია.

სიღარიბის სიმწვავე- ღარიბთა შორის სიღარიბის უთანაბრობის მაჩვენებელია, თავისი შინაარსით იგი მოიცავს, როგორც სიღარიბის სიღრმეს, ისე ღარიბთა შორის უთანაბრობას.საქართველოში ცხოვრების დონისა და საარსებო მინიმუმის შესახებ ნათელ სურათს გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ციფრები. სიღარიბის დონემ მედინური მოხმარების 60%-ის მიმართ 2004 წელს შეადგინა 24,6%; 2005 წელს – 24,1%; 2006 წელს-23,3%; 2007 წელს – 21,3%; 2008 წელს – 22,1% და 2009 წელს 21,0%. სიღარიბის დონემ მედინური მოხმარების 40%-ის მიმართ 2004 წელს შეადგინა 10,9%; 2005 წელს 10,1%; 2006 წელს 9,4%, 2007 წელს 9,2%; 2008 წელს 9,5%; 2009 წელს კი 8,8%.

სიღარიბის სიღრმემ ისევ მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ 2004 წელს შეადგინა 8,1%; 2005 წელს 7,6%; 2006 წელს 7,2%; 2007 წელს 6,9 %; 2008 წელს 7,0%;, ხოლო 2009 წელს 6,6%.

სიღარიბის სიღრმემ მედიანური მოხმარების 40% -ის მიმართ 2004 წელს შეადგინა 3,4%; 2005 წელს 3,1%, 2006 წელს 2,8%, 2007 წელს 2,7%; 2008 წელს 2,7%;, ხოლო 2009 წელს 2,6%.

სიღარიბის სიმწვავემ მედიანური მოხმარების 60% -ის მიმართ 2004 წელს შეადგინა 4,0%; 2005 წელს 3,6%; 2006 წელს 3,3%; 2007 წელს 3,2%; 2008 წელს 3,2%;, ხოლო 2009 წელს 3,1%.

სიღარიბის სიმწვავემ მედიანური მოხმარების 40%-ის მიმართ 2004 წელს შეადგინა 1,7%; 2005 წელს 1,5%; 2006 წელს 1,3%; 2007 წელს 1,3%; 2008 წელს 1,2% და 2009 წელს 1,2%.

ფარდობითი სიღარიბე – მედიანური მოხმარების 60% ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2020 წელს საქართველოში შეადგენდა 19,7% ხოლო აბსოლუტური სიღარიბე – სიღარიბის აბსოლუტურ

ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი პროცენტებში 2020 წელს შეადგინა 21.3%

თუ განვიხილავთ სიღარიბის მაჩვენებლებს ქალაქისა და სოფლის ჭრილში ვნახავთ, რომ სოფლად უფრო მაღალი დონით ხასიათდება სიღარიბის დონე, ვიდრე ქალაქად კერძოდ: სიღარიბის დონემ მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ 2004 წელს ქალაქად სეადგინა 23,0%, ხოლო სოფლად 26,2%; 2005 წელს ქალაქად 22,1%, ხოლო სოფლად 26,0%; 2006 წელს ქალაქად 22,8%, სოფლად 23,7%, 2007 წელს ქალაქად 17,9%, სოფლად 24,9%; 2008 წელს ქალაქად 18,0%, სოფლად 26,2%; 2009 წელს ქალაქად 17,6% სოფლად 24,3%.

სიღარიბის დონემ მედიანური მოხმარების 40%-ის მიმართ 2004 წელს ქალაქად შეადგინა 8,9%, სოფლად 12,8%; 2005 წელს ქალაქად 8,8%, სოფლად 11,3%; 2006 წელს ქალაქად 8,1%, სოფლად 10,7%; 2007 წელს ქალაქად 6,5%, სოფლად 12,1%, 2008 წელს ქალაქად 7,0% სოფლად 11,9 %, 2009 წელს ქალაქად 7,3%, სოფლად 10,2%.

სიღარიბის სიღრმემ მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ 2004 წელს ქალაქად შეადგინა 6,8%, სოფკლად 9,4%; 2005 წელს ქალაქად 6,5%, სოფლად 8,6%; 2006 წელს ქალაქად 6,4%, სოფლად 7,9%; 2007 წელს ქალაქად 5,0%, სოფლად 8,8%; 2008 წელს ქალაქად 5,3% სოფლად 8,7%; 2009 წელს ქალაქად 5,4%, სოფლად 7,8%.

მედიანური მოხმარების 40%-ის მიმართ სიღარიბის სიღრმემ 2004 წელს ქალაქაში შეადგინა 2,4%, სოფლად 4,4%; 2005 წელს ქალაქად 2,3%, სოფლად 3,8%, 2006 წელს ქალაქად 2,2%, სოფლად 3,5%, 2007 წელს ქალაქად 1,6%, სოფლად 4,0%; 2008 წელს ქალაქად 1,8%, სოფლად 3,6%; 2009 წელს ქალაქად 2,0%, სოფლად 3,2%.

სიღარიბის სიმწვავეც სოფლად უფრო მაღალია ვიდრე ქალაქად, მაგრამ დინამიკაში მაინც ადგილი აქვს შემცირებას კერძოდ აღნიშნულმა მაჩვენებლებმა (სიღარიბის სიმწვავე) მედინური მოხმარების 60% -ის მიმართ 2004 წელს ქალაქად შეადგინა 3,0%, სოფლად 4,9%; 2005 წელს ქალაქად 2,9%, სოფლად 4,3%, 2006 წელს ქალაქად 2,7%, სოფლად 3,9%; 2007 წელს ქალაქად 2,1%, სოფლად 4,4%; 2008 წელს ქალაქად 2,3%, სოფლად 4,2%; 2009 წელს ქალაქად 2,5%, სოფლად 3,7%.

იგივე მაჩვენებელმა მედინური მოხმარების 40%-ის მიმართ 2004 წელა ქალაქად შეადგინა 1,0%, სოფლად 2,3%, 2005 წელს ქალაქად 1,0%, სოფლად 1,9%; 2006 წელს ქალაქად 0,9%, სოფლად 1,7%; 2007 წელს ქალაქად 0,6%, სოფლად 1,9%; 2008 წელა ქალაქად 0,7%, სოფლად 1,7%; 2009 წელს ქალაქად 0,9%, სოფლად 1,5%.

საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი საქართველოში თვეში 2010 წელს შეადგენდა 250,8. იანვარში-214,7 ლარი, თებერვალში 211,0 ლარი, მარტში 210,5 ლარი, აპრილში 213,6 ლარი, მაისში 216,2 ლარი, ივნისში 215,7 ლარი, ივლისში 215,4 ლარი, აგვისტოში 224,7 ლარი, სექტემბერში 236,3 ლარი, ოქტომბერში 244,1 ლარი და ნოემბერში 250,8 ლარი.

პენსიონერთა რიცხოვნობა 2005 წელს შეადგენდა 902,1 ათასი; 2006 წელს 985,4 ათასი, 2007 წელს 837,9 ათასი; 2008 წელს 842,2 ათასი; 2009 წელს 838,5 ათასი. პენსიის მიმღებთა რაოდენობამ 2021 წელს შეადგინა 972 ათასი.

პენსიის მიმღებთა წილი პენსიის ძირითადი სახეების მიხედვით პენსიონერთა მთლიან რაოდენობაში პროცენტებით 2009 წელს შემდეგი სახით არის წარმოდგენილი საპენსიო ასაკზე მოდის 78,7%; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე 16,7%; მარჩენალ დაკარგული ოჯახის წევრებზე 4,2%

სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობამ და მათზე გადარიცხული თანხა 2008 წელსა და 2009 წლებში შემდეგის სახითაა წარმოდგენილი კერძოდ, საოჯახო დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობამ 2008 წელს შეადგინა 26835; ხოლო 2009 წელს 22698; გადარიცხული თანხა 2008 წელს შეადგენდა 8372065 ლარი, ხოლო 2009 წელს 6756418 ლარი. 2021 წელს კი საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახები შეადგენდა 351 ათას ოჯახს.

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახები 2008 წელს შეადგენდა 131162; ხოლო 2009 წელს 153434; შესაბამისად გადარიცხული თანხა 2008 წელს 7844703 ლარია, ხოლო 20009 წელს 12064061 ლარი.

სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები 2008 წელს 158017; 2009 წელს 176132 გადარიცხულმა თანხამ კი 2008 წელს შეადგინა 16216768 ლარი; ხოლო 2009 წელს 18820479 ლარი.

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი პროცენტებში 2020 წელს შეადგენდა 13.0%. [1]

უცხო სიტყვები

1. პატერნალიზმი -იალ. მამობრივი.
2. ტროპიზმი – რაიმე გარკვეულ საქმეში გამოყენებულ ინსტრუმენ-ტთა ერთობლიობა.
3. რეფლექსური -რეფლექსებთა დაკავშირებული; არანებისმიერი, შეუცნობელი.
4. სტერეოტიპი – ბერძ. მაგარი, ანაბეჭდი.
5. დილემა – ბერძ. მსჯელობა ან დასკვნა, რომელიც შეიცავს ორ ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია.
6. პრომილე – ლათ. ათასზე. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი.
7. ემანსიპაცია – ლათ. განთავისუფლება ვინმეზე დამოკიდებულე-ბისაგან, უფლებრივად გათანასწორება.

[1] საქართველო ციფრებში 2010 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამ-სახური გვ.41.

თავი 5.

საქართველოს რეგიონული ეკონომიკა

5.1. საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა და ქვეყნის ადმინისტრაციულ – ტერიტორიული მოწყობის საკითხები

ტერიტორიული საწარმოო ძალები მოიცავენ როგორც ადამიანის შრომით შექმნილ ფაქტორებს ისე ბუნებრივსაც. მას მიეკუთვნება სამეურნეო ბრუნვაში ჩართული მდინარეები, ტყეები, მინდვრები, ჩანჩქერები, მაღალნაყოფიერი ნიადაგიანი მიწის მონაკვეთები და ა. შ. ერთი სიტყვით, ეს არის რეგიონულ-სივრცობრივი სისტემის ან ლოკალურად გარკვეული ტერიტორიის ის ბუნებრივ-ლანდშაფტურ-რელიეფური განსაკუთრებულობა, რომლებიც უკვე ჩართული არიან რეგიონულ კვლავწარმოებრივ პროცესში, ინჟინერულ – ტექნიკური ან ორგანიზაციულ – სამეურნეო ინფრასტრუქტურის კომპლექსის მიერ.

ტერიტორიულ მწარმოებლური ძალები ესაა ადგილმდებარეობის ბუნებრივ-გეოგრაფიული და სივრცობრივ-სამეურნეო თავისებურებათა სპეციფიკური შეხამება, რომელიც კულტურულ-სამეურნეო ბრუნვაში თავისი პოტენციალური შესაძლებლობების მეშვეობით გაა ჩნია უნარი შეამსუბუქოს, ან გაამარტივოს გარკვეული სოციალურ – ეკონომიკური და სივრცობრივ – ტექნოლოგიური პრობლემები, გახდეს სხვა მწარმოებლური ძალების ლოკალური მიზიდვის ცენტრად. ტერიტორიულ-მწარმოებლური ძალების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა ხდება სხვადასხვაგვარად რეგიონულ სამეურნეო სისტემის განვითარების მიხედვით. ტერიტორიულ- სამეურნეო წარმონაქმნის „კარკასს“ შეადგენს ტერიტორიული მწარმოებლური ძალები, ანუ ძალები, რომლებიც „ამოიზარდნენ“ ლანდშაფტურ – ბუნებრივი კომპონენტების გამოყენების ბაზაზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ეკონომიკური დარაიონების საფუძველს მკვეთრად გამოხატული სპეციფიკური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები წარმოადგენს. საქართველოს თითოეული ადმინისტრაციულ- ეკონომიკური რაიონი წარმოადგენს თავის მხრივ მკვეთრად გამოხატული სპეციფიკური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით გამოხატულ ტერიტორიას. უფრო მეტიც ცალკეული ტერიტორიულ-

ადმინისტრაციული რაიონების ფარგლებშიც განსხვავებულია ბუნებ-რივ-ეკონომიკური და სოციალური პირობები.

აღმოსავლეთის (კახეთის) ეკონომიკური რაიონი საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და მას ქვეყნის ტერი-ტორიის 16% უჭირავს 444,3 ათასი მოსახლეთი, რომელიც სახელმწი-ფოში მევენახეობა-მეღვნეობის ძირითადი რეგიონია.

აღმოსავლეთ-ცენტრალური რაიონი (თბილისი) ფართობი შეად-გენდა 21,1 ათას კვ.კმ-ს. ქვეყნის ტერიტორიის 30,4%, მოსახლეობა ქვეყნის მოსახლეობის 45,3%. ეს რეგიონი საქართველოს ტერიტორი-ულ-წარმოებრივი კომპლექსის ბირთვია. მასზე მოდიოდა ქვეყნის სამ-რეწველო პროდუქციის 50,7% (დარგებით: ელექტროენერგეტიკა, შავი მეტალურგია, მანქანათ მშენებლობა, სავიაციო მრეწველობა, ელმა-ვალ მშენებლობა, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა)

დასავლეთ ცენტრალურ (ქუთაისი) ეკონომიკურ რაიონს ეჭირა დასავლეთ საქართველოს ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილები. იგი მეურნეობრივი განვითარების დონით მეორე ადგილზე იყო (თბი-ლისის რაიონის შემდეგ), მასზე მოდიოდა ქვეყნის ტერიტორიის 16,0 % და მოსახლეობის 15,3 %. ამ რეგიონს ქვეყანაში პირველი ადგილი ეკუთვნოდა წიაღისეული სიმდიდრით და წარმოდგენილი იყო მრეწვე-ლობის დარგები: სათბობ ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიუ-რი, მსუბუქი, კვების მრეწველობა და სხვა.

დასავლეთის ეკონომიკურ რაიონს ქვეყნის ტერიტორიის 14 და მოსახლეობის 10,9 ეჭირა.

სამხრეთის ეკონომიკური რაიონი მდებარეობდა საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ზონაში და ახალციხის ქვაბულისა და ჯავახეთის მთიანეთის დიდ ნაწილს შეადგენდა, ქვეყნის ტერიტორიის 7,6% -ით და ქვეყნის მოსახლეობის 3,6%-ით.

აფხაზეთი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო- და-სავლეთ ნაწილში, ფართობით 8,7 ათასი კვ.კმ. (საქართველოს ტერი-ტორიის 12,5%).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ- დასავლეთ ნაწილში. მისი ფართობი შეადგენს 2,9 ათას კვ.კმ-ს საქართველოს ტერიტორიის 4,2%, ხოლო მოსახლეობა 381,2 ათას კაცს (ქვეყნის მოსახლეობის 7,0 %) აქ მრეწველობის წამყვანი

დარგები იყო ნავთობგადამამუშავებელი, მსუბუქი, კვების, მანქანათ-მშენებლობა და სხვა.

ბუნებრივია ისეთ მთიან ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რელიეფი გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანთა დასახლების ქსელის სივრცით ორგანიზაციაში. ქვეყანა ბუნებრივად აშკარად არის გაყოფილი ორ ნაწილად- აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. თვითონ ამ რეგიონში მნიშვნელოვანი განსხვავებებია მთას, ბარსა და სხვა მახასიათებლებს შორის. ისტორიულად მდინარეთა ხეობები დასახლების ძირითად ბაზას შეადგენდა. ეს როლი გაძლერდა მე-19 საუკუნის ბოლოდან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქრთველოში. იმ გზატკეცილების და რკინიგზების მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად მდინარეებს მიყვებოდა.

კომუნისტური ხელისუფლების მიერ იქნა შემოღებული საქართველოში ქვეყნის რაიონებად დაყოფა. ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის ეს წესი დღემდე არის შენარჩუნებული თავიანთი ადმინისტრაციული რაიონული ცენტრებით.

პერსპექტივაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის სრულყოფილად განხორციელების შედეგად საქმე ლოგიკურ დასასრულამდე იქნა მიყვანილი და მოხდა მცირე ადმინისტრაციული რაიონების საბოლოო გაუქმება.

დღეს საქართველოში იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ზემოქმედებენ რეგიონული განვითარების პროცესზე უნდა გამოვყოთ შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი:

- ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის საერთო ცვლილება, რომელსაც სხვადასხვა რეგიონის როლის, შედარებითი უპირატესობისა და მათი ურთიერთობის გადაფასებისაკენ მივყავართ.

- ეთნიკური კონფლიქტების შედეგად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული სტრუქტურის იძულებითი გადათამაშება.

- მიმდინარე ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმები რეგიონული განვითარების პრობლემებს უშუალოდ იშვიათად უკავშირდება.

საქართველოს ცალკეული რეგიონები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით. ეს განსხვავება ძირითადად

განპირობებულია რეგიონული თავისებურებებით, ამიტომ საჭიროა შემუშავებულ იქნას და განხორციელდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაემყარება რეგიონების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას მათი თავისებურებების, შრომის დანაწილებისა და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი რესურსების გამოყენებასა და მის საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებს შორის ბუნებრივ-კლიმატური პირობების განსხვავების გარდა, ადგილი აქვს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მხრივ და ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის არაიდენტურობას, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებლად უნდა გახდეს პრიორიტეტული, პროტექციონისტული და დიფერენციული, ცალკეული რეგიონების მიხედვით.

საბაზრო პირობებში რეგიონის განვითარება გულისხმობს მოცემული რეგიონის შიგნით საბაზრო ურთიერთობის ფორმირებას, სადაც პარტნიორები რეგიონულ ბაზარზე, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში არკვევენ ურთიერთობებს. პერსპექტივაში კი რეგიონული სუვერენიტეტის განვითარება-გაღრმავების პირობებში შესაძლებელი გახდება ისეთი მექანიზმების ფართოდ ამოქმედება, რომლებიც სხვა რეგიონებსაც და ქვეყნებსაც კი გაუხსნის რეგიონულ ბაზარზე შეღწევის საშუალებას. ამასთან, პროტექციონისტულმა პოლიტიკამ არ უნდა მიიღოს ბიუროკრატიული ადმინისტრირების სახე, რათა არ განვითარდეს რეგიონის თვითიზოლაციის ტენდენცია. პარალელურად ფართო გზა უნდა გაეხსნას კონკურენციას და რეგიონული ბაზარი ღია უნდა იყოს ყველა სახის პროდუქციისათვის, კაპიტალისათვის, ინფორმაციისათვის (რა თქმა უნდა ეროვნული ინტერესების დაცვის პირობებში). ასეთ სიტუაციაში ბაზარი შეძლებს შეასრულოს რეგიონული ბაზრის თვითრეგულირების როლი.

რეგიონის საბაზრო რეფორმები და წარმოების რესტრუქტურიზაცია მაშინ იქნება ეფექტური თუ მომწოდებლისა და მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ხელსაყრელი პირობები იქნება შექმნილი.

რეგიონებში, განვითარების მიმდინარე ეტაპზე წარმოების რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის მიზანია რეგიონების ეკონომიკის ბაზრისათვის მორგება-შეხამება. ამიტომ წარმოების რესტრუქტურიზა-

ცია საქართველოს თითოეულ რეგიონში უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული კვლევებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად რეგიონების ფინანსური შესაძლებლობები ძალზედ შეზღუდულია რესტრუქტურიზაციისა და სიმძლავრეების რეკონსტრუქციის პროცესების განსახორციელებლად, რეგიონების ხელისუფლებამ ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობლივად უნდა განახორციელოს ღონისძიებები აღნიშნული მიღწევებისათვის ინვესტიციების ფართოდ მიზიდვის გზით საქართველოს თითოეულ რეგიონში ახალი სიმძლავრეების შექმნა, უპირველეს ყოვლისა უნდა ემსახურებოდეს შემდეგ ძირითად მიზნებს: რეგიონის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რეგიონის მოსახლეობის მაქსიმალური დასქმების მიღწევას (წარმოებული საქონლის რეგიონის გარეთ რეალიზაციით), კაპიტალის მოზიდვის მიზნით რეგიონის რესურსების გამოყენებას.

ქართულ პოლიტიკაში, ეკონომიკაში ცნება „რეგიონი" შედარებით ახალია მას სულ რაღაც 20-25 წლის ისტორია აქვს და პირველად 70-იან წლებში დაფიქსირდა და უკავშირდება პროფესორ ვალერიან მელქაძის სახელს. აღნიშნულის მიხედვით უნდა ითქვას რომ საქართველოში სივრცობრივი ეკონომიკური კვლევის საკმაოდ დიდი ტრადიცია არსებობს კერძოდ, ეკონომიკურ გეოგრაფიული გამოკვლევების ტრადიცია სათავეს სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ის, ვახუშტი ბაგრატიონისა და მათ მიმდევართა შემოქმედებიდან იღებს. უნდა აღინიშნოს რეგიონული გეოგრაფიის ფუძემდებელი ვახუშტი ბაგრატიონი და მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსი" და სხვათა ნამოღვაწარი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს შრომები ძირითადად აღწერილობით ხასიათს ატარებდნენ, თუმცა მათ სერიოზული საფუძველი შექმნეს ქართული რეგიონული მეცნიერების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების თანამედროვე ეპოქაში, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში მეტად ინტენსიური ხასიათი შეიძინა ქვეყნის განვითარების ახალი რეგიონული პარადიგმების კვლევა-ძიების მიმართულებით წარმართულმა საქმიანობამ.

რეგიონის კომპლექსური განვითარების პრობლემების გადაწყვეტის თაობაზე, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის განზოგადე-

ბის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს მინიმუმ ხუთი მიდგომა, კონ-ცეფცია.

1. რეგიონი განიხილება, როგორც ჩაკეტილი თვითუზრუნველმყოფი მეურნეობა.

2. ტექნოლოგიური მიდგომა, რომლის არსი დარგებსა და საწარმოთა შორის მჭიდრო კვლავწარმოებით კავშირების განვითარებას უკავშირდება.

3. რეგიონის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ყველა ელემენტების ჰარმონიული ურთიერთქმედება, მთლიანობა და დარგების რაციონალური შეთანწყობა.

4.სოციალური პრიორიტეტების ამსახველი კვლავწარმოებითი მიდგომა.

5. ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია ტერიტორიულ-სოციალურ – ეკონომიკური სისტემების ფორმირებაზე.

„რეგიონის“ არსის გაგების საქმეში საბაზო ფენომენად უნდა მიჩნეულ იქნეს „ტერიტორიის კატეგორია, შემდეგ „რაიონი“-ს და ბოლოს „რეგიონის“ არსის გაგება.

ტერიტორია არის მიწის მაგარი ზედაპირის გარკვეულად განსაზღვრული ნაწილი მისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი და ანტროპოგენური რესურსებითა და მახასიათებლებით, რომელიც ხასიათდება ფართის განფენილობით, როგორც „სივრცობრივი“ რესურსების განსაკუთრებული სახითა და გეოგრაფიული მდგომარეობით და სხვა მახასიათებლებით.

„ტერიტორია“ ეს არის საერთო სივრცობრივი გარემო, რომელშიც თანაარსებობს უფრო მცირე ლოკალური ტერიტორიული წარმონაქმნების სიმრავლე, რომელთა დანაწევრებაც წინასწარ განსაზღვრულია ეკონომიკური, გეოგრაფიული, სოციალური, ეროვნული, დემოგრაფიული და სხვა ნიშნებით, რომლებიც ამ წარმონაქმნებს აქცევენ მთლიანი ტერიტორიული სივრცის ნაწილად.

უმნიშვნელოვანესი ტერიტორიული წარმონაქმნია „რაიონი“, რომელიც წარმოადგენს ლოკალიზებულ ტერიტორიას, რომელიც ხასიათდება შემადგენელი ელემენტებით, ერთიანობით, ურთიერთკავში-

რით, მთლიანობით, ამასთან ეს მთლიანობა მოცემული ტერიტორიის განვითარების ობიექტური პირობა და კანონზომიერი შედეგია.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გრაე წერდა: „რა არის რაიონი? რასაკვირველია ეს არის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეული. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ტერიტორია, რომელიც გამოირჩევა

საკმაოდ დამახასიათებელი ნიშნებით იმისათვის რათა ის გამოვალცაკეოთ მეზობლებისაგან“[1]

ტერმინ „რეგიონის“ დახასიათებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას სამი გარემოება:

– რეგიონი ესაა უპირველეს ყოვლისა ტერიტორიული მოვლენა და ამიტომ ტერიტორიული თავისებურება მასში უნდა აისახებოდეს როგორც საბაზისო.

– რეგიონი ეს არის მთლიანი სოციალური და ადმინისტრაციული სისტემის ნაწილი და ამიტომ უნდა ფლობდეს მის ძირითად მახასიათებლებს თუმცა არ დაიყვანება მანამდე.

– რეგიონს ახასიათებს შეკრული კვლავწარმოებრივი ციკლი, განსაზღვრული ეკონომიკური სპეციფიკა და მისი გამოვლენის ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება განვმარტოთ რომ – რეგიონი არის ტერიტორიული წარმონაქმნი, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული ადმინისტრაციული საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველმყოფი სოციალური და ეკონომიკური პროცესების კვლავწარმოება, რომლებიც განპირობებულია რეგიონის ადგილით შრომის ტერიტორიული და საზოგადოებრივი დანაწილების სისტემაში.

ამ განმარტებით, რეგიონი დახასიათებულია, როგორც ადმინისტრაციულად გამოხატული სივრცე და როგორც განცალკავებული სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსი, რომელშიც ყალიბდება და რეალიზდება მოცემული ტერიტორიის სიცოცხლის უზრუნველმყოფელი კვლავწარმოების პროცესების ერთობლიობა. მართლაც, ბუნებრივი რესურსების, მოსახლეობის შრომის საშუალებისა და მოხმარების საშუალების ცხოვრების კონკრეტული დონის კვლავწარმოების პროცესი მისი ძირითადი ეკონომიკური და სოციალური შემადგენლობით

[1] Бутов В И Основи регионведения Ростов на дону 1998

თავდაპირველად სივრცობრივად ყოველთვის ლოკალიზებულია და მხოლოდ შემდეგ ექვემდებარებიან საერთო სახელმწიფოებრივი ეკონომიკური და ინსტიტუციონალური მექანიზმების ზემოქმედებას.

განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე რეგიონი სივრცობრივ-ტერიტორიული აზრით სხვადასხვა გაგებით იხმარება. ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით რეგიონის ცნების სივრციობრივ გეოგრაფიული, პოლიტიკურ ადმინისტრაციული და ეკონომიკური შინაარსის დადგენა-დაზუსტება აუცილებლობას წარმოადგენს. ამის საჭიროება იმ გარემოებითაც არის ნაკარნახევი რომ მსოფლიო მაშტაბით გლობალიზაციის საპირისპიროდ და მასთან ერთად მიმდინარეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ინტენსიური რეგიონალიზაცია, რაც რეგიონული შემეცნების, პოლიტიკის, მართვის რეგულირების საფუძველი ხდება.[1].

რეგიონი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ტერიტორიულ სივრცეს აღნიშნავს, ამასთან ამ გაგებაში იგულისხმება ისეთი ტერიტორია, რომელიც რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს შეადგენს, ხოლო მსოფლიო მაშტაბით, ჩვეულებრი რეგიონის ცნებაში გულისხმობენ რომელიმე კონტინენტის ნაწილს. თანამედროვე

პირობებში რეგიონის ცნება თანდათანობით ერწყმება სხვადასხვა რანგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, ანუ რეგიონის ისეთ გაგებას, როდესაც მას სხვადასხვა კომპენტენციის ტერიტორიული მართვის საკუთარი ორგანოები გააჩნია.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში წარმოიშვა დასავლურ ყაიდაზე საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის წინადადებები და პროექტები.

1995 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ქვეყანა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარდა დაიყო შემდეგი სახის სამხარეო ერთეულებად: კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-თიანეთის, სამცხე ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის, სამეგრელო- ზემო სვანეთის მხარეებად. თბილისი, როგორც ქვეყნის დედაქალაქი დამოუკიდებელ

[1] ნ. ჭითინავა სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი გარდამავალპერიოდში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული ტ.V თბ. 2000წ. გვ.456.

ერთეულად იქნა მიჩნეული. ქ. ფოთი, რომელსაც განსაკუთრებული ქალაქის სტატუსი მიენიჭა ადმინისტრაციულად მაინც სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის შემადგენლობაში შევიდა.

5.2. საქართველოს ტერიტორიული განვითარების ნეგატიური ტენ-დენციები და მათი დაძლევის ამოცანები

ეკონომიკაში აუცილებელია ტერიტორიული პროპორციების უზ-რუნველყოფა-შენარჩუნება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარე-ბის დონის მიხედვით რეგიონების დიდი დიფერენციაციის არ დაშვება. საქართველოს ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირების უზრუნველყო-ფა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციისა და მისი მყარი განვითარების უმნიშვნელოვანეს ასპექტს. ქვეყნის ტერიტორი-ული განვითარების ახალი სტრატეგიის განხორციელება მოითხოვს ფედერალური ურთიერთობების ყველა სამართლებრივი ინსტიტუცი-ური, ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფას.

ქვეყნის ბოლო 10-15 წლის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნეგატიურ ტენდენციას წარმოადგენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების სულ უფრო გაძლიერებადი და მზარდი დი-ფერენციაცია, განსაკუთრებით კი ბევრი რეგიონის სულ უფრო პროგ-რესირებადი ჩამორჩენა. ეს დაკავშირებული იყო:

1. უპირველეს ყოვლისა საბაზრო კონკურენციის მექანიზმის ჩარ-თვა-ამოქმედებასთან, რომელმაც ქვეყნის ცალკეული რეგიონები დაა-ნაწილა მათი კონკურენციული უპირატესობებითა და ნაკლოვანებე-ბით, გამოვლინდა ეკონომიკის განსხვავებული სტრუქტურის მქონე, მოსახლეობისა და ხელისუფლების განსხვავებული მენტალიტეტის მქონე რეგიონების არათანაბარი ადაპტაცია ბაზრის მიმართ.

2. არსებითად შესუსტდა სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი, რაც გამოიხატა რეგიონულ განვითარებაზე სახელმწიფო ინვესტიციე-ბის მოცულობათა მკვეთრად შემცირებაში, რიგი რეგიონული ეკონო-მიკური და სოციალური კომპენსაციების გაუქმებაში.

3. თავი იჩინა და გამოიკვეთა სხვადასხვა სუბიექტების ფაქტიური უთანასწორობა ცენტრთან ეკონომიკურ ურთიერთობებში.

შედეგად, რაც მნიშვნელოვანი ნეგატიური, მოვლენაა, ერთ მოსახ-ლეზე მთლიანი რეგიონული პროდუქტის წარმოებითა და ერთ მოსახ-

ლეზე რეალური შემოსავლის სიდიდით რეგიონები ერთმანეთისაგან განსხვავებული გახდნენ. ასეთ მკვეთრ დიფერენციაციას თან ახლავს შედეგიც, რაც სიღატაკისა და დეპრესიის არეალის გაფართოებაში გამოიხატება, რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმების შესუსტებაში და რეგიონთაშორისი წინააღმდეგობების გაზრდაში ვლინდება. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად აძნელებს საერთო სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პოლიტიკის განხორციელებას.

ცენტრისა და პერიფერიის მოსახლეობის,აგრეთვე ქვეყნის რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების პირობებში მკვეთრად განსხვავება საზოგადოების მიერ აღიქმება სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევად, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ცენტრალური ტენდენციებისა და სეპარატიზმის შემდგომი გაძლიერება. ამიტომ, საქართველოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ძლიერი სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული მკვეთრი დიფერენციაციის შერბილებისაკენ.

მეორე ნეგატიური ტენდენცია- საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი პრობლემური რაიონისა და რეგიონის წარმოშობაა, ან განსაკუთრებული ანომალიების მქონე ტერიტორიების გამოჩენაა, რომლებიც ხასიათდებიან სოციალური-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების სიმწვავით.

კრიზისულს განეკუთვნებიან ის რეგიონები და ტერიტორიები, რომლებმაც განიცადეს ბუნებრივი, ტექნოლოგიური ან სხვა სახის კატასტროფა და დამანგრეველი სტიქიური ზემოქმედება, შედარებით მაშტაბური ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონფლიქტები (აფხაზეთი, სამაჩაბლო), წარმოებისა და ცხოვრების დონის ექსტრემალური დაცემა დაქვეითება. ყოველივე აღნიშნულის შედეგია დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალის მოშლა და მოსახლეობის დიდი რაოდენობის იძულებითი ემიგრაცია და ადგილმონაცვლეობა.

ჩამორჩენილი რეგიონების ჯგუფს განეკუთვნებიან ჩვენი სახელმწიფოს ის რეგიონები და ტერიტორიები, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი ობიექტური და ისტორიული მიზეზების გამო რამდენჯერმე ნაკლებია ჩვენი ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, ხოლო მათი ეკონომიკა იმყოფება ხანგძლივი პერიოდით უძრაობაში და ხასი-

ათდება მრეწველობის მცირედ დივერსიფიკაციური სტრუქტურით, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურითა და სოციალური სფეროთი.

დეპრესიულს განეკუთვნებიან ის ტერიტორიები, რომლებიც ხასიათდებიან ეკონომიკური აქტიურობის მყარი და ღრმა დაქვეითებით, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითებით (ძველი სამრეწველო ლოკალური ზონები, აგროსამრეწველო და ზოგიერთი მომპოვებელი რეგიონები.) დეპრესიის ბევრი პრობლემის დაძლევა შეიძლება მოხერხდეს და გადაწყდეს შიდა მოთხოვნის გაფართოების ხარჯზე.

დეპრესიული რეგიონების მდგომარეობის გაუმჯობესება გარკვეულიწილად დამოკიდებული იქნება მსოფლიო ბაზარზე საქართველოს პოზიციის გაძლიერებაზე. დეპრესიული რეგიონების გასვლა ეკონომიკის ზრდის მყარ ტრაექტორიაზე შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს საკუთარი ძალებით დივერსიფიკაციის განხორციელებით, კონვერსიით, წარმოების მოდერნიზაციით, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობითა და წახალისებით, ადგილობრივი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებით, გასაღების ახალი ბაზრების ძებნით და სხვა. მაგრამ ამასთან, ღრმა დეპრესიული რეგიონები უნდა გახდნენ მიზნობრივი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ობიექტები.

პრობლემური რეგიონების ჯგუფში შედიან აგრეთვე ქვეყნის ჩრდილოეთი და მთაგორიანი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც ტიპიური ნეგატიური ფაქტორები (არახელსაყრელი კლიმატი, ცხოვრების მაღალი ღირებულება, მაღალი საწარმოო და სატრანსპორტო დანახარჯები და სხვა) არ კონპერსირდებიან ძლიერი კონკურენციული უპირატესობებით უმდიდრესი რესურსების გამოყენების სახით (მაგ: ნავთობისა და ბუნებრივი აირის, ფერადი ლითონების, ძვირფასი ლითონების და სხვა). ამიტომ ასეთი ტერიტორიების ლოკალური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოებრივი დახმარების სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას.

მესამე ნეგატიური ტენდენცია- ეკონომიკური სივრცის დეზინტეგრაცია. 90-იან წლებში ეს იგრძნობოდა და თავს იჩენდა, უპირველეს ყოვლისა, წინათ არსებული ეკონომიკური კავშირების შესუსტებაში და მათ შორის რეგიონთაშორისი კავშირების საგარეო-ეკონომიკურით

შევიწროვება-გამოდევნაში. რეგიონთაშორისი საქონელგაცვლის მოცულობები უფრო მეტი მოცულობით შემცირდა, ვიდრე წარმოების მოცულობები.

საბაზრო პირობებში რეგიონთაშორისი ეკონომიკური ინტეგრაცია ბაზრის სუბიექტების ურთიერთდაინტერესებას ეფუძნება და არცერთ რეგიონს არ არგებს განცალკავებულობა, რამეთუ თითოეული რეგიონი დაინტერესებულია თავისი პროდუქციის გასაღების ფართო ბაზრით. განცალკევებულობის, განსაკუთრებულობის, მარტოდ მარტო თავის გატანის სინდრომის შემცველად რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთქმედების გაფართოებისაკენ მისწრაფებაა.

დეზინტეგრაციული ტენდენციების დაძლევა პირველ რიგში დაკავშირებულია ეკონომიკური ზრდის განახლებასთან (განსაკუთრებით მრეწველობაში და საინვესტიციო ფორმით), იმპორტის ჩანაცვლების პროცესთან და სატრანსპორტო ტარიფების რეგულირების პოლიტიკასთან. ახალი რეგიონთაშორისი ინტეგრაცია აიგება საბაზრო ეფექტიანობის კრიტერიუმების შესაბამისად, სოციალური პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე და ქვეყნის გეოსტრატეგიული ინტერესების შესატყვისად.

ნეგატიური ტენდენციების გარდატეხა და ეკონომიკური სივრცის მყარი პროგრესული ევოლუცია შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ სახელმწიფოსა და საქართველოს საზოგადოების კონსტრუქციული ძალების კონსოლიდირებული პოლიტიკის ზემოქმედებით. ტერიტორიული განვითარების სტრატეგია უნდა განსაზღვრავდეს რეგიონების ეკონომიკისა და ეროვნული ეკონომიკური სივრცის პრიორიტეტებსა და რესტრუქტურიზაციის ეტაპებს, ხოლო რეგიონული პოლიტიკა- სტრატეგიის სარეალიზაციო კონკრეტულ ზომებს უნდა აკავშირებდეს, ახამებდეს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ყველა დანარჩენ მიმართულებებთან, სახელმწიფოს რესურსულ შესაძლებლობებთან.

21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველო შეეჯახა მთელ რიგ მოვლენებს, რომელთა შედეგები მისი ეკონომიკური სივრცის ხარისხისათვის არაერთმნიშვნელოვანია.

– ეკონომიკური ზრდის გაგრძელების აუცილებლობა ახალ თვისებრივ საფუძველზე.

– საქართველოს რეგიონების გაძლიერებადი (მზარდი) დამოკიდებულება მსოფლიო მეურნეობასთან.

– პოსტინდუსტრიული და ინფორმაციული საზოგადოებისაკენ გადასვლა სხვადასხვა რეგიონების განსაკუთრებული ფუნქციებით.

– ცხოვრების დონის ცვლილება და მასთან დაკავშირებით მოთხოვნები სოციალური სფეროს განვითარებისადმი.

– ეკოლოგიურ მოთხოვნათა გამკაცრება მსოფლიო თანამეგობრობის მყარი განვითარების პარადიგმებზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ახალი რეალიები საქართველოს ეკონომიკური სივრცისათვის ქმნიან, როგორც ახალ რთულ პრობლემებს, აგრეთვე ახალ შესაძლებლობებს.

ტერიტორიული გნვითარების სტრატეგიის მთავარი მიზნები მდგომარეობს ერთიანი ეკონომიკური სივრცის განმტკიცებაში, ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობაში და უსაფრთხოებაში, ყველა რეგიონის ჰარმონიულ განვითარებაში მათი ოპტიმალური სპეციალიზაციის საფუძველზე, შრომის ადგილობრივი და საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე, რესურსული პოტენციალისა და კონკურენციულ უპირატესობათა გამოყენების საფუძველზე.

სტრატეგია მოიცავს რეალიზაციის სამ ეტაპს:

1. გარდამავალი პერიოდის დასრულება

2. მსხვილი პროგრამების განხორციელებას, რომელთაც ძალუძთ გამოიწვიონ ხარისხობრივი ცვლილებები წარმოების განლაგებაში, ბუნებათსარგებლობაში და გარემოს მდგომარეობაში, განსახლების სისტემაში, ტრანსპორტისა და კავშირის საშუალებების განვითარებაში;

3. რეგიონების მყარი განვითარების ტრაექტორიაზე გასვლის დაწყებას.

პირველი ეტაპის ამოცანები ესაა რეგიონებში ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაჩქარებული დაძლევა, ძირითადი ინსტიტუციონალური გარდაქმნების დამთავრება. სპეციალურ ამოცანებს წარმოადგენენ რეგიონების განვითარებაში დიფერენციაციის დონის შემცირება (1,5-2,0 ჯერ) ძირითადად ძალიან ჩამორჩენილი რეგიონების წამოწევის მიღწევით და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის დაჩქარებით ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეგიონთაშორისი ბარიერების

დაძლევის გზით, საბაზრო ინფრასრუქტურის განვითარებით, ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნით. ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობის განმტკიცების აუცილებლობა შენარჩუნდება როგორც სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ამ სტრატეგიის განხორციელების მთელ პერიოდში.

5.3. საქართველოს ეკონომიკური სივრცის მოდერნიზაციისა და ეკონომიკური დარაიონების პრობლემები

საქართველოს ტერიტორიული განვითარება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრული იქნება მსოფლიო ეკონომიკური, ეკოლოგიური და გეოპოლიტიკური ტენდენციებით. ამ მხრივ ძირითადი ფაქტორებია.

– საქართველოს ეკონომიკის სულ უფრო გაღრმავებული ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში;

– გეოპოლიტიკური სიტუაციისა და გეოპოლიტიკური პრიორიტეტების დიფერენციაცია სახელმწიფო საზღვრების პერიმეტრების მიხედვით, მათ შორის საზღვრისპირა ზონების არსებობა განსაზღვრული პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობით, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ ეროვნული უშიშროებისათვის.

– საქართველოს ტერიტორიის განსაკუთრებული როლი, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის მდებარეობით და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების დერეფანი.

საქართველოს გეოეკონომიკური, გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მდებარეობა თანამედროვე მსოფლიოში იმაში გამოიხატება და მჟღავნდება კიდეც, რომ საქართველოს შეხება აქვს მსოფლიოს უმსხვილეს ეკონომიკურ ჯგუფებთან.

განვითარებულ და სწრაფად განვითარებად ქვეყნებთან მეზობლობა და სტრატეგიული კავშირ-ურთიერთობა კონტაქტური რეგიონებისათვის ქმნის არა მარტო გარკვეულ უპირატესობებს, არამედ აგრეთვე სერიოზულ პრობლემებსაც, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობასთან, მოსახლეობის მიგრაციასთან, კონტრაბანდის თავიდან აცილებასთან, ბუნებრივი რესურსების დაცვასთან და სხვა. საქართველომ, როგორც ევროპულმა ქვეყანამ და შესანიშნავი გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მდე-

ბარეობის ქვეყანამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ევროპის, საერთოდ დასავლეთისა და აზია წყნარიოკეანის ეკონომიკური ჯგუფების დაახლოება ინტეგრაციაში. შეასრულებს რა ტრანსკონტინენტალური ხიდის როლსა და მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის აქტიური მონაწილის ფუნქციას.

მნიშვნელოვან ტრანსნაციონალურ პროექტებს უნდა მიეკუთვნოს რკინიგზის ტრანსპორტის,საავტომობილო და ტრანსპორტის სხვა საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აბრეშუმის გზის განვითარებას. მთლიანად საქართველოსთვის და მისი რეგიონებისათვის ტრანსკონტინენტური და სხვა საერთაშორისო მაგისტრალები არ შეიძლება შემოიფარგლონ მხოლოდ სატრანსპორტო გზის როლით. მათ ზემოქმედება უნდა მოახდინონ რეგიონების ეკონომიკის განვითარებაზე,მათ შორის ახალი ბუნებრივი რესურსების ათვისებაზე, მშენებლობის უზრუნველყოფისა და სატრანსპორტო გზების ფუნქციონირებაზე.

სახელმწიფოებრივი სტრატეგიული ინტერესები მნიშვნელოვანია მრავალი სივრცისათვის, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე და ზღვისპირა რეგიონები თამაშობენ არსებით როლს ქვეყნის უშიშროებაში და საერთაშორისო თანამშრომლობაში.

ეროვნულ დონეზე ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის მთავრ შინაგან პრობლემებს წარმოადგენენ:

1. ეკონომიკური სივრცის რეალური ინტეგრაციის უზრუნველმყოფელი სატრანსპორტო, ენერგეტიკული, ტელესაკომუნიკაციო, ლოჯისტიკური სისტემის ახალ ტექნიკურ საფუძველზე განვითარება.

2. სათბობ-ენერგეტიკული ბაზების უფრო თანაბარზომიერი განთავსება.

3.რეგიონების სამეურნეო სტრუქტურების საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისადმი ადაპტირება და მყარი განვითარება (მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნის ჩათვლით, მომსახურების ქსელის განვითარება, წარმოების ეკოლოგიზაცია და სხვა.)

4. მიგრაციული ნაკადების რეგულირება მოსახლეობის სურვილის და შრომის ბაზრების მოთხოვნათა გათვალისწინებით (პირველ რიგში მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაციის მიღწევა მთიან რეგიონებში ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებზე რიგ საზღვრის პირა ადგილებში მოსახლეობის ჩასახლების სტიმულირება)

სტრატეგიის კონკრეტული მიმართულებები დაკავშირებულია მსხვილი რეგიონული პრობლემების გადაწყვეტასთან, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მთლიანად სახელმწიფოსათვის. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობისაა ეკონომიკის მოდერნიზაციის პრობლემა ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის გათვალისწინებით, ინოვაციური ზრდის პოლუსებისა და კორიდორების შექმნით, სიტუაციის სტაბილიზაციისა და მთიანი რეგიონების ინტენსიური განვითარებისათვის პირობების უზრუნველყოფით. რეგიონების ეკონომიკისა და რეგიონთაშორისი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია ქმნის პირობებს თითოეული სუბიექტის სრულიად საქართველოს ბაზარში ეფექტიანად ჩართვისა და მონაწილეობისათვის.

ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის ყველა პროექტი საჭიროა დაკავშირებული და მიბმულ იქნან სოციალური, მაკროეკონომიკური, სამრეწველო სტრუქტურული პოლიტიკის პროგნოზებთან და ღონისძიებებთან. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემა უნდა განიხილებოდეს მისი ტერიტორიული განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის სტრატეგიის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

განვიხილოთ თანამედროვე ეკონომიკური დარაიონების საფუძვლები და საქართველოს ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები.

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისა და განვითარების პირობებში ტერიტორიული მართვის განხორციელება საქართველოს რეგიონების მკვეთრი განსხვავებულობისა და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის უთანაბრობის პირობებში შეუძლებელია თანამედროვე მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური დარაიონების პრინციპებისა და საფუძვლების გათვალისწინების გარეშე. მათ შეუძლიათ სერიოზული გავლენა მოახდინონ რეგიონების განვითარების ეფექტიანობაზე. თითოეული რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის საწარმოო ძალების განლაგებაზე.

ეკონომიკური რაიონები წარმოიქმნებიან, ყალიბდებიან და ვითარდებიან შრომის საზოგადოებრივ-ტერიტორიული დანაწილების საფუძველზე. შრომის დარგობრივ დანაწილებასთან, წარმოების უფრო მცირე დარგებად დაყოფასთან, სპეციალიზებული წარმოებების შექმნასთან დაკავშირებით ეკონომიკური დარაიონება იწვევს სამეურნეო

ტერიტორიის დაყოფას გარკვეული სპეციალიზაციით კიდევ უფრო მეტად დანაწევრებულ ურთიერთდაკავშირებულ რეგიონებად. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ხელს უწყობს სხვადასხვა სახის პროდუქციის მასიურ და ეფექტურ წარმოებას და ბაზრის გაფართოებას.

ეკონომიკური დარაიონებისა და რეგიონალიზაციის პრობლემების მეცნიერულად დასაბუთების ამოცანა მოითხოვს და საჭიროებს არსებული მრავალრიცხოვანი ფაქტორების ღრმა გამოკვლევას, მათ შორის ქვეყანაში ჩამოყალიბებული საწარმოო ძალების განლაგების გათვალისწინებასაც.

საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების ამჟამინდელ ეტაპზე წარმოების ინტენსიფიკაცია განიხილება ტექნოლოგიური პროგრესის უახლეს მიღწევებთან მჭიდრო კავშირში. განსაკუთრებით მწვავე მეცნიერულ- ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის პრობლემა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წინაშე დგას, რადგანაც ქვეყანაში 90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა თითქმის მთლიანად მოშალეს ეროვნული მეურნეობის არსებული, საკმაო მძლავრი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ქვეყნის ტერიტორიაზე ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი დიფერენციაციის გადამწყვეტ ფაქტორს პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯები ცალკეული რაიონთაშორისი განსხვავებები წარმოადგენს. ცალკეულ რაიონებში ეკონომიკური მაჩვენებლების დიფერენციაციის ფაქტორია აგრეთვე, კონკრეტულ რაიონებში ეკონომიკის ფაქტიური მდგომარეობაც. ამიტომ, ახლებურად დარაიონების, ტერიტორიული დაყოფის ამოცანა დღის წესრიგში ტექნიკურ პროგრესთან ერთად აყენებს საწარმოო ფაქტორის გაზრდილი როლის გათვალისწინებას.

ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პირობებში ახალ თვისებებსა და ხასიათს იძენს ტერიტორიული დაყოფისა და რეგიონწარმომქმნელი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა რეგიონების მეურნეობათა ტერიტორიული კომპლექსურობა. ამ უკანასკნელის მნიშვნელოვან მაჩვენებლად გვევლინება მოცემული რეგიონის მეურნეობის მისსავე ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებთან შესაბამისობა, წამყვანი სპეციალიზებული წარმოებებისა და მათი ტერიტორიული კონცენტრაციის ბაზაზე დარგების რაციონალური შეთანწყობა-შეხამება, ტერიტორიაზე ფუნქციონი-

რებულ დარგთა სტრუქტურების შედარებითი მსგავსება. საბაზრო ურთიერთობები, ისე როგორც სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სხვა ურთიერთობები ტერიტორიულ ჭრილში სხვადასხვაგვარია, ანუ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ისინი განსხვავებულად ვლინდებიან.

საქართველოს საწარმოო ძალების თანამედროვე მდგომარეობის, მისი განვითარებისა და განლაგების ანალიზი ეკონომიკურ რაიონების პრინციპებთან მიმართებაში იმის საშუალებას იძლევა, რომ გაკეთდეს დასკვნა.

ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ადმინისტრაციული დარაიონების ბადე საჭიროებს აუცილებელ გადასინჯვას და უნდა განხორციელდეს ქვეყნის გამსხვილებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მართვაზე გადასვლა. ქვეყნის რიგი ამჟამინდელი რაიონი უკვე არასრულად და უზუსტოდ ასახავს მოცემული კონკრეტული ტერიტორიული მონაკვეთების სამეურნეო და ბუნებრივ პოტენციალს. ასევე საწარმოო პროფილს, ტერიტორიების კომპლექსური განვითარების ამოცანებს, მათ სამეურნეო პრობლემებს.

ტერიტორიის ეკონომიკური დარაიონების საქმის შემუშავების მეთოდოლოგიური მიდგომები აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებათა ხარისხობრივი ანალიზის შედეგებს:

– საერთო რეგიონწარმომქმნელი ფაქტორების გამოვლინება ტენდენციების აღრიცხვას, ანუ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, წარმოების კონცენტრაციის ტერიტორიულ ფორმებს და სხვა.

– კონკრეტული რეგიონულ-კომპლექსური საკვანძო პრობლემების ანალიზს, ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიებზე რეგიონწარმომქმნელი სპეციფიკური პირობების ანალიზს.

თანამედროვე ეკონომიკური რაიონი შინაარსობრივად უნდა დახასიათდეს შემდეგნაირად: ეს არის ეროვნული მეურნეობის მთლიანი ტერიტორიული ნაწილი, რომელსაც გააჩნია თავისი საწარმოო სპეციალიზაცია და მყარი შიდა ეკონომიკური კავშირები. ეკონომიკური რეგიონი დაკავშირებულია ქვეყნის სხვა შემადგენელ ნაწილებთან, შრომის ტერიტორიული საზოგადოებრივი დანაწილებით, როგორც მყარი შიდაკავშირების მქონე სამეურნეო მთლიანი ერთეული.

ქვეყნის ტერიტორიული რეგიონიზაციის ძირითადი პრინციპებია:

1. ეკონომიკური პრინციპი, რომელიც რეგიონს განიხილავს როგორც ქვეყნის ერთიანი ეროვნული მეურნეობრივი კომპლექსის სპეციალიზებულ ნაწილს და რომელიც თავის შემადგენლობაში მოიცავს გარკვეულ დამხმარე და მომსახურე წარმოებებს აღნიშნული პრინციპის მიხედვით რეგიონის სპეციალიზაცია უნდა განსაზღვროს ისეთმა დარგებმა, რომელშიც პროდუქციის წარმოებაზე სახსრებისა და შრომითი დანახარჯები, აგრეთვე დანახარჯები საქონლის მომხმარებლამდე მიტანაზე სხვა რეგიონებთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები იქნება.

2. ეროვნული პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, მათი შრომისა და ყოფის ისტორიულად ჩამოყალიბებულ თავისებურებებს.

3. ადმინისტრაციული პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ნაწილებად დაყოფისა და ტერიტორიული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის ერთიანობას. ეს პრინციპი შექმნის პირობებს რეგიონების დამოუკიდებლად ეფექტიანად განვითარებისათვის და საქართველოს შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში რეგიონების როლის განსამტკიცებლად.

თანამედროვე პირობებში გამსხვილებულ ეკონომიკურ ტერიტორიებად, რეგიონებად დაყოფა ნაკარნახევია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებით. ეკონომიკური რეგიონების საზღვრების კონტურები განისაზღვრება საბაზრო სპეციალიზაციის დარგებისა და მნიშვნელოვანი დამხმარე წარმოებების განლაგების არეალით, რომლებიც საბაზრო სპეციალიზაციის დარგებთან წარმოების კოოპერირებით არიან დაკავშირებული. თანამედროვე ეკონომიკური რეგიონალიზაციის განხორციელების ფაქტორებს აკუთვნებენ აგრეთვე მოცემულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის არსებობას, მოსახლეობის სიმჭიდროვეს, მათ მიერ დაგროვილ შრომით გამოცდილებას და ა.შ.

ეკონომიკური დარაიონების პროცესი არ გულისხმობს ამ მხრივ პროცესების უძრაობას. იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესის კვალობაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენით შეიძლება შეიცვალოს და უფრო სრულყოფილიც გახდეს.

საქართველოს თანამედროვე პირობებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური დარაიონება მოიცავს ავტონომიურ რესპუბლიკებს, მხარეებს, საქალაქო და სასოფლო რაიონებს. არსებული ეკონომიკური და-

რაიონების თითოეული სახე პასუხობს ტერიტორიული განვითარების გარკვეულ ამოცანებს. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის თვალსაზრისით საქართველო უნდა დაიყოს მაკრორეგიონებად ან ეკონომიკურ ზონებად, რომელთათვისაც დამახასიათებელი იქნება საერთო ბუნებრივი პირობები, შემდგომი განვითარების ტენდენციები, ეკონომიკის მახასიათებელი ნიშნები და სხვა.

ქვეყნის ეკონომიკურ რეგიონებად დაყოფის მთავარი პრინციპებია- კონკრეტული რეგიონის ტერიტორიის სამეურნეო ათვისების დონე, ურთიერთთანაფარდობა არსებულ რესურსებსა და მათი ათვისების ხარისხს შორის.

დღეისათვის საბაზრო ურთიერთობათა განვითარების პირობებში საქართველოში შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ შემდეგი ტიპის რეგიონები: 1. ჭარბი სამუშაო ძალის მქონე რეგიონები და 2. მრავალდარგოვანი და დეპრესიული რეგიონები.

რეგიონების პირველი ჯგუფისათვის რეკომენდირებულია წვრილსაქონლური წარმოების განვითარების ყოველმხრივი წახალისება ქალაქადაც და სოფელ ადგილებშიც. მეორე ტიპის რეგიონებისათვის კი სასურველია შეიქმნას განსაკუთრებით კეთილმყოფელი რეჟიმი სამეწარმეო მოღვაწეობისათვის მათი გადასახადების გადახდისაგან ნაწილობრივ განთავისუფლების გზით და სხვა ხელისშემწყობი ფაქტორების მოშველიებით.

სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელების პროცესში განსაკუთრებით რეალურია წარმოების მკვეთრი დაცემის საშიშროება. მასობრივი უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობის გამწვავება. ამიტომ ასეთი რეგიონების არსებობისათვის აუცილებელია საგადასახადო შეღავათები, კრედიტები, ადგილობრივი ორგანოების უფლებების გაზრდა და მოსახლეობის სოციალური დაცვა. რეგიონების ცალკეულ საწარმოებს უნდა მიეცეთ კრედიტები წარმოების მხარდაჭერისა და სოციალური მიმართულების პროდუქციის გამოშვებაზე ორიენტაციის შესაცვლელად.

სასოფლო – სამეურნეო დარაიონების თვალსაზრისით საბაზრო ურთიერთობების განვითარების საფუძველზე საქართველოში შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი ხასიათისა და მიმართულების სასოფლი-სამეურნეო რეგიონი:

1. ფერმერული რეგიონები კერძო საკუთრების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით.

2. რეგიონები, სადაც კოლექტიური მეურნეობები შეხამებულია ფერმერული მეურნეობების არსებობასთან და ფუნქციონირებასთან.

3. მთიანი რეგიონები.

4. გადასარეკი სასაძოვრე მესაქონლეობის ტერიტორიები.

5. სუსტად ათვისებული ტერიტორიები მიწითსარგებლობის განსაკუთრებული რეჟიმით.

უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი აგარარული გარდაქმნები არის მოსალოდნელი ყველა აღნიშნული ტიპის სასოფლო-სამეურნეო რეგიონში. განსაკუთრებით, რეალურად შესაძლებელია უახლოეს მომავალში ფერმერულ მეურნეობათა ფორსირებული განვითარება, რის ხელშესაწყობადაც საჭიროა დამატებითი სახელმწიფო ინვესტიციები, სუბსიდიები და სხვა სახის დახმარება ხელშეწყობა.

ცალკეულ რეგიონებს შორის არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიულ, სოციალურ-დემოგრაფიულ და ეკონომიკურ განსხვავებათა, აგრეთვე სხვა სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს და განისაზღვროს საქართველოს ცალკეული რეგიონის ეკონომიკის განსაკუთრებული განვითარების კონკრეტული მიდგომები. ამასთან ერთად ამ საქმეში მთავარ ორიენტირებად მიჩნეული უნდა იქნას:

1. საერთო ქვეყნის სტრუქტურული ინვესტიციური, ფინანსური, სოციალური და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში რეგიონების მუშაობის სპეციფიურობის გათვალისწინება.

2. რეფორმების რიგ მიმართულებათა ძირითადად რეგიონულ დონეზე გადატანა, განსაკუთრებით მცირე მეწარმეობაში, სოციალურ სფეროში, ბუნების დაცვაში და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში.

3. რეფორმების მართვის პროცესების დეცენტრალიზაცია და ადგილზე ეკონომიკური მოღვაწეობის გააქტიურება.

4. განსაკუთრებით თავისებური პირობების მქონე რეგიონებში რეფორმების განხორციელების სპეციალური პროგრამების შემუშავების აუცილებლობა.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოს ეკონომიკის სივრცობრივი ინტეგრაციისაკენ.

სოციალურ სფეროში რეგიონული პოლიტიკის მიზანი უნდა გახდეს ქვეყნის თითოეულ რეგიონში მოსახლეობისათვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. საქართველოში რეგიონული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს შიდასაქვეყნო შიდარეგიონული სოციალური დაძაბულობის განმუხტვისაკენ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებისაკენ. ეკონომიკურ სფეროში ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის მიზნად გვესახება რეგიონების ბუნებრივ-ეკონომიკურ შესაძლებლობათა რაციონალური გამოყენება, შრომის ტერიტორიული დანაწილებისა და რეგიონების ეკონომიკური კავშირების გაღრმავება-გაფართოების უპირატესობათა მიზნმიმართული გამოყენება.

ამრიგად საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიულ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ შემდეგის განხორციელება და მიღწევა:

1. ძველი სამრეწველო რეგიონებისა და მსხვილი ქალაქების ეკონომიკის რეკონსტრუქცია, მრეწველობის დარგების აღდგენა-ამუშავებით, ინფრასტუქტურის მოდერნიზაცია,პრივატიზაცია, ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღება.

2. აგროსამრეწველო რეგიონების კრიზისული მდგომარეობის დაძლევა, ქართული სოფლის ეკონომიკის აღდგენა, სასოფლო ადგილებში დაკარგული საცხოვრებელი გარემოს აღდგენის დაჩქარება, ადგილობრივი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მიტოვებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისება.

3. ექსტრემალური ბუნებრივი პირობების მქონე და უპირატესად სანედლეულო სპეციალიზაციის მიმართულების რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, პირობების შექმნა ეროვნულ უმცირესობათა განვითარებისათვის.

4. ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების და სამრეწველო კვანძების ფორმირების დაწყება განვითარება არაცენტრალიზებული ინვესტიციების ხარჯზე, არსებული ნედლეულის რესურსების კომპლექსური გამოყენებით, წარმოებების პრიორიტეტული განვითარებით.

5. საექსპორტო მიმართულებისა და იმპორტშემცვლელი წარმოებების განვითარების სტიმულირება. იმ რეგიონში სადაც ამის განსაკუთრებით კარგი ხელშემწყობი პირობებია: თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირება, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის პროცესის დაჩქარება

6. სახელმწიფო საზღვირსპირა რეგიონების განვითარებისა და სპეციალიზაციის ცვლილებების პროცესის დაწყება და სამუშაო ადგილების შექმნა, რეალურად იქ არსებული მომეტებული მოცულობის სამუშაო ძალის დასაქმების მიზნით.

7. რეგიონთაშორისი და რეგიონულ ინფრასტრუქტურულ სისტემათა განვითარება- ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის, რომლებიც უზრუნველყოფენ და ასტიმულირებენ რეგიონულ სტრუქტურულ ძვრებსა და რეგიონული ეკონომიკის ეფექტიანობას.

ისმის ლოგიკური კითხვა იმის თაობაზე, თუ რა უნდა განსაზღვროს პერსპექტიული პერიოდისათვის, რეგიონული ეკონომიკისა და პოლიტიკის სამეცნიერო კონცეფცირების შინაარსმა?

1. მეურნეობის განვითარების ტერიტორიული ეკონომიკური პროპორციების სრულყოფა რეგიონების მიხედვით მეურნეობის პროპორციულობის უკეთესი ვარიანტების მეცნიერულად დასაბუთების საფუძველზე. საზოგადოებრივი შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში ამ რეგიონების ეკონომიკური როლის განსაზღვრა.

2. რეგიონების მიხედვით მოსახლეობის განაწილებისა და წარმოების განლაგების თანაფარდობას შორის უკეთესი ვარიანტების არჩევა.

3. გამოვლენილი და პოტენციური ბუნებრივი რესურსების თანამედროვე და პერსპექტიული ბუნებრივ-ტექნიკკური და ეკონომიკური შეფასება, რასაც შეუძლია უშუალო ზეგავლენა მოახდინოს მეურნეობის რაციონალურ ფორმირებაზე.

4. ახალი სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორების გამოვლენა, რომლებსაც შეუძლიათ განსაზღვრონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის თანამედროვე და მომავალი განლაგება.

5. რაციონალური საწარმოო სპეციალიზაციის, სამეურნეო კომპლექსების ფორმირების, რეგიონებში ინფრასტრუქტურის მეცნიერული ვარიანტების დამუშავება, რამაც უნდა განსაზღვროს მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურის პროპორციულობა და მათი ეკონომიკური განვითარების დონეების შემდგომი გათანაბრება.

6. მსხვილი სამეურნეო კომპლექსების შექმნისა და განვითარების ყველაზე უფრო პროგრესული ვარიანტების გამოვლენა ახალი სამეურნეო ათვისების ტერიტორიებზე.

7. სისტემაში „ადამიანი – მეურნეობა – ბუნება“ მეცნიერულად დასაბუთებულ შეფარდებათა ძიება, რაც განსაზღვრავს რეგიონებში ბუნებრივი გარემოს რაციონალურ ორგანიზაციას.

8. საწარმოო ძალების განლაგების ეფექტიანობის გაანგარიშების ახალი მეთოდების შემუშავება, რეგიონების ეკონომიკის განვითარების უფრო სრულყოფილი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების ძიება.

5.4. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების თანამედროვე ტენდენციები

გეოგრეაფიული მონაცემების თანახმად, საქართველოს მთელი ტერიტორიის 54,4 % მთიანია (ზღვის დონიდან 1000 მ-ზე მაღლაა). ტერიტორიის საშუალო სიმაღლე 1508 მ აღწევს (აღმოსავლეთ საქართველო – 1691მ; დასავლეთ საქართველო – 1314 მ); მისი 53% უკავია მთებს, 33,4% მთისწინეთს და მხოლოდ 13 % დაბლობს.

ყველაზე მაღალი ადმინისტრაციული რაიონებია: ყაზბეგი, მესტია, დუშეთი, ონი და ლაგოდეხი. თუ ვიხელმძღვანელებთ მთიანი რეგიონების შესახებ ევროპის რიგ ქვეყნებში დღეისათვის მიღებული განმარტებებით, რომლის თანახმადაც მთიანი რეგიონები არის გეოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ერთეული, რომლის რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს განვითარების მოწყობისა და დაცვის საგანგებო წესების შემუშავებასა და ამოქმედებას, ტერიტორია, რომელიც ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდა.

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად მთიანეთსა და მაღალმთიანეთს განეკუთვნება 13 ისტორიული ეთნოგრაფიული მხარე, რაც დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად წარმოადგენს ძირითადად სამ რეგიონს მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი და ორი რეგიონის მთიან ნაწილს ზემო სვანეთი და მთათუშეთი მთაში შემავალ 16 რაიონსა და 272 ადგილობრივ ადმინისტრაციულ ერთეულს. თუმცა ასეთი დაყოფა ძალზე პირობითია- ასეთ ჩამონათვალში ვერ ხვდება აჭარისა და აფხაზეთის, კახეთი-

სა და სხვა რეგიონების მთიანი რაიონები. საქართველოს კანონის „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ თანახმად, მისი მიღების პერიოდში (1999 წ) ასეთი სოფლების რაოდენობა შეადგენდა 497 -ს, დღეისათვის მათი რიცხვი 1500-ზე მეტია.

ისტორიული ანალიზის შესაბამისად მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე (1926 წლის აღწერის თანახმად) ჯერ კიდევ მჭიდროდ დასახლებული იყო. ისინი. ისევე როგორც დღეს, ქვეყნის საზღვარს წარმოადგენდნენ, ამდენად, ადგილობრივი მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მისია სახელმწიფოს საზღვრების დაცვა იყო.

მკაცრი კლიმატური პირობებით განპირობებული ნაწილობრივ ჩაკეტილი შინამეურნეობის პირობებში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა. განსაკუთრებით მესაქონლეობა და ადგილობრივი მრეწველობა, რომელიც მიუხედავად კუსტარულობისა, საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე გარკვეული სამეურნეო კარჩაკეტილობა განსაზღვრავდა ადგილობრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების, ამასთან ერთად მათი დაცვისა და გამრავლების საკითხებს. თითოეული რეგიონისათვის გარკვეული იყო იმ აუცილებელი მოთხოვნის ელემენტები, რომელთა შემოტანაც იყო საჭირო რეგიონებიდან. საკმაოდ განვითარებული სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმებს თვით ტრადიციული უგზოობაც ვერ უშლიდა ხელს.

გამომდინარე აღნიშნულიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული მაღალმთიანი რეგიონი, ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე, წარმოადგენდა სამეურნეო-ეკონომიკური თვალთახედვითაც გარკვეულ ავტონომიურ ერთეულს, განსაზღვრული საგარეო კავშირებითა და აუცილებლობით.

უნდა აღინიშნოს რომ არცერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის ჩამოყალიბებაში არ უთამაშია განსაზღვრული როლი ეკონომიკურ ფაქტორებს, მეურნეობის ესა თუ ის ფორმა ყალიბდებოდა და ვითარდებოდა თითოეულ მათგანში ავტონომიურად, ბუნებრივი გარემო-პირობების თანდათანობით შესწავლა-ათვისების შესაბამისად.

რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია სოციალისტური ყოფის პერიოდში. კერძო საკუთრების გაუქმებამ, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის დაუსრულებელმა და ხშირად ბოლომდე გაუაზრებელმა „ექსპერიმენტებმა“ შეცვალა თვით ადამიანის ფსიქოლოგია და მივიღეთ დღევანდელი შედეგი, მთიანი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენა. კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის განუვითარებულობა, რეგიონების დაცარიელება, მეურნეობის ტრადიციული დარგების მოშლა, სპეციალისტების შემცირება და ა.შ.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები ყველაზე მწვავედ მთიან რეგიონებზე აისახა. ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ ცვლილებებმა კიდევ უფრო მკვეთრი გახადა ის დისპროპორცია, რაც ტრადიციულად იყო ე.წ. მთასა და ბარს შორის, რაც მიმდინარე პერიოდმა კიდევ უფრო გააძლიერა. ძირითადი პრობლემები, რომლებიც საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების წინაშე დგას, ბევრად არ განსხვავდება მთიან რეგიონებთან მიმართებაში საერთაშორისო ფორუმებზე (რიო-1992, ტულუზა-1996, იოჰანსბურგი 2002) ჩამოყალიბებული ზოგადი პრობლემებისაგან. ისინი შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

მთიანი რეგიონების საერთო პრობლემა ესაა მუდმივად მზარდი მიგრაცია. მიზეზის ანალიზიც საკმაოდ იდენტურ სურათს გვაძლევს.

1. ტრადიციული შრომის სიმძიმე და დაბალი შემოსავლიანობა.
2. სამუშაოს არ არსებობა, უმუშევრობა.
3. ბარის რეგიონებში შრომის ანაზღაურების უკეთესი პირობები.
4. საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების პირობები.

გათვალისწინებულია ის მიზეზებიც, რომლებიც ზღუდავენ განვითარების შესაძლებლობებს.

1. ბუნების დეგრადაცია.
2. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების კრიზისი.
3. მიწის ზედმეტი ექსპლოატაცია.

საინვესტიციო პრობლემათა წარმოშობის მოტივებიც:

1. რეგიონული პრობლემებისადმი პოლიტიკურ და ადმინისტრაციული ორგანოების ნაკლები ყურადღება.

2. მთიანი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო მუშაკებისადმი საზოგადოებრივი პოლიტიკის არა ადპტირებულობა.

3. ფინანსური შესაძლებლობების განაწილების უთანაბრობა.

4. შიდა კავშირების სისუსტე.

დღევანდელ საქართველოს მთიანი რეგიონების განსაკუთრებული სტატუსს განაპირობებს რიგი სტრატეგიული პოზიციები.

1. გეო-პოლიტიკური: მთიანი რეგიონების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს დამოუკიდებელი სახელმწიფო საზღვრისპირა ზოლს. ამდენად გასაგებია მათი გაზრდილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა.

2. სოციალური: რეგიონის მოსახლეობა წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც მიუხედავად არსებითი ერთიანობისა, გარკვეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

3. ეკონომიკური: ათეული წლების განმავლობაში ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარი რეგიონები განიხილებოდა მხოლოდ სანედლეულო ბაზად ან რთული ბუნებრივი გეოგრაფიული კლიმატური პირობების გამო-ნაკლებ პერსპექტიული ზონებად და პრაქტიკულად არავითარი ყურადღება არ ექცეოდა შესაბამისი ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საქართველოს მთიანი რეგიონებისადმი განსაკუთრებული მიდგომა აღნიშნულთან ერთად განპირობებულია; აღნიშნული რეგიონების ობიექტურად მზარდი სტრატეგიული (დღეს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების განვითარების პარალელურად უდიდესი პოზიტიური ფაქტორი შეიძლება გახდეს), ეკონომიკური (ადგილობრივი რესურსებისადმი პრინციპულად ახლებური მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში ინტეგრაცია) და სოციალური (მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებები, დემოგრაფიული სურათი – შობადობა, უმუშევრობა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და ა.შ.) მნიშვნელობით.

საქართველოს უშუალო მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხთან მათი, როგორც სასაზღვრო რეგიონის, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის პერსპექტივებით.

უნიკალური ისტორიული, კულტურული ტრადიციებისა და განსაკუთრებული ეკოლოგიური მდგომარეობით.

მწყობრიდან თითქმის მთლიანად გამოყვანილი სამეურნეო ეკონომიკური პოტენციალითა და განადგურებული ინფრასტრუქტურით. კატასტროფის ზღვარზე მისული მიგრაციით.

ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებასაც, რომ აღნიშნული ობიექტურად წარმოშობილ პრობლემათა კომპლექსი პრაქტიკულად ერთიანად აქტუალურია, როგორც მთელი ქვეყნისათვის, ასევე თითოეული რეგიონისათვის, გეოგრაფიული მხარისათვის. თუმცა მათ შორისაც არსებობს გარკვეული განსხვავებები, რაც ბუნებრივ პირობებთან და ეთნო-კულტურულ სხვაობებთან ერთად განპირობებულია წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით.

მაღალმთიანი რეგიონების, მათი როლისა და ამოცანების მათთან მიმართებაში გატარებული ეკონომიკური, სოციალური პოლიტიკის, მათი წარსულის, აწყმოსა და მომავლის საკითხები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალზე აქტუალური და ამასთან ერთად პრობლემატურია. მათი თანამედროვე თვალთახედვით რეგულირების ამოცანა მოითხოვს, არა მხოლოდ პოლიტიკური (საზღვრების დადგენა, უფლებამოსილებათა გამიჯვნა), არამედ ეკონომიკური (სიცოცხლისუნარიანი, დამოუკიდებელი, ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება) და მრავალი სხვადასხვა მიმართულების საკითხების გადაწყვეტასაც. რეგიონის უფლება -მოვალეობები, ცენტრთან დამოკიდებულება, ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. უფლებამოსილებათა გამიჯვნის სამართლებრივ-ეკონომიკური მექანიზმები და სხვა.

ამასთან, გათვალისწინებულია ის გარემოებებიც, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მათ აქტუალობის ხარისხს.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ერთგვარი უნიტარიზმის მიუხედავად საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბების პარალელურად ფორმირდებოდნენ და საკუთარ ადგილს იმკვიდრებდნენ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, რომლებიც სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული უფლებებით წარმოადგენდნენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა:

1. ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება.

2. რეალური თვითმმართველობის დამკვიდრებისა და დეცენტრალიზაციის ერთიან პროგრამაში საქართველოს რეგიონების მართებული ეკონომიკური ინტეგრაცია.

3. მათ შორის პირდაპირი კავშირ-ურთიერთობათა გაღრმავება და ბუნებრივ-გეოგრაფიული სპეციფიკის, ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით ერთიანი სახელმწიფო-სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბება, რომელშიც ორგანულად იქნება ჩართული როგორც საერთო სახელმწიფო ამოცანები, ასევე კონკრეტული რეგიონის პოზიციები და ინტერესები, ავტონომიურობის ხარისხი, ძირითადი პარამეტრები და მათი დაცვის მექანიზმი.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მთიანი რეგიონების პერსპექტივების განსაზღვრას საფუძვლად უნდა დაედოს მდგრადი განვითარების კონცეფციის ძირითდი მოთხოვნები, როგორც ცივილიზებული სამყაროს მონაპოვარი და ჩვენს პლანეტაზე არსებული ეკოსისტემის დაცვის ძირითადი მექანიზმი.

საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები შემდეგ რეკომენდაციებს უწევენ ნაციონალურ მთავრობებს მთიანეთის მდგრადი განვითარების საკითხებში:

1. მთიანეთის აღიარება ნაციონალური განვითარების მნიშვნელოვან და სპეციფიკურ კომპონენტებად.

2. მთიანეთის მდგრადი განვითარების გათვალისწინება პოლიტიკურ „დღის წესრიგში“

3. კომპენსაციის სისტემის დანგრევა მთიანეთის მხრიდან ბარის ზონისათვის მიწოდებული რესურსებისა და მომსახურებისათვის.

4. მთიანეთის ეკონომიკური ცხოვრების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა.

5. სოციალური და საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება.

6. სექტორული პოლიტიკის ადაპტირება მთიანეთის სპეციფიკურ ინტერესებთან.

7. ადგილობრივი პოტენციალის გამოყენება ინოვაციების შემოსატანად.

8. ცვლილებები ადგილობრივ კულტურაში თავისებურებების დაკარგვის გარეშე.

9. მთიანეთის ეკოსისტემის კონსერვაცია და ადრეული გაფრთხილების ფუნქციის შენარჩუნება.

10. მთიანეთის მდგრადი განვითარების ინსტიტუციონალიზაცია.

11. განსახლების სისტემებისა და რაიონული დაგეგმარების პროექტების წინმსწრები შემუშავება.

ამასთან ყველა ქვეყანამ უნდა შეიმუშავოს თავისი საკუთარი პოლიტიკა მთიანეთთან დაკავშირებით. ვინაიდან არ არსებობს მთიანეთის მდგრადი განვითარების უნივერსალური ერთიანი თარგი.

უცხო სიტყვები

1. პარადიგმა – ბერ. მაგალითი, ნიმუში,
2. სეპარატიზმი- 1. ფრან. სწრაფვა გამოყოფისაკენ, განცალკავებისაკენ. 2. ეროვნულ უმცირესობათა სწრაფვა სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაკენ.
3. კონსტრუქციული- 1. კონსტრუქციასთან დაკავშირებული მაგ: კონსტრუქციული ცვლილება. 2. რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდგომ მუშაობას მაგ: კონსტრუქციული წინადადება.3. კონსტრუქცია ლათ. აგებულება, აღნაგობა, ნაწილთა ურთიერთგანლაგება.
4. 4. კონსოლიდაცია – ლათ. კონსოლიდირება განმტკიცება, გაერთიანება, შემჭიდროება.
5. რელიგია- ლათ. ნამდვილი, ჭეშმარიტი ნამდვილად არსებული ნივთი, მატერიალური კულტურის ყოველი საგანი.
6. სტრატეგია- ბერძ. 1. ომის მომზადებისა და წარმოების დიდი სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნება. 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის ხელოვნება. 3. (სპორტ) ითქმის თამაშოს სისტემის შესახებ, რომლის დროსაც

ცალკეული სვლები, კომბინაციები კეთდება საერთო წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით.

7. ფორსირება- ფრან. გაძლიერება.1. რისიმე დაჩქარება; რისიმე ტემპის გაძლიერება. 2. რაიმე ბუნებრივი დაბრკოლების (მაგ მდინარის) ბრძოლით გადალახვა.
8. უნიტარული- ფრან. მთლიანი, ერთიანი გაერთიანებული. უნიტარული სახელმწიფო- ისეთი სახელმწიფო, რომლის ტერიტორია არ არის დაყოფილი ერთეულებად (შტატებად, მხარეებად და სხვა.)

თავი VI.

ეკონომიკური ზრდა ქვეყნის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი

6.1. ეკონომიკური ზრდის არსი და მისი შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები

ეკონომიკური განვითარება მრავალწახნაგოვანია თავისი შინაარსით, გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ეკონომიკურ ზრდას. ეს უკანასკნელი მისი ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელია. ეკონომიკური განვითარება აქცენტს ეკონომიკის თვისებრივ მხარეზე აკეთებს და თანამედროვე პირობებში გამოხატავს ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის დონეს.

ეკონომიკური ზრდა გულისხმობს ეროვნული წარმოების რეალური მოცულობის გრძელვადიან ცვლილებას, რომელიც დაკავშირებულია მწარმოებლური ძალების განვითარებასთან დროის გრძელვადიან პერიოდში. ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა განპირობებულია სამომხმარებლო დოვლათზე საზოგადოების მოთხოვნილების მუდმივი ზრდით. ეკონომიკური მოთხოვნილებების განვითარებას, მათ რაოდენობრივ ცვლილებასა და ხარისხობრივ განლაგებას უსაზღვრო ხასიათი გააჩნია. წარმოების განვითარება და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი იწვევს ახალი მოთხოვნილებების წარმოშობას. აღნიშნული ტენდენცია წინააღმდეგობაშია ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდულობასთან, რაც განპირობებულია რესურსების შეზღუდულობით. ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა ვლინდება აღნიშნული წინააღმდეგობის შერბილებაში. ეკონომიკური ზრდისას, შრომის ოპტიმალური დანაწილების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების გამოყენებისა და წარმოების პროცესის მუდმივი განახლების პირობებში, შესაძლებელია შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენება, პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობის გადიდება და საზოგადოების მზარდი ეკონომიკური მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

წარმოების კაპიტალისტურმა წესმა ერთმანეთს დაუკავშირა და

ურთიერთგაპირობებული გახადა კაპიტალის მესაკუთრეებისა და დაქირავებული მუშაკების ეკონომიკური ინტერესები, რითაც სათანადო პირობები შექმნა როგორც წარმოების ზრდის დაჩქარებისათვის, აგრეთვე მზარდი ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ძირითადი კაპიტალის მესაკუთრეთათვის, წარმოების მოცულობის გადიდება და წარმოების დანახარჯების შემცირება, რაც ქვეყნის მაშტაბით ასახვას პოულობს ეკონომიკურ ზრდაში, წარმოადგენს წმინდა მოგების ზრდისა და სიმდიდრის დაგროვების ძირითად საშუალებას. ამიტომ, მოგების გადიდებით მეწარმეთა დაინტერესება გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური ზრდის წამქეზებელი მოტივია. მეტი მოგების მიღების მიზნით მეწარმეები ახორციელებენ ინვესტიციურ პროექტებს, წარმოებაში ნერგავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებს, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებს. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, მკაცრი საბაზრო კონკურენციის ამაღლებისა და მოგების გადიდების აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკური ზრდა აგრეთვე შედის დაქირავებული მუშაკების ინტერესებში, ვინაიდან მათი შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდის ძირითად წყაროს წარმოადგენს პროდუქციის გამოშვების ზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ხელფასის ამაღლებაა. ამიტომ დაქირავებული მუშაკი დაინტერესებულია მწარმოებლური შრომით, საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებითა და დანაზოგის შექმნით.

წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში კაპიტალის მესაკუთრეებისა და დაქირავებული მუშაკების ინტერესების თანხვედრასთან ერთად, აგრეთვე აღინიშნება დაპირისპირებაც. დაპირისპირების საფუძველია ერთმანეთის ხარჯზე შემოსავლების გადიდებისაკენ მისწრაფება, რაც ხშირად გამოიხატება წარმოების საშუალებათა მესაკუთრეების სასარგებლოდ შემოსავლების უთანაბრო განაწილებაში. აღნიშნული დაპირისპირების შერბილება შესაძლებელია შემოსავლების სამართლიანი განაწილებით. ინტერესთა ერთიანობის საფუძველია ეკონომიკური პროგრესის, ეკონომიკური ზრდის, შემოსავლების გადიდების აუცილებლობის აღიარება, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ვითარებაშია შესაძლებელი მზარდი ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გრძელვადიანი ეკონომი-

კური ზრდა მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას.

დღეისათვის, ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში წინა პლანზე გამოდის ეკონომიკური განვითარების პრობლემა და ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით ეკონომიკური განვითარების პრიმატის აღიარება.

საზოგადოების ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს მრავალპლანიან პროცესს, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ ზრდას, სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში, მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და ხარისხის სრულყოფას. ეკონომიკური განვითარების განმარტებაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილება, აგრეთვე სიღარიბის დონის შემცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილების, მათი ამაღლებისა და სრულყოფის გრძელვადიანი პროცესია, რომელიც მოიცავს წარმოების ეფექტინობის ამაღლებასა და ეკონომიკურ ზრდას, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ცვლილებებს, სიღარიბის დონის შემცირებას და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების ცალკეული მახასიათებლების ამაღლებას, ან სრულყოფას ან პირიქით, რომელიმე მათგანის დაცემის ან გაუარესების მიხედვით, შეუძლებელია ეკონომიკური განვითარების ერთმნიშვნელოვანი შეფასება, ვინაიდან ერთი მახასიათებლის სრულყოფის პროცესი შეიძლება დაემთხვეს სხვების გაუარესებას. ასე მაგალითად, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, 90-იან წლებში განხორციელებული ინსტიტუციურ-სტრუქტურული ცვლილებებისა და ლიბერალიზაციის პროცესები მიანიშნებენ ეკონომიკური განვითარების პროცესზე.. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციისაკენ მიმართულმა რეფორმებმა გამოიწვია წარმოების მკვეთრი დაცემა, უმუშევრიობის ზრდა, ინფლაცია, სიღარიბის დონის ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების დონის პირობების არსებითი გაუარესება. ე.ი. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მ.შ. საქართველოში, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე აღინიშნა ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური ზრდის გარეშე, სიღარიბის დონის ამაღლებისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობე-

ბის გაუარესების ვითარებაში. ამიტომ, ეკონომიკური განვითარების შეფასება აუცილებელია მისი ცალკეული მახასიათებლების კომპლექსური შეფასების საფუძველზე- გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით.

ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური განვითარების შემადგენელი ნაწილია. ამასთან ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური საშუალებაა. ქვეყნის სოცილურ-ეკონომიკური განვითარებაც, თავის მხრივ განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს და წარმოების ეფექტიანობას.

მსოფლიოს ბანკის მოხსენების თანახმად: განვითარების მიზანს წარმოადგენს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რაც განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა ნიშნავს შემოსავლების გადიდებას, მაგრამ არა მხოლოდ ამას, ის აგრეთვე მოიცავს საუკეთესო განათლებას, კვებისა და ჯანმრთელობის დაცვას, სიღარიბის მაშტაბების შემცირებას, გარემომცველი გარემოს გაჯანსაღებას, შესაძლებლობების გათანაბრებას, პიროვნული თავისუფლების გაფართოებასა და უფრო ინტენსიურ კულტურულ ცხოვრებას. როგორც ჩანს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება დაკავშირებულია მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან, რომლის მატერიალურ საფუძველსაც წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა, მისი მაღალი ტემპის უზრუნველყოფა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, ეკონომიკური ზრდა, რაც გამოიხატება მთლიანი შიგა პროდუქტის რეალური მოცულობის ზრდაში, ყოველთვის არ მიუთითებს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე. აღნიშნულის დასადასტურებლად გამოდგება ყოფილი სსრკ, სადაც იწარმოებოდა მრავალი დასახელების უხარისხო და დაბალი სამომხმარებლო თვისებების მქონე პროდუქცია, რომელზეც მოსახლეობის ფართო ფენების მხრიდან არ არსებობდა ადეკვ ატური მოთხოვნა, სამომხმარებლოსთან შედარებით, საწარმოო დანიშნულების პროდუქციის წარმოებისათვის უპირატესობის მინიჭებამ, თავის მხრივ გამოიწვია სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქციის მოცულობის შემცირება და მისი ხარისხის გაუარესება. უარყოფითი როლი შეასრულა აგრეთვე სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციამ. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად ყოფილი სსრკ-ში, რიგ დარგებში, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გამოშვების მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებ-

ლების მიუხედავად, აღინიშნებოდა მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვნად დაბალი დონე.

ამრიგად, საზოგადოებრივი ღირებულება გააჩნია ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ეკონომიკური მოთხოვნილებების უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფილებას და მომავალი თაობების განვითარებისათვის მატერიალური ბაზის ფორმირებას.

პოსტსოციალისტური ქვეყნების შემთხვევაში, ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს საზოგადოებრივ საქონელს, რომლისგანაც სარგებლობას ღებულობს მთელი საზოგადოება, მისი ყველა წევრი. ეკონომიკური ზრდის ანუ საზოგადოებრივი საქონლის წარმოების უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, მისი ფუნქციების ცვლილებას ტრანსფორმაციული ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად. ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ეკონომიკური სისტემის რეგულირების ფუნქციის შესრულებას, სახელმწიფო გვევლინება როგორც საზოგადოებრივი საქონლის მწარმოებელი. ეკონომიკური ზრდის წარმოებისას, სახელმწიფო როგორც მწარმოებლის ნახარჯებს წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების დანახარჯები, ამონაგები. ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად შექმნილი, სახეცვლილ მაკროეკონომიკური გარემოა, ეკონომიკური ზრდა კი საქონელია, ანუ ამ წარმოების პროცესის შედეგია, რომელიც მაკროეკონომიკური გარემოსაგან განსხვავებით შესაძლებელია შეფასდეს ღირებულებით მაჩვენებელში.

საზოგადოებრივ საქონელს წარმოადგენს მაკროეკონომიკური, ინსტიტუციური და სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების შედეგად ჩამოყალიბებული ინსტიტუციური გარემო. მისი შეფასება ღირებულებით მაჩვენებელში შესაძლებელია ირიბად: ტრანსაქციური დანახარჯების ეკონომიისა და ხელსაყრელი კონიუქტურის ფორმირებით გამოწვეული შემოსავლების მატების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოს ფორმირებისას ამონაგებს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიზანია. იგი ამონაგებია, ვინაიდან სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.ამავე დროს იგი საზოგადოებრივი საქონელიცაა, ვინაიდან მის შედეგს მთელი საზოგადოება იყენებს.

ამგვარად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა ანუ მ.შ.პ.-ის რეალური მოცულობის გრძელვადიანი გადიდება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, სიღარიბის შემცირების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური დაცვის, ეროვნული სიმდიდრის ზრდისა და მომავალი თაობების ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზის ფორმირების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, განმტკიცებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

6.2. ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობისა და ხარისხის ძირითადი მახასიათებლები

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და ხარისხს დიდად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპები, რომლებშიც ფოკუსირდება ეკონომიკური განვითარების შედეგები და მისგან მიღებული ისეთი სიკეთეები როგორიცაა: ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ეკონომიკური საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლების ზრდა, ინფლაციის და უმუშევრობის შემცირება, გარემო ბუნების გაჯანსაღება და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დონის ამაღლება, პიროვნების რეალური თავისუფლების მიღწევა, სპორტის, კულტურისა და ხელოვნების განვითარება. ამასთან ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, მაგ: მ.შ.პ.-ის მოცულობის ზრდა, რომელიც გამოხატავს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივ საბაზრო ღირებულებას. ის ეკონომიკის ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელია. მაგრამ ზოგჯერ ეს მაჩვენებელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების დონის შეფასებას ვერ იძლევიან რადგან ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიან ღირებულებას გამოხატავენ განურჩევლად მათი ხარისხისა და დანიშნულებისა. აქედან გამომდინარე, ამ მაჩვენებლებში ღირებულებით ფორმაში ხარისხთან ერთად აისახება უხარისხო, ან დაბალი ხარისხის,ან საერთოდ საზოგადოებისათვის მავნე პროდუქცია, რომელზეც დაბალია მოთხოვნა. რაც საზოგადოების კეთილდღეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ამდე-

ნად, საზოგადოებრივი ღირებულება აქვს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და კეთილდღეობის ამაღლებაში გამოიხატება.

ეროვნული მეურნეობის, მისი წამყვანი დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, პოსტსოციალისტურმა ქვეყნებმა განსააკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ეკონომიკური ზრდის ეფექტიან უზრუნველყოფას.

ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობა გულისხმობს:

1. ქვეყნის, რეგიონულ და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას.

2. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვას და ამის საფუძველზე წარმოების პროდუქტიულობის ამაღლებას.

3. შეზღუდული საწარმოო რესურსების ეფექტიან განაწილებას ქვეყნის, რეგიონებსა და დარგებს შორის.

ეკონომიკური ზრდის ტემპი დამოკიდებულია წარმოებაში გაწეული დანახარჯების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. სწორედ ეფექტიანობის (შედეგები, დანახარჯების თანაფარდობა) დაცემამ მიიყვანა საბჭოთა ეკონომიკა დაგროვებისა და მოხმარების მოცულობის შემცირებამდე, რამაც უარყოფითი, ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკური ზრდის ტემპებზე. ეკონომიკურად განვითარებული დასავლეთის ქვეყნებისათვის კი დმახასიათებელია ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი წინ უსწრებს შრომის ფონდშეიარაღებასა და მასალაშეიარაღების ზრდის ტემპებს, ხოლო საშუალო ხელფასი იზრდება შრომის ნაყოფიერების ამაღლების შესაბამისად ან ჩამორჩება მას.

ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია „ეკონომიკური ზრდის ხარისხს“. ერთი შეხედვით „ეკონომიკური ზრდის ხარისხი“ შეიძლება „ეკონომიკური განვითარების“ იდენტურად ჩაითვალოს, თუმცა მათ შორის არსებობს განსხვავება. ეკონომიკური განვითარება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასთან და სიღარიბის დონის შემცირებასთან ერთად, აგრეთვე მოი-

ცავს ეკონომიკურ ზრდას, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ცვლილებებს. ამისაგან განსხვავებით ეკონომიკური ზრდის ხარისხი დაკავშირებულია მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებასთან.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის ძირითადი მახასიათებლებია:

1. მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

2. თავისუფალი დროის გადიდება, რაც პიროვნების ჰარმონიული განვითარების საფუძველია.

3. სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების დონის ამაღლება.

4. ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ზრდა.

5. ადამიანების შრომისა და ცხოვრების პირობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

6. უმუშევართა და შრომისუუნაროთა სოციალური დაცვა.

7. შრომის ბაზარზე მიწოდების მზარდი მოცულობის პირობებში სრული დასაქმების შენარჩუნება.

ეკონომიკური ზრდის არსში უკეთ გარკვევის მიზნით აუცილებელია განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის ციკლური რყევა, ანუ ეროვნული მეურნეობის ისეთი განვითარება, როდესაც ეკონომიკის აღმავლობის პერიოდებს ენა ენაცვლება დაცემის პერიოდები. ეკონომიკური ციკლები დაკავშირებულია საზოგადოებრივ წარმოებასა და მოხმარებას, ერთობლივ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის წონასწორობის პერიოდულ დარღვევასთან. საბაზრო ეკონომიკის სტაბილურობისა და წონასწორობის დარღვევის და ეკონომიკური ციკლების მნიშვნელოვან მიზეზად ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულია ე.წ. იმპულსების ეკონომიკურ სისტემაზე შემთხვევითი ზემოქმედება.

განასხვავებენ მოთხოვნისა და მიწოდების (იმპულსებს) შოკებს.

მოთხოვნის შოკი დაკავშირებულია: მაკროდონეზე ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკასთან. კერძო სექტორის ინვესტიციურ და სამომხმარებლო მოთხოვნის ცვლილებასთან და ა.შ.

მიწოდების შოკები განპირობებულია: დანახარჯების ცვლილებით, ტექნოლოგიური ძვრებით. სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე მსოფლიოს ფასების ცვლილებით და ა.შ.

ეკონომიკური ციკლის ფაზების მონაცვლეობის შესაბამისად აღინიშნება ეკონომიკური ზრდის ტემპის ცვლილება.

აღმავლობის ფაზის პიკი ხასიათდება ჭარბწარმოებით, კაპიტალის ჭარბი დაგროვებით, ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობითა და კვლავწარმოების პროცესის დარღვევით, რასაც შედეგად მოჰყვება დაცემა და ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება.

ეკონომიკური დაცემის ფაზა ხასიათდება ფასებისა და პროცენტის განაკვეთის შემცირებით, უმუშევრობის გადიდებით, რაც ამცირებს პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის აუცილებელ დანახარჯებს და ხელსაყრელ პირობებს ქმნის წარმოების აღმავლობისათვის. დაცემის ფაზისათვის გახანგძლივებისა და გაღრმავების შემთხვევაში მის დასკვნით ეტაპთან მიახლოებისას, ეკონომიკური ზრდის ტემპი ღებულობს უარყოფით მნიშვნელობებს.

აღმავლობის ფაზისათვის დამახასიათებელია წარმოების გამოცოცხლება და მისი აღმავლობა, რომელიც მოიცავს მთელ ეროვნულ მეურნეობას. იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, მოგების ნორმის ამაღლება სათანადო სტიმულს ქმნის ახალი ინვესტიციური პროექტების განხორციელებისათვის და წარმოების გაფართოებისათვის, რაც ქვეყნის მაშტაბით ასახვას პოულობს ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლებაში, რომელიც თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს აღმავლობის ფაზის პიკის წერტილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის ციკლური რყევების აღმოფხვრისა და გრძელვადიან პერიოდში მისი სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია სახელმწიფომ განახორციელოს ისეთი მარეგულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, რომ აღმოფხვრას მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევის შესაძლებლობა.

6.3. ეკონომიკური ზრდის შედეგების შეფასება და გაზომვა

ეკონომიკური ზრდის შედეგების შეფასების სიზუსტე და უტყუარობა, ქვეყნის ეკონომიკაში არსებული რეალური ვითარების დადგენა, დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის შეფასებისათვის გამოყენებულ საშუალებებზე.

ეკონომიკური ზრდა შეიძლება გაიზომოს, როგორც ფიზიკურ აგ-

რეთვე ღირებულებით გამოხატულებაში. პირველი მეთოდი გამორიცხავს ინფლაციის ფაქტორს, ამიტომ უფრო საიმედოა, თუმცა მისი გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია ვინაიდან ეკონომიკური ზრდის ტემპის გაანგარიშებისას ძნელია სხვადასხვა დასახელების პროდუქციის შეფასებისათვის საერთო, განმაზოგადებელი მაჩვენებლის დადგენა. ამიტომ ძირითადად გამოიყენება მეორე საშუალება, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაზღვეული არ არის ინფლაციასთან დაკავშირებული დამახინჯებისაგან

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში გვრცელებულია ეკონომიკური ზრდის განსაზღვრა ორი ურთიერთდაკავშირებული საშუალებით. პირველის თანახმად ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება ორი ურთიერთდაკავშირებული საშუალებით. პირველის თანახმად ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება როგორც რეალური მ.შ.პ.-ის გადიდება საანგარიშო პერიოდის მანძილზე. ხოლო მეორის თანახმად, იგი გაიანგარიშება, როგორც მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მ.შ.პ.-ის გადიდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ამა თუ იმ საშუალების გამოყენების აუცილებლობას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. ეკონომიკური ზრდის გაანგარიშების პირველი წესი გამოიყენება მაშინ, როდესაც კვლევის ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო პოლიტიკური პოტენციალის დადგენა, ხოლო მეორე მაშინ, როდესაც აინტერესებთ ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით მოსახლეობის კეთილდღეობის დონის შედარება.

ზემოაღნიშნული ნებისმიერი საშუალების გამოყენებისას ეკონომიკური ზრდა გაიანგარიშება ზრდის წლიური ტემპით %-ში.

ეკონომიკური ზრდის ტემპის გასაანგარიშებელ ფორმულას გააჩნია შემდეგი სახე:

$$R= Q1/ Q0 \ x \ 100-100$$

სადაც Q0 არის მშპ-ის მოცულობა საბაზრო პერიოდისათვის, ხოლო Q1-კი მშპ-ის მოცულობა საანგარიშო პერიოდისათვის.

პროფ. გ. მალაშხიას გამოთქმული აქვს მეტად საყურადღებო მოსაზრება, რომლის თანახმადაც მშპ-ის მთლიანი მოცულობის, მისი სულადობრივი მაჩვენებლის გადიდება ან შემცირება სათანადო სიზუსტით ვერ ასახავს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებას ეკონომიკურ ზრდას ან ვარდნას. მისი აზრით, ქვეყნის ეკონომიკისა და

სოციალური განვითარების დონეს განსაზღვრავს არა მარტო წლის განმავლობაში შექმნილი დოვლათი, არამედ წინა პერიოდების მანძილზე დაგროვილი სიმდიდრის მარაგიც. ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, ადამიანთა კეთილდღეობას უფრო ზუსტად ასახავს დაგროვილი საზოგადოებრივი სიმდიდრე სულადობრივი გამოსახულებით, ვიდრე წლის მანძილზე შექმნილი დოვლათი. სწორედ ამ მაჩვენებლის ცვლილების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებაზე ან დაცემაზე, ეკონომიკურ ზრდაზე ან ვარდნაზე. აღნიშნულის თვალსაზრისის თანახმად, მშპ-ის მოცულობა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე დაეცეს, თუკი საზოგადოებრივი სიმდიდრის წლის მანძილზე შექმნილი ნაწილი ნაკლებია მწყობრიდან გასულ სიმდიდრესთან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფ. გ. მალაშხია მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ზრდის შეფასებისას გასათვალისწინებულია ახლადშექმნილ და მწყრობრიდან გასულ სიმდიდრეებს შორის არსებული თანაფარდობა.

მოცემული თვალსაზრისი, თავის მნიშვნელობით განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, სადაც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე აღინიშნა ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, რის შედეგადაც მკვეთრად დაეცა წარმოების მოცულობა, გაიზარდა უმუშევრობა, მწყობრიდან გამოვიდა ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი. შემდგომში ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში მშპ-ის ზრდის პარალელურად არ აღნიშნულა საზოგადოების სიმდიდრის ზრდაც. ქვეყნის საზოგადოებრივი სიმდიდრის, ეროვნული მეურნეობის წამყვან დარგებში საწარმოო მატერიალური ბაზის შემცირება ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დაქვეითებას, რაც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ამგვარად, ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე პროცესებისა და ეკონომიკური ზრდის შეფასებისას, მშპ-ის ზრდის მაჩვენებელთან ერთად, საჭიროა ყურადღება მიექცეს ქვეყნის საზოგადოებრივი სისმდიდრის დინამიკასა და სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის შეფასებისას, აგრეთვე აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და სიღარიბის დონის შემცირებაზე.

იმ ქვეყნებში, სადაც გრძელვადიანი პერიოდის მანძილზე აღინიშნა სტაბილური ეკონომიკური ზრდა, მკვეთრად ამაღლდა მოსახლეობის ყველა ფენის, მათ შორის ღარიბი ნაწილის შემოსავლები, ე.ი. რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, მით უფრო მაღალია მოხმარების საშუალო დონე მისი მოსახლეობის ღარიბ ნაწილში. ამასთან, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის იმ ნაწილის წილი, რომლებიც დღეში ღებულობენ 1 აშშ დოლარზე ნაკლებ შემოსავალს. ასე მაგალითად ევროპის მდიდარ ქვეყნებში, სადაც ბოლო 200 წლის მანძილზე აღინიშნა სტაბილური ეკონომიკური ზრდა, დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლის მიმღები მოსახლეობის ღარიბი ნაწილის წილი დაეცა ნულამდე. ჩინეთში, სადაც იმავე პერიოდში აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის ბევრად დაბალი ტემპი, დღეში 1 აშშ-ის დოლარზე ნაკლები შემოსავალი გააჩნია მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს. სამხრეთ აზიაში კი, სადაც ეკონომიკური განვითარება კიდევ უფრო შენელებული იყო, შემოსავლის ასეთი დონე დამახასიათებელია მოსხლეობის დაახლოებით 40%-სათვის.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია მოსახლეობის ყველაზე მდიდარი 20%-ისა და ყველაზე ღარიბი 20%-ის, აგრეთვე ყველაზე მდიდარი 10%-ისა და ყველაზე ღარიბი 10%-ის შემოსავლებს შორის თანაფარდობის ცვლილებას.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, აღნიშნული თანაფარდობები შედარებით დაბალია ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან ადამიანური პოტენციალის განვითარების მაღალი დონით, ხოლო შედარებით მაღალია იმ ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან ადამიანური პოტენციალის განვითარების საშუალო და დაბალი დონით. აქედან ცხადია, რომ ადამიანური პოტენციალის განვითარების მაღალი დონით გამორჩეული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია შემოსავლების შედარებით დაბალი დონე, ვიდრე დანარჩენი ქვეყნებისათვის.

ეკონომიკური ზრდა ხელს უწყობს სიღარიბის დონის შემცირებას, თუკი მოსახლეობის ყველაზე მდიდარი და ყველაზე ღარიბი ფენების შემოსავლებს შორის თანაფარდობა შემცირდება.

ეკონომიკური ზრდის განსაზღვრული ტემპისას, სიღარიბის დონის შემცირების ხარისხი დამოკიდებულია შემოსავლების განაწილებაში მომხდარ ისეთ ცვლილებებზე, რომლებიც ღარიბებს შესაძლებლობას მისცემს ისარგებლონ ზრდის შედეგებით. თუკი ეკონომიკური ზრდის კვალდაკვალ აღინიშნება მოსახლეობის ღარიბი ფენების მიერ მიღებული შემოსავლების წილის ამაღლება, მაშინ საშუალო შემოსავლებთან შედარებით, მათი შემოსავლები უფრო გაიზრდება.

ამრიგად, აუცილებელია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც გამოიწვევს შემოსავლების განაწილების სრულყოფას. ეს უკანასკნელი იძლევა ორმაგ ეფექტს: პირველი განაპირობებს სიღარიბის დონის შემცირებას, მეორე ვინაიდან ღარიბ მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს მეტი თანხები დახარჯონ განათლებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე. ამიტომ ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის შეფასების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელიც მოიცავს სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობის, განათლების დონისა და შემოსავლის დონის მაჩვენებელს. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდისათვის და განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს არა თავისთავად მშპ-ის ზრდის ტემპს, არამედ იმას, თუ რა შედეგს იძლევა იგი, იწვევს ადამიანის განვითარების ინდექსის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, თუ არა.

ეკონომიკური ზრდა მაშინ უწყობს ხელს ადამიანის განვითარებას, როდესაც საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს შესაძლებლობას აძლევს:იცხოვროს ხნგძლივი და ჯანმრთელი ცხოვრებით, აიმაღლოს ცოდნა და მიიღოს შემოსავლების ის დონე, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ცხოვრებას. ადამიანის განვითარების ინდექსის ამაღლებაც, თავის მხრივ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა.

ადამიანის განვითარების ინდექსის მაღალი დონით ხასიათდებიან მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნები, რომლებშიც მისი მნიშვნელობა აღემატება 0,900-ს პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში, მშპ. საქართველოში, 1999 წლისათვის მისი მნიშვნელობა 0,742 -ის ტოლია. ადამიანის განვითარების ინდექსის მაღალი დონით გამოირჩე-

ვიან ის ქვეყნები, რომლებისთვისაც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დამახასიათებელი იყო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა.

გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა განპირობებულია განათლებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯების ამაღლებით, როგორც ფულად, ასევე შეფარდებით მაჩვენებლებში. როგორც წესი, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებლები მერყეობს 6-8% -ს ფარგლებში.

ამგვარად, ეკონომიკური ზრდის შეფასება მიზანშეწონილია განხორციელდეს კომპლექსურად, შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

1. რეალური მშპ-ის მოცულობის ზრდა საანგარიშო წლის მანძილზე.

2. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით რეალური მშპ-ის მოცულობის ზრდა საანგარიშო წლის მანძილზე.

3. საანგარიშო პერიოდის მანძილზე ახლადშექმნილი სიმდიდრის მეტობა მწყობრიდან გასულ სიმდიდრეებთან შედარებით.

4. სიღარიბის დონის ცვლილება საანგარიშო წლის მანძილზე.

5. ადამიანის განვითარების ინდექსის ცვლილება საანგარიშო წლის მანძილზე.

6. განათლებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული დანახარჯების ცვლილება საანგარიშო წლის განმავლობაში.

6.4. ეკონომიკური ზრდის ხასიათის განმსაზღვრელი მიზეზები და ფაქტორები

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზებისა და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ხასიათის განმსაზღვრელი მიზეზებისა და ფაქტორების, მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის გათვალისწინება. ეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკური ზრდის ფაქტორებში გულისხმობენ იმ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავენ წარმოების რეალური მოცულობის გადიდების, ზრდის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების შესაძლებლობებს.

ეკონომიკური ზრდაზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ მიწოდების, მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორებს.

მიწოდების ფაქტორები განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის ფიზიკურ უნარს და პროდუქციის გამოშვების საწარმოო შესაძლებლობებს. მათ მიეკუთვნება:

1. ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხარისხი;
2. შრომითი რესურსების რაოდენობა და ხარისხი;
3. ძირითადი კაპიტალის მოცულობა;
4. ტექნიკური პროგრესი;
5. წარმოების მაშტაბებით განპირობებული ეკონომიკა;
6. საზოგადოების სამეწარმეო უნარი.

ეჭვს არ იწვევს, რომ ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაოდენობა და ძირითადი კაპიტალის მოცულობა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. თუმცა აღნიშნული ფაქტორების სიჭარბე, თუ შეზღუდულობა შეუძლებელია მივიჩნიოდ ეკონომიკური ზრდის მაღალი, თუ დაბალი ტემპების განმსაზღვრელ მიზეზად, რასაც ადასტურებს ცალკეულ ქვეყნებში არსებული ვითარებაც. ასე მაგალითად, ყოფილ სსრკ. ბუნებრივი რესურსების მარაგითა და მრავალფეროვნებით წარმოადგენდა მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანას, ჰყავდა მრავალრიცხოვანი სამუშაო ძალა და არც ძირითადი კაპიტალის ნაკლებობას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური განვითარების დონით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მსოფლიოს ინდუსტრიულ ქვეყნებს. ამასთან, ეკონომიკური ზრდის ტემპი გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მკვეთრად დაეცა, ხოლო 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მან უარყოფითი მნიშვნელობები შეიძინა. ამის საპირისპიროდ ბუნებრივი რესურსების ღარიბმა იაპონიამ, მსოფლიოს დანარჩენ წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით უზრუნველყო ეკონომიკური ზრდის მაღალი, საშუალო წლიური ტემპი. მეორე მხრივ, მსოფლიოს მრავალ ჩამორჩენილ ქვეყანაში დიდი რაოდენობის შრომითი და ბუნებრივი რესურსებია თავმოყრილი.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია შრომითი რესურსებისა და ძირითადი კაპიტალის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას, სამუშაო ძალის განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას, რაც წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის წამყვან ფაქტორს წარმოადგენს ტექნიკური პროგრესი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს: ეკონომიკაში მიმდინარე დინამიურ პროცესებს, ეკონომიკური ზრდის პროცესის უწყვეტობას და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ეროვნული მეურნეობის, მათ შორის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურასა და ქვეყნის ადგილს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, მუშახელის, ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და ა.შ.

ტექნიკური პროგრესი, ანუ წარმოების სრულიად ახალი მეთოდები, აგრეთვე წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ახალი ფორმები, არსებული რესურსების ახალი, პროგრესული წესით კომბინირების შესაძლებლობებს ქმნის, რაც განაპირობებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებას. ამგვარად ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი წყაროა. ა.შ.შ.-ში, 1928-1982 წლებში, რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდის 28% განპირობებული იქნა ტექნიკური პროგრესის შედეგად..

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური ზრდის მოწოდების ფაქტორებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ინტელექტუალურმა კაპიტალმა და ინფორმაციამ. ინტელექტუალური კაპიტალი და ინფორმაცია თანამედროვე პირობებში წარმოადგენენ მნიშვნელოვან საწარმოო რესურსებს, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ საწარმოო პროცესის უწყვეტობას და ეფექტიანობას, აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, როგორც ქვეყნის შიგა, აგრეთვე საგარეო ბაზარზე.

მხოლოდ მიწოდების ფაქტორების არსებობა არ არის ეკონომიკური ზრდის საკმარისი პირობა. რესურსების მზარდი მოცულობის რეალური გამოყენება, ახალი ტექნოლოგიების შექმნა და წარმოების პროცესში დანერგვა მოითხოვს ერთობლივი მოთხოვნის ადეკვატურ გაფართოებას და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. ე.ი. ეკონომიკური ზრდა აგრეთვე დამოკიდებულია მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორებზე. მოთხოვნის ფაქტორებს მიეკუთვნება სამომხმარებლო,

ინვესტიციური და სამთავრობო დანახარჯების, აგრეთვე წმინდა ექსპორტის ცვლილება.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი და მიზანშეწონილი გამოყენება დაკავშირებულია განაწილების ფაქტორებთან. ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია რესურსებისა და შემოსავლების ისეთი განაწილება, რომელიც მათი ოპტიმალური გამოყენებისა და სასარგებლო პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობის მიღების შესაძლებლობას მოგვცემს. ე.ი. საჭიროა ქვეყნის საწარმოებს, დარგებსა და რეგიონებს შორის საწარმოო რესურსების განაწილების სტრუქტურის, აგრეთვე ეკონომიკის სუბიექტებს შორის შემოსავლების განაწილების არსებული წესის სრულყოფა.

რესურსების განაწილების გაუმჯობესება გულისხმობს რესურსების, მ.შ. სამუშაო ძალის გადანაწილებას დაბალი-მწარმოებლური და კრიზისში მყოფი დარგებიდან და რეგიონებიდან მაღალმწარმოებლურ დარგებსა და რეგიონებში.

შემოსავლების განწილების არსებული წესი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას მაქსიმალურად შესაძლებელი ტემპებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის წარმოშობს სათანადო სტიმულებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ე.ი. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალის რეალიზაციისათვის აუცილებელია, რომ ეკონომიკური ზრდის პროცესში არ შემცირდეს დასაქმებული მუშაკების შემოსავლები გაიზარდოს მათი შრომის მწარმოებლურობისზრდის ტემპის შესაბამისად. ამავე დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია სიღარიბის დონის შემცირებას და მოსახლეობის ღარიბი ნაწილის შემოსავლების ამაღლებას, რაც აღნიშნულ ფენას, საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, სათანადო დანახარჯების განხორციელების შესაძლებლობებს მისცემს.

ადამიანური კაპიტალის განვითარება კი, თავის მხრივ ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდას.

ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია, აგრეთვე ქვეყანაში არსებული სოციალურ პოლიტიკურ და კულტურულ ატმოსფეროზე, შრომისადმი და მეწარმეობისადმი საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებაზე. სტაბილური პოლიტიკური და სოციალური გარემო, შრომისა და მეწარმეობისადმი საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებაზე. სტაბილური პოლიტიკური და სოციალური გარემო,

შრომისა და მეწარმეობისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვნ ზემოქმედებას ახდენს ინსტიტუციური ფაქტორებიც, როგორიცაა:

1. არაფორმლური ინსტიტუტები, ანუ ტრადიციები, წეს – ჩვეულებები, საქმიანი ქცევის სტერეოტიპები და ნორმები.

2. ფორმალური ინსტიტუტები, ანუ საკუთრების უფლების გარანტიები, საკონტაქტო სამართალი, კონკურენციის პირობები, სხვა სამართლებრივი ნორმები, მათი რეალიზაციის მექანიზმები და მ.შ. საბაზრო კოორდინაციის ინსტიტუტები (საფინანსო, ეკონომიკური, კომუნიკაციური, მარკეტინგული და ა.შ.) და ბიუროკრატიული კოორდინაციის ინფრასტრუქტურა (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვისა და რეგულირების ორგანოები, მათი უფლებამოსილების საზღვრები, მათ მიერ გამოყენებული რეგულირების ბერკეტები და ინსტრუმენტები და ა.შ.)

ამგვარად, ცხადია რომ ქვეყნის საწარმოო პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციისათვის საჭიროა ერთობლივი მოთხოვნის ადეკვატური გადიდება და მიწოდების ფაქტორების ეფექტიანი განაწილება – გამოყენება. დღევანდელ პირობებში არანაკლებ მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ინოვაციების განხორციელება, ვინაიდან წარმოების მაშტაბების გადიდება, ახალი ბაზრების ათვისება, მსოფლიო ეკონომიკის გლობლიზაცია მოითხოვს არსებული ინსტიტუტების ტრანსფორმაციას და ახალი ინსტიტუტების ფორმირებას.

6.5. ეკონომიკური ზრდის წონასწორული მოდელი

ეკონომიკური ზრდის ტიპები და პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობის თანაფარდობა საწარმოო შესაძლებლობებთან, მის პოტენციურ დონესთან განსაზღვრავს, ეკონომიკური ზრდის თუ რომელ ტიპს ენიჭება უპირატესობა ექსტენსიურ თუ ინტენსიურს.

თუკი ქვეყანაში მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და მ.შ. საქართველოშო, პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობა მკვეთრად ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, მაშინ უპირატესობა უნდა მიე-

ნიჭოს ეკონომიკური ზრდის ექსტენსიურ ტიპს, ანუ უქმად მყოფი მოწოდების ფაქტორების ჩაბმას წარმოების პროცესში, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობა შეესაბამება ან უმნიშვნელოდ ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, მაშინ აშკარაა ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპის უპირატესობა.

ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპის სპეციფიკაცია მდგომარეობს იმაში, რომ წარმოების ზრდა მიიღწევა მიწოდების ფაქტორების ხარისხობრივი სრულყოფის ხარჯზე: პროგრესული ტექნოლოგიების, უფრო მაღალი კვალიფიკაციისა და შრომის მწარმოებლურობის მქონე სამუშაო ძალის გამოყენებით. ამ შემთხვევაში წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპი მეტი იქნება მის წარმოებაზე ერთობლივი დანახარჯების ზრდის ტემპზე, მაშინ როდესაც ექსტენსიური ზრდისას შენარჩუნდება მუდმივი პროპორცია წარმოების რეალური მოცულობის ზრდის ტემპსა და მის წარმოებაზე რეალურ ერთობლივ დანახარჯებს შორის.

ამგვარად ეკონომოკური ზრდის ტემპებია:

I. ექსტენსიური ზრდა. გამოიხატება წარმოების ფაქტორების რაოდენობრივი ზრდით. მისი ფაქტორებია: 1. ინვესტიციების მოცულობის ზრდა არსებული ტექნოლოგიების შენარჩუნებით. 2. დასაქმებითი თანამშრომლობის რაოდენობის ზრდა. 3. მოხმარებული ნედლეულის, მასალების, ენერგო შემცველობისა და საბრუნავი კაპიტალის ზრდა.

ეკონომიკური ზრდის ექსტენსიური ტიპი განვითარების ყველაზე მარტივი, ისტორიულად ადრეული გზაა. მისი დადებითი მხარეებია: ადვილად განსახორციელებელია, ხდება ბუნებრივი რესურსების სწრაფი ათვისება, აღმოფხვრის უმუშევრობას. უარყოფითი მხარეებია : ტექნიკური უძრაობა, რომლის დროსაც პროდუქციის რაოდენობრივი ზრდა არ მოდის ტექნიკურ ეკონომიკურ პროგრესთან შესაბამისობაში.

II. ინტენსიური ზრდა, ხორციელდება წარმოების ფაქტორების ხარისხობრივი ზრდის ხარჯზე, მის ფაქტორებს განეკუთვნება: თანამშრომლობის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის გაუმჯობესება. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა. ბიზნესის უკეთესი მენეჯმენტის შედეგად მისი ეფექტურობის ამაღლება და ა.შ. ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპი უფრო პროგრესულია. მთავარ როლს თამაშობს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. მე-20 საუკუნის მეო-

რე ნახევრიდან, მოწინავე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა ძირითადად ხორციელდება წარმოების ფაქტორების ინტენსიური ზრდის ხარჯზე.

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წონასწორული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის თანაბარზომიერ გადიდებას. წონასწორული ეკონომიკური ზრდის პირობას აგრეთვე წარმოადგენს დანაზოგებისა და ინვესტიციების ტოლობა. შედეგი კი ფასების დონის სტაბილურობაა.ეკონომიკურ თეორიაში განასხვავებენ ეკონომიკური ზრდის წონასწორული მოდელების ორ ძირითად ტიპს: ნეოკლასიკურ და ნეოკეინსიანურს.

ნეოკლასიკური მოდელების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ნეოკლასიკური თეორია, რომლის თანახმადაც საბაზრო სისტემას ახასიათებს ოპტიმალურობა და საბაზრო კონკურენციის სიტემა უზრუნველყოფს დეფიციტური რესურსების რაციონალურ განაწილებას, მათ ეფექტიან გამოყენებას და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მაღალ დონეს.

წონასწორული ზრდის ყველაზე ცნობილ ნეოკლასიკურ მოდელს წარმოადგენს კობი-დუგლასისა და რ. სოლოუს მოდელები.

კობი-დუგლასის ფაქტორული მოდელი გვიჩვენებს შრომისა და კაპიტალის ურთიერთქმედებასა და ურთიერთჩანაცვლებას. მ.შ.. -ის მატების ერთი და იგივე მოცულობა შეიძლება მიღებული იქნას ან კაპიტალდაბანდების გადიდების შედეგად, ან შრომის გამოყენების გაფართოების შედეგად. ამიტომ საწარმოო ფუნქციის საფუძველზე ხორციელდება წარმოების აღნიშნული ფაქტორების ისეთი ტექნოლოგიური კომბინაციის შერჩევა, რომელზეც არსებობს მოთხოვნა მოცემულ კონკრეტულ პირობებში.

კობი-დუგლასის ეკონომიკური ზრდის მოდელის ნაკლს შეადგენს, ის რომ იგი არ ითვალისწინებს კაპიტალის ფიზიკურ მდგომარეობას, მის ასაკს, კაპიტალის მწყობრიდან გამოსვლასა და ტექნოლოგიურ პროგრესს.

რ. სოლოუმ კი შეიმუშავა წონასწორული ზრდის მოდელი, რომელშიც დადგენილია მოსახლეობის ზრდის, დანაზოგებისა და ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. იგი ითვალისწინებს კაპიტალისა და შრომის ურთიერთჩანაცვლებას.

ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელის თანახმად:

1. დანაზოგის ნორმის უცვლელი სისდიდის პირობებში, კაპიტალ შეიარაღების მყარი დონე მიიღწევა მაშინ, როცა ინვესტიციები და კაპიტალის მწყობრიდან გამოსვლა ერთმანეთის ტოლია. კაპოტალშეიარაღების მყარი დონე კი ეკონომიკაში უზრუნველყოფს გრძელვადიან წონასწორობას.

2. დაზოგვის ნორმის ცვლილება გამოიწვევს კაპიტალ შეიარაღების მყარი დონის შესაბამის ცვლილებას. თუკი დაზოგვის ნორმა ამაღლდება, მაშინ ინვესტიციებსა და მწყობრიდან გასულ კაპიტალს შორის არსებული წონასწორობა დაირღვევა: ინვესტიციები მეტი აღმოჩნდება დანაზოგებზე, შესაბამისად დამყარდება ახალი წონასწორობა, რომლის პირობებშიც ეკონომიკაში გაიზრდება კაპიტალის მარაგი და ამაღლდება წარმოების დონე.

3. კაპიტალის დაგროვების დონეს, რომელიც უზრუნველყოფს მყარ მდგომარეობას მოხმარების მაქსიმალური დონით, ეწოდება კაპიტალის დაგროვების ოქროს დონე. ეს ის დონეა, რომლის დროსაც საზოგადოების კეთილდღეობა აღწევს თავის მაქსიმალურ დონეს. ე.ი. თუკი კაპიტალშეიარაღება ნაკლებია ოქროს წესის შესაბამის დონეზე, მაშინ კაპიტალის მარაგის ზრდა სასურველია, ვინაიდან იგი გამოიწვევს წარმოების ზრდას იმ ტემპებით, რომელიც აღემატება კაპიტალის მწყობრიდან გასვლის ტემპს. შესაბამისად გაიზრდება მოხმარება, ხოლო როდესაც კაპიტალშეიარაღება შეესაბამება ოქროს წესის შესაბამის მის დონეს, მაშინ კაპიტალის მარაგის ზრდა მიუღებელია, ვინაიდან ზრდის ტემპები ნაკლები აღმოჩნდება კაპიტალის მწყობრიდან გასვლის ტემპზე და შემცირდება მოხმარება.

4. მოსახლეობის ზრდა იწვევს კაპიტალისა და წარმოების მოცულობის შესაბამისი ტემპით ზრდას, ეკონომიკური ზრდის ასეთი ტემპი გამორიცხავს მოსახლეობის ცხოვრების დონის გრძელვადიან ზრდას, ვინაიდან წარმოების მოცულობა ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, მყარ მდგომარეობაში, მუდმივი რჩება.

5. მოდელი გვიჩვენებს, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის უწყვეტი ზრდა განპირობებულია ტექნოლოგიური პროგრესით.

სოლოუს მოდელის ძირითად ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ის რომ, გარანტირებული არ არის ხანგძლივი წონასწორობის მდგომარეობის

მიღწევა, რამდენადაც ეკონომიკური პარამეტრები ცვალებადია, ხოლო აღნიშნულ მოდელში კი ისინი ითვლება მუდმივად, თუმცა იგი სხვა თანაბარ პირობებში სწორ წარმოდგენას იძლევა გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებზე.

ნეოკეინსიანური მოდელების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კეინსის მტკიცება, რომ დაგეგმილ ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის არსებობს შეუსაბამობა, რაც იწვევს საქმიანი აქტივობის რყევებს. ამავე დროს მრავალი ბაზარი ხასიათდება არაკონკურენციულობით, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, ზემოქმედებს წარმოების დონეზე და არა ფასების დონეზე. შესაბამისად აღნიშნული თეორიის თანახმად, საჭიროა სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ეკონომიკაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ერთობლივ მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების წონასწორობა და ეკონომიკის სტაბილიზაცია.

ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ე. დომერის რ. ხაროდისა და სხვათა მიერ შემუშავებული ეკონომიკური ზრდის ნეოკეინსიანური მოდელები. ე. დომერის ძირითადი წვლილი წონასწორული ეკონომიკური ზრდის თეორიაში მდგომარეობს იმაში, რომ მან ყურადღება გაამახვილა ინვესტიციების ორივე ეფექტის, როგორც მულტიპლიკატორის, აგრეთვე აქსელერატორის გათვალისწინების აუცილებლობაზე. ინვესტიციების მატება, ე.დომერსის აზრით, იწვევს როგორც ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას (მულტიპლიკატორის ეფექტის გათვალისწინებით), აგრეთვე ერთობლივი მიწოდების (აქსელერატორის ეფექტის გათვალისწინებით), რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამასთან დომერის მოდელში წონასწორობა არა არის მყარი, ვინაიდან ინვესტიციური გეგმები და დანაზოგები ხშირ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს ერთმანეთთან შეუსაბამო. ამიტომ ეკონომიკაში დინამიკური წიონასწორობის უზრუნველსაყოფად დომერი გვთავაზობს ეკონომიკური ზრდის სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სასაქონლო და რესურსული ბაზრების უმრვლესობა დეფორმირებულია. მიმდინარეობს საზოგადოების სტრუქტურის რადიკალური გარდაქმნა. მომარაგება, წარმოება და ფასები დაუბალანსებელია. ხშირად ეკონომიკური გადაწყვეტილებები განისაზღვრება პოლიტიკური ან სოციალური პრიორიტეტე-

ბიდან გამომდინარე. ამდენად, განვითარების ეკონომიკა შეისწავლის ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ პირობებს. რაც აუცილებელია სხვადასხვა საზოგადოების სწრაფი სტრუქტურული და ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციისათვის, ამიტომ განვითარების ეკონომიკა განიხილავს სახელმწიფოს აქტიურ როლს ეკონომიკის ტრანსფორმაციის კოორდინაციის საქმეში.

მთელი ქვეყნის მაშტაბით გრძელვადიანი წონასწორული ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რეგიონების ეკონომიკურ პოტენციალზე, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული დისპროპორციების გამომწვევ მიზეზებზე და სიღრმეზე, აგრეთვე რეგიონებში ეკონომიკური ზრდის არსებულ ფაქტორებზე. რეგიონებში არსებული ეკონომიკური პოტენციალი (ბუნებრივი რესურსები, კლიმატური პირობები, სამუშაო ძალა, სამრეწველო პოტენციალი) ხელს უწყობს მათ სპეციალიზაციას ტრადიციულ დარგებში და წარმოების იმ თანამედროვე სფეროებში, სადაც ამის შესაძლებლობას იძლევა არსებული რესურსები- ქვეყანაში საგარეო ბაზარზე არსებული კონკურენციული გარემოს გათვალისწინებით. ამგვარად, რეგიონების ეკონომიკური პოტენციალი, მათი ეფექტიანი გამოყენებისა და რეგიონებს შორის რაციონალური ეკონომიკური კავშირების უზრუნველყოფის პირობებში, წარმოადგენ როგორც თვით რეგიონებში, აგრეთვე მთლიანად მთელ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის არსებით წყაროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპზე როგორც ქვეყნის, აგრეთვე რეგიონების მაშტაბით უარყოფითად ზემოქმედებს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული დისპროპორციები, ვინაიდან იგი იწვევს გასაღების ბაზრების შეკვეცას, დნახარჯების ზრდას ჩამორჩენილი, დეპრესიული რეგიონების სუბსიდირებაში, რესურსების არაეფექტიან განაწილებას და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ქვეყნის მაშტაბით ეკონომიკური ზრდის ფაქტორების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ანალოგიური ფაქტორების შეფასებას რეგიონების დონეზე.

რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმ ფაქტორის წამყვან როლს, ან ფორმირების შესაძლებლობას რეგიონის დონეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე რეგიონების დონეზე ეკონომიკური ზრდის გან-

მსაზღვრელ ფაქტორებს მიეკუთვნება მიწოდებისა (შრომითი რესურსები, მათი განათლებისა და პროფესიული მომზადების დონე, შრომისადმი დამოკიდებულება, მიწა, კლიმატური პირობები, ბუნებრივი რესურსები, კაპიტალი, მისი ხარისხობრივი მახასიათებლები, ტექნოლოგიები) და რესურსების განაწილების ფაქტორები. აღნიშნული ფაქტორებით მდიდარ რეგიონებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მეტი შესაძლებლობები გააჩნით. შრომითი რესურსების განათლებისა და მომზადების დონე, კაპიტალის მოცულობა და ხარისხობრივი მახასიათებლები ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდა როგორც მთელი ქვეყნის, აგრეთვე ცალკეული რეგიონების მაშტაბით წარმოადგენს მრავალფაქტორულ მოვლენას. აღნიშნული ფაქტორების ერთიანობა ქვეყნისა დარეგიონების დონეზე განპირობებულია იმით, რომ რეგიონების დონეზე მოქმედი ფაქტორები განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს, როგორც რეგიონების, აგრეთვე ქვეყნების მაშტაბით. ხოლო ის ფაქტორები, რომლებიც ყალიბდებიან მთელი ეროვნული მეურნეობის მაშტაბით, თავის მხრივ განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის პირობებს, როგორც მთელი ქვეყნის, აგრეთვე რეგიონების დონეზე.

6.6. ინტელექტუალური კაპიტალი. როგორც ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორი

ჩვენი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის შეუფერხებლად განვითარების უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც ბუნებრივი, ეკონომიკური, ეროვნული თავისებურებები ისე მიღწეულ უნდა იქნეს არსებული ინტელექტუალური კაპიტალის სრულად გამოყენება და მისი ფორმირების თავისებურებების გათვალისწინება

დღეისათვის, ეკონომიკურ თეორისა და პრაქტიკაში წინაპლანზე გამოდის ეკონომიკური განვითარების პრობლემა.

პოსტინდუსტრიული პროცესები ბოლო ათწლეულების განმალობაში წარმოადგენენ მსოფლიო სამეურნეო სისტემის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელ ნაწილს. „ქვეყნების უმე-

ტესობისათვის დამახასიათებელი თანამედროვე ეკონომიკური კანონ-ზომიერებების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ეკონომი-კური და სოციალური ცხოვრების ინტელექტუალიზაცია“[1].

ინტელექტუალური კაპიტალის ეკონომიკური ასპექტის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ლ. ედვინსონის და მ. მელოუნის თეო-რიული კონცეფციები[2].

ტერმინი „ინტელექტუალური კაპიტალი“ 1990 წელს შემოგვთავა-ზა ამერიკული კომპანია Johnsonville Foods-ის პრეზიდენტმა რალფ სტეიერმა.[3] მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი არცთუ ისე დიდ ხნის წინ წარმოიშვა, როგორც სამართლიანად აღნიშნა ამ სფეროს კვლევის ერთ-ერთმა პიონერმა, ინტელექტუალური კაპიტალის თეორია უკვე დიდი ხანია არსებობს „საღი აზრის“ ფორმის, მაგრამ მისი ტრან-სფორმაცია დაიწყო საუკუნის ბოლო ართლეულებში.[4]

ისევე, როგორც კვლევის სხვა არამატერიალური ობიექტი, ინტე-ლექტუალური კაპიტალი უაღრესად ძნელად ექვემდებარება განმარტე-ბას და არ ხდება მისი ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა. ამის გამო, მეც-ნიერულ ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრუ-ლი ინტელექტუალური კაპიტალის კატეგორია და მისი ანალიზისადმი სხვადასხვა მიდგომები არსებობს. ეს იმით აიხსნება, რომ ზოგიერთი სპეციალისტი ამოსავალ წერტილად მიიჩნევს ინტელექტუალური კაპი-ტალის შემადგენელი ნაწილების ერთობლიობის ანალიზს კომპანიის დონეზე. მეორე მიდგომა ემყარება საერთო სახელმწიფიებრივ დონეზე, როცა ხდება ერთის ინტელექტუალური პოტენციალის გამოკვლევა.

ლ. ედვინსონი და მ. მელოუნი ინტელექტუალური კაპიტალის გან-ხილვისას, გვაძლევენ ინტელექტუალური კაპიტალის საკმაოდ ფართო განმარტებას. მათი აზრით, ინტელექტუალური კაპიტალის ერთი ნაწი-ლი თავისთავში მოიცავს ცოდნას, რომელიც განუყოფელია ადამიანი-საგან, რომელსაც ის ფლობს და განკარგავს. ამ კაპიტალის მეორე ნწი-ლი წარმოქმნის თავისებურ ობიექტურ პირობებს, რათა ეს ცოდნა გა-

---

[1] Щетинин В. Человеческий капитал и неоднозначность его трактовки // Мировая экономика и международные отношения. 2003 – №8 გვ. 55-61

[2] Edvinsson L., Malone M. Inteleqtual Copital. Realizing Your Company`s True Value by Finding its Hidden Roots. N.Y., 1997, გვ. 357.

[3] იქვე

[4] Комаров И. Интеллектуальный капитилизм. // Персонал. 2000 – №5, გვ. 56.

მოყენებულ იქნას ფირმის ეფექტიანობისა და კონკურენუნარიანობის ასამაღლებლად. ინტელექტუალური კაპიტალის მოცემული განმარტება შედარებით სრულად ასახავს მის სოციალურ-ეკონომიკურ არსს.

იუნესკო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწასებულებები, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ინტელექტუალური კაპიტალის მატერიალურ არსად გვევლინება ცალკეული ადამიანის, კოლექტივების და მთელი საზოგადოების არანივთობრივი, მაგრამ რეალური შემოქმედებითი მიღწევები.[1]

ამგვარად, ინტელექტუალური კაპიტალის მკაფიო და უნივერსალური განმარტება უაღრესად რთულია, რადგან მოცემული ცნების შინაარსი იცვლება საზოგადოების განვითარების, საბაზრო ურთიერთობების, კანონმდებლობის განვითარების კვლალობაზე. ინტელექტუალური კაპიტალი, რომელიც კაპიტალის ერთ-ერთი სახესხვაობაა გამოირჩევა, როგორც კაპიტალის შესაბამისი საერთო ნიშნებით, ისე ასახავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. ამასთან, მოცემული პრობლემის ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ თანამედროვე პირობებში სწორედ ინტელექტუალური კაპიტალი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორს და საზოგადოების მთავარ ფასეულობას. ინტელექტუალური კაპიტალის მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს სამი შემადგენელი ნაწილის ჯამს ეს ნაწილებია: „ადამიანური კაპიტალი", „სტრუქტურული კაპიტალი" და „სამომხმარებლო კაპიტალი". ისევე როგორც ინტელექტუალური კაპიტალის განმარტებაში არ არსებობს ერთიანი აზრი, ასევე სტრუქტურის განსაზღვრის დროსაც არსებობს სხადასხვა მოსაზრება. წარმოების პროცესში მონაწილეობის დროს, ინტელექტუალური კაპიტალის სამივე შემადგენელი ნაწილი ერთმანეთს განაპირობებს და კომპანისაათვის ფასეულობას წარმოადგენს. ამავე დროს, ინტელექტუალური კაპიტალის შემადგენელ ნაწილად დაყოფას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი თავიანთი შინაარსით არაერთგვაროვანია და თავისებურებებით გამოირჩევიან.

ცნება „ადამიანური კაპიტალი" ეკონომიკურ თეორიასა და პრაქ-

[1] Гойло В. Интеллектуальный капитал // Мировая экономика и международные отношения – 1998 – №11, გვ. 68-77

ტიკაში გამოიყენება ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაფასებლად, რომელსაც ის შეიძენს განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების მეშვეობით.

ამასთან თანამედროვე ეტაპზე სწორედ ადამიანური კაპიტალი ხდება „ფირმებისა და კორპორაციების კონკურენტუნარიანობის უპირველეს და ძირითად წყაროდ, რადგან მისი სხვა კონკურენტ უნარიანი კომპანიები არ წარმოადგენენ ზედმეტ სირთულეებს ეფექტიანი მენეჯმენტისათვის“.[1] მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მიმდინარე მომენტისათვის მსოფლიო სიმდიდრის 64% სწორედ ადამიანურ კაპიტალში მდგომარეობს, რომლის დიდ ნაწილს შეადგენს მუშაკთა ცოდნა და ინტელექტუალური შესაძლებლობები.[2]

ინტელექტუალური კაპიტალის მეორე ნაწილია სტრუქტურული კაპიტალი. სტრუქტურული კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ორგანიზაციული მექნიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის ფუნქციონირებას და თავისთავში მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, პატენტებს, სასოქონლო ნიშნებს, მონაცემთა ბაზებს, პროგრამულ უზრუნველყოფას და სხვა ინტექტუალურ საკუთრებას. ფირმის მიერ სტრუქტურული კაპიტალის შეძენისას ის მისი აქტივი ხდება, რომელიც ბალანსში აისახება როგორც მისის ძირითადი საშუალება.

სამომხმარებლო კაპიტალი (მას კლიენტის კაპიტალსაც უწოდებენ) წარმოადგენს კომპანიის თავის კლიენტებთან და პორდუქციის მყიდველებთან ურთიერთობას.

ინტელექტუალური კაპიტალი ფართოდ მოიცავს სამეურნეო საქმიანობის სხადასხვა მხარეებს და შეიძლება ვთქვათ, რომ იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეროვნული მეურნეობისა და ცალკეული სისტემების განვითარების სპეციფიკას და ასახავს საზოგადოებრივი პროგესის ტენდეციებს.

„მსოფლიო ეკონომიკის ახალი ტექნოლოგიური სექტორის ქვეყნებში შეიმჩნევა ისეთი, ერთი შეხედვით ფუძემდებლური ინსტიტუტების შემცირება, როგორებიცაა კერძო მესაკუთრე, ძირითადი ფონდები

---

[1] Макарян А.С. Глобальная экономика и человеческий капитал // Труд за рубежом. – 2003 – გვ. 55-61.

[2] Иноземцев В.Л. за пределами экономического общества. – М. «Наука», 1998 – გვ. 640.

და მიმოქცევის ხარჯებიც კი. ისინი წარიმართებიან ეკონომიკის პერიფერიაზე, საწარმოო ძალად კი ხდება მეცნიერება და მეცნიერული ცოდნის დაუფლება".[1] განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა გამოგონებებისა და სამეცნიერო შედეგების წარმატებულ ტექნოლოგიურ ბიზნესად გარდაქმნის პროცესი. ზოგიერთი შეფასებით, მსოფლიო ბაზარზე მეცნიერებატევადი პროდუქციის წლიური მოცულობა დღესდღეობით შეადგენს 2.5 ტრილიონ დოლარს.

ჩვენ ხშირად ვხმარობთ ტერმინებს – „ინტელექტუალური საკუთრება" და „სამრეწველო საკუთრება". ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით[2] ინტელექტუალური საკუთრება არის: „სამართლის დარგი, რომლის ნორმები განსაზღვრავს შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებულ ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს. საკუთრება, რომლის ობიექტებსაც ადამიანის გონებისა და

ინტელექტის ქმნილებები წარმოადგენენ", ბოლო გამოგონება „არის სამრეწველო საკუთრების ობიექტი, რომელზეც გაიცემა პატენტი". სამრეწველო საკუთრების ობიექტებს მიეკუთვნება ადამიანის გონებრივი შრომის ნაყოფი.

ინტელექტუალური კაპიტალის კომერციული გამოყენების მართვის საკითხები დღეისათვის ერთ-ერთი რთული და აქტუალური პრობლემაა. ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სამამულო მეცნიერებატევადი საწარმოების ინოვაციური და საინვესტიციო საქმიანობის საბოლოო დადებითი შედეგების მიღწევის შესაძლებლობა"

6.7. საქართველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებები

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მთლიანი ეროვნული პროდუქტი, მთლიანი შიდა პროდუქტი ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული შემოსავალი და ა.შ.) იძლევა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის რაო-

[1] Макарян А.С. Глобальная экономика и человеческий капитал // Труд за рубежом. – 2003 – №8. გვ.

[2] სანდრო ჯორბენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1998წ.

დენობრივი შეფასების შესაძლებლობას. ეს მაჩვენებლები, თავის მხრივ გამოიყენება შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად. ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები ვლინდება განსაზღვრული დროის შემდეგ, ამიტომ სტაბილიზაციის პოლიტიკის გატარებისას აუცილებელია მომავალი ეკონომიკური სიტუაციის განჭვრეტა.

მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკური ღონისძიებებს, რომლებიც განსაზღვრული მიზნების მისაღწევად არეგულირებენ ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებად, ეკონომიკური პოლიტიკა ეწოდება. სამთავრობო გადაწყვეტილება ეხება საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრებასა და კეთილდღეობას. ამის გამო სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკა მწვავე დისკუსიის საგანია. მასში მონაწილეობენ არამხოლოდ მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტები, არამედ -საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც.

ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავების თეორიული საფუძველია ნორმატიული და პოზიტიური თეორიები. ნორმატიული თეორიის ფუძემდებელია ი. ტინბერგენი. ეს თეორია შეისწავლის სამთავრო ორგანოების მოქმედების მიმართულებებს. დროთა განმავლობაში ეკონომიკური პოლიტიკის ნორმატიულმა თეორიამ მოდიფიკაცია განიცადა. პოზიტიური თეორია კი ცდილობს ახსნას ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ორგანოების (ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისრტრო, ეკონომიკის სამინისტრო) მოქმედების ხასიათი.

ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა განვითარების დინამიკაზე უეჭველია, მაგრამ მრავალ ქვეყანაში მწვავე დისკუსიას იწვევს ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა. ეკონომიკური პოლიტიკა შიძლება იყოს უპირატესად ლიბერალური, ან უპირატესად პროტექციონისტული ხასიათის. როგორც წესი ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოები უპირატესიობას აძლევენ ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას, ხოლო განუვითარებელი ქვეყნები, პროტექციონისტულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

თანამედროვე ეკონომისტების უმრავლესობა იზიარებენ რამდენიმე დასკვნას. ისინი ეხებიან ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივებს. მათ შორის აღსანიშნავია:

1. გრძელვადიან პერიოდში ცხოვრების დონე განისაზღვრება ქვეყნის წარმოებითი შესაძლებლობებით;

2. მოკლევადიან პერიოდში საქონლისა და მომსახურების რაოდენობა დამოკიდებულია ერთობლივი მოთხოვნის სიდიდეზე:

3. გრძელვადიან პერიოდში ფულის მიწოდების ზრდის ტემპი განსაზღვრავს ინფლაციის ტემპს, მაგრამ იგი გავლენას ვერ ახდენს უმუშევრობის დონეზე;

4. მოკლევადიან პერიოდში წარმოიშობა არჩევანის აუცილებლობა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის;

5. გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა უშუალოდ არის დაკავშირებული არჩეული ეკონომიკური პოლიტიკის ტიპთან

6.8 ეკონომიკური ზრდა და საქართველო

ეკონომიკური რეფორმების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკა. გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა უშუალოდ არის დაკავშირებული არჩეული ეკონომიკური პოლიტიკის ტიპთან.

ცენტრალიზებული დაგეგმვის ეკონომიკური სისტემიდან, საბაზრო სისტემაზე გადასვლა თავისთავად ვერ ხსნის ქვეყნის მრავალ ეკონომიკურ პრობლემას და ავტომატურად ვერ მოიტანს საყოველთაო კეთილდღეობას. ბევრი რამ დამოკიდებულია საბაზრო ეკონომიკის შერჩეულ ტიპზე და ეკონომიკური განვითარების მოდელზე. ეკონომიკური მოდელის შერჩევა გულისხმობს ამ მოდელის შესაბამისი სამთავრობო პოლიტიკის გატარებასაც. ეკონომიკური განვითარების შედეგის კრიტერიუმის შესახებ ეკონომისტთა შორის აზრთა სხვაობა მინიმალურია. ასეთ მაჩვენებლად გამოდის რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის მატების ტემპი მოსახლეობის ერთსულზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან წარმოებისა და მომსახურების ზრდამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება, ჯანდაცვისა და განათლების განვითარება, აუცილებელი ინვესტიციების განხორციელება, ეკოლოგიური, თავდაცვისა და სხვა მრავალი პრობლემის გადაწყვეტა. ამის გამო ეკონომიკის ზრდის ტემპში აისახება ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის დონე. შესაბამისად ეკონომი-

კის ზრდის ტემპს უკავია მთავარი ადგილი სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მაჩვენებელთა შორის. ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელის აგება და რეალიზაცია წარმოუდგენელია პროტექციონისტული პოლიტიკის გარეშე. აქ იგულისხმება, სამამულა წარმოების დაცვის მიზნით, იმპორტზე საბაჟო ტარიფების ამაღლება და სამამულო წარმოების სახელმწიფოებრივი სუბსიდირება. აუცილებელია ეკონომიკური მოდელის არჩევანს საფუძვლად დაედოს თეორიულად დასაშვები და პრაქტიკულად შესაძლებელი ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტები, რომლებიც ითვალისიწნებენ, ერთიმხრივ, ეკონომიკური სისტემის აქტიურობის, ინიციატივის უქონლობას ხოლო მეორე მხრივ რეალური საზოგადოებრივი ჯგუფების არსებობას, რომლებიც დაინტერესებულები არიან მოვლენების განვითარების ამათუმიმ მსვლელობით.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ისტორიულ მაჩვენებლებს, პროგნოზებს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია აქვეყნებს მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის პროგნოზები უფრო მეტი სიზუსტით გამოირჩევა.

ეკონომიკური ზრდა ერთი წლის განმალობაში ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას ნიშნავს. მთლიანი შიდა პროდუქტი ეკონომიკის სიდიდის საზომია, ის ერთი კალენდარული წლის განმალობაში ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილი საქონლისა და მომსახურების ღირებულებას აჯამებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2021 წლის ექვს აპრილს გამოქვეყნებული ეკონომიკური ზრდის პროგნოზების მიხედვით, საქართველო 192 ქვეყანას შორის 101-ე ადგილზეა. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 3,5%ით გაიზრდება. 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.2% შემცირდა და სავალუტო ფონდის მიხედვით ეკონომიკური ზრდის რეიტინგში 128-ე ადგილზე გავიდა. 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 5%-ით გაიზარდა და ზრდის ტემპით საქართველომ მსოფლიოში 42-ე იყო. 2019 წელს საქართველოს ნომინალური მშპ 49.3 მილიარდი ლარი შეადგინა, 2020 წელს რეალური მშპ-ის 6.2%-იანი კლების მიუხედავათ ნომინალური მშპ 49.4 მილიარდი ლარი გახდა.

უცხო სიტყვები

1. მილიტარიზაცია – სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დამორჩილება დამპყრობლური ომის მომზადების მიზნებისათვის. სამხედრო ორგანიზაციის მეთოდების გადატანა სამოქალაქო ურთიერთობათა სფეროში.
2. ლეგირებული – ლეგირება – გერ. შედუღება, რაიმე ლითონში სხვა ლითონის შეყვანა. შერევა გარკვეული ქიმიური შემადგენლობისა და თვისებების მქონე შენადნობის მისაღებად.
3. ფლუსი – მეტალურგიაში: ნივთიერება რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად და წიდის წარმოსაქმნელად, მდნობი.

თავი VII.

ინოვაციები,საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

7.1. ინოვაციის ძირითადი განსაზღვრებები და კლასიფიკაციები

სიტყვა „ინოვაცია“ წარმოადგენს სიახლის შემოღების,ან სიახლის სინონიმს და შეიძლება იხმარებოდეს მის ნაცვლად კერძოდ: ინოვაციის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკურ სისტემებში სიახლეების შექმნისა და ათვისების პროცესი, აგრეთვე ამ პროცესის შედეგი. ეს მისი ზოგადი განსაზღვრებაა, შემდგომში საჭიროა ხაზი გაესვას ინოვაციას, როგორც პროცესს, რომელიც შემდგომში გამოიყენება ტერმინი „ინოვაციური პროცესი“-ს სახით.

ინოვაციებს მთლიანობაში შეისწავლის მეცნიერება ინოვატიკა, რომლის საგანს წარმოადგენს ინოვაციების წყაროები, ინოვაციური იდეების გენერირების მეთოდები, ინოვაციების განხორციელების ზოგადი პრინციპები, ინოვაციური პროცესის სუბიექტები, ინოვაციების დანერგვის დაბრკოლებები, ინოვაციური პროცესის აქტივიზაციის სტიმულების ფაქტორები; ინოვაციური პროცესის განვითარების შესწავლა ისტორიულ ჭრილში და სხვადასხვა ქვეყნებში მისი გენეზისის შედარებითი ანალიზი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ტექნოლოგიურ ინოვაციებს განიხილავენ, როგორც ახალ ტექნოლოგიებს და ახალ პროდუქტებს, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით მიიღწევა.

არსებობს ინოვაციის შესახებ ცნობილ მეცნიერთა სხვადასხვა განმარტებები. ბ.ტვისის განმარტებით, ინოვაცია არის პროცესი, რომლის დროსაც გამოგონება ან იდეა ეკონომიკურ შინაარს იძენს.

ფ. ნიკსონის აზრით, ინოვაცია ტექნიკური, საწარმოო და კომერციულ ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსაც მივყავართ ახალ, გაუმჯობესებულ მოწყობილობასთან ან საწარმოო პროცესთან.

ბ.სანტო თვლის, რომ ინოვაცია ტექნიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროცესია, რომელიც მიმართულია ახალი იდეების, გამოგონებების გამოყენებით ახალ ნაკეთობათა და ტექნოლოგიათა შექმნისაკენ.

არსებობს სხვა შეფასებებიც, რომელთა ანალიზი საშუალებას იძლევა გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ინოვაციის სპეციფიკური შინაარსი ცვლილებებია, ხოლო საინოვაციო მოღვაწეობის მთავარი ფუნქცია-ცვლილებების განხორციელებაა.

ი.შუმპერტერმა ჩამოაყალიბა ცვლილებები ხუთი ტიპი:

1. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენება;
2. ახალი თვისებების მქონე პროდუქციის ათვისება;
3. ახალი ნედლეულის გამოყენება;
4. ახალი პრინციპები წარმოების ორგანიზაციაში;
5. ახალი ბაზრის წარმოქმნა.

XX საუკუნის 30-იან წლებში მანვე ჩამოაყალიბა ინოვაციის ცნება, როგორც ცვლიება დაკავშირებული ახალი სამომხმარებლო საქონლის სახეობის, ახალი საწარმოებისა და სატრანსპორტო საშუალებების, საწარმოთა ახალი ორგანიზაციის ფორმირების, ახალი ბაზრის ათვისების მიზნით.

ინოვაციები იყოფა ტექნოლოგიურებად და ინსტიტუციონალურებად. ეკონომიკური თეორიის კონტექსტში ინსტიტუციონალური ინოვაციები ეს არის:

ა) ახალი ინსტიტუციები (საწარმოებისა და ორგანიზაციების არსებობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმები საქმიანობის ყველა დარგში),

ბ) ეკონომიკაში ოპერაციების წარმოების, ასევე ბაზრების ორგანიზაციისა და ინსტიტუციების ურთიერთქმედების ახალი პროცედურები (ხერხები);

გ) კულტურის ახალი „მატრიცები“

კულტურის მატრიცების ქვეშ იგულისხმება მოცემული მომენტისათვის საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების ორგანიზაციაში არსებული ტრადიციები, მუშაკებისა და მეწარმეების მოტივაციის ხერხები, ეკონომიკური პროცესის მონაწილე ფიზიკური პირების, საწარმოების ან ორგანიზაციების ქცევის სტერეოტიპები.

დარგების მიხედვით ინსტიტუციონალური ინოვაციები დაიყოფა შემდეგნაირად:

1. ორგანიზაციული;
2. მმართველობითი;

3. სამართლებრივი;
4. სოციალური;
5. ეკოლოგიური.

აქვე საჭიროა ჩვენ ყურადღება გავამახვილოთ ტექნოლოგიურ ინოვაციებზე. ეს ტერმინი წარმოიშვა „ტექნოლოგიების“ როგორც მთელი ტექნოლოგიური სისტემების ფართო გაგებიდან, რომელიც მოიცავს გამოშვებულ პროდუქციას, საწარმოებში გამოყენებულ ტექნოლოგიურ პროცესებს, მოწყობილობებს, მასალებს და სხვა. ტექნოლოგიური ინოვაციები იყოფა პროდუქტულად და პროცესულად.

პროდუქტიული ტექნოლოგიური ინოვაციები, როგორც ჩანს მათი სახელწოდებიდან, დაიყვანება საქონლისა და მომსახურების ახალ სახეებამდე, რომლებიც იქმნება და აითვისება საწარმოების მიერ წარმოებასა და გასაღებაში.

პროცესული ტექნოლოგიური ინოვაციები მოიცავენ ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს, ანუ ეს არის საწარმოო საშუალებების კომბინაციის ახალი ხერხები ეკონომიკური რესურსებისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით. ახალი ტექნოლოგიური პროცესი ხშირად საჭიროებს ახალი მოწყობილობებისა და ახალი მასალების გამოყენებას. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ პროდუქტული და პროცესული ინოვაციების რეალიზაცია ხდება ერთად, რამდენადაც ახალი პროდუქტის დასამზადებლად ხშირად საჭიროა ახალი ტექნოლოგიური პროცესის დანერგვა.

ტექნოლოგიური ინოვაციების კლასიფიცირება შეიძლება შემდეგი საფუძვლების მიხედვით:

1. ეკონომიკური სიახლის ხარისხით;
2. მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლის ხარისხით;
3. სასიცოცხლო ციკლის სტადიით;
4. კომპლექსურობით.

ინოვაციები ეკონომიკური სიახლის ხარისხის მიხედვით წარმოადგენენ სიახლეს:

1. მთელი (მსოფლიო ან ეროვნული) ბაზრისათვის;
2. რეგიონალური (ქვეყნის შიდა) ბაზრისათვის;
3. ცალკეული საწარმოებისათვის.

სიახლის გამოყენებისას, რომელიც უნიკალურია მთელი ბაზრისათვის, საწარმო იყენებს „აგრესიულ“ ასე ვთქვათ შემტევ ინოვაციურ სტრატეგიას, ცდილობს რა გახდეს მონოპოლისტი ამ პროდუქტის ბაზარზე და მიიღოს დამატებითი მოგება. მართალია ეს მონოპოლური მდგომარეობა დროებითია, იქნება მანამ, სანამ არ დამთავრდება პატენტის მოქმედება, რომლითაც დაცულია სიახლე, ან სანამ კონკურენტები არ მიიღებენ პარალელურ პატენტს მოცემულ სიახლეზე.

კონკურენტებს შეუძლიათ მიიღონ სიახლის წარმოების უფლება გამოგონებასა და ნოუ-ჰაუზე ლიცენზიის ყიდვის გზით. ამასთანავე, კომპანია-მონოპოლისტი შეიძლება სახელმწიფომ აიძულოს გაყიდოს ლიცენზიები, როგორც ეს არის ცალკეული კომპანიების შემთხვევაში.

ასევე არ არის გამორიცხული კონკურენტების მიერ ახალი პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიის არალეგალური გამოყენება.

საწარმოები აგრესიული ინოვაციური პოლიტიკით მიღებული მოგების მნიშვნელოვან ნაწილს, ხარჯავენ კვლევების საწარმოებლად საკუთარ კვლევით ცენტრებში, ან გარეშე სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ კვლევების წარმოებაში დანერგვით. მათ აგრეთვე შეუძლიათ განიხილონ კვლევის ხარჯები, როგორც თავისი საოპერაციო ხარჯების შემადგენელი ნაწილი, ანუ როგორც ნებისმიერი პროდუქციის თვითღირებულების ნაწილი.

იმ შემთხვევაში, თუ ასათვისებელი სიახლე ახალია მხოლოდ მწარმოებელი საწარმოებისათვის, საწარმოს უწოდებენ „იმიტატორს“. იმიტატორისთვის დამახასიათებელია, რომ საწარმო არ აწარმოებს რადიკალურად ახალ პროდუქტს, არამედ ელოდება ბაზრის რეაგირების შედეგებს ამ ახალ პროდუქტზე, რომელსაც აწარმოებს სხვა ფირმა აქტიური ინოვაციური პოლიტიკით. იმ შემთხვევაში თუ ეს შედეგები საკეთილდღეოა, ასეთ საწარმოს შეუძლია დაიწყოს სიახლის გამოშვება, ახალ ტექნოლოგიის მიღწევადობის ერთ ერთი ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდის გამოყენებით.

თავდაპირველად ნებისმიერი სიახლე ცდილობს ფართოდ გავრცელებას, ახალი ეროვნული და რეგიონალური ბაზრების ათვისებას, ამიტომ სიახლეები შეიძლება განვასხვავოთ იმის მიხედვით, თუ რომელი ბაზრებისათვის წარმოადგენენ ისინი სიახლეს. ნებისმიერი კომპანია-იმიტატორისათვის უფრო იოლია შეეცადონ შექმნან ახალი ეროვ-

ნული, ან რეგიონალური ბაზარი, ვიდრე შეავიწროვონ უკვე არსებულები ახალი საქონლის წინ წაწევის რაღაც განსხვავებული ფორმების ხარჯზე.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლე ხასიათდება კვლევების მოცულობით, რომლებიც სპეციალურად ტარდება ინოვაციის შესაქმნელად. პირობითად შეიძლება დაიყოს ინოვაციები მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლეების ხარისხის მიხედვით: მაღალი, საშუალო და დაბალი სიახლის ხარისხის ინოვაციებად. მიკუთვნების კონკრეტული კრიტერიუმის შემოთავაზება რთულია.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლის ხარისხის ფორმალურ ნიშნად შეიძლება გამოდგეს ის, თუ რამდენი დაპატენტებული გამოგონება შეადგენს ასათვისებელი ტექნოლოგიის საფუძველს. მათ შეუძლიათ დაიცვან იმიტაციისაგან თვით პროდუქტის კონსტრუქცია, შემადგენლობა, რეცეპტურა, ან მისი გამოშვებისათვის საჭირო ტექნოლოგიური პროცესების არსი, სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობების კონსტრუქცია და შეიარაღება. მნიშვნელოვანია ისიც, თუ აღნიშნულ გამოგონებებზე სამრეწველოდ განვითარებულ რამდენ ქვეყანაშია მიღებული პატენტები. რაც უფრო მეტ ქვეყანაშია, მით უფრო რადიკალურად ახალია ტექნოლოგია, ვინაიდან ის დასაცავია მრავალი პოტენციური კონკურენტისაგან.

ხდება ისეც, რომ ყველაზე მოწინავე გამოგონებები განზრახ„არ პატენტდება, რათა გამოირიცხოს ამ შემთხვევაში გარდაუვალი ინფორმაციის გახსნა სიახლეზე. ფირმებს ურჩევნიათ შექმნან საიდუმლოებების გადინების მძლავრი საწინააღმდეგო სისტემები, რისთვისაც მსხვილ კომპანიებში არსებობენ კომერციულად საიდუმლო ინფორმაციის დაცვის განყოფილებები. ხშირად ვერ ხერხდება სიახლის დაპატენტება, თუ არსებულ პატენტებში გამოგონების ფორმულა იმდენად ფარულია, რომ ვერ ხერხდება გამოგონების ფორმულის ფორმულირება ისე, რომ გვერდი აუარონ კონკრეტულ პატენტს. როგორც წესი, გამოგონების ფორმულა ამასთან შედგენილია განზრახ განზოგადებული ფრაზებით.

დარგის მეცნიერული მოცულობითობის სტანდარტულ სტატისტიკურ მაჩვენებლად გამოიყენება რეგულარულად ფინანსირებადი

კვლევებისა და ძიების მოცულობის შეფარდება პროდუქციის რეალიზაციის მოცულობასთან.

ზოგჯერ მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლის თვალსაზრისით, გამოყოფენ: საბაზისო, გასაუმჯობესებელ და ფსევდო-ინოვაციებს. საბაზისო ეწოდება ინოვაციებს, რომლებიც ტექნოლოგიური წყობის ძირეული ცვლილებების საფუძველში დევს, რომლებიც ასტიმულირებენ ტექნოლოგიური ცლილებების აღმოცენებას წარმოების მრავალ სფეროში. ასეთ ინოვაციებს შეიძლება მივაკუთნოთ ორთქლის ძრავის, შიდა წვის ძრავის, ელექტრონული ენერგიის მექანიკურ ენერგიად გადაყვანის პრინციპის გამოგონება, ნახევრადგამტარ მოწყობილობების, ახალი მასალების სინთეზის მეთოდების გამოჩენა.

გასაუმჯობესებელი ინოვაციები ეფუძნება საბაზისო ინოვაციებს და დაკავშირებულია კონკრეტული დარგის წარმოების სფეროში მათი საბაზისო პრინციპების გამოყენებასთან. ასეთი ინოვაციების მაგალითად გამოდგება ნებისმიერი სიახლე, რომელიც თავისი მიზნებისათვის იყენებს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი საბაზისო ინოვაციებიდან. ხშირად თვით საბაზისო ინოვაციებში ცალკეული გაუმჯობესების რაოდენობრივი დაგროვება რომელთაგან ყველა შეიძლება არც ისე დიდი იყოს, მაგრამ საბოლოო ჯამში იწვევს ხარისხობრივ ნახტომს, რომელსაც ახალ საბაზისო აღმოჩენამდე მივყავართ.

ფსევდოინოვაციები ეწოდება ისეთ ინოვაციებს, რომლებშიც გამოიყენება დიდი ხნის მანძილზე გამოყენებული პრინციპები, რომლებიც საღდება (მიიჩნევა) ახალ სიახლეებად.

სასიცოცხლო ციკლის სტადიის მიხედვით, რომელშიც იმყოფება ინოვაცია, პროდუქტული ტექნოლოგიური ინოვაციებს შორის შეიძლება გამოიყოს ახალი პროდუქტები, რომლებიც იმყოფება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ერთ ეტაპზე:

-შემუშავების;

-საცდელ-სამრეწველო ათვისების და შედეგების მიხედვით საბოლოოდ დამუშავების;

- სამრეწველო გამოშვების ათვისების;

- ათვისების და გასაღების გაფართოების (პროდუქტების ბაზარზე წინ წაწევის);

- მოდერნიზაციის.

ზოგჯერ გამოყოფენ იდეის ჩასახვის სტადიასაც. ამ დარგში ბოლო კვლევებთან დაკავშირებით ეს სფერო იზიდავს მეცნიერების და პრაქტიკოსების ყურადღებას.

ინოვაციებისათვის იდეების წყაროდ შეიძლება გამოდგეს ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევები, რომლებიც წარმოებს სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციებში. ფუნდამენტურები ეწოდება კვლევებს, რომლებიც მიმდინარეობს ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირითადი კანონზომიერებების შემეცნების მიზნით. ისინი ხორციელდება, როგორც წესი, აკადემიური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტების, მსხვილი კორპორაციების მიერ (მათთვის ეს სამეცნიერო კვლევების არაძირითადი მიმართლებაა). ფუნდამენტური კვლევები ფინანსირდება ძირითადად სახელმწიფოს მიერ იმის გამო, რომ თვალნათლივ არ ჩანს მიღებული შედეგების კომერციული გამოყენების ვარაუდი.

გამოყენებითი კვლევები ტარდება ფუნდამენტური კვლევების შედეგების პრაქტიკული მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობის გარკვევის მიზნით. ასეთი კვლევები – ასევე პრეროგატივაა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისათვის, რადგან ხშირად გამოყენებითი კვლევები სავარაუდოთ უარყოფითი შედეგებით სრულდება. იმ შემთხვევაში თუ ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევების შედეგები დემონსტრირებენ პრაქტიკაში მათი გამოყენების ალბათობას, საჭირო ხდება წინასწარი ტექნიკურ -ეკონომიკური დასაბუთება, იდეის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ძიებაში გადასაყვანად. ტექნიკურ-ეკონომიკურმა დასაბუთებამ უნდა უზრუნველყოს სიახლის კომერციული რეალიზაცია, რომელიც თუ ეს ახალი პროდუქტია, შეიძლება დამზადდეს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შედეგების საფუძველზე. ხშირად კომერციულად წარმატებული იდეების წყაროდ შეიძლება გამოდგეს სამეცნიერო ორგანიზაციებში ჩატარებული მეცნიერული კვლევების რაიმე განშტოება. ეს დაკავშირებულია მეცნიერების მიერ რაიმე ობიექტის უჩვეულო თვისებების შემთხვევით აღმოჩენის შესაძლებლობასთან.

ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევების საშუალებით ხდება ყველაზე რადიკაური სიახლეების რეალიზება, რომლებიც ამ იდეების ბაზაზე ფართო ჰორიზონტებს შლის მომავალი ინოვაციების მთელი სპექტრისათვის.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის კონცეფციის მიხედვით, ინოვაცია არის ინოვაციური მოღვაწეობის (მოქმედების) საბოლოო შედეგი, რომელიც რეალიზებულ იქნა ბაზარზე, როგორც ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტი, განახლებული და გაუმჯობესებული ტექნოლოგიური პროცესისა, რომელიც იქნა გამოყენებული პრაქტიკულ მოღვაწეობაში (პრაქტიკაში).

ინოვაცია განხორციელებულად ითვლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ბაზარზე, ან საწარმოო პროცესშია დანერგილი.

შევჩერდეთ ამერიკულ და იაპონურ ინოვაციურ სისტემაში არსებულ განსხვავებებზე აშშ-ს ინოვაციის 1/3 მოდის პროცესულზე 2/3 კი პროდუქციულზე; იაპონიაში პირიქითაა.

ინოვაციები მჭიდროდაა დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან, რადგანაც წარმოადგენენ მის შედეგს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლის უზრუნველყოფაც ხდება წარმოების საშუალებებისა და ტექნოლოგიათა სრულყოფით. აღნიშნული ეფუძნება რა მეცნიერების მიერ ახალი კანონზომიერებებისა და მოვლენების აღმოჩენას, ასევე გარე სამყაროს თვისებებს. ახორციელებს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას.

ანსხვავებენ ბაზისულ ინოვაციებს, რომლებიც ახდენენ მსხვილი აღმოჩენების (გამოგონებების) რეალიზაციას და წარმოადგენენ ახალი თაობის ფორმირებისა ან მიმდინარეობის ჩამოყალიბების საფუძველს. ტექნიკაში გაუმჯობესებული ინოვაციები, რომლებიც უკეთებენ რეალიზაციას წვრილ და საშუალო გამოგონებებს უმეტესად გვხვდებიან მეცნიერულ ტექნიკური ციკლის სტაბილური განვითარებისა და გავრცელების ფაზაში; ფსევდოინოვაციები (ანუ რაციონალიზირებული ინოვაციები) რომელიც მიმართულია მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ნაწილობრივ გაუმჯობესებაზე, უმთავრესად ამუხრუჭებენ ტექნოლოგიურ პროცესს (ისინი ან არ იძლევიან ეფექტს საზოგადოებისათვის, ან მოაქვთ უარყოფითი ეფექტი).

ინოვაციური პროცესი – ეს არის პროცესი მეცნიერული ცოდნის გარდაქმნისა ინოვაციად, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მოვლენათა თანმიმდევრული ჯაჭვი, რომლის მსვლელობათა პროცესშიც ინოვაცია მწიფდება, (ყალიბდება) იდეიდან, კონკრეტულ

პროდუქტამდე, ტექნოლოგიამდე, მომსახურებამდე და ვრცელდება პრაქტიკული გამოყენებისას. მეცნიერულ-ტექნიკური პროცესისაგან განსხვავებით, ინოვაციური პროცესი არ სრულდება, (მთავრდება, წყდება) დანერგვით ანუ ბაზარზე ახალი პროდუქტის გამოჩენით, ან ახალი მომსახურებით, ან ახალი ტექნოლოგიის მიყვანით დაგეგმილ სიმძლავრემდე. ეს პროცესი არ წყდება დანერგვის შემდეგაც, რადგანაც გავრცელების (დიფუზიის) პროცესში სიახლე განიცდის სრულყოფას, ხდება უფრო ეფექტური, იძენს ისეთ ახალ სამომხმარებლო თვისებებს, რაც წინათ არ იყო ცნობილი. ეს უხსნის მას ახალ ბაზარსა და გამოყენების სფეროს. აქედან გამომდინარე ახალ მომხმარებლებსაც, რომლებიც აღიქვამენ მოცემულ პროდუქტს, ტექნოლოგიასა თუ მომსახურებას, როგორც ახალს თავისი თავისთვის. ასე და ამგვარად ეს პროცესი მიმართულია ისეთი პროდუქტების, ტექნოლოგიისა და მომსახურეობის შექმნაზე, რომელზედაც არის ბაზრის მოთხოვნა და ხორციელდება გარემოსთან მჭიდრო კავშირში. მისი მიმართულება, ტემპი და მიზანი დამოკიდებულია იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, რომელშიც ის ფუნქციონირებს და ვითარდება

ი ნ ო ვ ა ც ი უ რ ი პ რ ო ც ე ს ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი-არის ახალი ტექნიკის (ტექნოლოგიის) შექმნა და ათვისება. ტექნიკა წარმოების ნივთიერი ფაქტორების ერთობლიობაა (შრომის საშუალებები და საგნები), რომელშიდაც მატერიალიზირებულია ადამიანის ახალი ცოდნა და უნარი.

ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი ა-დამზადების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობაა, ტექნიკის გამოყენება და ბუნებრივი ნივთიერებების გარდაქმნაა საწარმოო საყოფაცხოვრებო, სამომხმარებლო პროდუქტებად.

ი ნ ო ვ ა ც ი უ რ ი ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა-არის საქმიანობა, რომელიც მიმართულია მეცნიერული კვლევის შედეგების გამოყენებასა და კომერციალიზაციაზე, რათა განახლდეს და გაფართოვდეს ნომენკლატურა, გაუმჯობესდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, მოხდეს მათი დამზადების ტექნოლოგიის სრულყოფა შემდგომი დანერგვითა და ეფექტური რეალიზაციით, როგორც საშინაო ისე საგარეო ბაზარზე. ინოვესტიციურ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციაში კაპიტალის ჩადებაზე, უწოდებენ ინოვაციურ-ინვესტიციურ საქმიანობას.

აქვე უნდა განვიხილოთ ტექნიკურ სიახლეთა საარსებო ციკლი, რომელიც ინოვაციური პროცესის ერთმანეთთან თანმიმდევრულად შემცველი ეტაპების ერთობლიობაა. იგი შედგება ოთხი ფაზისაგან:

1. ჩ ა ს ა ხ ვ ი ს ფ ა ზ ა, რომელიც მოიცავს იდეის დაბადებას, მისი კონსტრუქციული განხორციელების პირველი ცდების ჩატარებისა და მიღებული ტექნიკური დამუშავებების ეკონომიკურ დასაბუთებას;

2. ა თ ვ ი ს ე ბ ი ს ფ ა ზ ა, რომელიც მოიცავს არსებულ ანალოგებთან შედარების, სიახლის პრაქტიკული გამოცდის და ნაწილობრივ წარმოების პოცესში მის დანერგვას;

3. დ ი ფ უ ზ ი ი ს ფ ა ზ ა, რომელიც მოიცავს სიახლის ნაწილობრივ ადაპტაციას, კონსტრუქციულ ცვლილებების, მოდიფიკაციას და მასობრივ გავრცელებას;

4. მ ო ძ ვ ე ლ ე ბ ი ს ფ ა ზ ა, რომელიც მოიცავს სიახლის ოპტიმალური წარმოებრივი გამოყენების, ანუ მომწიფების, ამ ნაწარმით ბაზრის გაჯერების ე.ი. ახალი ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისათვის მისი შეუსაბამობისა და უფრო სრულყოფილი სიახლით შენაცვლების, ანუ წარმოებრივი პროგრესის დატოვებას.

ინოვაციური საქმიანობა გულისხმობს მთელ კომპლექსს მეცნიერული, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ფინანსური და კომერციული ღონისძიებებისა, რომლებსაც მივყავართ ინოვაციებისაკენ.

ინოვაციური საქმიანობის ძირითად ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს:

ა) ს ა წ ა რ მ ო ო ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ა და ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა, რაშიც შედის საწარმოო მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების შეძენა, ცვლილებების შეტანა მათში, ასევე პროცედურებში, მეთოდებში საწარმოოს სტანდარტებში და ხარისხის კონტროლში, რაც აუცილებელია ახალი ტექნოლოგიური პროცესის შექმნისათვის;

ბ) წ ი ნ ა ს ა წ ა რ მ ო ო დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ე ბ ი, რომელიც შეიცავს ტექნოლოგიური პროცესისა და პროდუქტის მოდიფიკაციას, პერსონალის გადამზადებას, ისე, რომ შეძლონ ახალი ტექნოლოგიისა და მოწყობილობების გამოყენება;

გ) ა ხ ა ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს მ ა რ კ ე ტ ი ნ გ ი, ისეთი მოქმედებების გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია ბაზარზე ახალი პროდუქციის გაშვებასთან, რაც გულისხმობს ბაზრის წინასწარ

შესწავლას, პროდუქტის ადაპტაციას სხვადასხვა ბაზარზე, სარეკლამო სამსახურს;

დ) გ ა უ ნ ი ვ თ ე ბ ე ლ ი ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი ი ს შ ე ძ ე ნ ა პატენტის, ლიცენზიის ფორმით, ტექნოლოგიური შინაარსის მქონე მოდელებისა და მომსახურებების, ნიუ-ჰაუს, სავაჭრო მარკების, კონსტრუქციების გახსნა;

ე) გ ა ნ ი ვ თ ე ბ უ ლ ი ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი ე ბ ი ს, მანქანებისა და აღჭურვილობების (მოწყობილობების) შეძენა, რომელიც თავისი ტექნოლოგიური შინაარსით დაკავშირებულია ინოვაციურ საწარმოებში პროდუქციული ან პროცესული ინოვაციის დანერგვასთან;

ვ) ს ა წ ა რ მ ო ო ს პ რ ო ე ქ ტ ი რ ე ბ ა, რომელშიც შედის გეგმებისა და ნახაზების მომზადება რათა განისაზღვროს საწარმოოს ტექნიკური სპეციფიკაციის პროცედურები.

ინოვაციურ საქმოანობას საფუძვლად უდევს მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობა, რომელიც მჭიდრო კავშირშია მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა სფეროში არსებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის შექმნასთან, განვითარებასთან, გავრცელებასთან და გამოყენებასთან.

ცნება მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობა(მტს), შემუშავებულია I O N E C K O-ს მიერ და ითვლება საერთაშორისო სტანდარტების საყრდენ კატეგორიად მეცნიერებისა და ტექნიკის სტატისტიკაში.

I O N E C K O-ს რეკომენდაციით მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობა (მტს), როგორც სტატისტიკის ობიექტი მოიცავს მის სამ სახეობას:

ა) მეცნიერული კვლევები და დამუშავებანი;

ბ) მეცნიერულ-ტექნიკურ განათლებასა და კადრების მომზადებას;

გ) მეცნიერულ-ტექნიკურ მომსახურებას.

მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა აქვს „მეცნიერულ სამუშაოთა მაშტაბს“, რომელიც მოიცავს შემდეგს:

მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი (მ ე ც ნ ი ე რ უ ლ -ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი) მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს, რომელიც არის ყველაზე დიდი მეცნიერული სამუშაო, ატარებს დამოუკიდებელ ხასიათს და ეძღვნება მოცემული დარგის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. რომელიმე მეცნიერული მიმართულების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რამოდენიმე მეცნიერული ორგანიზაციის გაერთიენებული ძალისხმევით.

მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი (მ ე ც ნ ი ე რ უ ლ-ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი) პ რ ო ბ ლ ე ბ ა – არის ნაწილი მეცნიერული (მეცნიერულ-ტექნიკური) მიმართულებისა და წარმოადგენს მისი გადაწყვეტის ერთ ერთ გზას. მეცნიერული სამუშაო შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამით, რომელიც წარმოადგენს რესურსების, შემსრულებლების და სამუშაოს შესრულების დროის ერთობლიობას. ამ სამუშაოთა კოორდინაცია უნდა განახორციელონ სათაო სამეცნიერო ორგანიზაციებმა.

მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი თ ე მ ა-არის პრობლემის ნაწილი, რომელიც როგორც წესი წყდება მეცნიერული ორგანიზაციის ფარგლებში. არის თემატური გეგმის ძირითადი ერთეული სამუშაოს ფინანსირებასა და აღრიცხვაში.

თემის მიზანი – კონკრეტული ამოცანის, პოტენციური ან ეკონომიკური კვლევითი სამუშაოების, ეფექტური გადაწყვეტაა. სირთულის მიხედვით (გათვალისწინებით) თემა შეიძლება დაიყოს ეტაპებად და ქვეეტაპებად.

7.2. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა

ინკლუზიური ე.ი. საგნების უფრო დიდ წრეზე გავრცელებული ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მთავარი ამოცანაა საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი ყველა კრიტიკული პრობლემების იდენტიფიკაცია და დაძლევა. კრიტიკულ პრობლემათა შორის იკვეთება კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული სამი ძირითადი პრობლემის დასაძლევად იკვეთება შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა;

- საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება;
- ინოვაცია და ტექნოლოგიები;
- ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

2. ადამიანური კაპიტალის განვითარება:

- შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება;
- სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;
- ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;

- საინვესტიციო რესურსების მობილიზება;
- ფინანსური შუამავლობის განვითარება.

როგორც ვხედავთ ინოვაცია და ტექნოლოგიები კრიტიკული პრობლემათა რიგში მოიაზრება.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, როგორც სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, განსაზღვრავს ინოვაციური სტრატეგიის მიზნებსა და პრიორიტეტებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მათი რეალიზაციის მექანიზმებს.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ქვეშ უნდა გვესმოდეს ეკონომიკასა და მთლიანად საზოგადოებაზე სახელმწიფოს სტრუქტურების ზემოქმედების მიზნებისა და აგრეთვე ორგანიზაციული ღონისძიებების, მეთოდების კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციური პროცესების ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ამაღლებასთან.[1]

მსოფლიო გამოცდილების განზოგადება შესაძლებლობას იძლევა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიზნები:

1. ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე, საინვესტიციო საქმიანობის პრიორიტეტების დადგენა;
2. მსხვილი პროგრამების დამუშავება სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
3. ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება;
4. ინოვაციურ წინადადებათა ბანკის შექმნა და მისი მონაცემების გავრცელება.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა გახდეს ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

მხედველობაში აუცილებელია ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს რეალიზებული იქნეს მთე-

[1] ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე ‘საინოვაციო მენეჯმენტი’, თბ.2009.

ლი ინოვაცირი პროცესი. საზღვარგარეთის გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი სტრუქტურებია: ტექნოლოგიური პარკები, ტექნოლოგიური ცენტრები, ტექნოპოლისები, ე.წ. „ინკუბატორები“, ვენჩურული ფირმები და სხვა.

ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაცია წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის საჭირო უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, ხოლო ინოვაციური ინფრასტრუქტურის ყველაზე გავრცელებული სახეა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ტიპი ტექნოპარკი. თავად ტერმინი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი (ტექნოპარკი) ნიშნავს განათლების, მეცნიერების, წარმოების, ბიზნესისა და სახელმწიფოს ინტეგრაციას, რომელსაც როგორც წესი თან ახლავს გადასახადებისა და დაბეგვრის შეღავათიანი სისტემა.

ტექნოპარკები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს ყველა კუთხეში, მათი შექმნით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ კერძო საწარმოები ან სასწავლებლები, არამედ მთავრობებიც. ვინაიდან ტექნოლოგიური პარკი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას და სუსტი რეგიონების განვითარებას. ტექნოპარკის ძირითად მიზანს შეიძლება წარმოადგენს გამომგონებლებისა და მკვლევართა ჯგუფებს შორის, ან ტექნოლოგიური პროდუქციის სხვადასხვა მწარმოებლებს შორის კომუნიკაციის დამყარება.

სამეცნიერო ტექნოპლოგიური პარკები, ანუ როგორც მათ ასევე უწოდებენ-ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების ზონები წარმოადგენენ თავისუფალი ეკონომიკური ზონის ისეთ ნაირსახეობას, რომელიც პირდაპირ არის ორიენტირებული ახალი ტექნოლოგიების მოზიდვასა და მეცნიერებატევადი წარმოების განვითარებაზე. ამჟამად საქართველოში არცერთი ტექნო პარკი არ ფუნქციონირებს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა ტექნოპარკის ჩამოყალიბება ფუფუნებაა. თუმცა, ტექნოპარკები შექმნილია ევროპის მცირე ქვეყნებშიც კი. მაგალითად, შვეიცარიაში შვიდი ტექნოპარკი ფუნქციონირებს;

1. ლოზანას სამეცნიერო პარკი;
2. ჟენევის „უახლესი ტექნოლოგიების ცენტრი“;
3. ჟენევის „აყვავების სამეცნიერო სააგენტო“;
4. სიერას „კიდობანი“;

5. ივერდონის ტექნოპარკი;
6. ბერნის ბიო-ტექნიკური პარკი;
7. ციურიხის ტექნოპარკი.

ტექნოპარკი არის არაბეთის გაერთიანებულ ემირატებშიც, რომელიც ცნობილია როგორც „დუბაის სილიკონის ოაზისი“

ამდენად, ტექნოპარკები არა მხოლოდ, დიდი სახელმწიფოების პრივილეგიაა, არამედ პატარა ქვეყნებისაც. საქართველოსათვის პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს საუნივერსიტეტო ტექნოლოგიური პარკების შექმნას, რისი განხორცილებაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით, სწრაფად და ეფექტურად.

ტექნიკური პარკის მთავარი ფუნქციაა თეორიულ-ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების წარმოება. ასეთი პარკები როგორც წესი მეცნიერებატევად ფირმებს უქმნიან ხელსაყრელ პირობებს მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფიერად წარმართვისათვის, სამეცნიოერო ტექნოპარკები პირველად აშშ-ში შეიქმნა 1950-იან წლებში, 1970 წლებში კი ასეთი კერები შეიქმნა იაპონიასა და დასავლეთ ევროპაში. მეცნიერებისა წარმოების შეერთება -შერწყმის ეს პროგრესული ფორმა შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. სამეცნიერო ტექნოპარკები წყვეტენ ისეთ ამოცანებს როგორიცაა:

1. ორიგინალური მეცნიერული იდეების შემუშავება, რომელთაც შეუძლიათ პროგრესული ხასიათის რადიკალური ცვლილებების შეტანა ტექნიკასა და ტექნოლოგიაში;
2. სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის უმაღლესი სასწავლებლებიდან და მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტებიდან მეურნეობრივ პრაქტიკაში გადატანის დაჩქარება;
3. უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ცოდნის დონის ამაღლება მათ მიერ კვლევა-ძიებით სამუშაოებსა და დამუშავებებში აქტიური მონაწილეობის ხარჯზე.[1]

ტექნოპარკის დამფუძნებლად, როგორც წესი ერთდროულად გამოდიან უნივერსიტეტები, სამეცნიერო ცენტრები, სამრეწველო საწარმოები, საფინანსო ორგანიზაციები და ხელისუფლების ორგანოები. მისი ფუნქციონირების ძირითად ნიშან-თვისებებს შორის აღსანიშნა-

[1] ლეო ჩიქავა „ინოვაციური ეკონომიკა“, თბ. 2006, გვ.436

ვია, ის რომ აქვს იურიდიული პირის სტატუსი, უძრავი ქონება, განვითარებული ბიზნეს-ინკუბატორი, ხანგძლივი ვადით აღებული ფართი, სათანადო სერვისი, რომელსაც ძალუძს კლიენტი ფირმების მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ჰყავს მენეჯერთა მაღალკვალიფიციური კადრები. რეგიონში წარმოადგენს ისეთ სტრუქტურას, რომელიც საგრძნობ გავლენას ახდენს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

პირველი ტექნოპარკი შეიქმნა გასული საუკუნის 50-იან წლებში სტენფორდის უნივერსიტეტთან (აშშ). ამჟამად იგი წარმოადგენს უმსხვილესს ტექნოპოლისს,

რომელიც თავის შემადგენლობაში 8 ათასამდე ინოვაციურ საწარმოს ითვლის. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანში 10 მეცნიერ მუშაკზე მეტი არ მუშაობს. მათ

შორის ინტენსიურად მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური და წარმოებრივი იდეების გაცვლა, რაც ხელს უწყობს მეცნიერებატევადი ტექნიკისა და ტექნოლოგიების წარმოების გაფართოებას. ტექნოპარკის ძირითადი ტიპებია: სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ბიზნეს-ინკუბატორები და ტექნოპოლისები.

ტექნოპარკები იქმნება ისეთი ამოცანების გადასაჭრელად, როგორებიცაა:

- დახმარების გაწევა მცირე ზომის დამწყები ინოვაციური ფირმების ჩამოყალიბებასა და განვითარებისათვის;
- ინტელექტუალური პროდუქტის გადაქცევა საქონლად;
- სახოგადოებრივ პროგრესში მეცნიერებისა და განათლების როლის ამაღლება;
- სრულიად ახალი ტექნოლოგიების, ნაწარმისა და მომსახურების შექმნა და რეალიზაცია მათი გამოყენების ახალ სფეროში;
- მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ინვესტიციების მოზიდვა, როგორც ქვეყნის ცალკეული რეგიონებიდან, ისე საზღვარგარეთიდან.

საქართველოს სინამდვილეში ტექნოლოგიური ინკუბატორების შექმნის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ადრე

არსებული გამოყენებითი სამეცნიერო ორგანიზაციები პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებენ, ხოლო მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინსტიტუტების უმნიშვნელო რაოდენობა აწარმოებს ახალ ტექნოლოგიათა შექმნის გამოყენებითი ხასიათის კვლევებს.

ტექნოპოლისი არის მეცნიერულ წარმოებრივი კომპლექსი, რომელიც იქმნება განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე საშუალო სიდიდის ქალაქის ბაზაზე, მისი საქმიანობის გამოცოცხლების მიზნით. ასეთი ტექნოპოლისების კომპეტენციაში შედის, რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით მათ სამოქმედო ზონაში მკვლევართათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ასევე შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფა, საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სხვა.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტალინგზე, რომელიც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მეცნიერი ლ.გვაჯაია საქართველოში ინოვაციების რეალიზაციის ორგანიზაციული ფორმებიდან სწორედ აღნიშნულზე ამახვილებს ყურადღებას.

ტალინგი გულისხმობს საწარმოების მუშაობას დამკვეთის ნედლეულით და მასალებით. ამ დროს უცხოელ ფირმებს შემოაქვთ ადგილობრივ საწარმოებში ნედლეული, მასალები, დამუშავების ტექნოლოგია შემდგომი დამუშავებისათვის და უზრუნველყოფს მის გატანასა და რეალიზაციას, მთელი ციკლის პერიოდში დამუშავების დაწყებიდან, მზა პროდუქციამდე ფირმა რჩება პროდუქტის მესაკუთრედ, დამკვეთის შემსრულებელი კი იღებს ანაზღაურებას პროდუქციის დამზადებისათვის.

უშუალოდ წარმოების განმახორციელებელ საწარმოს წარმოების ფუნქციონირებისა და მუშაკთა დასაქმებისათვის არ სჭირდება საბრუნავი საშუალებების მოძიება, ასეთი ორგანიზაციული ფორმა დაინერგა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის რამდენიმე საწარმოში. კერძოდ: სააქციო საზოგადოება „იმერი“, „მოდების სახლი“, „კოლხეთი“, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მათ შეძლეს კონკურენტუნარიანი სამკერვალო პროდუქციის დამზადება, რომელთა რეალიზაცია დამკვეთის მიერ ხდებოდა ევროპის ქვეყნების ბაზარზე.[1]

1994 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ“, რაც იმ დროისათვის გარკვეულწილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ვინაიდან კანონი აღიარებდა სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის აუცილებლობას და მათ განხორციელებას სახელმწიფო პროგრამების საშუალებით.

საქართველოს კანონში „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ ასახულია რამოდენიმე მიმართულება, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს შეუძლია ქვეყანაში საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერა კერძოდ:

- ყველა იმ დაწესებულებასა და ორგანიზაციას, რომელიც საქმიანობს მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში, სახელმწიფო აძლევს საინოვაციო საქმიანობის დაცვის გარანტიას, საკუთრების ფორმის მიუხედავად;
- სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ინსპექციები, სხვა სახელმწიფო უწყებები ქმნიან მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების დარგობრივ ფონდებს, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, აუცილებლობის შემთხვევაში-რეგიონულ ფონდებს. ამ ფონდების დებულებას ამტკიცებს სახელმწიფო ორგანიზაცია;
- სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის გატარებას ხელს უწყობენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი იურიდიული პირები.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგებს შორის მოიაზრება კომპანიების მიერ ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებსა და ბიზნეს შორის კავშირების გამყარება, ინოვაციების დონის ამაღლება და შედეგად ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე ორიენტაცია.

7.3.საინოვაციო საქმიანობის რეგიონული ასპექტები

უცხოეთის გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საინოვაციო პოლიტიკის ჩამოყალიბებას წინ უნდა უძღვოდეს რეგიონიოს ეკონო-

მიკური რესურსების საფუძვლიანი შესწავლა. ეკონომიკურ რესურსებს მიეკუთვნება ბუნებრივი რესურსები (მინიმალური წიაღისეული მიწა, წყლისა და ტყის რესურსები), შრომითი რესურსები, კაპიტალი, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის სამეწარმეო უნარი.

ეკონომიკური რესურსების ანალიზის შედეგად უნდა დამუშავდეს რეგიონის განვითარების პროგნოზი და კონკრეტულად გამოიკვეთოს პრიორიტეტები.

პრიორიტეტების რეალიზაციისათვის აუცილებელია მათი უზრუნველყოფა საინოვაციო ღონისძიებებით, რასაც წინ უნდა უძღვოდეს საინოვაციო იდეების მოძიება, ალტერნატიული წინადადებების ჩამოყალიბება და მისაღები გადაწყვეტილებების შერჩევა. მოქმედების შემდეგ ეტაპზე ხდება პრიორიტეტების მიზნობრივი პროგრამების დამუშავება.

რეგიონების საინოვაციო საქმიანობა მოცემულია სქემა 7.3.1-ში.

საინოვაციო პროგრამების დაფინანსების მცდელობა, მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების საშუალებით და უცხოური კრედიტებისა, თუ გარანტიების იმედით ვერ უზრუნველყოფს სათანადო მოცულობის სახსრების მობილიზაციას. გამოყენებული უნდა იყოს ვენჩურული დაფინანსების უცხოეთის გამოცდილება, რომელმაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია აშშ-ში და ევროპის ქვეყნებში საინოვაციო წამოწყებათა დაფინანსების საქმეში.

ვენჩურული კაპიტალი ესაა კაპიტალი, რომელიც განკუთვნილია ინოვაციურ წარმოებათა დასაფინანსებლად. ის საკმაოდ დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ამ თავისებურებების გამო მას, არცთუ იშვიათად „სარისკო კაპიტალის“ სახელწოდებითაც მოიხსენიებენ.

ვენჩურული კაპიტალი, როგორც წესი გამოიყენება პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროექტების დამუშავებისა და დანერგვის უზრუნველსაყოფად, რომელთა მოსალოდნელი შედეგები ნაკლებად სტაბილურია. მოსალოდნელია, რომ ფირმამ მოგების ნაცვლად ზარალი ნახოს. საქმიანობის წარმატებულად წარმართვის შემთხვევაში ჩვეულებრივზე გაცილებით მაღალია ფირმის რენტაბელობის ნორმა და ამიტომაც მიდიან ინვესტორები რისკზე.

სქემა 7.3.1 რეგიონის საინოვაციო საქმიანობა



ვენჩურული კაპიტალის ფორმირება ხდება ინდივიდუალურ მეწარმეთა, მსხვილი კორპორაციების, სამთავრობო უწყებების, სადაზღვეო კომპანიების, უნივერსიტეტების, მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების, ბანკების საინჟინრო ფონდებისა და სხვა უწყებების კაპიტალის ბაზაზე. მისი მოცულობა მცირე და საშუალო ბიზნესის საზღვრებს არ სცილდება.

ვენჩურულ ბიზნესში მნიშვნელოვანწილად წვრილი და საშუალო საწარმოები მონაწილეობენ, რომლებიც ძირითადად მეცნიერებატევად დარგებში ფუნქციონირებენ და მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებენ უახლესი ტექნოლოგიების, აგრეთვე ნაწარმის ახალი ნამუშევრების შექმნას და წარმოებაში დანერგვასთან დაკავშირებულ მეცნიერულ კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ხასიათის სამუშაოებს. აქვე უნდა განვიხილოთ ვენჩურული ფირმები, რომლებიც დამაკავშირებელ როლს ასრულებენ საძიებო კვლევებსა და სიახლეთა სერიულ წარმოებას შორის. ვენჩურული ფირმები მცირე ან საშუალო საინვესტიციო ფირმაა, რომელიც ახორციელებს მეცნიერულ კვლევებს, საინჟინრო დამუშავებებს, მათ დაკრედიტებასა და ინოვაციურ წამოწყებათა რეალიზაციას-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვას. პროდუქციის ახალ სახეობათა ათვისებას. მომსახურეობის გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენებას.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციისათვის მთავარია ფინანსური მექანიზმების შემუშავება, იგი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მთელი ინოვაციური ციკლის რესურსული უზრუნველყოფის სისტემა ინოვაციების შემუშავების სამრეწველო წარმოებისა და საექსპლოატაციო გამოყენების ჩათვლით, როგორც პირდაპირი ფინანსირების, ასევე არაპირდაპირი რეგულირების მეთოდების გამოყენებით. ფინანსირების რადიკალური მოდელი „წმინდა საბაზრო“ ან „წმინდა საბიუჯეტო“ მიუღებელია, საბიუჯეტო ფინანსირებასთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს სხვა წყაროებიც, მიზნობრივი საგრანტო დაფინანსება, ამრიგად, სამეცნიერო კვლევების დაფინანსება ხდება როგორც საბაზო, საგრანტო ისე მიზნობრივი დაფინანსების სისტემით.

სქემა 7.3.2 რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკური დონე



წარმოების განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკური დონე განისაზღვრება მეცნიერული მიღწევების ათვისებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდების სრულყოფის ხარისხით, რომელიც შეესაბამება საბაზრო კონკურენციის მოთხოვნებს. იგი ასახავს წარმოების სფეროში მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მატერიალიზების ხარისხს. აღნიშნულიდან გამომდინარე რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკურ დონეში იგულისხმება რეგიონის მაშტაბით ტექნოლოგიის, შრომის საშუალებების და შრომის საგნების სრულყოფა.

7.4. ტექნოლოგიების გადაცემის პროცესის თანამედროვე ტენდენციები

ახალ ეკონომიკაში ცოდნის როლის ზრდის ფონზე იხვეწება და სტიმულირდება ახალი ცოდნა, რომელიც დაფუძნებულია ინვესტირების მექანიზმებზე, მეცნიერულ-კვლევით დამუშავებით, მეცნიერულ-კვლევით და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და ინვესტორთა უფლებათა დაცვაზე.

ერთის მხრივ ასეთი მიდგომა ასტიმულირებს ინვესტორებს თავი მოუყაროს და დააბანდოს კაპიტალი პერსპექტიულ ტექნოლოგიურ დამუშავებებზე, მეორეს მხრივ კი მივყავართ ცოდნის ბაზარზე მონოპოლიზაციისაკენ და ფუნდამენტური გამოკვლევების მიმზიდველობის შემცირებისაკენ, უმოკლეს პერსპექტივაში ინვესტორებისათვის მოგების შემცირებასა და არ მიღებაზე.

ინტელექტუალური საკუთრების ბაზარზე ლიდერობის გამყარების ძირითად მექანიზმებს წარმოადგენს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური შედეგების დაცვასთან.

საპატენტო უფლებების საფუძველზე კორპორაციებს აქვს შესაძლებლობა ფლობდნენ საერთაშორისო ბაზარზე ქონებრივ უფლებებს გამომგონებლობაზე, დამოუკიდებლად გამომგონებლის ფაქტობრივი გეოგრაფიული მდებარეობისა.

ფლობენ რა საკმაო ფინანსურ შესაძლებლობებს, ტრანსნაციონალურ კომპანიებს შეუძლიათ მიიზიდონ ტალანტები პერიფერიული

ქვეყნებიდან, პატენტების შეძენით, ანდა სპეციალისტებისათვის კომ-ფორტული პირობების უზრუნველყოფით. „ტვინის გადინების“ ეფექ-ტი ხელს უწყობს მსხვილ კომპანიების დომინირებას, რამდენადაც თა-ვის ქვეყანაში ნიჭიერი სპეციალისტები ინოვაციური სქმიანობისათვის ყოველთვის არ არიან უზრუნველყოფილნი მისაღები პირობებით.

სასაქონლო ნიშნის დაცვის მექანიზმები საშუალებას აძლევს კომპანიებს შეინარჩუნონ ლიდერობა, აქტიურად ახდენენ კაპიტალის ინვესტირებას ბრენდების შექმნაში და ამით ზრდიან პერიფერიული ქვეყნების კონკურენტი კომპანიების ბაზარზე შეღწევის ზღურბლს (ზღვარს).

მოვიყვანოთ ტრანსნაციონალური კორპორაციის პროდუქტის სა-სიცოცხლო ციკლის ჩამოყალიბების ტიპიური პროცესი.

სქემა 7.4.1

კორპორაციული სტრატეგია ცოდნის ბაზარზე პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე

სასიცოცხლო ციკლის სტადიე-ბი	ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგია
მეცნიერულ-კვლევითი და საც-დელი კონსტრუქტორული სა-მუშაოები	პერიფერიულ ქვეყნებში ტალანტების გადაბირება, ანდა პატენტების შეს-ყიდვა მეცნიერული კვლევითი და საც-დელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ადრეულ სტადიებზე.
პროდუქტის გაყიდვის დაწყება მსხვილ ქვეყნებში	ვაჭრობა პრემიალური ფასებით, წარ-მოება საკუთარ სიმძლავრეზე, კომერ-ციული საიდუმლოების ფრთხილი დაცვა, ბაზრის დაპყრობა და ბრენდის გამაგრება
პროდუქტის გაყიდვა პერსპექ-ტიულ ქვეყნებში	ფასების შემცირება, საკუთარი წარ-მოების გადატანა პერიფერიულ ქვეყ-ნებში
მსოფლიოში მთლიანი გაყიდვა	საწარმოო აქტივების გაყიდვა, ლიცენ-ზიებით ვაჭრობა
მსოფლიოში გაყიდვების ვარ-დნა	ლიცენზიებით ვაჭრობა, აქტივების ამოღება ახალ პროდუქტებში ინვეს-ტიციები

თანამედროვე პირობებში არსებობს ეკონომიკის მთელი რიგი დარგები, რომლებშიც კომპანიის ღირებულებისა და მის მიერ წარმოებული პროდუქტის 90%-ს წარმოადგენს ცოდნა და სხვა არახელშესახები ინტელექტუალური აქტივები, მათ შორის:

1. დაცული აქტივები:

- საპატენტო უფლება (საშუალება, ნივთიერება, მოწყობილობა);
- საავტორო უფლება (ინფორმაციის წარდგენის ფორმა);
- ნოუ-ჰაუ (ეფექტურობის ამაღლების მეთოდები).

2. კომერციულად ფასეული დაუცველი აქტივები:

- ბრენდი (ბაზარზე რეპუტაცია);
- ორგანიზაციული კაპიტალი (ეფექტური ბიზნეს-პროცესები);
- ადამიანური კაპიტალი (კომპეტენციები და კორპორაციული კულტურა).

ტრადიციული ეკონომიკის ჩარჩოებში პატენტი იყო კონკურენტულობის დაცვის ძირათი საშუალება. მატერიალური პროდუქტებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, ასევე ვთქვათ კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი დამზადების საშუალება, ნივთიერება, მასალა რისგანაც არის დამზადებული პროდუქტი, ასევე მისი შიდა მოწყობილობა (აგებულება). ყველა ეს ელემენტები არსებითად ზემოქმედებენ პროდუქტის დახასიათებაზე და მის უნარზე დააკმაყოფილოს საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნილებები.

კომპანიაში იდებოდა მნიშვნელოვანი საშუალებანი რათა შექმნილიყო და დამყარებულიყო მათი კონკურენტული უპირატესობანი. არ არის გასაკვირი, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ჩამოყალიბდა სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ამყარებენ კომპანიის უფლებას მათ მიერ შექმნილ ცოდნაზე პატენტის სახით.

პატენტის დახმარებით კომპანიები საკუთარი დამუშავებების დაცვის გარანტიებს ღებულობენ, ასევე ხორციელდება ინვესტიციების დაცულობაც. ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო განვითარებული სამრეწველო საზოგადოების პირობებში, რომელშიც ახალი პროდუქტის დამუშავება (კვლევები) ძვირი ღირდა, ხოლო მისი კოპირება (სერიული წარმოება ანდა გაყალბება)- შედარებით იაფი.

ინფორმაციული საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ ბაზარზე დაიწყო არა მატერიალური საქონლის კერძოდ ისეთების რო-

გორიცაა ხელოვნების ნიმუშების (ლიტერატურა, მუსიკა, კინოფილმები), ანდა ნაკლებ მასობრივი-ანალიტიკური ანგარიშების, ტექნიკური გამოკვლევებისა და ა.შ. გამოსვლა.

ამ საქონლის ინფორმაციულობის არსი ითვალისწინებდა პირველადი ერთეულების (ეგზემპლარების) შექმნის მაღალ ღირებულებას, ხოლო შემდგე პრაქტიკულად უფასო ტირაჟირებას.

პირველადი ერთეულების შექმნის დანახარჯების ამოღება ხდება კოპირების (მსგავსების) გაყიდვების ხარჯზე, ხოლო თანმიმდევრულად წარმოებაში ფული, ფორმალურად მოაქვს „უფასო" კოპირებას.

მოგების მიღების ასეთი მეთოდი წარმოქმნის მეკობრეობას-არასაქცირებული კოპირებას შემდგომი გადაყიდვისათვის. მეკობრეობისა და პლაგიატობის საწინააღმდეგოდ იქნა შემუშავებული საავტორო უფლებათა დაცვის დებულება, რომელიც გამონაკლის უფლებას ანიჭებდა მფლობელს კოპირებაზე, მაგრამ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე მიმდინარეობს რა შემდგომი ევოლუცია, რომელშიც უკვე არც საპატენტო, არც საავტორო უფლება ვერ უზრუნველყოფს ინვესტორთა ინტერესების დაცვას.

ინტერნეტის, როგორც დისტრიბუციის სწრაფი და მთლიან მომცველი გარემოს გამოჩენით დაიწყო აუდიტორიის ინტერესთა განაწილების პროცესი მაღალკაპიტალიზირებულობის და დაცული საავტორო უფლებებიდან, უფრო მასიურ არაპროფესიულ მოყვარულთა მიერ შექმნილი ინფორმაციულ პროდუქტებზე. მოყვარულები როგორც წესი აქვეყნებენ რა თავიანთ მასალებს არ მისდევენ (არ ეფუძნება) კომერციულ ინტერესებს, მათთვის უფრო მნიშვნელოვანია მათი იდეების პროპაგანდა, ანდა უბრალოდ მონაწილეობა სხვა მოყვარულთა ერთობლივ რომელიმე ახალ ინფორმაციულ პროდუქტის შექმნაში.

„უფასო" ინფორმაციული პროდუქტის მასიური ზრდის მაგალითები, რომლებმაც 2002-2004 წლებში მოიპოვეს პოპულარობა არის ინდივიდუალური ქსელური ბლოგები, რომლებიც წარიმართება ერთი ან რამოდენიმე ავტორით და რომლებშიც ესსე-ს ფორმით კომენტირდება მიმდინარე ამბავი. ავტორები აქვეყნებენ თავიანთ მასალებს ყოველგვარი კომერციული ინტერესების გარეშე და წარადგენენ მათ თავისუფალი ხილვადობით, ჩვენებით.

მიუხედავად ბლოგების რეგულირების ფორმალური უფლების

უქონლობისა. ამ გარემოში არის არაფორმალური წესები, რომელიც ავალდებულებს ციტირებას მასალების ავტორებზე მითითებას. ფაქტიურად ბლოგების დახმარებით ავტორები გამოიმუშავებენ, მოიპოვებენ ინტერნეტში აღიარებასა და ავტორიტეტს. ასევე მოქმედებენ ზოგიერთი მუსიკალური ნაწარმოების ავტორები (მუსიკალური ჯგუფები, სხვადასხვა ინტერნეტ ვიდეო -შოუები და სხვა) ისინი აქვეყნებენ თავიანთ ნაწარმოებებს თავისუფალი მოსმენისათვის ან ჩვენებისათვის, იმ იმედით, რომ მოიპოვებენ აღიარებას და შემდეგ ამ აღიარების „მონეტიზირებას" მოახდენენ სხვა საშუალებებით (ფასიანი გასტროლების და ტელეშოუებში მონაწილეობით და რეკლამებით).

თუ ინტერნეტამდელ ეპოქაში კორპორაციები ფლობდნენ წარმოების ძვირადღირებულ საშუალებებს და აკონტროლებდნენ დისტრიბუციას (სხვადასხვა ქსელებში მუშაობა, საავტორო უფლება) ტექნოლოგიების გაიაფების კვალობაზე ბევრმა მოყვარულმა მიიღო შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩაეწერათ ვიდეო და მუსიკა, გამოეცათ წიგნები, ასევე მასიურად გაევრცელებინათ თავიანთი ნაწარმოებები ინტერნეტის საშუალებით.

სინამდვილეში მსხვილ კორპორაციებს უფრო და უფრო გაუჭირდა კონკურენცია გაუწიოს მცირე, მაგრამ ნიჭიერ კოლექტივებს. ეს ეხება არა მარტო გართობის ინდუსტრიას (ვიდეო, მუსიკა და ა.შ.) არამედ კორპორაციულ ინფორმაციულ, მომსახურებასაც, მაგალითად კონსალტინგს. თუ ადრე კვალიფიციური კონსულტანტებს შეეძლო მიეღოთ მაღალი ანაზღაურება, მხოლოდ მსხვილ ბრენდირებულ კონსალტინგურ კორპორაციებში მუშაობით, ახლა მათ უფრო ადვილად შეუძლიათ მოიპოვონ სახელი- საკუთარი ბრენდი. ბლოგების დახმარებით, აზრიანი პუბლიკაციებით, ამა თუ იმ პროფესიულ საკითხზე ვიწრო სპეციალიზაციით, აგრეთვე მიიპყროს ინტერნეტით ყურადღება და ძვირადღირებული შეკვეთები.

ბოლო წლებში ინდივიდუალური, დამოუკიდებელი კონსულტატის სტატუსი სულ უფრო და უფრო მოდური ხდება.

საერთო ტენდენცია ასეთია, რომ მსხვილ კომპანიებს მათთან ერთად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას სულ უფრო უჭირს შეინარჩუნოს ლიდერობა და მრავალმხრივი განცალკავება ცხოვრების დონეში შედარებით ნაკლებად განვითარებულ კომპანიებთან და ეკო-

ნომიკასთან. მიმდინარეობს უფრო იაფი სამუშაო ძალის ბაზრებიდან კაპიტალის უკუდენა და უფრო „დემოკრატიული“ და უფრო ინფორმაციული მომსახურების მხარეზე. ამავდროულად, ზოგიერთ კორპორაციებს შეუძლიათ ახალ პირობებშიც კი ზრდა. ამ კომპანიებმა დროულად იგრძნეს ცვლილება და თვითონ გავიდნენ უფასო მომსახურების ბაზარზე. აგრეთვე დაიწყეს მუშაობა ახალ დისტრიბუციაზე.

ამ კუთხით უფრო ნათელ მაგალითს წარმოადგენს ინტერნეტ საძიებელი Google ინტერნეტში ინორმაციის მოძიების უფასო მომსახურების გაწევით. ამ უფასო მომსახურების უდიდესმა პოპულარობამ და ხარისხმა მიიპყრო მილიარდიანი აუდიტორია, რომელსაც „Google“ წარმატებით უწევს „მონეტიზირებას“ ქვეტექსტური რეკლამების გაყიდვებით (ფასიანი მომსახურების, რეკლამა, დაკავშირებული საძიებელი მოთხოვნის ტექსტთან, საკმაოდ ხშირად ინტერნეტში ეძებენ სწორედ საქონელსა და მომსახურებას).

ინტერნეტ-ეკონომიკის პირობებში კონკურენციის უფრო ეფექტური სქემა დაკავშირებულია სწორედ უფასო მომსახურების წარდგენასთან, რითაც შეიძლება დიდი აუდიტორიის დაპყრობა და შემდეგ ამ პოპულარობის წარმატების „მონეტიზაცია“ სხვადასხვა საშუალებით (რეკლამით, ფასიანი, უფრო ხარისხიანი ინდივიდუალური მომსახურების წარდგენა, აუდიტორიისათვის შესაძლებლობის წარდგენა საკუთარი მომსახურების გაყიდვისა და გადახდიდან პროცენტის აკრეფა და ა.შ.).

ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს ინტელექტუალური საკუთრების ტრანსფორმაციისაკენ მივყავართ და წარმოქმნიან ინვესტორთა ინტერესების დაცვის სხვა საშუალებების ობიექტურ მოთხოვნილებას. მეორე მხივ წარმოიქმნება ახალი საფრთხეები, კერძოდ საფრთხეები არა საქონლის კოპირებისა, არამედ „იდეისა“ როგორც ვიცით არ ხდება იდეის დაცვა საავტორო უფლებით.

იდეა პროგრამული უზრუნველყოფის პირობებში, მიეკუთვნება ბიზნეს მოდელებს, მომსახურების გაწევის საშუალებას. თანამედროვე პროგრამული საშუალებები საშუალებას იძლევა საკმაოდ სწრაფად მოხდეს წარმატებული საპროგრამო პროექტების კოპირება, კოდის ფიზიკური კოპირების გარეშე.

საკმარისია ჩატარდეს წარმატებული პროდუქტის ანალიზი, გამოიყოს მომხმარებლისათვის მიმზიდველი ძირითადი ელემენტები და შე-

იქმნას ანალოგიური ელემენტების მომცველი პროგრამა ფორმალურად არავითარი სამართლებრივი ნორმები არ ირღვევა, მაგრამ ფაქტიურად ეს პლაგიატის მსგავსია.

პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში სამართლებრივი დაცვის საკითხები საკმაოდ რთულია.

ერთი მხრივ „იდეის“ დაცვა ბაზრის მონოპოლიზაციის მხრივ იხრება, ისინი ვინც პირველმა შეძლო დაეცვა ესა თუ ის საკმაოდ ნათე;ლი ინტერფეისური ანდა პროცესიული გადაწყვეტილება, შეუძლიათ საკმაოდ სერიოზულად შეზღუდონ მეტოქეობის გამწევი პროდუქტის შექმნის თავისუფლება. მეორემხრივ, თუ საუბარი მიდის ხანგძლივ და ძვირადღირებულ კვლევებზე, ინვესტორები დაუცველები აღმოჩნდებიან. კომპანიას შეუძლია რამდენიმე წელი განახორციელოს გამოკვლევები და შეიმუშაოს მომსახურება, რომელსაც შეუძლია მომხმარებელს მოთხოვნა კარგად დაუკმაყოფილოს, მაგრამ შემდეგ რომელიმე მსხვილი კონკურენტი ამ მომსახურების კოპირებას მოახდენს რამოდენიმე თვის პერიოდში-დანახარჯები ინვესტიციაზე აღმოჩნდება ფუჭად დახარჯული.

საყოველთაო კოპირების მაგალითებად გახდნენ სოცილაურიქსელები (აშშიში – Myspace, Facebook და სხვა, რუსეთსა და საქართველოში Одноклассники Мой Круг В Контакте და ა.შ.) ფაქტიურად ორიოდე წელში შეიქმნა ათეულობით სოციალური ქსელი მილიონი აუდიტორიით, ამგვარად ინვესტორთა დაცვის უქონლობა ასევე ხელს უწყობს მონოპოლიებს. იდეათა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „მეკობრეს“ წარმოადგენს კორპორაცია “Microsoft” -ი. მას შემდეგ რაც ის ლიდერობს კორპორაციამ თავისი მონოპოლის შენარჩუნების ძირითად მექანიზმად შეარჩია კონკურენტთა პროდუქტების იდეის კოპირების სტრატეგია, როგორც კი რომელიმე პოტენციური კონკურენტული პროდუქტი დაიწყებს აღიარების მოპოვებას. Microsoft-ი ფლობს საკმაოდ საშუალებებს, ახდენს იდეის კოპირებას და უშვებს ანალოგიურ პროდუქტს საკუთარი ბრენდით. აქვს რა დაწინაურებისა და დისტრიბუციის უკეთესი შესაძლებლობები საკუთარი პროდქტის უფრო გვიან გამოსვლის მიუხედავაც კი კორპორაცია იპყრობს პერსპექტიული ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს.

ასეთ პოლიტიკას ფორმალურად Microsoft ხსნის მომხმარებელზე

ზრუნვით, მაგრამ სინამდვილეში Microsoft-თან კონკურენციის პერსპექტივა აშინებს ბევრ ინვესტორს და ნამდვილად ბევრი საინტერესო იდეა ვერ ღებულობს დაფინანსებას.

მიმდინარეობს ტრადიციული მასალების ინტელექტუალური პროდუქტებისა და თანამედროვე ინფორმაციული მომსახურების ბაზარზე კონკურენციის სტრატეგიის ტრანსფორმაცია.

სქემა 7.4.2

კონკურენციის სტრატეგია მასალების ტრადიციულ, ინტელექტუალური პროდუქტებისა და ინფორმციული მომსახურების თანამედოვე ბაზარზე

მატერიალური პროდუქტის მოდელი	პროგრამული პროდუქტის მოდელი	დისტრიბუციის მოდელი
გამოკვლევა	გამოკვლევა	გამოკვლევა
გამოცდა	ტესტირება	ტესტირება
პატენტით დაცვა	საავტორო უფლებით დაცვა	ბაზარზე პროდუქტის გამოსვლა
ბაზარზე პროდუქტის გამოსვლა	ბაზარზე პროდუქტის გამოსვლა	აუდიტორიის დაპყრობა და ბრენდის შექმნა
ლიცენზიების გაყიდვა	ლიცენზიების გაყიდვა	მომხმარებლისათვის დამატებითი მომსახურების მიყიდვა

ანალოგიური პოლიტიკა უფრო გლობალური კუთხით ხორციელდება აშშ-ში. ფინანსებზე კონტროლი ტრანსნაციონალურ კორპორაციებს საშუალებას აძლევს ამერიკული კაპიტალით შეისყიდოს პერსპექტიულ ტექნოლოგიათა უმრავლესობა, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსნაციონალური კორპორაციების სტაბილურ ლიდერულ მდგომარეობას, ასევე შეიქმნა ფინანსური მექანიზმები, რომლებიც პრაქტიკულად განუსაზღვრელად უზრუნველყოფენ ინოვაციური ეკონომიკის ფინანსირებას.

ტექნოლოგიათა გაცვლის სფეროში ჩართულია ადამიანთა მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვანი ფორმები (მეცნიერება, ტექნიკა, წარმოება, მართვა) – ბუნების შეცნობის თეორიული კანონზომიერებები-

დან (მეცნიერება), მისი გარდაქმნის გამოცდილებიდან (ტექნიკა), მატერიალურ საშუალებათა და სიკეთეთა შექმნიდან (წარმოება), საწარმოო და სხვა ამოცანათა გადაწყვეტისას რაციონალური მოქმედების საშუალებების სრულყოფით (მართვა).

ამასთანავე, გაცვლაში ერთდროულად შეიძლება ჩართული იქნას ადამიანთა მოღვაწეობის როგორც ყველა ზემოთ აღნისნული ოთხი ფორმა, ასევე მათი ნებისმიერი შეთავსება.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიდან თუ გამოვყობთ საინედლეულო და სასურსათო საქონელთა გაცვლას, რომლებიც ასე თუ ისე განისაზღვრება გეოგრაფიულ, კლიმატური პირობებით და სასარგებლო წიაღისეულის არსებობით, მაშინ დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკებს შორის კავშირის დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს შრომის საერთაშორისო დანაწილების შედეგს, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა სახის ტექნოლოგიათა არათანაბარ განვითარებას, რომლის დონე განსაზღვრავს ბაზარზე საქონლის კონკურენტუნარიანობას, მათ ხარისხს, თვითღირებულებას, აქედან გამომდინარე კი რეალიზაციის შედეგად მოგების მიღებას.

საერთაშორისო ეკონომიკური გაცვლის, თუ გამოვრიცხავთ ფართო მოხმარების საგნებს დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს ტექნოლოგიებით ან „წმინდა სახით“ - ცოდნის, გამოცდილებისა და მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სახით გაცვლას, ანდა მასალებში, მანქანებსა და მოწყობილობებში „განივთებული“სახით გაცვლას.

ეკონომიკათა შორის კავშირების ეს ნაწილი-წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის ამაღლებაა, ხოლო მეორე მხრივ მოგების მიღება.

მსოფლიო ბაზარზე ტექნოლოგიათა რეალიზაციის ფორმები სხვადასხვა. საერთაშორისო კოდექსით ტექნოლოგიათა გადაცემის სფეროში ფორმულირებულ გადაწყვეტილებათა შორის ძირითადია:

1. სამრეწველო საკუთრების ყველა ფორმის გადაცემა, გაყიდვა ანდა ლიცენზიით მიცემა- სალიცენზიო შეთანხმება ე.ი. შიდა სავაჭრო გარიგება რომლის მიხედვით ერთ-ერთი მხარე (ლიცენზიარი) გადასცემს მეორე მხარეს (ლიცენზიტს) ნებართვას ლიცენზიის ობიექტის გამოყენებაზე.

სალიცენზიო შეთანხმებების გამოჩენამ საპატენტო უფლება განი-

ხილა, როგორც განსაკუთრებული გამოყენების უფლება. თანამედროვე სალიცენზიო შეთანხმებები მოიცავს არა მარტო ლიცენზიის უფლებას გამოგონების გამოყენებაზე, არამედ ითვალისწინებენ მასზე ლიცენზიარის ცოდნის, ტენიკური გამოცდილების, წარმოების საიდუმლოებებისა და ა.შ. გადაცემას, რომელიც აუცილებელია ლიცენზიის საგნის პრაქტიკული ათვისებისათვის.

ამრიგად ლიცენზირება ტექნოლოგიებით ვაჭრობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. ლიცენზია აძლევს უფლებას ცალკეულ პირებს და ორგანიზაციებს გამოიყენონ გამოგონება, რომელიც დაცულია პატენტით, ტექნიკური ცოდნა, წარმოების ტექნოლოგიური საკონსტრუქტორო საიდუმლოებები, სასაქონლო ნიშანი და სხვა.

გამოგონებაზე უფლების გაფორმება ხდება საავტორო მოწმობის ანუ პატენტის გაცემით. პატენტი ეს არის დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს ავტორის უფლებას გამოგონებაზე.

7.5. ინოვაციები საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

საინოვაციო საქმიანობა წარმოადგენს ქვეყნის განვითარების იმ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის წარმატებულმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა და ბაზრის შევსება საკუთარი წარმოების სხვადასხვა სახის კონკურენტუნარიანი პროდუქტით.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის ის საწარმო თუ ფირმა, რომელიც თავის საქმიანობას აგებს უპირატესად ინოვაციური პოლიტიკის საფუძველზე. ამიტომ, საქართველოს სინამდვილეში არსებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის ზრდისა და ქვეყნის პერსპექტიული განვითარების უზრუნველსაყოფად ინოვაციური საქმიანობის განვითარება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა ჩაითვალოს. ამისათვის სათანადო საკადრო, მატერიალურ-ტექნიკურ და ინფორმაციულ პოტენციალთან ერთად აუცილებელ პირობას წარმოადგენს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება, ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირების სრულყოფა და ინოვაციათა ბიზნესის განვითარება.

საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციური საქმიანობა დღეისათვის შედარებით დაბალ დონეზეა, რაც ძირითადად დაკავშირებულია საწარმოებში საკუთარი საშუალებებისა და მოზიდული სახსრების სიმცირესთან, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო წყაროების დაფინანსების უკმარისობასთან და სხვა. საქართველო დაადგა რა საბაზრო რეფორმების გზას, სამწუხაროდ საინოვაციო სფეროს ახალ პირობებში მუშაობისათვის იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა, რადგან არ არსებობდა ამ საქმიანობისათვის სათანადო გამოცდილება და შესაბამისი სტრუქტურები. ბაზრის ფორმირების პროცესსა და მოთხოვნილებებს ჩამორჩება ინოვაციური პროდუქციის წარმოება. არსებობენ სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემები, არ არის შექმნილი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის ბაზარი და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურა (სპეციალური ბანკები, ინოვაციური ფონდები, კონსალტინგური, ლიზინგური, ვენჩურული ფირმები, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკები და სხვა) არსებული, სირთულეების დასაძლევად აუცილებელია ინივაციური პოლიტიკის განვითარების კუთხით განვითარებული ქვეყნების გამოცდილების მიზანმიმართული შესწავლა და გამოყენება ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით. ეს ხელს შეუწყობს საინოვაციო სფეროს გააქტიურებას.

საქართველოში ამ ეტაპზე, წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი კონკურენტუნარიანობა, შედარებით განვითარებულია გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირ მიბმულია საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციების დაბალი დონე.

ქვეყანაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არადამაკმაყოფილებელია. დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსში 2013 წელს საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში საქართველოს 44-ე ადგილი უკავია 131 ქვეყანას შორის. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2013-2014 წლის მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის პოზიციებს იკავებს:

- ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი 118-ე ადგილი;
- კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე 128-ე ადგილი.

დაბალია, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები:

- უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა მე-100 ადგილი;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ-117 ადგილი;

არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისათვის. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონემნტით 124-ე ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, მოსახლეობის მიერ კომუნიკაციის ამ საშუალების გამოყენების დონე კვლავ არადამაკმაყოფილებელია. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის, უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერისა და დანერგვის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება. ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისათვის, საქართველოს მთავრობამ უნდა წაახალისოს ისეთი პირდაპირი და უცხოური ინვესტიციების შემოდინება, რომელიც მიმართული იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს მთავრობა 1994 წლიდან ერთობლივად თანამშრომლობენ ქვეყნის განვითარების პროგრამაზე, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელდა 40 მლნ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების პროექტები და დღესაც გრძელდება პროგრამების მისადაგება ქვეყნის საჭიროებასთან. ერთ-ერთ ძირითად სფეროს წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის სისტემის განვი-

თარება, განმტკიცება და მდგრადობა, რასაც UNDP თავისი რესურსების ყველაზე დიდ ნაწილს 73% ახმარს. ეს მიმართულება გულისხმობს ხელისუფლების მხარდაჭერას სახელმწიფო მართვის, მენეჯმენტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში სხვადასხვა სექტორული თუ რეგიონული პროექტების ფარგლებში. 2001 წლიდან ფინანსთა სამინისტროში განხორციელდა „საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზების“ პროექტი, რომლის მიზანია მენეჯმენტის პროცედურებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სრულყოფით, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ხელი შეუწყოს საფინანსო- საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზების პროცესს და მთლიანობაში ქვეყნის საფინანსო სისტემის სრულყოფასა და ეფექტიანობას. 2004 წლიდან დაიწყო „საქართველოსათვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამის შემუშავება“.

საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა, მოახდინოს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია. ევროინტეგრაციის პროცესის შემდგომი განვითარების საწინდარს წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სისტემის გარდაქმნა. ცოდნა თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი რესურსია. ცოდნის შექმნა, შენარჩუნება და გადაცემა, რაც მხოლოდ სწავლისა და კვლევის ერთიანობითაა შესაძლებელი უმაღლესი განათლების უპირველესი მოვალეობაა. საქართველოს შემდგომი განვითარების მიზნისათვის არაერთხელ დაფიქსირდა სწავლებისა და კვლევების ერთიანობის მნიშვნელობა და აუცილებლობა. კვლევაზე დაფუძნებული განათლების მეშვეობით ჩვენ უზრუნველყოფთ მაღალი დონის უნარებსა და ინოვაციურ აზროვნებას, რაც სჭირდება თანამედროვე საზოგადოებას და რაზეც მომავალი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებაა დამოკიდებული.

საქართველო არის უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის წევრი, ასევე მონაწილეობს კვლევის ევროპულ სივრცეში და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ღირსეული ადგილის დამკვიდრება საერთო ევროპულ სივრცეში. ამ კუთხით საინტერესოა წარმატებული ევროპული ქვეყნების მაგალითის განხილვა, კერძოდ დანახარჯები მეცნიერებასა და განვითარებაზე პროცენტებში მთლიან შიდა პროდუქტში.

ცხრილი 7.5.1

დანახარჯები მეცნიერებასა და განვითარებაზე %-ში მშპ-თან

ქვეყანა/თარიღი	2008	2009	2010	2011	2020
ევროკავშირი (27 ქვეყანა)	1,92	2,01	2	2,03	3
გერმანია	2,69	2,82	2,8	2,84	3
ესტონეთი	1,28	1,43	1,63	2,38	3
ლატვია	0,62	0,46	0,6	0,7	1,5
ლიტვა	0,8	0,84	0,8	0,92	1,9
გაერთიანებული სამეფო	1,75	1,82	1,77	1,75	

წყარო ევროპა 2020
http:// epp. Eurostat. Ec. Europa. Eu/ portal europa gogo indicators headine indicators

მეცნიერ რ. ფატხტდინოვის გათვლებით ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში დანახარჯების ხვედრითი წილი მშპ-ს მიმართ მეცნიერებასა და სამეცნიერო კვლევებზე 3-7%-ს მიაღწევს, რაც საგრძნობლად დააჩქარებს ინტელექტუალური ეკონომიკის ჩამოყალიბება-დამკვიდრების პროცესს.[1]

საქართველოს მეცნიერების, თექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მართვა რეგულირდება შემდეგი კანონებით: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათ განვითარების შესახებ საქართველოს კანონი, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონი, გრანტების შესახებ საქართველოს

[1] Р. А. Фатхтдинов. Иновационный менеджмент М,2005 с.18

კანონი და განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი. პროფესიული განათლების სფერო რეგულირდება პარლამენტის მიერ 2007 წელს მიღებული კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ტექნიოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარება რისკის ქვეშ დადგა არსებული სისტემის დაშლისა და მეცნიერების მართვის ახალი სისტემის შენელებული განვითარების გამო. 1993 წლიდან გაფორმდა სამთავრობო ხელშეკრულებები აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის, რომლის ფარგლებშიც შექმნილი სპეციალიზებული ფონდების დაფინანსებით განხორციელდა ასობით მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროგრამა და კვლევითი პროექტი.

საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორში ბოლო წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. სამოცდათადამდე სამეცნიერო-კლევითი ინსტიტუტი 2010-2011 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ძირითადად ინტეგრირებულნი არიან ხუთ უნივერსიტეტში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი).

კვლევების ხელშეწყობის მიზნით 2010 წელს დაარსდა სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც კონკურსის საფუძველზე გასცემს გრანტებს მეცნიერების ყველა დარგში, მცირე მაშტაბიანი კვლევების ჩატარებისათვის. 2014 წელს, საერთაშორისო ორგანიზაციის (USAID) დახმარებით ჩატარდა მეცნიერების აუდიტი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეაფასა კვლევითი ინსტიტუტები და გაზარდა კვლევის დაფინანსება გრძელვადიანი სამეცნიერო პროექტებისათვის. 2015 წლის იანვრიდან, მკვლევარების ხელფასები სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებსა და ცენტრებში საშუალოდ ორნახევარჯერ გაიზარდა. 2014 წელს დაარსდა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც ხელს უწყობს ტექნოლოგიების ტრანსფერსა და კვლევის კომერციალიზაციას, ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტექნოლოგიური პარკები, ბიზნესის ინკუბატორები და სხვა).

მნიშვნელოვანია საქართველოს ჩართულობა ევროკავშირის კვლევით პროგრამებში. 2016 წლიდან საქართველო ასოცირებულია ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების მერვე ჩარჩო პროგრამაში (HORIZON 2020) 77 მილიარდიანი ფონდით, რაც აჩენს დამატებით პოტენციალსა და შესაძლებლობებს STI სისტემის განვითარებისათვის. 2016 წელს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის სახელმწიფო დაფინანსება შეადგენდა 72 მილიონ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 0,3 პროცენტია დამატებითი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების გრანტები და ევროკავშირის მიზნობრივი პროგრამები.

საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 170-დე უცხოენოვანი პროგრამა მოქმედებს, სადაც 10 000-დე უცხოელი სტუდენტი სწავლობს. მიმდინარეობს ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განვითარება და კურიკულუმის შემუშავება მიუხენის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რაც გახდება წარმატების საფუძველი არამხოლოდ ეროვნულ, არამედ რეგიონულ დონეზე. 2013 წლიდან სახელმწიფო დანახარჯი უმაღლეს განათლებაზე გაორმაგდა და 2017 წელს 137 მილიონი ლარი შეადგინა. 2013 წლიდან დაახლობით 60 მილიონი გამოიყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. საქართველო გლობალური ინოვაციის ინდექსის მიხედვით 68-ე ადგილს იკავებს 127 შეფასებულ ქვეყნიდან.

თავი VIII

კონკურენტუნარიანობა და მისი კომპლექსური შეფასება

8.1. კონკურენცია როგორც ეკონომიკური კატეგორია

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებები მოითხოვენ, როგორც მსოფლიო საზოგადოების, ასევე ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი მიდგომების ფორმირებას. თანამედროვე პირობებში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს პოლიტიკური პრიორიტეტი მდგომარეობს ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

კონკურენცია ეკონომიკური კატეგორიაა. იგი ასახავს ბრძოლას კერძო მწარმოებლებს შორის, საქონლის წარმოების საუკეთესო პირობების შესაქმნელად. კონკურენცია წარმოსდგება ლათინურიდან და ნიშნავს ადამიანთა შორის მეტოქეობას, მიზნის მისაღწევად.

კონკურენციულ ბრძოლაში იკვეთება ახალი მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობას რიგი თავისებურებები ახასიათებს. კერძოდ:

კაპიტალის, ტექნოლოგიების, შრომითი და საინფორმაციო რესურსების მიგრაციის შედეგად წარმოების ფაქტორთა გადაადგილებისა და გამოყენების სერთაშორისო ხასიათი.

ქვეყნებს შორის საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობისა და წარმოების ფაქტორთა გადაადგილების მხარდამჭერი საერთაშორისო სისტემის აქტიურად ფორმირება.

ცალკეულ სახელმწიფოებში და რეგიონულ საერთაშორისო დაჯგუფებაში ღია საბაზრო ეკონომიკის სპეციალური სფეროს (თავისუფალი, ეკონომიკური და ოფშორული ზონები და სხვა) აქტიურად შექმნა და სხვა.

მსოფლიო ეკონომიკა სხვადასხვა ქვეყნების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ეროვნული ეკონომიკათა ერთობლიობაა და არა უბრალო ჯამი.

კონკურენციის გარეშე შეუძლებელია პროგრესი ეკონომიკასა და სახელმწიფოთა განვითარებაში. ვინაიდან კონკურენცია განვითარების მთავარი მოტივია. კაცობრიობის წინაშე ყოველთვის იდგა არა კონკურენციის უგულებელყოფის, არამედ მისი ცივილიზებულ, ადამიანურ საზღვრებში მოქცევის პრობლემა. ადამიანი კონკურენციის ფენომენს აიძულებს იმუშაოს საზოგადოების სასიკეთოდ. ვინაიდან კონკურენცია კეთილდღეობის მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. თუ ეკონომიკური სისტემა არ ეფუძნება კონკურენციას მისი არსებობა ხანმოკლეა. მთავარი რამაც შეუნარჩუნა საბაზრო ეკონომიკას სიცოცხლისუნარიანობა და მიაღწევინა გრანდიოზულ წარმატებებს არის კონკურენცია. ესაა ბუნებიდან გადმოღებული ფენომენი, რომლის მთავარი პრინციპია – იმარჯვებს საუკეთესო. კონკურენცია არის ბაზრის სული და მამოძრავებელი ძალა, რაც უფრო ჯანსაღია კონკურენცია მით უფრო ეფექტურად ვითარდება ეკონომიკა.

1. გ.ჯოლია „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბ. 2008 გვ.19.

კონკურენციასა და ეკონომიკურ ეფექტურობას შორის პირდაპირ-პროპორციული კავშირია. პირიქით, თუ სუსტია კონკურენცია, ეკონომიკა განუვითარებელია.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლება პირველ რიგში მიიღწევა, ქვეყანაში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების გზით.

ამ პრობლემისადმი სისტემური მიდგომა შემდეგში მდგომარეობს: კონკურენტული გარემოს მუდმივად უზრუნველყოფა, მონოპოლიური ურთიერთობების მიზეზებისა და ფორმების განსაზღვრა, ანტიმონოპოლიური სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. თუმცა საქართველოში ამა თუ იმ ბაზარზე კონკურენტების შესვლა მნიშვნელოვან ბარიერს აწყდება. ჩვენს სინამდვილეში ასეთი ბარიერები შეიძლება იყოს: ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბარიერები, მოთხოვნის შემზღუდველი წესები, საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობით გამოწვეული ბარიერები, ბუნებრივი რესურსების იშვიათობით და გარემოს დაცვის აუცილებლობით გამოწვეული ბარიერები, კრიმინალური ხასიათის ბარიერები.

საქართველოს საგარეო და პოლიტიკური საქმიანობის წარმატება

დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეფექტიანი ეკონომიკური კავშირების დამყარება, ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა).

წინა პერიოდში გეოპოლიტიკური დაპირისპირება ძირითადად წარმოიქმნებოდა ფიზიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ ერთეულებსა და მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. სამხედრო იდეოლოგიური კონფროტაციის სახით. თანამედროვე პირობებში ბრძოლა გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის, პირველ რიგში, მიმდინარეობს პოლიტიკურ-ეკონომიკური საშუალებებით.

8.2. გლობალიზაცია და კონკურენცია

მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია 80-იანი წლების დასაწყისში შევიდა გლობალიზაციის სტადიაში.

ტერმინი „გლობალიზაცია“ ჩვეულებრივ გამოიყენება ბაზრების ფინანსური სისტემის, კონკურენციის და კორპორაციული სტრატეგიის მიმართ. ზოგადად გლობალიზაცია ახასიათებს მსოფლიოში მიმდინარე ინტერნაციონალიზაციის პროცესებს.

მსოფლიოში აღიარებულია, რომ გლობალიზაციის პროცესს საფუძვლად უდევს ორი ძირითადი მიზეზი. პირველი დაკავშირებულია დარეგულირების პოლიტიკის გავრცელებასთან, ხოლო მეორე ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წარმოშობასთან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში. დარეგულირების პოლიტიკაში იგულისხმება ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეკონომიკური ლიბერალიზაციის სხვა ფორმები. აღნიშნულის შედეგად მცირდება ტარიფები, ქრება საქონლისა და მომსახურების ვაჭრობაში არსებული ბარიერები. დარეგულირება სტიმულირდება სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციით, მონოპოლიების ლიკვიდაციით.

გლობალიზაციის წინაპირობა შეიძლება იყოს საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ვაჭრობის სისტემის მიმართ ერთიანი გლობალური აზროვნების მიღწევა, კულტურული განვითარების თავისებუ-

რებები, რომლებშიც იგულისხმება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, ხელოვნების, პოპკულტურის და სხვა სფეროების გლობალიზირებული ერთგვაროვანი საშუალებების ფორმირების ტენდენციები.

გლობალიზაცია, ერთი მხრივ, არის მიკრო ეკონომიკური ფენომენი და მოძრაობაში მიდის ორი ძირითადი საშუალებით: სტრატეგიითა და ფირმის ქცევით. მეორე მხრივ, გლობალიზაცია ხელს უწყობს საერთაშორისო საზოგადოებრივი ინიციატივების განვითარებას. მსოფლიო ბაზარზე არსებული კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა როგორც ფირმებს ასევე რეგიონებსა და ქვეყნებს შორის, ეყრდნობა აღნიშნულ ძალებს და სამეცნიერო-პრაქტიკული დისკუსიების ცენტრში იმყოფება.

გლობალიზაციის პროცესში წარმოიშობა კონკურენციის მიმართ არსებული მდგომარეობის გლობალური ცვლილებები, იქნება საერთაშორისო კონკურენციის ახალი ფორმები, კერძოდ კი გლობალური კონკურენცია, რომელიც, თავის მხრივ წარმოშობს გლობალური კონკურენტუნარიანობის კონცეფციას, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სპეციალიზებული სამრეწველო, ტექნოლოგიური, ფინანსური, კომერციული, ადმინისტრაციული და კულტურული შესაძლებლობების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ურთიერთობის სინერგიულ ეფექტზე. გლობალური კონკურეცია ხელს უწყობს ახალი ტიპის კორპორაციული ორგანიზაციის წარმოშობას. გლობალური ფირმებისათვის სხვადასხვა ქვეყნების ბაზარი ერთიანი ხდება. გლობალური ფირმები გამოიყენებენ წარმოებისა და მართვის ერთსა და იმავე ტექნოლოგიებს, აწარმოებენ და ყიდიან ერთსა და იმავე საქონელსა და მომსახურებას.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობები მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ რეგულირებაში საკმაოდ შეზღუდულია. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კონკურენციის ლოგიკაზე აგებული საერთო-საფირმო ურთიერთობები. მიკროეკონომიკის დონეზე გლობალიზაციის შედეგი შეიძლება იყოს მსხვილ ფირმებს შორის, კონკურენციის მკვეთრი ზრდა, რაც თავის მხრივ აფიქსირებს კონკურენტუნარიანობის კონცეფციის მნიშვნელობას განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებისათვის.

ბოლო ათი წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა კონკურენტუნარიანობის პრობლემის მიმართ ინტერესი, რაც ნაწილობრივ აიხსნება იმ გარემოებით, რომ ყველა ქვეყანამ უნადა გაითვალისწინოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მზარდი სტანდარტები. ყოველივე ეს კი გლობალიზაციის პროცესის შედეგია, გლობალიზაცია აიძულებს ყველა ქვეყანას უკეთ გამოიყენონ საკუთარი რესურსები და კონკურენციული უპირატესობები.

ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორის მ. პორტერის აზრით, კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ცალკეული კომპანიების, ეკონომიკის დარგების, რეგიონების, ერების ან მეზობელი ქვეყნების ჯგუფების უნარს, მიაღწიონ შემოსავლების მიღებისა და დასაქმების მაღალ დონეს საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. ეს მიდგომა ხელსაყრელია რეგიონების, სახელმწიფოების ან ქვეყნების ჯგუფებისათვის, იმ მიზეზით, რომ შეესაბამება აღნიშნული ერთეულების მთავარ მიზანს, კერძოდ ცხოვრების დონის ამაღლებასა და შენარჩუნებას.

8.3. კონკურენტუნარიანობის კონცეფცია

80-იანი წლების ბოლოს ამერიკელი ექსპერტის ე. ლიუტტვაკის მიერ შემოღებული იქნა ტერმინი „გეოეკონომიკა", რომელიც სწავლობს მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭირო პოლიტიკასა და სტრატეგიას. ლიუტტვაკის აზრით, გეოპოლიტიკურ კონფლიქტებს ცვლის გეოეკონომიკური კონფლიქტები: გეოეკონომიკა სწავლობს ქვეყნის სტრატეგიის ანალიზსა და ეროვნული კონკურენტუნარიანობის განვითარების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებს. გეოეკონომიკა იკვლევს კავშირს ძალაუფლებასა და სივრცეს შორის, ეს არის „ვირტუალური" სივრცე, რომელიც თავისუფალია ტერიტორიული საზღვრებისა და ფიზიკური მახასიათებლებისაგან, რაც დამახასიათებელია გეოპოლიტიკისათვის.

გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკას შორის მთავარი განსხვავება არის ტექნოლოგიური და კომერციული პირველობა და არა რეგიონის კონტროლი.

თანამედროვე პირობებში, როცა ინტენსიურად იზრდება კონკურენციის მნიშვნელობა, საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის ტრადიციული მეთოდების გამოყენება წარმოქმნილი პრობლემების

გადასაწყვეტად არასაკმარისია. ცალკეული ქვეყნის მიდგომა კონკურენტუნარიანობის მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდებსა და საშუალებებს იყენებს ესა თუ ის ქვეყანა ახალ პირობებში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების დროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად შეესაბამება მიღებული ეკონომიკური შედეგი ქვეყნის სამეცნიერო -ტექნოლოგიურ პოტენციალს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა დაფუძნებულია შედარებითი უპირატესობის თეორიაზე. კონკურენტუნარიანობის კონცეფცია არის წარმატებული კონცეპტუალური სტრუქტურა კორპორაციული კონკურენტუნარიანობასა და ეროვნულ ეკონომიკას შორის არსებული კავშირის გასარკვევად ეკონომიკის მზრდი გლობალიზაციის პირობებში.

ტერმინი „კონკურენტუნარიანობა“ გამოიყენება ფირმების მრეწველობის დარგების, რეგიონების, სახელმწიფოების და ქვეყნების ჯგუფების მიმართ, ხოლო მიკროეკონომიკის დონეზე, თანამედროვე კონკურენციის პირობებში ბაზარზე მოქმედი ფირმენის მიმართ აღნიშნული კონცეფცია კარგად არის ჩამოყალიბებული. კონკურენტუნარიანობის ერთი და იმავე კონცეფციისა და კვლევის მეთოდების გამოყენება როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე შეუძლებელია.

8.4. რეგიონული კონკურენტუნარიანობა და მისი შეფასების კრიტერიუმები

რეგიონული კონკურენტუნარიანობის კვლევისას გადასაწყვეტია შემდეგი ამოცანები: გლობალიზაციის პროცესის მიზნებისა და მამოძრავებელი ძალების ანალიზი; კონკურენტუნარიანობის არსის განსაზღვრა ტერიტორიულ ერთეულებთან მიმართებაში. რეგიონული კონკურენტუნარიანობის შესწვლის სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების, კერძოდ აღნიშნულის გეოეკონომიკური ხედვა, კლასტერების კონცეფციის თეორიული საფუძვლების შემუშავება და მათი როლი რეგიონულ კონკურენტუნარიანობაში. კლასტერი ანუ სამრეწველო ჯგუფი არის გეოგრაფიული ნიშნებით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების და მათთან დაკავშირებული ორგნიზა-

ციების ჯგუფი, რომელიც მოქმედებს განსაზღვრულ სფეროში და ხასიათდება ერთიანი, ურთიერთშემავსებელი საქმოანობით.

რეგიონული კონკურენტუნარიანობა თავისი არსით არის ტერიტორიული ერთეულის კონკურენტუნარიანობა, რომელსაც აქვს განსაზღვრული პოლიტიკურ-ეკონომიკური საზღვრები და აფიქსირებს აღნიშნულის განსხვავებას სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების კონკურენტუნარიანობასთან შედარებით.

თანამედროვე პრაქტიკაში ნაკლებად არის შესწავლილი რეგიონული კონკურენტუნარიანობის მექანიზმი და კლასტერების როლი რეგიონულ კონკურენტუნარიანობაში. კლასტერების განხილვა უნდა მოხდეს სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომების მიხედვით: ინოვაციური პროცესი, სოციალური კაპიტალი და ეკონომიკური გეოგრაფია.

კლასტერის გეოგრაფიული მაშტაბები შეიძლება იცვლებოდეს ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის ან მეზობელი ქვეყნების მიხედვით. კლასტერი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფორმით: მზა პროდუქციის მწარმოებელი ან მომსახურებით დაკავებული კომპანიები, ფინანსური ინსტიტუტები და სხვა.

ბოლო პერიოდში მიმდინარე ეკონომიკურ კვლევებში,, როგორც ფირმის, ისე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უშუალოდ დამოკიდებულია ინოვაციური პროცესის შესწავლაზე. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს კლასტერში სოციალური კაპიტალის დიდი მნიშვნელობაც. სოციალური კაპიტალი ადამიანური კაპიტალის სხვა ფორმებისაგან განსხვავებიტ იქმნება და ხდება მისი გადაცემა კულტურის ისეთი მექანიზმებით როგორიცაა რელიგია, ტრადიციები და სხვა წეს-ჩვეულებები. სოციალური კაპიტალი არათანაბრად არის განაწილებული სხვადასხვა საზოგადოებებსა და ტერიტორიებს შორის. სოციალური კაპიტალი ერთმანეთთან აახლოებს კლასტერის მონაწილეებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქონლისა და მომსახურების შექმნის პროცესში.

როგორც წესი ლიტერატურაში გამოყოფენ კონკურენტუნარიანობის შეფასების სამ დონეს. მიკრო დონეზე კონკურენტუნარიანობის შეფასების ობიექტად წარმოდგენილია ფირმები და საქონელი. მეზო დონეზე – დარგები და კომპლექსები, ხოლო მაკრო დონეზე – ქვეყნები. სხვადასხვა დონის ობიექტების კონკურენტუნარიანობის შეფასება

ერთმანეთთან არის დაკავშირებული, უფრო მეტიც დამოკიდებულია ერთმანეთზე, რაზეც მრავალი მკვლევარი მიუთითებს.

ამას გარდა, უნდა გამოვყოთ ორი განსხვავებული მიდგომა: რეგიონი როგორც გარემო, რომელიც გავლენას ახდენს ფირმების კონკურენტუნარიანობაზე და რეგიონის, როგორც კონკურენციის სუბიექტების კონკურენტუნარიანობა, შევჩერდეთ ამ საკითხებზე.

მ. პორტერის წიგნში „საერთაშორისო კონკურენცია" (1993) რეგიონი განხილულია, როგორც ფირმის კონკურენტუნარიანობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გარემო. რეგიონი, როგორც გარემო, რომელიც განაპირობებს ფირმების კონკურენტუნარიანობას, მოცემულია პორტერის რომბის სახით. ეს არის ადგილობრივი ფაქტორების ერთობლიობა, რომელთა შორის მთავარია: მომთხოვნი მომხმარებლები, ძლიერი კონკურენტები, ძლიერი ნედლეულის მომწოდებლები და დამხმარე დარგების კომპლექსები. ეს ერთობლიობა „სამრეწველო კლასტერის" ცნებაში ინტეგრირდება რომელიც თავის მხრივ გვაძლევს, ურთიერთქმედების სინერგიას და აყალიბებს კონკურენტუნარიან ფორმებს. ამრიგად, რეგიონის კონკურენციული გარემო გავლენას ახდენს რეგიონის საწარმოო ობიექტების კონკურენტუნარიანობაზე.

რეგიონის კონკურენტუნარიანობა ნიშნავს რეგიონის უნარს გამოავლინოს, შექმნას, გამოიყენოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა სხვა რეგიონების მიმართ.

რეგიონის კონკურენტული უპირატესობა- ეს არის აღნიშნული რეგიონის შედარებით უფრო მომგებიანი პოზიცია სხვა რეგიონების მიმართ. რეგიონის კონკურენტული პოზიციები- ესაა რეგიონის გამოკვეთილი, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონული მიზნობრივი ბაზრების ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებებს.

რეგიონის კონკურენტული პოზიციები დამოკიდებულია კონკურენტული რესურსების არსებობასა და მათ გამოყენებაზე. კონკურენტული რესურსები მატერიალური და არამატერიალური ელემენტების ერთობლიობაა, რომლებსაც გააჩნიათ საბაზრო ღირებულება, ან განაპირობებენ პოტენციური მომხმარებლების ინტერესს რეგიონისადმი, ზრდიან რეგიონის სხვა ელემენტებზე მოთხოვნას, შეიძლება გამოყენებული იქნან რეგიონის კონკურენტული უპირატესობის შესაქმნე-

ლად და კონკურენტული წარმატების მისაღწევად. და ბოლოს კონკურენტული წარმატება განისაზღვრება რეგიონის მიერ სამიზნე ბაზრების „მომხმარებელთა“ და საჭირო რესურსების მიზიდვით, ამის საფუძველზე, საქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლებით.

მაშასადამე, რეგიონის კონკურენტუნარიანობა გვიჩვენებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ ურთიერთობების ერთობლიობას, სხვა რეგიონებთან მიმართებაში.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმის არსის განსაზღვრა მოგვცეს დ. საქსმა, ა. ხარტმა, ს. კოენმა, ჯ. გარელილიმ. ისინი გვევლინებიან ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კვლევების ფუძემდებლებად. მათ მიდგომაში საერთო არის ის, რომ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა განხილულია საზოგადოებრივი პროგრესის პოზიტიური შედეგების მიღწევის კუთხით.

ეკონომიკისა და საზოგადოების პროგრესის უტყუარ კრიტერიუმად ყველგან მიჩნეულია ეკონომიკური და კეთილდღეობის ზრდა, მათი მდგრადი პოზიტიური დინამიკა, ხოლო კონკურენცია საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში – წარმოადგენს საბაზრო ძალების ერთ-ერთ ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას და აქედან გამომდინარე წარმოადგენს ეკონომიკური პროგრესის წინაპირობას. ამიტომაც, ნაციონალური ეკონომიკის ეფექტიანობის კრიტერიუმის კონცეპტუალური შინაარსი შეიძლება ავიღოთ, როგორც საფუძველი, რეგიონის, როგორც ეკონომიკური სუბიექტის კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმის აგებისა, რომელსაც საკუთარი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში.

რა თქმა უნდა, რეგიონის კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმის არცერთი განსაზღვრება არ აცხადებს პრეტენზიას სრულყოფილებაზე. მნიშვნელოვანია, რომ იგი ასახავდეს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვექტორს და მიზნებს. კონკურენტუნარიანად ჩაითვლება რეგიონი, რომელსაც აქვს ისეთი ინსტიტუტები, მართვა, რესურსები, საწარმოო და სამეცნიერო ტექნიკური შესაძლებლობები, საგარეო ეკონომიკური პოტენციალი, ფინანსური ინფრასტრუქტურები, რომლებიც აძლევენ მას საშუალებას მიაღწიოს ხანგძლივ კონკურენტულ წარმატებას ეკონომიკური ზრდის დინამიკის მყარ საფუძველზე და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ფონზე.

8.5. ქვეყნებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის რეიტინგული შეფასებები

პირველ ნაშრომს, რომელშიც მოცემული იყო რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასება წარმოადგენდა სტატიების კრებული გ. უნტურას რედაქციით. ინტერესი რეგიონის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის მიმართ გაიზარდა იმის ხარჯზე, რომ გამოჩნდა პუბლიკაციები ქვეყნებისა და რეგონების შედარებით რეიტინგული შეფასებით. ეს არის ფართოდ ცნობილი რეიტინგული შეფასებები – გაეროს პროგრამის რეიტინგები: ადამიანის პოტენციალის განვითარების, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის, რეგიონების რეიტინგები მათი საინვესტიციო მიმომხიბვლელობის მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ „Эксперт“-ში ასევე გამოჩნდა რეიტინგები ახალი კონკურენტული უპირატესობების შეფასებით. კერძოდ 2002 წელს საერთაშორისო განვითარების ცენტრის დირექტორმა ჯ.საქსმა, საერთაშორისო განვითარების პრეზიდენტმა კლაუს შვაბმა და გლობალური კონკურენტუნარიანობის პროგრამის დირექტორმა პიტერ კორნესიუსმა, სხვა მონაწილეებთან ერთად შექმნეს „მოხსენება გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ: მზაობა ქსელური სამყაროსათვის“. სადაც შეფასებულია შვიდი ქვეყნის შესაძლებლობები, გამოიყენოს ინფორმაციული კომპიუტერული ტექნოლოგიები. ასევე გამოჩნდა „მოხსენება პოსტსაბჭოური ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შესახებ“.

რეიტინგული შეფასებების გავრცელების მიზეზს წარმოადგენს სურვილი გაიზომოს და დაფიქსირდეს რეგიონების დიფერენციაციის ხარისხი, მისი დინამიკა რიგი წამყვანი ფაქტორების გამოყოფის საფუძველზე. საერთოდ, რეიტინგული მიდგომა დასავლური მეთოდოლოგიისთვისაა დამახასიათებელი, სადაც შეიმჩნევა კონკრეტული პროცესის მონაწილეთათვის „ნიშნების დაწერისადმი“ მისწრაფება. მაგალითად, გაეროს პროგრამაში ინტეგრირებული ნიშნები „დაეწერა“ 174 ქვეყანას. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მასალებში განსაზღვრულია კონკურენტუნარიანობის რეიტინგები 59 ქვეყნისათვის. მსოფლიო ბანკის პორტალი საშუალებას იძლევა შედარდეს 100 ქვეყ-

ნის ეკონომიკა მონაცემთა ბაზაში არსებული 70 მაჩვენებლიდან ნებისმიერი ჯგუფის არჩევის მიხედვით.

მისწრაფება, შეფასდეს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა არაერთგვაროვნად აღიქვეს დასავლეთის ეკონომისტებმა. ცნობილმა ეკონომისტმა პ. კრუგმანმა ერების კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი სწრაფვას „საშიში“ უწოდა.

ჯ.საქსი და ა. უორნერი, რომლებიც არიან ქვეყნის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის იდეოლოგები, აღნიშნავენ, რომ რეიტინგი განკუთვნილია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივების შესაფასებლად და ეხმიანებიან ეკონომიკური ზრდის ტემპებს, სწრაფი ეკონომიკური ზრდისათვის დაგროვილი პოტენციალის გათვალისწინებით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი პოლიტიკოსებს აძლევს ინფორმაციას ქვეყნის მდგომარეობაზე რიგი პოზიციების მიხედვით და წარმოადგენს სტიმულს დაბალი რეიტინგული ქვეყნებისათვის, რათა კორექტივები შეიტანოს თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში, აღვივებს ინტერესს მაღალრეიტინგული ქვეყნების გამოცდილების შესწავლისაკენ და სწორედ ამაშია მისი ეკონომიკური მნიშვნელობა. ყველა რეიტინგი არის შეფასების სისტემა, რომელიც აგებულია იდეოლოგიაზე.

რეგიონების რეიტინგი ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის მიხედვით ფასდება რეგიონის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შემდეგი სამი პუნქტის გათვალისწინებით:

1. შიდა რეგიონული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, რომელიც კორექტირებულია ფულის მყიდველობითი უნარის მიზედვით და ასახავს მოხმარების დონეს და შესაძლებლობებს.

2. მოსწავლეთა წილი მთელ მოსახლეობაში ადამიანის განვითარებაში განათლების მნიშვნელობის გათვალისწინებით.

3. მიმდინარე წლის ახალშობილთა მომავალი სიცოცხლის ხანგძლივობა, რაც ასევე ასახავს ამა თუ იმ ტერიტორიაზე ადამიანის არსებობის პირობებს.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის განსაზღვრისათვის, ზემოთ მოცემული ინდექსი შეიძლება მნიშვნელოვან დამატებად იქცეს, რადგან საშუალებას იძლევა შეფასებული იქნას რეგიონის მიღ-

წევები ადამიანის განვითარებისათვის შექმნილი პირობების უზრუნ-ველყოფაში. გლობალურ კონკურენტუნარიანობის პროგრამაში წარ-მოდგენილი ქვეყნების რეიტინგს საფუძვლად დაედო ჯ.საქსისა და გ. სტოუნის მიდგომა, სადაც კონკურენტუნარიანობის რვა ძირითადი ფაქტორია გამოყოფილი, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკის ხან-გძლივი აღმავლობის შესაძლებლობებს.

ყოველ კომპლექსურ ფაქტორს აქვს ფაქტორული წონა და ფასდე-ბა მაჩვენებელთა ჯგუფის მეშვეობით. ესენია:

1. გახსნილობა (მნიშვნელობა – 16,7%, 13 მაჩვენებელი)
2. სახელმწიფო (16,7% 22 მაჩვენებელი)
3. ფინანსები (16,7% 24 მაჩვენებელი)
4. ინფრასტრუქტურა (11,1 % 16 მაჩვენებელი)
5. ტექნოლოგია (11,1 % 23 მაჩვენებელი)
6. მართვა (5,5 %, 23 მაჩვენებელი)
7. შრომა (16,7 % 17 მაჩვენებელი)
8. ინსტიტუტები (5,5% 23 მაჩვენებელი)

სულ 161 მაჩვენებელი. მეორე საერთაშორისო ორგანიზაცია, რო-მელიც იძლევა ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შეფასებას, არის მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტი (I M D). იგი გამოყოფს მაჩვე-ნებლების მსგავს ჯგუფებს (314 მაჩვენებელი), რაც მიგვანიშნებს ამ საკითხში საერთო მიდგომის არსებობაზე.

1987-93 წლებსი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებებით ყველაზე კონკურენტუნარიან ქვეყნად დასახელდა იაპონია. 1994-95 წლებში პირველი ადგილი აშშ – ს ეკავა. 1996-99 წლებში პირველ ად-გილზე გავიდა სინგაპური, ხოლო 2000- 2002 წლებში კვლავ აშშ.

1998 წელს ბოლო 59-ე ადგილზე გავიდა უკრაინა, ხოლო 58-ზე რუსეთი. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის თვისობრივი შეფასების გამოყენება რეგიონებისათვის აქტულურია, რადგან შესაძლებელია იგი შევუსაბამოთ არსებულ მეთოდიკას. ამასთან, უნდა დაზუსტდეს რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასებათან დაკავშირებული რამდენიმე მომენტი. კერძოდ საკვანძო ფაქტორები, რომლებიც განა-პირობებენ ეკონომიკის განვითარებას შეზღუდულობის პრინციპზე დაყრდნობით, ამავე დროს კონკურენტუნარიანობის ფაქტორებიც

არის. ყველაფერი რასაც გააჩნია შეზღუდულობის ნიშანი, შესაძლებელია გამოვიყენოთ კონკურენტუნარიანობის რესურსად.

კონკურენტული უპირატესობების ჩამოყალიბება ისტორიულად ხდება კონკურენტუნარიანობის ახალ-ახალი ფაქტორების გამოჩენასთან ერთად.

სხვადასხვა ქვეყნები თანმიმდევრულად გადიან კონკურენტუნარიანობის ფორმების ერთი და იგივე სტადიებს, რომლებიც შეესაბამება ძირითადად მამოძრავებელ ძალებსა და სტადიებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს მის განვითარებასა და უპიორატესობებს მოცემული დროის მონაკვეთში. ესენია: საწარმო ფაქტორები, ინვესტიციები, სიახლეები და სიმდიდრე. ამასთან ამას უნდა მიემატოს ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო სტადიები.

ამრიგად, შეიძლება გამოვყოთ მთელი ჯგუფი ფაქტორებისა, რომლებიც ყველაზე სრულად ქმნიან კონკურენტუნარიანობის საკვანძო ფაქტორებს. ესენია: რესურსების, საინვესტიციო, ინფრასტრუქტურული, საინოვაციო და საინფორმაციო ფაქტორები.

კონკურენტუნარიანობის განვითარების ყველა წინამორბედი ეტაპი და მისი შესაბამისი კონკურენტული უპირატესობის განვითარების ფაქტორი, ქმნის ბაზისს შემდეგის განვითარებისათვის. ინვესტიციები წარმოების პრობლემის გადაწყვეტისა და ინფრასტრუქტურების შექმნის საშუალებას იძლევა. ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომს ხდის რესურსებსა და ბაზრებს, ქმნის პირობებს საწარმოო, სამეცნიერო საკონსტიტუციო პროცესების მონაწილეების ურთიერთობებისათვის. ინოვაციები ბიძგს აძლევს ახალ ცოდნას, ახალ ტექნოლოგიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციას.

რაც შეეხება კონკურენტუნარიანობის და მასთან დაკავშირებული კონკურენტული უპირატესობების ინფრასტრუქტურულ და ინფორმაციულ ფაქტორებს, მათი მნიშვნელობა უდაოდ დიდია. ორივე ფაქტორს გააჩნია საკმაოდ დიდი გამოყენებული პოტენციალი, რომელიც გავლენას მოახდენს კონკურენტუნარიანობაზე.

კონკურენტუნარიანობის ინფრასტრუქტურული ასპექტი, რომლებიც საშუალებას იძლევა უფრო მაღალი ტემპით გაიზარდოს წარმოების ეფექტურობა, უზრუნველყოფენ საქონლის ბრუნვასა და რეალიზაციის დაჩქარებას,, ადამიანის განვითარებას.

8.6. მაკროკონკურენტუნარიანობის ფაქტორები

მაკრო დონეზე კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემა არ შემოიფარგლება ეკონომიკურ ტექნოლოგიური ფაქტორებით. დღეისათვის შექმნილია მსოფლიო მეურნეობის ახალი სახე, რომელიც ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციით გამოირჩევა.

ეკონომიკა, რომელიც თანდათანობით გადაიქცევა გეოეკონომიკურ სივრცედ, სადაც სახელმწიფო საზღვრები სულ უფრო გამჭირვალე ხდება. ხოლო ნაციონალურ სახელმწიფოებრივ ინტერესებს გადაფარავს ფირმების, ხშირად ტრანსნაციონალური ინტერესები, მაგრამ საერთაშორისო კონკურენცია ეკონომიკის სფეროში მაინც რჩება მჭიდროდ გადაჯაჭვული გეოპოლიტიკურ პრობლემებთან. მაკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობა საკმაო დონით დამოკიდებულია ქვეყნის საერთო ეკონომიკურ და სამხედრო ძალაზე, რაც მის პოლიტიკურ გავლენას და სტაბილურობას უზრუნველყოფს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე პარტნიორებთან ურთიერთობისას.

ჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე, მაკროკონკურენტუნარიანობა ეს არის ქვეყნის გეოპოლიტიკური სუბიექტის დამოუკიდებელი პოლიტიკური განვითარებისა და წარმატებული ეკონომიკური შეჯიბრის უნარი.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის მაკროკონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: მისი საგარეო პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების ხარისხი შიგა პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში რეგიონული შეთანხმებულობა, მოცემული ქვეყნის მოცულობითი და ფარდობითი მაჩვენებლების (მოსახლეობის რაოდენობა, დემოგრაფიული დინამიკა, დაკავებული და კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიები) ფარდობა სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. მოსახლეობის ცხოვრების დონე და მისი დიფერენციაცია სოციალურ ჯგუფებთან დინამიკაში და სხვა ქვეყნებთან შედარებით.

მაკროკონკურენტუნარიანობის ანალიზისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი დამოკიდებულება ნაციონალური მეურნეობის ტიპზე, რომელიც შეიძლება იყოს დახურული, ანუ შიგა რესურსების

გამოყენებაზე ორიენტირებული, ან ღია, ანუ უმეტესად საერთაშორისო გაცვლაზე ორიენტირებული.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი ეკონომიკური მოდელის ხასიათი. იგი შეიძლება იყოს:

1. საბაზრო, როცა რესურსების მართვა იწარმოება საბაზრი თვითრეგულაციის საშუალებით.

2. გეგმიური, როდესაც მართვა ხორციელდება პირდაპირი ადმინისტრაციული განაწილებით სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით.

3. კომბინირებული, რომელიც ათავსებს საბაზრო და გეგმიური მეურნეობის მახასიათებლებს.

წმინდა ეკონომიკური პოზიციიდან ქვეყნის მაკროკონკურენტუნარიანიბის დონე შეიძლება შეფასდეს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შრომის მწარმოებლურობა; შრომის ფარდობითი ანაზღაურება; კაპიტალტევადობა; მეცნიერებატევადობა; ეკონომიკის გახსნილობის დონე; ექსპორტტევადობა და იმპორტდამოკიდებულება; ვაჭრობის პრინციპები; მასალათტევადობა; ტრანსპორტტევადობა; ნაციონალური ვალუტის კურსის დინამიკა წამყვანი ქვეყნების ვალუტის მიმართ. დარგებისა და ნაციონალური მეურნეობის სექტორებს შორის შეთანხმებული მუშაობის ეფექტურობის შეფასება სხვა ქვეყნებთან შედარებით. მაკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ქვეყნის საგარეო და საშინაო ეკონომიკურ პოლიტიკაზე, მათ მიერ არჩეულ პრიორიტეტებზე საგარეო-ეკონომიკურ კავშირებში, სადაც განსაზღვრულ როლს თამაშობს ისეთი მიმართულებები და მიღებული ზომები როგორიცაა; იმპორტშემცველი წარმოების გაფართოება და პროტექციონიზმი, კონკურენტული ზეწოლის განხორციელება სამამულო მწარმოებლებზე, რათა შემცირდეს მათი ხარჯები, საგარეო ეკონომიკური ესპანია და სხვა. უმნიშვნელოვანეს როლს ამ დროს თამაშობს ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ხელსაყრელ გარემოს ქმნის კონკურენტუნარინი წარმოების განვითარებისათვის.

8.7. კონკურენტუნარიანობის თანამედროვე ფაქტორები

კონკურენტუნარიანობის თანამედროვე საინფორმაციო ფაქტორები ემყარება უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნისას უპირატესობების ფორმირებას. ეს ტექნოლოგიები ახალი ცოდნისა და ინფორმაციის გადამუშავების, შენახვისა და გამოყენების შეუდარებლად მაღალ საშუალებებს იძლევა წარმოების განვითარების დაჩქარებაში.

გლობალური ეკონომიკის ფორმირებასთან ერთად იცვლება ცოდნის როლი. ცოდნა ხდება მდგრადი კონკურენტული უპირატესობის წყარო, ახალ გლობალურ ეკონომიკაში, რონელსაც ეწოდება „ინფორმაციული", ამ ტერმინით ხაზი ესმევა ინფორმაციის ტექნოლოგიურ როლს წარმოებისათვის, რაც მსგავსია განვითარების წინა ინდუსტრიული, ანუ საწარმოს ტექნოლოგიური ეტაპისა. ცოდნა უზრუნველყოფს მისაღებ უპირატესობებს, რაც გამომდინარეობს ცოდნის განსაკუთრებული სტრუქტურის თავისებურებებიდან. ცოდნა, ინფორმაცია გლობალური კონკურენციის ფაქტორი ხდება.

კონკურენტული პროცესების განვითარების შემდგომი ეტაპები დაკავშირებული იქნება ინტელექტის შეღწევის უფრო მგრძნობიარე სფეროსთან, როგორიცაა: ადამიანის ფსიქიკა, გენური ინჟინერია, თვით მარეგულირებელი ტექნიკის შექმნა. ეს იქნება ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური კონკურენტული უპირტესობების ეტაპი.

მოწოდებული სქემის საფუძველზე შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ ქვეყნის, რეგიონის კონკურენტუნარიანობა მე-20 საუკუნის აშშ -ის რეგიონულ პოლიტიკაში არსებული პრიორიტეტების ცვლის მაგალითზე. თავდაპირველად, მასობრივი წარმოება ინვესტიციების საფუძველზე, შემდეგ საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებით. 40-იან 60-იან წლებში მუნიციპალური სასერვისო და საბაზრო ინფრასტრუქტურების გზით. შემდეგ ინოვაციური წარმოება, რომლიც 90-იან წლებში ხდება ინფორმაციული წარმოებისაკენ სვლა, ჩნდება სასწავლო რეგიონები, სადაც განათლება, მეცნიერება, საცდელ-კონსტრუქციული მოღვაწეობა, სადაც საინფორმაციო სისტემები სივრცობრივად არის შერწყმული. 21-ე საუკუნის დასაწყისში საინფორმაციო განვითარება მოიაზრება რეგიონების კონკურენტული წარმატების საკვანძო ფაქტორად.

ამავე დროს, აღნიშნული კონკურენტული უპირატესობის განვითარების სტადიებთან ერთად იზრდება ე.წ. „რბილი ფაქტორების“ როლი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ადამიანის მახასიათებლებთან, მათ ქცევებსა და ეფექტურ ურთიერთობასთან – ყველაფერ იმასთან, რაც შეადგენს ადამიანურ და სოციალურ კაპიტალს. ევოლუციური თეორიის ფარგლებში ამ ფაქტორებს უწოდებენ „წესებს“, უფრო ფართოდაა გავრცელებული ინსტიტუტების ცნება. ინსტიტუტები, რომლებსაც გავიაზრებთ როგორც ურთიერთობების ფორმალურ და არაფორმალურ ნორმებს, წესებს, ჩვევებს და ურთიერთქმედების საშუალებებს, ქმნიან ადამიანური ურთიერთობების სტრუქტურას. ქვეყნის, რეგიონის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეესაბამება მოქმედი ინსტიტუტები ტექნოლოგიურ ცვლილებებს, უფრო ზუსტად, რამდენად უშვებენ იმ ცვლილებების შესაძლებლობებს, რომლებიც საჭიროა ტექნოლოგიური სიახლეების ასათვისებლად.

თუ ადამიანები თავიანთი ფიზიკური მახასითებლებით, დაგროვილი ცოდნითა და უნარით ქმნიან რეგიონის ადამიანურ კაპიტალს, ხოლო სოციალური ურთიერთობების დაგროვილი ფასეულობები და საშუალებები ქმნიან სოციალურ კაპიტალს. სოციალური ურთიერთობები თავისი ბუნებით ინფორმაციულია, რადგან ადამიანები ურთიერთობაში მრავალი ტიპის ინფორმაციის გაცვლას ახორციელებენ კერძოდ ვერბალურსა და არავერბალურს, რომელთა შედეგები ეფექტურ კომუნიკაციებზეა დამყარებული.

ამრიგად, კონკურენტუნარიანობა სულ უფრო ასახავს ინსტიტუციონალური გარემოს მდგომარეობას, რეგიონის სოციალურ კაპიტალს, ადამიანების ურთიერთობების მექანიზმებსა და საშუალებებს. სოციალური კაპიტალი შეიძლება კონკურენტუნარიანობის სერიოზულ რეზერვად იქცეს.

8.8. რეგიონული კონკურენტუნარიანობის გამოთვლის მეთოდიკა და კონკურენციის დაცვა

რეგიონული კონკურენტუნარიანობის გამოთვლის მეთოდიკა გულისხმობს მაჩვენებლების შერჩევის, მონაცემთა შეგროვების, მონა-

ცემთა შკალირებისა და კომპლექსური ინდექსის საფუძველზე რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების ეტაპებს.

მაჩვენებლების შერჩევის მიზანია წარმოდგენილი იქნას მაჩვენებლები, რომლებიც ყველაზე სრულად ახასიათებენ რეგიონის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ ფაქტორებს, სისტემატიზებულ იქნას ამ მიმართულებით არსებული მეთოდოლოგიური მიდგომები.

მონაცემთა შეგროვება გულისხმობს რეგიონების მიხედვით იმ მონაცემთა ბაზის შექმნას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების რაოდენობრივი შეფასება. აგრეთვე იმ მაჩვენებელთა გათვლა, რომელიც არ არის ოფიციალურ სტატისტიკაში.

მონაცემთა შკალირება მოიცავს თითოეული ფაქტორისადმი შესაბამისი ბალების მიკუთვნებას და ამ პროცესში ზომის სხვადასხვა ერთეულში გადაყვანას (0-1 ინტერვალში). იგი ხორციელდება კონკურენტული რეგიონის მაჩვენებლისა და რეგიონებს შორის მინიმალური მაჩვენებლის სხვაობასთან, რეგიონებში ამავე მაჩვენებლების მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებლის სხვაობასთან შეფარდებას.

მიღებული შერჩევა წარმოადგენს ყველა რეგიონისათვის თითოეული არჩეული მაჩვენებლის მიხედვით მიკროინდექსთა ერთობას, რომელთა მნიშვნელობა 0-სა და 1-ს შორისაა. ამ დროს 1 საუკეთესო მაჩვენებელია, 0 ყველაზე უარესი.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლა საშედეგო ინდექსით მიკროინდექსთა საშუალო არითმეტიკულის სახითაა წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში რეგიონის კონკურენტუნარიანობის ინდექსი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$I\ comp = \frac{Xij - Xmin\ j}{X\ max\ j - Xmin\ j}$$

რეგიონის კონკურენტული უპირატესობის მაჩვენებლებია:

1. რეგიონის რესურსული უპირატესობა
2. რეგიონის ინვესტიციური უპირატესობა
3. რეგიონის ინოვაციური უპირატესობა
4. რეგიონის ინფორმაციული უპირატესობა
5. რეგიონის დარგობრივი სტრუქტურის პროგრესულობა.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის საშედეგო მაჩვენებლებია:

1. მთლიანი რეგიონული პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე.

2. მთლიან რეგიონულ პროდუქტში ექსპორტის წილი

მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდის ტემპი

რეგიონის ფაქტორული უპირატესობის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მაჩვენებლები: შრომის ნაყოფიერება, რეგიონის შეფარდებითი უპირატესობა, ძირითადი კაპიტალის უკუგება.

რეგიონის შეფარდებითი უპირატესობის მაჩვენებლად წარმოდგენილია წარმოებულ პროდუქციაში შრომის ანაზღაურების ტევადობა. (დარგში საშუალო შრომის ანაზღაურება გამრავლებული დარგში დასაქმებულთა რიცხვზე და გაყოფილი დარგში გამოშვებული პროდუქციის ღირებულებაზე).

ძირითადი კაპიტალის უკუგების ინდექსი რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე ძირითადი კაპიტალის მოცულობას ახასიათებს.

რეგიონის ინფრასტრუქტურული უპირატესობის შეფასებისას გამოყენებული იქნა რეგიონში კვლევებისა და დამუშავების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილი.

რეგიონის ინფორმაციული უპირატესობის მაჩვენებელიც გათვლილ იქნა რეგიონში მთლიანად დასაქმებულებში, ინფორმაციის დამუშავების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილით. რეგიონის ინსტიტუციური უპირატესობის მაჩვენებლად აღებულია რეგიონის მთავრობის პოზიცია რეგიონთაშორის კონკურენციაში (რეგიონის ბიუჯეტის შემოსავლების დონე ერთ სულზე)

რეგიონის დარგობრივი სტრუქტურის პროგრესულობის მაჩვენებლად აღებულია ყოველ 100000 მოსახლეზე მცირე საწარმოთა რიცხოვნობა.

რეგიონის კონკურენტული უპირატესობის საშედეგო მაჩვენებლების (მთლიანი რეგიონული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. მთლიან რეგიონულ პროდუქტში ექსპორტის წილი, მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდის ტემპი) გამოთვლაც ანალოგიურად განხორციელდა.

საბაზრი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკის ზოგიერთ დარგში ძალზე მაღალია კონკურენციის დონე, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დარგებში გაბატონებულია მონოპოლიური ძალა, რომელიც აფერხებს თავისუფალი კონკურენციის მოქმედებას. ამავე დროს, სახელმწიფოს

ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა კონკურენციის, როგორც ეკონომიკა-ში წამყვანი მექანიზმის შენარჩუნებაა.

ფრიდრიხ ჰაიეკის მიერ დაფუძნებული კლასიკური ლიბერალური საზოგადოების Mont Palerin sotiety პრეზიდენტის (1994-96 წწ) პასკალ სალინის აზრით კონკურენციას ერთადერთი რამ ბაზარზე შესვლის თავისუფლება განსაზღვრავს.

თუ ეს პირობა დაცულია მისი აზრით, სრულიად შესაძლებელია, რომ დროის კონკრეტულ მომენტში ერთი ეკონომიკური პროდუქტი-სათვის მხოლოდ ერთი მწარმოებელი იყოს (მონოპოლი) განსაკუთრე-ბით მაშინ, როცა პირველი იწყებს ამ პროდუქტის მიწოდებას, მეორეს მხრივ, თუ საქმიანობა მომგებიანი იქნება, ბაზარზე სხვა მწარმოებლე-ბიც შევლენ.

ამასთან, საერთაშორისო კანონმდებლობით მონოპოლია თავის-თავად დარღვევა არ არის.

სალინი აღნიშნავს, რომ ერთადერთი მონოპოლია, რომელიც შეიძ-ლება დარღვევად ჩავთვალოთ, სახელმწიფოს მხირიდან ერთი რომე-ლიმე საწარმოსათვის პრივილეგიების მინიჭება და ბაზრებზე სხვა მწარმოებლების დაბლოკვაა. ამ შემთხვევაში ინოვაციის მოტივაცია ქრება და მოსახლეობა ზარალდება, პროდუქციის ცუდი ხარისხისა და მაღალი ფასის გამო.

მსხვილი კომპანია თავისთავად ყოველთვის არ წარმოგვიდგება მონოპოლის სახით. „მონოპოლია“ და „მსხვილი კომპანია“ არ არის სი-ნონიმები, თუმცა ისინი ხშირად ერთი მეორეს ემთხვევიან. „მსხვილი საწარმოს“ დამახასიათებელი ნიშნებია: მისი წილი შესაბამისი პრო-დუქციის ბაზარზე, აგრეთვე მისი რომელიმე აბსოლუტური მაჩვენებე-ლი (აქტივის სიდიდე, საქონელბრუნვა, დასაქმებულ მუშაკთა რაოდე-ნობა, მოგების სიდიდე). არსებობს მონოპოლიის მრავალი სახე. მათ შორის გამოიყოფა წმინდა ანუ აბსოლუტური მონოპოლია და მეწარ-მული მონოპოლია. როცა ერთი საწარმო მთლიანად აკონტროლებს ეკონოპმიკის რომელიმე დარგს თუ ქვედარგს, მაშინ საქმე გვაქვს წმინდა მონოპოლიასთან. როგორც წესი, მოცემული საწარმო უშვებს უნიკალურ პროდუქციას და ამ დარგში სხვა მწარმოებლის შესვლა ბლოკირებულია განსაზღვრული გადაულახავი ბარიერებით.

შესაძლებელია მონოპოლიის ტერმინის გამოყენება უფრო ფართო

გაგებით. კერძოდ მეწარმული მონოპოლია, როცა რამდენიმე საწარმო აკონტროლებს დარგის პროდუქციის ძირითად ნაწილს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მეწარმული მონოპოლიის შემთხვევაში იქმნება უფრო მაღალი კონკურენტული ფასებისა და შესაბამისად, უფრო მაღალი ეკონომიკური მოგების მიღების შესაძლებლობა, ეს განსაზღვრა ეხება თანამედროვე ეკონომიკის მრავალ დარგს და იგი ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ოლიგოპოლიის სახელწოდებით. მონოპოლიების საქმიანობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მონოპოლიების კრიტიკოსები მას „აბრალებენ" რესურსების არაეფექტიან განაწილებას, რადგანაც მონოპოლისტები უფრო ხელსაყრელად მიიჩნევენ, შეზღუდონ წარმოება და დააწესონ დარგის პროდუქციაზე უფრო მაღალი ფასი. ასეთ სიტუაციაში ხელოვნურად იზრდება მონოპოლიური მოგება, სამაგიეროდ მცირდება საზოგადოების კეთილდღეობის დონე. ხშირად მიუთითებენ მონოპოლიების რეაქციულ როლზე, რადგან ისინი გარკვეულწილად აფერხებენ ტექნოლოგიურ პროცესს.

არსებობს მონოპოლიების შესახებ საწინააღმდეგო შეხედულებაც. მაგ: მონოპოლიების სასარგებლოდ მეტყველებს ისეთი არგუმენტი, როგორიცაა მათ მიერ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის წარმოება. („სონი" „მერსედესი") წარმოების მაშტაბების ეფექტი, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ზრდას. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექნოლოგიური პროგრესისათვის ხელშეწყობა. მხოლოდ მსხვილ საწარმოებს შეუძლიათ მსხვილი ფინანსური რესურსების გამოყოფა სამეცნიერო და ტექნიკური კვლევის განსახორციელებლად. ამავე დროს მონოპოლიების დამცველთა მტკიცებით მონოპოლია არ სპობს კონკურენციას. იგი არსებობს მონოპოლიებს შორის (დარგთაშორისი კონკურენცია) და მონოპოლიის შიგნით ((შიდადარგობრივი კონკურენცია) პოტენციური კონკურენცია აიძულებს მონოპოლიურ საწარმოებს, გაითვალისწინოს იგი ფასებისა და წარმოების მაშტაბის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მსვლელობისას.

პირველი ანტიტრესტული კანონები დამუშავდა აშშ-ში. თავისუფალი ბაზრის მომხრეთა აზრით, მონოპოლიებს სახელმწიფო რეგულირება არ სჭირდება, ამ პრობლემას თავისუფალი ბაზარი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე უკეთ დაარეგულირებს.

ლიბერალური რეფორმის შედეგად ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმნდა. რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო – სანქციების უფლებებს მოკლებული სტრუქტურა. მარეგულირებელი მხოლოდ ენერგეტიკის, კომუნიკაციებისა და ფინანსურ სექტორებში დარჩა. რეფორმა ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ ნებისმიერ კომპანიას მეტი მოგების მიღება სურს, თუმცა ფასების ხელოვნური ზრდისაგან მომხმარებელს მხოლოდ მაღალი კონკურენტული გარემო დაიცავს.

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო დღეს უკვე საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის ხელმძღვანელსაც პრემიერ-მინისტრი ნიშნავს და რომელიც ანგარიშვალდებულია მთავრობის მიმართ.

სააგენტოს საჩივრის საფუძველზე კარტელური გარიგებებისა და მონოპოლისტური შემთხვევების გამოძიების ფუნქცია ექნება. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღეებს სასამართლო. პროცესზე ბრალმდებელი იქნება სასამართლო კონკურენციის დაცვა, ანუ ბაზარზე სამართლიანი ღია, თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომლის მოწესრიგება ასოცირების შეთანხმების დადების წინაპირობას წარმოადგენდა. ამ მიმართულებით ქართული კანონმდებლობა ევროპულთან შესაბამისობაში ძირითადად 2014 წელს, ასოცირების შეთანხმების დადებამდე მივიდა. ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული მთავარი ვალდებულება კი ამ კონკურენციის დაცვის სისტემის ეფექტური ფუნქციონიებაა.

კონკურენციის დაცვის ევროკავშირის კანონმდებლობა საქართველოში ძირითადად გადმოტანილია. აგრეთვე შექმნილია და ფუნქციონირებს კონკურენციის სააგენტოც. თუმცა, საქართველოს კონკურენციის დაცვის კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში ჯერ კიდევ არ არის..

საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება ჯერ კიდევ 1992 წელს იქნა შემოღებული. ამავე პერიოდიდან ამოქმედდა ანტიმონოპოლიური სამსახური, ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში. 1996 წელს მიღებულ იქნა კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, 1996 – 2002 წლებში კი – მთელი რიგი ამ კანონის ქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელიც ანტიმონოპოლიური

კონტროლის რეალურად განხორციელებას ემსახურებოდა[1]. 1997 წლიდან ანტიმონოპოლური სამსახური ეკონომიკის სამინისტროსგან დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებდა. თუმცა, ვინაიდან „საზოგადოებაში არსებობდა განცდა... ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობაში კორუფციის მაღალი რისკის შესახებ“[2], 2005 წელს მოხდა სფეროს ძირეული რეფორმა: მთელი არსებული კანონმდებლობა გაუქმდა[3] და ჩანაცვლდა კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც ეხებოდა კონკურენციის დარღვევის მხოლოდ ერთ ფორმას – სახელმწიფო დახმარებებს. აგრეთვე გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური და სანაცვლოდ შეიქმნა მცირე (7 კაციანი) ‘‘თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო’’, მკვეთრად შეზღუდული ფუნქციებით. როგორც 2010 წლის კონკურენციის სტრატეგიაშია აღნიშნული, ეს ზომები მიღებული იყო დროებით, გარდამავალი პერიოდისთვის და ხელისუფლებას მისი მალე შეცვლის აუცილებლობა გააზრებული ჰქონდა. თუმცა რეალურად კანონი მხოლოდ 2012 წელს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების ფონზე შეიცვალა.

კონკურენციის დაცვა, ანუ სამართლიანი ღია, თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომლის მოწესრიგება ასოცირების ხელშეკრულების დადების წინაპირობას წარმოადგენდა.

2010 წელს საქართველომ მოამზადა და დაამტკიცა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“, რომელიც 2010-11 წლებში კონკურენციის კანონმდებლობის ცვლილებას და „ევროკავშირის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან“ შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებდა. 2011 წლის განმავლობაში მართლაც მომზადდა ახალი კანონპროექტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ და 2012 წლის 8 მაისს იგი პარლამენტმა მიიღო კიდეც. თუმცა ახალი კანონი, მიუხედავად იმისა, რომ რეგულირების სფერო გაფართოვდა და მოიცავდა არა მხოლოდ სახელმწიფო დახმარებებს, არამედ თავისუფალი კონკურენციის დარღვევის სხვა ფორმებსაც, რეალურ მექანიზმებს მათი რეგულირებისთვის კვლავ არ შეიცავდა.

2011 წლის დეკემბერში შეიქმნა ახალი სსიპ „კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ (ფაქტიურად არაქმედუნარიანი

ორგანოს – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს“ და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ შერწყმის შედეგად). კონკურენციის სფეროში ამ ახალი სააგენტოს ფუნქციონირების ფარგლები უნდა დადგენილიყო მთავრობის მიერ განსაზღვრული „პრიორიტეტული სფეროებით“. ამ ჩარჩოებს გარეთ რაიმე საკითხის განხილვის უფლება სააგენტოს არ გააჩნდა. თუმცა მთავრობას ეს სფეროები არ დაუდგენია. შესაბამისად, სააგენტო ფაქტობრივად უფუნქციო იყო.

სიტუაცია შეიცვალა 2012 წლის ბოლოს, საპარლამენტო არჩევნების შედეგად. ახალმა მთავრობამ თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად კონკურენციის პოლიტიკის გააქტიურება მიიჩნია. სამთავრობო პროგრამის მიხედვით „განხორციელდება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშემწყობი პოლიტიკა“ ამასთან „მნიშვნელოვნად გაიზრდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური გარიგებების კონტროლის არეალი“. აღნიშნული მიზნების მიღწევას პროგრამა გეგმავს რეალურად დამოუკიდებელი კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბებით, რომელსაც „მიენიჭება ბაზრის მონიტორინგის ფუნქცია, რაც შესაბამისი კვლევების განხორციელებას გულისხმობს“.

2013 წლის განმავლობაში უპირველეს პრიორიტეტად საქართველოს მთავრობამ არსებული საკანონმდებლო ბაზის რეფორმირება დაასახელა. იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წელს მიღებული კანონი მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავდა, აუცილებელი იყო მისი ცვლილება ისე, რომ კანონი საერთაშორისო სტანდარტების/მოთხოვნებთან დაახლოებულიყო და მისი საშუალებით შესაძლებელი გამხდარიყო „თავისუფალი კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე სახელმწიფოს მიერ რეალური, ქმედითი ზედამხედველობის განხორციელება. 2013 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკის სამინისტრომ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა და საზოგადოებას წარუდგინა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების კანონპროექტი. მისი საჯარო განხილვები რამოდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ, კანონის ცვლილებები მიღებული იქნა 2014 წლის 21 მარტს და ამოქმედდა 2014 წლის 31 მარტიდან.

2014 წლის ცვლილებებით საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნა ევროკავშირის შესაბამისი კანონ-

მდებლობის ყველა ძირითადი დებულება (იხ. კანონის საბოლოო, კონსოლიდირებული ვერსია). 2014 წლის 14 აპრილს შეიქმნა კონკურენციის სააგენტოც. 2014 წლის განმავლობაში, შესაბამის ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სააგენტომ მოამზადა და დაამტკიცა მისი ეფექტური მუშაობისთვის საჭირო დებულებები და 2015 წლიდან შეუდგა ბაზრის კვლევას კონკურენციის შესაძლო დარღვევების ფაქტების გამოსავლენად. 2015 წლიდან სააგენტომ 12 საქმე გამოიკვლია, მათ შორის ისეთი რეზონანსული, როგორიცაა სავარაუდო კარტელური შეთანხმება საავტომობილო საწვავის მომწოდებლებს შორის.

2021 წელს საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 77.2 ქულით მე-12 პოზიციაა 184 ქვეყანას შორის, მაშინ როდესაც 2012 წელს ის 34 პოზიციაზე იმყოფებოდა.

უცხო სიტყვები

1. კონფროტაცია- ფრან. ურთიერთდაპირისპირება, ურთიერთწინააღმდეგობა, შეხლა-შემოხლა.
2. ვირტუალური- ლათ. რაც შეიძლება გამოვლინდეს სათანადო პირობებში.
3. სინერგიზმი – ბერძ. თანამშრომლობა, ხელ შეწყობა, ორგანოებისა და სისტემების ერთობლივი და ერთგვაროვანი მოქმედება.
4. ვექტორი – ლათ. მათემატიკაში სწორხაზოვანი მონაკვეთი, რომელსაც გარკვეული მდგომარეობა და მიმართულება აქვს.

თავი IX

საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური საფუძვლები და საბიუჯეტო ურთიერთობები

9.1. ქართული კონსტიტუციონალიზმი და საქართველოს კონსტიტუცია

კონსტიტუციონალიზმი არის განსაზღვრული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღირებულებების სისტემა, რომელიც ქვეყნის ძირითადი კანონით არის გამყარებული. ეს ღირებულებები პრაქტიკულ გამოხატრულებას დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებში ჰპოვებენ. შესაბამისად, კონსტიტუციონალიზმის არსებობისათვის არ არის საკმარისი, ამა თუ იმ სახელმწიფოში ქვეყნის ძირითადი კანონის – კონსტიტუციის არსებობა. კონსტიტუციონალიზმის იდეა რეალიზებულია, მხოლოდ იმ სახელმწიფოში სადაც კონსტიტუცია დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს ეყრდნობა და მათ პრაქტიკულ განხორციელებას უზრუნველყოფს. კონსტიტუიციონალიზმი პოლიტიკური ბრძოლით მოპოვებული ფენომენია, რომლის განვითარებას იდეოლოგიური საფუძველი ფრანგმა და ინგლისელმა განმანათლებლებმა მოუმზადეს, სოციალური იმპულსი კი საზოგადოების სეგმენტებს შორის პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლამ შესძინა. თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი კონსტიტუციების უმრავლესობა ფორმალურად მაინც, კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს ეფუძნება.

კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი, უზენაესი კანონია, რომელიც სახელმწიფო მოწყობას, სახელმწიფოსა და ინდივიდის ურთიერთობას აწესრიგებს.[1]

მეცნიერებაში მიღებულია კონსტიტუციების კლასიფიკაცია[2] სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით:

[1] ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა 2019 გვ11.
[2] ირაკლი კობახიძე კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა 2019 გვ12

- მიღების წესის მიხედვით განასხვავებენ რეფერენდუმზე დამტკიცებულ, პარლამენტის მიერ მიღებულ, სპეციალური დამფუძნებელი ორგანოს მიერ მიღებულ და ე.წ. ოქტროირებულ კონსტიტუციებს:

- სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს რეფერენდუმზე დამტკიცებული კონსტიტუციები;
- საზღვარგარეთი ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული კონსტიტუციის პარლამენტის მიერ მიღების პრაქტიკა;
- არაერთ ქვეყანაში მოქმედებს სპეციალური დამფუძნებელი ორგანოს მიერ მიღებული კონსტიტუციები (მაგ. აშშ, გერმანია, ნორვეგია, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, ისრაელი.)
- მთელ რიგ სახელმწიფოებში მოქმედებს ოქტროირებული კონსტიტუციები. ოქტროირება ფრანგულად მინიჭებას ნიშნავს და ამ ტერმინით, როგორც წესი, კოლონიზატორის მიერ ყოფილი კოლონიისათვის კონსტიტუციის დამტკიცება გამოიხატება. ამჟამად, ოქტროირებული კონსტიტუციები მსოფლიოს რამდენიმე სახლემწიფოშია შემორჩენილი. მაგალითად, ოქტროირებულია ავსტრალიის კონსტიტუცია;
- სხვადასხვა ქვეყამნაში მოქმედებს აღდგენილი კონსტიტუციები. ამგვარ კონსტიტუციებს განეკუთვნება ლატვიის 1922 წლის კონსტიტუცია, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1993 წელს აღდგა, თუმცა ახალ რეალობაზე მოსარგებად, მაშტაბურად გადაისინჯა.

- დროში მოქმედების მიხედვით, განსახვავებენ მუდმივ მოქმედ და – დროებით კონსტიტუციებს.

- კოდიფიკაციის ხარისხის მიხედვით, განასხვავებენ სრულად კოდიფიცირებულ, ნაწილობრივ კოდიფიცირებულ და არა კოდიფიცირებულ ე.წ. დაუწერელ კონსტიტუციებს:

- თანამედროვე სახელმწიფოების უდიდეს უმრავლესობაში კონსტიტუციები სრულად კოდიფიცირებულია და ერთი ნორმატიული დოკუმენტის სახით მოქმედებს;
- ნაწილობრივ კოდიფიცირებული კონსტიტუცია ერთზე მეტი ნორმატიული დოკუმენტისაგან შედგება, მაგალითად ისრაელის მოქმედი კონსტიტუცია შედგება 13 კონსტიტუციური აქტისაგან, რომელთა გადასინჯვა სხვადასხვა უმრავლესობით არის შესაძლებელი;

- არაკოდიფიცირებული, ე.წ. დაუწერელი კონსტიტუციის მქონე სახელმწიფოების მაგალითებია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ახალი ზელანდია და სანმარინო, სადაც ქვეყნის ძირითად კანონს სხვადასხვა რანგისა და სამართლებრივი ფორმის ნორმატიული დოკუმენტების, კონსტიტუციური ჩვეულებებისა და დოქტრინული წყაროების ერთობლიობა ქმნის.

- გადასინჯვის წესისი მიხედვით განასხვავებენ მყარ და მოქნილ კონსტიტუციებს

- დადგენილი მმართველობის ფორმის მიხედვით განასხვავებენ კონსტიტუციებს, რომლებიც აყალიბებს მონარქიულ და რესპუბლიკურ მმართველობის სისტემებს

- დადგენილი ტერიტორიული მოწყობის ფორმის მიხედვით, განასხვავებენ კონსტიტუციებს, რომლებიც აყალიბებს უნიტარულ, ფედერალურ და რეგიონულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემებს.

მეცნიერები კონსტიტუციის სამ ძირითად ფუნქციას გამოყოფენ[1]:

- კონსტიტუციის იურიდიული ფუნქცია სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის რაციონალური და სტაბილური განვითარებისათვის მყარი ნორმატიული ფუნდამეტის შექმნაა. კონსტიტუცია ადგენს სამართლის თითოეული დარგის ფუძემდებლურ პრინციპებს;

- კონსტიტუციის პოლიტიკური ფუნქცია სახელმწიფო სისტემის გარშემო საზოგადოების კონსოლიდაციის უზრუნველყოფაა.

- კონსტიტუციის იდეოლოგიური ფუნქცია საზოგადოებაშო სათანადო ღირებულებების განმტკიცებაა. დემოკრატიული კონსტიტუციის პირობებში ამგვარი ღირებულებები, არსებითად, კონსტიტუციის ფუნდამეტურ პრინციპებში არის ასახული

სწორედ სამართლიანობა, თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა, თანამონაწილეობა, თანხმობა და ურთიერთპატივისცემა არის ის საკვანძო იდეები და ღირებულებები, რომლებიც დემოკრატიულმა კონსტიტუციამ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში უნდა დაამკვიდროს.

---

[1] დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართლაი, თბ. 2014 გვ33

საქართველოში საუკუნეების მანძილზე მიღებული იქნა რამდენიმე სამართლებრივი აქტი (მე-14 საუკუნეში ხელმწიფის კარის გარიგება, მე 18 საუკუნეში დასტულამალი და სხვა), რომელიც სახელმწიფო მოწყობის საკითხებს აწესრიგებდა, თუმცა, ბუნებრივია, აბსოლიტური მონარქიის პირობებში აღნიშნული აქტები კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს არ ეფუძნებოდა. ქართული კონსტიტუციონალიზმის განვითარების ისტორია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებით დაიწყო. საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გამოცხადებული 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი არის პირველი ქართული სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც კონსტიტუციონალიზმის პრინციპებია ასახული. დამოუკიდებლობის აქტით-საქართველო გამოცხადდა დემოკრატიულ რესპუბლიკად ; დადგინდა, რომ ქართული სახელმწიფო თანასწორად უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა;

1921 წლის 21 თებერვალს საბჭოთა არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე 4 დღით ადრე, დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღო. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია იყო იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი და პროგრესული სამართლებრივი დოკუმენტი. 1921 წლის კონსტიტუციის მიღებით, შეიქმნა ის მემკვიდრეობა, რომელსაც გასული საუკუნის 90 იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, სახელმწიფოებრიობის მშენებლობა და კონსტიტუციონალიზმის განვითარება დაეფუძნა.

1921 წელს, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და დამოუკიდებლობასთან ერთდა, მისი ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი- დემოკრატია. ისევე, როგორც, მთლიანად საბჭოთა კავშირში საქართველოშიც დამყარდა ერთპარტიული, ავტორიტარული მმართველობა. შესაბამისად, ქართული კონსტიტუციონალიზმის განვითრების პროცესი 70 წლით შეწყდა. 1921-1990 იან წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ 4 კონსტიტუცია მიიღო. 1922, 1927, 1937 და 1978 წლის კონსტიტუციები მეტწილად საბჭოთა კავშირის შესაბამისი

კონსტიტუციების ადაპტირებული ასლები იყო და არცერთი მათგანი კონსტიტუციონალიზმის იდეასა და ღირებულებებს არ ეფუძნებოდა.

1995 წლის 24 აგვისტოს, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ორიოდე თვით ადრე საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კონ-სტიტუცია მიიღო.

1995 წლის კონსტიტუციის პირვანდელი რედაქცია, მთელი რიგი ცვლილებებით, 2004 წლამდე მოქმედებდა. მთლიანობაში მიღების დღიდან უკანასკნელი საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელებამ-დე, 1997 -2013 წწ-ში საქართველოს კონსტიტუციაში 33 ცვლილება შე-ვიდა.

აღშანიშნავია, რომ 2004 წლის ივლისში საქართველოს პარლამენ-ტმა მიიღო კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბ-ლიკის სტატუსის შესახებ“ შესაბამისად. 2004 წლიდან საქართველოს კონსტიტუცია ფართო გაგებით ორი ნორმატიული დოკუმენტისაგან შედგება.

2018 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფი-ცის დადებასთან ერთად ამოქმედდა საქართველოს კონსტიტუციის ახალი მოქმედი რედაქცია, რომელიც 2017-2018 წლების საკონსტიტუ-ციო რეფომის საფუძველზე შემუშავდა.

კონსტიტუციების კლასიფიკაციის კრიტერიუმების შესაბამისად საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია შეიძლება დახასიათდეს, რო-გორც პარლამენტის მიერ მიღებული, მუდმივმოქმედი, ნაწილობრივ კოდიფიცირებული, მყარი კონსტიტუცია, რომელიც აყალიბებეს სა-პარლამენტო მმართველობის სისტემას და უნიტარულ ტერიტოიულ მოწყობას რეგიონალიზმის ელემენტებით.

საქართველოს კონსტიტუცია ორი ნორმატიული დოკუმენტისა-გან – საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი ტექსტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონისაგან შედგება.

მიუხედავად, იმისა, რომ 2017 -2018 წლების საკონსტიტუციო რე-ფორმის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი ძირეუ-ლად გადაისინჯა, იგი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის სტატუს ინარჩუნებს. საქარ-

თველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია პრეამბულისაგან, 11 თავისა და 78 მუხლისაგან შედგება.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლი ადგენს სახელმწიფო სიმბოლოებს:

- საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებად განისაზღვრება „საქართველო";
- საქართველოს დედაქალაქად გამოცხადებულია თბილისი;
- საქართველოს სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში-აგერთვე აფხაზური. სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით;
- კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი დადგენილია ორგანული კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისათვის განსაზღვრული წესით გადაისინჯება.

9.2. სახელმწიფო მმართველობის მოდელები

სახელმწიფო მმართველობის ძირითადი ფორმებია მონარქია და რესპუბლიკა. სახელმწიფო მმართველობის აღნიშნულ ფორმებს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ მონარქიაში სახელმწიფოს მეთაური თანამდებობას მემკვიდრეობთ იღებს, ხოლო რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაური პირდაპირი ან არაპირდაპირი წესით ხალხის მიერ აირჩევა.

მონაქრიული სისტემები სამ ძირითად სახედ იყოფა:

- აბსოლიტური მონარქია, სახელმწიფო მმართველობის არადემოკრატიული ფორმაა, სადაც სრული ძალაუფლება მონარქის ხელშია კონცენტრირებული.

მონარქი ახორციელებს სამივი სახელისუფლო ფუნქციას- როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო და სასამართლო უფლებამოსილებებს. ზოგიერთ აბსოლუტურ მონარქიაში მონარქს ქვეყნის სასულიერო ლიდერის სტატუსიც კი აქვს მინიჭებული. აბსოლუტური მონარქია ჩამოყალიბებულია მსოფლიოს შვიდ ქვეყანაში:

საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ყატარში, ომანში, ბრუნეიში, ესვატინსა (ყოფილი სვაზილენდი)და ვატიკანში.

- დუალისტური მონარქია არის სახელმწიფო მმართველობის ფორმა, სადაც მონარქი მაღალ სიმბოლურ სტატუსთან ერთად, აღმასრულებელი უფლებამოსილებებითაც არის აღჭურვილი. მონარქის ძალაუფლება იზღუდება არჩეული პრლამენტის მიერ, თუმცა როგორც წესი მონარქს კანონებზე ვეტოს დადებისა და პარლამენტის დათხოვნის აბსოლუტური უფლება აქვს მინიჭებული. დუალისტური მონარქიული სისიტემები მოქმედებს: მაროკოში, იორდანიაში, ქუვეითში, ბაჰრეინში, ბუტანში, ტაილანდში, ტონგაში, მონაკოსა და ლიხტენშტაინში;

- საპარლამენტო მონარქია, მონარქიის ყველაზე დემოკრატიული ფორმაა და იგი, არსებითად, საპარლამეტო რესპუბლიკის იდენტურ სახელმწიფო მმართველობის სისტემას მოიაზრებს. ერთადერთი არსებითი განსხვავება საპარლამენტო მონარქიასა და საპარლამენტო რესპუბლიკას შორის ისაა, რომ პირველ შმთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის სიმბოლური სტატუსი მონარქს, ხოლო მეორე შემთხვევაში-პრეზიდენტს აქვს მინიჭბიული. საპარლამენტო მონარქიული სისტემაა დანერგილი მსოფლიოს 28 ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, კანადა, იაპონია, მალაიზია, ტაილანდი, ნეპალი, ავსტრალია, ახალიზელანდია, კამბოჯა და სხვა.);

- მონარქიის დამოუკიდებელ სახედ შეიძლება გამოიყოს თეოკრატიული მონარქია, რომელიც ქვეყნის სულიერი ლიდერისათვის კონსტიტუციური სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს. თეოკრატიული მონარქიაა: ვატიკანი, რომელიც რელიგიური საფუძვლით შექმნილი სახელმწიფოა და რომელსაც რომის პაპი მეთაურობს. თეოკრატიული მონარქიის ნიშნებს ატარებს: ანდორა. თეოკრატიული ნიშნებით ხასიათდება ირანის ისლამური რესოპუბლიკაც, სადაც ქვეყნის სულიერ ლიდერს კონსტიტუცია სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის ფართოუფლებამოსილებას ანიჭებს.

რესპუბლიკური მმართველობა ძვ. წ. V-I საუკუნეებში იყო ჩამოყალიბებული. რესპუბლიკური მმართველობა მოქმედებდა შუასაუკუნეების იტალიურ ქალაქ- სახელმწიფოებში და გერმანულ თავისუფალ ქალაქებში. კონსტიტუციონალიზმის პრინციპებზე აგებული რესპუბლიკური სისტემა პირველად აშშ-ის 1787 წლის კონსტუტუციის მიღებით დაინერგა.

განასხვავებენ რესპუბლიკური სახელმწიფო მმართველობის სისტემის სამ ძირითად ფორმას- საპრეზიდენტო, ნახევრად საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკა.

- საპრეზიდენტო რესპუბლიკა ხელისუფლების დანაწილების მონტესკიესეულ კონცეფციაზეა აგებული და ხელისუფლების სამ განშტოებას შორის უფლებამოსილებების ხისტი გამიჯვნის პრინციპს ეფუძნება. საპრეზიდენტო სისტემაში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, საკანონმდებლო ხელისუფლებას- პარლამენტი, ხოლო მართლმსაჯულებას-დამოუკიდებელი სასამართლო;

საპარლამენტო რესპუბლიკა, ტრადიციულად, სახელმწიფო მმართველობის ყველაზე დემოკრატიულ ფორმად განიხილება, საპარლამენტო რესპუბლიკაში ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი პრემიერ მინისტრია, რომელიც მთავრობის მიერ აღმასრულებელი უფლებამოსილებების განხორციელებას ერთპიროვნულად ხელმძღვანელობს. ამასთან, საპარლამენტო მმართველობის აუცილებელი ელემენტია პარლამენტის ძლიერი საზედამხედველო უფლებამოსილებები და მისი შესაძლებლობა. საპარლამენტო რესპუბლიკები ევროპაში ჭარბობს, სხვა კონტინენტებზე კი აღნიშნული სისტემა შედარებით იშვიათად გვხვდება;

- ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა, საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკური სისტემების ერთგვარი ნაზავია. კლასიკური ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობა საფრანგენთის 1958 წლის კონსტიტუციის მიღებით დამკვიდრდა. ფრანგულ სისტემაში პრეზიდენტი უშუალოდ ხალხის მიერ აირჩევა და იგი არის როგორც სახელმწიფოს, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. პრეზიდენტი თავჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს, რომელიც პრეზიდენტისა და მთავრობისაგან შემდგარი აღმასრულებელი ორგანოა. მთავრობას პრეზიდენტი დამოუკიდებლად აყალიბებს. ევროპის რამოდენიმე სახელმწიფოში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო მმართველობის ჰიბრიდული მოდელები, სადაც აღმასრულებელი ძალაუფლების ძირითადი მფლობელი მთავრობაა, თუმცა, პრეზიდენტი მას აღმასრულებელი ძალაუფლების გარკვეულ, შედარებით მცირე ნაწილს ეცილება (მაგ, პორტუგალია, პოლონთი, ფინეთი, ლიტვა) ამგვარ მოდელებს, ხშირად შერეულ სისტემად მოიხსენიებენ;

- უნიკალური რესპუბლიკური მმართველობის სისტემებია ჩამოყალიბებული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და შვეიცარიაში.

- სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აღმასრულებელ უფლებამოსილებებს პრეზიდენტი ახორცუიელებს, თუმცა იგი, პარლამერნტის მიერ აირჩევა და პარლამენტს მისთვის უნდობლობის გამოცხადება პოლიტიკური მოტივით მარტივი პროცედურის საფუძველზე შეუძლია;

- შვეიცარიაში პრეზიდენტის ფუნქციას მთავრობის ერთ-ერთი წევრი ითავსებს, რომელიც ამ პოსტს ერთი წლის ვადით, განმეორებით არჩევის უფლების გარეშე იკავებს.

გარდა მონარქიული და რესპუბლიკური სისტემებისა, მსოფლიოს რამდენიმე სახელმწიფოში დამკვიდრებულია ერთპარტიული რეჟიმები, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება სრულად მმართველი პარტიის ხელშია კონცენტრირებული, ამგვარი სისტემები მოქმედებს ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეში, ვიეტნამში, ლაოსში, ერითრეასა და კუბაში.

საქართველოში დამკვიდრებულია კლასიკური საპარლამენტო მმართველობის სისტემა, რომლის ძირითადი რგოლებია, პარლამენტი, მთავრობა და სასამართლო ხელისუფლება. საპარლამენტო მოდელი ქმნის საუკეთესო ნიადაგს, იმისათვის რომ საქართველოში ევროპული ტიპის დემოკრატიული და პლურალისტული მმართველობისა და პოლიტიკური სისტემები ჩამოყალიბდეს. საპარლამენტო მმართველობის ახალ ქართულ მოდელში ხელისუფლების თითოეული გამნშტოება აღჭურვილია კონკრეტული ფუნქციით კანონებთან მიმართებით: პარლამენტი იღებს, მთავრობა აღასრულებს, ხოლო სასამართლო ხელისუფლება შეუფარდებს კანონებს. პარლამენტი არის უმაღლესი ხელისუფლების ერთადერთი ორგანო, რომელიც პირდაპირი ლეგიტიმაციით სარგებლობს და ხალხის ინტერესების უმაღლეს წარმომადგენლობას უზრუნველყოფს.

მთავრობა საქართველოში არის უმაღლესი ხელისუფლების ერთადერთი ორგანო, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს. – საქართველს პრემიერ- მინისტრი არის მთავრობის მეთაური და ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი. მთავრობა და პრემიერ -მინისტრი საპარლამენტო მმართველობის სისტემაში აღჭურვილი არიან ფართო ძალაუფლებით, რომლის კონტროლი და დაბალანსება, ძლიერი პარლამენტისა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ფუნქციაა.

სასამართლო ხელისუფლება საქართველოში ორი რგოლისაგან - საკონსტიტუციო სასამართლოსაგან და საერთო სასამართლოების სისტემისაგან შედგება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ფუნქციაა საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასებაა, ხოლო საერთო სასამართლოები სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეებს განიხილავენ. საერთო სასამართლოების სისტემა თვითორგანიზების პრინციპს ეფუძნება.

საპარლამენტო რესპუბლიკური მოწყობის პირობებში, საქართველოს პრეზიდენტი არ ფლობს აღმასრულებელ ძალაუფლებას და შესაბამისად, არ არის ხელისუფლების დანაწილების, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების კლასიკური სისტემის ნაწილი. ის არის სიმბოლური თვალსაზრისით, უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც მეთწილად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი.

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითო ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშიანაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში, კონტროლს უწევს მთვარობის საქმიანობას და ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციიათა და საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

9.3 ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის თეორიულიასპექტები

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა არის პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთმიმართების სისტემა, რომელიც სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებებს შორის მოქმედებს. სახელმწიფოს დაყოფას ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, უპირველეს ყოვლისა საფუძვლასდ უდევს მართვის რაციონალიზაციის აუცილებლობა- ბუნებრივია სახელმწიფო ამოცანების შესრულება გაცილებით ეფექტიანად შე-

უძლია შედარებით მცირე ტერიტორიაზე მოქმედ მმართველობის ორ-განოს, ვიდრე ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებას.

ტერიტორიული მოწყობის არსის განსაზღვრისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფოს ფედერალიზაციის მმართველობის სისტემის დეკონცენტრაციისა და მმართველობის სისტემის დეცენ-ტრალიზაციის ცნებები.

- სახელმწიფოს ფედერალიზაცია გულისხმობს, რომ სახელმწი-ფო პოლიტიკური ავტონომიის მქონე კვაზისახელმწიფოებრივ წარმო-ნაქმნებად ფედერაციის სუბიექტებად არის დაყოფილი;

- მმართველობის სისტემის დეკონცენტრაცია, როგორც წესი რეგიონული მოწყობის მქონე უნიტარული სახელმწიფოებისათვის არის დამახასიათებელი. დეკოცენტრაცია გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების განსაზღვრული უფლებამოსილებების გადაცემას იმ-გვარი-ტერიტორიული ერთეულებისათვის, რომლებიც არ სარგებლო-ბენ პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ავტონომიით. ასეთ დროს ტერიტორიული ერთეული, ცენტრალური ხელისუფლების სამხარეო ან ადგილობრივ განზომილებად გვევლინება, მაგალითად საქართვე-ლოს ქალაქებსა და რაიონებში 1992-2006 წწ-ში ადგილობრივ ხელი-სუფლებას საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული მერები და გამგებლები ახორციელებდნენ. მერები და გამგეობები არ სარგებ-ლობდნენ არავითარი ავტონომიით და ისინი სრულად ექვემდებარე-ბოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, ამგვარი სისტემა დეკონცენ-ტრირებული მმართველობის კლასიკური მაგალითია;

- მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია დამახასიათებე-ლია, როგორც უნიტარული, ისე ფედერაციული სახელმწიფოებისათ-ვის. დეცენტრალიზაციის პირობებში ქვეყანა სახელმწიფო ხელისუფ-ლებისაგან სტრუქტურულად და ორგანიზაციულად დამოუკიდბელ თვითმმართველ ერთეულებად იყოფა. თვითმმართველი ერთეულები შეიძლება შეიქმნას და ფუნქციონირებდეს, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე.

- განასხვავებენ პოლიტიკურ – ტერიტორიული მოწყობის სამ ძირითად ფორმას- უნიტარიზმს, ფედერალიზმს და რეგიონალიზმს.[1]

---

[1] გონაშვილი ვ; ერემაძე ქ; თევდორაშვილი გ; კახიანიგ; კვერენჩხილაძეგ; ჭიღლა-ძე ნ; შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბ. 2016, გვ149.170

- უნიტერული სახელმწიფო იყოფა ტერიტოიურ- ერთეულებად, რომლებიც პოლიტიკური ავტონომიით არ სარგებლობენ. უნიტარულ სახელმწიფოში მოქმედებს კანონმდებლობის, მმართველობისა და მართლმსაჯულების ერთიანი სახელმწიფო სისტემა. უნიტარულ სახელმწიფოში სრულფასოვანი დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირებისათვის დეცენტრალიზაციის მაღალ ხარისხსა და ფართო ადმინისტრაციული ავტონომიის მქონე ადგილობრივი თვითმართველობის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება;

- უნიტარული სახელმწიფოსაგან განსხვავებით ფედერალური სახელმწიფოს უმსხვილესი ტერიტორიული ერთეული- ფედერაციის სუბიექტი კვაზი სახელმწიფოებრივი წარმმონაქმნია და შესაბამისად, იგი არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ ფართო პოლიტიკური ავტონომიითაც სარგებლობს. ფედერაციის სუბიექტის კვაზი სახელმწიფოებრივი ბუნება შემდეგი ძირითადი ნიშნებით ვლინდება: ფედერაციის სუბიექტს, როგორც წესი აქვს საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი და მთავრობა, ხშირად ასევე საკუთარი სასამართლო სისტემა და ზოგჯერ შეიარაღებული ძალებიც კი; ფედერაციულ სახელმწიფოებში, არც თუ იშვიათად მოქმედებს ორმაგი-ფედერაციისა და ფედერაციის სუბიექტის მოქალაქეობის ინსტიტუტი ფედერალური მოწყობა კონსტიტუციურ დონეზე პირველად აშშ-ში განმტკიცდა, ამჟამად კი ფედერალიზმი მსოფლიო სახელმწიფოების დაახლოებით 1/3 ში მოქმედებს. (აშშ. კანადა, მექსიკა, ბრაზილია, გერმანია, ავსტრი, შვეიცარია, ბელგია, რუსეთი, ინდოეთი, პაკისტანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ნიგერია, ეთიოპია და სხვა);

- რეგიონალიზმი არის სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ერთგვარი შუალედური ფორმა უნიტარულსა და ფედერალურს შორის. უნიტარული მოწყობისაგან განსხვავებით რეგიონალიზმის პირობებში, რეგიონებს ენიჭება არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ პოლიტიკური ავტონომიაც. მათ აქვთ დამოუკიდბელი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები. რეგიონები საკმაოდ ფართო ფინანსური ავტონომიით სარგებლობენ. თუმცა ფედერალური მოწყობისაგან განსხვავებით რეგიონი არ განიხილება კვაზი სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად. ასეთ დროს, რეგიონის ძირითადი კანონი ჩვგეულებრივ ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების მიერ

მტკიცდება. გარდა ამისა როგორც წესი რეგიონში მოქმედებს სახელმწიფოს წარმომადგენლის ინსტიტუტი, რომლის ფუნქცია რეგიონში მოქმედი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ხელმძღვანელობა და სეხელმწიფო ორგანოებსა და რეგიონის ხელისუფლებას შორის კორდინაციის უზრუნველყოფაა. რეგიონალიზმისთვის განსაზღვრული პირობების შექმნისას ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონული ხელისუფლების დათხოვნის შესაძლებლობაა დამახასიათებელი.

ფედერაციისაგან განსხავებული წარმონაქმნია კონფედერაცია, რომელიც არა ერთიანი სახელმწიფო, არამედ სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირია. კონფედერაციის პირობებში სახელმწიფოები ქმნიან გაერთიანებას საერთო პოლიტიკური ეკონომიკური, სამხარეო ან სხვა მიზნების მისაღწევად.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა შეიძლება იყოს სიმეტრიული ან ასიმეტრიული. სიმეტრიული მოწყობის პირობებში ერთი და იგივე დონის თითოეული ტერიტორიული ერთეული ერთნაირი სამართლებრივ-პოლიტიკური სტატუსითა და კომპენტენციებით სარგებლობს. ასიმეტრიული მოწყობის პირობებში კი, ერთი და იგივე დონის ტერიტორიული ერთეულების სტატუსი და უფლებამოსილებები მნიშვნელოვნად განსხავავდება ერთმანეთისაგან. სიმეტრიული ტერიტორიული მოწყობის მქონე სახელმწიფოა მაგალითად, გერმანია, რომელიც ერთგვაროვანი სამართლებრივი სტატუსისა და უფლებამოსილებების მქონე 16 ფედერაციის სუბიექტისაგან შედგება. ამის საპირისპიროდ ასიმეტრიული ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფოა იტალია, რომელიც ჩვეულებრივი ავტონომიური სტატუსის მქონე 15 რეგიონსა და სპეციალური ავტონომიური სტატუსის მქონე 5 რეგიონს აერთიანებს.

სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა შესაბამისი ქვეყნის ისტორიულ და პოლიტიკურ თავისებურებათა შესაბამისად უნდა განისაზღვროს. არსებული მდგომარეობით საქართველო არის დეცენტრალიზებული ასიმეტრიული, რეგიონული მოწყობის ნიშნების მქონე, უნიტარული სახელმწიფო. მის შემადგენლობაში შედის სამხარეო დონეზე შექმნილი სამი ტერრიტორიული ერთეული: 2 ავტონომიური რესპუბლიკა, რომელთაგან არცერთი არ არის კვაზი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტო-

ნომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი აწესრიგებს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტიუს თანახმად „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილოებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომელბიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივ საფუძვლებს განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ". კონსტიტუციური კანონის თანამხმად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლება საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება. გარდა ამისა, კონსტიტუციური კანონი ადგენს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლების ორგანოების შექმნა, მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისად არის დასაშვები. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" კონსტიტუციური კანონი ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირებაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უშუალო მონაწილეობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივ საფუძვლებს ადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც აფხაზეთს ავტონომიურ რესპუბლიკად აცხადებს, აგრეთვე აფახაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია (ამჟამდ ძალაშია კონსტიტუციის განახლებული რედაქცია). საქართველოს კონსტიტუცია ადგენს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი საქართველოს კონსტიტუციური კანონით უნდა განისაზღვროს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეული. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ანალოგიურად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსიც რეგიონალიზმის პრინციპებს ეფძნება,. იგი არა არის არც ფედერაციის სუბიექ-

ტი, არც დეკონცენტრირებული მმართველობის განმახორციელებელი ტერიტორიული ერთეული და არც თვითმართველი ერთეული. ბუნებრივია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი სტატუსი დროებითია და იგი უსათუოდ შეიცვლება აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

2007 წლის 13 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ.“ აღნიშნულმა კანონმა შექმნა სამართლებრივი საფუძველი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შეასქმნელად.კანონით გათვალისწინებული დროიებითი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის დადგენილებით. დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ახორციელებს დეკონცენტრირებული სახელმწიფო მართველობას. 2008 წლიდან, დროებითი ადმინისტრაცია დევნილობაში ფუნქციონირებს.

ამჟამად საქართველოს შეამდგენლობაში შედის რეგიონული ნიშნით შექმნილი მხოლოდ სამი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული - აჭარის ავტონომიური, რესპუბლიკა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე სამხარეო მართველობა არ მოქმედებს. თუმცა, 1993 წლიდან, საქართველოში შემოღებული იქნა ე.წ. სამხარეო რწმუნებულის ინსტიტუტი ამჟამად, ქვეყნის 9 ისტორიულ -გეოგრაფიულ რეგიონში - მცხეთა მთიანეთი, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში მოქმედებენ და თანამდებობრივ უფლებამისილებებს ახორციელებენ სახელმწიფო რწმუნებულები. სახელმწიფო მრწმუნებელი არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს საქართველოს მთავრობა.

„ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, სახელმწიფო მრწუნებულებთან შეიქმნა სამხარეო საკონსულტაციო სამბჭოები. საბჭო არის არაწარმომადგენლობითი ორგანო, არამედ შესაბამისი მუნიციპალიტეტების საკონსულტაციო ორგანო რომლის მიზანია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება შესაბამისი მხარის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივათ შედის ყველა შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავჯდომარე და საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე.

ქვეყანაში ადგილობრივი ხელისუფლების თვითმართველობის პრინციპის საფუძველზე განხორციელება, სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპების რეალიზების აუცილებელი პირობაა. სახელმწიფოს დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებისათვის, აუცილებელია მისი კონსტრუქცია „ქვევიდან ზევით“ იყოს აგებული. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების სისტემის დემოკრატიულ საწყისებზე ჩამოყალიბებას საერთო სახლმწიფოებრივი დემოკრატიის რეალიზებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება.

თვითმართველობა არის სახელმწიფო მოწყობის კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც ხელისუფლების ვერტიკალურ დანაწილებას და მართველობის სისტემის დეცენტრალიზაციას მოითხოვს. დეცენტრალიზებული სახელმწიფო იყოფა თვითმართველ ადმინისტრაციულ – ტერიტორიულ ერთეულებად, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ ადმინისტრაციული ავტონომიით სარგებლობენ. განსხვავებით ადგილობრივი მართველობისაგან, ადგილობრივი თვითმართველობისათვის დამახასიათებელია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევითობა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. კონცეფტუალური თვალსაზრისით, ადგილობრივი თვითმართველობა ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელ ნაწილად განიხილება. რადგან მისი ფუნქცია სახელმწიფო კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრული პოლიტიკის ადგილობრივ დონეზე აღსრულებაა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, თვითმართველი ერთეული თავის ორგანიზაციულ მოწყობას ადგენს დამოუკიდებლად, ორგანული კანონის შესაბამისად ამასთან, ადგილობრივი თვითმართველობის ინსტიტიცურ მოწყობას, ზოგადი სახით, კონსტიტუცია თავადვე აწესრიგებს.

სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივი თვითმართველობის განსხვავებული ინსტიტუციური მოდელებია დანერგილი. „ადგილობრივი თვითმართველობის ევროპული ქარტია“ თვითმართველი ერთეულის აუცილებელ ატრიბუტად განიხილავს საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობას.

9.4. საქართველოს სახელმწიფოებრივ – ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური საფუძვლები და სახელისუფლო დონეების საკითხები

სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ქვეყანაში სახელისუფლო დონეების რაოდენობის განსაზღვრა, შესაბამისად კომპეტენციისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნაა. მმართველობის დონეებია: ცენტრალური, სამხარეო, რაიონული, მუნიციპალური.

სამხარეო სახელისუფლებო დონეს არსებობის რამდენიმე წინაპირობა გააჩნია, რაც განპირობებულია ქვეყნის ეთნოგრაფიულ გეოგრაფიული და სამეურნეო მრავალფეროვნებით.

დღეს საქართველოში მხარეები ფაქტიურად არსებობს როგორც ისტორიულად და ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიულად, ისე ეკონომიკურად და პოლიტიკურად.

ხელისუფლების მესამე დონეს წარმოადგენს რაიონული დონე, ამ საკითხში გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯია წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების მოწყობა (საკრებულოები). ძლიერი რეგიონული და მუნიციპალური (საკრებულო) სტრუქტურების ჩამოყალიბების შემდეგ საქართველოში ხელისუფლების მხოლოდ სამი დონის არსებობა იქნება ოპტიმალური: ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი. შემდგომში, როცა ჩამოყალიბდება ქმედითუნარიანი მუნიციპალური და რეგიონული სტრუქტურები, განისაზღვრება მათი უფლებამოსილებები, მათი საქმიანობა მთლიანად გადაფარავს დღევანდელი რაიონის უფლებამოსილებებს.

ხელისუფლების მეოთხე დონეს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობები, რომელთა ჩამოყალიბების მოდელი აუცილებლად უნდა ემყარებოდეს ორ ძირითად პრინციპს:

1. ხელი შეუწყოს დემოკრატიული მართვის სისტემის შექმნასა და დამკვიდრებას.

2. უზრუნველყოს ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემს სწრაფად და ეფექტიანად გადაჭრას მათ წინაშე მდგარი ამოცანები, დაძლიოს ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი სუსტი მხარეები.

საქართველოში სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის არჩეული მოდელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

1. საქართველოს როგორც ერთიანი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვა,

2. ადამიანისა და ეროვნული უმცირესობების უფლებათა გარანტიების შექმნა.

3. ეკონომიკის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

4. დემოკრატიული მართვის ტრადიციების დაფუძნება.

სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ფორმებთან დაკავშირებით განიხილება ორი ფორმა: ფედერალური და უნიტარული სახელმწიფო.

მიუხედავად იმისა, თუ სახელმწიფო მოწყობის რომელ ფორმას მიენიჭება უპიერატესობა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა უნდა ემსახურებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ძლიერი და ქმედითუნარიანი ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც შეეძლება საერთო ეროვნული პრობლემების მოგვარება. მას უნდა გააჩნდეს ისეთი უფლებამოსილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების გატარებას, ქვეყნის დაცვას საგარეო საფრთხისაგან და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას.

2. უნდა არსებობდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის უნიფიცირებული სისტემა.

3. უნდა შეიქმნას პირობები ადგილობრივი თავისებურებებისა და სპეციფიკის განვითარებისათვის. მოხდეს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა ინტერესების ჰარმონიზაცია.

4. ცენტრალური ხელისუფლება ისეთი უფლებამოსილებით უნდა აღიჭურვოს, რომელიც მას საშუალებას მისცემს ჩაერიოს ადგილობ-

რივ ორგანოთა საქმიანობაში იმ საგანგებო სიტუაციებში, როდესაც საფრთხე ექმნება ქვეყნის კონსტიტუციური წყობის საფუძვლებს და ერთიანობას.

იკვეთება ტერიტორიული მოწყობისადმი ორი ძირითადი მიდგომა:

1. მკვეთრად ცენტრალიზებული სახელმწიფო წყობილების ფორმა, როცა ცენტრალური ხელისუფლების ხელში იქნება თავმოყრილი ყველა სახელმწიფო ფუნქცია.

2. უნდა მოხდეს უფლებამოსილებათა გადანაწილება ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის.

დემოკრატიის განვითარების პირობებში ხელისუფლებას შეუძლია და ვალდებულიცაა გამოხატოს და ცხოვრებაში გაატაროს საერთო ეროვნული ინტერესები, მაგრამ ის უუნაროა გაითვალისწინოს რეგიონული სპეციფიკური პირობები. აქედან გამომდინარე დეცენტრალიზმი გაზრდის რეგიონებში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობების რეგულირების შესაძლებლობებს, რაც თავისთავად აამაღლებს მართვის დონეს და ეფექტიანობას. თავის მხრივ ცენტრალური ხელისუფლება გათავისუფლდება სპეციფიკური ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტისაგან, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას უფრო ხელეწიფება და შესაბამისად, ცენტრალურ ხელისუფლებას მეტი შესაძლებლობა ექნება კონცენტრირება მოახდინოს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საკითხებზე.

9.5. სახელმწიფო ურთიერთობები ფედერალიზმის პირობებში

ფედერალიზმის განსაზღვრა ძირითადად სამ კრიტერიუმს ეფუძნება კერძოდ ფედერალურ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს:

1. სახელმწიფო მართვის ორრგოლიანი სტრუქტურა.

2. რეგიონული რგოლი არ უნდა იყოს დამოკიდებული მაღალზე, საერთო ეროვნულზე.

აღნიშნულს შეიძლება დაემატოს, რომ ნამდვილი ფედერალური სახელმწიფოს მთავარი კრიტერიუმი არის ტერიტორიული პრინციპის გამოყენება, რეგიონულ საფუძველზე მოქალაქეთა თანაბარი პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველყოფით ორგანიზაციებში.

აქედან ორი მნიშვნელოვანი გარემოება გამომდინარეობს. უპირველეს ყოვლისა ნამდვილ ფედერაციაში, ცენტრს არა აქვს უფლება შეცვალოს, ან გააუქმოს ფედერაციის სუბიექტების საზღვრები, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფედერაციული სახელმწიფოს ნორმალურად ფუნქციონირება შესაძლებელია, მხოლოდ პარტნიორობის, კომპრომისების, მუდმივად ძებნისა, მოლაპარაკებითი პროცესებისადმი ერთგულების, ურთიერთმოთმინებისა და პატივისცემის პირობებში, ასევე მნიშვნელოვანია ცენტრის მიერ ფედერაციის სუბიექტების სპეციფიკური ინტერესების, ხოლო სუბიექტების მიერ ცენტრის უფლებების აღიარება.

ამრიგად, ფედერაციულ პროცესს აქვს ნათლად გამოხატული პოლიტიკურ-კულტურული განზომილება, იმისათვის რომ ობიექტურად არსებულმა ეთნოკულტურულმა, ან ქვეყნის რეგიონულმა განსხვავებამ ასახვა ჰპოვოს პოლიტიკურ პროცესში და მოახდინოს მისი სტრუქტურირება. საჭიროა სპეციფიკური პოლიტიკური კულტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდებსა და ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობას ასეთ თანამშრომლობას კონსოციალიზმს უწოდებენ. აქედან შეიძლება გარკვეული დასკვნა გაგვეკეთებინა. კერძოდ ის, რომ მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ძალუძთ იყვნენ ნამდვილი ფედერაციები, რადგანაც მმართველობის მხოლოდ დემოკრატიულ ფორმას შეუძლია უზრუნველყოს მოლაპარაკებების ნორმალური პროცედურა ცენტრსა და ფედერაციის წევრებს შორის.

ფედერალიზმის შესახებ ერთ-ერთი ყურადსაღები განმარტების თანახმად სახელმწიფოებრივი მოწყობის ეს ფორმა წარმოადგენს სოციალური კონტროლის ტერიტორიულ სტრატეგიებს სხვადასხვა ეთნოსების, ან რეგიონების თანაარსებობის უზრუნველსაყოფად.

ნამდვილი ფედერალიზაცია, უნიტარულ სახელმწიფო ცენტრალიზაციისაგან იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი არ სპობს იერარქიას „ცენტრი-პერიფერია“, მაშინ, როდესაც ფედერაციულ სახელმწიფოში არ არის მაკონტროლებელი და დაქვემდებარებული ცენტრები, არის მხოლოდ პოლიტიკური მოღვაწეობის დიდი და მცირე არხები. ფედერალიზმის არსი სხვადასხვა მმართველობით ფუნქციაშია, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკურ არენაზე და სხვადასხვა ნიშნებში რეალიზდება.

არსებობს ათი ჩამონათვალი, რომელთაგან პირველი ოთხი საშუალებას იძლევა ფედერაცია განვასხვავოთ კონფედერაციისაგან, ხოლო დანარჩენი ექვსის საშუალებით კი შეიძლება განვასხვაოთ უნიტარული სახელმწიფოსაგან.

1. აქვთ თუ არა ცენტრალურ ხელისუფლებებს საგარეო პოლიტიკაზე და ქვეყნის თავდაცვაზე განსაკუთრებული კონტროლი?

2. არსებობს თუ არა კონსტიტუციური გარანტიები სეპარატიზმისა და სახელმწიფოს დაცემის საწინააღმდეგოდ ?

3. არის თუ არა ცენტრალური ხელისუფლების მოღვაწეობა დამოკიდებული სახელმწიფოს დანარჩენი ნაწილების მოწონებაზე და მატერიალურ რესურსებზე?

4. ვინ ფლობს კონსტიტუციაში შესწორების საბოლოო მიღების უფლებას?

მომდევნო ექვსი ჩამონათვალი შეიცავს უნიტარული სახელმწიფოსაგან ფედერაციის განმასხვავებელ ნიშნებას.

1. ფლობენ თუ არა სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილები ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვეობის გარანტიებს?

2. უზრუნველყოფილია თუ არა სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილის თანაბარი წარმომადგენლობის გარანტია პარლამენტის რომელიმე ერთ პალატაში, მათი რეალური წონისა და საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში, მათი მონაწილეობის უფლებამოსილების მიუხედავად?

3. არის თუ არა საერთო სახელმწიფოებრივი ინსტანცია, რომელიც ფლობს საერთო სახელმწიფოებრივი აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი კონტროლის უფლებას?

4. შეინარჩუნა თუ არა რეგიონულმა ხელისუფლებამ უფლებამოსილებანი, რომლებიც საერთო სახელმწიფოებრივმა კონსტიტუციამ არ გადასცა ცენტრალურ ხელისუფლებას?

5. არსებითია, თუ მეორეხარისხოვანი ეს უფლებამოსილებანი?

6. საკმაოდ მკვეთრად თუ არის კომპეტენციები გამიჯნული ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებებს შორის.

ფედერალიზმი – არის სუვერენულ სახელმწიფოს ფორმის შესახებ ინსტიტუციური შეთანხმება, რომელიც სხვა სახელმწიფოებისაგან გამოირჩევა მხოლოდ იმით, რომ მისი რეგიონული ერთეულები, კონ-

სტიტუციურად დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად მონაწილეობას იღებენ ცენტრალური მთავრობის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში1 ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, მსოფლიოში 24 ფედერაციული სახელმწიფოა. ფედერაციულია ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა ინდოეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ბრაზილია, რუსეთი და სხვა. ფედერაციულ სახელმწიფოებში თავმოყრილია მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით მესამედი და მათში ფუნქციონირებენ 300 ზე მეტი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.

გარდა აღნიშნულისა მსოფლიოს 22 სახელმწიფო იურიდიულად არ წარმოადგენს ფედერაციულს, მაგრამ მათი სახელმწიფოებრივი მოწყობა მოიცავს ფედერაციის ელემენტებს. გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს კვაზი ფედერაციები შეიძლება დაიყოს:

ა. მცირე კუნძულოვან სახელმწიფოებად ასეთებია (ფიჯი, ანტიგუა,ბარბუდა, პაპუა-ახალი გვინეა, სოლომონის კუნძულები, ვანუატუ-ახალი გებრიდები)

ბ. დასავლეთ ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოები რეგიონალიზმის ხანგძლივი ტრადიციებით (დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ფინეთი)

გ. აზიის, აფრიკის მრავალფეროვანი ქვეყნები კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობებით (ბირმა, განა, ნამიბია, სუდანი, თანზანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა)

კვაზი ფედერაციები დაფუძნებული არიან მათი შემადგენელი ნაწილების მიერ კონსტიტუციური ძალის მქონე შეთანხმებით.

თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში ფედერალიზმის პრინციპები, ძალიან ფართოდ გამოიყენება და ამასთან, არამხოლოდ სახელმწიფოებრივ დონეზე. ფედერაცია შეიძლება დავარქვათ მუნიციპალიტეტთა გაერთიანებებს, მაგალითად საქალაქო აგლომერაციის საზღვრებში, სახელმწიფოს ზედა დონეზე (ევროკავშირში, რომელიც არსებითად თანდათან კონფედერაციაში გადადის) და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობაშიც.

ფედერალიზმის პრინციპების დიდი პოპულარობა თანამედროვე მსოფლიოში განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური გარემოებითა და პარადიგმებით თანამდეროვე მსოფლიო საზოგადოებისათვის და მისი განვითარებისათვის დამახასიათებელია ქვეყნების მზარდი

ურთიერთდამოკიდებულება და მრავალრიცხოვანი არხების ფუნქციონირება. მხედველობაშია ინფორმაციების, ფინანსური ნაკადების, საქონლის, ენერგიისა და სხვათა გავრცელება.

ფედერალიზმის ცნობილი მკვლევარი დ. ელაზარი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ფედერალიზმს, როგორც ერთიანობისა და მრავალსახეობისაკენ მისწრაფებათა წინააღმდეგობების გადაწყვეტის საშუალებას და ფედერალიზმს, როგორც მიზანს, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ტიპს, რომლის აშენებასაც ესწრაფვიან მისი დამაარსებლები, მოქალაქეთა პოლიტიკური კულტურის ხასიათის გათვალისწინებით.

როგორც პრაქტიკიდან ჩანს ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ე.წ. ქვემოდან და ზემოდან შექმნილი ფედერაციები.

ქვემოდან შექმნილად მიიჩნევა ისეთი ფედერაცია, რომელიც ჩამოყალიბებულია მისი შემადგენელი ნაწილების ელიტათა შორის შეთანხმების საფუძველზე და რომელიც ასახავს ტერიტორიის ეთნოკულტურულ და სხვაგვარ დიფერენციაციას.

ზემოდან შექმნილად მიიჩნევა ისეთი ფედერაცია, რომელიც ფორმირებულია საერთო სახელმწიფოებრივი ელიტის გადაწყვეტილებით, რომელიც ახორციელებს გარკვეულ პოლიტიკურ პროექტს.

საერთოდ, ფედერაციების ფორმირების მიზეზებსა და გარემოებებს შორის გამოიყოფა:

1. გეოპოლიტიკური მიზეზები (საგარეო საშიშროების მიმართ ერთობლივად წინააღმდეგობის გაწევა)

2.ეკონომიკური გარემოებანი (სახელმწიფოთა ტერიტორიების გაერთიანების ხელსაყრელობის რეალიზაცია და უფრო ფართო ბაზრის შექმნა)

3.ეთნოტერიტორიული და არატერიტორიული მიზეზები (კომპაქტურად განლაგებული ეთნიკური, ან სხვაგვარი ერთობების უფლებათა აღიარება, მათ მიმართ დაშვებული ისტორიულ უსამართლობათა აღმოფხვრა)

4. მოსახლეობის სოციალურ-ტერიტორიული ჯგუფების პოლიტიკური მობილიზაციის აუცილებლობა.

ფედერაციული სახელმწიფოები კლასიფიცირდებიან ცენტრსა და ფედერაციის წევრებს შორის ურთიერთობათა ასიმეტრიულობის ხარისხით, ფედერაციის წევრთა დე-იურე უთანხმოებით, იმ ფაქტორე-

ბის თანაფარდობით, რომლებიც რეგიონების ავტონომიურობას ხელს უწყობენ ან მის სწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

დეზინტეგრაციის ფაქტორებს შორის ფიგურირებენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სახელმწიფოების წინა გამოცდილება, განსხვავება ეკონომიკურ სტრუქტურაში, რეგიონების გეოგრაფიულად განპირობებული იზოლირებულობა, რეგიონული ეკონომიკური ინტერესები, ეთნიკური განსხვავებანი და სხვა.

თანამედროვე პრაქტიკა ყურადღებას ამახვილებს და გამოჰყოფს ფედერალიზმის სამ თეორიულ მოდელს: ამერიკულს, შვეიცარიულს და კანადურს.

ფედერალიზმის ამერიკულ გაგებაში სუვერენიტეტი ხალხს ეკუთვნის და ხელისუფლების სხვადასხვა განსხვავებული დონეები ახორციელებენ, მხოლოდ იმ უფლება მოვალეობებს, რომლებიც მათ ხალხის მიერ აქვთ დელეგირებული. ფედერალიზმის ამერიკული მიდგომა ინსტრუმენტალურია: მნიშვნელოვანია შედეგები, რომლებიც შეიძლება მივიღოთ ფედერალიზმის დახმარებით და არა თვით ინტერესების შეთანხმების ძიების პროცესის ერთიანობის მხარდასაჭერად.

შვეიცარული ფედერალიზმი პირველი თანამედროვე ფედერაციაა, რომელიც აგებულია ეთნო-ლინგვისტიკურ საფუძველზე. ფედერაციის სუბიექტების სიმრავლე, მსხვილ სახელმწიფო წარმონაქმნებში თემის სახის ჯგუფების კონცენტრაციის არსებობა იმთავითვე წარმოადგენდა კონფლიქტების საწინააღმდეგო გარანტიას. ამის გარდა, ფედერალიზმის შვეიცარიული მოდელისათვის დამახასიათებელია პოტენციური კონფლიქტური პრობლემების დეპოლიზაცია უფლებამოსილებათა მაქსიმალურად დაბალ დონეზე დელეგირების გზით-ოლქებში, კომუნებში და არა კანტონებში.

კანადური ფედერალიზმის მოდელი ეფუძნება არა მხოლოდ მრავალკულტუროვანი საზოგადოების შექმნის პრინციპს, არამედ აგრეთვე იმის შესახებ წარმოდგენასაც, რომ ფედერალური სისტემა შეიძლება შეესაბამებოდეს საპარლამენტო რეჟიმს.

ამჟამად არსებული ფედერაციათა ძირითადი ტიპებია:

1. დასავლეთ ევროპული ტიპი – ამ ტიპის უმრავლესი წარმომადგენლები არიან გერმანია, ავსტრია, ბელგია, შვეიცარია ანუ ძველი დასავლეთ ევროპული დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც არიან, ან

არ არიან დაკავშირებული მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურით, თვითმართველობის ხანგძლივი ტრადიციებით, შემადგენელი ნაწილების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობით. პოლიტიკურ და ეთნიკურ ინდუსტრირებას შორის მყარი თანაფარდობით. ამავე ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც, კერძოდ: იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი და ა.შ.

2. ჩრდილო ამერიკული ტიპი – აქ თავმოყრილია ძველი ინგლისურენოვან „გადასახლებულთა" ფედერაცია, რომელიც შექმნილია „ქვემოდან" ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობის საფუძველზე და ნაკლებად არიან დაკავებულები ეთნიკურ და სხვაგვარ სოციალურ განსხვავებებთან. ამ ტიპის ფედერაციის ქვეყნები ხასიათდებინ მყარი პოლიტიკური იდენტურობით და სახელმწიფო ხელისუფლების ძალიან დიდი დოზის დეცენტრალიზაციით. ფედერაციის ჩრდილო ამერიკული ტიპის წარმომადგენელი სახელმწიფოებია: აშშ, კანადა, ავსტრალია.

3. ლათინო ამერიკული ტიპი – გულისხმობს მექსიკას, არგენტინას, ვენესუელას, ბრაზილიას. ეს ტიპი წარმოადგენს „გადასახლებულთა" ფედერაციას, რომელიც შექმნილია „ზემოდან" ესპანეთისა და პორტუგალიის იმპერიების და ნაწილი მათი კოლონების დაცემის შედეგად. ამ ტიპის ფედერაციული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია ის, რომ არ არიან დაკავშირებული ეთნიკურ განსხვავებებთან. ამ ტიპის ქვეყნებში რეგიონების სიმრავლე და ფედერაციის ასიმეტრიულობა უკავშირდება ტერიტორიებისაგან ახალი თანაბარ უფლებიანი სუბიექტების შექმნას, ან კიდევ ახალი სუბიექტების შექმნას „ძველი" შტატების დაყოფის შედეგად. (განსაკუთრებით ახალი ათვისების რაიონებში). ფედერაციის ახალი სუბიექტების ფორმირების საკითხი აქ ლათინო ამერიკულ ქვეყნებში ტრადიციულად გამოყენებული იყო როგორც საკმაოდ ეფექტური მეთოდი შიდაფედერაციულ ურთიერთობათა და სოციალურ დაძაბულობათა რეგულირებისათვის.

4. აფრო-აზიური ტიპი, რომლებსაც განეკუთვნებიან: ინდოეთი, მალაზია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სხვა. ამ ტიპის სახელმწიფოები წარმოადგენენ ახალგაზრდა, მაგრამ მყარ ცენტრალიზებულ ფედერაციებს, რომლებიც შექმნილია „ზემოდან" მანამდე არსებული ფედერალურ სახელმწიფოთა ეროვნული ელიტისა და რეგიონების ეროვნული ელიტის კომპრომისების საფუძველზე. ამასთან რეგიონე-

ბის ეროვნულმა ელიტამ მიაღწიეს რეგიონების ფედერაციის სუბიექ-ტად გადაქცევას, აფრო-აზიური ტიპის სახელმწიფოთა ფედერალიზმი მაღალ ასიმეტრიულია რეგიონების პოტენციალში მკვეთრი განსხვა-ვებებით და როგორც წესი, ქვეყნის ცენტრშიც და ადგილზეც ავტო-რიტარული მმართველობის არსებითი ელემენტების შენარჩუნებით.

5. ნიგერიული ტიპი – მოიცავს ნიგერიას, პაკისტანს, ეთიოპიას. ფედერალიზმის ეს ტიპი წარმოადგენს ახალგაზრდა მაღალ ცენტრა-ლიზებულ ფედერაციებს არამყარი ავტორიტარული რეჟიმით, რაც ჩა-მოყალიბდა დეკოლონიზაციის შედეგად. ფედერალური მოწყობის პრინციპები მათში გამოყენებულია ცენტრალური ხელისუფალთა მი-ერ („ზემოდან“) და ის გამოყენებულია, როგორც საშუალება იმისათ-ვის, რათა შენარჩუნებულ იქნეს ეთნიკურად, სოციალურად და ეკონო-მიკურ თვალსაზრისით სხვადასხვაგვარი რეგიონების ერთიანობა. ეს ფედერაციები ასიმეტრიულია, ადგილებზე თვითმმართველობის სუს-ტი და ფორმალური ინსტიტუტებით, რეგიონების საქმეებში ცენტრის დაკანონებული ხშირი ჩარევებით.

ფედერაციის ამ ტიპის დამახასიათებელი თავისებურებანი ყველა-ზე სრულად არის განხორციელებული ნიგერიაში. ამ ქვეყანაში ცდი-ლობდნენ შეექმნათ ტერიტორიული და არა ეთნიკური ფედერაცია, რო-მელიც შედგება დაახლოებით ერთნაირი და მსგავსი შტატებისაგან.

ნიგერიაში ასევე ცდილობენ განახორციელონ ცენტრალურ მთავ-რობაში პოსტების თანაბარი განაწილება. ამით ისინი იღწვიან, რომ თავიდან აიცილონ რომელიმე ეთნიკური და რეგიონული ჯგუფების ჰეგემონია, აღსანიშნავია ის, რომ ნიგერიაში შტატებს შორის ეკონო-მიკურ ურთიერთობებში არსებული წინააღმდეგობები ემთხვეოდა ეთ-ნიკურ წინააღმდეგობებს. ნიგერიის ხელისუფლება ცდილობს გამოი-ყენოს ფედერალიზმის დადებითი მხარეები და თავიდან აიცილოს მისი უარყოფითი მხარეები.

აღსანიშნავია, რომ თვით ნიგერიის კონსტიტუცია საზღვრავს და აკანონებს ნიგერიის ფედერალიზმის „მაღალცენტრალიზებულობას“.

9.6. საქართველოს საფინანსო სისტემა, საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს თანამედროვე საფინანსო სისტემა შედგება ფინანსურ ურთიერთობათა შემდეგი ძირითადი რგოლებისაგა.

- საბიუჯეტო სისტემა;
- სახელმწიფო კრედიტი;
- ქონებრივი და პირადი დაზღვევის ფონდები;
- საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსები.

საფინანსო სისტემის ძირითადი რგოლია საბიუჯეტო სისტემა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში საბიუჯეტო სისტემა განმარტებულია, როგორც „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“. საბიუჯეტო სისტემის ფულადი სახსრები იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საკუთრებაში. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირება რეგლამენტირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობა მოიცავს მმმართველობის სამ დონეს: ცენტრალურ დონეს, ავტონომიური რესპუბლიკების დონეს და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების დონეს ყოველი მათგანი გულისხმობს ხელისუფლების საკუთარი წარმომადგენლობითი (საკანონმდებლო) და აღმასრულებელი ორგანოების არსებობას, აგრეთვე საკუთარი ბიუჯეტის არსებობას. ბიუჯეტები წარმოადგენენ ხელისუფლების სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების მართვის ფინანსურ საფუძველს.

შესაბამისად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს სამ დონეს:

- სახელმწიფო ბიუჯეტს;
- ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს;
- ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების ბიუჯეტებს.

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები მოიცავს:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს;

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები მოიცავს:

- 12 თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტს;
- 67 მუნიციპალურ ბიუჯეტს.

აღნიშნულ ბიუჯეტებთან ერთად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო, ან საომარი მდგომარეობის შმოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს შეუძლია დაამტკიცოს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებულკი საგანგებო ბიუჯეტი, საგანგებო ან საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად გადასახადებს მოსაკრებლებსა და სხვა სავალდებულო გადასახდელებს აწესებს პარლამენტი, პრეზიდენტის წარდგენით. ყველა ზემო აღნისნული ბიუჯეტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და მუშავდება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღრული პრინციპების საფუძველზე. თანამედროვე საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ფაქტობრივად დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების საბიოუჯეტო სისტემების იდენტურია.

ნებისმიერ ქვეყანაში სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ურთიერთობები, მათი შემოსავლის წყაროების და ხარჯვის მიმართულებები განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდებლობებით. საქართველოს საბიუჯეტო მოწყობისა და საბიუჯეტო სისტემის საფუძვლები განისაზღვრება ქვეყნის კონსტიტუციითა და საბიუჯეტო კოდექსით. საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „საქართველო არის, დამოუკიდებელი, ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა სტრუქტურულად მოიცავს:

- საქართველოს ნაერთ ბიუჯეტს;

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;
- ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის აგების, ძირითადი პრინციპები, რომელთა დაცვა სავალდებულოა საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილისათვის,საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე, შემდეგია:

- ყოვლისმომცველობა-ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

- გამჭირვალობა- ბიუჯეტის პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშებს; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

- ანგარიშვალდებულება-საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორცილებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;

- დამოუკიდებლობა -საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლები და ნაშთი. აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

- ერთიანობა-საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა'

- უნივერსალობა- ბიუჯეტის ყველა შემოულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა;

- კონსოლიდირება-ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა, გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ანდა სხვა საბანკო დაწესებულებებში.

9.7. ბიუჯეტის როლი და ადგილი საზოგადოებრივი ფინანსების სისტემაში

ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც ერთიანია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ტარდება საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, ფასებისა და სავალუტო პოლიტიკასთან შესაბამისობაში.

სახელმწიფო ბიუჯეტი როგორც წესი მოწოდებულია ფინანსური საშუალებების ფონდის შექმნისა და ხარჯვისათვის, სახელმწიფო ფუნქციების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ფულადი სახსრები საბიუჯეტო შემოსავლების სახით ხვდება ხელისუფლების ორგანოების სუბიექტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განკარგულებაში.

შემოსავლების ფორმირებისა და ხარჯების გაწევის პროცესში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, სხვა სუბიექტებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის მყარდება ბიუჯეტშორისი ურთიერთობები. ისინი ეფუძნებიან შესაბამისი კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს საბიუჯეტო პროცესის რეგულირების სფეროში.

საზოგადოებრივი ფინანსების მდგომარეობა უშუალოდ ზემოქმედებს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია ჰქონდეს გარკვეული წარმოდგენა თავის რეგიონში, ქალაქში საზოგადოებრივი ფინანსების, ბიუჯეტის მოწყობისა და საბიუჯეტო პროცესის შესახებ.

საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტების ერთიანობას, რომლის საფუძველია მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. თანამედროვე პირობებში, როგორც ვიცით არსებობს სა-

ხელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ორი ფორმა:

1. უნიტარული სახელმწიფო, რომელსაც მართვის ორი რგოლი, შესაბამისად ორი დონის ბიუჯეტი გააჩნიათ – ცენტრალური და ადგილობრივი.

2. ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოები, მათ გააჩნიათ მართვის სამი დონე – ცენტრალური, ფედერალური და ადგილობრივი. შესაბამისად სამი დონის ბიუჯეტი.

საქართველოს ფინანსური სისტემის პრინციპულ თავისებურებას ცენტრალური ფინანსური რესურსებისა და ფინანსური უფლებამოსილების ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი წარმოადგენს, რაც გამოიხატება იმაში, რომ რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებები საკუთარი ტერიტორიების ყველა ფინანსურ ნაკადებს სრულად ვერ აკონტროლებენ.

ბიუჯეტი საზოგადოებრივი ფინანსების განსაზღვრულ, ამასთან მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. თავისთავად ბიუჯეტი ერთდროულად პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს, რადგანაც იგი სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების, სხვადასხვა სუბიექტების, მათი ინტერესებისადა შეხედულებების შეჯახების შედეგებს განასახიერებს და საბოლოო ჯამში მრავალრიცხოვანი კომპრომისების გამოხატულებაა. იგი ასევე იურიდიულ საბუთსაც წარმოადგენს, რამდენადაც მათი გაფორმება კანონით, ან ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით ხორციელდება. ბიუჯეტი ფინანსური გეგმაც არის, რადგანაც იგი ხელისუფლების მხრიდან განსაზღვრული შემოსავლების შეგროვების მცდელობას და მათ განსაზღვრულ მიზნებზე მიმართვას ითვალისწინებს, ბიუჯეტი ასევე ორგანიზაციულ გეგმასაც წარმოადგენს, რამდენადაც ის ადმინისტრაციის სხვადასხვა ქვედანაყოფების მიერ საზოგადოებრივი სახსრების განაწილებასთან დაკავშირებით უფლებამოსილებასაც განსაზღვრავს. აგრეთვე იგი ინფორმაციული საბუთიცაა, რადგან მისი გამოქვეყნება აუცილებელ პირობას წარმოადგენს, სხვაგვარად, მას იურიდიული ძალა არ ექნება. ის ხელისუფლების მიზნების, პრიორიტეტებისა და სამომავლო მოქმედების შესახებ მონაცემებს შეიცავს.

საბიუჯეტო დაგეგმვა ჩვენს ქვეყანაში საგადასახადო და საბიუჯეტო კოდექსების, რეგიონული კანონმდებლობის, რეგიონული და მუნიციპალური ნორმატიული აქტების, ფინანსთა სამინისტროს საუწყებო ინსტრუქციებსა და ფედერაციის სუბიექტების საფინანსო დეპარტამენტების ანალოგიური ინსტრუქციების საფუძველზე ხორციელდება.

ბიუჯეტი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს ფულადი სახსრების ცენტრალიზებულ ფონდს, რომელიც სახელმწიფო ხარჯების გაწევის მიზნით არის შექმნილი

ბიუჯეტი, როგორც სამართლებრივი კატეგორია ფულადი სახსრების ფონდის წარმოშობისა და გახარჯვის ფორმას წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფისათვის არის განკუთვნილი. მოცემულ განსაზღვრებაში შემდეგი ნიშან-თვისებების გამოყოფა არის შესაძლებელი:

1. ბიუჯეტი – არის ფულადი სახსრების საერთო სახელმწიფოებრივი, ცენტრალიზებული ფონდი, რომელიც სახელმწიფოებრივი ხარჯების გაწევის მიზნით იქმნება.

2. ბიუჯეტი – არის სახელმწიფოს ფინანსური გეგმა, რომელშიც დამდეგი წლის შემოსავლები და ხარჯებია მითითებული.

3. ბიუჯეტი – არის სახელმწიფოს ძირითადი ფინანსური გეგმა, რომლის საფუძველზეც და შესრულების მიზნითაც მიიღება დანარჩენი საფინანსო გეგმები.

საბიუჯეტო სისტემა თავისთავად წარმოადგენს ბიუჯეტის სამი დონის ერთობლიობას როგორებიცაა:

პირველი დონე – ფედერალური ბიუჯეტი და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტები.

მეორე დონე – ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტები და სახელმწიფო ტერიტორიული არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტები.

მესამე დონე – ადგილობრივი ბიუჯეტები.

ამგვარად, საბიუჯეტო სისტემა თავისთავად წარმოადგენს ფედერალური ბიუჯეტის, ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ერთობლიობას და ზემოაღნიშნული ბიუჯეტების ეკონომიკურ ურთიერთობებსა და იურიდიულ ნორმებზე არის დაფუძნებული.

ეკონომიკურ ლიტერატურაში შეიძლება გამოვყოთ საბიუჯეტო ფედერალიზმის არსის განსაზღვრის ორი მიდგომა. პირველის თანახმად, საბიუჯეტო ფედერალიზმი არის ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოებს შორის საბიუჯეტო წესებისა და ვალდებულებების, საბიუჯეტო პროცესის ყველა სტადიაზე მათი ურთიერთქმედების წესების, მათ შორის საბიუჯეტო რესურსების გადანაწილების მეთოდების ნორმატიულ-საკანონმდებლო მოწყობა.

მეორე შეხედულების მიხედვით საბიუჯეტო ფედერალიზმის არსი გამოიხატება, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და მეორე მხრივ, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის არსებულ იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიქმნება ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდის განაწილების პროცესში.

კონსოლიდირებული ბიუჯეტი არის ფედერაციის სუბიექტების კონსოლიდირებული ბიუჯეტების და ფედერალური ბიუჯეტების კრებსითი საბუთი, რომლებიც თავის მხრივ ფედერაციის ადმინისტრაციულად შემავალი ტერიტორიული სუბიექტების რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ნაერთს წარმოადგენენ.

ბიუჯეტშორისი ურთიერთობები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოცემული ქვეყნის კონკრეტულ პირობებზე და პირველ ყოვლისა, ეკონომიკის მდგომარეობაზე.

ფედერაციის საბიუჯეტო სისტემის პირინციპებია:

1. საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა;
2. საბიუჯეტო სისტემის ყველა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლებისა და ხარჯების გამიჯვნა;
3. ყველა დონის ბიუჯეტების დამოუკიდებლობა;
4. ყველა დონის ბიუჯეტებისა და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების ასახვის სისრულე;
5. ყველა სახის საბიუჯეტო ფონდების დაბალანსირებულობა;
6. საბიუჯეტო სახსრების ეფექტური და ეკონომიკური გამოყენება;
7. საბიუჯეტო სახსრების ერთობლივი დაფარვა;
8. ღიადობა;
9. ყველა დონის ბიუჯეტების უტყუარობა;

10საბიუჯეტო სახსრების გამოყენების კუთვნილებითი და მიზნობრივი ხასიათი.

ფედერალური ბიუჯეტის გარდა, ფულადი სახსრების სახელმწიფო ფონდები იქმნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დანარიცხების საფუძველზე და განკუთვნილია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციისათვის.

სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდი – არის ფულადი საშუალების ფონდი, რომელიც ფედერალური ბიუჯეტისა და ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად იქმნება, აქვს მიზნობრივი ხასიათი და იმართება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ.

არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდების სახსრები იმყოფება ფედერალურ საკუთრებაში, არ შედის ფედერაციის საბიუჯეტო სისტემის ნებისმიერი დონის ბიუჯეტების სისტემაში და არ ექვემდებარება ამოღებას.

სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებს მიეკუთვნება:

– ფედერაციის საპენსიო ფონდი;

– ფედერაციის საპენსიო დაზღვევის ფონდი;

– სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფედერალური ფონდი;

– ფედერაციის დასაქმების სახელმწიფო ფონდი.

ბიუჯეტის ყველა დონის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს გადასახადები და მოსაკრებლები. გადასახადი არის სავალდებულო, ინდივიდუალური, აუნაზღაურებადი გადახდა, რომლის ამოღება, დადგენილი წესით ხორციელდება ორგანიზაციებიდან (იურიდიული პირი) და ფიზიკური პირებიდან, მათ საკუთრებაში არსებული ქონებიდან, რომელიც მიღებულია სამეურნეო საქმიანობით ან ფულადი სახსრების ოპერაციული მართვის შედეგად, სახელმწიფოს ან მუნიციპალური წარმონაქმნების საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.

მოსაკრებელი – არის სავალდებულო შენატანი, რომელიც ორგაიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან ამოიღება და რომლის გადახდა, გადამხდელის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სხვა რწმუნებული ორგანოების და თანამდებობრივი პირებისაგან იურიდიულად მნიშვნელოვანი მოქმედების ჩატარების, მათ შორის გან-

საზღვრული უფლებების ან ნებართვის გაცემის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

საგადასახადო სისტემაში იგულისხმება გადასახადებისა და მოსაკრებლების, მათი ამოღების პრინციპებისა და პირობების საგადასახადო განაკვეთებისა და გადასახადების, მოსაკრებლების ამოღების ორგანიზაციის ერთობლიობა.

დადგენილი გადასახადები და მოსაკრებლები მიეკუთვნება ფედერალურებს და ისინი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სავალდებულო გადასახადებს წარმოადგენენ.

რეგიონუად ითვლება ისეთი გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებიც ფედერაციის საგადასახადო კოდექსით არის დადგენილი და მოქმედებაში შედის ფედერაციის სუბიექტების კანონების შესაბამისად.

ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები – ისეთი სახის გადასახადები და მოსაკრებლებია, რომლებიც ფედერაციის საგადასახადო კოდექსით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიულ სამართლებრივი აქტებით დგინდება და მოქმედებაში მოიყვანება.

გადასახადები იყოფა პირდაპირ და ირიბ გადასახადებად. პირდაპირი ეწოდება გადასახადებს, რომლის გადახდისას გადასახადის გადამხდელი უშუალოდ შედის სახელმწიფო ორგანოებთან საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობაში, ანუ მათ შორის შუამავალი არ არის.

ირიბ გადასახადებს მიეკუთვნება ისეთი გადასახადები, რომელთა ამოღებისას სამართალურთიერთობებში სამი სუბიექტი მონაწილეობს: ორი გადამხდელი – ფაქტიური და იურიდიული და სახელმწიფო ორგანო. ფაქტიურ გადამხდელად იგულისხმება მყიდველი, საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ფაქტიური მომხმარებელი. იურიდიული გადამხდელი არის საქონლის მწარმოებელი ან გამყიდველი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში გადასახადების გადახდა უშუალოდ საქონლის ფასის მეშვეობით ხორციელდება.

ირიბ გადასახადებს მიეკუთვნება დამატებული ღირებულების გადასახადი, საბაჟო მოსაკრებლები, გადასახადი გაყიდვებიდან.

მიზნობრივი გადასახადები არის გადასახადი, რომელიც ბიუჯეტში წინასწარ განზრახული მიზნებისათვის შედის და მხოლოდ მათზე გაიხარჯება.

სახელმწიფო ხარჯები – არის სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების გეგმაზომიერი გამოყენება.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულება – ნიშნავს ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსებას, წარმოადგენს ოპერატიულ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ბიუჯეტის შესრულება შემოსავლებისა და ხარჯების კვარტალური განაწერი. გარდა კვარტალური განაწერისა, ამჟამად მოქმედებს ბიუჯეტის შესრულების საკასო (ერთთვიანი) გეგმები.

საბიუჯეტო კონტროლი არის ფინანსურ-ეკონომიკური კონტროლის შემადგენელი ნაწილი – სახელმწიფო ორგანოების მიერ ქვეყნის მისი სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფულადი ფონდების შექმნის, განაწილებისა და გამოყენების შემოწმებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.

საკონტროლო ფუნქციები კანონით დაკისრებული აქვს კონტროლის პალატას, ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ შექმნილ საკონტროლო-სააღრიცხვო ორგანოებს, საგადასახადო სამსახურს, საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებს და სხვა.

განასხვავებენ ექსპანსიურ (გაფართოებად) და რესტრუქციულ (შეზღუდულ) საბიუჯეტო პოლიტიკას. ექსპანსიურის დროს ხდება სახელმწიფო დანახარჯების ზრდა საგადასახადო განაკვეთების შემცირებასთან ერთად. აღნიშნული საშუალებას იძლევა ადვილად გადაილახოს ეკონომიკური კრიზისი და დაჩქარდეს ეკონომიკური ზრდა. სტრუქტურული პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას და გადასახადების ზრდას, რაც ასუსტებს ინფლაციას და აწონასწორებს ეკონომიკურ კონიუქტურას.

საბიუჯეტო პოლიტიკის ეს ორი სახესხვაობა ეფექტიანობის მიზნით შესაბამისობაში უნდა იყოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან.

საქართველოს 2011 წლის ბიუჯეტი შეადგენს 6 მილიარდ 960 მილიონს, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილია 150 მილიონი.

- 2019 წელს საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლები შეადგენდა 10,675,037.7;
- 2020 წელს შეადგინა 10.490,370.0;
- 2021 წელს საბიუჯეტო სახსები იყო 12,489,560.0 დონორების დაფინანსება კი 49.480.0

9.8. რეგიონის საგადასახადო პოტენციალი და მისი გამოთვლა

ცალკეული რეგიონის საგადასახადო ბაზის შეფასებისას, მათი შესაძლებლობების განსაზღვრას გადასახადების მობილიზების მოქნილი ბერკეტების ჩამოყალიბებას, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის.

საგადასახადო ბაზის განსაზღვრა, თავის მხრივ, რთული პრობლემაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა: რეგიონებში ცალკეული გადასახადების სახეების მიხედვით დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრა, მიმდინარე საგადასახაო შემოსავლების მობილიზაციის პროგნოზირება და შესაძლო პერსპექტივების განსაზღვრა. ამასთანავე ცალკეულ რეგიონთა ბუნებრივ--ეკონომიკური პირობების განსხვავებულობა, მეურნეობის სპეციფიკური დარგობრივი სტრუქტურა, ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის დონე, დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ საგადასახადო ბაზის ფორმირებისას აუცილებელია ცალკეულ რეგიონთა ინდივიდუალური თავისებურებების მაქსიმალური გათვალისწინება, მისი ყველა ასპექტის სრულყოფილი ასახვა, რომლის მიღწევის ერთ-ერთ გზას რეგიონის საგადასახადო პოტენციალის გამოთვლა წარმოადგენს.

ეკონომიკურ თეორიაში პოტენციალის განსაზღვრა ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა ცალკეული ტერიტორიის (რეგიონის) პოტენციურ შესაძლებლობათა დადგენა, ამა თუ იმ რესურსთა ჭრილში. აღსანიშნავია, რომ პოტენციალი ლათინური სიტყვაა და რისიმე განხორციელებისათვის საჭირო შესაძლებლობათა ერთობლიობას ახასიათებს.

დღეისათვის რეგიონის პოტენციალის დახასიათების ერთიანი მიდგომა არაა ჩამოყალიბებული.

რეგიონის პოტენციალის, როგორც ერთიანი სიდიდის გამოთვლის პროცესში გამოყოფენ ორ ძირითად დონეს: აბსტრაქტულს ანუ თეორიულს და გამოყენებითს. პოტენციალის აბსტრაქტულ-თეორიული მიდგომით გამოთვლისას მთავარ ამოსავალს წარმოადგენს, დებულება იმის შესახებ, რომ პოტენციალი აბსტრაქტულ, მიუღწეველ მიზანს წარმოადგენს, რომელიც რაიმე არსებული წესით ინტერპრეტირებას არ ექვემდებარება. გამოყენებითი მიდგომის შემთხვევაში აუცილებელ ამოცანად ითვლება მისი რაოდენობრივი განსაზღვრა და გარკვეული სიდიდით ასახვა, რაც მიღწევადი ხდება მისი აბსტრაგირებით გარკვეულ მაჩვენებლებთან და ამ გზით გარკვეულ წილად მისაღები ხერხით გამოხატვა.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის პოტენციალის განსაზღვრის ჩამოყალიბებული დონეების გვერდით, მისი განხილვა ხდება ორი ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომით. პირველი, ესაა რესურსული მიდგომა, რომლის დროსაც აქცენტი კეთდება არა რეგიონის რესურსების გამოყენების მაქსიმალურ შესაძლებლობაზე, არამედ იგი შეუცნობელ პარამეტრადაა ინტერპრეტირებული და საუბარია რესურსების ფიზიკურ სიდიდეებზე. ასეთ შემთხვევაშა არსებული რესურსების პარამეტრთა დინამიკის საფუძველზე ხდება პოტენციალზე აქცენტირება და ითვლება, რომ რეგიონის პოტენციალი ესაა გარკვეულწილად უცვლელი სიდიდე, რომლის ცვლილება მიიღწევა არსებული რესურსების ფიზიკურ სიდიდეთა ზრდის საფუძველზე. ცხადია, რომ ასეთი მიდგომისას უმთავრესი აქცენტი კეთდება სამეურნეო საქმიანობაში ჩართული რესურსების ფაქტიური მოცულობის ზრდაზე, როგორც რეგიონის პოტენციალის ზრდის და აქედან გამომდინარე უკეთესი შედეგის მიღების ამოსავალ პირობაზე.

შედეგობრივი მიდგომით აქცენტი კეთდება რეგიონის პოტენციალის რაოდენობრივ გათვლაზე, თუმცა აღიარებულია ისიც, რომ დღეისათვის მისი გამოთვლის მეთოდიკის სრულყოფის გარეშე ეს არ ხერხდება. ე.ი. ამ შემთხვევაში საუბარია ყველა სახის რესურსთა ფიქსირებული მოცულობისა და გამოყენების შემთხვევაში მაქსიმალური შედეგების მიღწევაზე.

პრობლემის სხვა მხარეს წარმოადგენს ის, თუ რეგიონის შესაძლებლობის, მისი საგადასახადო ბაზის შეფასებისას პოტენციალის რა

სახის გამოთვლა წარმოადგენს პრიორიტეტულს, რეგიონის შესაძ-ლებლობების ობიექტური შეფასება, მისი სრული გათვალისწინება ისეთ მაჩვენებელში ხდება, როგორიცაა ეკონომიკური პოტენციალი. ყველაზე ფართო გაგებით გამოყოფენ ეკონომიკური პოტენციალის განმსაზღვრელ სამ ძირითად პოზიციას: 1. ეკონომიკური პოტენცია-ლის შემადგენელი რესურსები; 2. რესურსთა (სრული) პოტენციური შესაძლებლობები; 3. პოტენციური შესაძლებლობების გამოყენების მიმართულებების განსაზღვრა.

ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელ ელემენტთა სისტემა ზოგადად წარმოდგება, როგორც შრომითი რესურსების, ძირითადი ფონდების, საბრუნავი საშუალებების, ფინანსური და ბუნებრივი რე-სურსების ერთობლიობა.

ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ფი-ნანსური პოტენციალი მოიცავს საგადასახადო პოტენციალს. ამასთა-ნავე საგადასახადო პოტენციალი ფინანსური პოტენციალის ნაწილია აღნიშნულის გარდა საბიუჯეტო პოტენციალსაც მოიცავს.

რეგიონის ფინანსური პოტენციალი განისაზღვრება, როგორც ყვე-ლა სახის რესურსების გამოყენებისა და ეფექტიანი მართვის პირობებ-ში რეგიონში შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

საგადასახადო პოტენციალი ფართო გაგებით განიხილება, რო-გორც მოცემული რეგიონის საბიუჯეტო შემოსავლების რესურსი. უფ-რო კონკრეტულად კი რეგიონის საგადასახადო პოტენციალი ესაა სა-გადასახადო ბაზის გათვალისწინებათა და არსებული ან საპროგნოზო საგადასახადო განაკვეთების პირობებში რეგიონის შესაძლო საგადა-სახადო შემოსავლების მოცულობა. იგი რეგიონის ფინანსური პოტენ-ციალის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ასევე მოიცავს საბიუჯეტო პოტენციალსაც.

საგადასახადო-საბიუჯეტო პოტენციალის განსაზღვრა – შეფასე-ბისათვის აუცილებელია მასზე ზეგავლენის მქონე შემდეგი პირობე-ბის გათვალისწინება: შემოსავლების ყველა წყაროს შესწავლა; ფინან-სური და სასაქონლო ნაკადების, როგორც მიმდინარე ანალიზი, ასევე პროგნოზი, შრომისუნარიანი მოსახლეობის საწარმოო და ინფრას-ტრუქტურის სფეროში მაქსიმალური დასაქმების უზრუნველმყოფი სტრატეგიული და ტაქტიკური ღონისძიებების შემუშავება.

დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა რეგიონის საგადასახადო პოტენციალის გათვლის შემდეგმა მეთოდებმა:

1. შემოსავალი რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე;
2. მთლიანი რეგიონული პროდუქტი;
3. დასაბეგრ რესურსთა მთლიანი მაჩვენებელი;
4. რეპრეზენტატული საგადასახადო სისტემის მეთოდი;
5. რეპრეზენტატული საგადასახადო სისტემის დარგობრივი მეთოდი;
6. რეგრესული ანალიზის მეთოდი.

შემოსავალი რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე ერთ-ერთ ისეთ მაჩვენებელს განეკუთვნება, რომლის გამოთვლაც არა არის დაკავშირებული რთულ მონაცემთა ბაზასთან, მაგრამ ამავე დროს საგადასახადო პოტენციალის გამოთვლაში, მხოლოდ დამხმარე მაჩვენებლად წარმოგვიდგება და მისი დახმარებით შეიძლება რეგიონის საგადასახადო პოტენციალზე მიახლოებით შევიქმნათ წარმოდგენა.

მთლიანი რეგიონული პროდუქტი განისაზღვრება, როგორც რეგიონის ეკონომიკურ რესურსთა გამოყენებით წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივი ღირებულება გარკვეული პერიოდისათვის. მის შემოსავლებს, მიუხედავად მუშაკთა საცხოვრებელი და საწარმოს რეგისტრაციის ადგილისა.

დასაბეგრ რესურსთა მთლიანი მაჩვენებელი, მთლიანად რეგიონულ პროდუქტთან დაკავშირებული მაჩვენებელია და რიგ ქვეყნებში XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჰპოვა ფართო გავრცელება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მისი გამოთვლა რთულ პროცესებს მოიცავს. კერძოდ ამ დროს მთლიანი რეგიონული პროდუქტიდან გამოირიცხება ცენტრალური გადასახადი, კონკრეტულად კი ისეთი, რომელიც არ წარმოადგენს შემოსავლებს რეგიონული ბიუჯეტისათვის.

რეპრეზენტატული საგადასახადო სისტემის მეთოდი საგადასახადო სისტემის დახასიათებისათვის გამოყენებულ მეთოდთა შორის ერთ-ერთ კომპლექსურ მეთოდად მოიაზრება და მისი არსი იმაშია, რომ ეს-წრაფვის იმ საბიუჯეტო გადასახადთა მოცულობის გამოთვლას, რომელიც რეგიონში შეიძლება აკრეფილ იქნას საგადასახადო პირობების სა-

შუალო დონის, რეგიონში გადასახადების ერთიანი სახეებისა და განაკვეთების პირობებში. მეთოდის გამოყენებისას აუცილებელი ხდება ქვეყნის რეგიონებში ფაქტიურად აკრეფილ გადასახადებზე მონაცემების არსებობა. ამ დროს საგადასახადო პოტენციალის საზომად ითვლება საგადასახადო ბაზის მიხედვით საგადასახადო შემოსავლები. აღნიშნული მეთოდის პოზიტიური მხარეა ის, რომ იგი დანარჩენ მეთოდებთან შედარებით უფრო ზუსტად და ობიექტურად ახერხებს საგადასახადო პოტენციალის გამოთვლას, მაგრამ უარყოფით მხარედ რჩება ის, რომ მოითხოვს ძალზე დიდ ინფორმაციულ ბაზას.

რეპრეზენტატული საგადასახადო სისტემის დარგობრივი მეთოდი ზემოთ აღნიშნული მეთოდის იდენტურია, განსხვავება კი იმაშია, რომ რეპრეზენტატული საგადასახადო სისტემის დარგობრივი მეთოდის გამოყენებისას საგადასახადო პოტენციალის გათვლა მიმდინარეობს დარგობრივ ჭრილში ყველა შემოსავლის გათვალისწინებით.

რეგრესული ანალიზის მეთოდი საშუალებას იძლევა რაოდენობრივად დაუკავშიროთ ერთმანეთს საკვლევი ცვლადი და მასზე ზემოქმედი ფაქტორები. კერძოდ კი, რეგიონის ბიუჯეტის საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები და სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. აღნიშნული დამოკიდებულება რეგრესული კავშირით შემდეგნაირად შეიძლება აღიწეროს: TP=K0+K1Q სადაც K0 განტოლების თავისუფალი წევრია, K1 რეგრესის კოეფიციენტი, Q სამრეწველო წარმოების მოცულობა.

რეგრესული ანალიზის მეთოდის გამოყენება შესაძლებელი ხდება რეპრეზენტატული საგადასახადო სისტემის ჩარჩოებშიც. ამ შემთხვევაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ რეპრეზენტატული საგადასახადო სისტემის მეთოდით რეგიონის საგადასახადო პოტენციალის გამოთვლისათვის საჭირო მონაცემები მნიშვნელოვნად მცირდება და ასეთ შემთხვევაში იგი გამოისახება შემდეგი განტოლებით:

$$Yj = X1jB1 + X2jB2 + XmjBm + Ij$$

სადაც:

Yj – რეგიონის ბიუჯეტში ფაქტიურად აკრეფილი გადასახადებია;

Xmj – მოცემულ რეგიონში საგადასახადო ბაზის ან მისი ცალკეული კომპონენტის არაპირდაპირი ან უშუალო მახასიათებელი.

m – განსახილველ რეგიონთა რიცხვი

Ij – გაზომვის შემთხვევითი შეცდომა

სახელმწიფოს მხრიდან საგადასახადო პოტენციალზე ზემოქმედების მეთოდები ძირითადად მიმართულია რეგიონებში საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის საშუალებით ეკონომიკური მდგომარეობის გაწონასწორებისაკენ. ამასთან, თუ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში აღნიშნული ზემოქმედება სტრატეგიაში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას ითვალისწინებს, განვითარებულ ქვეყნებში იგი ეკონომიკური ზრდის სტაბილიზაციას ემსახურება. ამასთან, რიგ განვითარებულ ქვეყნებში საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე სხვადასხვა ხერხებით ზემოქმედებისა და შესაბამისად რეგიონში ეკონომიკური მდგომარეობის გაწონასწორების მრავალფეროვანი მეთოდებია გამოყენებული. საქართველოსათვის, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად აიღო კურსი ევროკავშირის ქვეყნების შესაბამის ეკონომიკურ პარამეტრებზე ცხადია ამ ქვეყნებში მოცემული მიმართულებით არსებული გამოცდილების განზოგადება სასარგებლო იქნება.

9.9. საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მიმართულებების განზოგადება ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე

ევროკავშირის ქვეყნების რეგიონებში საგადასახადო პოტენციალის შესწავლის, არსებული რეზერვების გამოვლენის საფუძველზე მიმდინარეობს ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონებში არსებული დისპროპორციების აღმოფხვრას. მიუღებელია, რომ ამ სახის პოლიტიკის მთავარ სტრატეგიას საფინანსო-ეკონომიკური სიტუაციის გაწონასწორება წარმოადგენს და იგი სუბეროვნული დონის ბიუჯეტისადმი ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახითაა წარმოდგენილი. ასე მაგალითად, ასეთი სახის დახმარებანი მშპ-თან მიმართებაში იტალიაში შეადგენს 7,61%-ს, ესპანეთში 4,94%-ს, საფრანგეთში 3,05%-ს, გერმანიაში 1,47%-ს.

რაც შეეხება სახელმწიფო ხარჯებში რეგიონების წილს, იგი დიდია გერმანიაში 33%, იტალიაში 30%, საფრანგეთში 20%.

გერმანიაში ეკონომიკური მდგომარეობის გაწონასწორების პრინციპი კონსტიტუციითაა განსაზღვრული. იგი მიმართულია გადამხდელთა გადატვირთვის დაუშვებლობისა და ქვეყნის მთელ ტერიტო-

რიაზე შედარებით ერთნაირი ცხოვრების დონის უზრუნველყოფისაკენ. ქვეყანაში ასეთი პოლიტიკის მთავარ დონორებად მდიდარი მიწები გამოდიან, რომლებიც ღარიბი მიწების სასარგებლოდ თავიანთი შემოსავლების ნაწილს მიმართავენ.

საფრანგეთში საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სწორების პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრების დონეზე, გეოგრაფიულ მდებარეობასა და დემოგრაფიულ მდგომარეობაში არსებულ განსხვავებათა შერბილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის მიღწევისათვის სახელმწიფო სხვადასხვა მეთოდებს ახორციელებს, ძირითადათ მაინც საბიუჯეტო პოლიტიკაა. ქვეყანაში ცენტრალური ბიუჯეტის გარდა არის დეპარტამენტებისა და კომუნების ბიუჯეტებიც, რომელთა ტრანსფერტირებაზე მთავრობა იყენებს გლობალურ დოტაციებს და იგი დეპარტამენტთა შემოსავლბში 25% შეადგენს, ხოლო კომუნებში 10%-ს ამ დოტაციების უდიდეს ნაწილს კომუნები ღებულობენ, სადაც იგი სამ სახედ იყოფა: ძირითადი დოტაცია 34% და იგი მიიღება მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით.

ესპანეთში აღნიშნული მიზნით შექმნილია სპეციალური ინსტიტუტი ტერიტორიათაშორისი საკომპენსაციო ფონდი (ტ.ს.ფ.) საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის გაწონასწორების მთავარ ხაზს რეგიონებში შემოსავლების სამართლიანი განაწილება შეადგენს.

ესპანეთის რეგიონებს შორის განვითარებაში არსებული ბალანსის მთავარი წყარო მოსახლეობის არათანაბარზომიერი განაწილებაა, რაც თავის მხრივ, დისპროპორციას იწვევს ეკონომიკურ მდგომარეობაში, ქვეყანაში ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხდება საბიუჯეტო გაწონასწორების სისტემის ფუნქციონირება და დახმარების განაწილება, კერძოდ: მოსახლეობის რიცხოვნობა 64%, საერთო ფართობი16,6%, მოსახლეობის სიმჭიდროვე 2%, კუნძულური მდგომარეობა 0,4%, ავტონომიურ პროვინციათა რაოდენობა 17%.

ესპანეთში 17 რეგიონიდან 10 ღარიბად ითვლება და ტეროტორიათაშორისი საკომპენსაციო ფონდის ძალისხმევა ძირითადად მათკენაა მიმართული. თანხები, რომლებიც ასეთი რეგიონების დასახმარებლად ყალიბდება, ბიუჯეტიდან შესაბამისი კვოტით ფინანსდება და შემდეგი კრიტერიუმებით ნაწილდება: მოსახლეობის სულზე შემოსავლის უკუპროპორციულად-70%, ბოლო 10 წლის განმავლობაში სამიგრა-

ციო ბალანსის პირდაპირპროპორციულად 20%, ცალკეული რეგიონისა და მთლიანად ქვეყანაში უმუშევრობის დონეებს შორის სხვაობის პირდაპირპროპორციულად 5%, ფართობის პირდაპირპროპორციულად 5%.

იტალიაში აღინიშნება მნიშვნელოვანი ტერიტორიული დისპროპორციები, ამასთან ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ჩრდილოეთ ან შედარებით სამხრეთი უფრო დაბალგანვითარებულად ითვლება და უმუშევრობის დონით აჭარბებს მას. აღნიშნული დისპროპორციიდან გამომდინარე სახელმწიფო რეგიონის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხების უფრო მეტ ნაწილს ამ რეგიონებისაკენ მიმართავს.

იტალია მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, რომელშიც მიმდინარეობს რეგიონებში საფინანსო-ეკონომიკური სიტუაციის გაწონასწორების ეფექტური პოლიტიკის ფორმირების პრინციპები.

უცხო სიტყვები

1. აგლომერაცია – ლათ. შევაერთებ თანამედროვე დიდი ქალაქი მის გარშემო გაშენებულ უბნებთან (სატელიტებთან) ერთად.
2. დე-იურე ლათ. იურიდიულად, კანონის საფუძველზე, ფორმალურად (საპირისპიროა დე ფაქტო)
3. უნიტარული – ფრან. ერთიანი, გაერთიანებული უნიტარული სახელმწიფო ისეთი სახელმწიფო, რომლის ტერიტორია არ არის დაყოფილი ფედერაციულ ერთეულებად (შტატებად, მხარეებად)
4. პარადიგმა – ბერძ. მაგალითი, ნიმუში
5. ბიუჯეტი – ფრან. სახელმწიფოს, დაწესებულების საწარმოს შემოსავალ გასავლის ნუსხა დროის გარკვეული მონაკვეთისათვის, ხარჯთაღრიცხვა. ვისიმე პირადი შემოსავალი და ხარჯები.
6. ფინანსები – ფრან. ა. ფულადი სახსრები როგორც სახალხო-სამეურნეო ბრუნვის ელემენტი. ბ. ფული.
7. პარამეტრი – ბერძ. ვუფარდებ რაიმე საგნის ან მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე ან სიდიდეები.
8. რეპრეზენტანტი – ფრან. წარმომადგენელი.
9. რეგრესი – უკუსვლა, დაქვეითება (საპირისპირო პროგრესი).

თავი X

სოფლის მეურნეობა

10.1. ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა

საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკომისიის სტატისტიკური სამსახურის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებული ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია.

ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახის საერთაშორისო სტრუქტურული დარგობრივი კლასიფიკაციის ვარიანტი განიხილა და დაამტკიცა გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ 1989 წელს.

საერთაშორისო დარგობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, პირველად სექტორად აღიარებულია სოფლის მეურნეობა, მეორე სექტორად ინდუსტრია (სამთომოპოვებითი და გადამუშავებითი მრეწველობა, მშენებლობა), ხოლო მესამე სექტორში გათვალისწინებულია მომსახურება.

როგორც ვიცით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 4385,4 მლნ ადამიანს ფართობი 69,7 ათასი კვადრატული კმ-ია, რაც დედამიწის ფართობის 0,05% – ია. მსოფლიოს 210 სახელმწიფოს შორის 113 ადგილზეა (თუმცა რეალურად საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია და ეკონომიკური პოლიტიკა ვერ ვრცელდება მისი ტერიტორიის 17 %-ზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი) მთლიანი შიდა პროექტი ერთ სულ მოსახლეზე 2,6 ათასი დოლარი, ხოლო მშპ-ის სტრუქტურა არის შემდეგი: მომსახურების სფერო 63%, მრეწველობა 19 %, სოფლის მეურნეობა 18%. შედარებისათვის მსოფლიო მშპ-ის სტრუქტურა შემდეგია: მომსახურების სფერო 64%, მრეწველობა 32%, სოფლის მეურნეობა 4%. ევროკავშირის ქვეყნებში მომსახურების სფერო 67,7%, მრეწველობა 27,7 %, სოფლის მეურნეობა 4,6 %. აშშ – ში: მომსახურების სფერო 75,5%, მრეწველობა 19,6 %, სოფლის მეურნეობა 0,9%.

10.2. სოფლის მეურნეობის მოკლე ისტორიული დახასიათება და განვითარების პოზიტიური სურათი

საქართველო უძველესი, თვითმყოფადი აგრალური კულტურისა და საკვებმოპოვების მოწინავე გამოცდილების ქვეყანაა. ქართველები სამიწათმოქმედო ცივილიზაციის შექმნის სათავეში იდგნენ და მიწათმოქმედება მათთვის არა მხოლოდ უბრალო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთისმსახურება იყო. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები პრტაქტიკულ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. თეიმურაზ ბაგრატიონი წერს“ უძველესთა შინა, რომელთამე ჩვენთა და ვიეთთამე სხვათაცა მემატიანეთა, აღწერილთა იპოვების მოთხრობანი ესე სახედ, ვინათგან პირველყოვლისა მუშაკობანი მიწისანი შემოღებულ არიან მათგან“

ქართველი ხალხის ისტორიულმა ორგანულმა კავშირმა მიწასთან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი ეთნოფსიქოლოგიური და ეთნოკულტურული საფუძვლების შექმნა და განვითარება. მიწა ქართველი გლეხკაცისათვის არა მარტო წარმოების საშუალებაა, არამეს მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელი ორგანული ნაწილია. მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს მისი, არა მარტო როგორც მეწარმე ინდივიდის, ფუნქციის მოსპობას, არამედ რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლასაც.

ქართველი ერის ტრადიციული აგრარული კულტურა წინააზიურ სივრცეში ყალიბდებოდა, აქ თავდაპირველად შქმნილი მეურნეობისა და მეურნეობრიობის ფორმები შმდგომში საფუძვლად დაედო ევრაზიის მთელ ტერიტორიაზე (სამხრეთ-აღმოსავლეთის გამოკლებით) მოგვიანებით წარმოშობილ აგრარულ სამეურნეო -კულტურული კომპლექსების სხვადასხვა ტიპს, რომელიც ძირითადად მარცვლეული მეურნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, სხვადასხვა სახეობის პირუტყვის მოშენებისა და მისგან პროდუქტების მოხმარებაზე იყო ოროენტირებული.

საქართველოში ათასწლეულების მანძილზე იხვეწებოდა და

მკვიდრდებოდა მეურნეობის გაძღოლისა და ბუნებათსარგებლობის პრინციპები, მისი მოვლა პატრონობის უნიკალური წესები. საქართველოს გეოგრაფიული გარემო, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა განაპირობებდა მთისა და ბარის თავისებურებას, რომელიც ნიადაგდაცვით მიწათმოქმედებასა და ბუნებრივ -კულტურულ მეცხოველეობას ეფუძნებოდა.

სოფლის მეურნეობის სპეციფიის თვალსაზრისით საქართველო მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია. საქვეყნოდაა ცნობილი და აღიარებული, რომ საქართველო ხორბლისა და ვაზის ერთ-ერთი სამშობლოა. აქ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოყვანილია ამ კულტურათა უაღრესად ღირებული ჯიშები, რომელთაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებათ.

ქართველი ხალხი ხორბალს იცნობდა ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში და უკვე მოჰყავდათ ხორბლის რამოდენიმე სახეობა („იფქლი“, „ასლი“ „დიკა“,“მახა“, „ზანდური“, „დოლი“, „ხულოგო“). ხორბლის ამგვარი დიფერენცირებული სახეობრივი სახელწოდება არცერთი ქვეყნის ხალხს არ გააჩნია, რაც იმის დამადასტურებელი, რომ ხორბლის კულტურულ სახეობათა ფორმირებაში ქართველმა ერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო, აკადემიკოს ნ. ვავილოვის აზრით..

სადღეისოთ მსოფლიოში აღწერილი დარეგისტრირებულია ხორბლის ბოტანიკურ გვარში შემავალი 23 კულტურული და 4 ველური სახეობა. ამათგან საქართველოში წარმოდგენილია 14 კულტურული სახეობა. გარდა ამისა ქართული ხორბლის სახეობებისაგან მიღებულია კიდევ 4 კულტურული სახეობა., რაც ერთად აღებული, შეადგენს ხორბლის გვარში შემავალ სახეობათა 65%-ს. ქართულ-კულტურულ ხორბალთა შორის აღწერილია 150ზე მეტი სახესხვაობა და ჯიშთა დიდი მრავალფეროვნება (160 მდე) მათ წარმოქმნას და ჩამოყალიბებას ხელი შუწყო საქართველოს ბიოგეოკლიმატურმა მრავალფეროვნებამ, ქართველი კაცის გარჯამ, შემოქმედებითმა უნარმა და ხალხურმა სელექციამ. ქართველ ერს ხორბლის მოვლა-მოყვანის დიდი ისტორიული გამოცდილება გააჩნია

საქართველოში 500 ზე მეტი ვაზის ჯიშია აღრიცხული, კერძოდ კახური-80, ქართლური-72, იმერული-75, რაჭა-ლეჩხუმური-50, მეგრული-60, გურული-53, აჭარული-52, აფხაზური-58 და სხვა. საქართველოში 2,5 ჯერ მეტი ვაზის ჯიშია, ვიდრე აზერბაიჯანში (200), 5,5-ჯერ

მეტი, ვიდრე სომხეთში(90), 2,5 ჯერ მეტი ვიდრე შუა აზიაში (200), 3,5 ჯერ მეტი, ვიდრე დაღესტანში (150).

მეცნიერები ვენახის პირველ სამშობლოდ მცირე აზიასა და კავკასიას მიიჩნევენ. შუამდინარეთში ვაზი მეორეული მოვლენაა. იგი აქ გავრცელებული უნდა იყოს სამხრეთ კავკასიიდან და ინდოეთიდან(მეხუთე ათასწლეულში) მრავალ ენაში „ღვინო“ შესულია ერთი საერთო ძირით“ ბერძნული-ოინოს, ლათინური-ვინუმ, ხეთური-ვიანა, სომხური-გინი, რუსული-ვინო, გერმანული-ვაინ, სემიტურ ენებში: არაბული - ვაინუმ, ებრაული-იაინ, ასურული-ინუ და ა.შ. აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ქართველური, სომხური და სემიტური ენების მონაცემთა შედარების საფუძველზე დაასაბუთა, რომ მთელ მსოფლიოში ქართულიდან გავრცელდა: „მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა როგორიც არის ღვინო“.

აღნიშნულის გარდა უაღრესად საყურადღებო და ანგარიშგასაწევია, რომ საქართველოში, ხალხური სელექციის მიღწევად ითვლება: ხევსურული ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა, კახური, სამთოსატყეო სამომთაბარო ღორი, ქართული რუხი, გრძელხორთუმიანი ფუტკარი, რომელთა მსგავსი მსოფლიოს არცერთქვეყანაში არ მოიძებნება. ამასთან, ქართველ მეცნიერთა მიერ გამოყვანილია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი კიშები და ჰიბრიდები. შეიქმნა მათი მოვლა მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიები და სხვა.

გასული საუკუნის დასწყისისათვის საქართველოში, მიწათმოქმედების დარგებიდან ფართოდ იყო განვითარებული: მარცვლეული მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება, მეცხოველეობის დარგებიდან-მთისა და ბარის მესაქონლეობა, მ.შ. მეკამეჩეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, ლოკალურად- მეფრინველეობა. შემდგომ პერიოდში, სხვა ქვეყნებთან კავშირურთიერთობის განვითარების შედეგად რამდენადმე იცვალა სახე სოფლის მეურნეობამ. დასავლეთ საქართველოს უნიკალურ ნიადაგურ-კლიმატურ პიროებებს კარგად მოერგო სუბტროპიკული მიწათმოქმედება და წარმატებით განვითარდა მანამდე ქართული სოფლის მეურნეობისათვის უცხო კულტურები: ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხილი. შედარებით ადრე, ასევე სხვა ქვეყნებიდან მოხვდა საქართველოში სიმინდი, კარტოფილი, პომიდორი, თამბაქო, სხვადასხვა ჯიშის პირუტყვი და ფრინველი.

ახალი სასოფლო სამეურნეო კულტურების შემოტანა თავის გავლენას ახდენდა წარმოების სპეციალიზაციაზე, ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე.

ამ ცვლილებებმა უდაოდ დადებითი გავლენა მოახდინა სტრუქტურული თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ძირითადად ორი სტრატეგიული მიმართულება მიიღო. ჯერ ერთი-გამოიკვეთა ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში. ეს დარგებია: მევენახეობა და ღვინის მრეწველობა, მეხილეობა და საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუსების პროდუქციის გადამმუშავებელი მრეწველობა. მეორეს მხრივ -ცალკე დაჯგუფდა ე.წ. ,,სასურსათო მნიშვნელობის დარგები: მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, რომელთანაც შეთანწყობილია ტექნიკური და საკვები კულტურების პროდუქციის წარმოება.

დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი პროცესის გავლას, როგორიც იყო სპეციალიზებული რეგიონების შექმნა,, ქვეყნისათვის პრიორიტეტული სტრატეგიული დარგების განსაზღვრა-კლასიფიკაცია და უპირატესი განვითარება. ამას ხელი შუწყო და შეიძლება ითქვას დასაბამი მისცა ქართველ ნიადაგმცოდნეთა მიერ ნიადაგური პირობების (საფარის) შესწავლამ და ახალი მომგებიანი კულტურების (ჩაი, ციტრუსი და სხვა) გაშენებისათვის რეკომენდაციების მიცემამ.

თანამედროვე პირობებში, წარმოების სფერო და მისი ცალკეული სისტემა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული და დაკავშირებული შესაბამის ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური გარემოს ფორმირებასა და გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენს სპეციფიკური ბუნებრივი პირობები და ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის გეოგრაფიულმა თავისებურებამ, გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და საერთოდ, სპეციფიკურმა მრავალფეროვანმა და რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულმა ნიადაგურ-კლიმატურმა და ეკონომიურმა პირობებმა.

ბუნებრივი კომპლექსის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს შავი ზღვა. ის ხელს უწყობს თბილი და ტენიანი კლიმატის ფორმირებას. რაც ინტენსიური სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. მეორე მხრივ ეკონომიკური თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია საგარეუბნო და საკურორტო სოფლის მეურნეობის განვითარება.

ასევე მრავალფეროვანია კლიმატი, რაც ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით აიხსნება. საერთოდ გამოიყოფა ორი ძირითადი კლიმატური რაიონი: ზღვის ტენიანი სუბტროპიკული და სუბტროპიკულიდან კონტინენტურში გარდამავალი.

ხელსაყრელი კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა წარმატებით იქნეს მოყვანილი წელიწადში ორი მოსავალი. დაინერგოს შუალედური და სანაწვერალო კულტურები.

ატმოსფერული ნალექები ტერიტორიაზე ძალზედ არათანაბრად ნაწილდება. დასავლეთ საქართველოში საკმარისი, ზოგჯერ ზედმეტი რაოდენობი ნალექი მოდის (200-2700მმ საშუალოდ წლის განმავლობაში), ამ მხრივ ვერტიკალური სარტყლების მიხედვით არსებითი განსხვავება არ შიმჩნევა. აღმოსავლეთ საქართველოში შესამჩნევად ნაკლები ნალექი მოდის -400-500 მმ წელიწადში, ზოგიერთ მაღალმთიან ზონაში კი 1200-1500 მმ საც აღწევს. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ნალექების სიმცირე განაპირობებს ხელოვნური მორწყვის აუცილებლობას.

ტერიტორიის ძლიერი დანაწევრება, საკმაოდ განსხვავებული გეოლოგიიური აგებულება, კლიმატური პირობების და მცენარეული საფარის მრავალფეროვენბა დიდ გავლენას ახდენს ნიადაგის ფორმირებაზე. აქ გვხვდება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგი, დაწყებული სუბტროპიკული ზონის წითელმიწა და ეწერ ტიპის ნიადაგებიდან, მაღალმთიანეთის მდელოსა და უდაბნო-მდელოს ზონის შავმიწაყომრალი, მურა და სამხრეთ ნაწილის მთა- მდელოს ზონის მთის შავმიწებამდე.

მთიანი რელიეფის გავლენა სოფლის მეურნეობაზე უწინარეს ყოვლისა, მეტისმეტად შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში გამოიხატება.

ბუნებრივი ფაქტორები მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ პირობებთან, რითაც განისაზღვრება სოფლის მეურნეობისადმი წაყენებული

მოთხოვნები და საბაზრო მოტივაციები, ამასთან დაკავშირებით კი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ხასიათი, დარგობრივი და რეგიონული კავშირები, მარკეტინგული სიტუაცია, ეკონომიკური მექანიზმის გამოყენების პირობები. საგარეო ეკონომიკური კავშირები, სოციალური ურთიერთობების და სხვა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დღევანდელი სურათი, სასოფლო სამეურნეო სავარგულების, ნათესი და მრავალწლიანი კულტურების ფართობების, სასოფლო სამეურნეო დარგების გადაადგილებისა და პროდუქციის წარმოების მოცულობების თვალსაზრისით, შემდეგნაირია:

- აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების ნათესი ფართობი უპირატყესად დაკავებულია საშემოდგომი და საგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეულით, სიმინდით (კახეთი, ქვემო ქართლი), ლობიოთი და სხვა პარკოსანი კულტურებით (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი), მზესუმზირით (კახეთი), კარტოფილით (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი), ბოსტნეული კულტურებით (მეტ-ნაკლებად ყველგან), საკვები კულტურებით (უპირატესად ქვემო ქართლი და სამცხე ჯავახეთი).
- დასავლეთ საქართველოს რეგიონების ნათეს ფართობს ძირითადად იკავებს სიმინდი (იმერეთი, სამეგრელო) და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები;

უკანასკნელი წლების მონაცემებით საქართველოში სახნავი მიწები რამდენადმე გაიზარდა, მრავალწლიანი ნარგაობის ფართობი კი შემცირდა. ინტენსიური სავარგულების დიდი ფართობები ტრანსფორმირდება დაბალინტენსიურ სავარგულებში, რისი მიზეზიცაა ეროზიული პროცესების განვითარება. ეს იმის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს., რომ უნდა გატარდეს კულტტექნიკური და აგროტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რათა მოხდეს ამ მიწების ტრანსფორმირება სახნავში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის რეგიონული სურათის ტენდენციური და კანონზომიერი ხასიათი შემდეგნაირად იკვეთება:

- აღმოსავლეთ საქართველოში, სასოფლო სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს, მემცენარეობის დარგებიდან განსაზღვრავს თავიანთი მემარცვლეობა (რეგიონების მიხედვით: 4,9%-სამცხე-ჯავა-

ხეთი, 20,7% - კახეთი), მებოსტნეობა (3,4% - კახეთი, 16,9% - ქვემო-ქართლი), მეხილეობა (4,2% - კახეთი, 29,4%-შიდა ქართლი), მევენახეობა (0,2% - სამცხე-ჯავახეთი, 22,2% - კახეთი)

- დასავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს, მემცენარეობის დარგებიდან განსაზღვრავს მესიმინდეობა (2,3% აჭარა, 19,7% - გურია, სამეგრელო) და მებოსტნეობა (1,4% - აწარა, 3,8% - იმერეთი)

შეიმჩნევა ის უარყოფითი და ეკონომიკურად გაუმართლებელი კანონზომიერება, რომ დასავლეთ საქართველოში არცთუ დიდი ხნის წინათ (1990-იან წლებამდე) მაპროფილებელ დარგს-მეჩაიებოს სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში ძალზე უმნიშვნელო ხვედრითი წილი უკავია, რომელიც 1,1%-იან დონეს არ აღემატება. რაც შეეხება მეციტრუსეობა, მის წილად მოდის 2,5%-სამეგრელოში, 15,8% - გურიაში და 46,1% - აჭარაში.

მეცხოველეობის დარგებიდან, აღმოსავლეთ საქართველოს სასოფლო სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს განსაზღვრავს მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა (19,1% - კახეთი, 46,7% - მცხეთა-მთიანეთი), მეღორეობა (1,6% - ქვემოქართლი 9,6% მცხეთა-მთიანეთი) მეცხვარეობა (0,5% - 3,5% - ძირითადად მცხეთა-მთიანეთში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთს) და მეფრინველეობა (ძირითადად ქვემო ქართლში - 16,3%, კახეთსა - 6,9% და შიდა ქართლში - 3,0%)

დასავლეთ საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს მეცხოველეობის დარგებიდან განსაზღვრავს მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა (29,5% - აჭარა, 45,*% რაჭა-ლეჩხუმი) აგრეთვე მეფრინველეობა(ძირითადად ქვემო ქართლში-16,3%,კახეთსა - 6,9% და შიდა ქართლში - 3,0%)

დასავლეთ საქართველოში, სასოფლო -სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს მეცხოველეობის დარგებიდან განსაზღვრავს მსხვილფეხა რქოსანა მესაქონლეობა (29,5%4 - აჭარა, 45,8% - რაჭა-ლეჩხუმი). აგრეთვე მეფრინველეობას (1,7% - აჭარა, 8,5% იმერეთი სამეგრელო) რაც შეეხება მეღორეობას, იგი გადაადგილებულია იმერეთისა (7,2%) სამეგრელო-ზემო-სვანეთში (11,2%), გურიასა (5,4%) და რაჭა-ლეჩხუმში (16,3%).

ცხრილი 10.2.1

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 2008-2012 წლებში მეურნეობათა ყველა კატეგორაში (მიმდინარე ფასებში:მლნ.ლარი)

	2008	2009	2010	2011	2012
სოფლის მეურნეობა სულ	2202,9	2072,2	2241,8	2674,0	2740,0
მემცენარეობა	918,1	868,3	932,1	1237,9	1009,7
მეცხოველეობა	1227,6	1140,5	1240,3	1336,8	1620,4

ცხრილი 10.2.2

მემცენარეობის პროდუქტების წარმოება 2008-2012წლებში საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობაში

წარმოება	2008წ	2009წ	2010წ	2011წ	2012წ
ხორბალი	80,3	53,9	48,4	96,8	80,7
ქერი	49,3	19,9	23,3	30,3	20,7
სიმინდი	328,2	291,0	141,1	296,6	267,0
ლობიო	11,6	10,2	5,8	8,9	9,6
კარტოფილი	193,4	216,8	228,8	273,9	252,0
ბოსტნეული	165,0	170,3	175,7	185,8	198,5
ბაღჩეული	52,8	43,7	40,9	42,8	36,7
ხილი	157,6	181,2	124,1	187,3	157,9
ციტრუსები	55,2	93,6	52,1	54,9	77,0
ყურძენი	175,8	150,1	120,7	159,6	144,0
ჩაის ფოთოლი	5,4	5,8	3,5	2,9	2,6

ცხრილიდან ჩანს რომ 2008-2012 წლებში შემცირებულია: მარცვლეულის (ხორბლისა და სიმინდის), ქერის, ყურძნის და ჩაის ფოთლის წარმოება

ცხრილი 10.2.3

მეცხოველეობის განვითარების მაჩვენებელი 2008-2012 წლებში

პირუტყვისა დაფრინველი სულადობა (წლის ბოლოს სათვის)	2008წ.	2009წ	2010წ	2011წ	2012წ
მსხვილფეხა რქოსანი პირ უტყვი(ათასი სული)	1045,5	1074,4	1049,4	1087,6	1128,8
მათ შორის:ფუ-რი და ფურ კამეჩი	560,1	537,6	561,7	587,7	602,4
ცხვარი და თხა	86,4	135,2	110,1	105,1	204,3
ფრინველკ-ლი(ათასი ფრთა)	6682,3	667,48	6521,5	6360,2	61,59
ხორცი(დაკ-ლულწონაში)	57,8	54,3	56,4	49,3	42,6
რძე	645,0	551,4	587,7	582,1	589,5
კვერცხი. მლნ. ცალი	437,5	430,6	444,5	483,1	474,0
მატყლი მეცხოველეო-ბის პროდუქტი წარმოება (ათა-სი ტონა)	1,0	1,8	1,7	1,7	1,6

ცხრილიდან ჩანს რომ 2008 -2012 წლებში მკვეთრადაა შემცირე-ბული ხორცის, მატყლის წარმოების მოცულობები. ძირითადი დარ-გების განვითარების საწარმოო მაჩვენებლები ბუნებრივად აისახა ეკონომიკურ მაჩვენებლებშიც. კერძოდ 2012 წელს სოფლის მეურნეო-ბაში შეიქმნა 1865,5 მლნ. ლარის, ხოლო 2008 წელს 1551 მლნ ლარის ოდენობის მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებით) მართალია

მშპ-ს ზრდა თითქოს დაფიქსირდა, მაგრამ ის არა წარმოების გადიდების, არამედ მხოლოდ ფასების ზრდის ხარჯზეა მიღებული.

საქართველოში სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში პროცენტებში 2011-2020 წელს შემდეგ სახეს იღებს (იხილეთ ცხრილი 10.2.4)

2011წ	2012წ	2013წ	2014წ	2015წ	2016წ	2017წ	2018წ	2019წ	2020წ
10.3	9.2	9.6	9.6	8.8	8.3	7.2	7.8	7.4	8.3

2011-2020 წლებში საქართველოში ერთწლიანი კულტურების წარმოება (ათას ტონა) წარმოდგენილია ცხრილ 10.2.5 -ში

სიმინდი

2014წ	2015წ	2016წ	2017წ	2018წ	2019წ	2020წ
291.6	184.6	243.7	142.5	194.2	207.1	255

ხორბალი

2014წ	2015წ	2016წ	2017წ	2018წ	2019წ	2020წ
47.5	125.6	126.6	97.9	107.1	100.6	102.4

ბოსტნეული

2014წ	2015წ	2016წ	2017წ	2018წ	2019წ	2020წ
153.6	152.3	141.7	125.9	142.2	161.1	176.1

კარტოფილი

2014წ	2015წ	2016წ	2017წ	2018წ	2019წ	2020წ
215.3	126.5	249	180.1	237.5	194.7	208.6

10.3. მევენახეობა-მეღვინეობა და მისი როლი საქართველოს სოფლის მეურნეობაში

მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემების მრავალფეროვნებისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, დარგის რადიკალური რეფორმირება მეღვინეობის კომპანიების ეფექტიანობის ამაღლების საწინდარია. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ცვლილება დარგში სავარაუდოდ რადიკალური ცვლილებების კატალიზატორი შეიძლება გახდეს. ასეთ პირობებში დარგის სხვადასხვა კონტრაგენტებს შორის ახალი კავშირურთიერთობების დამყარება, დაფინანსებისა და დაკრედიტების ახალი მექანიზმის მოძიება გამარტივდება. დარგის რადიკალური რეფორმირება სხვა ტიპის ცვლილებებსაც დაუდებს სათავეს.

მეღვინეობის დარგში სასურველი მდგომარეობის მიღწევა შეუძლებელია წარმოებაში თანამდროვე მეცნიერების მიღწევების დანერგვის, სხვა მეღვინეობის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინების გარეშე. მეღვინეობის სექტორში ცვლილებების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს ორგანიზაციულ-ეკონომიკური პრობლემების თეორიული ასპექტების საფუძვლიან გააზრებასა და მათი პრაქტიკაში რაციონალურ რეალიზაციას.

მსხვილი აგროსამრეწველო კომპლექსების განვითარება უნდა ეფუძნებოდეს წარმოებასა და სოფლის მეურნეობას შორის დიალექტიკურ ურთიერთკავშირს, რომლის კოორდინაციაც საბაზრო მოთხოვნასა და მიწოდებაზე ორიენტაციითა შესაძლებელი. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ღვინის რეალიზაცია ძირითადად უცხოურ ბაზრებზე ხდება, საერთაშორისო მეღვინეობის ტენდენციების გათვალისწინება ქართული მეღვინეობის რეფორმირების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს.

სახელმწიფო მართვის ორგანიების წარმომადგენლებს ძირეული ცვლლებების შემუშავებისა და დანერგვისათვის იმის ნათელი ხედვა უნდა ჰქონდეთ, თუ როგორ წარიმართება დარგში რეფორმები და ასევე ის, თუ დარგის მესვეურთ რა როლი აკისრია ამ საკითხში.

მევენახობა და მეღვინეობა ქართული სოფლის მეურნეობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგია. ვაზის კულტურის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. ქართველი ერის შემოქმედებითი ბუნება და განსაკუთრებული სიყვარული ვა-

ზისა და ღვინისადმი გამოიხატება ქართულ კულტურაში, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, არქიტექტურაში, ორნამენტებში, ჭედურობაში, მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და ხელოვნების სხვა დარგებში.

ქართულმა ერმა საუკუნეების მანძილზე შექმნა ვაზისა და ღვინის მოხმარების კულტურა და ტრადიცია, შეიმუშავა სუფრის მშრალი, ბუნებრივად ტკბილი და ნახევრად ტკბილი, სადესერტო, ცქრიალა, კახური და იმერული ტიპის ღვინოების დამზადების ტექნოლოგიური ხერხები.

მსოფლიოში ვაზის 4000-მდე ჯიშია ცნობილი. საქართველოში ვაზის 450-მდე ადგილობრივი ჯიშია გავრცელებული, რომელთაგან სტანდარტულ ასორტიმენტში 62 ჯიშია შეტანილი. გამორჩეული მაღალხარისხოვანი ქართული საღვინე ვაზის ჯიშებია; რქაწითელი, მწვანე, ხიხვი, ქისი, ჩინური, გორული მწვანე, ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, საფერავი, თავკვერი, შავკაპიტო, ალექსანდროული, მუჯურეთული, ძველშავი, უსახელოური, ოცხანური საფერე, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური და სხვა.

ისტორიული კატაკლიზმების დროს ამ ჯიშთა ნაწილი დაიკარგა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მაინც შემორჩა. საგურამოს საკოლექციო ნაკვეთში დღეისათვის 430-მდე ჯიშია შეგროვებული და დაცული. დღეისათვის უფრო მეტად 80-მდე ჯიშია გავრცელებული, რომლებიც ღვინის წარმოებაში გამოიყენება. ვაზის ჯიშთა ასეთ მრავალფეროვნებას, მათ ფუნქციურ თვისებებსა თუ გარეგნულობას საქართველოს სხვადასხვა რაიონების მეტად ჭრელი გეოკლიმატური პირობები და ნიადაგი განაპირობებს. 5-10 წლის წინ ქართული მეღვიეობის დარგის პრობლემებს ძალიან მცირე ყურადღება ეთმობოდა. საბჭოთა პერიოდის ტრადიციები ინერციით გრძელდებოდა, როცა მთავარი მოსავლის რაოდენობა და არა ხარისხი იყო. ქარხნების უმეტესობას საკუთარი ვენახები არ ჰქონდა და ძირითადად საკოლმეურნეო ზვრებზე იყო მიბმული. დღეისათვის ვითარება მეტწილად გამოსწორებულია. თუმცა ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება ისეთი მეღვინეობის საწარმოები, რომლებსაც საკუთარი ვენახები არ გააჩნიათ და მევენახე-გლეხების დაკრეფილ ყურძენზე არიან დამოკიდებული. მეორეს მხრივ გლეხები დაიტერესებულები არიან რაც შეიძლება მეტი ყურძენი ჩააბარონ ქარხებს და მაქსიმალური სარგებელი მიიღონ. ამიტომ ვაზს გაზაფხული-

დანვე ისე სხლავენ და წლის განმავლობაში ისე უვლიან, რომ ბევრი დაისხას და შემოდგომაზეც ბევრი, თუნდაც ნაკლებხარისხიანი ყურძენი გაყიდონ.

რომლისგანაც ქართული წითელი ღვინის დიდი უმეტესობა მზადდება. დღეისათვის საფერავის წარმოების მოცულობა მასზე მოთხოვნას მნიშვნელოვნად აჭარბებს.

დღეისათვის ქართულ მევენახეობაში თეთრი ყურძნის ჯიშებიდან ძირითადად რქაწითელია გავრცელებული. ამ ჯიშისაგან მზადდება ისეთი ცნობილი ღვინოები, როგორებიცაა წინანდალი, ნაფარეულის თეთრი, გურჯაანი, ვაზისუბანი და სხვა, დღეისათვის საქართველოს ვენახების დაახლოებით 65-70% კახეთშია კონცენტრირებული. ვენახის ფართობის მიხედვით (33582ჰა 2004 წლის მონაცემებით) კახეთია წამყვანი რეგიონი. ვენახების ფართობის მიხედვით კახეთს მხოლოდ შიდა ქართლი და იმერეთის მევენახეობის რეგიონი ჩამორჩება.

კახეთის რეგიონში 2006 წელს 1990 წელთან შედარებით ყურძის მოშენება 5.1-ჯერ შემცირდა, იმერეთის მხარეში 3.6-ჯერ. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ვენახების ფართობი სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, შიდა და ქვემო ქართლის მხარეებშიც.

დღეისათვის კახეთის ვენახების 50-60% საბჭოთა პერიოდშია გაშენებული, დანარჩენი ნაწილი კი 1994-95 წლებიდან დღემდე. ვაზის ძველ ნარგავებში დიდია მეჩხერიანობა, რის გამოც დაბალია საჰექტარო მოსავლიანობა (2.5ტ/ჰა-ზე) და მოყვანილი ყურძნის ხარისხი. საქართველოში დარეგისტრირებული ადგილწარმოშობის 18 დასახელების ღვინოდან 14 კახეთში იწარმოება. დღეისათვის იმერეთში ციცქა და კრახუნა მევენახეებს მცირე რაოდენობით მოჰყავთ, რადგან ცოლიკოურის მოსავლიანობა გაცილებით მაღალია და გარემო პირობების მიმართ უფრო მდგრადი ჯიშია. სამწუხაროდ თანამედროვე პირობებში იმერეთში თვით ღვინის ტიპს ნაკლები ყურადღება ექცევა. ძველად თუ ცოლიკოურის ჯიშის ყურძენს ვენახის ფართობის 75-80% ეკავა, დანარჩენი კრახუნას, ციცქას, დონდღლაბსა და სხვა ჯიშთა შორის ნაწილდებოდა. ამ ტიპის ჯიშებისაგან სვირული, იმერული ღვინო მზადდებოდა.

რაჭაში 1991 წლის მონაცემებით ვენახებს 1295 ჰა ფართობი ეკავა, 2015 წლის მონაცემებით932 ჰა უკავია, ე.ი. 363-ით ნაკლები. ვენახების

ფართობების კლება ძირითადად მეწყერული მოვლენების, ასევე მდინარე რიონზე ჯებირსამაგრი სამუშაოების დროულად ჩაუტარებლობითაა გამოწვეული. რაჭაში მეღვინეობისათვის პრობლემას ქმნის ისიც, რომ სავენახე ფართობი მიწისძვრით დაზარალებულთათვის სამოსახლოდ გაიცა. უკანასკნელ პერიოდში ხანდაზმულობის გამო დაახლოებით 150ჰა-მდე ვენახი გაიჩეხა.

აჭარის, აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოს მევენახეობა-მეღვინეობა შავი ზღვის ახლო სანაპირო ზოლშია მოქცეული, სადაც ვენახები 2-4 მეტრი სიმაღლეზე ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლემდე ვრცელდება. აჭარაში მევენახეობა უძველესი დროიდან კარგად იყო განვითარებული. ადგილობრივ ჯიშთა რაოდენობა 80-ს აღწევდა. რეგიონში სიმწიფისა და შეფერილობის მქონე აბორიგენული და ინტროდუქცირებული ვაზის 40-ზე მეტი ჯიში ჩამოყალიბდა და დღემდეა შენარჩუნებული. აჭარაში ისეთი უნიკალური ღვინოები იწარმოება, როგორიცაა „ქედის ცოლიკოური“ და „ჩხავერი“. დღეისათვის აჭარაში ვენახების საერთო ფართობი დაახლოებით 180 ჰექტარს შეადგენს. მათ შორის ცოლიკოურის ვენახს 70% უკავია, ჩხავერს 8%, დანარჩენი სხვადასხვა ადგილობრივი და ინტროდუქცირებული ვაზის ჯიშებითაა წარმოდგენილი.

აჭარაში მევენახეობა ძირითადად მთიან რეგიონშია შემორჩენილი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევის მეშვეობით ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ადგილობრივი ჯიშის საწურავის და ჩხავერის ვენახები. აჭარაში ცოლიკოური კარგად არ მწიფდება და მისგან მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების ღვინო დგება. აჭარის მევენახეობას ძირითადად უფრო კულტურული დატვირთვა გააჩნია, ვიდრე ეკონომიკური.

გურიაში (ბახვი-ასკანის, ფარცხმან-საჭამიას), აჭარაში (ქედა), აფხაზეთში (გუდაუთა) მიკროზონებში გურული აბორიგენული ვაზის ჯიშის ჩხავერისაგან განუმეორებელი, უნიკალური საგემოვნო თვისებების ჯიშური დასახელების ცქრიალა ღვინო ჩხავერი მიიღება. ბოლო წლების განამავლობაში ჩხავერის ფასი ქართული ყურძნის ჯიშებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი იყო. გურიის რეგიონში წითელი ყურძნის ჯიშებიდან ასევე აღსანიშნავია ვაზის ჯიში ჯანი, რომელსაც გურიაში ჩხავერის შემდეგ გავრცელების არეალის მიხედვით მეო-

რე პოზიცია უკავია. გურიაში თეთრი ვაზის სახეობებს შორის ცოლიკოურია გავრცელებული, რომლისგანაც საშუალო ღირსების ღვინო დგება და საოჯახო მეურნეობებში ადგილზევე მოიხმარება.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების პრობლემები მეგრულ მევენახეობაზე განსაკუთრებით მწვავედ აისახა. საქართველოს ეს მხარე საუკუნების განმავლობაში ადგილობრივი ვაზის უნიკალური ჯიშებით იყო გამორჩეული. სამეგრელოში ძირითადად ოჯალეშია წამყვანი ჯიში. თუმცა იგი მხოლოდ სალხინო-თარგამოულის და ბანძის მიკროზონებში შემორჩა. დროთა განმავლობაში ეს ჯიში ცოლიკოურმა და ჰიბრიდულმა „ადესამ“ ჩაანაცვლა. ალაგ-ალაგ შემორენილ ოჯალეშს ბოლო დროს დამკვიდრებული მავნე ტრადიციის მიხედვით ხშირად შაქარ-წყალზე აყენებენ. ცოლიკოურისაგან აქაც საშუალო ღირსების ღვინო დგება და ადგილზევე მოიხმარება.

საქართველოში ყოვლწლიურად დაახლოებით 150-250 ტონა ყურძენი იწარმოება, საიდანაც 50 ათას ტონამდე ღვინის კომპანიებში მუშავდება, 15 ათასი ტონა სუფრის ყურძნად იყიდება და ღვინის წარმოების თანმდევ პროდუქტებად გარდაიქმნება (ჩურჩხელა, მაჭარი, ა.შ). კერძო პირები 100 ათას ტონაზე მეტ ყურძენს იძენენ და მისი მეშვეობით ე.წ. „ოჯახურ“ ღვინოს ამზადებენ.

ქართული ღვინო ძირითადად საზოგადოებრივი კვების ობიექტებში მოიხმარება. რესტორნებისა და კაფე-ბარების ასორტიმენტში ძირითადად მსხვილი კომპანიების წარმოებული დაბალფასიანი ღვინო და ე.წ. ოჯახური ღვინოა წარმოდგნილი.

ქართველი და ევროპელი მომხმარებლის გემოვნება ღვინის თაობაზე მნიშვნელოვნად განსხვავდება. საქართველოში გაყიდული ბოთლის ღვინის დაახლოებით 45% „საფერავზე“ მოდის, დაახლოებით ამდენივე „რქაწითელიც“იყიდება, დარჩენილი 10%-დან დაახლოებით 7-8% დასავლეთ საქართველოში მოწეული ყურძნისაგან (ალექსანდროული, ალადასტური, მუჯურეთული, ტვიში, უსახელოური) დამზადებულ ღვინოზე მოდის. ღვინის ისეთი სახეობები, როგორიცაა ციცქა, ხიხვი, ჩინური და სხვა ქართულ ბაზარზე მცირე რაოდენობით იყიდება და შესაბამისად იწარმოება.

საფერავი ევროპაში ქართულ ღვინოთაგან ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სასმელია. გასული ათწლეულების განმავლობა-

ში ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის მოქალაქეებს ქართული ღვინიდან ძირითადად საფერავი მოსწონდათ. ამიტომაც, საბჭოთა კავშირის პერიოდში წითელი ყურძნის ჯიშებიდან კახეთში ძირითადად საფერავი გაშენდა. საფერავზე ან სხვა რამდენიმე ჯიშზე ორიენტირებით შეუძლებელია ქართულ მეღვინეობაში ძირეული ცვლილებების დანერგვა. თუ სხვა ჯიშის ღვინის სახეობები საექსპორტოდ არ გავიდა, უცხოელი მომხამარებელი ქართული ღვინის პოტენციალს სათანადოდ ვერ გაეცნობა.

ქართული მეღვინეობის პოტენციალის განსაზღვრის მიზნით რამდენიმე წლის წინ ქართული ვაზის ნაკლებად ცნობილი ჯიშების თაობაზე უცხოელ სპეციალისტებთან კონსულტაციები ჩატარდა. უცხოელი სპეციალისტების განსაკუთრებული მოწონება შავკაპიტომ, საფერემ, ხიხვმა, ქისმა და სხვა ვაზის ჯიშებმა დაიმსახურა. დღეისათვის ქართული ღვინის ჯიშებიდან საზღვარგარეთ მხოლოდ სამია პოპულარული: რქაწითელი, საფერავი და ხვანჭკარა. ასეთ პირობებში მეღვინეობის პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება ძირითადად მსხვილ კომპანიებშია შესაძლებელი.

ზანამედროვე მეღვინეობის ბაზრები მეტად დინამიურია. ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნებში ღვინის მოხმარების სტრუქტურა და მოხმარებული ღვინის ოდენობა მნიშვნელოვნად იცვლება. შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნების მეღვინეობის ბაზრების თაობაზე ინფორმაციის უზრუნველყოფა დარგში სხვადასხვა პროცესების განვითარებას მნიშვნელოვნად აჩქარებს.

დღეისათვის, ევროკავშირის ბაზარზე ქართული ღვინის წილი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროკავშირის გარეთ მდებარე ქვეყნების კომპანიების.ევროპულ ბაზარზე ქართული ღვინის არაკონკურენტუნარიანობის ძირითადი მიზეზი ტრანსპორტირების მაღალი ხარჯია. საქართველოდან ევროპაში ღვინის ტრანსპორტირება დაახლოებით 3-4-ჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ჩინეთიდან ევროპაში. საქართველოდან ევროპამდე პროდუქციის გადაზიდვის მასშტაბი ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან, რის გამოც პროდუქციის ერთეულზე გადაზიდვის ხარჯი უფრო მაღალია. ტრანსპორტირების ხარჯის ზრდას ასევე შიდა გადაზიდვის მაღალი ტარიფი განაპირობებს.

ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ბაზრები ათწლეულების განმავლობაში ქართული მეღვინეობის პროდუქციის რეალიზაციის ძირითადი

არეალი იყო. ქართული მეღვინეობის კომპანიების შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი წლების განამვლობაში უკრაინაზე მოდიოდა. უკრაინის საომარმა ვითარებამ და პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ქვეყანაში ღვინის მოხმარება და შესაბამისად ღვინის იმპორტის შემცირება განაპირობა, მათ შორის საქართველოდან. 2015 წელს 2014 წელთან შედარებით ქართული ღვინის ექსპორტი უკრაინაში 30%-ით შემცირდა. დღეისათვის ბელორუსული და ყაზახური მეღვინეობის ბაზრებიც ქართული ღვინის რეალიზაციის მხრივ წამყვან პოზიციებს იკავებენ.

კერძო საწარმოებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ქართული მეღვინეობა მსოფლიო ბაზარზე მეტ-ნალებად დაწინაურდა. თუმცა მვენახეობა-მეღვინეობის განვითარებას ჯერ კიდევ სხვადასხვა პრობლემა აფერხებს. საერთაშორისო მეღვინეობის ინდუსტრიის დინამიურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეღვინეობის დარგის სუბიექტების ძალისხმევის კონსოლიდაცია. პერმანენტული განვითარება და სრულყოფა ქართული მეღვინეობის კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი წინაპირობაა.

თუ მეღვინეს საკუთარი პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე წარმატებით პოზიციონირება სურს, ისეთი მახასიათებლების პროდუქცია უნდა შექმნას, რომელიც საბაზრო მოთხოვნებს მაქსიმალურად შეესაბამება. ქართული მეღვინეობის პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებით პოზიციონირებისათვის, ასევე უფრო აქტიური რეკლამის და პიარ-კამპანიის ჩატარებაა სასურველი. ზემოთხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით საერთაშორისო ბაზრებზე მეღვინეობის პროდუქციის წარმატებით პოზიციონირებისათვის მნიშვნელოვანი დროითი პერიოდი და ძალისხმევაა საჭირო.

საერთაშორისო ბაზრებზე წარმატების მისაღწევად მეღვინეობის კომპანიების საქმიანობის ყველა ასპექტს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს, მათ შორის წარმოებაში ხარჯების შემცირების პერსპექტივას, მუშა-ხელის სამუშაო პირობებს, ასევე სხვა საკითხებს. მეღვინეობის წარმოების კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა კომპანიების საქმიანობაში ინტეგრირებული მართვის სისტემები დაინერგა.

თუ მეღვინეობის კომპანიების საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარიმართება, საოპერაციო პროცესის ეფექტია-

ნობის ამაღლების ალბათობა გაიზრდება. ბოლო წლებში ISO 9001 (ხარისხის მართვის სტანდარტი), ISO 14001 (გარემოსდაცვითი) და OHSAS 18001(ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების) სტანდარტები მსოფლიოს გარშემო სხვადასხვა ქვეყნებში აქტიურად ინერგება.

დღეისათვის სულ უფრო იზრდება ორგანული წესით მოყვანილი ვენახების ფართობი. ორგანული მეღვინეობა ძირითადად ევროპაშია განვითარებული. თუმცა ეს მიმართულებაც ევროპისთვისაც ჯერ კოდევ ახალია. პირველი და უახლესი მეთოდოლოგია და წესები ორგანულ ღვინოსთან დაკავშირებით 2012 წელს შემუშავდა. ევროპის მსგავსი კანონმდებლობა ორგანულ ღვინოსთან დაკავშირებით ასევე არგენტინაში, ავსტრალიაში, კოსტა-რიკაში, ინდოეთში, ისრაელში, იაპონიაში, ახალ ზელანდიაში, შვეიცარიასა და ტუნისში მოქმედებს. რამდენიმე წლის წინ აშშ-მა და ევროკავშირმა ორგანული ღვინით ვაჭრობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ევროპაში მსხვილი ორგანული ღვინის მწარმოებელი ქვეყნებია ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი (2012 წლის მონაცემებით).ევროკავშირის ქვეყნების გარდა ორგანული ღვინის მსხვილი მწარმოებლებია ასევე აშშ, ჩილე და არგენტინა.

ორგანული მეღვინეობა ღვინის წარმოებაა ჰერბიციდების, სასუქების და გარემოსთვის პოტენციურად მავნებელი ნივთიერებების მინიმალური გამოყენებით. ორგანული მევენახეობის პირობებში ქართული მეღვინეებისათვის ახალი შესაძლებლობები იხსნება.

„ახალი სამყაროს“ მეღვინეობის ქვეყნების კომპანიები დღეისათვის ძირითადად მასტაბურ წარმოებაზე არიან ორიენტირებული, მაშინ როდესაც „ძველი სამყაროს“ ქვეყნებში მექანიკური და ტრადიციული ღვინის წარმოების ხელოვნება ფართოდ არის გავრცელებული. მასშტაბურ წარმოებაში ტრადიციულთან შედარებით უფრო ადვილია ინოვაციების დანერგვა, მათ შორის ორგანულ მეღვინეობასთან დაკავშირებული სიახლეების. შესაბამისად ე.წ. „ახალ მეღვინეობის“ ქვეყნებში ორგანული მეღვინეობის საკმაოდ კარგი პერსპექტივებია.

მეღვინეობაში ეკო-მეგობრული ტექნოლოგიების დანერგვამ საწარმოთა ეფექტიანობა გრძლვადიან პერიოდში შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს. კლიმატური პირობების გაუარესებამ და მსოფ-

ლიო ფინანსურმა კრიზისებმა ალტერნატიული კვებითი უზრუნველ-ყოფის სისტემის შემოღების საჭიროება განაპირობა.

ტრადიციული მეღვინეობის მეთოდიდან ორგანული მეთოდზე გადასვლა დაახლოებით 36 თვეს საჭიროებს. ამ პერიოდის განმავლობაში მეღვინემ ნიადაგი შხამ-ქიმიკატებისგან უნდა გაწმინდოს, ორგანული მეღვინეობის მეთოდიკას გაეცნოს, ორგანული პროდუქციისათვის შესაბამისი გასაღების ბაზრები გამონახოს და სხვა.

ორგანულ მეღვინეობაში შხამ-ქიმიკატები, როგორიცაა პესტიციდები, ჰერბიციდები და სხვა მინიმალური ოდენობით გამოიყენება. ქიმიური ნივთიერებების გამოყენების გარეშე ხარისხიანი ღვინო-მასალის გამოყვანა ფაქტიურად შეუძლებელია.მეღვინეობის წესების დარღვევით მოყვანილმა ყურძენმა ღვინის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნას.

თუ მეწარმე ყურძნის მოვლას და მოყვანას ორგანული მეთოდით დააპირებს, ღვინის წარმოების მთელი პროცესის ხელახლა დაგეგმვა მოუწევს. მეღვინეობის პროცესის მკაცრი კონტროლი და ტექნოლოგიის შესანიშნვი ცოდნა მეღვინეს ხარისხიანი ღვინის წარმოებასა და გარემოს დაცვას შორის ბალანსის დაცვის საშუალება მისცემს. ორგანული მეღვინეობის წარმართვის შემთხვევაში მეწარმეს უნდა გააჩნდეს შესანიშნავი ცოდნა იმისა თაობაზე, თუ როგორ დაიცვას ვაზი მავნებლებისა და სხვადასხვა დაავადებებისაგან.

ორგანულ მეურნეობაში შხამ-ქიმიკატების მინიმალური ოდენობით გამოყენების გამო მნიშვნელოვნად იზრდება მოსავლის და შემდგომში ღვინის გაფუჭების რისკი.

ორგანულ მეღვინეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და წარმოებაში დანერგვა, როგორიცაა ჰიგიენის უმაღლესი სტანდარტების დაცვა, წარმოებაში ტემპერატურის მკაცრი კონტროლი და სხვა. ამ შემთხვევაში უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკა მნიშვნელოვან კავშირშია ერთმანეთთან, ისევე როგორც ხარისხის მართვისა და წარმოების სხვა ასპექტებთან. აღნიშნული გარემოება მაღალხარისხიანი ღვინის წარმოების პროცესში ინტეგრირებული მენეჯმენტის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამსხაზს.

ორგანული მეღვინეობის ერთ-ერთი ძირითადი სარგებლიანობა

იმაში გამოიხატება, რომ იგი მთლიანი ეკო-სისტემის სიჯანსაღის შენარჩუნებას უწყობს ხელს, მათ შორის ნიადაგის, მცენარეების, ცხოველების, ადამიანების, სხვა. ეკოლოგიურად სუფთა ნიადაგზე ჯანსაღი ვაზის პროდუქციის მოყვანაა შესაძლებელი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საწინდარია. პესტიციდების ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზეგავლენის გამო სულ უფრო იზრდება თანამედროვე საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ასეთი წესით წარმოებული ღვინის მიმართ. თუ ქართული მეღვინეები შეეცდებიან საკუთარი ღვინის, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის პოზიციონირებას, სავარაუდოდ ბაზარზე ორგანული ღვინის მომხმარებლების სეგმენტის გულის მოგებას შეძლებენ. ორგანული ღვინის მომხმარებლების რაოდენობა ყველაზე უფრო მაღალია ევროპაში, სადაც ქართველი მეღვინეები საკუთარი წილის მნიშვნლოვნად გაზრდას ჯერ კიდევ უშედეგოდ ცდილობენ.

ორგანულ მეღვინეობასთან დაკავშირებით სხვადასხვა კვლევები ჩატარდა.ყველა კვლევის შედეგი იდენტურია იმის თაობაზე, რომ ორგანულ მეღვინეობას ბევრად ნაკლები ზარალის მიყენება შეუძლია ნიადაგისათვის, ვიდრე ტრადიციულს. ტრადიციულ მეღვინეობასთან შედარებით ორგანული მეღვინეობის ნაყოფიერება ბევრად უფრო დაბალია. ამის გამო მეღვინეს შეიძლება დამატებითი სავარგულების გამოყენება მოუხდეს, რამაც შეიძლება გაანეიტრალოს, ან საერთოდ გადაფაროს ორგანული მეღვინეობის პირობებში მიღებული დადებითი შედეგები.

წარმოებაში გარემოსდაცვითი ღონისძიებების დანერგვამ რამდენიმე მიმართულებით ხარჯების ზრდა შეიძლება განაპირობოს. პირველ რიგში მეწარმეს მაღალტექნოლოგიური დანადგარების შეძენა შეიძლება მოუწიოს.

ორგანული მეღვინეობის მეთოდებით მეურნეობის წარმართვის შედეგად ასევე შრომითი რესურსებისა და მასალების უფრო ინტენსიურად გამოყენების საჭიროება შეიძლება დადგეს, რადგან მეღვინეობის საწარმოს მენეჯმენტს იმავე შედეგის მისაღწევად უფრო მეტი ძალისხმევის გაღება მოუწევს. საერთოდ ორგანულ წესით მოყვანილი პროდუქტის თვითღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ტრადიციული წესით წარმოებული საქონლის. სოფლის მეურნეობის დარგებს შორის მეღვინეობის სექტორში განსაკუთრებით მაღალია ორგანული და

ტრადიციული მეთოდით წარმოებული პროდუქციის ხარჯებს შორის სხვაობა, დაახლოებით 25-30%-ით.

ორგანული მეღვინეობის მეთოდიკა მწარმოებლურობაზეც უარყოფით გავლენას ახდენს. ახალი წარმოების მეთოდები შეიძლება არ აღმოჩნდეს იმდენად ეფექტური, როგორც ტრადიციული, რამაც წარმოებაში დამატებითი რესურსების გადატანის საჭიროება შეიძლება განაპირობოს. გარდა ამისა, ახალ წარმოების მეთოდზე გადასვლა ხშირად 3-4 წელი გრძელდება, რის გამოც მენეჯმენტის ყურადღება ზედმეტად მიჯაჭვული იქნება ამ პროცესზე და ბიზნესის განვითარების სხვა შესაძლებლობები თვალთახედვიდან გამოეპარება. თუ კომპანია ორგანული წესის შესაბამისად პროდუქციის წარმოებაზე გადადის, საკანონმდებლო მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მიზნით დამატებითი ხარჯის გაწევა მოუწევს.

ორგანული მეღვინეობის მეთოდიკის დანერგვის შედეგად საწარმოს ხარჯები შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში შემცირდეს. წარმოებაში ასეთი მეთოდიკის დანერგვამ კომპანიაში ინოვაციების შემოღებას, რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და მუშა-ხელის მოტივაციის გაზრდას შეიძლება შეუწყოს ხელი.

ღვინის წარმოება კომპლექსური პროცესია. ამ პროცესში მეღვინეს მრავალი დეტალის გათვალისწინება მმართებს. თუ მეღვინემ საწარმოო პროცესის სათანადოდ წარმართვა ვერ შეძლო, ყველაზე ცუდ შემთხვევაში ღვინო შეიძლება გაფუჭდეს, ასევე მისი სამომხმარბლო ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად დაიკარგოს.

ღვინის წარმოება კომპლექსური პროცესია, სადაც გაფუჭების საფრთხე ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება წარმოიშვას. ღვინომ შეიძლება მომწარო გემო შეიძინოს, არომატი დაკარგოს, მომხმარებლისათვის ვიზუალურად არამიმზიდველი გახდეს.

ღვინის წარმოების ძირითადი ეტაპები და კონცეფციები საუკუნეების განმავლობაში არ შეცვლილა. ღვინის წარმოების პროცესში სხვადასხვა მიკროორგანიზმები გამოიყენება, რომლებიც ყურძნის ნაყოფში შემავალი შაქრის ალკოჰოლად გარდაქმნას, ღვინის მჟავიანობის შემცირებას და არომატის სპეციფიურობას გააპირობებენ.

ღვინის მიკრობიოლოგიური ფუჭების პროცესი მიკროორგანიზმების უკონტროლოდ გამრავლების შედეგად იწყება. ფერმენტაციის

პროცესში გამოყენებული მიკროორგანიზმები ღვინის ელემენტებით იკვებებიან და საკუთარ წარმონაქმნს დულილის პროცესში გამოყოფენ. მიკრობიოლოგიური ფუჭების პროცესის თვალით შემჩნევა ხშირად შეუძლებელია, რადგან ასეთი მავნე ნივთიერებები რამდენიმე მილიგრამის წონისაა. თუმცა ასეთმა მიკროორგანიზმებმა ღვინის შემადგენლობა შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს. ღვინის წარმოების პროცესში მის დაზიანებას ძირითადად 3 გარემოება განაპირობებს:

1. ღვინის დამაზიანებელი მიკროლემენტები
2. დაავადების სხვა ხელშემწყობი ფაქტორები
3. დროითი პერიოდი

მომგებიანობის უფრო დეტალური ანალიზის მიზნით სასურველია ფაქტორული ანალიზის ჩატარება. საწარმოო მოგების ფორმირებაზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს გავლენას:

1. რეალიზებული პროდუქციის მოცულობა,
2. ხარჯების სტრუქტურის ცვლილება
3. წარმოების მასალებზე და მომსახურებაზე ტარიფის ცვლილება,
4. პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ცვლილება, სხვა.

საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენენ გავლენას:

1. შიდა და უცხოურ ბაზრებზე საწარმოთა წილი,
2. საწარმოს საქმიანი რეპუტაცია,
3. საწარმოს საოპერაციო და არასაოპერაციო საქმიანობის რენტაბელობა,
4. კრედიტორებთან და ინვესტორებთან საწარმოს მენეჯმენტის ინტერაქციის დონე და ხარისხი,
5. საწარმოს მომხმარებლების საიმედოობა, სხვა.

ქართული ეკონომიკის განვითარებას მცირე ბიზნესის არაეფექტიანობა და ფინანსური არამდგრადობა მნიშვნელოვნად აფერხებს. განსაკუთრებით აქტუალურია ეს პრობლემატიკა მცირე მეღვინეობის კომპანიებში, რომელთა რეალიზაციის უდიდესი ნაწილი ექსპორტზე მოდის. დღეისათვის საქართველოში დაახლოებით 300-მდე მეღვინეობის კომპანიაა რეგისტრირებული, რომელთაგანაც 80 აქტიურად ფუნქციონირებს და ექსპორტზე გააქვს პროდუქცია. ქართული მეღ-

ვინეობის პროდუქიის რეალიზაციის უდიდესი ნაწილი რამდენიმე კომპანიაზე მოდის, როგორიცაა „თელიანი ველი“, „თბილღვინო“, „ბადაგონი“, სხვა.

რუსეთის ბაზრის დაკარგვამ გარკვეული პერიოდით თითქმის ყველა მეღვინეობის კომპანიების შემოსავლიანობა შეამცირა.

სოფლის მეურნეობა ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რისკიანი და სპეციფიური სფეროა. იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის დანიშნულება მოსახლეობამდე სურსათის დროულად მიწოდებაა, სოფლის მეურნეობას ეროვნულ მეურნეობაში განაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სოფლის მეურნეობის ბიზნესი ბუნების კანონებს ექვემდებარება, რის გამოც, საბოლოო ჯამში საოპერაციო და ფინანსური შედეგების პროგნოზირება რთულია. შესაბამისად სოფლის მეურნეობის საწარმოების ფინანსური დანაკარგის და გადახდისუუნარობის რისკიც სხვა დარგის საწარმოებთან შედარებით უფრო მაღალია.

ქართულ მეღვინეობაში ინვესტიციების მოზიდვა დარგის განვითარების საწინდარია. ინვესტიციების მოზიდვა განსაკუთრებით სასურველია წვრილ მევენახეობისა და მეღვინეობის მეურნეობებში. მცირე ბიზნესის განვითარება ქართული ეკონომიკისა და მათ შორის მეღვინეობის სექტორის წინსვლის საწინდარია. განსაკუთრებით მძიმეა ვითარება მევენახეობის სექტორშია, სადაც მევენახეობის სელექციური ბაზის გამრავალფეროვნება და ვაზის ჯიშების აღრიცხვის მკაცრი სტანდარტების შემოღებაა სასურველი.

მეღვინეობის ქარხნებისა და ვენახების განახლების გარდა მეღვინეობის სფეროში სასწავლო-სამეცნიერო კუთხით ინვესტიციების დაბანდება დარგის პრიორიტეტული მიმართულებაა. მეღვინეებისა და მევენახეებისათვის სემინარებისა და ტრეინინგების გამართვა ღვინის წარმოების ტექნოლოგიასა და ღვინის მარკეტინგში; წარმოების ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება; მეტი, დაწვრილებითი და უახლესი მონაცემების შეგროვება და შესაბამისი ბაზის შექმნა ქართული მეღვინეობის კომპანიების წინსვლას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ზემოთხსენებული საკითხების მოგვარება მეღვინობის დარგში მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვას საჭიროებს. საწარმოო

პრაქტიკაში ინვესტიციების მოზიდვის შესახებ საკითხის განხილვისას, როგორც წესი პრიორიტეტი დაგროვილ მოგებას ენიჭება.

მოგების რეინვესტირების უპირატესობებია:

1) შიდა წყაროებიდან მოზიდული კაპიტალის საწარმოსათვის უფასოა;

2) დაგროვილი მოგების როგორც დაფინანსების წყაროს გამოყენების შემთვევაში საწარმოზე აქციონერთა კონტროლი არ იკარგება;

3) დაგროვილი მოგების გამოყენება საწარმოს ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას უწყობს ხელს, რაც შემდგომში გარე კაპიტალის მოზიდვას მნიშვნელოვან წილად განაპირობებს.

დაგროვილი მოგების, როგორც დაფინანსების წყაროს ნაკლოვანება მისი შეზღუდულობა, არასტაბილურობა, პროგნოზირების სირთულეა. რეინვესტირებული მოგების მართვა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე სხვა დაფინანსების წყაროების, რაც სხვადასხვა ფაქტორების გავლენითაა განპირობებული (ბაზრის კონიუნქტურა, ეკონომიკური ციკლის ფაზა, მოთხოვნისა და ფასების ცვლილება, ა.შ.). ამიტომაც, როგორც წესი დაფინანსების შიდა წყაროები არ არის საკმარისი საქმიანობის მნიშვნელოვნად გასაფართოებლად, ახალი პროექტების რეალიზაციისათვის, წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისათვის.

საწარმოო პროცესის შემდგომშიც წარმატებით წარმართვის მიზნით საწარმოო პროცესის შემდგომი სრულყოფა და ფინანსური შედეგების კიდევ უფრო გაუმჯობესებაა სასურველი. გლობალური მეღვინეობის ბაზრის პირობებში ქართული მეღვინეობის კომპანიების კონკურენტები არა იმდენად ქართული საწარმოებია, რამდენადაც სხვა წამყვანი მეღვინეობის ქვეყნების კომპანიები. თუ წამყვანი ქართული მეღვინეობის კომპანიების მენეჯმენტი საწარმოო პროცესის ეფექტიანობის ამაღლებაზე არ იზრუნებს, თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით მათი კონკურენტუნარიანობა და საბაზრო წილი შეიძლება შემცირდეს.

მეღვინეობის კომპანიების მოგება-ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზის საფუძველზე დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი მთლიანი ხარჯის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ელემენტად განისაზღვრა. ასეთი ტიპის ხარჯების ოპტიმიზაცია მეღ-

ვინეობის კომპანიების საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

მეღვინეობის დარგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გადაზიდვებისათვის ხელსაყრელი პირობებისა და ეფექტური სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის შექმნაა. გლობალიზაციის პირობებში ლოჯისტიკა რეგიონებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. შესაბამისად დროთა განმავლობაში მეღვინეობის კომპანიების გადაზიდვისა და რეალიზაციის ხარჯი მნიშვნელოვნად შემცირდება.

მაღალი საბანკო საპროცენტო განაკვეთების გამო მეღვინეობის კომპანიების ფინანსური ხარჯი მთლიანი დანახარჯების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს შეადგენს. დიდი ოდენობის ფინანსური ხარჯი ქართულ მეღვინეობის კომპანიებს სხვა ქვეყნების მეღვინეობის საწარმოებთან შედარებით არაკონკურენტულ მდგომარეობაში აყენებს.

საწარმოო ეფექტიანობის ამაღლებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვაა სასურველი:

1. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება
2. წარმოების მოცულობის გაზრდა
3. საწყობში მარაგების მოცულობის ოპტიმიზაცია
4. საწარმოს კონკურენტუნარიანობის და წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაზრდა
5. ჭარბი მანქანა-დანადგარებისა და ქონების რეალიზაცია, მისი არენდით ჩაბარება
6. წარმოების დივერსიფიკაცია
7. არასაწარმოო დანახარჯებისა და დანაკარგების ლიკვიდაცია

კომპანიის ეფექტიანობის ამაღლების მხრივ სასურველი ეფექტის მისაღებად სასურველია საკითხის გარშემო სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინება. პირველ რიგში საწარმოო საქმიანობის პრობლემური არეების დროულად განსაზღვრაა სასურველი, რათა მოკლევადიან პერიოდში მეღვინეობის კომპანიების მომგებიანობა ამაღლდეს.

მეღვინეობის საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებისათვის ასევე წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაა სასურველი. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაზოგვაა შესაძლებელი, რაც მოკლევა-

დიან პერიოდში საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებას განაპირობებს. თანამედროვე ტექნოლოგიების დანეგვის პირობებში საბოლოო პროდუქციის ოპტიმალური რაოდენობით წარმოებაა შესაძლებელი. წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზანი მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებაა. მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში ისეთი მახასიათებლებია და ოდენობის პროდუქციას აწარმოებს, რაზეც ბაზარზე რეალურად არსებობს მოთხოვნა.

ძირითადი ფონდები, საბრუნავი საშუალებები, შრომითი რესურსები მეღვინეობის წარმოების ის ძირითადი არეებია, რომელთა ეფექტიანობის ამაღლების პირობებში მთლიანი წარმოების რენტაბელობის გაუმჯობესებაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალებების რაციონალური გამოყენების შედეგად საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები გაუმჯობესდება: შრომის მწარმოებლურობა, ფონდუკუგების და გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირდება, კაპიტალური დანახარჯების ეკონომია. საწარმოო ფონდების მდგომარეობაზე, ხარისხსა და სტრუქტურაზე მნიშვნლოვნად დამოკიდებულია ის, თუ რამდენად დაჩქარდება საწარმოს ბრუნვა და დამატებითი ფინანსური სახსრები გამონთავისუფლდება.

ძირითადი საშუალებები საწარმოო პროცესის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ძირითადი საშუალებების რაციონალური და სრული გამოყენება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას: შრომის მწარმოებლურობის ზრდას, ფონდუკუგების ზრდას, გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გაზრდას, თვითღირებულების შემცირება, კაპიტალურ დანახარჯებზე ეკონომიას. ფინანსური სახსრები მნიშვნლოვანწილად დამოკიდებულია ძირითადი საწარმოო ფონდების მდგომარეობაზე, ხარისხსა და სტრუქტურაზე.

საწარმოო პროცესში ძირითადი ფონდების ეფექტიანობის ამაღლებას სხვადასხვა ღონისძიებები შეუწყობს ხელს:

1. საწარმოს ზედმეტი მანქანა-დანადგარების და სხვა ძირითადი საშუალებების რეალიზაცია ან მათი არენდით გაცემა,
2. ძირითადი საშუალებების საგეგმო-პრევენციული და კაპიტალური რემონტის დროული და ხარისხიანი ჩატარება,

3. საწარმოში დასაქმებული ძირითადი პერონალის კვალიფიკაციის ამაღლება,

4. საწარმოო ძირითადი ფონდების დროული განახლება მათი მორალური და ფიზიკური ცვეთის ზედმეტად თავიდან აცილების მიზნით,

5. წარმოებისათვის ნედლეულისა და მასალების გამზადება,

6. წარმოების სრულყოფა და შრომის ჰიგიენის გაუმჯობესება სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებისა და მანქანა-დანადგარების უფუქნციოდ დარჩენის თავიდან ასაცილებლად.

საბრუნავი სახსრების ეფექტიანი გამოყენებით მომგებიანობის ამაღლებაა შესაძლებელი. საბრუნავი აქტივების ბრუნვის აჩქარების შედეგად გამონთავისუფლებული ფულადი სახსრებით ვალდებულებების დროულად დაფარვა გამარტივდება. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მეღვინეობის კომპანიების მძიმე ფინანსურ მდგომარეობას შეამსუბუქებს.

წარმოებაში საბრუნავი აქტივების სარგებლიანობის ამარლება სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი:

1. წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიმდინარე აქტივების უფრო ეფექტიან გამოყენებას. მიმდინარე აქტივების უფრო ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში საწარმოო ციკლი შემცირდება, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე გასაწევი ხარჯის დაგეგმვა გამარტივდება, ასევე მომავალი პერიოდის ხარჯების ოპტიმიზაცია გამარტივდება

2. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების ეფექტიანად გამოყენება წარმოების სხვადასხვა ეტაპებს შორის დროის შუალედს შეამცირებს. როგორც წესი, ასეთი დროის პერიოდი მთლიანი საწარმოო პროცესის მნიშვნელოვან დროით პერიოდს შეადგენს. აღნიშნული პერიოდის შემცირება დაუმთავრებელი პროდუქციის ოდენობის შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ასეთი ღონისძიბების წარმოებაში დანერგვა წარმოებაში მუშა-ხელის დროულად ჩართვას შეუწყობს ხელს, რაც საწარმოს მენეჯმენტს სახელფასო ფონდის ოპტიმიზაციის საშუალებას მისცემს.

3. შრომატევადობის ნორმატივების, მატერიალური ხარჯების ნორმის, მანქანა-დანადგარების მეუშაობის რეჟიმის ოპტიმიზაციას,

ტექნოლოგიური პროცესების ნორმალიზაცია და ტიპიზაცია, მთლიანი საწარმოო პროცესის ტექნოლოგიური უნიფიკაცია. აღნიშნული ნორმატივების წარმოებაში შემოღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დაგეგმარების პროცესისათვის შრომითი, ნედლეულისა და მასალების, ასევე დაუმთავრებელი პროდუქციის ოპტიმალურ დონეზე მიწოდებას. ასეთ პირობებში საწარმოო წუნზეც საგეგმო დანახარჯებიც შემცირდება.

4. წარმოებაში შედარებით დაბალხარისხიანი მასალის გამოყენება, რაც სასაქონლო-მატრიალურ ფასეულობებში ფულადი სახსრების დაბანდების დონეს შეამცირებს. თუმცა აღნიშნული მიდგომა ნაკლებად პრაქტიკულია ქართული მეღვინობის კომპანიებისათვის, რადგან მეღვინეობის დარგის განვითარების მიზნით პრემიუმ ხარისხის ღვინის წარმობაზე ორიენტაციაა სასურველი.

მეღვინეობის კომპანიის მუშა-ხელზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ის, თუ წარმოებაში ძირითადი საშუალებები და საბრუნავი აქტივები რამდენად ეფექტიანად გამოიყენება. წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად წარმოებაში მაღალკვალიფიციური პერსონალის წილის შემცირებაა შესაძლებელი. ტექნოლოგიების გაუმჯობესების პირობებში წარმოებაში ადამიანური ფაქტორი შემცირდება, რაც ერთის მხრივ შეცდომის ალბათობას მინიმუმამდე შეამცირებს, მეორეს მხრივ პერსონალზე შრომითი დაახარჯის მინიმიზაციას შეუწყოს ხელს.

ამდენად საწარმოო რესურსების ეფექტიანად მართვის ძირითადი დანიშნულებაა საწარმოს სტაბილურობის შენარჩუნება და მოგების მიღება. ამ მიზნების მიღწევისათვის სხვადასხვა ამოცანების შესრულებაა საჭირო:

1. საწარმოო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა
2. წარმოების ყველა ეტაპზე დანახარჯების მინიმიზაცია
3. საწარმოო გამოშვების მაქსიმიზაცია

მეღვინეობის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნლოვანია წარმოების ნედლეულისა და მასალების შესაბამისი ასორტიმენტისა და შესანიშნავი ხარისხით უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოებული პროდუქციის ხარისხი შეიძლება მნიშვნელოვნად დაეცეს, რაც სხვადასხვა ბაზრებზე პროდუქციის რე-

ალიზაციას მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს. გადაზიდვების პერიოდისა და ხარჯის მინიმიზაცია, ნარჩენების შემცირება საწარმოთა ზოგადი ეფექტიანობის მაქსიმიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

სხვადასხვა მცირე მეღვინეობის კომპანიების არაფექტიანობის პირობებში წარმოებაში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა რამდენიმე წელიწადში პრაქტიკულად არაა მოსალოდნელი. ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოებაში რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების დანერგვა. კლიმატის გლობალური დათბობის გათვალისწინებით სასურველია ასეთი ტექნოლოგიები გარემოსათვის მაქსიმალურად უსაფრთხოც იყოს.

მოძველებული ინფრასტრუქტურის პირობებში ღვინის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე წარმოქმნილმა დანაკარგებმა მეღვინეობის კომპანიების მთლიანი ხარჯი შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს. საწარმოო დანაკარგი, როგორც წესი, ნედლეულისა და მასალების არეფექტიანად გამოყენების შედეგად წარმოიქმნება. საწარმოო დანაკარგი ასევე წყლისა და ბენზინის/დიზელის არარაციონალურად გამოყენების გამო შეიძლება წარმოიქმნას.

მეღვინეობის კომპანიების საოპერაციო პროცესში ინვესტირებისგარდა, ასევე დარგისხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებაა სასურველი. პირველ რიგში სასურველია დარგის შესახებ უახლესი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება. ინვესტორებისათვის დროული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება მეღვინეობის დარგში ინვესტიციების დაბანდებას შეუწყობს ხელს.

ქართული მეღვინეობის განვითარების მიზნით დარგში ახლებური მიდგომების დანერგვაა სასურველი. კლიენტზე ორიენტირებული მიდგომა მეღვინეობის პროდუქციისათვის დამატებით ატრიბუტიკას და სერვისის თავისებურებების დამატებას შეუწყობს ხელს. კლიენტის ლოიალურობის შექმნას სხვადასხვა ღონისძიებები მნიშვნელოვნად განაპირობებს:

1. კლიენტის იმედგაცრუების მიზეზების გამორკვევა და ანალიზი,
2. ბიზნესის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა,

3. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სამომხმარებლო ლოიალურობის ფორმირება და მართვა,

4. კომპანიაში ინოვაციური მარკეტინგული გადაწყვეტილბების დანერგვა. ასევე მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის მონიტორინგი.

ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგის განვითარების ერთიანი მიდგომის შემუშავება. დღეისათვის საქართველოში ათეულობით ათასი მევენახე ფერმერია, თუმცა ექპორტზე მხოლოდ რამდენიმე ათეული კომპანიაა ორიენტირებული. ასეთ მევენახობის მეურნეობებში ყურძენს შიდა მოხმარებისათვის წურავენ ან ნაცნობებზე ყიდიან. მცირე საოჯახო მეურნეობებმა ან კომპანიებმა შიდა ან საერთაშორისო ბაზრებზე საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია რომ შეძლონ, მათ მიერ წარმოებული ღვინო სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს ღვინის ნედლეულის ხარისხიანობის, წარმოებაში გამოსაყენებელი ტექნოლოგიის, შაქრის შემცველობის და სხვა პარამეტრების მიხედვით.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ვენახების ფართობის აღწერა და ჯიშობრივი შემადგენლობის შესწავლა მევნახეობის სფეროს პრობლემების უმნიშვნლოვანესი ნაწილის მოგვარებას შუწყობს ხელს. თუ სახელმწიფოს წარმომადგენლებს დაახლოებით მაინც ეცოდინებათ რომელ ტერიტორიაზე რა ოდენობით ვაზი მოდის, ბაზარზე ნებისმიერი ოდენობით ღვინის გამოჩენა საეჭვოდ მიიჩნევენ. მევენახეობის დარგის პრობლემების მოგვარებით ღვინის ფალსიფიცირების ფაქტების აღმოჩენა ან პრევენცია გამარტივდება.

ღვინის საერთო მოცულობაში პრემიუმ ხარისხის სასმელის ზრდის მიზნით სასურველია ადგილობრივი მაღალხარისხიანი ჯიშები მაქსიმალურად იყვნენ წარმოდგენილი. სასურველია ქართლში მევენახე-მეღვინეები დასპეციალიზდნენ ჩინურის, გორული მწვანის, შავკაპიტოს, თავკვერის წარმოებაში. კახეთში სასურველია უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი ქისი, ხიხვი და სხვა კახეთისათვის დამახასიათებელი ჯიშები. იმერეთში სასურველია ცოლიკოურის, ციცქას, კრახუნას, დონდღლაბის ნარგავების ფართობის გაზრდა. რაჭაში თუ უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი მუჯურეთული, უსახელოური და სხვა

ადგილობრივი ჯიშები, ადგილობრივი მევენახეობის სპეციალიზაციას უფრო მეტად შეეწყობა ხელი.

ქართული მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა მეღვინეობის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებაა სასურველი. დღისათვის ყველაზე უფრო პერსპექტიული ე.წ. „ახალი მეღვინობის" ქვეყნების მეღვინეობის დარგია. „ახალ მეღვინეობის" ქვეყნებში ადგილობრივი ბაზარზე ღვინის რეალიზაციის დაახლოებით სამი მეოთხედი 4-5 კომპანიაზე მოდის. ამ ქვეყნებში მეღვინეობის ექსპორტში ასეთი კომპანიების წილი კიდევ უფრო მაღალია.

ქართული ღვინის უცხოურ ბაზრებზე წარმატებით ექსპორტირების მიზნით პირველ რიგში მიზნობრივი საბაზრო ნიშის განსაზღვრა და დისტრიბუციის სისტემის ოპტიმიზაციაა სასურველი. ევროპულ და აშშ-ს ბაზრებზე ქართული ღვინის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით სასურველია ქართულ მევენახეობა-მეღვინეობის დარგში უცხოელი ინვესტორების მოზიდვა. აშშ-სა და ევროპის მსხვილი ინსტიტუციური მეღვინეობის ინვესტორები შესანიშნავად იცნობენ საკუთარ ბაზრებზე მეღვინეობის მარკეტინგის და ზოგადად ღვინის ტურიზმის ტენდენციებს. სპეციფიკური ცოდნით აღჭურვილი ინვესტორები მეღვინეობის კომპანიის ფინანსური რესურსების ეფექტიანად გადანაწილებას შეძლებენ განსაკუთრებით ახალი ვენახების გაშენების, ან ძველის რეორგანიზაციის, ასევე ბრენდის განვითარების თვალსაზრისით.

როდესაც საუბარია ინვესტიციების განხორციელებისას აღსანიშნავია ის, რომ ინვესტიციები მეღვინეობის სექტორში სასურველია ზომიერად დაბანდდეს. 90-იანი წლებიდან ავსტრალიის მევენახეობისა და მეღვინეობის არეალი იმდენად გაფართოვდა, რომ ავსტრალიელი მეღვინეების განკარგულებაში ჭარბი პროდუქცია აღმოჩნდა. ავსტრალიელ მეღვინეებს ჭარბი პროდუქციის რეალიზაცია გაუჭირდათ, რაც საბოლოო ჯამში საექსპორტო ფასზე უარყოფითად აისახა.

ავსტრალიის მეღვინების ინდუსტრიის მსგავსი ტენდენციები 2007 წლიდან ახალ ზელანდიაშიც დაფიქსირდა. ერთეული ღვინის ბოთლის ფასი საშუალოდ 2007 წლიდან 6.65 დოლარიდან 2010 წელს 4.93 დოლარამდე შემცირდა. ამავე დროს საბითუმო ღვინის წარმოების წილი მთლიან ინდუსტრიაში 5%-დან 30%-მდე გაიზარდა. ჭარბი მიწოდების რისკის შემცირების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური გზა მეღვი-

ნეობის ინდუსტრიის შესახებ მონაცემების დროულად და სრულყოფილად შეგროვებაა პროდუქციის რეალიზაციის, ახალი ვენახების ნარგავების, ვენახების განახლებისა და მეღვინეობის დარგის სხვა ასპექტების თაობაზე.

ღვინის პროდუქციის ხელშეწყობის მიზნით უცხოელი მომხმარებლებისათვის პირველ რიგში სასურველია ქვეყნის ისტორიის, წეს-ჩვულებების, ტრადიციების, სხვა მახასიათებლების გაცნობა. ჩილეს, ახალი ზელანდიის და ავსტრიის ღვინის პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე გაცნობისას ეკოლოგიურად სუფთა გარემოს და მდიდრულ ლანდშაფტს გაესვა ხაზი. საქართველოც მსგავსი ლანდშაფტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რამაც მსოფლიო ბაზარზე შეიძლება პოპულარულობა შესძინოს. „ქვევრის ტექნოლოგიამ“ ქართულ მეღვინეობას შეიძლება მნიშვნელოვანი პოპულარულობა შესძინოს. თუ ქართული მეღვინეობის პროდუქციის წარდგენისას ჯანმრთელობის თვალსაზრისით მის სარგებლიანობასაც ხაზი გაესმევა, ქართული მეღვინეობის პროდუქციის პოპულარულობა შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

სხვადასხვა მეღვინეობის გამოცდილების გათვალისწინებით მომხმარებელი საკმაოდ სენსიტიურია მეღვინეობის პროდუქციის მიმართ. მაგალითად, 1985 წელს ავსტრიული მეღვინეობის პროდუქციაში არალეგალური დანამატის დამატების გამო ადგლობრივ მწარმოებელს რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა საკუთარი პროდუქციის რეპუტაციის გასაუმჯობესებლად. საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით სასურველია სახელმწიფოს მხრიდან ქართული მეღვინეობის წარმოების უფრო მკაცრი რეგულირება, რათა მეღვინეობის პროდუქციის ხარისხისა და რეპუტაციის შენარჩუნება გახდეს შესაძლებელი.

მეღვინეობის კომპანიების და საოჯახო მეურნეობების შემოსავლიანობის ამაღლების მიზნით სასურველია მეღვინეობის ტურიზმის განვითარება. დღეისათვის ძირითადად კახეთში მცირე საოჯახო ღვინის მარნებშია შესაძლებელი ღვინის დაგემოვნება. თუმცა მეღვინეობის ტურიზმის განვითარების მიზნით სხვა ინფრასტრუქტურის განვითარებაა სასურველი. მევენახეობა-მეღვინეობის მხრივ განთქმულ რეგიონში სასურველია სხვა 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების და რესტორნების აშენება. მეღვინეობის მხარეში ძირითადი ღირსშესანიშნაობების დამაკავშირებელი გზების მოწყობა ტურიზმის განვითარებას მნიშვნლოვნად შეუწყობს ხელს. უცხოური გამოცდილების გათ-

ვალისწინებით სხვადასხვა ადგილებში ინფორმაციული კიოსკების მოწყობა, ღვინის რუკის შექმნა, სპეციალური სიმბოლოების დაყენება მეღვინეობის ტურისტების ინფორმაციულობის ხარისხს მნიშვნელოვნად აამაღლებს. მულტიენობრივი ვებსაიტების შექმნა ტურისტებს სპეციალური მარშრუტის დაგეგმვაში შეუწყობს ხელს.

10.4. სასოფლო სამეურნეო წარმოების თავისებურებანი

სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციფიკა ვლინდება, როგორც უშუალოდ პროდუქციის წარმოებაში., ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლებიც საბოლოო ანგარიშით სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების კანონების სპეციფიკურ გამოვლინებას უკავშირდება. კერძოდ:

1. სოფლის მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვან ნაწილს მანქანა იარაღებთან, ტრაქტორებთან, სატრანსპორტო და სხვა საშუალებებთან ერთად ბიოლოგიურად ცოცხალი ძირითადი საწარმოო საშუალებები წარმოადგენს. აღნიშნულის გამო აქ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული ეკონომიკური და ბიოლოგიური კანონების მოქმედება, ანუ სოფლის მეურნეობაში, როგრც პროდუქციის წარმოების, ასევე მისი კვლავწარმოების ეკონომიკური პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივ ბიოლოგიურ პროცესებთან. ამასთან ერთად პროდუქციის წარმოების პროცესი და ამ საქმიანობის ეკონომიკური შედეგი დროში არ ემთხვევა ერთმანეტს (ანუ ადგილი აქვს მკვეთრ შეუსაბამობას დანახარჯების გაწევისა და ამოგების პერიოდებს შორის) რაც,

თავის მხრივ, განაპირობებბს შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების არსებით განსხვავებულობას სხვა დარგებთან შედარებით.

2. სასოფლო-სამეურნეო წარმოება განლაგებულია შედარებით დიდ და ღია სივრცეზე. ამასთან ერთად, თუ მრეწველობის სხვადასხვა დარგებში შრომის საშუალებები ადგილზეა სტაციონალურად დამაგრებულია და ისე ამუშავებენ შრომის საგნებს) ხორბალს, ტყავს, ლითონს და ა.შ) მიწათმოქმედებაში პირიქით აქ გამოყენებული მანქანა-იარაღები თავად გადაადგილდება დასამუსავებელ ობიექტზე (მიწის

სავარგული, ერთწლიანი ნათესები, მრავალწლიანი ნერგები), რის გამოც ენერგეტიკული რესურსების დიდი ნაწილი იხარჯება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ადგილმონაცვლეობაზე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიწათმოქმედებაში გამოყენებიული წარმოების ძირითადი საშუალებანი (მიწისა და მცენარის სახით) აბსოლუტურად იმობილური არიან, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით.

წარმოების დიდი ტერიტორიაზე განფენილობა იწვევს, როგორც ადგილზე წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ასევე მისი კვლავწარნმოებისთვის საჭირო რესურსების (საწავავი, მინერალური სასუქები, კომბინირებული საკვები და ა.შ.) ტრანსპორტირებაზე მნიშვნელოვან დანახარჯებს, სხვა დარგებთან შედარებით.

3. სამრეწველო საწარმოებისაგან განსხვავებით, სადაც ადამიანები და მანქანები მუშაობენ შედარებით სტაბილურ გარემო პირობებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, სამუშაო პირობები, გარემო ცვალებადია და მოსავლის ბედი, ანუ შრომის შედეგი დამოკიდებულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. იმ ქვეყანაშიც კი, სადაც მაღალია აგრარული კულტურა და იყენებენ მაღალ ინტენსიურ ტექნოლოგიებს, აგროწარმოების შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. გვალვების, წყალდიდობების, მცენარეთა და ცხოველთა გარანტირებული მოსავლის მიღების შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

კაპიტალდაბანდებათა შედარებით მარალი რისკი, თავის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საჭირო ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.

4. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შექმნილი პროდუქციის საკმაოდ დიდი ნაწილი (საშუალოდ 20%-მდე) მონაწილეობას იღებს პროდუქციის აღწარმოების პროცესში (თესლისა და სარგავი მასალების, მოზარდი პირუტყვის, საკვების და სხვათა სახით) რის გამოც წლის განმავლობაში წარმოებული სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქცია არ შეიძლება ჩაითვალოს სასაქონლო პროდუქციად.

აღწარმოების პროცესის ასეთი პრაქტიკა იწვევს ძირითადი და საბრუნავი ფონდების (კაპიტალის) აგრეთვე წარმოებული პროდუქციის განაწილებისა და გამოყენების ბალანსების დამუშავების, სასაწ-

ყობო მეურნეობის განვითარების აუცილებლობას (თესლეულის, პირუტყვის საკვების და სხვა საბუნავი საშუალებების შესანახად).

5. არსებითი განსხვავება არსებობს აგრეთვე ტექნიკის გამოყენების თვალსაზრისით, რაც განპირობებულია როგორც სასოფლო სამეურნეო წარმოების სეზონური ხასიათით, ისე სასოფლო-სამეურნეო კულტურითა გადადდგილების ტერიტორიულ-სივრცობრივი ფაქტორით. მცენარეთა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რუკით გათვალისწინებულ არასამუშაო პერიოდებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მართალია გაჩერებულია, მაგრამ ის კვლავ რჩება წარმოებაში (საჭიროებს ტექნიკურ მოვლას, დაცვას და ა.შ.) ანუ ადიდებს დანახარჯებს.

გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების სეზონური ხასიათი ზრდის მოთხოვნას მანქანა-იარაღებზე, რაც ამცირებს მათ შრომის ნაყოფიერებას. ტექნიკის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად საჭირო ხდება მისაბმელი მანქანა -იარაღების უნივერსალიზაცია, წლის განმავლობაში ერთი და იმავე ტექნიკური საშუალებებთ სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად.

6. სოფლის მეურნეობა სხვა დარგებისაგან არსებითად განსხვავდება იმითაც რომ, აქ წარმოების ძირითად და დღეისიათვის უალტერნატივო საშუალებად მიწა გვევლინება. მიწა თავისი ბუნებით და ეკონომიკური ნიშნებით, არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შეუცვლელი, არამედ სხვა საშუალებებისაგან განსხვავებით, წარმოების მუდმივი საშუალებაცაა.

მიწა გამოიყენება, პრაქტიკულად ყველა სახის წარმოებაში, მაგრამ თუ მატერიალური და არამატერიალური წარმოების სხვა დარგებში მიწა გამოიყენება როგორ ბაზისი, საყრდენი შენობა-ნაგებობების, სარკინიგზო და საავტომობილო გზების, ტექნიკური და სხვა საშუალებების განთავსებისათვის, სოფლის მეურნეობაში ის გამოიყენება ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოყვანისათვის, პირუტყვის საძოვებლად, კულტურული ლანდშაფტების მოსაწყობად. ახალი ენერგიის შესაქმნელად ორგანული ნივთიერებების სახით.

მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება სოფლის მეურნეობაში, სხვადასხვა ნაყოფიერებისაა, რაც განსაზღვრავს მის ვარგისიანობასა და ხარისხს. მრავალი საუკუნის განმავლობაში მიწა იყო და

დღესაც რჩება სოფლის მეურნეობაში ერთდროულად როგორც ძირითადი შრომის საშუალებად, ასევე ძირითად შრომის საგნად.

საწარმოო სპეციფიკასთან ერთად, სასოფლო სამეურნეო წარმოება ასევე განსხვავდება წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სპეციფიკის თვალსაზრისითაც, კერძოდ:

1. უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი წარმატებების (მათ შორის ე.წ. „მწვანე რევოლუცია“, დაავადებათა გამძლე და მაღალპროდუქტიული სასოფლო სამეურნეო კულტურების და პირუტყვის ახალი ჯიშების შექმნა, მიღწევები ბიოტექნოლოგიაში და ა.შ.) მიუხედავად სოფლის მეურნეობა დღემდე კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე „კონსერვატიულ“ დარგად. საუკუნეების განმავლობაში აქ ძირეულად არაფერი შეცვლილა სოფლის მეურნეობის პროდუქციის (მარცვლეული, კარტოფილი, ხორცი, და სხვა) სასრგებლო თვისებების (ანუ პროდუქტის სარგებლიანობის) გაზრდის თვალსაზრისით. როგორც საუკუნეების წინათ, აქ კვლავ მეორდება კულტურათა თესვა, მოვლა-მოყვანის სამუშაოები, მოსავლის აღება და დანიშნულებისამებრ გამოყენება. მართალია გაიზარდა წარმოების ტექნოლოგიური დონე, მოსავლიანობის სხვა მაჩვენებლები, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მარცვლოვანი თუ სხვა რომელიმე სოფლის მეურნეობის პროდუქტის სახმარი ღირებულება (ანუ საქონლის თვისება, დააკმაყოფილოს ადამიანის ესა თუ ის მოთხოვნილება) კვლავ უცვლელი რჩება. სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ., მომხმარებლისთვის სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო საქონლის სარგებლიანობის დონის ამაღლება დღემდე პრაქტიკულად არ მომხდარა.

აღნიშნულის სიტუაციის გამო სოფლად საქონელმწარმოებლები, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებულთაგან განსხვავებით, შეზღუდულნი არიან წარმოებულ პროდუქციაზე, ფასების მომატების საქმეში, მაშინ როცა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადამამუშავებელნი, ან მრეწველობის სხვა დარგები ამ მხრივ შეზღუდულობას არ განიცდიან. მაგალითად, ღვინის ჩამომსხმელი საწარმოები, საკონსერვო მრეწველობის, ტანსაცმლის ან სხვა მზა პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები, რომელთაც საქონლის გაფორმების, დიზაინის, ეტიკეტირების, შეფუთვის და სხვა მრავალი ოპერაციის ხარჯზე შეუძლიათ გაზარდონ ფასი და მიიღონ შესაბამისი მოგება.

2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიცირების მკაცრი შეზღუდულობა (ანუ მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქციის სასარგებლო ორგანულ-ფიზიკურ თვისებათა პრაქტიკული უცვლელობა) თავის მხრივ როგორც წესი, განაპირობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მისი კვლავწარმოების საშუალებებზე ფასების პარიტეტის ცვლილებებს არა სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან დაკავშირებული მომსახურე დარგების სასარგებლოდ.

3. სოფლის მეურნეობის და სასურსათო საქონელზე მოთხოვნის ელასტიკურობა როგორც წესი, დაბალია როგორც პროდუქციაზე არსებული ფასების, ასევე მომხმარებლის შემოსავლების მიმართ. კერძოდ, მომხმარებელი სურათს შეიძენს პრაქტიკულად უცვლელი ოდენობით მიუხედავად მასზე ფასების მომატების, თუ დაკლებისა (გამომდინარე ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობიდან)

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების მაგალითზე გამოთვლილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის 10 პროცენტით გადიდებისათვის საჭირო ამავე პროდუქციაზე ფასების დაწევა სულ მცირე 40-50 %-ით

არაელასტიკურია სოფლის მეურნეობის პროდუქცია და სასურსათო საქონელი მომხმარებლის შემოსავლების მიმართაც. კერძოდ დამტკიცებულია, რომ თუ პიროვნებას ან ოჯახს უჩნდება დამატებითი შემოსავლები, მაშინ მთელი შემოსავლების მხოლოდ მცირე ნაწილი იხარჯება დამატებით საკვების შესაძენად, რადგან ადამიანს არ შეუძლია მოიხმაროს იმაზე მეტი საკვები, ვიდრე მისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა.

4. სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და სასურსათო საქონელზე მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობა განაპირობებს მასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს, კერძოდ, როგორც ცნობილია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი განაპირობებს პროდუქციაზე როგორც მოთხოვნის, ასევე მისი მიწოდების სტიმულირებას, მაგრამ როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო საქონელზე მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობის გამო მათი ერთობლივი მიწოდება იზრდება უფრო სწრაფად ვიდრე ერთობლივი მოთხოვნა. ეს ფაქტები ფასების დისპარიტეტის მუდმივ ზრდასთან ერთად განაპირობებს სოფლის მეურნეო-

ბის დარგის ერთობლივი ამონაგების შეფარდებით შემცირებას მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან შედარებით.

5. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო საწარმოო ციკლის შედარებით ხანგძლივი პერიოდი და საწარმოო რესურსების მობილურობის დაბალი ხარისხი განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანახარჯებში მუდმივი დანახარჯების პრიმატს, ცვლად დანახარჯებთან შედარებით. ასე მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო საქონელზე მოთხოვნის შემცირებისას შუძლებელია მისი მიწოდების ადეკვატური შემცირება მოსალოდნელი ზარალის თავიდან ასაცილებლად (განსხვავებით სხვა დარგებისაგან, სადაც პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებას მყისიერად შეიძლება მოჰყვეს მიწოდების შემცირებაც). სოფლის მეურნეობაში ასეთი სწრაფი რეაგირება მოთხოვნის ცვალებადობაზე ვერ ხერხდება იმის გამო, რომ ხარჯების დიდი ნაწილი აქ მუდმივი ხასიათისაა და მათი შემცირება (ან გადიდება) დროის ნებისმიერ მონაკვეთში საბაზრო კონიუქტურის ცვლილებისას შეუძლებელიას. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ისეთი ხარჯები, როგორიცაა მიწის რენტა (არენდის გადასახადი), ბანკიდან აღებული სესხის პროცენტი, სარემონტო და საექსპლუტაციო ხარჯები, შენობა - ნაგებობების, მანქანა ტრაქტორების და სხვა ძირითადი ფონდების ამორტიზაცია და სხვა წარმოებულ პროდუქციაზე ფასები მცირდება თუ იზრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ეკონომიკური ზარალი შესაძლოა კიდევ უფრო ძირითადი საშუალებების დაუცველობის ან მოუვლელობის, საჯარიმო სანქციების და სხვა მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით.

როგორც ვხედავთ, საოფლის მეურნეობის როგორც მატერიალური წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის თავისებურებანი ძირითადად განპირობებულია სასოფლო სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული ძირითადი საშუალებების (მიწა, მცენარე, ცხოველი, ფრინველი) და ბუნებრივი გარემო პირობების (წყალი, სითბო, მზის სინათლე) სპეციფიკურობით, რაც თავის მხრივ განაპირობებს სპეციფიკურ საწარმოო-ეკონომიკურ ურთიერთობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გაცვლის, მიმოქცევისა და მოხმარების პროცესში.

ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებულ ნიშან-

თვისებათა ერთობლიობა, საწარმოო პირობებისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შეფარდებითი სირთულე, დარგისათვის დამახასიათებელი მაღალი ფონდტევადობა, აგრეთვე დარგში კაპიტალური დაბანდებების საკმაოდ მაღალი რისკი და შედარებით დაბალი ეკონომიკური ეფექტი უქმნის სახელმწიფოთა მთავრობებს „მორალურ“ საფუძველს გაატარონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის აქტიური პოლიტია (დოტაციებისა და სუბსიდიების გამოყოფით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარანტირებული შესყიდვით, კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით და სხვა ბეკეტებით).

დღეს უკვე პრაქტიკულად აღარ კამათობენ იმაზე, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის აქტიური პოლიტიკის გატარების გარეშე სოფლის მეურნეობა კონკურენტუნარიანი ვერ იქნება მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან მიმართებაში. ალბათ სწორედ ამიტომ, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ნობელის პრემიის ლაურიატი პ. სამუელსონი, ახასიათებს რა სოფლის მეურნეობას ხატოვნად დაასკვნის: „სოფლის მეურნეობა ეს შესაძლოა ბუნების უბედური გერია, მაგრამ იმავე დროს იგი ხშირად მთავრობის საყვარელი შვილიშვილია“

ამ უდავო ჭეშმარიტებიდან გამომდინარე თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას. მხოლოდ თავისუფალი ბაზრის საზოგადოებრივი და კერძო სექტორის პარტნიორების ფონზე ახორციელებს მის აღსრულებას. საქართველომ, სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად, უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში, რომლებიც ამ სფეროში შიძლება იყოს ორი მიმართულების: პირველი, სოფლის, როგორც ყოფის, შენარჩუნება და მეორე სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

ზოგადად, სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფოების დიდი ყურადღება რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:

- სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა. მსოფლიო მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასა და შესაბამისად, მასზე ფასების განუხრელი ზრდის ტენდენციას. ამიტომ, სასურსათო უშიშროება სახელმწიფოს სტრატეგიულ გათვლაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს;

- მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა სოფლად ქვეყნის რეკრეციული და სოციალურ ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. კულტურული სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია;
- განვითარებული სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას აძლიერებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა.

10.5. მიწის ფონდი და მიწათსარგებლობა

საქართველო მთიანი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიის 53,6% მთებზე მოდის, მთისწინებზე -33,4% ბარს უკავია მხოლოდ 13%. აქედან გამომდინარე, საქართველოში დასამუშავებელი მიწის ხვედრითი წილი სავარგულების საერთო ფართობში ძალიან დაბალია. ამიტომაცაა, რომ საქართველო მცირემიწიან ქვეყნებს მიეკუთვნება. მოსახლეობის ერთსულზე 0,64 ჰა. სოფლის მეურნეობის სავარგული მოდი, აქედან 0,17 ჰა. სხნავ-სათესია. ეს არის საქართველოს სოფლის მეურნეობის დანიშნულების მიწის ფონდი, რომელიც იმდენად მცირეა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რომ თვალისჩინივით გაფრთხილება ესჭიროება.

მკვეთრად გამომხატველი ვერტიკალური ზონალობის გამო (ზღვის დონიდან500 მეტრამდე მდებარეობს ქვეყნის ტერიტორიის 26,7%, 500-დან 100-მდე - 21,7%, 1000-დან 1500 მდე - 19,3%, 1500-დან 3000-მდე - 31,5%, 3000-ზე ზევით - 1,5%).

საქართველო სარისკო მიწათმოქმედების ზონას განეკუთვნება. სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ქვეყნის ტერიტორიის 44%. სახნავს მთელი სავარგულების 25% უჭირავს (სახნავ-სათესი ფართობის თითქმის 40% 30^0-ზე მეტი დაქანების ნაკვეთებზეა განლაგებული, ხოლო 9% 10^0-ზე მეტი დაქანების ნაყოფიერი-სასოფლო სამეურნეოა მიწა 38%-ს შეადგენს, საშუალო ხარისხის 21%-ს, ხოლო დაბალი ხარისხის 41%-ს. ქვეყნის მიწის დიდი ნაწილი დაზიანებულია მეწყრებით, ღვარცოფებით და თოვლის ზვავებით (საქართველოში აღრიცხულია 10000-ზე მეტი მეწყერი და 1000მდე ღვარცოფი, ხოლო სანახავად გა-

მოსაყენებელი მიწიდან დამლაშებულ და დაჭაობებულ ნიადაგებზე მოდის 8%) ეს ცოფრობრივი მონაცემები აქ იმიტომ მოვიტანეთ, რომ კარგად დავინახოთ თუ რამდენად უნდა გავუფრთხილდეთ მიწას არა როგორც სახემწიფო ტერიტორიას,არამედ აგრეთვე, როგორც მომავალი თაობების გამრავლების, გამოკვებისა და ყოველმხრივი სრულფასოვანი განვითარების შეუცვლელ საშუალებას.

ნებისმიერი ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უდავო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი წილი ქვეყნის მთლიან ნივთობრივ სიმდიდრეშიდამოკიდებულია ერთი მხრივ,მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მახასიათებლებზე, ხოლო მეორე მხრივ ამ ქვეყანაში არსებული კაპიტალის რაოდენობასა და სტრუქტურაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ნივთობრივი სიმდიდრის შემადგენლობაში მიწის წილი,როგორც წესიდაბალია და პირიქით აშშ-ის კაპიტალის და მიწის ღირებულება 1985 წელს 12.5 ტრილიონ დოლარად იყო 0 შეფასებული,რომელშიც მიწის წილი მხოლოდ 18% შეადგენდა, ხოლო საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნავთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ. აშშ-ს დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა. უიდავოა ისიც რომ სხვა თანაბარ პირობებში, რაც მეტი ნავთობრივი სიმდიდრე გააჩნია ქვეყანას, უფრო მეტი ერთობლივი შიგა პროდუქტის წარმოება შეუძლია მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. აღნიშნულის გამო მიწის რესურსები ყველგან და ყოველთვის მოიაზრებოდა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი დოვლათის წარმოების მყარ ეკონომიკურ საფუძვლად.

მიწის ფონდი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში მოქცეული ტერიტორიაა (წყლით ჭაობებით, მყინვარებით დაფარეული ტერიტორიის ჩათვლით), რომელიც მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის);
- დასახლებული პუნქტების მიწა (ქალაქების, საცხოვრებელი სახლების, დაბების და სხვა დასახლებებისათვის);
- მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, თავდაც-

ვის, ენერგეტიკის და სხვა დაწესებულებათა მიწა (ამ დარგის საწარმოთა გადაადგილებისათვის და ტექნოლოგიურად საჭირო ფუნქციონირებისათვის);

- ისტორიულ-კულტურული, რეკრეაციული და ბუნებისდაცვითი მნიშვნელობის მიწა (არქეოლოგიური ძეგლების, კურორტების, ნაკრძალების, აღკვეთილების, საერთაშორისო პარკებისათვის);
- საეკლესიო მიწა (რელიგიური ორგანიზაციების და დაწესებულებებისათვის);
- ტყის ფონდის მიწა (ტყის მასივებით დაკავებული და ტყით დაუფარავი მიწა, რომელიც მომავალშია გასატყიანებელი);
- წყლის ფონდის მიწა (ზღვით, წყალსაცავებით, მდინარეებით, ტბებით, არხებით დაკავებული მიწა).

დასახლებული კატეგორიის მიწიდან, გარდა პირველისა, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებლი მიწაა, თუმცა ყველა მათგანში განსაკუთრებით ტყის ფონდისა და საეკლესიო მიწის შემადგენლობაში) შესაძლოა იყოს სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

მიწის ფართობს, რომელიც ამა თუ იმ სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება, სავარგული ეწოდება. რამდენადაც აგრარული წარმოება, როგორც წესი მრავალდარგოვანია, მიწის გამოყენებასაც მრავალი მიმართულება გააჩნია, რომლის მიხედვით ყალიბდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულის სტრუქტურა.

სავარგულის შემადგენლობა(სტრუქტურა) ყველა ქვეყანაში თითქმის ერთნაირია. მასში შედის სახნავი მიწა (ნასვენი მიწის ჩათვლით), სათიბი, საძოვარი და მრავალწლიანი ნარგაობით დაკავებული მიწა. სახნავისა და მრავალწლიანი ნარგაობით დაკავებული მიწის ერთობლიობას დამუშავებაში მყოფი მიწა ეწოდება (ანუ მიწა, რომელიც მუშავდება, იხვნება, ითესება და ა.შ.)

სასოფლო-სამეურნეო სავარგულის სტრუქტურა წარმოების სპეციალიზაციაზეა დამოკიდებული. ის იცვლება სპეციალიზაციაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად.

(საქართველოს მიწისი ფონდზე წარმოდგენის შესაქმნელად იხ. ცხრილი 10.6.1)

საქართველოს მიწის ფონდი შეადგენს 7628,4 ათას ჰექტარს. მათგან სასოფლო-სამეურნეო სავარგულს უჭირავს 3025,8 ათასი ჰა, ანუ

39,6%, სახნავს-801,8 ათასი ჰა, ანუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 26,5% (სამწუხაროდ დღეს უფრო ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია რადგა 2004 წლის შემდეგ, მიწის რაოდენობრივი აღრიცხვა ქვეყანაში აღარ ჩატარებულა).

მთელი მიწის ფონდიდან (7628,4 ათ. ჰა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 3771,2 ათასი ჰა, ანუ 49,4% მოდის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგული მხოლოდ 3025,8 ათ. ჰა. მათგან 1796,9 ათ. ჰა საძოვარია, დავინახავთ, რომ დამუშავებაში მყოფი მიწის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე (4,3 მლნ. კაცის ანგარიშით) მხოლოდ 2478,1 $მ^2$ შეადგენს. რაც მცირემიწიანობის მაჩვენებელია.

სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწის უმეტესობა განკერძოებულია და დღეს ის საოჯახო (გლეხურ) მეურნეობათა კერძო საკუთრებას წარმოადგენს. მათ წილად მოდის ქვეყანაში არსებული ინტენსიური სავარგულის (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები) 58,1%

10.6. მიწის რეფორმა და მისი შედეგები

როგორც ცნობილია, საქართველოში მიწის რეფორმა ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ – 1992 წელს დაიწყო და ის 1998 წლამდე გრძელდებოდა.

მასობრივი ტრანსფორმაციის პროცესის შედეგად 1300 000 კომლი(ოჯახი)-დაახლოებით 3,5 მილიონი მოქალაქე – მცირე მიწის ნაკვეთების მესაკუთრე გახდა (კომლზე საშუალოდ 0,25-1,25ჰა) მიწის ასეთმა დაქუცმაცებამ არა მარტო ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში, არამედ ქვეყანა უკან დასწია და ღარიბ, მხოლოდ არსებობაზე ორიენტირებულ საზოგადოებად აქცია. მიწის ასეთი დანაწევრების შედეგად შეუძლებელია მინერალური სასუქების, ჰერბიციდების შეტანის, ხვნა-თესვის სამუშაოების და სხვა საჭირო ოპერაციების მექანიზაციის საშუალებების შესრულება. შედეგმაც არ დააყოვნა, დაეცა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლები, უაღ-

რესად დაბალია მიწის მუშაკთა შრომის ნაყოფიერება, ხოლო წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება კი მაღალი.

ცხრილი 10.6.1.

საქართველოს მიწის ფონდის სტრუქტურა
2004 წლისა 1 იანვრის მდგომარეობით

	სერთო ფართობი	მათშორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათიბი	საძოვარი	გზებით დაკავებული მიწა
1	2	3	4	5	6	7	8
მიწის ფონდი სულ	7628,4	_	_	_	_	_	_
მ.შ.ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	3771,2	3025,8	801,78	263,8	143,8	1796,6	19,8
მათგან კერძო საკუთრებაში	948,9	767,03	438,35	180,5	44,0	84,5	19,8
სახელმწიფო საკუთრებაში	2822,3	2258,5	363,3	83,3	99,8	1712,1	_
ბ)არასასოფლო სამეურნეო მიწა სულ	3857,2	86,4	4,5	7,2	7,1	67,6	_
მ.შ. დასახლებული პუნქტების	88,4	1,6	0,4	0,7	_	0,5	_
დაცული ტერიტორიები	300,7	15,6	0,1	0,1	1,1	14,3	_
ტყის ფონდი	2456,2	55,9	2,8	6,1	5,1	41,9	_
მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სხვა დარგების	171,9	12,8	1,2	0,3	0,9	10,4	_
რელიგიური ორგანიზაციების	4,9	_	_	_	_	_	_
წყლის ფონდის	835,1	0,5	_	_	_	0,5	_

სასოფლო სამეურნეო მიწის რეფორმას და აგრარულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციას წვრილი ნატურალური და ნახევრად ნატურალური გლეხური (საოჯახო ფერმა) მეურნეობის შექმნა მოჰყვა. ოჯახურ ფერმებს არა აქვთ სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაღალმოსავლიანი ჯიშის სათესლე მასალისა და აგროქიმიკატების შეძენის საშუალება, მოკლებულნი არიან სრულყოფილ სერვისულ მომსახურეობას და ა.შ. ამ და სხვა პრობლემებს ეს მეურნეობები ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად ვერ წყვეტენ, რის გამოც ვერ აწარმოებენ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციას. სათანადოდ არ არის მათი ურთიერთობები დარეგულირებული სახელმწიფოსთან, ბანკებთან, გასაღების ობიექტებთან და სხვა.

საქართველოში დღემდე, სასოფლო სამეურნეო მიწის კონსოლიდაციის არანაირი საქმიანობა არ განხორციელებულა და არც რაიმე განსაზღვრული ან წერტილოვანი სტრატეგია არსებობს (მიწის კონსოლიდაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საშუალებაა და გრძელვადიანი დაგეგმვის ინსტრუმენტი). ფაქტობრივად არ შემუშავებულა ქვეყნის სივრცითი -ტერიტორიული დაგეგმარების პრინციპები და არ განსაზღვრულა სოფლის (სოციუმის) განვითარების სტრატეგია. დღეს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და სოფლის განვითარების პასუხისმგებლობა ბუნდოვნადაა გადანაწილებული სხვადასხვა სამინისტროებზე და იგი კომპლექსურად არ ხორციელდება. თუ სასოფლო ტერიტორიები უნდა განვითარდეს, საჭიროა ინტეგრირებული სივრცითი-ტერიტორიული განვითარების გეგმის შემუშავება, ხოლო მიწის კონსოლიდაციის სტრატეგია უნდა წარმოადგენდეს სივრცით-ტერიტორიულ და მხარის განვითარების გეგმების შემადგენელ ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ მიწის კონსოლიდაციის საჭიროება ამჟამად დასაბუთებულია (სოფლის მოსახლეობა და სხვადასხვა დონის გადაწყვეტილების მიმღები პირები ვერ აცნობიერებენ მიწის კონსოლიდაციის პოტენციურ მნიშვნელობას. მისი მნიშვნელობა ერთნაირად გააზრებული და გაცნობიერებული უნდა იქნეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. საჭიროა ბევრად მაღალი დონის საჯარო ინფორმირება, განსაკუთრებით პოლიტიკოსებისათვის) არ უნდა ვეცადოთ მთელი ქვეყნისათვის მიწის კონსოლიდაციის ფიქსირებული პროცედურების შექმნას. გათვალისწინებული უნდა იქნეს

ეტაპობრივი მიდგომა, სადაც ყურადღება გამახვილდება საზოგადოებისა და მოქალაქეთა მონაწილეობაზე. სივრცით-ტერიტორიულმა გეგმამ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება იმ ტიპის ჩარევისათვის, რომელიც გადაუდებლად აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების და ეკონომიკის გასაუმჯობესებლად.

ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს აგრეთვე მიწის კონსოლიდაციის თაობაზე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ამ მიმართულებით ჩასატარებელი სამუშაოების დროული განხორციელება, რადგან მიწის კონსოლიდაციის გარეშე ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის აღორძინება და სათანადო დონეზე შემდგომი განვითარება შუძლებელი აღმოჩნდება.

10.7 მიწის სახელმწიფო კადასტრი და მიწის მონიტორინგი

სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მიწის რაციონალური გამოყენება წარმოადგენს, რაშიც განსაკუთრებული როლი მიწის სახელმწიფო კადასტრს ეკუთვნის.

კადასტრი ფართო გაგებით გულისხმობს ბუნებრივი რესურსების (მათ შორის მიწის, წყლის, ტყის, წიაღისეულის და ა.შ.) რაოდენობრივ-ხარისხობრივ აღრიცხვას და შესწავლას, რესურსების ეკონომიკურ შეფასებას. შესაბამისად არსებობს მიწის, წყლის, ტყის და სხვა ბუნებრივი რესურსების კადასტრი. აქედან ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი თავისი მნიშვნელობით მიწის კადასტრს განეკუთვნება.

მიწის სახელმწიფო კადასტრის მონაცემები გამოიყენება მიწის საიჯარო ოპერაციების განხორციელების, მიწის ფასის განსაზღვრის, მიწაზე გადასახადის დადგენის, მიწის ჰიპოტეკით დავტვირთვის და სხვა მიზნები. იმისათვის, რომ მიწის კადასტრმა შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია, საკადასტრო მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და რეალურად უნდა შეესაბამებოდეს მიწის ნაკვეთის ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებს(დაშორება ქალაქიდან, ან სატრანსპორტო კვანძიდან, ექსპოზიცია, სიმაღლე ზღვის დონიდა, ნიადაგის ქიმიური სემადგენლობა დ ა.შ.) რათა მათი გამოყენება შესაძლებელი გახდეს მი-

წის გაიჯარების, აუქციონზე განკარგვისა და სხვა ოპერაციების შესრულების დროს.

მიწის სახელმწიფო კადასტრის ერთ-ერთ აუცილებელ კონპონენტს მიწათმოსარგებლეთა სახელმწიოფო რეგისტრაცია წარმოადგენს. ეს ფაქტობრივად, არის მიწის საკუთრებაზე იურიდიული უფლების გაფორმება(რეგისტრაცია). შედარებით რთულია მიწის ხარისხობრივი აღრიცხვა, რადგან მან პასუხი უნდა გასცეს ისეთ კითხვებს როგორიცაა: რამდენად ღირებულია სამეურნეო თვალსაზრისით ესა თუ ის მიწის ნაკვეათი, როგორც ბუნებრივი რესურსი და წარმოების საშუალება. ამ კითხვაზე შესაბამისი პასუხის გასაცემათ საჭიროა მიწის ათეულობით მახასიათბელის აღწერა და შეფასება, რომლებიც განაპირობებენ ამათუიმ კულტურის მოსავლიანობას. პრაქტიკულად ამავე მიზანს ემსახურება მიწის ბონიტირება, რომლის საშუალებით დგინდება სასოფლო -სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის დონე, სხვადასხვა კატეგორიის (წითელმიწა, შავმიწა და ა.შ.)მიწაზე სხვა თანაბარ აგროტექნიკურ პირობებში (ანუ ბონიტირებით დგინდება მიწის ბუნებრივი ნაყოფიერების დონე).

მიწის სახელმწიფო კადასტრი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, მიწის ეკონომიკური შეფასებაა, რომლის საფუძველში ჩადებულია მიწის, როგორც ძირითადი საშუალების, შემოსავლიანობის დონე. მიწის ხარისხისა და მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით

მიწის ეკონომიკური შეფასების შედეგები გამოიხატება 100 ბალიანი სისტემით და გვიჩვენებს, ესა თუ ის მიწა რამდენად კარგია, ან ცუდი სხვა მიწასთან შედარებით.

მიწის ეკონომიკური შეფასება გამოხატავს მის ფარდობით ღირებულებას შესაბამისი რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდუნარე. მას საფუძვლად უდევს განსხვავება ნიადაგის ხარისხში, რომელიც გამოწვეულია წარმოების, როგორც ბუნებრივი ისე ეკონომიკური პირობებით.

მიწის ეკონომიკური შეფასების დროს განისაზღვრება ნიადაგის ხარისხის გავლენის დონე ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებელზე, როგორიცაა მთლიანი პროდუქცია, საერთო და წმინდა შემოსავალი, მოგება და სხვა.

მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება მოითხოვს მიწაზე ჯეროვანი მონიტორინგის დაკვირვების დაწესებას.

მიწის მონიტორინგი წარმოადგენს მიწის ფონდის რაოდენობრივ ხარისხობრივ მდგოომარეობაზე დაკვირვების სისტემას. მისი მიზანია დროულად იქნეს გამოვლენილი ნეგატიური პროცესები, მოვლენები და მიღებულ იქნას შესაბამისი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად.

მიწის მონიტორინგის ობიექტია როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არსაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მიუხედავად საკუთრების ფორმისა. მიწისა მონიტორინგმა უნდა გამოავლინოს:

- ევოლუციური ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებასთან;
- ციკლური, ბუნებრივი ხასიათის ცვლილებები დაკავშირებული სეზონურ, წლიურ და სხვა პერიოდებთან;
- ანთროპოგენური პროცესები, დაკავშირებული ადამიანის მოღვაწეობასთან (ბუნებასთან კავშირში);
- საგანგებო სიტუაციები, დაკავშირებული სტიქიურ მოვლენებთან ეკოლოგიურ უბედურებასთან და ა. შ.

მიწის მორნიტორინგი ემსახურება სახელმწიფო მიწის კადასტრის ინფორმაციით უზრუნველყოფას. ის საშუალებას იძლევა განხორციელდეს ჯეროვანი კონტროლი მიწის გამოყენებასა და დაცვაზე.

მიწის მონიტორინგის მექანიზმებია გადაღებები, გამოკვლევები, დაკვირვებები ფდა ა.შ. რომელთა ამოქმედებით შეისწავლიან ისეთ პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია მიწის ნაყოფიერების ცვლილებასთან ქარისმიერი და წყლის მიერ ეროზიის განვითარებათან, ნიადაგიდან ჰუმუსის გამორეცხვასთან, დაჭაობებასთან დამლაშებასთან, გაუდაბნოებასთან, პესტიციდებით, მძიმე მეტალებით და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურებასთან და სხვა.

აღნიშნული მონაცემების გაანალიზებისა და შეფასების შედეგების მიხედვით დგება პროგნოზები და რეკომენდაციების, ისახება გზები და საშუალებები ნეგატიური პროცესების დასაძლევად, მიწის ბუნებრივ-ეკონომიკური ნაყოფიერების აღსადგენად და შესანარჩუნებლად.

საქართველოს დღემდე არ გააჩნია მიწის სრულფასოვანის სახელმწიფო კადასტრი. არსებობს მხოლოდ მისი ერთი კომპონენტი-მიწების სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემა, რომელიც მიწების ყიდვა-გა-

ყიდვა, ჩუქებასა და მიწის მემკვიდრეობით გადაცემის საკითხებს აწესრიგებს, რაც რა თქმაუნდა კარგია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა თუ გვექნებოდა კადასტრის კომპონენტებიც, როგორიცაა მიწის ეკონომიკური შეფასება.

მიწის რაციონალური გამოყენების ერთ – ერთი ძირითადი პრონციპი -მიწაზე მონიტორინგის დაწესებაა, რაც ჩვენს ქვეყანაში დღემდე არ არსებობს. ექსპერტების შეფასებით, მარტო ქარისმიერი ეროზიით ყოველწლიურად სავარგულებიდან იკარგება ერთი მლნ. დოლარის ღირებულების მინერალური სასუქების ეკვივალენტური რაოდენობის საკვები ელემენტები.

მიწის სახელმწიფო კადასტრის ყველა კომპონენტის დროული დამუშავება და ამოქმედება დიდად წაადგება ახალი ხელისუფლების მიერ წამოწყებული სოფლის ფართომაშტაბიანი აღორძინების პროგრამის განხორციელების საქმეს. მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე მსჯელობა უხერხულია, როცა ქვეყანაში არ არსებობს მიწის ფონდის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის სახელმწიფო სამსახური. ასეთი სამსახურის არსებობის შედეგია ის, რომ დღეს ქვეყანაში არავინ იცის თუ რა მდგომარეობაა შექმნილი მიწათსარგებლობაში, რა არასასურველი ცვლილებებია მოსალოდნელი მიწის ნაყოფიერებაში და რა პრევენციული ზომებია მისაღები მის აღსაკვეთად. როგორია ეროზიული პროცესების დინამიკა, როგორია ნიადაგში ჰუმუსის ბალანსი, სად მიმდინარეობს მეორადი დაჭაობების პროცესი და რომელ რეგიონს ემუქრება გაუდაბნოების პროცესი, როგორია პესტიციდებით და სხვადასხვა მძიმე მეტალებით ნიადაგების დაბინძურების დონე და ა.შ.

ქვეყანაში უნდა აღსდგეს მიწის მართვის სამსახური, რომელიც ორგანიზაციას გაუკეთებს მიწების დანიშნულების მიხედვით და კატეგორიებად აღრიცხვას, დააწესებს ჯეროვან მონიტორინგს მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მდგომარეობის შესასწავლად და მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემურ საკითხებზე.

10.8. სასოფლო -სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და გაადგილება

საქართველოს ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნებამ და მოთხოვნებმა არაერთხელ მოახდინა კორექტირება სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურასა და განვითარების მიმართულებაში.

1960 წელს საქართველოს სასოფლო -სამეურნეო წარმოება თერთმეტ ზონად და სამ ქვეზონად იქნა დაყოფილი (ავტორები:პროფ. პ. ჟღენტი, ნ. კუპრავა, პროფ. მ რჩეულიშვილი, კ. როგავა, დ. ცალქამანიძე), მხარეების ბიოგეოკლიმატური და საწარმოო პოტენციალიდან გამომდინარე:

1. მევენახეობის ზონა-ალაზნის ველი;
2. მარცვლეული მეცხოველეობის ზონა-გარე კახეთის ზეგანი;
3. საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა-ქვემო ქართლის დაბლობი;
4. მთიანი მეცხოველეობის ზონა-აღმოსავლეთ კავკასიონი;
5. მეხილეობის და მარცვლეულის ზონა, შაქრის ჭარხლის წარმოებით-შიდა ქართლის დაბლობი;
6. მეცხოველეობა-მარცვლეული ზონა-ჯავახეთის ზეგანი;
7. მეცხოველეობა-მეხილეობის ზონა მარცვლეულის მეურნეობით, სამცხე თრიალეთი;
8. მევენახეობის ზონა-იმერეთის მაღლობი და რაჭა-ლეჩხუმი;
9. მთიანი მეცხოველეობის ზონა-დასავლეთ კავკასიონი;
10. სუბტროპიკული მეურნეობის ზონა-კოლხეთის დაბლობი სამი ქვეზონით:

ა. მეთამბაქეობის და ციტრუსოვან კულტურათა ქვეზონა;

ბ. მეჩაიეობსია და ციტრუსოვან კულტურათა ქვეზონა;

გ. მეჩაიეობის ქვეზონა, განვიტარებული საგარეო სოფლის მეურნეობით.

11. მეთამბაქეობა-მეცხოველეობის ზონა-ზემო აჭარა.

მოგვიანებით (70-იანე წლებში) მასში შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვით ოფიციალურად დადგინდა საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონა თერთმეტი ქვეზონით.

უკნასკნელ პერიოდში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა (საზოგადოებრივი წარმოების ტრანსფორმაცია, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და ა.შ.) სასოფლო სამეურნეო წარმოების ზონალური სპეციალიზაციის სქემის გადახედვა მოითხოვა, რის შედეგად 2009 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამტკიცდა სპეციალიზაციის ახალი სქემა. (იხ. სქემა 10.8.1).

სქემა 10.8.1. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ზონები

ზონები	ქვეზონები	ადმინისტრაციული რაიონები
შიდა კახეთის მევენახეობის ზონა	მევენახეობის ქვეზონა	ახმეტა, თელავი, გურჯაანი, ყვარელი
გარე კახეთის მემარცვლეობა	მევენახეობისა და საადრეო მებოსტნეობის ქვეზონა	ლაგოდეხი
ქ.თბილისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა		სიღნაღი, დედოფლისწყარო, საგარეჯო
აღმოსავლეტ კავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონა		დუშეთ, თიანეთი, ყაზბეგი, ახალგორი, ჯავა
შიდა ქართლის მეხილეობისა და საგარეუმნო სოფლის მეურნეობის ზონა		კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, ცხინვალი, ყორნისი
სამცხე-ჯავახეთის სამთო მეცხოველეობის მეკარტოფილეობის ზონა		წალკა, დმანისი, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, ბორჯომი
იმერეთის მევენახეობის და მეცხოველეობის ზონა		თერჯოლა, ზესტაფონი, ჭიათურა,საჩხერე, ხარაგაული, ბაღდადი, ვანი

რაჭა-ლეჩხუმის მეცხოველეობისა და მევენახეობის ზონა	VIII^{ა} მეცხოველეობისა და მევენახეობის ქვეზონა	ცაგერი, ამბროლაური
	VIII^{ბ}მეცხოველეობის ქვეზონა	ონი
დასავლეთკავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონა		ლენტეხი, მესტია
ქ. ქუთაისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა		სამტრედია, წყალტუბო,, ხონი, ტყიბული
კოლხეთის დაბლობისა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის ზონა		აბაშა, ხობი, სენაკი, მარტვილი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური
აფხაზეთის სუბტროპიკული და საგარეუბნო საკურორტო სოფლის მეურნეობის ზონა	XII^{ა}სუბტროპიკული მეურნეობისქვეზონა მეთამბაქეობით	გაგრა, გუდაუთა, სოხუმი, გულრიფში
	XII^{ბ}მეჩაიეობისდა მეციტრუსეობსი ქვეზონა	ოჩამჩირე, გალი
აჭარის სუბტრიპიკული სოფლის მეურნეობის და სამთო მეცხოველეობის ზონა	XIIIასუბტროპიკული და საკურორტოსოფლის მეურნეობის ქვეზონა	ქობულეთი ხელვაჩაური
	XIII^{ბ} სამთო მეცხოველეობის ქვეზონა მეთამბაქეობით	ქედა, შუახევი, ხულო

როგორც მოცემული სქემიდან ცანს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ზონები (13 ზონა, 8 ქვეზონით), როგორც წესი, ემთხვევა ქვეყნის სამხარეო დაყოფას.

საქართველოს ზონალური სპეციალიზაციის წარმოდგენილი სქემა საშუალებას იძლევა, დადგინდეს ცალკეული მხარის თუ რაიონის როლი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, განისაზღვროს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების რაციონალური და ეფექტური გაძღოლის შესაბამისი სისტემები, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა ჰორიზონტალური, ვერტიკალური ინტეგრირების შესაძლებლობანი. იგი ნათლად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგების გადაადგილებასა და სპეციალიზაციას, როგორც ტერიტორიულ გეოგრაფიულ ჭრილში, ისე ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან შესაბამისობაში.

10.9. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები

ყველა სახის სასოფლი-სამეურნეო საწარმოო, ორგანიზაციული ნიშნის მიხედვით, სამ ჯგუფში ერთიანდება. ესენია: ოჯახური(ფერმერულ-გლეხური) კოლექტიური და სამეწარმეო-ანტერპრენიორული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგნ წარმოშობის ასაკით, მიზნებით, მმართველობის ფორმით, შემოსავლების განაწილების პრინციპით და ბევრი სხვა ნიშნით.

საოჯახო მეურნეობა-ესაა სასოფლო სამეურნეო საწარმო, რომელიც წარმოადგენს ერთი ოჯახის საკუთრებას და მას იგივე ოჯახი მართვას. საწარმოს ეს ტიპი, როგორც ყველაზე უხნესი, სათავეს იღებს ჯერ კიდევ ძველი რომიდან და დღესაც არსებობს ოჯახური (ფერმერულ-გლეხური) მეურნეობის სახით.

კოლექტიური სასოფლო – სამეურნეო საწარმო უფრო გვიან წარმოშობილი ფორმაა და იგი მიწაზე სათემო-საგვარეულო საკუთრების წარმოშობას უკავშირდება. პლანეტაზე მიწის საკუთრების ინსტიტუტს 4000წლის ისტორია აქვს, საქართვეწლოში კი 1500 წლის. საერთო სათემო საკუთრება უფრო დიდი ხნისაა და მას კერძო საკუთრების მამას უწოდებენ)

კოლექტიური ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ აქ წარმოების საშუალებებზე ერთობლივი საკუთრებაა გამოცხადებული და საწარმოს ერთობლივად მართვაენ მისი მესაკუთრეები. ასეთი ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოე-

ბი შენარჩუნებულია დღესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თუმცა ისინი მაინც მარგინალურ ხასიათს ატარებენ (საქართველოში მიწათსარგებლობის ეს ფორმა გამოხატულებას ნახულობს სათიბ-საძოვრებით სარგებლობისას)

პირველი ორიდან ანტერპრენიორულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ის განასხვავებს, რომ მისი მესაკუთრე არ მონაწილეობს საწარმოს მუშაობაში, ის ორგანიზაციას უკეთებს წარმოებას და წყვეტს საკვანძო საკითხებს, რომლებიც ხელფასს ეხება. ასეთი ფორმის მქონე მეურნეობები, ჩვეულებრივ, მსხვილი, კარგად ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია, გამოირჩევა საქონლიანობის მაღალი დონით და კონკურენტუნარიანობით.

დღევანდელი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ანტერპრენიორული საწარმოები არცთუ ისე ბევრია რიცხობრივად, მაგრამ მათი წილი აგრარული პროდუქციის საერთო მოცულობაში საკმაოდ მაღალია (მათ რიცხვს მიაკუთვნებენ არასაოჯახო ტიპის კორპორაციაც) ამ ფორმის საწარმოთა სიმრავლით ამერიკის შეერთედბული შტატები გამოირჩევა, სადაც გასული საუკინის 70-იან წლებში, აგროსექტორში ფართოდ შევიდა სამრეწველო კაპიტალი, შიქმნა მსხვილი სასოფლო სამეურნეო საწარმოები შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, ბამბის და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოების მიზნით, გაჩნდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის, აგრეთვე ფრინველის გამოზრდის და ინტენსიური სუქების ანტერპრენიორული ტიპის საწარმოები.

უკანასკნელი აღწერით ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირდა 70 ათასზე მეტი კორპორაციული ფერმა (მათ შორის 8 ათასი არასაოჯახო ტიპის), რომელთა წილი არასასოფლო სამეურნეო საწარმოთა საერთო რაოდენობაში 4 %-ს ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში 27% შეადგენდა.

ოჯახური ფერმების მესამე ტიპი აქ ოჯახური კორპორაციებია, ანუ დახურული ტიპის ჩვეულებრივი სააქციო საზოგადოებები, რომელთა წევრები ერთი გვარის ან კლანის წარმომადგენლები არიან.

ოჯახური მეურნეობების სიმრავლეს დღევანდელ მსოფლიოში განაპირობებს მეურნეობის ამ წესში ჩადებული რიგი თავისებურებანი. კერძოდ ანტერპრენიორული საწარმოსაგან განსხვავებით, ოჯახური

მეურნეობა არაა ორიენტირებული მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებაზე. ის ხშირად მაშინაც აგრძელებს მეურნეობას, როცა ამ საქმიანობიდან არ აქვს საკმარისი შემოსავალი კვლავწარმოებისათვის (გაფართოებული აღწარმოებისათვის) ცალკე აღებულიო ოჯახი მეურნეობის ამ ფორმაში ხედავს არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ სხვა სახის სარგებელსაც. კერძოდ უარეს შემთხვევაში შეინარჩუნოს ოჯახის წევრების მინიმალური დასაქმების დონე და მინიმალური შემოსავლები (მაშინ როცა კერძო ანტერპრენიორული ფერმა ვალდებულია მესაკუთრეს მოუტანოს, როგორც მინიმუმი მოგების საშუალო ნორმა, სხვა შემთხვევაში ის უნდა გაიყიდოს)

ოჯახური მეურნეობის გვერდით მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ფართოდაა გავრცელებული კოლექტიური ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ის წარმოადგენს სპეციფიკურ სამართლებრივ -ორგანიზაციულ ფორმას, რომლის საკუთრება მასში გაერთიანებული წევრებისაა და შესაბამისად ამ ფორმის საწარმოთა მართვა წევრთა მიერ არჩეული ორგანოს მიერ ხორციელდება.

კოლექტიური სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საინტერესო ტიპს ებრაული კიბუცები წარმოადგენს, სადაც არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას აქვს კოლექტიური ხასიათი, არამედ შექმნილი დოვლათის მოხმარებასაც.

კიბუცებს მიწა გადაცემული აქვთ არა საკუთრებაში, არამედ სარგებლობის (იჯარის) უფლებით, კიბუცებში წარმოებული პროდუქცია ნაწილდება უპირატესად ნატურალური სახით და თანაბარზომიერად. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ კიბუცის წევრები (თუმცა ბოლო პერიოდში აქაც ინერგება დაქირავებული შრომა) თანამედროვე კიბუცები სარგებლობენ სახელმწიფოს სოლიდური დახმარებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ერთად, სულ უფრო აფართოებენ არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის არეალს.

უკლანასკნელ წლებში გამოიკვეთა კიბუცების მოშავებად გარდაქმნის ტენდენცია. მოშავი ესაა-კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო დასახელება, ანუ სოფელი (70-100 ოჯახამდე) თითოეული ოჯახი ფლობს და ამუშავებს, მიწის ნაკვეთს, არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი მეურნე, მაგრამ გაერთიანებული მოშავის კოლექტიურ გაერთიანებში. მოშავი პასუხს აგებს თითოეული წევრის პროდუქციის გა-

საღებაზე, წევრთა განათლებაზე, ჯანდაცვაზე და სხვა ყოფით საკითხებზე ანუ მოშავი წარმოადგენს კოოპერატივს, რომელსაც ერთდროულად აქვს რამდენიმე ფუნქცია, მათ შორის პროდუქციის გასაღების, სარემონტო, საკრედიტო, მომარაგების და ა.შ.

მიწა, (რომელიც მოშავის წევრებს სახელმწიფოსაგან 49 წლიანი იჯარით აქვთ აღებული) შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ერთ მემკვიდრეს (დაყოფის გარეშე)

ძირითადი პრონციპები, რომელიც საფუძვლად უდევს მოშავის, როგორც სამეურნეო ერთეულის ორგანიზაციას, შემდეგია: სრული საწარმოო დასაქმება; ექსპლუატაციის არ არსებობა; საზოგადოებრივი მომსახურება: მიწაზე საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა: თვითდასაქმების უზრუნველყოფა ყველა წევრისათვის; კერძო მფლობელობა ოჯახური მეურნეობის საფუძველზე, ერთობლივი მომსახურების უზრუნველყოფა ყველასათვის (მომარაგების კრედიტის და პროდუქციის რეალიზაციაში); ურთიერთდახმარების გაწევა ჯანმრთელობის, კულტურის და განათლების სფეროში, მოშავის ყევლა წევრისათვის ცხოვრების თანაბარი პირობების შექმნა

მოშავი ესაა კოოპერატივი, დემოკრატიული თვითმართვადი საზოგადოება, სადაც უმაღლეს ხელისუფლებას წევრთა საერთო კრება ფლობს, რომელიც ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს. ეს უკანასკნელი უძღვება სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქმეს.

მოშავი, როგორც საწარმოო კოოპერატივი, რეალიზაციას უკეთებს მისი წევრების მიერ შექმნილ სოფლის მეურნეობის პროდუქციას(ამონაგები მიდის საერთო ბუღალტერიაში, საიდანაც თითოეულ ოჯახს ერიცხება თავისი წილი) როგორც სამომხმარებლო კოოპერატივს, მას კავშირი აქვს სხვადასხვა საბითუმო კორპორატიულ ორგანიზაციებთან, საიდანაც შემოაქვს მეურნეობისთვის საჭირო რესურსები (მათი რეალიზება-გაყიდვა ხდება მოშავის მაღაზიაში, მოშავის წევრებზე). როგორც საკრედიტო კოოპერატივი, მოშავი მის წევრებს აძლევს კრედიტს მეურნეობის განვითარებისათვის (შეიძლება პირადი საჭიროებისთვისაც)

ბოლო პერიოდში ისრაელში შეცვლილი გარემო პირობებთან ადაპტაციის მიზნით გადაიხედა მოშავის ძირითადი პრონციპები. კერძოდ მოშავისათვის დაშვებულ იქნა დაქირავებული შრომის გამოყენე-

ბა, ვიწრომეურნეობრივი სპეციალიზაცია და ა.შ. დღეს აქ ფერმერები გაერთიანებული არიან სპეციალიზებულ კოოპერატივებში განსაზღვრული პროდუქციის წარმოება გასაღებისათვის. ისინი ერთმანეთს უხამებენ ინდივიდუალურ მეწარმეობას, ტრადიციული ფერმერული მეურნეობისათვის დამახასიათებელ კოოპერაციას.

მოშავის, როგორც სამეურნეო ერთეულის, უპირატესობას განაპირობებს კრედიტის მიღების პირობები და ფინანსების პროფესიული მართვა. აქ მთავარია რომ კოოპერატივს შეუძლია გაერთიანებული რესურსები გამოიყენოს თავისი წევრებისათვის კრედიტის მისაცემად. რაც ნიშნავს რომ მოშავის წევრებმა უნდა დაიცვან სოლიდარული პასუხისმგებლობის პრონციპი.

მოშავის უარყოფითი მხარეებიდან შეიძლება გამოვყოთ მათი წევრების ინტერესების არცთუ იშვიათი შეუთანხმლებლობა, მაგალითად ზოგიერთ წევრს აქვს რა სურვილი უფრო სარისკო დაბანდებები განახორციელონ თავის მეურნეობაში (იცის წარუმატებლობის შემთხვევაში, შეუძლია მისი ხსნა) სხვა წევრებს შეუძლიათ გარისკოთ საკუთარი პროდუქციის თავის შეხედულებისამებრ გაყიდვა (რითაც ძირს გამოუთხრიან კოოპერატივის გადახდისუნარიანობას ბაზარზე, მისი ორგანიზაციის ერთ ერთ ძირითად საფუძველს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოშავი მისდევს რა კოლექტიურ ბიზნესს, იმავდროულად ეწინაარმდეგება თავისი წევრების ინტერესებს.

კოლექტიური სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ნაირსახეობაა საფრანგეთში გავრცელებული ე.წ. ფრანგული გაეკი. ამ ქვეყნის კანონმდებლობით გაეკი შიძლება ჩამოყალიბდეს არაუმეტეს 10 ფერმერული ოჯახის გაერთიანების გზით. დღეისათვის ამ ფორმის საწარმოებში ქვეყნის ფერმერული მეურნეობის დაახლოებით 10%-ია გაერთიანებული. მათზე მოდის ქვეყნის სასოფლო- სამეურნეო სავარგულის 11%. საყურადღებოა უფრო ის, რომ ერთი გაეკის მფლობელობაში არსებულ 70ჰექტარი მიწიდან 45 % იჯარითაა აღებული.

ასეთი ფერმების აბსოლიტური უმეტესობა საფრანგეთში ახალგაზრდა ფერმერების მიერაა შექმნილი და ძირითადად მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზეა ორიენტირებული.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოლექტიურმა ფორმებმა ფართო გავრცელება ჰპოვა ლათინური ამერიკის ქვეყნებში გასული საუ-

კუნის 70-იან წლებში. აღნიშნული პროცესის ძირითადი მიზანი იყო, აგრარული სექტორის რეფორმირების პერიოდში არმომხდარიყო მიწის პარცელაცია და უფრო მოხერხებული ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ ფერმერებისათვის სათანადო ტექნიკური დახმარების აღმოჩენა საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის გზით.

ოჯახური მეურნეობისაგან განსხვავებით, კოლექტიური ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პრაქტიკულად ყოველთვის დგება შემოსავლების განაწილების პრობლემა. შემოსავლების დიფერენცირებული განაწილება (შრომის ანაზღაურების და მოგების ნაწილად) დახარჯული შრომის შეტანილი პაის, წილისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით კოლექტივის შემადგენლობის (მესაკუთრე, დაქირავებული მუშა, შრომისუნარიანი წევრები, პენსიონრები, მეპაიეები და ა. შ.)

გათვალისწინებით არ იძლევა ყველა სოციალური ჯგუფისათვის მოსაწონი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. რაც საბოლოო ანგარიშით, მოქმედებს შრომის მოტივაციის ხარისხზე და კოლექტიური საწარმოს ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. აღნიშნული ფაქტორი ადრე თუ გვიან განაპირობებს მათ დაშლა გარდაქმნას ოჯახურ ფერმებად, ან ანტერპრენიორულ საწარმოებად.

კორპორაციული ტიპის მეურნეობა. მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების აგრარული სფეროსათვის დამახასდიათებელია მეურნეობის ორგანიზაციული ფორმირების აშკარად გამოხატული პლურალიზმი, სადაც წარმატებით თანაარსებობენ ინდივიდუალური, საოჯახო და ერთობლივი ფერმები და კოოპერაციები, ისინი კი არ გამოდევნიან, არამედ ცივილიზებული კონკურენტული მეტოქეობის პირობებში ავსებენ ერთი მეორეს.

ფერმერული მეურნეობის ორგანიზაციის უმაღლესი, ყველაზე რთული ფორმა კორპორაციული ტიპის მეურნეობაა. მის უპირატესობათა შორის აღსანიშნავია ის რომ მას უნარი აქვს აქციებისა და ობლიგაციების მეშვეობით მიიზიდოს საოჯახო მეურნეობის დიდი ფულადი დანაზოგები. მეორე-ფართოდ იყენებენ მოწინავე ტექნიკასა და ტექნოლოგიას, შრომისა და წარმოების ორგანიზაციას, მატერიალური სტიმულირების ყველაზე ეფექტიან ფორმებს, მესამე-გააჩნია შრომის დანაწილების დიდი შესაძლებლობები, მეოთხე-არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რის გამოც მისი წევრები რისკავენ მხო-

ლოდ იმ თანხით, რაც გადაიხადეს ფასიანი ქაღალდების შესაძენად. ე.ი. კორპორაციის გაკოტრების შემთხვევაში სარჩელი წაეყენება არა მის მონაწილეს, არამედ საწარმოს როგორც იურიდიულ პირს. მეხუთე-სიცოცხლისუნარიანობის შედარებითი სტაბილურობა და ხანგძლოვობა და სხვა.

აშშ-ში ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელდა სოფლის მეურნეობაში წარმოების ორგანიზაციის კორპორაციული ტიპი. კორპორაციები როგორც წესი სპეციალიზდებიან ინტენსიურ კულტურებზე, როგორიცაა საკონსერვო ბოსტნეული, შაქრის ჭარხალი, ბამბა, ასევე პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდაზე. საყურადღებოა რომ ბევრ კორპორაციას ძალიან მცირე მიწის ნაკვეთები აქვს, მაგრამ ეს „უმიწო“ კორპორაციები სპეციალიზდებიამ კვერცხისა და ბროილერის ფრინველ ფაბრიკებისა და მეღორეობის ფერმების სახით.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აშშ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში ფუნქციონირებენ საოჯახო და არასაოჯახო კორპორაციები.

საოჯახო ფერმერული კორპორაცია დახურული ტიპის საწარმოა, მისი აქციები ბირჟაზე არ იყიდება, ხოლო აქციონერები ახლო ნათესავებია. არა საოჯახო ფერმერული კორპორაციები უპირატესად იქნმნება სამრეწველო საწარმოთა შეჭრით, სოფლის მეურნეობაში, რომლებიც ძირითად საქმიანოიბასთან ერთად მისდევენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, ზოგჯერ გადამუშავებას, შეზღუდვასა და რეალიზაციას.

მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების უმეტესობა ინდექსირებულია მძლავრი აგროსამრეწველო ფირმების ფარგლებში, რომლებიც აკონტროლებენ კვების ყველაზე შემოსავლიანი პროდუქტების გადამუშავება-გასაღებას. ფერმერული კორპორაციები მაღალგანვითარებული ეკონომიკისთვისაა დამახასიათებელი და მისი საქართველოში გამოყენება ჯერ-ჯერობით ნაადრევია.

ამრიგად, დღეისათვის მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების აგრარული სფეროსათვის დამახასიათებელია მეურნეობის ორგანიზაციული ფორმების აშკარად გამოხატული პლურალიზმი, სადაც წარმატებით თანაარსებობენ ინდივიდუალური საოჯახო მეურნეობები, ერთობლივი ფერმები, კორპორაციული ტიპის მეურნეობები, და კოოპერატივები. ყოველი მათგანი მოქმედებს რა დამოუკიდებლად, ერთიმე-

ორეს ხელს უწყობენ ფუნქციონირებაში და ამით ავსებენ ერთმანეთს. გამოცდილებისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მთავარი მაინც ქართული ტრადიციები და ის სპეციფიკური პირობებია, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მათი გათვალისწინებით უნდა მივაღწიოთ მნიშვნელოვან წარმატებას.

ნებისმიერ ქვეყანაში სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა, მხოლოდ სისტემური ცვლილებებისა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი. მათ შორის ერთ -ერთი მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების სამეწარმეო აქტივობის ამაღლებაა. ამ მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი. საყურადღებოა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კორპორაციულ საფუძვლებზე დამყარებული სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზა აირჩიეს თავის დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა, ისრაელმა და განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრმა სხვამ(მათ შორის ბალტიის ქვეყნებმაც) ეს პროცესი ყველგან სახელმწიფოს აქტიური მაორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართება.

კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების ადექვატური. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგროც ძლიერი და სანდო პარტნიორი, სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას.

კოოპერატივი წარმოადგენს ავტონომიურ საზოგადოებას, რომელშიც ნებაყოფლობით გაერთიანებულნი არიან ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ საერთო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული საჭიროებები და სურვილები და რომლებიც ერთობლივად და დემოკრატიულად მართავენ საწარმოებს.

კოოპერავიტის შექმნის მიზანი

ძირითადი მიზანი კოოპერატივის შექმნისა არის მისი წევრების საერთო/ საზოგადო საჭიროებების დაკმაყოფილება.

ღირებულებები

კოოპერატივი დაფუძნებულია ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა ერთობა, ურთიერთდახმარება, სოლიდარობა, პასუხუსმგებლობა, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლიანობა და ერთსულოვნება.

პრინციპები

კოოპერატივის პრინციპები არის ერთგვარი სახელმძღვანელო იმისათვის, რათა მოხდეს კოოპერატივის ღირებულებების რეალიზება პრაქტიკაში.

1. ნებაყოფლობითი და ღია წევრობა

კოოპერატივი წარმოადგენს ნებაყოფლობით (მოხალისეთა) შექმნილ ორგანიზაციას,რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერი მსურველი უზრუნველყონ თავიანთი შესაძლებლობების (მომსახურების) რეალიზება და გაიაზრონ წევრობის საერთო პასუხისმგებლობა დამოუკიდებლად სქესისა, სოციალური რასობრივი, პოლიტიკური თუ რელიგიური დისკრიმინაციისა.

2. დემოკრატიული მმართველობა(კონტროლი)

კოოპერატივი არის დემოკრატიული გაერთიანება/ორგანიზაცია, რომელიც კონტროლდება წევრთა მიერ, რომელნიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას, კოოპერატივისათვის კოკრეტული პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. წევრები (კაცები და ქალები), რომლებიც მსახურობენ როგორც არჩეული წევრები, ამ წევრობისათვის გარკვეულწილად ეკისრებათ პასუხისმგებლობა. ჩვეულებრივ, კოოპერატივის წევრებს ხმის მიცემის თანაბარი უფლება გააჩნიათ (თითოეულ წევრს თითო ხმის უფლება აქვს). სხვა ორგანიზაციულ დონეებზე შექმნილ კოოპერატივებსაც ორგანიზაციის დემოკრატიული სტილი გააჩნია.

3. წევრთა ეკონომიკური მონაწილეობა

წევრები თანაბრად მონაწილეობენ როგორც კოოპერატივის კონტროლის პროცესში, ასევე, კაპიტალში. კოოპერატივის კაპიტალი საერთო ქონებას წარმოაადგენს მისი წევრებისათვის. წევრობის პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება წევრებს გააჩნდეთ განსაზღვრული ოდენობის კომპენსაცია. დამატებით შემოსავალს, როგორც წესი, კოოპერატივის წევრები იყენებენ მათი კოოპერატივის განვითარებისათ-

ვის, ქმნიან რეზერვებს, მონაწილეობის წილის მიხედვით გასცემენ სარგებელს წევრებზე და აფინანსებენ კოოპერატივის სხვადასხვა ახალ-ახალ საქმიანობებს, რომლებიც დამტკიცებულია კოოპერატივის წევრების მიერ.

4. ავტონომია/თვითმმართველობა და დამოუკიდებლობა

კოოპერატივი წარმოადგენს თვითმმართველ, ავტონომიურ სუბიექტს, რომელიც იმართება/კონტროლდება მისივე წევრების მიერ. თუკი ისინი გადაწყვეტენ, ხელშეკრულება გააფორმონ სხვა ორგანიზაციებთან, ან სახელმწიფოსთან, ამ მოიძიონ კაპიტალი გარე წყაროებიდან, ისინი ცდილობენ უზრუნველყონ არსებული მართვის სტილის დაცვა (დემოკრატია და ავტონომია)

5. განათლება, გადამზადება და ინფორმცაი

კოოპერატივი უზრუნველყოფს მისი წევრების განათლებისა და გადამზადების საქმეს. წარმომადგენილის/ რწმუნებულის/ ნდობითა და უფლებებით აღჭურვილი პირის არჩევას, ისე რომ ამ უკანასკნელებმა მეტი წვლილი შეიტანონ კოოპერატივის განვითარების საკითხში. ისინი უზრუნველყოფენ საზოგადოების ინფორმირებას- უმეტესად კი ახალგაზრდებსა და „აზრთა ლიდერების"-კოოპერატივის რაობის და სარგებლიანობის შესახებ.

6. კოოპერაცია კოოპერატივებს შორის

კოოპერატივი არსებობს იმისათვის, რათა სარგებელი მოუტანოს მის წევრებს და ამასთან, გაძლიერდეს ლოკალური/ ადგილობრივი, ნაციონალური, რეგიონული და საერთაშორისო სტრუქტურათა შორის თანამშრომლობითა და მუშაობით.

7. საზოგადოებასთან დამოკიდებულება

კოოპერატივები მუშაობენ თავიანთი საზოგადოების/ერთობის მდგრადი განვითარებისათვის, მისი წევრების მიერ შემუშავებული პოლიტიკის მეშვეობით.

8. ეკოლოგიური-პერსპექტივა/ჰორიზონტი

კოოპერატივები აცნობიერებენ, რომ ადამიანები არ არიან ერთადერთი ნაწილი დამოუკიდებელი სამყაროსი, არამედ მისი ერთ-ერთი შემადგენელი და რომ ბუნების პატივისცემა მის ყოველ გამოხატულებაში, არის განუყოფელი ადამიანური კეთილდღეობისა და ღირსებისაგან.

კოოპერატივები თანხმდებიან, რომ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა არის განუყრელი ნაწილი კოოპერატივების მეშვიდე პრინციპისა -საზოგადოებასთან დამოკიდებულება.

საქართველოს უდავოდ შუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სასოფლო მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფ რეაბილიტაციაც და შემდგომი განვითარება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელება წარმოადგენს მასშატაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც პირველად, ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. ამიტომ, იმის დროული გაცნობიერება, რომ არსებულ სიტუაციაში მხოლოდ კოოპერაციული, ანუ სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის სისტემის ხელშეწყობით, არის შესაძლებელი სოფლად სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფერის ჩამოყალიბების მეტად რთული პროცესის განხორციელება. არსებული რეალობის გათვალისწინებით, სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს ამ მნიშვნელოვანი პროცესის ფორსირებულად და ეფექტურად წარმართვის მაკოორდინირებელი და ხელშემწყობი ფუნქცია.

10.10. აგრობიზნესის სტრუქტურა და ამოცანები

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად იზრდებოდა წამოების მაშტაბები, რომლის მომსახურება ცალკე აღებულ მუშაკს თუ მუშაკთა ჯგუფს უკვე აღარ შეეძლო. აღნიშნულის გამო ევოლუციის პროცესში თანდათან ჩნდებოდა საწარმოები, რომლებიც თავის თავზე იღებდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის, მოწეული მოსავლის შენახვის, გადამუშავების, ან რეალიზაციის ფუნქციებს, ანუ ჩამოყალიბდა დარგთა მთელი სისტემა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანული ნაწილი გახდა. დღეს ძნელი წარმოსადგენია სოფლის მეურნეობის საწავავ-საცხები მასალების, შხამ ქიმიკატე-

ბის, მინერალური სასუქებისა და კომბინირებული საკვების მწარმოებელი სამრეწველო საწარმოების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის და ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხნების, მსხვილი ელევატორების, საწარმოო თუ არასაწარმოო ინფრასტრუქტურის გარეშე.

სასოფლო – სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებულ დარგთა ერთობლიობას აგროსამრეწველო კომპლექსი, ანუ საბაზრო ეკონომიკის ენაზე, აგრობიზნესი ეწოდება. (ტერმინი აგრობიზნესი შემოიღო ამერიკელმა მეცნიერმა რ. გოლდბერგმა გასული საუკუნის 60-იან წლებში)

ფართო გაგებით, აგრობიზნესი ესაა ეროვნულ დარგთა ერთობლიობა, რომელიც უშუალოდ, ან ირიბად მონაწილეობენ საბოლოო პროდუქციის შექმნაში. იგი მოიცავს ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებულ დარგებს. რომელიც ჩართულია როგორც პროდუქციის წარმოების, ასევე წარმოებული პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანის გრძელ პროცესში. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ასეთი ურთიერთკავშირი განაპირობებს აგრობიზნესის ორიენტირებას საერთო მიზანზე-მაქსიმალურად დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება კვების პროდუქტებსა და მოხმარების საგანზე.

თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მაშტაბები და ტემპები არსებითადაა დამოკიდებული იმ დარგების განვითარებაზე, რომლებიც მას აწვდის სასოფლო-სამეურნმეო ტექნიკას, საწვავ-საცხებ მასალებს, შხამ-ქიმიკატებს, სატრანსპორტო და სხვა საშუალებებს (თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის და სხვა მომსახურე დარგის საწარმოებსაც აკისრიათ).

დარგები, რომლებიც აგროსამრეწველო წარმოებაში ურთიერთდაკავშირებული პროცესების და სტადიების განხორციელებას უზრუნველყოფენ, აგრობიზნესის ოთხ სფეროს ქმნის.

პირველი სფერო შედგება იმ დარგებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ აგრობიზნესის დანარჩენ სფეროებს, წარმოების საშუალებებითა და საწარმოო ტექნიკური მომსახურებით. მასში ძირითადად გაერთიანებულია: სატრაქტორო და მანქანათმშენებლობის, კვების მრეწველობის, მიკრობიოლოგიური მრეწველობის, კომბინირებული საკვების მრეწველობის, მინერალური სასუქების, მცენარეთა ქიმიური

დაცვის საშუალებების მწარმოებელი და სასოფლო-სამეურნეო ტექ-ნიკის სარემონტო საწარმოები და სხვა.

აგრობიზნესის პირველ სფეროში შემავალ დარგებს და ორგანიზა-ციებს, ჩვეულებრივ, წარმოების დიდი მაშტაბი ახასიათებს. ისინი მო-წოდებული არიან უზრუნველყოს წარმოების პროცესი სააჭირო რე-სურსებით, შეიქმნან სათანადო ბაზა სოფლის მეურნეობისა და გადა-მამუშავებელი მრეწველობის ტექნიკური შეიარაღებისა და გადაიარა-ღებისათვის. მათზე ბევრადაა დამოკიდებული სასოფლო სამეურნეო წარმოების რიტმულობა, ნაკადურობა და მასობრიობა, ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფლის მეურნეობისათვის საჭირეო მატერია-ლურ-ტექნიკური რესურსის სულ უფრო მზარდი მოცულობის გათვა-ლისწინებით, პირველი სფეროს წილი კომპლესის მთელ პროდუქციაში სისტემურად იზრდება. აღნიშნულს ხელს უწყობს ისიც, რომ ამ სფე-როში შემავალი კონკრეტული საწარმოები თანამედროვე ეტაპზე ორ-განიზაციას უკეთებენ არამარტო წარმოების საშუალებათა წარმოე-ბას, არამედ მათ რეალიზაციას. ამ მიზნით ისინი ფართოდ იყენებენ სარეკლამო, საინფორმაციო და სხვა ხასიათის მომსახურებას, ტექნი-კის (საქონლის) ლიზინგის ფორმას, განვადებით გადახდის ფორმას და სხვა პროგრესულ მეთოდებს, რაც განაპირობებს მათი პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდას კომპლექსის საერთო პროდუქციაში.

აგრობიზნესის მეორე სფეროს წარმოადგენს უშუალოდ სოფლის მეურნეობა (მიწეთმოქმედება, მეცხოველეობა). მასში ერთიანდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში შექმნილი ნებისმიერი ორგანიზაციულ – სამართლებ-რივი ფორმის საწარმოები. კომპლექსის ამ სფეროს მთავარი პროდუქ-ტშემქმნელის ორგანიზაციული ფორმა ოჯახური (საკომლო, ფერმე-რული მეურნეობაა, ანუ ოჯაკის საკუთრებაში არსებული მეურნეობა, სადაც იწარმოება სოფლის მეურნეობის პროდუქცია, როგორც საკუ-თარ, ასევე იჯარით (არენდით) აღებულ მიწაზე, პირადი მოხმარებისა და ნამატის რეალიზაციის მიზნით.

განსხვავებით პირველი და მესამე სფეროებისაგან, მეორე სფეროს შეფარდებითი წილი, კომპლექსის საერთო პროდუქციაში სისტემატუ-რად და კანონზომიერად უნდა მცირდებოდეს.

აგრობიზნესის მესამე სფეროში შედის დარგები, რომლებიც უზ-

რუნველყოფენ მინდვრიდან და მეცხოველეობის ფერმებიდან პროდუქციის მიტანას საბოლოო მომხმარებლამდე, ანუ სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადამუშავების ქარხნები, საცოლო და საბითუმო ვაჭრობის სისტემები, მატყლის, ტყავის და აბრეშუმის პარკის გადამამუშავებელი მსუბუქი მრეწველობის საწარმოები და სხვა. ამ სფეროს ხვედრითი წილი მეორე სფეროსაგან განსხვავებით, როგორც წესი, გადიდების ტენდეციით ხასიათდება, რაც დაკავშირებულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სულ უფრო ღრმა გადამუშავებასთან და მომხმარებელზე მიწოდებასთან. (თანამედროვე სოფლის მეურნეობის პროდუქცია გადამუშავების გარეშე სულ უფრო მცირე რაოდენობით მოიხმარება, მომხმარებელთან მიტანამდე ის მუშავდება ფიზიკურად, მდიდრდება დანამატებით და ხდება ნახევარ ფაბრიკატი)

კომპლექსის საბოლოო პროდუქციის აბსოლუტური უმეტესობა მესამე სფეროს დარგებსა და ქვედარგებში იღებს მომხმარებლისათვის მისაღებ საბოლოო სახეს. ამ სფეროს საწარმოები უზრუნველყოს ასევე პროდუქციის შენახვას, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას. აგრობიზნესის მეოთხე სფერო (რიგ ქვეყნებში მას პირდაპირ კომპლექსის ინფრასტრუქტურად მოიხსენიებენ) წარმოადგენს განხილული სამი სფეროს მომსახურე დარგების ერთობლიობას, რომელთა გარეშე კომპლექსის სრულყოფილი ფუნქციონირება, უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. ამ სფეროში ერთიანდება როგორც საწარმოო, ასევე არასაწარმოო ინფრასტრუქტურის დარგები რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების რეალიზაციას, აჩქარებენ სამეურნეო ბრუნვას და ა.შ კერძოდ, საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგები უზრუნველყოს კომპლექსის ნორმალური ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას განვითარებული საგზაო-სატრანსპორტო, სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობის საშუალებით, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების აგროტექნიკურ, მელიორაციულ, აგროქიმიურ, ზოოვეტერინალურ და სხვა სახის მომსახურებას.

სოცილაური ინფრასტრუტურის დარგები, მართალია, უშუალოდ არაა დაკავშირებული წარმოების პროცესთან, მაგრამ მათი ფუნქციონირება განსაკუთებით მნიშვნელოვანია, კომპლექსის დაბალანსებული და ეფექტური მუშაობისათვის. ეს მიიღწევა საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საყოფაცხოოვრებო და კულტურული მომსახურების, ჯან-

დაცვის სისტემის და სხვა სამსახურების, ეფექტური ფუნქციონირების ხარჯზე (რომლეიც სოცილაური ინფრასტრუქტურის სფეროს წარმოადგენს)

აგრობიზნესის ფორმირების საფუძვლად აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარება გვევლინება. ის წარმოადგენს სოფლის მეურნეობისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ დარგებს შორის საწარმოო კავშირების გაძლიერების შედეგს. აგრარული ინტეგრაცია, ფაქტობრივად, წარმოადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებისა და საწარმოო ძალთა განვითარების ეკონომიკურ შედეგს.

კომპლექსის საბოლოო პროდუქტი არის დროის გარკვეულ მონაკვეთში (ჩვეულებრივ, წლის განმავლობაში) პირადი, თუ საწარმოო მოხმარების მიზნით კომპლექსში შქმნილი მთლიანი პროდუქცია. ნატურალურ ფორმაში იგი შდგება:

- სოფლის მეურნეობის პროდუქციისაგა, რომელიც გადამუშავების გარეშე მიეწოდება მომხმარებელს;
- წარმოებული მოხმარების საგნებისაგან (რომელიც წარმოებულია სოფლის მეურნეობის ნედლეულიოდან);
- სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მისი გადამუშავების პროდუქტებისაგან;
- პირველი სფეროს დარგებში წარმოებული პროდუქციისაგან.

კომპლექსისი საბოლოო პროდუქტის სტრუქტურა განისაზღვრება მისი შემადგენელი ცალკეული დარგების პროდუქციის პროცენტული შეფარდებით კომპლესიის საერთო პროდუქციასთან;

აგრობიზნესში მნიშვნელოვან როლს მე-2 სფერო, ანუ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ასრულებს. ის ერთგვარი კატალიზატორია კომპლექსის დანარჩენი სფეროების განვითარებისათვის. როგორც მომხმარებელი, სოფლის მეურნეობა დაკვეთას აძლევს კომპლექსის დანარჩენ დარგებს, ამა თუ იმ საწარმოო რესურსის (მომსახურების) მისაწოდებლად, ხოლო როგორც მიმწოდებელი, ის არეგულირებს კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების, მომსახურე ორგანიზაციების სატრანსპორტო და სხვა საშუალებების განვითარებას, საცალო და საბითუმო ვაჭრობის ქსელის გაფართოებას და ა. შ. ანუ აგროსამრეწველო კომპლესის სხვა დარგებისა და სფეროების

განვითარების ტემპი, მაშტაბი კორელაციურ კავშირშია სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, რაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, ტყისა და თევზის მეურნეობის განვითარების ტემპი და მაშტაბი, მით უფრო გაიზრდება დაკვეთა მანქანა-იარაღებზე, სხვადასხვა მომსახურებაზე, მინერალურ სასუქებზე და სხვა საშუალებებზე, რაც შესაბამისი დარგების კიდევ უფრო მაღალ დონეზე განვითარებას განაპირობეს.



10.11. ადამიანური რესურსების კაპიტალიზაციის პრობლემა სოფლის მეურნეობაში

ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა როგორც წესი, მოსახლეობის აღწარმოებისა და შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემების მოგვარებას ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს. აქვე შევნიშნავთ, რომ დასაქმება და უმუშევრობა მაკროეკონომიკის ის ძირითადი მაჩვენებელია, რომელთა მიმართ ხელისუ-

ფლების, საზოგადოებისა და მედიის მუდმივად მაღალი ინტერესი არსებობს, რადგან მათი დონის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყნის პროგრესსა, თუ რეგრესზე, მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და მათი ქცევის მოდელებზე. აღნიშნულის სიმწვავე კარგად ვლინდება მისდამი საზოგადოების დამოკიდებულებაშიც, როდესაც სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვებით რესპოდენტთა

დიდი ნაწილი ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან უმწვავესად უმუშევრობას ასახელებენ.

სოფლის მეურნეობაში ადამიანური რესურსების გამოყენების შესწავლის აუცილებლობა განპირობებული იმითაც, რომ აგრარულ სექტორთან პირდაპირ კორელაციაშია ეროვნული ეკონომიკის დაახლოებით 17%, ხოლო მულტიპლიკაციური ეფექტის გათვალისწინებით ეს მაჩვენებელი ორმაგდება.

დასაქმება ის პრობლემაა, რომლის მოგვარება 2003 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა ძალამ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ვერ შეძლო. პირიქით, მმართველობის 9 წლის განმავლობაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 151 ათასით შემცირდა (ქვეყნის მთელი მოსახლეობის 182 ათასით ზრდით პირობებში), ხოლო უმუშევრობის დონე 11,5 % დან 16,1%-მდე გაიზარდა.

ბოლო წლებში ქვეყანაში ჩამოყალიბებული დასაქმების არარაციონალური სტრუქტურა, დარღვეული პროპორციები დაქირავებით დასაქმებულსა და თვითდასაქმებულებს შორის, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია აგრარულ სექტორში დასაქმებულთა მაღალი წილით. კერძოდ 2013 წელს სოფლად ცხოვრობდა ქვეყნის მოსახლეობის 46.2 %, ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 84,4%, დასაქმებულთა 63,8%, დაქირავებულთა 32,0 % და თვითდასაქმებულთა 84,0%. ასეთ პირობებში აგრარულ სექტორში გასულს წელს შიქმნა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9%.

ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაში განსაკუთრებით მაღალია თვითდასაქმებულთა დონე (ევროკავშირის ქვეყნებში ის შეადგენს 14%) მაგრამ, აქ საანგარიშოა არა იმდენად თვითდასაქმებულთა რაოდენობა, რამდენადაც ის, რომ მათი უდიდესი ნაწილი (84%) სოფლის მეურნეობაზე მოდის, სადაც თვითდასაქმებულთა საშუალო თვიური შემოსავალი არსებითად ჩამორჩება ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებულთა შემოსავლებს.

პრობლემის განხილვა გაანალიზება

როგორც ცნობილია ნებისმიერ დარგში მატერიალური დოვლათის წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლებიდან მთავარი ადგილი შრომის მწარმოებლურობას უკავია, რადგან ის უშუალოდ გამოხატავს წარმოების ეფექტის თანაფარდობას შდეგის მიღწევისათვის გაწეულ საერთო დანახარჯებთან.

დადგენილია, რომ მშპ-ს მატების ორი მესამედი შრომის მწარმოებლურობაზე გადის, ხოლო დანარჩენი ერთი მესამედი კი-შრომითი დანახარჯების გადიდებაზე. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში(მათ შორის აგროსექტორში) შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლის კრიტიკული შეფასება და სათანადო ანალიზი, მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს, რადგან ნებისმიერ წარმოებაში გამოყენებულ საწარმოო ფაქტორებს შორის შრომას, როგორც წარმოების შეუცვლელ ფაქტორს, განსაკუთრებული ადგილი უკავია.

რა სურათი გვაქვს ამ მიმართულებით აგროსექტორში?

სოფლად დასაქმებულთაგან (1100 თასი კაცი) უშუალოდ აგრარულ სექტორში დასაქმებულია დაახლოებით 850 ათასი ადამიანი, ანუ სოფლად დასაქმებულთა არანაკლებ 77% და ეროვნულ მეურმეობაში დასაქმებულთა თითქმის ნახევარი (49,3%) აღნიშნულის გათვალისწინებით, შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში (მთლიანად შიდა პროდუქტის წარმოება ერთ დასაქმებულზე) შეადგენს (2012 წლის მონაცემებით) მხოლოდ 2274 ლარს, რაც საშუალო (1578ლარი) მხოლოდ 15% და სოფლის მეურნეობის გარდა საქართველოს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების მიხედვით მიღწეული შრომის საშუალო ნაყოფიერების (27728 ლარი) მხოლოდ 8,2 პროცენტია. ამასთან, შრომის მწარმოებლურობა საქართველოს აგრალურ სექტორში (თვეზე გადაანგარიშებით) შადგენს შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მხოლოდ 125,4 პროცენტს.(მიღებულია, რომ აგრარულ სექტორში თითოეული დასაქმებულის ეკონომიკური საქმიანობა გამართლებულია და მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როცა დასაქმებულთა მიერ წარმოებული დოვლათის ღირებულება საარსებო მინიმუმს არანაკლებ სამჯერ მაინც აღემატება)

ყოველივე აღნიშნული ბუნებრივია, მოქმედებს შრომის მწარმოებლურობისა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების გამოყენებას უკავშირდება კერძოდ, შრომა-უკუგების მაჩვენებელი (წლის განმავლობაში წარმოებული სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების შეფარდება ფაქტობრივად არსებული მუშახელის რაოდენობასთან). როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე მის ცალკეულ მხარეებში მეტად დაბალია, რასაც მართალია გარკვეულწილად განაპირობებს ტექ-

ნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების, ასევე წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მეტად დაბალი დონე, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი მაინც შრომითი რესურსებით დატვირთვის მეტისმეტად ჭარბი დონე, ყოფა-ცხოვრების პირობების არასახარბიელო მდგომარეობა და შრომითი მოტივაციის უქონლობაა.

ზოგადად სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მაჩვენებლად მიჩნეულია თუ რამდენი ადამიანის გამოკვება შეუძლია სოფლად დასაქმებულ ერთ ადამიანს. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში სოფლად საშუალოდ ერთ დასაქმებულს არა თუ რამდენიმე ადამიანს, არამედ საკუთარი თავის გამოკვებაც არ ძალუძს (ოჯახის გამოკვებას სოფელში დასაქმებული ახერხებს საქმიანობის სხვა წყაროებზე დაყრდნობით -როგორიცაა მომსახურება, ხელზე ვაჭრობა და სხვა).

ამიტომ დასაქმება მარტო ეკონომიკურ საქმიანობად არ უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ერთი მხრივ ის დამოკიდებულია მოსახლეობის ზრდის დინამიკაზე, ასაკობრივ-სტრუქტურულ და პროფესიულ (კვალიფიციურ) შემადგენლობაზე, ხოლო მეორე მხრივ, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე.

ამ კონტექსტში საინტერესოა, თუ როგორია სოფლად რეალური დასაქმების მაჩვენებლის დინამიკა ანუ დასაქმებულთა საერთო რაოდენობა (თვითდასაქმებულთა ჩათვლით), შეფარდებული მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან.

ექსპერტული გაანგარიშებით, აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში 2004 წელს 46,6%-შეადგენდა, ხოლო 2012 წლისათვის ის 40%-მდე შემცირდა. რაც შეეხება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების დონეს (დასაქმებული მოსახლეობის რიცხვის შეფარდება 16 წლამდე და 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის საერთო რიცხვთან), ის საქართველოში, 2012 წლის მონაცემებით, რეგიონის ჭრილში 27-50%-ის ფარგლებში მერყეობდა.

1990 წელს საქართველომ შრომითი რესურსების საერთო ოდენობა 3212 ათას კაცს ანუ მოსახლეობის 59,2% შეადგენდა, 2004 წლისათვის მან 2964 ათასი კაცი ანუ 68,6% შეადგინა. აღსანიშნავია რომ სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსის საერთო რაოდენობა 1990 წელს სულ 610 ათ. კაცს ანუ სასოფლო მოსახლეობის 25,1 % შეადგენდა.

ამჟამად აგრარულ სექტორში დაბნალია წარმოებული სოფლის მე-

ურნეობის პროდუქციის საქონლის რაოდენობის დონე, რომელიც სოფლად მცხოვრებთა შინამეურნეობებისათვის შადგენს მხოლოდ 37%-ს, აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს, არამედ 1980-იანი წლების ბოლოს სოფლად მცხოვრებთა შინამეურნეობებში წარმოებული პროდუქციის დასაქონლიანების დონესაც (45%).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აგროსექტორში დღეისათვის სუსტადაა განვითარებული სამეწარმეო სექტორი. გასულ წელს ამ სექტორის მთლიანმა ბრუნვამ 250 მილიონზე ნაკლები შადგინა, რაც საქართველოს სამეწარმეო სექტორის მხოლოდ 0,5 %-ია. აგრარულ სექტორში სამეწარმეო საქმიანობით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 0,6 % და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა მხოლოდ 14%.

2012 წელს სოფლად ერთი შინამეურნეობის მთლიანმა საშუალო თვიურმა შემოსავალმა 732 ლარი შეადგინა, მაგრამ თუ შემოსავლების სტრუქტურას გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ უშუალოდ აგროსექტორიდან მხოლოდ 254 ლარია მიღებული (ანუ 35%) დანარჩენი კი დაქირავებიდან, პენსიებიდან და სხვა სახის შემოსავლებიდან. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ შემცირდა სოფლის მეურნეობის საქონლიანობის დონე, რაც წვრილი მეურნეობების ნატურალური ხასიათის მაჩვენებელია.

სოფლის მოსახლეობასა და შრომითი რესურსების დინამიკაში მომხდარი ზემოაღწერილი რაოდენობრივი ცვლილებები არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ რადიკალურ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებს (წარმოების სოციალისტური) წესი შეცვალა კაპიტალისტურმა წარმოების წესმა, საზოგადოებრივი საკუთრება - კერძო საკუთრებამ, განხორციელდა ეკონომიკური რეფორმა, რომელსაც წინ უსწრებდა აგრარული (მიწის რეფორმა და სხვა) რამაც არსებითად შეცვალა ქვეყნის საერთო ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური გარემო. ხუთი წლით გაზარდა საპენსიო ასაკი, წარმოიშვა მანამდე უცნობი ისეთი პრობლემები, როგორიცაა უმუშევრობა, ჰიპერინფლაცია და სხვა. მაგრამ აქ დამაფიქრებელია ის, რომ საქართველოს მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპო-

ვების შემდეგ ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირების ფონზე საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მოსახლეობის წილი.

ეჭვი არაა იმაში, რომ სოფლად მოსახლეობის ზრდის მყარი ტენდენცია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ- სოციალური განვითარების უკიდურესად დაბალი დონის მაჩვენებელია და ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკის პირდაპირი ნეგატიური შედეგია. ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში სოფლად გაიზარდა შრომითი რესურსების საერთო რაოდენობა, ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა ამავე პერიოდში პირიქით შემცირდა, რაც არაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ დემოგრაფიულ სურათს, რომლითაც დღეს სოფელია წარმოდგენილი (სოფლად იზრდება ხანდაზმული ადამიანების ხვედრითი წილი, ხოლო მოზარდთა წილი კი პერმანენტულად ეცემა).

რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ ამ მიმართულებით მდგომარეობის გამოსასწორებლად?

პირველი ნაბიჯი სოფლად შექმნილი არასასურველი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უკვე გადადგმულია. მხედველობაში გვაქვს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის გარეშე სოფლად მდგომარეობას ვერ გამოასწორებს, ხსენებულ კანონში კი რაიმე სახის კონკრეტული მხარდაჭერა სოფლად საქონელმწარმოებელთა მიმართ არ ჩანს.

ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად, საჭიროა შემუშავდეს და ამოქმედდეს სოფლის განვითარების პოლიტიკაც. სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან (სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება), რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, განვითარების გარეშე (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმართველობა ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა-გზა, წყალი, ელექტროენერგია, ჯანდაცვა, ბაგა-ბაღები სკოლები, ბიბლიო-

თეკები, კლუბები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, დასაქმება და სხვა.) ქართულ სოფელს დაცლა ანუ მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ემუქრება. თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი.

ილია ჭავჭავაძე გლეხკაცს სოფლის მაცოცოხლებლად და გარდამქნებლად მიიჩნევდა მისთვის სიტყვა „გლეხი“ სინონიმი არაა არც „არანასწავლის“,არც „დაბალი ღობისა“. ილიასთვის იგი სინონიმია „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალისა“ „საკუთარ ფეხზე მდგომისა“ „ერის ფესვისა და რეზერვისა“ ერის მამის აზრით, უბრალო გლეხობაა სული და გული ჩვენის ეროვნული იმედების.“

ამიტომ, ვისაც დღეს საქართველოს ეკონომიკის დაგეგმვა და მართვა ავალია, არა აქვს იმის დავიწყების უფლება, რომ გლეხკაცი არის:

- სოფლის როგორც საზოგადოების, ერისა და ეკონომიკური ფუძე ერთეულის მოსახლე და შემნახავი (სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქმნელი);
- (სასზღვრო ზონებში) ტერიტორიის გულით მონდომებული დამცველი;
- ნატურალური პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობაში გულწრფელად დაინტერესებული მეურნე;
- შთამომავლობის მრავალრიცხოვნობისა და მაღალხარისხოვან აღზრდაში დაინტერესებული მეოჯახე;
- ქვეყნის კეთილდრეობასა და ძლიერებაში ასევე გულწრფელად დაინტერესებული მოქალაქე.

ამისათვის მას სჭირდება:

- თავისი ოჯახის სავსებით დამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა;
- ურბანულთან მაქსიმალურად მიახლოებული ცივილიზაციური კომფორტი;
- ურბანულთან მიახლოებული განათლების საშუალება ბავშვებისათვის;
- გონივრული ხარისხი დამოუკიდებლობისა, ეკონომიკურ პარტნიორებთან საქმიან ურთიერთობაში (ღვინის ქარხანასთან, საკონსერვო

ქარხანასთან, მექანიზაციით მომსახურების ფირმასთან, საწვავით მოვაჭრესთან, ჩაის ფაბრიკასთან, რძის შემგროვებელ და გადამამუშავებელ საწარმოსთან, ხორცკომბინატთან, პირუტყვის სასაკლაოსთან, ლოგისტიკურ ცენტრთან, საცავ მაცივართან და ა. შ.)

- თავისი შთამომავლობისათვის ფართო (გეოგრაფიულად და სოციალურად) პერსპექტივის იმედი.

როგორც ცნობილია, დღეისათვის ფერმული მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი სუსტი რგოლი მათი საქმიანობაა მაღალი რისკის პირობებში. აქედან გამომდინარე, მათ ხელი უნდა შეეწყოთ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით ქონებისა და მოსავლის დაზღვევის საქმეში.

ამასთან ერთად, საჭიროა აგროსექტორში ისეთი საინვესტიციო პროექტების

შემუშავება და რეალიზაცია, რომლებიც სტიმულს მისცემს არა მარტო სოფლის მეურნეობის, როგორც სანედლეულო ბაზის განვითარებას, არამედ აგრონედლეულის გადამამუშავებელი, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა რეაბილიტაციას და შემდგომ განვითარებას მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით (ეს მოთხოვნა ობიექტურია, რადგან აგროწარმოება, გადამამუშავებელი სიმძლავრეების გარეშე, სათანადო დონეზე ვერ განვითარდება).

2007-2009 წლებში საქართველოს აგრარულ სექტორში შემოვიდა სულ 45,6 მლნ. აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიაცია, ანუ ქვეყანაში შემოსული ამ სახის ინვესტიციების საერთო მოცულობის (4237, 1 მლნ. აშშ დოლარი) მხოლოდ 1,1 %, მაშინ, როცა ამავე წლებში უძრავ ქონებაში (სასტუმროების მშენებლობა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და ა. შ. განხორციელებულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 455 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა. 2007 წელს ქვეყანაში შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში სოფლის მეურნეობის წილი 0,7% შადგენდა. იგი მომდევნო წლისთვის 0,5 %-მდე დაეცა, 2007 წელს აგროსექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა აბსოლიტურ ციფრებში 15 მლნ აშშ დოლარი შადგინა, 2008 წლისათვის ის 7,8 მლნ. დოლარამდე შემცირდა.

ინვესტიციების ასეთი დინამიკა აგროსექტორში არ უნდა იყოს დიდი მოულოდნელობა, თუ გავითვალისწინებთ იმ სპეციფიკურ თავისე-

ბურებებს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ახასიათებს. მხედველობაში გვაქვს სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ დაბანდებებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის ფაქტობრივად არსებული საკმაოდ ხანგძლივი პერიოდი (მაგალითად, მრავალწლოვან ნარგავებში, მერძეულ ჯოგში და ა.შ.) სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის თანმდევი მაღალი რისკი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა დარგში არ არსებობს განვითარებული სადაზღვეო ბაზარი, კვალიფიციური ადამიანური რესურსები, საჭირო ინფრასტრუქტურების შესაბამისი დონე და ხარისხი, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა-ათვისებისა და გავრცელების უნარ-ჩვევები და ა.შ. გარდა ამისა, იმ აუცილებ მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილება უნდა შეძლოს არა მარტო უცხოური ინვესტიციების მიმღებმა ქვეყანამ ზოგადად, არამედ იმ დარგმაც (სფეროს), რომელშიც ინვესტირება უნდა განხორციელდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უცხოური ინვესტიციები მეტწილად გზას იკვლევს იმ დარგებში, სადაც გარკვეული ზომით შიდა ინვესტიციები ხორციელდება. ფაქტია, რომ ამ მოთხოვნას დღეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნნეობა ვერ აკმაყოფილებს და შესაბამისი არადამაკმაყოფილებელი შედეგიც სახეზეა. ამდენად, დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა, როგორც ინვესტიციების ობიექტი, არ არის მზად მსხვილმაშტაბიანი ინვესტიციების ერთბაშად მოზიდვისა და საჭირო პროექტების ერთდროულად განხორციელებისათვის.

ცხრილი 10.10.1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოს ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობაში (2007-2012) (მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012
პირდაპირი და უცხოური ინვესტიციები სულ	2015	1564	658	553	11117,2	911,56
მ.შ. სოფლის მეურნეობაში	15,5	7,8	22,3	10,6	14,9	16,2
%	0,8	0,5	3,4	1,9	1,3	0,17

სახელმწიფოა აქტიური მხარდაჭერა სჭირდებათ აგრომეწარმეებს კრედიტზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის, რისთვისაც შექმნილია სპეციალიზებული კოოპერაციული ტიპის აგროსაკრედიტო (ურთიერთდახმარების, თავდებობისა და გარანტიების) სისტემა.

არანაკლებ მნიშვნელობას იძენს კონკურენტული უპირატესობის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხების მოგვარება, გადამამუშავებელ საწარმოებთან სასოფლო კოოპერატივების ინტეგრაცია და სხვა.

ყველა შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის ოპტიმალური დონე, როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივებში ძირითადად დამოკიდებული იქნება ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მთავრობის მიერ აქტიური ეკონომიკური (მ.შ.) აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ზოგადად შრომაზე ერთობლივი მოთხოვნა, ბუნებრივია გაიზრდება. ის შესაბამისობაში მოვა რეალურად საჭირო შრომითი რესურსის რაოდენობასთან და სამუშაო ძალით უზრუნველყოფის დონე მის წონასწორულ მდგომარეობას დაუბრუნდება, ანუ აგროსექტორში დარჩება იმდენი მუშახელი, რამდენიც მას რეალურად ესაჭიროება.

სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენსაც სოფელი სჭირდება თავის სარჩენად და სრულიად დამაკმაყოფილებელი ხარისხის ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ცნობილია რომ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ცხოვრობენ საქმიანობენ სოფლად (მასწავლებლები, ექიმები, ექთნები, მექანიზატორები, მელიორატორები, კულტურისა და კავშირგაბმულობის მუშაკები, ხანდაზმული ადამიანები და სხვა) როგორც წესი, ბევრად (3-4 ჯერ აღემატება მათ რაოდენობას, ვინც უშუალოდ დაკავებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით.

სასოფლო სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ დასაქმებულთა ნორმატიული სიდიდე საქართველოში (სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური რუკებით), 345-350 ათას კაცს შეადგენს, რაც ნახევარი მილიონით ნაკლებია ფაქტობრივად დაფიქსირებულთან (875 ათასი კაცი) თუმცა მომავალში, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ქართული სოფლის სპეციფი-

კური თავისებურებების გათვალისწინებით (რთული ვერტიკალური ზონალობა, მრავალდარგოვნება, კულტურათა მრავალფეროვნება და სხვა). შესაძლოა მათი რაოდენობა ოპტიმისტური სცენარით 300-330 ათას კაცამდე შემცირდეს ანუ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 15-20 %-ის ფარგლებში დარჩეს (მხედველობაში გვაქვს, მექანიზაციის დონის ამაღლება, წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა პროგნოზირებადი პროგრესული მიმართულებები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ერთი დასაქმებული პიროს მიერ, როგორც მინუს 25-30 ადამიანის გამოკვება)

ზემოაღნიშნული პროგნოზი რეალურად შესრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუი სოფლად საქმიანობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პარალელურად ჩატარდება შესაბამისი აქტივობები. უკანასკნელ წლებში სოფლის მიმართ ჩამოყალიბებული უარყოფითი ფსიქოლოგიური იმიჯის შესაცვლელად, მხოლოდ ამ შმთხვევაში შეიძლება დაუბრუნდეს საშოვარზე გადახვეწილი ჯანმაგარი გლეხკაცი მიტოვებულ სოფელს და დაუბრუნოს მას ის ფუნქცია, რომელსაც სოფელი საუკუნეების განმავლობაში ასრულებდა ქვეყანაში.

სოფლად შემოსავლების ზრდისა და ქალაქთან გათანაბრებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად, საქართველოს მთავრობამ, მსგავსად დემოკრატიული ქვეყნების მთავრობისა რამდენიმე დებულებით უნდა იხელმძღვანელოს:

- სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარება, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, რაც ეროვნული იდენტურობისა და მოსახლეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს;
- გარემოს დაცვა/შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის პოტენციალს შეიცავს;
- ინფორმაციის (მ.შ. ტელეკომუნიკაციის) გავრცელებისა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობა, სოფლის ქალაქთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა;
- სოფლად პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

ეს ამოცანები, თავისთავად რა თქმაუნდა, არ შესრულდება. ამ მიზნით საჭიროა პრინციპულად ახალი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა და აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც საბოლოო ანგარიშით სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და აგრარული შრომის მოტივაციის ამაღლებას უკავშირდება.

საქართველოს მრავალდარგოვანი აგროსასურსათო სექტორის რეფორმა, გადაუდებლად მოითხოვს მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი (კოოპერაციული) გაერთიანებების ჩამოყალიბებას და მათი ინტეგრაციის გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებთან, ბაზრებთან კავშირის აღდგენას სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირებასა და განვითარებული აგრარული (მელიორაციული მომსახურების, აგროტექსერვისისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის) სტრუქტურების შექმნას, ასევე - ეფექტური საგადასახადო, სადაზღვეო ეროვნული ბაზრის დაცვის, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას. შედეგად, კოოპერაციული ფორმირების გამოყენებით, ადგილებზე მივიღებთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ინტეგრირებული სისტემის (ერთიანი ციკლის) შექმნას, სადაც ფერმერი დაინტერესებული იქნება ერთობლივი საქმიანობის ყველა საფეხურით საწარმოო პროდუქტის რეალ;იზაციიდან ამონაგებით დამთავრებული, რადგან პრაქტიკულად, ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მისი შემოსავლების ზრდა და სოციალური პრობლემების მოგვარება.

საქართველოს აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისათვის, ქმნის კვებისათვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობას. საქართველოს შუძლია გამოკვებოს არათუ ქვეყანაში დღეს არსებული მოსახლეობა, არამედ 10-12 მილიონი ადამიანი. ეს ნიშნავს, რომ რაციონალური აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა სამამულო აგროწარმოების პროდუქციით.

სასურველია საქართველოს გარდაქმნა მაღალგანვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად (შემდეგ ეტაპზე, ინდუსტრიულ ქვეყნად, ზეგანვითარებული სოფლის მეურნეობით), რომელიც თვითონ დაიკმაყოფილებს თავისი სასურსათო და სხვა საარსებო მოთხოვნილებებს, ექნება დადებითი სალდო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორტის საგნად-მეცნიერებატევადი სამრეწველო, მეცნიერული და მაღალი ხარისხის ნატურალური სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ეს სასურველი მიმართულება გულისხმობს საქართველოს სასურსათო და ზოგადად ეკონომიკურ უსაფრთხოებასაც ანუ მისი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გარანტირებულ შენარჩუნებადობასაც გარე ძალების ნებისაგან დამოუკიდებლად.

ამ მიზნით, უნდა აღვადგინოთ და განვავითაროთ აგროეკოლოგიური წარმოების ის ტრადიციები და უნიკალური წესები, რომლებიც თანხვედრაში მოვა თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ეს საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ უხვი და ნატურალური პროდუქცია. ასეთი მიდგომა გამართლებულია, მით უმეტეს, რომ უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები და გარემო, ხალხის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორების კომპლექსი ქმნის ქართული აგრარული მეურნეობის შედარებით უპირატესობას.

უცხო სიტყვები

1. ინტენსიფიკაცია-ფრან. დაძაბულობა, გაძლიერება-დაძაბულობის სიმძიმე ნაყოფიერების, ქმედითობის გაძლიერება, გაზრდა.
2. კორპორაცია- ლათ. გაერთიანება- ამა თუ იმ მიზნით გაერთიანებული პირთა ჯგუფი, რომელიც სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს-იურიდიულ პირს ქმნის. თანამედროვე პირობებში კორპორაციას გაბატონებული მდგომარეობა უკავია აშშ-ის მეურნეობის ყველა დარგში.
3. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) -წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული საზოგადოებრივი პროდუქტის და გაწეული მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული ღირებულება მიუხედავათ საწარმოთა საკუთრებისა და სოციალური კუთვნილებისა

თავი XI

საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემები და გზები

11.1. სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკის თავისებურებები

ინდუსტრია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საქმიანობას, ის იგივეა რაც მრეწველობა.

მრეწველობა ეროვნული ეკონომიკის წამყვანი დარგია, იგი აწარმოებს მაღალტექნოლოგიური პროდუქციის უდიდეს ნაწილს მთლიან შიდა პროდუქციაში, ქმნის ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგებისათვის განვითარების ხელშემწყობ პირობებს.

მრეწველობა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და ეროვნული უშიშროების საფუძველს. სამრეწველო კომპლექსის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს, ამ ამოცანის გადაწყვეტის საქმეში დიდი როლი ენიჭება მეცნიერულ საფუძველზე დამუშავებულ სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბებას გრძელვადიანი პერიოდისათვის.

საქართველოში მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით რამდენიმე პოზიცია ჩამოყალიბდა. ერთნი აღიარებენ რა საქართველოში მრეწველობის განვითარების პრიორიტეტულ მნიშვნელობას, უპირატესობას ანიჭებენ სამრეწველო საწარმოების (მსხვილი სტრუქტურების) მართვის ადრე არსებულ მოდელს, მაგრამ ეკონომიკის ახალ ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაზე ფუნქციონირებისას ეს პოზიცია მიუღებელია.

პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ არ არის აუცილებელი საქართველოში განვითარდეს მრეწველობა. უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ იქნას აუცილებელი პროდუქცია, ქვეყანაში კი უპირატესად მომსახურების სფერო გაფართოვდეს, მის ბაზაზე გადაწყდეს დასაქმების პრობლემები.

ბოლო ხანებში მეცნიერ-ეკონომისტების ერთ ნაწილში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება, იმის შესახებ, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა და თითქოს ასეთად უნდა დარჩეს იგი მომავალში.

არ არის სწორი ორიენტაცია ავიღოთ, მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და რეალურად არ შევაფასოდ თანამედროვე ინდუსტრიის ეკონომიკური, მეცნიერული, კულტურული პოტენციალი. ასევე გაუმართლებელია მხოლოდ მრეწველობის განვითარებაზე ორიენტაცია.

გამოსავალი უნდა ვეძიოთ დარგთაშორისი ეკონომიკური წონასწორობის აღდგენაში, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესი არ არის კვლავწარმოების ცალკე იზოლირებული პროცესი. იგი მჭიდრო კავშირშია მრეწველობის კვლავწარმოების პროცესთან და ურთიერთს ავსებენ, ამიტომ ეროვნული მეურნეობის განვითარების ძირითადი საკითხია ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ჰარმონიული განვითარება.

დღეს, ქვეყნის მრეწველობა ვერ იძლევა იმ პროდუქციას, რაც სოფლისათვის ესოდენ აუცილებელია. სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ინვეტარი ყველა სახის სასუქი და შხამქიმიკატები, საწვავ-საცხები მასალები, პირადი მოხმარების მრავალი მცირე აუცილებელი საგნები და სხვა. თავად სოფლის მეურნეობა მრეწველობას ვერ აწვდის მისთვის საჭირო ნედლეულს, ე.ი. დარღვეულია წონასწორობა სოფლისმეურნეობასა და მრეწველობას შორის. ქვეყნის ერთიან სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში სამრეწველო პოლიტიკა ცენტრალური და წამყვანი უნდა იყოს. თუ გვინდა, რომ ეროვნული ეკონომიკა სწორი სტრატეგიით განვითარდეს, მისი ინდუსტრიალიზაცია (ეკოლოგიურ მოთხოვნილებათა დაცვით) უნდა მივიჩნიოთ, როგორც უალტერნატივო პრიორიტეტი.1.

სამრეწველო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს სამართლებრივ, ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებათა სრულ კომპლექსს. იგი თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს რამდენიმე მიმართულებით:

1. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანად ფუნქციონირებადი გარემოს შექმნა.

2. წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფა (პრიორიტეტები, დარგობრივი სტრუქტურა, წარმოებისა და რესურსების დარგთაშორისი გადაადგილება, შრომის წარმოების ორგანიზაცია, ინფრასტრუქტურა, ეკონომიკის ეკოლოგიზაცია და ა.შ.) მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამ მიზნით შიდა ბაზრის ფორმი-

რება, შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და კოოპერაციაში აქტიურად ჩართვა, საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტიმულირება, სამამულო წარმოების დაცვა.

3. საზოგადოებაში საშუალო ფენის ჩამოყალიბების მატერიალური საფუძველის შექმნა.

4. ეროვნულ მეურნეობაში დარგობრივი კავშირების გაღრმავება.

სამრეწველო პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია მრეწველობაში არსებული მდგომარეობის ობიექტური შეფასება. არსებული მდგომარეობის ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს რიგი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან სამრეწველო საწარმოების გადაყვანას საბაზრო პრინციპებზე ესენია: განვითარების სტრატეგიის უქონლობა, მოქმედი წარმოების დაბალი ეფექტიანობა; მენეჯმენტის სისტემის არასრულყოფილება და მენეჯერთა უმეტესობის დაბალი კვალიფიკაცია,; ბაზრის კონიუქტურის არასაკმარისი ცოდნა და გასაღების ბაზრის პრობლემა; მოძველებული საწარმოო-ტექნიკური ბაზა; ჩამორჩენილი ტექნოლოგია და სხვა.

გარდამავალ პერიოდში ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი მრეწველობაში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას არსებითად ორი ურთიერთგანმსაზღვრელი ფაქტორი განაპირობებს. თითოეული ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა, ტრადიციები, თავისებურებები, საწარმოო ძალთა განვითარების დონე, მაორე – ეკონომიკური პოლიტიკა (სამრეწველო პოლიტიკა) მოცემულ მომენტშიც და პერსპექტივაშიც უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო პოლიტიკის განვითარების ტენდენციებს. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ სამრეწველო პოტენციალის განვითარების მზარდი პერსპექტივა.

ანგარიშ გასაწევია ისიც, რომ არსებითად იცვლება მსოფლიო ბაზარზე კონკრეტული გარემო, საბაზრო სუბიექტების თვისებები, საქონლის მწარმოებელთა ბრძოლის ფორმებიც.

საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია შეიქმნას ქვეყნის მრეწველობის მართვისა და რეგულირების პოლიტიკის კონცეპტუალური ბაზა, მრეწველობის კრიზისის უარყოფითი შედეგების გადალახვა, დარგის აღორძინება და

1. ნ ჭითინავა გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები 1997, გვ. 78

მდგრადი განვითარება მისი ეკონომიკური პოტენციალის (საექ-სპორტო შესაძლებლობათა ჩართვით) ეფექტური გამოყენების გზით.

ამ მიზნით საქართველოში სამრეწველო პოლიტიკა განსაზღვრავს მრეწველობის სფეროში გასატარებელ სახელმწიფო პოლიტიკის ძირი-თად ამოცანებს და ინსტრუმენტებს. იგულისხმება, რომ სახელმწიფო რეგულირება გამოხატავს სახელმწიფოს ყოვლისმომცველ ჩარევას სამე-ურნეო საქმიანობაში. იგი ითვალისწინებს ქმედითი საბაზრო ბერკეტების მეშვეობით ხელსაყრელი პირობების შექმნას მრეწველობის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მისაღწევად.

ყოველმხრივ ანალიზსა და შესაბამისად შეფასებას მოითხოვს სა-ქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი მონაწილეობა ევ-როპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებაში.

მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი პირობებია:

– ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის შექმნის, გასაღების გამოცდილება და პერსპექტივა;

- შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პოტენციალი;

- სამეურნეო ტექნიკური პოტენციალი;

- კვალიფიციური მუშახელის, ინჟინერ-ტექნიკური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა;

- თავდაცვითი მნიშვნელობის პროდუქციაზე მოთხოვნა;

- აგრარული სექტორის პოტენციური მოთხოვნა სამრეწველო პროდუქციაზე.

შიდა და გარე ბაზარზე კვების მრეწველობის პროდუქციის პოტენ-ციური კონკურენტუნარიანობა. ხელშემწყობი ბუნებრივი-კლიმატური პირობები და საკურორტო-ტურისტული ბიზნესის ინდუსტრიული მომსახურების პერსპექტივები და სხვა.

სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტებია:

- არსებული სანედლეულო ბაზის შენარჩუნება და შემდგომი გან-ვითარება სამრეწველო პროდუქციის განვითარებისათვის;

- საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის ხელშემწყობი გარე-მოს შექმნა;

- საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით სოფლის მეურნე-ობისა დ კვების მრეწველობისათვის მანქანა-დანადგარების წარმოება.

(მცირეგაბარიტიანი სამთო-ვაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოწყობილობა-დანადგარები ჩაის, ყურძნის ტექნიკური კულტურების, ხილის, თამბაქოს და სხვა მოვლა-მოყვანისა და გადამუშავებისათვის)

- ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის სამრეწველო მოთხოვნილებისა და მომსახურების საჭიროების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული დარგების განვითარება (სატრანსპორტო საშუალებები, საგზაო ტექნიკა, სასიგნალო – საავარიო აპარატურა და მოწყობილობები, სპეციალური კონსტრუქციების სამშენებლო მასალების) წარმოება.

- ეროვნული თავდაცვის დოქტრინით განსაზღვრულ ფარგლებში თავდაცვითი მრეწველობის ფუნქციონირება.

- ადგილობრივ და გარეგანზრეგზე ორიენტირებული მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მოხმარების სამრეწველო პროდუქციის წარმოება.[1].

სამრეწველო სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელება, როგორც წესი ეფუძნება თანამედროვე მიდგომებს მრეწველობის დარგში, გარემოს დაცვის ღონისძიებების აუცილებელი გათვალისწინებით. კერძოდ, მრეწველობის მტკიცე განვითარების უზრუნველყოფას „უფრო სუფთა წარმოების", გარემოს დაცვითი სტანდარტიზირებული მართვის სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, ეკომარკირებას და გარემოს დაცვის სხვა აუცილებელ ასპექტებს.

11.2. მრეწველობა როგორც ეროვნული ეკონომიკის სისტემის წარმომქმნელი დარგი

საქართველოს ეროვნული ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს წარმოება, ეკონომიკური პროდუქციის შექმნა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმო არის დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი, რომელიც აწარმოებს პროდუქციას, სამუშაოებს და ასრულებს მომსახურებას საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, მოგების მიღებისათვის. სწორედ საწარმოს საქმიანობა ქმნის საფუძველს მოხმარებისა და შიდა საერთო პროდუქციის წარმოების ზრდისა.

საქართველოს ეროვნული ეკონომიკა შეიძლება განვიხილოთ

[1] ბაბუნაშვილი თ. საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემები და გზები თბ.2000 გვ.121

სხვადასხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც იმყოფებიან მჭიდრო საწარმოო კოოპერირებულ, კომერციულ და სხვა ურთიერთკავშირში. ასევე ურთიერთმოქმედი დარგობრივი და სახელმწიფო რეგიონულ მართვაში. სქემატური ფორმით სამეურნეო მართვის ფუნდამენტს წარმოადგენენ საწარმოები, ორგანიზაციები.

სახელმწიფო და უწყებრივი მართვის პროცესები, შეიძლება განიხილებოდეს სამეურნეო სუბიექტების დონეზე, მხოლოდ როგორც მეორადი მოვლენა. ეფექტურად ფუნქციონირებადი საწარმოები, ორგანიზაციები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ეროვნულ ეკონომიკაში. რამდენადაც მათი საქმიანობა წარმოადგენს საფუძველს:

– საერთო შიდა პროდუქციის ზრდის;

– სახელმწიფო ორგანოების მართვის არსებობის შესაძლებლობების შექმნისა და მათ მიერ ფუნქციების შესრულების;

- მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფა;

- მეცნიერების განვითარების, ინოვაციური საქმიანობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის;

- მოსახლეობის ყველა ფენების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება;

- სამედიცინო მომსახურების განათლებისა და კულტურის დაწესებულებების საქმიანობის სრულყოფა;

- მოსახლეობის დასაქმებულობის ამაღლება უმუშევრობის დონის შემცირება, სხვადასხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

საბაზრო ეკონომიკაში საწარმოების მართვის მნიშვნელოვან პრინციპებს წარმოადგენს ეკონომიკურობა, ფინანსური მდგრადობა, მომგებიანობა.

ეკონომიკურობის პრინციპი მოითხოვს, რათა განსაზღვრული შედეგები მიიღწეოდეს უმცირესი დანახარჯებით, მაქსიმალური შედეგები დანახარჯების მოცემულ მოცულობაში.

ფინანსური მდგრადობის პრინციპი ნიშნავს ისეთ საწარმოო პრინციპს, როცა მის შემთხვევაში ნებისმიერ დროს მას შეუძლია გადაიხადოს თავისი ვალები ან საკუთარი საშუალებით ან კრედიტის მიღების ხარჯზე.

მომგებიანობის პრინციპი ასახავს მეწარმეობის საქმიანობის უმაღლეს მიზანს-დანახარჯებზე შედეგების გადაჭარბება ე.ი. დიდი მოგების ან მაღალი რენტაბელობის მიღწევა.

მოცემული მიზნის მიღწევა პრაქტიკაში რეალიზდება შემდეგი გზებით:

- მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვება, მისი სისტემატური განახლება და მოთხოვნის შესაბამისი მომსახურების მიღწევა.

- საწარმოო რესურსების რაციონალური გამოყენება მათ ურთიერთ შენაცვლების გათვალისწინებით.

- საწარმოს გაძღოლის სტრატეგიისა და ტაქტის შემუშავება მათი კორექტირება შეცვლილი მდგომარეობის შესაბამისად.

- წარმოების მოწინავე გამოცდილებით გაძღოლის ახალი მეთოდების სისტემატური დანერგვა. შრომის ორგანიზაციასა და მართვაში.

– ზრუნვა მომუშავეებზე, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, კოლექტივში კეთილგანწყობილი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა.

- საწარმოსა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, ამიის შენარჩუნება, მოქნილი საფასო პოლიტიკისა და სხვა ფუნქციების განხორციელების ჩატარება.

მრეწველობა წარმოადგენს რა ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად რგოლს. გამოდის საზოგადოებრივი კვლავწარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძვლად შემდეგი მიზეზების გამო:

- მრეწველობის განვითარება, როგორც ეროვნული ეკონომიკის დარგისა მთლიანად და მისი მნიშვნელოვანი ქვედარგების (ელექტრო ენერგეტიკის, მანქანათ მშენებლობის, ქიმიური მრეწველობის და სხვა) წარმოადგენს ქვეყნის მთელი სამეურნეო კომპლექსის ბაზას.

- მრეწველობის განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის ფუნქციონირება ქმნის გაფართოებული კვლავწარმოების ბაზას და საქართველოს სხვა სუბიექტების ეკონომიკურ განვითარებას.

- მრეწველობის განვითარების დონე განსაზღვრული ზომით განაპირობებს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას.

- სამომხმარებლო სამამულო საქონლით ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფა დამოკიდებულია პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე და საბაზრო პირობებისადმი მსუბუქი და საკვები მრეწველობის ქვედარგების ადაპტირებულობაზე. მრეწველობის დარგობრივი დიფერენციაცია იწვევს სულ ახალ-ახალ დარგებს-ეს არის უწყვეტი პროცესი, განპირობებული საზოგადოებრივი შრომის დანაწილების განვითარებით.

მრეწველობა შედგება ურთიერთდაკავშირებული უამრავი დარგებისა და ქვედარგებისაგან. ძირითად მახასიათებელს მრეწველობის ერთი დარგისა, მეორისაგან წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის ეკონომიკური მნიშვნელობა, მოხმარებული მასალების ხასიათი, წარმოების ტექნიკური ბაზა, ტექნოლოგიური პროცესი. ამავე ნიშნებითვე განსხვავდება ცალკეული წარმოებაც.

წარმოების ცენტრალიზაცია, კონცენტრაცია, სპეციალიზაცია, კოოპერაცია კომბინირება და დივერსიფიკაცია მიეკუთვნება განსაზღვრული ტერიტორიის ჩარჩოებში წარმოების საზოგადოებრივი ოგანიზაციის პროგრესულ ფორმებს. პრაქტიკაში მათი გამოყენება იძლევა, როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის, ისე ცალკეული რეგიონისათვის და თითოეული სამეურნეო სუბიექტისათვის მოგებას.

ცენტრალიზაცია წარმოადგენს საწარმოთა და ფირმების გაერთიანებას, მათ შერწყმას და გამთლიანებას ერთიანი მმართველობის ქვეშ. ახდენს წარმოებაში საბაზრო წილის ზრდასა და პროდუქციის რეალიზაციას.

განასხვავებენ წარმოების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ცენტრალიზაციას. ჰორიზონტალური ცენტრალიზაცია ნიშნავს ერთი დარგის შიგნით ერთი ტიპის საწრმოების გაერთიანებას.

ვერტიკალური ცენტრალიზაცია გულისხმობს განსხვავებული დარგების შერწყმას, რაც შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს რთული პროდუქციის გამოშვება ერთიან ტექნოლოგიურ ჯაჭვზე და გაფართოვდეს ნაკეთობის ასორტიმენტი.

კონცენტრაცია – ეს არის პროცესი, მიმართული პროდუქტის გამოშვების ზრდაზე, ან საწარმოების მომსახურების გაწევაში.

საწარმოებში კონცენტრაცია შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ფორმის საფუძველზე:

- ერთი სახის პროდუქციის გამოშვების გაზრდა (სპეციალიზებული საწარმოები);

- სხვადასხვა სახის პროდუქციის გაზრდა (უნივერსალური საწარმოები);

- კონცენტრაციის განვითარება, საწარმოთა კომბინირების საფუძველზე (საწარმო-კომბინატი);

- კონცენტრაციის განვითარება, საწარმოთა დივერსიფიკაციის საფუძველზე.

საწარმოთა დივერსიფიკაცია, კონცენტრაციის განვითარების ერთ-ერთ რთულ ფორმას წარმოადგენს. ის ნიშნავს ერთმანეთთან დაუკავშირებელ წარმოებისა და მომსახურების სახეების ერთდროულ ფუნქციონირებას, ერთი კომპანიის კონცერნის საწარმოს ფირმის ჩარჩოებში წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის გაფართოებას.

დივერსიფიკაცია გამოხატავს საწარმოთა აქტიურობის გაფართოების პროცესს, რომელიც იყენებს საკუთარ დანაზოგებს, არა მარტო ძირითადი ბიზნესის მოღვაწეობის შენარჩუნებისა და სტიმულირებისათვის, არმედ მათ მიმართებას პროდუქციის თანამედროვე სახეთა ათვისებაში, ახალი წარმოების შექმნასა და ყოველმხრივი მომსახურების განხორციელებაში.

დივერსიფიკაციის მნიშვნელობა იზრდება, რადგანაც ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებში ის უზრუნველყოფს:

- ბაზრის პირობებში ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტის დიდი გადარჩენის უნარიანობას;
- საწარმოს რესურსების უფრო სრულ გამოყენებას;
- ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმართვას;
- საწარმოთა დივერსიფიკაცია მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, უპირველეს ყოვლისა წარმოების ტიპზე.

საქართველოს პირობებისათვის საწარმოთა დივერსიფიკაცია უფრო ეფექტურია, თუ ის საწარმოთა კომბინირების საფუძველზე განხორციელდება.

საქართველოში მრეწველობის დარგის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები დინამიკაში შემდეგი სახით არის წარმოდეგნილი:

ბრუნვა მლნ ლარებში 2005 წელს შეადგენდა 25612; 2006 წლისათვის ბრუნვა მლნ. ლარებში 32287; 2007 წელს 43621; 2008 წელს 46376; 2009 წელს 44074 გამოშვებული პროდუქცია მლნ. ლარი 2005 წელს 22851; 2006 წელს 2779; 2007 წელს 3583,3 ; 2008 წელს 3821,8; 2009 წელს 37971. დამატებული ღირებულება მლნ. ლარი 2005 წელს შეადგინა 843,9; 2006 წელს შეადგინა 964,5. 2007 წელს 1291,1 შეადგინა. 2008 წელს 1636,6; 2009 წელს კი შეადგინა 1454,2.

შუალედური მოხმარება მლნ.ლარებში 2005 წელს 1441,3; 2006 წელს 1814,5, 2007 წელს 2292, 2; 2008 წელს 2185,2; 2009 წელს 2342,9.

მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა 2005 წელს შეადგენდა 94324 კაცს; 2006 წელს 90311 კაცს, 2007 წელს 88398 კაცი; 2008 წელს 85711 კაცი, ხოლო 2009 წელს 93039 კაცი.

მთლიანი შიდა პროდუქციის მაჩვენებელი არის ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომლის მიხედვით ხდება როგორც მთლიანად საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასება ასევე იძლევა დარგობივ ჭრილში განვითარების მახასიათებლებს. კერძოდ დინამიკაში სამთომოპოვებით მრეწველობაში მთლიანი შიდა პროდუქციის ღირებულებამ (მიმდინარე ფასებში მლნ.ლარი) 2004 წელს – 77,0; 2005 წელს 91,3; 2006 წელს 138,8; 2007 წელს 139,2; 2008 წელს 128,9; ხოლო 2009 წელს კი 123,3 შეადგინა.

დამამუშავებელ მრეწველობაში მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებამ (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი) 2007 წელს 803, 9; 2005 წელს 998,7; 2006 წელს 1194,3; 2007 წელს 1400, 0; 2008 წელს 1509,4; ხოლო 2009 წელს 1263,0 შეადგინა[1].

11.3. მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა, მისი განვითარების დონის მიუხედავად წარმოადგენს რთულ, დინამიკურ საზოგადოებრივ ორგანოზმს, რომელიც მოიცავს ერთობლივი შრომისა და ამ შრომით შექმნილ მატერიალური დოვლათის მითვისების პროცესს, რაც თავის მხრივ თითოეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისა და ყოველმხრივი განვითარების საფუძველია.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მიღწეული დონისა და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და საერთოდ მწარმოებლურ ძალთა განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციას.

დარგობრივი სტრუქტურა ასახავს პროპორციებს მეურნეობის დარგებისა და ქვედარგების, წარმოებებს შორის. ეკონომიკის სტრუქ-

[1] სტატისტიკური წელიწდეული 2009

ტურა ასახავს მის კომპლექსურობას, მრავალმხრივობას, წამყვანი პროგრესული, სპეციალიზაციისა და ადგილობრივი მოხმარებისათვის განკუთვნილი დარგების თანაფარდობას.

დარგობრივ სტრუქტურაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი: წარმოების წესი, ბუნებრივი პირობების თავისებურება, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე და წარმოებაში მათი დანერგვის მდგომარეობა, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და მისი ორგანიზაციის ფორმების განვითარება, მატერიალური და მორალური სტიმულირების მეთოდები, პტრინციპები, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები, საგარეო ეკონომიკური კავშირები, პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის პოლიტიკურ მდგომარეობას, იმას, თუ რამდენად დამოუკიდებელია ის პოლიტიკურად და რამდენად სტაბილურია ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სიტუაცია.

საქართველოს მრეწველობის ზოგადი დახასიათების შემდეგ საჭიროა უფრო კონკრეტულად შევეხოთ მის დარგობრივ სტრუქტურას.

ქვეყნის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში წარმოდგენილია ისეთი ქვედარგები როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, სათბობის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქვეყნის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია მსუბუქი და კვების მრეწველობა, რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით, ამ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია ბუნებრივ, ნიადაგობრივ, კლიმატური პირობები. ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონე, მეურნეობის ფორმები და მეთოდები, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხი, საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა.

საქართველოს 2009 წლის სტატისტიკური წელიწდეულის მიხედვით 2008 წელს მრეწველობაში საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა 2798 ერთეულს მათ შორის სამთო მომპოვებელ მრეწველობაში 104 აქედან ნახშირის, ლიგნიტისა და ტორფის მოპოვებაში 3; ნედლეულ ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებაში 1; ლითონის მადნების მოპოვებაში 10; სამთო მრეწველობის სხვა დარგებში 90 ერთეული;

დამუშავებულ მრეწველობაში 2532 ერთეული; აქედან საკვები პროდუქტების წარმოება სასმელების ჩათვლით 1050 ერთეული; თამბაქოს ნაწარმის წარმოება 7; ტექსტილის წარმოება 21 ერთეული; ტანსაცმლის წარმოება, ბეწვის გამოყენება და ღებვა 59 ერთეული. ხე ტყის დამუშავება და მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოება ავეჯის გარდა 194 ერთეული; ქაღალდის მასის, ქაღალდის მუყაოსა და მათი ნაკეთობების წარმოება 34 ერთეული, საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმოანობა ჩაწერილი ინფორმაციის მტარებლის ტირაჟირება 290 ერთეული; კოქსის, ნავთობპროდუქტებისა და ბირთვული მასალების წარმოება 3 ერთეული; ქიმიური წარმოება 78 ერთეული; რეზინისა და პლასმასის ნაწარმის წარმოება 82 ერთეული. დანარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოება 263 ერთეული; მეტალურგიული მრეწველობა 17 ერთეული; ლითონის მზა ნაწარმის წარმოება 106 ერთეული; მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება 59 ერთეული; ელექტრონული მანქანებისა და ელექტრომოწყობილობების წარმოება 18 ერთეული; აპარატების წარმოება რადიოს, ტელევიზიისა და კავშირგაბმულობისათვის 4 ერთეული, სამედიცინო ტექნიკის ნაწარმის, საზომი საშუალების, ოპტიკური ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოება 11 ერთეული; ავტომობილის, მისაბმელებისა და ნახევრადმისაბმელების წარმოება 6 ერთეული; სხვა სატრანსპორტო საშუალებების წარმოება 13 ერთეული, ავეჯის და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დანარჩენი პროდუქციის წარმოება 161 ერთეული, მეორადი ერთეულის გადამუშავება 1 ერთეული.

ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილებაში საწარმოთა რაოდენობა შეადგენს 162 ერთეულს, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება 79 ერთეული; წყლის დაგროვება, გაწმენდა განაწილება 83 ერთეული.

ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სანედლეულო რესურსების მომჭირნეობით და რაციონალურად გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს წარმოებული პროდუქციის მასალატევადობის შემცირებას. ამასთან დაკავშირებით უდავოდ სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება მრეწველობის მეორადი სანედლეულო რესურსების გამოყენებას, რაც გამოშვებული პროდუქციის რესურსშემცველობის შემცირებისა და რესურსდაზოგვის საუკეთესო რეზერვია.

წარმოების ნარჩენებისა და მეორადი რესურსების სტაციონალურად გამოყენების მიზნით უნდა დამუშავდეს მეორადი ნედლეულის გამოყენების ბაზაზე პროდუქციის წარმოების პერსპექტიული მიზნობრივ კომპლექსური პროგრამები, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:

1. სამრეწველო საწარმოების აღჭურვა მეორადი რესურსების გადამუშავებისათვის საჭირო თანამედროვე მოწყობილობით, მანქანადანადგარებით, ტექნოლოგიური ხაზებით;
2. საწარმოებში მცირე ნარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევით გათვალისწინებით;
3. ქვეყნის მაშტაბით სამეცნიერო გამოკვლევების ორგანიზება, მეორადი რესურსების გამოვლენის, მათი გამოყენების გზების დასახვისა და პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისათვის.

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ქვეყნის ბუნებრივ პირობებს მნიშვნელოვან კეთილმყოფელ გავლენას აძლევს მდინარეებისა და ტბების სიმრავლე. სავარაუდოდ, ქვეყანაში სულ სამ ათეულ ათასამდე მდინარეა, რომელთა საერთო სიგრძე 54,7 ათას კმ. აღემატება. აღნიშნულის გათვალისწინებით ჰიდროენერგეტიკული რესურსების საქართველოს ერთ -ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა. ქვეყნის ძირითადი მდინარეების თეორიული ენერგეტიკული პოტენციალი 137 მილიარდ კილოვატ საათს შეადგენს (ყველა მდინარის პოტენციალი მეცნიერ სპეციალისტების მიერ ნავარაუდევია 194 მილიარდი კილოვატ საათი) აღსანიშნავია, რომ 1988 წელს, როდესაც საქართველოს ეკონომიკა სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა, ელექტროენერგიის წლიურმა მოხმარებამ 14,5 ათასი მილიარდი კილოვატ საათი შეადგინა დინამიკაში ელექტროენერგიის აირისა და წყლის წარმოება განაწილებაში მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაში (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი) 2004 წელს 304, 2; 2005 წელს 326.2; 2006 წელს 375,1; 2007 წელს 410,7; 2008 წელს 434,3; ხოლო 2009 წელს 490,8 შეადგინა.

11.4. მრეწველობის განვითარების კონცეპტუალური საკითხები

საქართველოს მრეწველობისა და ენერგეტიკის მართვა ხორციელდება მაღალი დონის კონკურენტუნარიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკა (რომლის ნაწილს წარმოადგენს ენერგეტიკის პოლიტიკა) მუშავდება დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში. ის ითვალისწინებს ეკონომიკური სუბიექტების სიმრავლის პოლიტიკას. კორპორაციულ ან კონსოლიდირებულ ჩარჩოებში იქონიონ თავისი ბიზნესი. შედეგად თანმიმდევრული გაძღოლის მთავარ პირობად სახელმწიფო მოღვაწეობის პოლიტიკაში კომუნიკაციის, კომპრომისისა და შეთანხმებულობის აუცილებლობა კერძო ბიზნესთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან წარმოადგენს.

სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაცია საქართველოში ორიენტირებულია ოთხ სტრატეგიულ მიზანზე.

1. ეკონომიკს სამრეწველო – ენერგეტიკული სექტორის კონკურენტუნარიანობისა და ზრდის ტემპის ამაღლება;
2. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ეფექტურობის ამაღლება და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
3. მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალის განვითარება ეროვნული უსაფრთხოების დონის ამაღლების ინტერესებში;
4. ეკონომიკის ტექნიკური რეგულირებისა და სტანდარტიზაციის სიტემის შექმნა და აღრიცხვის ერთიანობის უზრუნველყოფა. მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხის ამაღლებისა და კონკურენტუნარიანობის ინტერესებიდან გამომდინარე თითოეული სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის ფორმულირებულია ტაქტიკური ამოცანები, რომელთა ეტაპობრივი გადაწყვეტა შესაძლებელს გახდის უზრუნველყოს ზრდის ახალი ხარისხი.

პირველი მიზნის რეალიზაცია – ეკონომიკის სამრეწველო – ენერგეტიკული სექტორის კონკურენტუნარიანობისა და ზრდის ტემპის ამაღლება, რაც საშუალებას მოგვცემს ზემოქმედება მოვახდინოთ ენერგეტიკულ მრეწველობაში ეფექტური საქმიანობის სუბიექტების, კონკურენტუნარიანი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავების მხარ-

დაჭერისა და სამრეწველო სიმძლავრეების მოდერნიზაცია, რეკონ-სტრუქციაში.

ეფექტური ეკონომიკური სუბიექტი- ეს კონკურენტუნარიანი კომ-პანიაა, რომელსაც შეუძლია აწარმოოს და გაყოდოს საქონელი (ან მომსახურება) ისეთი თანაურთიერთობა ფასებისა და ხარისხის, რომე-ლიც უფლებას აძლევს ამით აკონტროლოს ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი, თავისი პროდუქციით, უზრუნველყოს გაყიდვების ზრდის მა-ღალი ტემპი, რენტაბელობა და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-სა-მეურნეო მოღვაწეობის შედეგები.

საწარმოს, ან კომპანიის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყო-ფის მთავარი პრობლემა ეს არის შესაძლებლობა შექმნას და დაიკავოს ამა თუ იმ დარგში განსაზღვრული მდგრადი კონკურენტული უპირა-ტესობა, რომელიც ხანგძლივი პერიოდის საბაზრო ეკონომიკის პირო-ბებში წარმოადგენს საფუძველს.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და შრომისნაყოფიერების ზრდა საშუალებას იძლევა შემცირდეს დანახარჯები და თანმიმდევ-რულად ამაღლდეს სამამულო მრეწველობის პროდუქციის კონკურენ-ტუნარიანობა.

კონკურენტუნარიანობა შიდა ბაზარზე შეიძლება დახასიათებულ იქნას მაჩვენებლებით, საქართველოს სამრეწველო პროდუქციის წი-ლით, მრეწველობის პროდუქციის შიდა მომსახურებაში, ხოლო საერ-თო ბაზარზე – სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ტემპის ზრდით. ეს მაჩვენებლები ასახავენ როგორც ქვეყნის გადამამუშავებე-ლი მრეწველობის საერთო განვითარებას, ასევე სამამულო პროდუქ-ციის კონკურენტუნარიანობას იმპორტირებულთან შედარებით.

კომპანიების უმეტესობა, განსაკუთრებით სამრეწველო, იმყოფე-ბიან კერძო საკუთრებაში. კერძო ბიზნესი საკუთარი ინიციატივებით წყვეტს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ამოცანებს.

საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის მექანიზმი განსაზღვრავს მრეწველობის სფეროში გასატარებელი სახელმწიფო პოლიტიკის ძი-რითად მიზნებს და ინსტრუმენტებს, რომლებიც ეყრდნობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. ამდენად, სახელმწიფოს რეგულირება გამო-რიცხავს სახელმწიფოს ყოვლისმომცველ ჩარევას სამეურნეო საქმა-ნობაში. იგი გულისხმობს ქმედითი საბაზრო ბერკეტების მეშვეობით ხელსაყრელი პირობების შექმნას მრეწველობის მდგრადი ეკონომიკუ-

რი და სოციალური განვითარების მისაღწევად. ამ მიზნით იგი აყენებს საწარმოთა ყოველ ფორმას. მსხვილმესაკუთრეულ ურთიერთობებზე დამყარებული საწარმოები, ემყარება კონკურენციას და კონკურენტუნარიანობას, მაქსიმალური მოგების მიღებას, ეკონომიკური ბერკეტების მაქსიმალურად ამოქმედების საფუძველზე.

ყველა დონე და საშუალება უნდა იქნას გამოყენებული მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ასამუშავებლად, რათა მათ ბაზაზე ავამოქმედოთ მრეწველობა, უზრუნველყოთ რომ კერძო და სახელმწიფო მეწარმეებმა შეძლონ საქმის თავისუფლად გაძღოლა.

საქართველოს ეროვნული სამრეწველო ბაზის დაცვისათვის საჭიროა სახელმწიფოს მხრივ პროტექციონისტური ღონისძიებების გატარება. უნდა შემუშავდეს სახელმწიფოს მხრივ სამრეწველო საწარმოთა განლაგების რეგულირების მექანიზმი, მოხდეს მისი კოორდინაცია საბაზრო მექანიზმებთან.

11.5 სამრეწველო საწარმოების ზეგავლენა გარემოზე-ეკოლოგიური პასპორტი[1]

„არ არის ისეთი ხეირი, რომელიც არ იქნებოდა დაკავშირებული სხვის ზარალთან“

- აღნიშნავს მიშელ დე მონტენი, ფრანგი ჰუმანისტი, ფილოსოფოსი, მორალისტი, პოლიტიკოსი და მწერალი (ნაშრომში, „გამოცდილებები“ თავი XXII) მართლაც ნებისმიერი საწარმო ვალდებულია ეკონომიკური პროგრესი შეუსაბამოს მოსახლეობის ეკოლოგიურ საჭიროებებს და ისე გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მათით სარგებლობა მომავალი თაობებისათვის და არ იყოს საზიანო.

დაბინძურება ეს არის, დამაბინძურებელი ნივთიერებების მოხვედრა ფიზიკურ გარემოში, რაც იწვევს მის ხარისხობრივ ცვლილებას, ცვლის ფიზიკურ სისტემებს, ზიანს აყენებს, დისკომფორტს უქმნის ცოცხალ ორგანიზმებს. ადამიანთა საქმიანობა სერიოზულ ზიანს აყე-

[1] ნ გალახვარიძე, „საწარმოების ზეგავლენა გარემოზე-ეკოლოგიური პასპორტი“;საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკუტეტი მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ნებს გარემოს, გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი წყარო საყოფაცხოვრებო ნარჩენებია, მაგრამ გაცილებით სერიოზულ ზიანს სამრეწველო საწარმოთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, სატრანსპორტო საშუალებათა ფუნქციონირების შედეგად წარმოქნილი ნარჩენები იწვევს, რომლებიც ჰაერსაც აბინძურებენ, წყალსაც და ნიადაგსაც.

სამრეწველო საწარმოს გარემოსდაცვითი პასპორტი არის მარეგულირებელი და ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონაცემებს საწარმოს მიერ ბუნებრივი, მეორადი რესურსების გამოყენების შესახებ და გარემოზე წარმოების გავლენის დადგენის შესახებ. ეკოლოგიური პასპორტი ასახავს მონაცემებს საწარმოს ყველა ელემენტის გარემოზე ზემოქმედების შესახებ.

საწარმოს ეკოლოგიური პასპორტი წარმოადგენს საწარმოს გარემოსთან ურთიერთმიმართების მახასიათებელ კომპლექსურ დოკუმენტს. ეკოლოგიური პასპორტი მოიცავს საერთო მონაცემებს საწარმოზე, გამოყენებულ ნედლეულზე, გამოშვებული ძირითადი სახეობის პროდუქციის ტექნოლოგიური სქემების აღწერას, ჩამდინარე წყლებისა და გამონაბოლქვის გაწმენდის სქემას, გაწმენდის შემდეგ მათ დახასიათებას, მონაცემებს მყარ და სხვა ნარჩენებზე, აგრეთვე მონაცემებს მსოფლიოში არსებულ ტექნოლოგიებზე, ბუნების დაცვის შესახებ.

პასპორტის მეორე ნაწილი მოიცავს დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალს, მიმართულს გარემოს დატვირთვის შემცირებაზე, დანახარჯების მოცულობას, მავნე ნივთიერებების, გადანაყარის საერთო მოცულობას ადრე და ყოველი ღონისძიების განხორციელების შემდეგ.

ეკოლოგიური პასპორტი ასახავს შემდეგ პრინციპულ მომენტებს:

- გარემოს მდგომარეობის შესწავლიდან, მიზეზების დეტალურ

დიფერენცირებულ, ანალიზზე გადასვლას (სიტუაცია მონათესავე საწარმოების, როგორც ცალკეულად ასევე ჯგუფურდ);

- წარმოებული პროდუქციის ერთეულთან დაკავშირებული გადანაყარის საერთო მოცულობის წილობრივი მაჩვენებლების განხილვიდან, მსოფლიოში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებთან შედარებაზე გადასვლას.

საწარმოების ეკოლოგიური დახასიათება გულისხმობს, პროგრესული ტექნოლოგიების შეფასებას, ნედლეულისა და სათბობის გამოყენების სისრულეს, ჩამდინარე წყლებისა და გამონაბოლქვის გაწმენ-

დის გამოყენებულ სქემებს, გასხვისებული ტერიტორიის ნარჩენი წყლისა და გაზის ნაკადების დახასიათებას, გარემოზე საწარმოს მიერ მიყენებული ზარალის საერთო ეკონომიკურ შეფასებასა და ამ შეფასების დეტალიზაციას, პროდუქციის სახეებითა და ტექნოლოგიური გადაკეთებით.

გარემოზე დატვირთვის შემცირების ღონისძიებების პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს სტრატეგიის პერსპექტივა და გეგმა უახლოესი პერიოდის რეალიზაციის ვადების მითითებით, აუცილებელი დანახარჯების მოცულობა, გადანაყარის და მათი კონცენტრაციის მიღწეულ შემცირებაზე, გარემოს ზარალის შემცირებაზე. უმრავლეს შემთხვევაში ტექნოლოგიური გადაწყვეტა ცნობილია და რეალიზებულია, მსოფლიო პრაქტიკაში მოწინავე ადგილობრივ საწარმოებში. მათი დანერგვის პრობლემა უკვე არა მეცნიერული, არამედ ორგანიზაციული და ეკონომიკურია. გარემოს მდგომარეობაზე საწარმოების ზემოქმედების მაჩვენებლებია:

1. გამოშვებული პროდუქციის ეკოლოგიურობა (პროდუქციის წილი გაუმჯობესებული ეკოლოგიური მაჩვენებლებით; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის გამოშვება)

2. ზემოქმედება წყლის რესურსებზე (საწარმოო მიზნებისათვის სხვადასხვა წყაროებიდან აღებული წყლის მოცულობა; წყლის გამოყენება; სხვა საწარმოებზე და ორგანიზაციებზე გადაცემული წყლის მოცულობა; გადაშვებული ჩამდინარე წყლები; დაბინძურებული ჩამდინარე წყლების წილი; მავნე ნუვთიერებების კონცენტრაცია დაბინძურებულ ჩამდინარე წყლებში; ჩამდინარე წყლების გაწმენდის ხარისხი; ჩამდინარე წყლების მოცულობისა და ხარისხის ცვლილება).

3. ზემოქმედება ჰაერზე. (გამოყენებული ატმოსფერული ჰაერის მოცულობა; ნარჩენი მავნე ნივთიერებების რაოდენობა სახეებისა და წყაროების მიხედვით; გამწმენდ მოწყობილობებში შემოსული მავნე ნივთიერებების რაოდენობა; დაჭერილი და გაუვნებელყოფილი მავნე ნივთიერებების წილი, დარჩენილ საერთო რაოდენობის მავნე ნივთიერებებში; ატმოსფეროში შემოსული მავნე ნივთიერებების რაოდენობა სახეების მიხედვით გაწმენდის შემდეგ; ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების მოცულობისა და ხარისხის ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით). ზემოქმედება მატერიალურ რესურსებზე და

წარმოების ნარჩენები (ჩამდინარე წყლებიდან ამოღებული უტილიზირებული მავნე ნივთიერებების მოცულობა; ნარჩენი გაზებიდან ამოღებული უტილიზირებული მავნე ნივთიერებების მოცულობა; წარმოქმნილი მავნე ნარჩენების რაოდენობა; უტილიზირებული მყარი ნარჩენების რაოდენობა. მყარი ნარჩენების რაოდენობა, რომელიც ექვემდებარება დამარხვას; მინერალური ნედლეულიდან ძირითადი კომპონენტების ამოღების ხარისხი).

. ზემოქმედება მიწის რესურსებზე (მშენებლობის კოეფიციენტი - საწარმოს საერთო ფართობში, შენობებითა და მოწყობილობებით დაკავებულ ფართობთან დამოკიდებულება; საწარმოს ერთ ჰექტარ მიწაზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა; ძირითადი, დამხმარე და მომსახურე ფართობის თანაფარდობა; წარმოებრივი ფართობის სიდიდე ერთ მომუშავეზე, მოწყობილობების, აგრეგატების ერთეულზე;

კომუნიკაციის, მისასვლელი გზების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ენერგო მომარაგების საერთო ფართობი, ან განფენილობა, მიწის ფართობები მიკუთვნებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელ მშენებლობებზე. საწარმოს ნარჩენებით დაკავებული ფართობის წილი. სანიტარულ დაცვითი ზონით დაკავებული ფართობის წილი; რეკულტივირებული მიწის ნაკვეთების ფართობი) საწარმოს ბუნება-დაცვითი საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის მაჩვენებელთა კუთხით შეიძლება გამოიყოს:

1. დაბინძურების წყაროების აღჭურვა გამწმენდი მოწყობილობებით (მავნე გადანაყარის წყაროების რაოდენობა; მავნე გადანაყარის არაორგანიზებული წყაროების რაოდენობა)

2. არსებული გამწმენდი ნაგებობების გამტარუნარიანობა (ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობების რაოდენობა და სიმძლავრე, რომელთა ფუნქციონირებასაც თან სდევს განსაზღრული სახის დაბინძურების გამოყოფა; განსაზღვრული სახის დაბინძურების წილი, რომელიც წარმოიქმნება ერთეული ძირითადი პროდუქციის წარმოებისას; ბუნება-დაცვითი მოწყობილობის რაოდენობა და სიმძლავრე, განკუთვნილი განსაზღვრული სახის მოწყობილობების გაწმენდისათვის).

3. გამოყენებული გამწმენდი მოწყობილობების პროგრესულობა; (გამოყენებული გამწმენდი მოწყობილობების სასარგებლო საქმიანობის კოეფიციენტი, გამწმენდი მოწყობილობების წილი მაღალ სასარ-

გებლო საქმიანობის კოეფიციენტში; მოწყობილობების გაწმენდისას მავნე გადანაყარის წილი, სასარგებლო საქმიანობის კოეფიციენტში).

4. გამწმენდი მოწყობილობების ფუნქციონირების კონტროლი (გამწმენდი მოწყობილობების საკონტროლო - გამზომი მოწყობილობებით უზრუნველყოფა. კონტროლ-გამზომი მოწყობილობების ფაქტიური გამოყენების კოეფიციენტი;

პროგრესული მოწყობილობების წილი გამოყენებულ კონტროლ-გამზომ მოწყობილობების საერთო რაოდენობაში;

გამწმენდი ნაგებობების წილი, რომელიც მუშაობს პროგრესული მოწყობილობების კონტროლით; გამწმენდი მოწყობილობათა წილი, მომუშავე ნარჩენებზე ცენტრალიზებული კონტროლით, საერთო მოწყობილობების რაოდენობა, რომელიც კონტროლის ქვეშ მუშაობს.

5. ბუნებადაცვითი საქმიანობის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის რაციონალობა (ბუნება-დაცვითი სამსახურისა და განყოფილებების არსებობა; ბუნება-დაცვითი საქმიანობის მართვის ცენტრალიზაციის დონე, გადაწყვეტილებათა მიღებისას ბუნება - დაცვითი სამსახურებისა და განყოფილებების ოპერატიულობა;

ბუნება - დაცვითი სამსახურებისა და განყოფილებების გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვა; ბუნებადაცვითი სამსახურებისა და განყოფილებების ინფორმაციული უზრუნველყოფა;

ბუნებადაცვითი სამსახურებისა და განყოფილებების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხი)

6. სხვა დანარჩენი მაჩვენებლები(ბუნებადაცვითი საქმიანობის შედეგების შეფარდება ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებასთან; ბუნება-დაცვითი საქმიანობის შედეგების თანაფარდობა გამწმენდი მოწყობილოებების ღირებულებასთან;

ბუნებადაცვითი საქმიანობის შედეგების თანაფარდობა მის მსვლელობისას გამოყენებულ მასალების ღირებულებასთან;

ბუნებადაცვითი საქმიანობის შედეგების თანაფარდობა მომუშავეთა საერთო რაოდენობასთან და იმ მომუშავეთა რაოდენობასთან რომლებიც დაკავებული არიან ბუნებადაცვით საქმიანობაში) ბუნება-დაცვით საქმიანობაზე დანახარჯების ანალიზისათვის გამოყოფენ საერთო და კერძო მაჩვენებლებს. საერთო მაჩვენებლების კუთხით გამოიყენება თანაფარდობა ბუნებადაცვითი ღონისძიებების გამოყენე-

ბიდან მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობის სიდიდის თანაფარდობა, მისი განხორციელების დანახარჯების საერთო სიდიდესთან. კერძო მაჩვენებლების კუთხით შეიძლება გამოყენებული იყოს:

- ბუნებადაცვითი ღონისძიებების კაპიტალური დანახარჯების წილი, საწარმოს კაპიტალური დანახარჯების საერთო მოცულობაში;

- ბუნებადაცვითი ღონისძიებების მიმდინარე დანახარჯების წილი სწარმოს მიმდინარე დანახარჯების საერთო მოცულობაში;

- საჰაერო სივრცის დაცვაზე დანახარჯების წილი, ბუნებადაცვითი საქმიანობის დანახარჯების საერთო მოცულობაში. - ბუნებადაცვითი საქმიანობის დანახარჯების საერთო მოცულობაში, წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და დაცვაზე დანახარჯების წილი.

- მყარი და თხევადი ნარჩენების განადგურებისა და გაუვნებელყოფის დანახარჯების წილი, ბუნებადაცვითი საქმიანობის საერთო მოცულობაში;

- პროგრესული ტექნოლოგიების (მცირენარჩენებიანი, უნარჩენო, არაჩამდინარე) შემუშავებასა და დანერგვაზე დანახარჯების წილი (საკვლევ-სამეცნიერო და საცდელ-საკონსტრუქტორო) დანახარჯების საერთო მოცულობაში;

- დანახარჯების წილი საწარმოოს დანახარჯების საერთო მოცულობაში გარე ორგანიზაციების ბუნებადაცვით საქმიანობის მომსახურების ანაზღაურებაზე.

შპს „იმერეთი“-ს მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკის პროექტში „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში“ მოცემულია საინტერესო აზრი, რეკომენდაცია „საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი აგლოპროდუქტის და შლამის საბოლოო განთავსებისათვის გამოყენებული

იქნას, მანგანუმის მადნის გამომუშავებული კარიერები, კერძოდ:

ნარჩენების განთავსება მოხდეს გამომუშავებული კარიერის ღრმულებში და შემდგომ დაიფაროს ნიადაგის ფენით“. აღნიშნული ღონისძიებებით უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენებით ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკის მინიმუმამდე შემცირება, ამასთანავე მნიშვნელოვნად შემცირდება ნარჩენების ტრანსპორტირებისა და კარიერების რეკულტივაციის ხარჯები.

ამდენად, ყოველ საწარმოს უნდა ჰქონდეს შემუშავებული ეკოლო-

გიური პასპორტი, ისევე როგორც ყოველ საწარმოს, ორგანიზაციას აქვს თავისი მიზანი და მისია. ასევე უნდა ჰქონდეს შესწავლილი რა ზიანს აყენებენ გარემოს და რა ღონისძიებები შიძლება დაიგეგმოს ამ გავლენის შესამცირებლად.

განვიხილოთ მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების სტატისტიკური მონაცემები 2014-2020 წლებში.

მაჩვენებლები	2014წ	2015წ	2016წ	2017წ	2018წ	2019წ	2020წ
გამოშვებული პროდუქცია მილიონ ლარებში	8.2	8.6	9.2	10.8	11.9	13.2	13.9
დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი კაცი)	115.5	123.4	125.9	130.7	131.0	130.0	129.8
დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ლარი	794,0	851.1	876.4	960.4	1030.1	1121.6	1196.4

მრეწველობის დარგებში ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები (მილიონი ლარი)

2014წ	2015წ	2016წ	2017წ	2018წ	2019წ	2020წ
1186.9	820.4	1211.6	1044.0	1521.8	1804.5	1367.9

მშენებლობის დარგის პროდუქციის გამოშვება (მილიარდი ლარი)

2014წ	2015წ	2016წ	2017წ	2018წ	2019წ	2020წ
4,2	5,7	7,4	7,6	7,8	8,9	9,1

უცხო სიტყვები

1. ინდუსტრიალიზაცია- ქვეყნის სამრეწველო განვითარება. მსხვილი სამანქანო ტექნიკის დანერგვა ეროვნულ მეურნეობაში.
2. კონიუქტურა – იმ ნიშანთვისებათა ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებს სასაქონლო მეურნეობას.
3. კონცეპტუალიზმი – ლათ. აზრი, ცნება.

თავი XII

მომსახურების სფეროს არსი და მისი ადგილი ეკონომიკურ სისტემაში

12.1. მომსახურების მნიშვნელობა და არსი

მომსახურების გაგება გამოიყენება ფართო აზრით. მის არსში მოიაზრება მოქმედება, რომელსაც მოაქვს სარგებელი ვინმესათვის, რაც შეეხება მეცნიერულ განსაზღვრებას, ეს კატეგორია, სხვადასხვა თვალთახედვით ან განიხილება, როგორც შედეგი შესაბამისი შრომითი საქმიანობის, ან როგორც შეთანწყობა შეხამება საქმიანობისა და ამ საქმიანობის შედეგისა.

მომსახურების, როგორც საქონლის თავისებურებების შესწავლას მიეძღვნა მრავალი ნაშრომი, სადაც მომსახურება განიხილება, როგორც საქმიანობის პროცესი განსაზღვრული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მეორე მხრივ მომსახურება განიხილება, როგორც შედეგი, რომელიც გამოვლინდება საბოლოო მოხმარების სტადიაში და განპირობებულია ინდივიდის განსაზღვრული მოხმარებით და ბოლოს მომსახურება ეს არის შეთანწყობა საქმიანობისა და ამ საქმიანობის შედეგის.

პ.ა. მიაგკოვი მომსახურებას განიხილავს „საქმიანობას, რომლის შედეგებს არა აქვს მატერიალური გამოხატულება, რეალიზდება და მოიხმარება ამ საქმიანობის განხორციელების პროცესში“[1].

კ. გრიონროოსი „ეს პროცესი მიმართულია მომსახურებიატ მყიდველის პრობლემების გადაწყვეტაზე“[2]

პ. ნორმანი „მომსახურება - ეს არის სიკეთე შეთავაზებული კლიენტისათვის მომსახურების სფეროს ორგანიზაციის მიერ“[3]

ვ.დ. მარკოვა – მომსახურების ქვეშ მოიაზრება „რომელიმე ეკონომიკური ერთეულის ეკონომიური ერთეულს მიკუთვნებული პირის

---

[1] Мягков П.А. Малые предприятия М. 1992

[2] Grnroos C Strvice manaqement and marqetinq. West Sussex. 2000 p. 46

[3] Service management strategyand Leadershipinservice Busihtss Ed. R. Normann -N Y. 2000 p. 75

ან საქონლის მდგომარეობის შეცვლა, განხორციელებული სხვა ეკონომიკური ერთეულის საქმიანობის შედეგად, რომელიც შეთანხმებულია პირველთან“[1].



ამრიგად, მომსახურება ეს არის სამეურნეო საქმიანობა მიმართული შემკვეთის ფიზიკური ან იურიდიული პირის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე – მათთვის სულიერი, სოციალურ-მატერიალური სიკეთის გზით, ან მითითებული სიკეთისა მოხმარებისათვის სათანადო პირობების შექმნა. მომსახურება წარმოადგენს სპეციფიკურ პროდუქტს, წარმოებულს შემკვეთის მოთხოვნით და გამოიხატება მოხმარების პირობების შეცვლაში, ან თვით მომხმარებლის ცვლილებაში“

[1] Маркова В.Д. маркетинг услуг М.Флнансы 1996 С 8

მომსახურების სფეროს ჩარჩოებში გაერთიანებულია ფართო წრე, განსაკუთრებული, სამეურნეო საქმიანობით წარმოებული საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიმართული მოსახლეობის პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და წარმოების საჭიროებების, ასევე მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მომსახურების წარდგენით. ამის ფარგლებში მომსახურების სფეროს სუბიექტებად გამოდიან:

1. ორგანიზაციები, რომლებიც მთლიანად ორიენტირებულია მომსახურებაზე;
2. ორგანიზაციები, რომლებსაც მთლიანად აქვს სხვა ფუნქციური დანიშნულება;
3. მომსახურების ინდივიდუალური მწარმოებლები.

მომსახურების სფეროს ფუნქციონალური დანიშნულების დახასიათებისას კანონზომიერია გამოვყოთ ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები. ეკონომიკური ფუნქციებია:

1. საწარმოო პროცესის მომსახურება, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური მომსახურების, საწარმოების წარმომადგენელთა მომსახურების გზით;
2. სამუშაო ძალის კვლავწარმოება მოსახლეობის მომსახურების წარდგენის გზით;
3. დამატებითი მატერიალური სიკეთის შექმნა შეკვეთის გზით, ან პირადი სარგებლობის დაკარგული მოთხოვნილებების საქონელის თვისებების აღდგენით.

სოციალური ფუნქციებია:

1. მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სხვადასხვა სახის მომსახურებით, სხვადასხვა სოციალურ რისკებთან კავშირში, ისეთები როგორიცაა ჯანმრთელობის დაკარგვა, უსაფრთხოების შიში;
2. საშინაო მეურნეობაში და შრომის პირობებში დანახარჯების შემცირება და პირობების გაუმჯობესება;
3. თავისუფალი დროის გამოყენების ორგანიზაცია.
4. სახელმწიფოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ნორმალური ფუნქციონირება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

12.2. მომსახურება როგორც საქონლის სპეციფიკური სახეობა

მომსახსურეფის სფერო არის მატერიალური წარმოების სფეროსთან ერთად განსაზღვრული სქონლის მწარმოებელი. მომსახურება უზრუნველყოფს ამა თუ იმ ფიზიკური ან იურიდიული პირების მოთხოვნილებას; მოთხოვნილების არსებობისას მომსახურება შეიძლება გაიყიდოს ან შეისყიდოს, რაც უფლებას გვაძლევს დავამტკიცოთ, რომ მომსახურება წარმოადგენს საქონელს თავის კლასიკურ გაგებაში

მომსახურება როგორც საქონლის სპეციფიკურობა განისაზღვრება მისი ხუთი მახასიათებლით:

1. ***არახელმისაწვდომობა.*** ძნელია მოვახდინოთ მომსახურების, როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალების, დემონსტრირება შეძენამდე, შევამოწმოთ, აღვწეროთ მისი ხარისხი და ნაკლი, ვინაიდან ის არ არსებობს მატერიალური სახით. აქედან გამომდინარე ძნელია მომსახურების ხარისხის წინასწარ შეფასება შეძენამდე მომხმარებლის მიერ და მოითხოვოს მომსახურების მწარმოებლისაგან თავის საქონელთან დაკავშირებით ნდობის გაზრდის სპეციალური მეთოდების გამოყენება. მომსახურების მიწოდების პროცესში ის შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი, გაყიდვის სტადიის შემდეგ, მომსახურების შეძენისაგან განცდილ კმაყოფილებას ხშირად არ აქვს კავშირი ფიზიკურ საგანთან, როგორც ჩვეულებრივი მატერიალური საქონლის შემთხვევაში. თუმცა, როგორც საქონლის მომსახურების სპეციფიკურობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნივნელობა გააჩნია ზუსტად მომსახურების ხელმისაწვდომობის უქონლობა სტადიაზე გაყიდვამდე.

2. ***წარმოებისა და მოხმარების უწყვეტობა.*** მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი არის ისეთი, რომ მასში დროსა და სივრცეში ერთიანდება საწარმო პროცესი თავის ყველა ელემენტებთან, ხდება „დასანახი" და მომხმარებლის მიერ შეფასებული, ამიტომაც მისი ორგანიზებისა და შესრულების ხარისხზე დამოკიდებულია მომხმარებლის დაკმაყოფილების ხარისხი.

3. ***ხარისხის ცვალებადობა*** მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეწოდება კლიენტს უშუალოდ მომსახურების სფეროს ორგანიზაციის, ან დაწესებულების თანამშრომლის მიერ, ამიტომაც წარმოებული მომსახურების ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო სტაბილურ ფაქ-

ტორებზე, არამედ ბევრ სხვა ფაქტორებზე (თანამშრომლის განწყობაზე, მისი კლიენტთან ურთიერთობის ჩვეულება და ა.შ.)

4. ***შეუნახველობა*** მომსახურების შეუნახველობა მნიშვნელოვნად გამომდინარეობს მისი წარმოების, განაწილებისა და მოხმარების უწყვეტობიდან. შეუნახველობაზე ასევე ზეგავლენას ახდენს პირადი კონტაქტის აუცილებლობა მომსახურების მწარმოებელსა და კლიენტს შორის.

მომსახურების შეუნახველობა არსებითად ზეგავლენას ახდენს მისი განაწილების პროცესზე, ის ზღუდავს მოთხოვნილების სეზონურ და მერყეობის სხვა შესაძლებლობების გამოყენებას დროში, ხელს უწყობს მომსახურების სფეროს ორგანიზაციების მომსახურების ზედმეტ მიწოდებას, ერთის მხრივ და ქმნის დაკარგული სარგებლის წრმოქმნის სიტუაციას, მეორე მხრივ, დროის სხვადასხვა პერიოდებში. ეს პრობლემა წყდება ორგანიზაციულად საწარმო ზომების კომპლექსის საშუალებით.

5.***მომსახურების მომხმარებელი,როგორც წესი არ ხდება რაიმე მატერიალურის, ხელშესახების მფლობელი.*** – ამაში მდგომარეობს ქონებრივი ურთიერთობის თავისებურება, რომლეიც წარმოიქმნება მომსახურების მიწოდების პროცესში. აქ არ ხდება ფულის გადაცვლა, რაიმე მატერიალურ საგანზე. მომსახურების მიწოდების პროცესში უმეტეს შემთხვევაში მფლობელი არ იცვლება. სასტუმროს ნომრის დაქირავების დროს სტუმარი ფაქტიურად იძენს არა საცხოვრებელ ფართს, არამედ უფლებას მისი გამოყენების განსაზღვრული დროის განმავლობაში, როდესაც ის გაემგზავრება სასტუმროდან, მას არ რჩება არაფერი „მატერიალური“. ამასთან ერთად სასტუმრო ყიდის სხვა კლიენტებზე იმავე ნომრის გამოყენების უფლებას.

აღნიშნული თვისებები არსებითად ზეგავლენას ახდენენ მომსახურების გასაღების ორგანიზებასა და შედეგებზე, შესაბამისად მომსახურების მწარმოებლები ეძებენ ამ თვისებების უარყოფით ზეგავლენის მაშტაბების შემცირებას მომსახურების რეალიზაციაზე



12.3. მომსახურების კლასიფიკაციის კრიტერიუმები

მომსახურების სახეობების შემდგომი დაკონკრეტება შეიძლება განხორციელდეს კრიტერიუმების გამოყენებით, რომლის გაყოფა შესაძლებელია სამ ჯგუფად, რომელთაც განასხვავებთ სამი ფაქტორის ზეგავლენა.

1. მომსახურების წარმოების ხასიათი

მომხმარებელზე ზემოქმედების ობიექტით:

– უშუალოდ მომხმარებელზე ზემოქმედების მქონე (მაგალითად პირადი დაცვა) ;

– მატერიალურ ქონებაზე ზემოქმედების მქონე.(ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვა, ოფისის დალაგება)

. **მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის კონტაქტის ხარისხით.**

– „სუფთა“ მომსახურება. მთლიანი სასარგებლო შედეგი მიიღება მხოლოდ მომსახურების მწარმოებლის მოქმედების შედეგად, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ეს ხდება მწარმოებლის და კლიენტის უშუალო კონტაქტის დროს. აქ უმაღლეს ხარისხში ვლინდება მომსახურების წარმოების და პარალელურ რეჟიში მისი მოხმარების თვისება;

– შერეული მომსახურება, რომელიც გულისხმობს მოთხოვნილე-

ბების „ორ ეტაპობრივ“ დაკმაყოფილებას, რაც გულისხმობს მწარმოებლის პერსონალის და კლიენტის უშუალო კონტაქტს, იმას, რომ კლიენტს შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს მომსახურების წარმოების ცალკეული ეტაპი, მაგალითად, თვითმომსახურების სამრეცხაოში, მაშინ მომსახურების წარმოება ნაწილობრივ განხორციელდება მომხმარებლის მიერ პერსონალის არყოფნისას (კონტაქტის გარეშე)

– კვაზისაწარმოო მომსახურება, რომელიც თითქმის გამორიცხავს მწარმოებლის და მომხმარებლის უშუალო კონტაქტს და მეორეს ყოფნას მომსახურების წარმოების ადგილას. მის წარმოებას გააჩნია ტელეგადეცემების მაუწყებლობა. (რადიო და ტელემაუწყებლობა), სატელეფონო ქსელის მომსახურება.

მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხით:

- არამექანიზირებული მომსახურება- ეს არის მაგალითად, კოლექტიური ზეიმი, სხვადასხვა სახის რელიგიური რიტუალები;

- მექანიზირებული, კლიენტისათვის მომსახურების ხარისხის დაკლებით – ეს არის მაგალითად ფეხსაცმლის მექანიკური გაწმენდა, მასაჟი სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებით;

- მექანიზირებული, მომსახურების ხარისხის შენარჩუნებით, მაგრამ პრესტიჟის დაკარგვით – ეს არის სადილი სწრაფი მომსახურების და დაბალი ფასების მქონე რესტორანში; ტანსაცმლის შეძენა და გადაკეთება მაღაზიაში და არა შეკვეთის მიცემა ცნობილი მოდელიერისათვის;

- მექანიზირებული, მომსახურების ხარისხის შენარჩუნებით- ეს არის სათამაშო ბიზნესი, საინფორმაციო მომსახურება.

სტანდარტიზაციის ხარისხით

– უნიკალური მომსახურება წარმოადგენს ისეთ მომსახურებას, რომელიც ვერ განმეორდება კლიენტის, სიტუაციისა და მომსახურების წარმოების პროცესის სხვა მახასიათებლების თავისებურებების გამო;

– არასტანდარტიზირებული მომსახურება წარმოადგენს ისეთ მომსახურებას, რომლის განმეორებისას ყოველ ჯერზე. იგი შესაძლოა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც განსხვავებული იქნება წინა ჯერზე მოწოდებული მომსახურებისაგან;

– ნაწილობრივ სტანდარტიზირებული მომსახურება ითვალისწინებს სტანდარტების არსებობას განსაზღვრული პროცედეურების

შესრულებისას მომსახურების მიწოდების ტექნოლოგიურ პროცესში;

– სტანდარტიზირებული მომსახურება ითვალისწინებს წინასწარ განსაზრვრული მოქმედებების შესრულებას მომსახურების მიწოდებისას;

– მკაცრად სტანდარტიზირებული მომსახურება, რომლის მიწოდებისას გათვალისწინებულია ობიექტის ხასიათი, რომელზეც ეს მომსახურება არის მიზანმიმართული. ასეთი მომსახურებებია: ავტომობილების შეკეთება, საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი, ტანსაცმლის ქიმწმენდა.

მომხმარებლების მომსახურების სტრატეგიით

– მომსახურება, რომელიც გულისხმობს მწარმოებლის მიერ კლიენტის საბოლოო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სრულ განხორციელებას. ის შეიძლება მიწოდებული იქნას, როგორც სტაციონალურ პირობებში, ასევე ადგილზე მისვლის ფორმით;

– მომსახურება, რომელიც მიაწოდებს კლიენტს საშუალებებს მისი საბოლოო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფუნქციების შესასრულებლად, ანუ დამკვეთის ძალებით და უზრუნველყოფილია მომსახურების მწარმოებლის მიერ კონსულტაციების, მონაცემთა ბაზების, სწავლების და ა.შ. ფორმით.

მომსახურების კლასიფიკაციის კრიტერიუმები
წარმოების ხასიათის გათვალისწინებით
ზემოქმედების ობიექტი უშუალოდ მომხმარებელზე ზემოქმედების მქონე მატერიალურ ქონებაზე ზემოქმედების მქონე
მომხმარებლის და „სუფთა“ მომსახურება მწარმოებლის შერეული მომსახურება კონტაქტის ხარისხი კვაზისაწარმოო მომსახურება
მექანიზაციის არამექანიზირებული და ავტომატიზაციის მექანიზირებული ხარისხის ხარისხი ან პრესტიჟის დანაკარგით მექანიზირებული დანაკარგების გარეშე
სტანდარტიზაციის უნიკალური ხარისხი არასტანდარტიზირებული ნაწილობრივ სტანდარტიზირებული მექანიზირებული დანაკარგების გარეშე
მომხმარებლის მომხმარებლის მიერ ფუნქციების მომსახურების სრული შესრულება სტრატეგიები კლიენტისათვის თვითმომსახურების

საშუალებების მიწოდების გათვალისწინება მწარმოებლის მიერ ფუნქციების შესრულების გაერთიანება თვით მომხმარებლისათვის ფუნქციების გადაცემასთან
გადანაწილების და მოხმარების ხასიათის გათვალისწინებით
მომსახურების ხასიათის გათვალისწინებით

2. მომსახურების და გადანაწილების ხასიათი

საზოგადოების საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში გამოყენებით

– საწარმოო მომსახურება, რომელიც ორიენტირებულია საწარმოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, მისი მომსახურება უზრუნველყოფს მატერიალური სარგებლისა და მომსახურების წარმოებას, საწარმოს ძირითადი ფაქტორების გაერთიანების ხელსაყრელი პირობების შექმნის გზით;

– არასაწარმო მომსახურება, რომელიც უშუალოდ ორიენტირებულია პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ერთი სახის მომსახურებას შეიძლება გააჩნდეს საწარმო და არა საწარმო ორიენტაცია. მაგ. სამედიცინო დაზღვევის მომსახურება პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეიძლება იქნას მიწოდებული უშუალოდ მოსახლეობისათვის, ან შეიძლება იქნეს შეძენილი საწარმოს მიერ წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად

მიწოდების რეგულირების ხარისხით

– მიწოდებული სიცოცხლის განმვლობაში ერთხელ- დამკრძალავი მომსახურება, ზოგიერთი სახეობის სამედიცინო მომსახურება;

– იშვიათად მიწოდებული – უმაღლესი განათლების მომსახურება, სახის პლასტიკური ქირურგია

– პერიოდულად მიწოდებული – საცხოვრებელი ფართის და ავტომობილის შეძენა, კვალიფიკაციის ამაღლება;

– სისტემატურად მიწოდებული – ფლუროგრაფიული გამოკვლევა, სტომატოლოგის მომსახურება;

– რეგულარულად მიწოდებული – საქალაქო ტრანსპორტის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების მომსახურება

სხვა საქონელთან ურთიერთკავშირით

– ურთიერთდამატებითი მომსახურება, როდესაც საქონელს შეე-

საბამება მოცემული მომსახურების მოხმარება. მაგ. რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის არსებობა ითვალისწინებს სარემონტო მომსახურების გამოყენებას, მოგზაურობა ტურისტული მიზნით, ითვალისწინებს სტუმართმოყვარეობისა და ექსკურსიების მომსახურებას;

– ურთიერთშემცვლელი მომსახურება, როდესაც საქონლის მოხმარება შეიძლება შეიცვალოს მოცემული მომსახურებით

კლიენტის მასობრივი ხასიათის ხარისხით

– ინდივიდუალური მომსახურება მიეწოდება ცალკეულ კლიენტს;

– კოლექტიური (ჯგუფური) მომსახურება შეიძლება იქნას მიწოდებული შემთხვევით გაერთიანებულ, მომხმარებელთა მთელი ჯგუფისათვის;

– კოოპერატიული მომსახურება მიეწოდებათ პროფესიით გაერთიანებულ მომხმარებლებს, სადაც ამ მომსახურების დამკვეთის როლში გვევლინება არა ინდივიდუალური მომხმარებელი, არამედ ორგანიზაცია, სადაც ისინი მუშაობენ

მომსახურების მწარმოებლის და მომხმარებლის დაშორებით (ან მიწოდების სახით)

– მომსახურება, რომლისთვისაც მომსახურების მწარმოებლისა და მომხმარებლის ტერიტორიული დაშორება დასაშვებია, რომლის მიწოდება ტექნიკური საშუალებებით ხორციელდება;

– მომსახურება, რომელიც აერთიანებს მომსახურების წარმოებასა და მის მოხმარებას, მოხმარების ადგილმდებარეობით;

– მომსახურება, რომელიც აერთიანებს მომსახურების მწარმოებლის მიერ ფუნქციების შესრულებას, თვით მომხმარებლის ფუნქციების ნაწილის გადაცემას, მათ შორის სამუშაოს მთელი რიგი ოპერაციების შესრულებას მომხმარებლის მიერ

ნებაყოფლობითი ხარისხით

– ნებაყოფლობითი მომსახურება, რომელიც შეძენილი იქნა კონკურენტულ ბაზარზე;

– მატერიალურ მომსახურებას გააჩნია სარგებლობა, რომელსაც მომხმარებელი არ აცნობიერებს, ამიტომაც მიეწოდება სახელმწიფოს ან სხვა სტრუქტურების მიერ, მაგრამ მომსახურება არის უფრო საბოლოო მომხმარებლისათვის;

– დაკისრებული მომსახურება ეს მომსახურება არის რეგლამენ-ტირებული სამართლის ნორმების თანამდებობის პირების, ტრადიცი-ული სოციალური ინსტიტუტების მიერ. ასეთ მომსახურებას შეიძლება მივაკუთვნოთ სამეურნეო საქმიანობის აუცილებელი ლიცენზირების მომსახურება, აუცილებელი დაზღვევის მომსახურება და სხვა მსგავსი მოქმედებები.

მომსახურების კლასიფიკაციის კრიტერიუმები
გადანაწილებისა და მოხმარების ხასიათის გათვალისწინებით
საზოგადოების საწარმოო სხვადასხვა არასაწარმოო სფეროებში გამოყენება
მოხმარების ერთჯერადად სიცოცხლის რეგულარულობის განმავლობაში ხარისხი იშვიათად და პერიოდულად მოხმარებადი სისტემურად და რეგულარულად მოხმარებადი ყოველდღიურად მოხმარებადი
სხვა საქონელთან ურთიერთდამატებითი ურთიერთკავშირში ურთიერთშემცვლელი
კლიენტურის ინდივიდუალური მასობრივი ჯგუფური ხასიათის კორპორატიული მიხედვით
მოწოდების ტექნიკური საშუალებებით საშუალება მიწოდების შესაძლებლობა მომსახურების წარმოების და მისი წარმოების ადგილმდებარეობის გაერთიანება მომსახურების წარმოებისა და მისი მოხმარების ადგილმდებარეობის
ნებაყოფლობის ხარისხი ნებაყოფლობითი დაკისრებული
წარმოების ხასიათის გათვალისწინებით
მომსახურების ხასიათის გათვალისწინებით

3.მომსახურების ხასიათი

– სატრანსპორტო მომსახურება, განათლების მომსახურება, სავეტერინარო მომსახურება;

– რთული მომსახურება, რომელიც შედგება ერთჯერადი მომსახურების კომპლექსით, რომელიც ქმნის დამატებით სარგებლობას მომხმარებლისათვის.(სინერგიტული ეფექტი) შეიძლება ისეთი მაგალითის მოყვანა, როგორიცაა ტურისტული მომსახურების მიწოდების ფორმა – ტური წარმოადგენს ერთჯერადი ტურისტული მომსახურების ურთიერთდაკავშირებულ კომპლექსს: სატრანსპორტო მომსახურება, საექსკურსიო მომსახურება, საზოგადოებრივი კვება, სასტუმროს მომსახურება. ბოლო ორი სახეობის მომსახურება შეადგენს სტუმართმოყვარეობის რთული მომსახურების საფუძველს.

შეთავაზებული სხვადასხვა საკლასიფიკაციო მახასიათებლები, რომელსაც შეეძლება გააჩნდეს არსებითი მნიშვნელობა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აწარმოებენ მომსახურებას კონკრეტულ გარემოში, მენეჯმენტის სტრატეგიისა და ტაქტიკისათვის. მათ შორის შეიძლება ისეთი მახასიათებლების დასახელება, როგორებიცაა მომსახურების გადახდის წესი, სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობა („მოწონების“ ხარისხი).

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ზოგიერთი მახასიათებელი განუყრელად არის დაკავშირებული მოცემულ მომსახურებასთან და არის გაუმართავი, თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტიურად წარმოქმნის შესაძლებელი მართვის გადაწყვეტილების არეს, მომსახურების თავისებურებების არჩევანთან დაკავშირებით. ასე რომ ერთი და იგივე მომსახურება ხშირად შეიძლება იქნას მიწოდებული ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხერხის მეშვეობით. მიწოდების ხერხის არჩევა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორებზე და უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლების მიზნობრივ სეგმენტზე. უფრო მეტიც, შესაძლებელია ერთი და იგივე მომსახურების მიწოდების სხვადასხვა ფორმების შეერთება. მაგალითად, საბანკო მომსახურება შეიძლება იქნას მიწოდებული ბანკის განყოფილებებში, აგრეთვე გადახდის ელექტრონული სისტემების გამოყენებით.

12.4. მომსახურების განვითარების მიზანი

მომსახურების თანამედროვე წარმოების ანალიზი საშუალებას გავაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მისი განვითარება განპირობებულია მიზანთა ოთხი ტიპით.

მომსახურების წარმოების კომერციული მიზნები – კომერციული მიზნები უშუალოდაა დაკავშირებული მოგების მიღებასთან მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად. თანამედროვე ეტაპზე სამეწარმეო საქმიანობის აქტიური განვითარება მომსახურების სფეროში განპირობებულია თვით ამ მომსახურებაზე მოთხოვნის ინტენსიური ზრდით. სამეწარმეო საქმიანობის მასტიმულირებელი მოტივია მატერიალური დაინტერესება მოგების სახით

რეალურ სამეურნეო პრაქტიკაში, მოგებაზე მეწარმის ფასობრივი ორიენტაცია რაციონალური მიზნობრივი ორიენტირების ფორმას იღებს. მათ ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს მრავალი ფაქტორი. ეს უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს რეაქციას გარე ფაქტორებზე, საბაზრო სიტუაციის ცვლილებაზე და ხშირად, შესაძლებელია არ ამოიწურებოდეს საწარმოო საქმიანობის შემოსავლიანობის დამახასიათებელი ტერმინოლოგიით. სწორედ ამ კონტექსტით უნდა იქნას გაგებული ფართოდ გავრცელებულია კომერციული საქმიანობის მთავარი მიზანი, როგორც ფირმის მისიის რეალიზაცია. ჩვეულებრივ, მისია განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის სფეროს, სტატუსს, ახდენს მუშაობის პრინციპების დეკლარირებას, გამოხატავს ხელმძღვანელობის განზრახულობებს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, იგი გვაძლევს წარმოდგენას მის დანიშნულებაზე და აქცენტს აკეთებს მის აუცილობლობასა და სარგებლიანობაზე.

ამრიგად, მისი ფორმულირება ნიშნავს ფირმის საქმიანობის ხარისხობრივ დახასიათებას და მიმართულია ფირმის ხელასყრელი იმიჯის ფორმირებაზე საქმიან წრეებში, პოტენციურ მომხმარებელთა შორის, კომპანიის პერსონალთან და მთლიანად საზოგადოებაში. მან უნდა შეძლოს ნდობის გამოწვევა და მათი ქცევის მოტივირება ორგანიზაციის მიმართ, ანუ საბოლოო ანგარიშში, ქმნის პირობებს ბაზარზე ფირმის პოზიციების გასამაგრებლად და შემოსავლების სტაბილიზაციასა და გადიდებას. მიზანთა ამგვარი „ჩანაცვლება“ საშუალებას იძლევა მხოლოდ მოხდეს ბიზნესის ჭეშმარიტი მოტივაციის ერთგვარი

მიჩქმალვა. ეს ნიშნავს, რომ მოგება არ კარგავს ფირმის მიზნობრივი ორიენტირის როლს, რამდენადაც. სწორედ მოგება წარმოადგენს: მეწარმის მატერიალური მიზნობრივი ორიენტირის როლს, რამდენადაც, სწორედ მოგება წარმოადგენს: მეწარმის მატერიალური წახალისებისა და ფსიქოლოგიური დაკმაყოფილების წყაროს; რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელს და ფირმის განვითარების საინვესტიციო რესურსების წყაროს, საბოლოო ჯამში, ბაზარზე ფირმის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მნიშვნელოვან პირობას.

ორგანიზაციის კომერციული მიზნების დახასიათების დროს გამოიყოფა მისი ორი ძირითადი სახე:

1. ფინანსური შედეგები (მიიზნები). მიზანთა ეს ჯგუფი ატარებს ფინანსური მაჩვენებლების ხასიათს, რომლებიც გამოხატავენ მრავალგვარი მოქმედებების შედეგებს მომსახურების წარმოების, განაწილებისა და რეალიზაციის სფეროში, აფასებენ რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. მათ მიეკუთვნებიან: მოგების ზომა (მასა და ნორმა), შემოსავალი (ამონაგები გაყიდვიდან), მოგება ჩვეულებრივ აქციაზე, მოგება ნეტო-აქტივებზე, რენტაბელობა.

2. საბაზრო მიზნები. მიზანთა მოცემული ჯგუფი ახასიათებს მწარმოებლის პოზიციას მომსახურების ბაზარზე. აქ გამოდიან ორგანიზაციის გასაღების საქმიანობის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: მომსახურების გაყიდვების მოცულობა; მომსახურების ბაზრის წილი კონკურენტებთან მიმართებაში; მომსახურების ცალკეული სახეობის წილი გაყიდვების საერთო მოცულობაში და ა,შ.

მოტანილი კომერციული მიზნები არიან ურთიერთშემცვლელნი ბიზნესის ფასობრივი მოგების მიღებისა და მაქსიმიზაციაზე ორიენტაციის თვალსაზრისით, მაგრამ დროის განსაზღვრულ პერიოდში მათი მიმართულებები შესაძლებელია ერთმანეთს არ დაემთხვეს: როგორც ცნობილია, ორგანიზაციები ხშირად თმობენ მოგებას და ამცირებენ თავიანთ ფინანსურ მაჩვენებლებს, რამეთუ შემდგომ გაადიდებენ მოგების მიღების პოტენციალს საბაზრო პოზიციის გაფართოებისა და განმტკიცების ხარჯზე.

ბაზარზე საქონლის დამკვიდრების (დანერგვის მხარდაჭერა) – ბაზარზე სხვა საქონლის დანერგვის მხარდაჭერის მიზანი, რაც წარმოადგენს საწარმოო საქმიანობის ძირითად საგანს, ტრანსფორმირდება

სერვისული მომსახურების სისტემის შექმნის ამოცანად საკუთარ ბაზაზე, ან აუტსორსინგის გამოყენებით შედარებით ხელსაყრელი საბაზრო პოზიციების დაპყრობისათვის.

ეს მიზანი, არსებითად ატარებს კომერციულ ხასიათს, რამდენადაც ხელს უწყობს უფრო მაღალი საბაზრო მაჩვენებლების მიღწევას, მაგრამ მისი გამოყოფა მომსახურების წარმოების დამოუკიდებელ მიზნად განპირობებულია იმით, რომ იგი იძლევა დამატებით სტიმულებს მომსახურების წარმოების ორგანიზაციისათვის, მათ შორის იმ საწარმოებისათვის, რომლებისთვისაც მომსახურება წარმოადგენს არამაპროფილებელ პროდუქციას.

თანამედროვე ეკონომიკაში თითქმის ყველა შეძენილ საქონელს თან ახლავს მხარდამჭერი, ანუ სერვისული მომსახურება და მომსახურების შეძენის მრავალ ფორმას თან სდევს თანამგზავრი განივთებული საქონელი. მომსახურება მატერიალურ-ნივთობრივი თანხვედრა როგორც ერთიანი, ძირითადი პროდუქტისა, ასევე განეკუთვნება მხარდამჭერ განივთებული საქონელი და მომსახურებანი ავსებენ ერთმანეთს. რით არის განპირობებული ამგვარი სიმბიოზი:

სერვისული მომსახურება:

ა). „ამყარებს“ ანუ ზრდის საქონლის სამომხმარებლო ღირებულებას. ეს პროცესი ხორციელდება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მომსახურების სისტემის შექმნა, რაც იძლევა ტექნიკის, განსაკუთრებით რთული ტექნიკის ექსპლუატავიის პრობლემების გადაწყვეტის გარანტიას;

- საქონლის შეძენისა და მოხმარების შედეგების განუსაზღვრელობის შემცირება (რაც განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება სპეციფიკური მახასითებლების მქონე (შეუცნობადობა) მომსახურებასთან დაკავშირებით) ინფორმაციული უზრუნველყოფის გზით, საქონლის თვისებების დემონსტრირებით მომსახურების სხვადასხვა ფორმის მეშვეობით (მაგალითად სარეკლამო, სადეგუსტაციო);

- საბაზო პროდუქტის დივერსიფიკაცია მომხმარებელთა განსხვავებული სეგმენტებისათვის მათი სპეციფიური მოთხოვნებისა და გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით.

ბ) ხელს უწყობს ხანგძლივი კონტაქტების დამყარებას მომხმარებელთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ თუ გაყიდვებისა და წარმოების დაცემის სტადიაზე მწარმოებელი სათანადო ყურადღებას და-

უთმობს გაყიდული საქონლის მომსახურებას, მომავალში იგი შეინარ-ჩუნებს ამ საქონლის მომხმარებელს, როგორც ახალი მოდელის პო-ტენციურ მყიდველს;

გ). ხელს უწყობს საქონლის ბაზრისადმი მიწოდების ზრდას. მთლიანობაში სერვისი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც საქონლის მყიდველებისათვის მიწოდების უზრუნველყოფის სისტემა;

დ) ხშირ შემთხვევაში შემოსავლის სიდიდის მიხედვით წარმოადგე-ნა მნიშვნელოვან მუხტს წარმოადგენს მისი განმახორციელებელი სა-წარმოებისა და ორგანიზაციებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ გაყიდ-ვების შემდგომი სერვისული მომსახურება შესაძლებელია მწარმოებე-ლი კომპანიებისათვის გახდეს მოთხოვნის შემცირების გამო ბაზარზე საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების დაცემის ერ-თგვარი ამორტიზატორი. **მომსახურების წარმოების სოციალური მიზ-ნები** – სოციალური მიზნების ცნების ქვეშ მომსახურების წარმოების შემთხვევაში ჩვენ გვესმის ორგანიზაციის მიზანდასახულობანი:

- მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების კონკრეტულ მოთხოვნილე-ბათა უშუალოდ დაკმაყოფილება, რომელთა სოციალურ-დემოგრაფი-ული და საშემოსავლო სტატუსი, აგრეთვე, მათ წინაშე წარმოშობილი პრობლემების სოციალურ-ფსიქოლოგიური სირთულეები არ აძლევთ მათ შესაძლებლობას დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ ცხოვრებისე-ულ სიტუაციას;

- სამომხმარებლო არჩევანის გაფართოება და გამდიდრება, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას ინდივიდუალიზირებუ-ლი სოციალური მოთხოვნები და არ წარმოადგენს მძიმე ტვირთს სა-ხელმწიფოსათვის (რესურსების არსებობის გამო) და კომერციული სა-წარმოებისათვის (მოგების არსებობის გამო) ;

- სოციალური იდეების რეალიზაციასა და გავრცელებაზე მომსა-ხურების გაწევის მეშვეობით.

ამასთან, ამგვარი მომსახურების გაწევა არ გულისხმობს მოგების მიღებას.

მოცემული სახის მიზნების რეალიზაციით დაკავებულნი არიან სა-ხელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში, აგრეთვე, კულტურის, განათლების, ფიზიკური კულტურის, ჯანდაც-ვის სფეროებში. სოციალური -ერთობ ფართოა ნატურალური და ფი-

ნანსური მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმები, სამედიცინო, მედიკოსოციალური (მოვლა, პატრონაჟი), საყოფაცხოვრებო, საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური დახმარება, საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურებანი, ხელშეწყობა შრომითმოწყობაში, მზრუნველობითი მომსახურების გაწევა და მთელი რიგი სხვა.

მომსახურების წარმოების სახელმწიფო (საზოგადოებრივი) მიზნები

შეგვიძლია გამოვყოთ მომსახურების წარმოების ორი სახის სახელმწიფო მიზანი:

სოციალური – რომელიც ორიენტრებულია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე, მისი ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე, მათ შორის დაკავშირებული საზოგადოების ყველა წევრისა და ცალკეული კატეგორიისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. ეს მიიღწევა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული მომსახურების წარმოებით შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

1. საზოგადიებრივი დოვლათის წარმოება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დემოგრაფიული, შრომითი, ინტელექტუალური და სულიერი პოტენციალის შენარჩუნებასა და გამრავლებას. მას მიეკუთვნება ჯანდაცვის, განათლების, კულტურის (მათ შრორის ფიზიკური), საბინაო-კომუნალური სფეროს მომსახურებანი. ისინი მოსახლეობას მიეწოდება უფასოდ ან სუბსიდირებული სახით, გარანტირებული სოციალური სტანდარტის ფარგლებში. მოცემული მიზანი ორიენტირებულია, უპირველეს ყოვლისა, ამ სიკეთის ხელმისაწვდომობაზე თანაბრად, მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის. უფრო ფართო კონტექსტში, დასახელებული მიზანი ითვალისწინებს, აგრეთვე, კულტურული, ინტელექტუალური და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ამისათვის შესაბამისი მომსახურების წარმოებას ((დაარქივება,კოლექციონირება, რესტავრაცია, კონსერვაცია და ა.შ.)

2. სოციალურად მნიშვნელოვანია მომსახურების წარმოება, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონკურენცია. ასეთი მომსახურების კერძო მწარმოებელთან იმავე მიზნით – ხარისხიანი მომსახურების ხელმისაწვდომობის ამაღლება.

3. მომსახურების წარმოება მოსახლეობის კეთილდღეობის შესანარჩუნებლად სხვადასხვაგვარი სოციალური რისკების მოქმედების პირობებში, ისეთების როგორიცაა: შრომისუნარიანობის დაკარგვა, მშობ-

ლების დაკარგვა საბავშვო ასაკში, სამუშაოს დაკარგვა, დაბალი შემოსავლები. ეს მომსახურებანი მოიცავენ სადაზღვეო მომსახურებას, მატერიალური და ფულადი დახმარების აღმოჩენას, მედიკო-სოციალური და სოციალური მომსახურების სპეციალურ სახეებს და სხვა.

4. მომსახურების წარმოება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (საზოგადოებრივი და ეკოლოგიური), საგანგებო სიტუაციების (წყალდიდობები, მიწისძვრები, ხანძრები, ეპიდემიები) თავიდან აცილებისა და შედეგების ლიკვიდაციის მიზნით.

ეს მომსახურებანი მოიცავენ, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების, საგანგებო სიტუაციების, სამაშველო და სხვა ორგანოების მომსახურებას.

აღსანიშნავია,რომ სახელმწიფოსა და არაკომერციული ორგანიზაციების სოციალურ მიზანთა სფეროები გადაიკვეთებიან და მნიშვნელოვანწილად ემთხვევიან ერთმანეთს. მაგრამ მათ აქვთ არსებითი განსხვავება. ჯერ ერთი, საზოგადოებრივი მიზნები აქცენტირებულია საყოველთაო ხელმისაწვდომობაზე მოსახლეობის ყველა კატეგორიისათვის. მეორე საზოგადოებრივი სოციალური მიზნები ხშირად მოიცავენ მოსახლეობის მასობრივ კატეგორიებს (ნაკლებად უზრუნველყოფილნი, მარტოხელა დედები, ბავშვები და ა.შ.) უმეტესად გათანაბრებით განაწილების პრინციპის ფართო, სისტემურ კონტექსტში, მათი რეალიზაციისათვის ამოქმედებულია მომსახურების შედარებით ფართო სპექტრი და მიმართულია სოციალური პრობლემების კომპლექსურ გადაწყვეტაზე. ამოცანათა წრე, რომელთა მეშვეობითაც რეალიზდება ერთი სოციალური მიზანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან უფრო ფართო და ურთიერთდაკავშირებულია, ვიდრე არაკომერციულ ორგანიზაციებთან.მათი საქმიანობის სოციალური მიზნებისათვის ძირითადად დამახასიათებელია ლოკალური ხასიათი.

ეკონომიკური,რომელიც ითვალისწინებს ხელსაყრელი პირობების შექმნას ბიზნესისა და მთლიანად ადგილობრივი (ტერიტორიული) თანამეგობრობის ეკონომიკის განვითარებისათვის.

ეკონომიკური მიზნები შეიძლება დაჯგუფებულ იქნას შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

1. საწარმოებისა და ორგანიზაციების ფუნქციონირების სტაბილური პირობების უზრუნველყოფა ტერიტორიული ინფრასტრუქტურის

მომსახურებათა წარმოების გზით (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, წყალ-ენერგო და თბომომარაგება);

2. საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება – ეს არსი ობიექტებისა და ინსტიტუციონალური სტრუქტურების ერთობლიობა, რომლებიც ასრულებენ ინფორმაციულ-კომერციულ, ეკონომიკურ-სამართლებრივ, საფინანსო-საკრედიტო, სავაჭრო-საშუამავლო, საშუამავლო შრომით ფუნქციებს. ისინი უზრუნველყოფენ ეფექტიანი მატერიალური, ფინანსური და ინფორმაციული კავშირებისა და შრომითი ნაკადების ჩამოყალიბებას ბაზრის სუბიექტებს შორის;

3. ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება სამეცნიერო მომსახურების, ბიზნესის მომსახურების (კონსალტინგური,ფინანსური, ორგანიზაციული) გზით ინოვაციური მეწარმეობის განსახორციელებლად;

4. მცირე და საშუალო მეწარმეობისადმი ხელშეწყობა ბიზნეს-განათლების, კონსალტინგური მომსახურების გზით საწარმოების შექმნის, ფინანსების, ინვესტიციების, ინოვაციების, მარკეტინგის, მართვის სფეროებში; მომსახურებანი, რომლებიც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან (მათ შორის, მაგ; საპროექტო-სამძებრო), აგრეთვე შენობებისა და სათავსოების გადაცემასთან; ინფორმაციული (ცნობები ტერიტორიის განვითარების პროგრამების შესახებ, რომელიც საინტერესოა დასაპროექტებელი საწარმოებისათვის გარემოს ფორმირების მიმართულებათა განსაზღვრის თვალსაზრისით; საფინანსო მომსახურებანი;

5. მხარდაჭერა წარმოების განვითარებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში;

6. საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობა. საერთაშორისო თანამშრომლობას გააჩნია მრავალგვარი ფორმა, როგორიცაა რეგიონში (ქალაქში) საერთაშორისო გამოფენების, ბაზრობების, კონფერენციები მოწყობა, აგრეთვე ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობა მის საზღვრებს გარეთ; სხვადასხვა გაცვლითი პროგრამების განხორციელება განათლების სფეროში, კულტურათა ურთიერთ გაცნობა, „რეგიონის, ქალაქის, დღის“ მოწყობა; რეგიონის ხელისუფლების, მაგალითად, სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელთა საქმიანი კონტაქტები საზღვარგარეთელ პარტნიორებთან. საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება დაკავშირებულია ფართო სპექ-

ტრის მომსახურების წარმოებასთან. მეორე მხრივ, იგი ხელს უწყობს ინვესტიციების მოდინებას, ლოჯისტიკური კავშირების განვითარებას ადგილობრივ მწარმოებელსა და საზღვარგარეთელ მიმწოდებლებს შორის, აღებს საერთაშორისო ბაზრებს კომერციული პროექტებისათვის მომსახურების სფეროში (მაგ: ტურისტული, კულტურული, საგანმანათლებლო, საგამოფენო და ა.შ.)

მომსახურების წარმოების პროცესში არსებული მოტივაცია მოგების მისაღებად (კომერცია ან არაკომერციული საქმიანობა) პრინციპულად ცვლის ორგანიზაციის მენეჯმენტს. მომსახურების მიწოდების ხასიათის შესაბამისად, (ცალკეულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა მომსახურება-კომერციულია, ლოკალურ-ჯგუფური მომსახურება არამომგებიანია; საზოგადოებრივ-ჯგუფური მომსახურება სახელმწიფოებრივია), საქმე გვაქვს მომსახურების სრულიად განსხვავებულ ტიპობრივ ორგანიზაციასთან.

ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა მოიცავს საზოგადოების საქმიანობის ორივე სფეროს – მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს. მატერიალური წარმოება საზოგადოების არსებობისა და განვითარების მთავარი და გადამწყვეტი სფეროა. იგი უზრუნველყოფა მატერიალური დოვლათის შექმნას, მაგრამ ერთობლივმა საზოგადოებრივმა შრომამ, რომელიც დანაწილებულია ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში, უნდა შეასრულოს ურთიერთდაკავშირებული, თანმიმდევრული ფუნქციები, მატერიალური დოვლათის წარმოებიდან მის ორგანიზებულ მოხმარებამდე, საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებამდე. ამ ურთიერთობაში არაწარმოებითი სფერო ასრულებს სპეციფიკურ როლს. იგი წარმოადგენს მეურნეობის იმ დარგთა ერთობლიობას, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობას არ ღებულობენ მატერიალური დოვლათის წარმოებაში, მაგრამ ემსახურებიან განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესს, რითაც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი კვლავწარმოების შეუფერხებელ განვითარებას.[1].

წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ურთიერთობები წარმო-

[1] ასათიანი რ. არასაწარმოებითი სფერო ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში თბ. 1987 გვ. 12

შობს მოხმარების ურთიერთობას. არაწარმოებითი სფერო საზოგადოებრივად ორგანიზებული მოხმარების სფეროა (თუმცა მოხმარების ურთიერთობა მატერიალური წარმოების სფეროშიც წარმოიქმნება).

ეკონომიკურ ლიტერატურაში მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს გასამიჯნავად საკმაოდ განსხვავებულ კრიტერიუმებს იყენებენ. ავტორთა უმრავლესობა მათ გამიჯვნას, მატერიალური წარმოების მრავალ არსებით ნიშნიდან, საფუძვლად უდევს მხოლოდ ერთ ნიშანს. ზოგიერთი ავტორი, საზოგადოებრივი საქმიანობის ორი სფეროს ერთმანეთისაგან გამიჯვნის საფუძვლად, მხოლოდ შრომის შედეგების ნივთობრივ ფორმას მიიჩნევს.

არაწარმოებითი სფერო, როგორც სხვადასხვა ამავე დროს ურთიერთდაკავშირებულ დარგთა ერთობლიობა, ჩამოყალიბდა შედარებით გვიან ვიდრე მატერიალური წარმოების სფერო, ამასთან არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთი დარგი წარმოიშვა შორეულ წარსულში, ზოგი – თანამედროვე პირობებში და ზოგიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

12.5. მსოფლიო ეკონომიკაში მომსახურების ადგილი

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე სტადიას ხშირად განსაზღვრავენ როგორც „მომსახურების ეკონომიკას“.

მომსახურება ხდება მომუშავეთა დიდი და მზარდი რიცხვის მნიშვნელოვან შედეგად, ხოლო მომსახურების მოხმარება – ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის საშუალებად. ეს დაკავშირებულია პირველ რიგში მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით რაც შემდეგი ძირითადი ნიშნებით ვლინდება:

1. აღინიშნება მატერიალურ წარმოებასთან შედარებით, მომსახურების წარმოების ტემპების წინმსწრები მატება;

2. იზრდება მომსახურების სფეროში დაკავებულ მომუშავეთა აბსოლიტური რიცხვი და წილი;

3. მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარეობს მომსახურების სფეროში მიმდინარე მუდმივი მოცულობის ზრდა და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ტემპების ზრდა;

4. იზრდება მომსახურების სფეროში სამუშაო ძალის მიგრაციული ნაკადების ინტენსივობა.

დღეისათვის საწარმოო მომსახურება წარმოადგენს თანამედროვე მეურნეობის დომინირებულ ან მნიშვნელოვან ნაწილს.

მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში მომსახურება საშუალოდ შეადგენს 65%-უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მომსახურების წილი მთლიან შიდა პროდუქტში გაიზარდა 6%-ით და განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, ინგლისი, გერმანია, იაპონია და სხვა) თანამედროვე პირობებში მერყეობს 70% დან 79 % მდე. რუსეთში მომსახურების წილი მთლიან შიდა პროდუქტში ოფიციალურ სტატისტიკური მონაცემებით 2004 წელს შეადგინა 54,8% -ს[1].

მიმდინარეობს მომსახურების სფეროში დაკავებულთა რიცხვის განუხრელი ზრდა.

მომუშავეთა საერთო რიცხოვნობაში მომსახურების დარგებში საშუალოდ დაკავებულთა მაჩვენებელი არის 70%. საქართველო ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოწინავე განვითარებულ ქვეყნებს.

მოსახლეობის შემოსავლების ზრდას მივყავართ სამომხმარებლო ქცევის სტრუქტურის ხარისხობრივ ცვლილებასთან, რომელიც მდგომარეობს მომსახურების მოთხოვნის ზრდის ტემპის გადამეტება სამრეწველო საქონლის მოთხოვნის ტემპის ზრდაზე.

მომსახურების სფეროში იზრდება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების მოცულობა. აშშ-ში 1990 წლების დასაწყისში მომსახურების ექსპორტმა შეადგინა 900 მლრდ. დოლარს, 2003 წელს – 1800 მლრდ. დოლარს. 20003 წელს მომსახურების წილი საქონლისა და მომსახურების ექსპორტის საერთო ღირებულებაში შეადგენდა 25%-ს. მთლიანად საქონლისა და მომსახურების საქონლის ზრდის ტემპები მსოფლიო ბაზარზე უკანასკნელ ათწლეულში პრაქტიკულად გაუთანაბრდა ერთმანეთს: თუ საქონლის ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 1, 99 ჯერ ამ დროს მომსახურებაზე გაიზარდა 1,91 ჯერ. იმპორტი შესაბამისად საქონელზე 2,01 და მომსახურებაზე 1.86 ჯერ გაიზარდა.[2]

---

[1] Основные показатели системы национальных с чётов 2005 г. http: // www qks. Ru.
[2] I nternasional Trade Statistics 2000 Table A5 WWW. Gtat. Wto. Org.

საქართველოს მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობაში უკავია პირველი ადგილიდან შორეული ადგილი. მომსახურების ვაჭრობის მოცულობამ ევრო კავშირის ქვეყნებში 2003 წელს მიაღწია თითქმის 80 მლრდ დოლარს. აშშ-ში შეადგინა 288 მლრდ. დოლარი, ხოლო რუსეთში 16 მლრდ დოლარი, ანუ მსოფლიო მომსახურების ვაჭრობის მოცულობის 1%-ი. პირველი სამი ადგილი მომსახურების ვაჭრობაში უკავია: აშშ-ს, იაპონიას და გერმანიას. ასევე მნიშვნელოვანი მომსახურების ექსპორტით გამოდიან დიდი ბრიტანეთი, საფრენგეთი, იტალია.

საერთაშორისო მომსახურების გაცვლის სისტემაში აქტიურად ერთვებიან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. მსხვილი ექსპორტიორების ათეულში კომერციული მომსახურების კუთხით შევიდნენ ჩინეთი და კორეა, სწრაფად პროგრესირებადია ამ კუთხით ინდოეთი. მაგ: კორეის წილი მსოფლიოს მომსახურების ექსპორტში გაიზარდა 1990-2003 წლებში თითქმის 4-ჯერ (0,7 %დან 2,7 % მდე).

თანამედროვე ეკონომიკაში იგრძნობა არსებითი ცვლილებები მომსახურების ვაჭრობის სექტორულ სტრუქტურაში. ორი-სამი ათწლეულის წინ წამყვან ადგილს მასში იკავებდა სატრანსპორტო მომსახურება, შემდეგ დაიწყო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა ინვესტიციებიდან. დაწყებული 1970 წლიდან 2003 წლამდე ტრანსპორტის წილი კომერციული მომსახურების ექსპორტის ღირებულებაში შემცირდა თითქმის ორჯერ (44,3 % დან 22, 6 % მდე). ტურიზმი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ხოლო ყველა სხვა მომსახურების წონა გაიზარდა 24,8% დან 48 % მდე.

ბოლო დინამიკებს შორის იგულისხმება ინფორმაციული და კომპიუტერული მომსახურებები, კონსალტინგის სხვადასხვა სახეები, ფინანსური მომსახურებები, ინჟინერინგის, მარკეტინგის, რეკლამის, შემეცნებითი მომსახურებანი და კულტურულ გასართობი პროფილის მომსახურებანი. ამგვარად საქმიანი და პროფესიული მომსახურების ექსპორტიდან აშშ- ბმა 2003 წელს მიიღო 31 მლრდ. დოლარი, ფინანსური მომსახურებიდან 16 მლრდ. დოლარი, ტელეკომუნიკაციებიდან 5,5 მლრდ დოლარი, საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტიდან 13, 4 მლრდ დოლარი.[1].

---

[1] Демидова Л. С. Сорера услуг С М А: факторы ускорения динамики. Мировая экономика и международный отнощения.2005 № 12 с.42.

მომსახურების საერთაშორისო გაცვლა ინტენსიურად იზრდება მომსახურების უცხოელ მწარმოებელთა – ფიზიკური პირების, სამუშაოს მაძიებელთა სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულების, აგრეთვე მომსახურების სფეროში უცხოელ მომხმარებელთა განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი და სხვა, ბევრ ქვეყანაში შრომით რესურსებში უცხოელი სამუშაო ძალა შეადგენს მნიშვნელოვან ნაწილს.

უცხოელ მომუშავეთა წილი დაკავებულთა საერთო რიცხოვნიბაში 2003 წელს ავსტრალიაში მიაღწია 25%, კანადასა და ახალ ზელანდიაში 20%, შვეიცარიაში 19%, აშშ-ში 15%, გერმანიასა და საბერძნეთში 10 %, სპარსეთის ყურის ქვეყნებში 67-90 %. მათ შორის მომსახურების სფეროს დარგზე 65-80 %[1].

ახალი მწარმოებლები ბაზარზე წარმოადგენენ კონკურენტუნარიანი მომსახურების მეცნიერებატევადი, აუტსორსინგის გამოყენების პრაქტიკას, რომელიც ეყრდნობა სერიოზულ ხარჯებს მომჭირნეობას ტექნოლოგიისა და ხარისხის შესაბამის დონეზე.

ხარისხიანი და არა ძვირი მომსახურების უპირატესი გამოყენება, რომელსაც გვთავაზობენ კვალიფიციური მუშაკები, ზოგიერთი კომპანიისათვის იძლევა ხარჯების შემცირებას 60% -მდე. ტრადიციული სპეციალისტების მიმწოდებლები – ინდოეთი, ჩინეთი, ფილიპინები და კარიბის აუზის ზოგიერთი ქვეყნები, გახდნენ წამყვან მოთამაშეებად ბიზნეს პროცესების აუტსორინგის.

ამ ქვეყნების სპეციალისტები გვთავაზობენ ისეთ მომსახურებას, როგორც პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და გამოყენება, ფინანსებისა და ბუღალტერიის მართვა.

საექსპორტო შეფასების თანახნად ხარჯები გლობალურ აუტსორინგზე 2003 წელს შეადგენდა რა 320 მლრდ. დოლარს, 2008 წელს გაიზარდა თიტქმის სამჯერ და მიაღწია 827 მლრდ-ს. მათ შორის ინფორმაციულ კომუნიკაციურ ტექნოლოგიების მომსახურების ბრუნვა იზრდება 310 მლრდ. დოლარამდე.

[1] World Trade Report – 2004 – P; OECD in Eigures – 2005 edition CStatlink: http: // dx. Doi. Orq.

12.6. მომსახურების ადგილისა და როლის განმსაზღვრელი ფაქტორები

წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურაში ცვლილება, მომსახურებას ხდის ეკონომიკის მნიშვნელოვან ელემენტად და რაც განისაზღვრება მთელი რიგი ფაქტორებით.

– ეკონომიკის ზრდის ჰუმანიზაციის პროცესს თან ერთვის ((თანმხვედრია) მომსახურების კომპლექსის გაფართოება, რომელიც მიმართულია თვით ადამიანის, მისი ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების, მისი კულტურული, სულიერი და სოციალური მოთხოვნების სრულყოფისაკენ;

– მთელი რიგი მომსახურების განვითარებას, საფუძვლად დაუდო 1980 წელს მატერიალური წარმოების სტრუქტურო- ტექნოლოგიური გარდაქმნა. მის თანმიმდევრულად მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო კომპანიების მაღალხარისხიანი საქმიანი მომსახურების მოთხოვნა, რაც დაკავშირებული იყო სხვადასხვა, რთულ პრობლემებთან, მათ რესტრუქტურიზაციასა და განვითარებასთან – ტექნიკური, საყოფაცხოვრებო და მმართველობითი სახით;

– მომსახურების სფეროზე მნიშვნელოვან გავლენას, ზემოქმედებას ახდენს სოციალურ-დემოგრაფიული ცვლილებები. ხანდაზმული ადამიანების წილის ზრდა, მომუშავე ქალები წარმოადგენენ ძლიერი ბიძგის წარმომქმნელებს, ახალი სოციალურად ორიენტირებული მომსახურების მთელი რიგი კომპლექსის ფორმირების.

მომსახურების სფეროს როლის მკვეთრი ზრდა მეურნეობის საერთო სტრუქტურაში განპირობებულია საზოგადოების განვითარების ინდუსტრიული სტადიის გადასვლით, პოსტინდუსტრიულ სტადიაში.

დ. ბელუს განმარტების მიხედვით „პოსტინდუსტრილული საზოგადოება ეფუძნება მომსახურებას“[1]

[1] Белл Д, Градущес постиндустриальное общество Опыт социального прогнозирования М. 1999 стр. 171



საქართველოში 1990 წელს დაწყებული მომსახურების სფეროს განვითარება, რომელიც განპირობებული იყო ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით მიმდინარეობდა მთელი რიგი ძირითადი მიმართულებით:

1. მრავალი ახალი მომსახურების წარმოქმნა;

2. მეწარმეთა მხრიდან გაზრდილი ინტერესი მომსხურების სფეროს მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესს, განპირობებულს მომსხურების სფეროში ინვესტიციური მიმზიდველობით;

3. მოსახლეობის ფასიანი მომსახურების წილის ზრდა, სოციალური მომსახურების სფეროს, მთელი რიგი დარგების საბიუჯეტო დაფინანსების შემცირებისას;

4. მომსახურების სფეროს ორგანიზაციებს შორის კონკურენციის გაძლიერება.

საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს მთელი რიგი ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით, რომლებიც ახასიათებს მომსახურების სფეროს განვითარების დონეს.

ასეთი სიტუაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ჩვენს ქვეყანაში მომსახურების სფეროს, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი სექტორის უგულებელყოფით, შეუფასებლობით. ეკონომიკური განვითარების ლოგიკას აუცილებლად მივყავართ მომსახურების სფეროს ექსპანსიასთან, მათ შორის სამრეწველო წარმოების სფეროსა და პირად მოხმარებაში.

12.7. სერვისული საქმიანობის თეორიული საფუძვლები

სერვისი (ინგ. სიტყვაა და ნიშნავს – სამსახური, მომსახურება) ეს ადამიანის საქმიანობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც მიმართულია მომსახურებათა გაწევის გზით მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

განვიხილოთ სერვისის გაგების სამი ძირითადი ასპექტი:

1. სერვისი, როგორც ადამიანის საქმიანობის ფორმა – ამჟამად მომსახურების სფეროს, ანუ სერვისულ საქმიანობას მიეკუთვნება ეკონომიკის რიგი მსხვილი დარგები: ვაჭრობა, ფინანსები, ტრანსპორტი, ჯანდაცვა, სპორტისა და გართობათა ინდუსტრია, აგრეთვე მეცნიერების, განათლებისა და მართვის სფეროები. ასეთია სერვისის სახეთა კლასიფიკაცია მისი განხორციელების სფეროების მიხედვით.

სერვისის შინაარსის უკეთ გაგების საშუალებას იძლევა სხვა კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანის საქმიანობის ოთხი მთავარი ფორმა:

ა. მატერიალურ-გარდაქმნელი საქმიანობა მოიცავს მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით გაწეულ მრავალფეროვან მომსახურებას. მაგ: სპეციალური შეკვეთებით ყოველგვარი საგნებისა და მოწყობილობების დამზადება, საქონლის ტრანსპორტირება, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;

ბ. შემეცნებითი საქმიანობა მიმართულია ადამიანის არა მატერიალური, არამედ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და მოითხოვს ცოდნის ან ინფორმაციის შეთავაზებას. ამ ტიპს მიეკუთვნება საგანმანათლებლო მომსახურებები და მომსახურებები საინფორმაციო სერვისის სფეროში, რომელთა შეთავაზება ხდება ინტერნეტის, ანალიტიკური ცენტრების, ექსპერტების, სამეცნიერ-კვლევი-

თი ინსტიტუტებისა და სხვ დაწესებულებების მეშვეობით, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას და შეუძლიათ მისი დამუშავება პროფესიულ დონეზე და მომხმარებლისათვის შეთავაზება მისთვის საჭირო სახით;

გ. საქმიანობის საორიენტაციო ღირებულების ფორმა საშუალებას იძლევა დავადგინოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს არსებულ ბუნებრივ და სოციალურ მოვლენებს ადამიანისათვის, რათა შემუშავდეს მათდამი გარკვეული ურთიერთობები, მიეცეთ მათ შეფასება. ამ სფეროში სერვისი ხორციელდება რეკლამის, ექსპერტიზის, ფსიქოდიაგნოსტიკის, იმიჯმეიკერული მომსახურების, მხატვრულ-გაფორმებითი საქმიანობის, ასევე რელიგიური ხასიათის მომსახურების საშუალებით.

დ. საქმიანობის კომუნიკაციური ფორმა. ეს არის ცალკეულ ადამიანებსა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის ორგანიზაცია. სერვისული საქმიანობის ამ მიმართულებას შეიძლება მივაკუთვნოთ პრეზენტაციების, შეხვედრების, კონფერენციების, გამოფენების, საუბრების, ინტერნეტში ურთიერთობების ორგანიზაცია, მთარგმნელობითი მომსახურებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობა, კავშირგაბმულობის მომსახურებები.

2. სერვისი, როგორც მოთხოვნილებითა დაკმაყოფილების ხერხი – ნებისმიერი სასურველი საქმიანობა მიმართულია კლიენტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციაში ჩამოყალიბდა მსოფლმხედველობა, რომელიც ადამიანს ყველაზე მაღლა აყენებს და საზოგადოებისაგან მოითხოვს მისი თავისუფალი განვითარებისათვის პირობების შექმნას. აქ მოწონებით სარგებლობს სერვისის ის სახეები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ადამიანს გამდიდრდეს და განვითარდეს, გადაჭრას: საყოფაცხოვრებო პრობლემები, მიიღოს განათლება, წარმატებით განახორციელოს პროფესიული საქმიანობა, კარგად დაისვენოს.

3.სერვისი, როგორც მომსახურებათა გაწევა. ფ. კოტლერის აზრით, „მომსახურება არის ნებისმიერი ღონისძიება, ან სარგებელი, რომელიც ერთ მხარეს შეუძლია შესთავაზოს მეორეს“. მომსახურების კლასიფიკაციის ერთიანი კრიტერიუმებისა და სქემების შემუშავების ამოცანა ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩება.

მომსახურებათა სერტიფიკაციის შეჯერებული სტატისტიკური მონაცემები შემდეგი ფორმით ფორმულირდება:

ა. საქმიანი მომსახურება;

ბ. კავშირგაბმულობის მომსახურებები;

გ.სამშენებლო და ინჟინერინგული მომსახურებები;

დ. სადისტრიბუტორო მომსახურებები;

ე. ფინანსური მომსახურებები (დაზღვევის ჩათვლით)

ვ. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებები;

ზ. ტურიზმი და მოგზაურობები;

თ. სატრანსპორტო მომსახურებები;

ი. სხვა მომსახურებები.

მთელ რიგ ქვეყნებში მომსახურებათა კლასიფიკაცია ეფუძნება დარგობრივ მიდგომას და დაკავშირებულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ მეურნეობის პრაქტიკასთან. მომსახურებათა კლასიფიკაციის მსგავსი სქემით შემუშავებულია მოსახლეობისათვის მომსახურებათა გაწევის იმგვარი კლასიფიკატორი, რომელიც მომსახურებათა სფეროს მიაკუთვნებს სერვისული საქმიანობის შემდეგ დარგებს:

ა. ვაჭრობა;

ბ. მომსახურებას კვებისა და საცხოვრებლის უზრუნველყოფის დარგში (სასტუმროები, საზოგადოებრივი კვების სტრუქტურები);

გ. ტრანსპორტს;

დ. კავშირგაბმულობასა და საინფორმაციო მომსახურებას;

ე. მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების, მათი დამზადებისა და შენახვის მომსახურებებს;

ვ. კრედიტს, ფინანსებსა და დაზღვევას, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებს;

ზ. განათლებას, კულტურას და ხელოვნებას;

თ. მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურებას;

ი. ჯანდაცვას, ფიზკულტურასა და სპორტს;

კ. საოჯახო მეურნეობის მომსახურებას;

ლ. პირადი ხასიათის მომსახურებებს;

მ. სახელმწიფო მართვის მომსახურებებს;

ნ. სხვა მომსახურებებს.

სოციალურ კულტურული სერვისი მოიცავს ადამიანის სოციალურ, კულტურულ და სულიერ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. „სოციალურ-კულტურული სფეროს“ ცნებაში, მოიაზრება ჯანდაცვის, განათლების, კულტურის დარგები.

12.8. სახელმწიფოს სოციალურ – დაცვითი ფუნქციები და ძირითადი მიმართულებები

დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს სოციალურ-დაცვითი ფუნქციების ძირითადი მიმართულებებია:

– ცხოვრების დონის ამაღლების სამართლებრივი წინამძღვრების შექმნა;

– სოციალურ მომსახურებაზე ფასებისა და ტარიფების ზრდის შეჩერება;

– საბიუჯეტო სფეროში ხელფასის სრულყოფა;

– შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება;

– უმუშევრობის შემცირება და დასაქმების სტაბილიზაცია;

– მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული კატეგორიის სოციალური დაცვა.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი რგოლია ხელფასი, დასაქმება, ტრანსფერტი. ე.ი. მოსახლეობის შემოსავლები. იმისათვის, რომ წარმოება გაფართოვდეს, საჭიროა გადახდისუნარიანი მოთხოვნა, რომელსაც ფლობენ მყიდველები ფულის სახით. ფულადი შემოსავლები ძირითადად განისაზღვრება ხელფასით, რეალურ სექტორსა და საბიუჯეტო სფეროში, ასევე პენსიებით და სხვა წყაროებით.

ამრიგად, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდაზე, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას მატერიალური საფუძველი სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა არის სახელმწიფოს მოქმედება სოციალურ სფეროში, რომელიც მოცემულ დროში კონკრეტულ მიზანს ისახავს, განსაზღვრავს ამოცანებს განვითარების ეტაპების მიხედვით, უზრუნველყოფს ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას.

ცენტრალიზაციის პრინციპზე ფუნქციონირებად საზოგადოებაში სოციალური პოლიტიკა ტოტალიტარულ რეჟიმში ხორციელდება, დემოკრატიულში კი დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა სუბიექტების ერთობლივი ძალისხმევით.

აღსანიშნავია, რომ რიგი თავისებურებებისა და განვითარების ტენდენციების გავლენით გარდამავალ პერიოდში სოციალური პოლიტიკა ხშირად დროებით ახალ ნიშან-თვისებებს იძენს, რომელმაც შეიძლება დროებით დემოკრატიული ნორმების შეზღუდვა გამოიწვიოს.

სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვადასხვა ინდიკატორი მაგ: საერთაშორისო ინდიკატორად მიჩნეულია ადამიანისეული პოტენციალის განვითარების ინდექსი, რომელიც სამი ძირითადი მაჩვენებლით იანგარიშება:

– სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობა;
– განათლების დონე;
– მშპ-ის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე.

გარდა ამ ძირითადი მაჩვენებლებისა გამოიყენება დამატებითი მაჩვენებლებიც, კერძოდ:

– ცხოვრების დონის მაჩვენებელი, სიღარიბისა და სიმდიდრის ზღვარი, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხი, შემოსავლებისა და გასავლების სტრუქტურა;
– მინიმალური სახელმწიფო სტანდარტები (საარსებო მინიმუმი, მინიმალური ხელფასი და სხვა);
– სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები (სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობა, დაავადებების დინამიკა, შობადობის, მოკვდავობის მაჩვენებლები);
– მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები (დასაქმებულთა თანაფარდობა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, დასაქმებისა და უმუშევრობის დონე, თვითდასაქმება, მოსახლეობის მიგრაცია;
– სოციალური დაძაბულობის მაჩვენებლები (მონაწილეობა პოლიტიკურ ღონისძიებებში, გაფიცვებში, დანაშაულის დინამიკა და ა.შ.);
– სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლები (რეგიონის საბიუჯეტო უზრუნველყოფის დონე, არასაბიუჯეტო სოციალური ფონდები, ფასიანი, შეღავათიანი და უფასო მომსახურების თანაფარდობა);
– მშპ-ში გარემოს დაცვაზე გაწეული ხარჯების წელი.

მოსახლეობის ცხოვრების დონე პირდაპირ კავშირშია ეკონომიკის განვითარების დონესთან, მის ეფექტიანობასთან, წლიური ეკონომიკა ცხოვრების მაღალი დონის განმსაზღვრელი მთავარი პირობაა. ამასთან ცხოვრების დონის ამაღლება უშუალო გავლენას ახდენს ეკონომიკის ეფექტიანობაზე. ასეთი ურთიერთკავშირები განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ფონზე. ეს თავისებურება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ეკონომიკის სოციალური მიმართულება (ეფექტიანობის მიზანმიმართული ზრდა და გამოყენება) უშუალოდ გამომდინარეობს ქვეყნის განვითარების ეროვნული ინტერესებიდან.

სოციალური განვითარების პრიორიტეტები – ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელთა გადაწყვეტა მიჩნეულია სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანად. გარდამავალ პერიოდში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის მიზნებად აღიარებულია:

– მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;

– მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

– მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების გარანტიები შრომაში, სოციალურ დაცვაში, განათლებაში, ჯანმრთელობაში, საცხოვრებელი პირობების შექმნაში;

– სოციალური პოლიტიკის ორიენტაცია ოჯახზე, ქალების, ბავშვების, სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა;

– დემოგრაფიული მდგომარეობის ნორმალიზაცია, მოკვდაობის მაჩვენებლების შემცირება და ა.შ.;

– სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვა.

ეს პრიორიტეტები ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. თანამედროვე ეტაპზე ოციალური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად აღიარებულია მშპ – ის დაჩქარებული ზრდა და სიღარიბის შემცირება.

ცხოვრების მაღალი დონის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა კვალიფიციური მუშაკების ადეკვატური ანაზღაურება. იგი მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნის ფორმირების პირობაა, იმავდროულად ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორია.

ამრიგად, ცხოვრების დონე ლოგიკურად არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის შედეგია, არამედ აუცილებელი წინაპირობაცაა. ეს თავისებურება პრიორიტეტს ანიჭებს განვითარების სოციალურ მიმართულებას. საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მკვეთრად დაეცა წარმოების დონე, რასაც თან ახლდა ბუნებრივი პროცესი – მასობრივი უმუშევრობა.

თანამედროვე პირობებში საქართველოში სოციალური ამოცანები განვითარების პრიორიტეტებს წარმოადგენენ. ნებისმიერი პოლიტიკის განსაკუთრებით კი სოციალური, რეალური სინამდვილის ადექვატური უნდა იყოს.

საქართველოში სოციალური უზრუნველყოფა დინამიკაში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: 2005 წელს მან შეადგინა 558,1 მლნ. ლარი; 2006 წელს 661, 4 მლნ. ლარი, 2007 წელს 933,7 მლნ. ლარი; 2008 წელს 1. 347,4 მლნ. ლარი; 2009 წელს 1. 505,9 მლნ.ლარი[1]

მშპ – მა ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში) ლარი 2004 წელს შეადგინა 2276,7; 2005 წელს 2689,1; 2006 წელს 3133,1; 2007 წლისათვიოს შედგინა 3866,9; 2008 წლისათვის 4352,9, ხოლო 2009 წლისათვის 4101,3

12.9. ტურიზმის განვითარება საქართველოში

მომსახურებათა სფეროს ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ტურისტული ბიზნესი. ის XX საუკუნის ყველაზე მასობრივ ფენომენს წარმოადგენს, რომელმაც მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო და შეცვალა გარემომცველი სამყარო, ტურისტული ბიზნესი მსოფლიო ეკონომიკის სამი უმსხვილესი საექსპორტო დარგის რიცხვში ნავთობმოპოვების მრეწველობისა და ავტომშენებლობის შემდეგ მოდის. საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმი მოიაზრება ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ, რადგან საქართველო გამორჩეულია მსოფლიოში უნიკალური ტურისტული პოტენციალით და მრავალფეროვნებით.

ტურიზმი წარმოადგენს მოგზაურობათა ნაირსახეობას და მოიცავს ადამიანებს, რომლებიც მოგზაურობენ და იმყოფებიან მათთვის

[1] საქართველო ციფრებში 2010. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახური გვ. 68.

ჩვეულებრივი გარემოს ფარგლებს გარეთ, დასვენების მიზნით, საქმიანი ან სხვა მიზნებით.

ფართო განმარტების მიხედვით ტურიზმი არის ადამიანების დროებით გასვლა (მოგზაურობა) თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა ქვეყნებში ან მხარეში გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი პროფესიულ-საქმიანი, სპორტული, რელიგიური და სხვა მიზნით.

„ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი (მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ანსამბლეა, სანტიაგო, ჩილე, 1999 წლის 1 ოქტომბერი) ტურიზმს განიხილავს, როგორც:

1. ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორს;
2. მდგრადი განვითარების ფაქტორს;
3. სფეროს, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობასა და შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში;
4. საქმიანობას, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მისი განვითარება ცალკეულ სახელმწიფოს და რეგიონს უქმნის შესაბამისი სტიმულირების ისეთ ნაირსახეობას როგორიცაა:

1. ახალი საწარმოები და სამუშაო ადგილები;
2. დამატებითი შემოსავლები;
3. ადგილობრივი პროდუქციისათვის ახალი გასაღების ბაზრები;
4. ინფრასტრუქტურის, ასევე კომუნალური მომსახურების ობიექტებისა და სამსახურების მოდერნიზაცია;
5. ახალი პროფესიები და ტექნოლოგიები;
6. საზოგადოების მიერ გარე სამყაროსა და მათი დაცვის აუცილებლობის საფუძვლიანი გაგება;
7. მიწათსარგებლობაში ახალი მიდგომები

ტურიზმის განვითარებისათვის უნდა არსებობდეს საჭირო კომპონენტები. ამ კომპონენტების ქვეშ საერთაშორისო ექსპერტები გულისხმობენ შემდეგს:

1. ღირშესანიშნაობებს და თავისუფალი დროის გატარების ფორმებს, სანახავი ადგილები და ის რითაც შეიძლება ტურისტი გაერთოს ადგილზე ყოფნის დროს;

2. მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურას – დაბინავებასა და კვების ადგილები;

3. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურებას – საბაზო ადგილამდე ჩასვლისა და შიდა ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალება;

4. ადგილობრივი საინჟინრო – ტექნიკურ ინფრასტრუქტურას – წყალმომარაგება, ელექტროგაყვანილობა, კომუნიკაცია, კანალიზაცია და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა;

5. მოგზაურობების ორგანიზებას – ტუროპერატორები, ტურაგენტები და გიდები;

6. ტურისტული პროდუქციის წინწაწევას და ტურისტული ინფორმაციის სამსახურის არსებობას – ინფორმაცია ტურისტებისათვის იმაზე, თუ რა შეუძლიათ ნახონ და აკეთონ მათ ადგილზე ყოფნის დროს.

საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას, საჭიროა განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

1. არსებობს თუ არა ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსები;

2. არსებობს თუ არა შესაბამისი ტურისტული ბაზარი;

3. ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად ესაჭიროება თუ არა ქვეყანას, რეგიონს ტურიზმის განვითარება;

4. არის თუ არა საჭირო შრომითი რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის, დამატებითი შრომითი რესურსების შემოყვანის გარეშე; გამართლებულია თუ არა დანახარჯები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის;

5. შესაძლებელია თუ არა კონკურენტების გამოჩენა, არსებული ან შესაძლო ტურისტული პროექტებიდან მეზობელ რეგიონებში.

1992 წლის გაეროს ცნობილი სამიტის (რიო დე ჟანეირო) შემდეგ ნებისმიერი ქვეყნისა და დარგის განვითარებას საფუძვლად უდევს დოკუმენტი „დღის წესრიგი 21-ე საუკუნისათვის“, რომელშიც გაცხადებული იქნა მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები, აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ტურიზმის განვითარებას სწორედ ეს პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად, რამდენადაც მდგრადი ტურიზმი:

– ხელს უწყობს ტურიზმის ზემოქმედების გავლენას ბუნებრივ, კულტურულ და სოციალურ სფეროებზე;

– ხელს უწყობს შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიან განაწილებას. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს უშუალოდ ადგილობრივი ტურიზმისა და მის მონათესავე სფეროებში;

– ხელს უწყობს მომგებიანი ადგილობრივი დარგების განვითარებას ((სასტუმროები, რესტორნები და კვების სხვა ობიექტები, სატრანსპორტო სისტემები, ხალხური რეწვა);

– ხელს უწყობს რეგიონში უცხოური ვალუტის შემოსვლასა და ადგილობრივ ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდებას. ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში, სადაც დასაქმებას შეიძლება ჰქონდეს სეზონური ან შემთხვევითი ხასიათი.

ტურისტული მიწოდება შედგება პირველადი (თავდაპირველი) და ნაწარმოები (წარმოებული) მიწოდებისაგან. პირველადი მიწოდება იზიდავს ტურისტებს თავისი ბუნებრივი სარგებლობით. წარმოებული მიწოდება შედგება ელემენტებისაგან, რომლებიც იქმნება მხოლოდ ტურისტული გამოყენებისათვის. წარმოებული მიწოდების შემადგენლობაში გამოყოფენ ტურისტილ ინფრასტრუქტურასა და ტურისტულ სუპრასტრუქტურას.

პირველადი მიწოდებისათვის დამახასიათებელია შემდეგი მაჩვენებლები:

1. ქვეყნის ბუნებრივი თავისებურებები (გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, ტოპოგრფია, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო);

2. სოციალურ-კულტურული ფაქტორები (კულტურა, ტრადიციები, რელიგიური და მსოფლიო მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები, სტუმართმოყვარეობა, ზნე-ჩვეულებები);

3. საერთო ინფრასტრუქტურა (მიმოსვლის გზები, კომუნიკაციები, გაზის, წყლით და ელექტროენერგიით მომარაგება, კულტურისა და დასვენების დაწესებულებები და სხვა).

საქართველო საინტერესო და მიმზიდველია ბუნებრივი რესურსებით. იგი გამორჩეულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის მრავალფეროვნებითაც (მარტო გაზის 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიშია გავრცელებული)

საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწისქვეშა წყლებს, რომლებიც გამოირჩევა ქიმიური მრავალფეროვნებით. საქართველოს წიაღი მდიდარია თერმული წყლებით.

საქართველო გამოირჩევა მინერალური წყლების მრავალფეროვნებით. მდიდარი რეკრეაციული რესურსები ტურიზმის განვითარების ფართო შესაძლებლობებს ქმნის. ეს რესურსებია:

1.უმდიდრესი ჰიდრომინერალური რესურსები. საქართველოში გამოვლინდა 1300 ზე მეტი მინერალური წყარო, რომელთა სადღეღამისო დებეტი 130 მლნ.ლიტრია;

2.სამკურნალო კლიმატი. მდიდარ ჰიდრომინერალურ რესურსებთან ერთად, ზღვისა და მთის კლიმატის სამკურნალო თვისებები განაპირობებს კურორტების სიუხვესა და მრავალფეროვნებას, რომელთა უმრავლესობა ზომიერი ჰავის გამო უსტად გამოხატული სეზონურობით ხასიათდება (შავი ზღვის პირეთი – საუკეთესო კლიმატური პირობებით; ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ზღვაში ბანაობის სეზონი 5-6 თვე და ა.შ.)

საქართველოში 102 კურორტი და 340 საკურორტო ადგილია. ამასთან, ბევრი მათგანი უნიკალურია. მაგ: წყალტუბოს მინერალური წყლის ანალოგი არ მოიძებნება მთელ მსოფლიოში. ბორჯომის მსგავსი შემადგენლობის მინერალური წყალი მხოლოდ საფრანგეთშია და ცნობილია ვიშის სახელწოდებით.

არხელოსკალო თირკმლების დაავადებათა სამკურნალო თვისებებით არ ჩამოუვარდება ცნობილ ბაირამ ალის, ხოლო აბასთუმანს ადარებენ შვეიცარიის დავოსს. საირმეში მდებარეობს თერმული წყლით მდიდარი ადგილი – უდაბნო. ბაკურიანი, რომელიც ზღვის დონიდან 200 მეტრზე მაღლა მდებარეობს ცნობილია სამთო ტურიზმით. სამთო ტურიზმის დიდი შესაძლებლობები და პერსპექტივებია უშგულსა და მუდურში მისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე.

3.სამკურნალო ტალახი (ახტალა) კონტრასტული ბუნება და თვალწარმტაცი ლანდფშატები. საქართველო გეოგრაფიული ლანდშაფტების ვერტიკალური ზონალობის კლასიკური ქვეყანაა და აქვს მათი თითქმის სრული გამა, დაწყებული ნოტიო სუბტროპიკებით და ნივალური ზონით დამთავრებული.

4.ბუნებრივი ღირშესანიშნაოების მრვალფეროვნება. საქართველოში 100-მდე კარსტული მღვიმეა, რომელთა მიკროკლიმატის გამო-

ყენება შესაძლებელია სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

რაც შეეხება სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავ ძეგლებზე.

ქართველ მეცნიერთაგან პირველმა, პროფესორმა შალვა ამირანაშვილმა ჯერ კიდევ 1933 წელს დასახა ძეგლების ტურიზმში გამოყენების შესახებ, ნაშრომში „ტურიზმი და მატერიალური კულტურის ძეგლები“ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტურიზმში ძეგლის, როგორც საჩვენებელი ობიექტის ჩვენების საკითხებს.

საკუთარი მოსაზრებები ტურიზმში არქიტექტურული ღირშესანიშნაოების ჩართვის შესახებ მან 61 პუნქტად ჩამოაყალიბა, რომელთაგან ბევრს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

საქართველოს კულტურული ტურიზმი ძირითადად დაკლავშირებულია კულტურულ ძეგლებთან. თითქმის ყველა კულტურული ტური უკავშირდება ისტორიულ ძეგლს, რადგანაც საქართველოს ყველა მიმართულებით, უამრავი ძეგლია. ქვეყანაში აღრიცხულია 12 ათასი ძეგლი, მათგან სახელმწიფო 5000 ძეგლს იცავს.

ტურისტული მიწოდების ცალკეულ ელემენტებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტურისტულ სუპრასტრუქტურას, სადაც მოიაზრება სასტუმრო საწარმო და კვების საწარმო.

საქართველოს გზაჯვარედინებზე უძველესი დროიდან ყოველი ერთი დღის სავალზე შენდებოდა სასტუმროს ტიპის სახლები. ქარვასლები.

თბილისში ახლანდელი ხელოვნების მუზეუმის ადგილას 80 ოთახიანი ქარვასლა იდგა, რომელიც 1724 წელს თურქებმა დაანგრიეს. სიონის ტაძართან ერეკლე II – ქალიშვილის თეკლეს ქარვასლა იდგა. ქარვასლა „თეკლე“ 62 ოთახიანი იყო. პირველ სართულზე 30 მაღაზია და სხვადასხვა სახელოსნო იყო განლაგებული.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დედაქალაქში 13 ქარვასლა იყო. სასტუმროებისათვის საგანგებოდ განკუთვნილი შენობების აგება საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში სასტუმრო მეურნეობის ჩამოყალიბების სწყის ეტაპად.

დღევნდელ დღეს სასტუმროების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები შემდეგია: რიცხოვნობის მიხედვით თუ 2004 წელს შეადგენდა

235-ს; 2008 წლისათვის შეადგინა 353; აქედან საკუთრების მიხედვით 30 იყო სახელმწიფო, ხოლო 323 არასახელმწოფო. ნომრების საერთო რიცხვმა 2008 წელს შეადგინა 8582, მათ შორის ლუქსი 720; ერთადგილიანი 5120; სამი და მეტი 1443; სტუმართა რიცხვმა (ათასი კაცი) 2004 წელს შეადგინა 116,5 ხოლო 2008 წელს 266,3 შეადგინა.

სასტუმროებსა და რესტორნებში მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებამ (მიმდინარე ფასებში მლნ.ლარი) 2004 წელს შეადგინა 266,2; 2005 წელს 330,3; 2006 წელს 317,4; 2007 წელს 352,9; 2008 წელს 395,7; ხოლო 2009 წელს კი 346,4 შეადგინა.

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დაქირავებლუთა რაოდენობამ 2020 წელს შეადგინა 31,8 თასი კაცი. საქსტატის მონაცემებით 2020 წელს საქართველოში სასტუმროების რაოდენობა37% ით შემცირდა, კლების მთავარი მიზეზი კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემიაა და მის ფონზე მიღებული ეკონომიკური შეზღუდვები იყო. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით სასტუმროებში დასაქმებულთა რაოდენობა 40%-ით, 13615 ადამიანამდე შემცირდა. 2020 წელს უცხოური ვიზიტების რაოდენობა წლიურად 80% ით შემცირდა და შეადგინა 1,5 მილიონი.

დღევანდელ ინდუსტრიულ გარემოში ქალაქის აჩქარებული რიტმი წარმოშობს ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნას, სურვილს, რომ პერიოდულად დაისვენოს მშვიდ და წყნარ გარემოში, სადაც არის სუფთა ჰაერი, წარმტაცი პეიზაჟები და გულითადი მასპინძლები.

საქართველო წრმოადგენს აგრარულ ქვეყანას, ამდენად აგროტურიზმი წრმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ტურისტულ სახეს. მიმზიდველობა, ხალხი, პროდუქტი – ეს არის აგროტურიზმის ძირითადი კომპონენტები. აგროტურიზმის წარმატებით განვითარება პარტნიორულ ურთიერთობაზეა დამყარებული, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მდგრადი განვითარებისათვის.

მდგრადი ტურიზმი სოფლად მოიცავს:

1. კულტურულ გასართობ ტურიზმს;
2. ფერმერულ ტურიზმს;

3. აგროტურიზმს – მთავარი ტურისტული მიმზიდველობა ტრადიციული გლეხური, ფერმერული მეურნეობაა. ის მდებარეობს სუფთა გარემოში. ისტორიული და კულტურული ძეგლების სიახლოვეს;

4.შემეცნებით – ეთნოგრაფიულ ტურიზმს;

5.ეკოტურიზმს – ითვალისწინებს ეკოლოგიურად დაუზიანებულ,სუფთა ადგილებში მოგზაურობას დასვენებისა და შემეცნებითი მიზნით. ეს შეიძლება იყოს მოკლევადიანი, შაბათ- კვირის ტურიზმი ან ექსკურსია, ბუნების ძეგლების, ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების ტერიტორიაზე. ასეთი ტურების დროს ხშირად ტარდება სემინარები ეკოლოგიაში, გარემოს დასუფთავების აქციები და სხვა ბუნების დაცვითი ღონისძიებები. ეკოტურიზმი გულისხმობს შემეცნებით ელემენტს, სანიტარულ პირობებს, საღი პროდუქტებით კვებას და სუფთა გარემოს, რისი შეთავაზებაც შეუძლია დაინტერესებულ ბიომეურნეობებს.;

6.სოფლის ტურიზმს – აქტიური დასვენება სოფლის გარემოში, სადაც შესაძლებელია ცხენების, ველოსიპედების და სპორტული აღჭურვილობის დაქირავება, თევზაობა, ნადირობა, სოკოსა და კენკროვანი ხილის კრეფა, სამკურნალო მცენარეებისა და მინერალების მოპოვება და სხვა.

სოფლად ტურიზმის განვითარება ამცირებს უმუშევრობას და ზრდის ადგილობრივი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას. დღეს, როდესაც სოფლად ცხოვრების პირობები რთულია ადგილობრივ მცხოვრებთა ფინანსური შემოსავლები მცირეა, პროდუქტის მისაღები ბაზრების მოპოვება და პროდუქტის პირველადი ღირებულების გაზრდა მომსახურების დამატებით სიღარიბის დაძლევის პრიორიტეტული მიმართულებაა.

დამატებითი ღირებულების წარმოქმნის პროცესი შეიძლება მოიცავდეს ასევე სხვა მომსახურებასაც (ტრანსპორტი, ღამის გათევა, ტრადიციული ხელსაქმე და ა.შ.) ტურისტულ მომსახურებასთან ერთად ეს ქმნის ე.წ. პირდაპირი პროდუქტის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირ შემოსავალს. მეწარმე, დამსვენებელს სოფლად ტურისტულ მომსახურებასთან ერთად სთავაზობს ადგილობრივ ტრადიციულ პროდუქტებს. ამ შემთხვევაში ეს ტურისტული პროდუქტი ადგილზევე რეალიზდება, ანუ მყიდველი თავად მისდის მიმწოდებელთან, რაც სარეალიზაციო ხარჯებს ამცირებს და „უხილავი ექსპერტის“ სახედ გვევლინება.

ტურისტს სოფლად შემოაქვს და გასცემს თავის დანაზოგს, შემოსავლის წყაროს უქმნის არა მხოლოდ მასპინძელს, ვინც აქირავებს

სახლს, საკვებსა და პროდუქტებს ყიდის, არამედ ყველა იმ ადგილობრივ მცხოვრებს, ვინც არაპირდაპირ ჩართულია ტურისტულ მომსახურებაში.

ტურიზმის განვითარება სოფლად დაკავშირებულია რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან (მომსახურების,ეკონომიკის, ტრანსპორტის,ინფრასტრუქტურის სფეროში). ტურიზმის წარმატება პირდაპირ აისახება სოფლად უძრავი ქონების ღირებულებაზე (მიწის ნაკვეთების, შენობა-ნაგებობების ფასი), რაც მოსახლეობის კაპიტალიზაციას ზრდის, ფართოვდება საკვების წარმოება და გადამუშავება, სოფლის მცხოვრებთა ცოდნისა და კვალიფიკაციის დონე, რეგიონებში და სოფლებში ტურისტული ნაკადების მომსახურება. სოფლად ტურიზმის განვითარება იწვევს:

1. სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას;
2. დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას;
3. მოსახლეობის ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული თვითშეგნების ამაღლებას;
4. სიღარიბის დაძლევას;
5. ხალხური რეწვის განვითარებას;
6. ძველი ტრადიციებისა და ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნებას;
7. სოფლის ესთეტიკის გაუმჯობესებასა და ინტეგრაციას;
8. სეზონური მიგრაციის შემცირებას;
9. ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას.

პარალელურად სოფელი ტურისტს სთავაზობს:

1. აქტიურ დასვენებას;
2. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიწოდებას;
3. რეკრეაციას (სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენა);
4. ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენას;
5. მრავალფეროვან ტურისტულ მომსახურებას;
6. ბუნებასთან სიახლოვე;
7. ტრადიციული, კულტურული მემკვიდრეობის გაზიარება.

სოფელი, ტურისტული ერთეულის გარდა, არის ადგილი სადაც შემონახულია ძველი სამეურნეო ტრადიცია, ადგილობრივი სამზარეუ-

ლო, ხელსაქმე, საეკლესიო დღესასწაულები, სახალხო დღეობები, ქორწილები, ეთნოგრაფიული სახლები, რეგიონული მუზეუმები და სტუმართმოყვარე მასპინძელი. ეს ყველაფერი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დამსვენებლებისათვის წარმოადგენს მთავარ მიმზიდველობას და რეკრეაციულ რესურსს.

ამრიგად, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული და პერსპექტიული მიმართულებაა, რომელიც გაზრდის უცხოური კაპიტალის მოზიდვას ქვეყანაში, ამასთან სოფლად ტურიზმის განვითარება შეაჩერებს მიგრაციის პროცესებს, დააჩქარებს ეკონომიკის სერვიზაციას, სიცოცხლისუნარიანს გახდის საქართველოს ეკონომიკასა და სათანადო ადგილს მიუჩენს მსოფლიო მეურნეობაში.

12.10 გარემოს მენეჯმენტის სისტემა და ეკოტურიზმი

პლატონისა და კონფუცის ეპოქისა და მათი შრომებიდან დაწყებული კაცობრიობა ცდილობს განიხილოს კავშირი სამომხმარებლო მაშტაბებსა და კეთილდღეობას შორის. XIX საუკუნემდე ეს პრობლემა თუ ატარებდა უმეტესად ფილოსოფიურ ხასიათს, თანამედროვე პირობებში იგი გადავიდა პრაქტიკული პრობლემების უპირველეს რანგში.

დედამიწის მოსახლეობის „სამომხმარებლო ზეწოლა“-ასე ვთქვათ ბუნებრივი რესურსების (ჰაერის, წყლის, მიწის, სათბობის, წიღისეულისა და ცხოველურ-მცენარეული რესურსები) ინდუსტრიული მოხმარება უახლოვდება ბუნების თვითაღდგენის შესაძლებლობას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ როგორც კი „სამომხმარებლო ზეწოლა“ გადააჭარბებს თვითაღდგენის შესაძლებლობას დაიწყება ბუნების დეგრადაცია.

ამჟამად, კაცობრიობა დგას ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმის შემუშავების იმ პრობლემის წინაშე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შემდეგი პირობების შესრულება: $(\alpha + \beta).N < P$ სადაც α და β არის ერთ ადამიანზე პირადი და საწარმოო საჭიროებებზე ბუნებრივი რესურსების ხარჯვა; N-მოსახლეობის რიცხოვნობა; P ბუნებრივი რესურსების აღდგენის (თვითაღდგენის) მოცულობა.

ამასთან α,β და N-ის ზრდის მნიშვნელობის შენარჩუნება და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმი ორიენტირებული უნდა იყოს ადამიანთა საქმიანობისა და ცხოვრების მაქსიმალურ დონეზე.

$(\alpha, \beta, N)\ max \rightarrow$

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმების შემუშავების გზაზე სირთულეები დიდია. ისინი დაკავშირებულია ჩამოყალიბებული ადამიანური ფასეულობების წარმოდგენების ცვლილებაზე, სპეციალური საგადასახადო მექანიზმის შემუშავებაზე, სხვადასხვა თაობის მოსახლეების შედეგებისა და დანახარჯების შედარებაზე, აღუდგენელი (შეუვსებადი) ბუნებრივი რესურსების გამოყენების შეფასებებზე.

თანამედროვე პირობებში ყოველწლიურად დედამიწის წიაღიდან ამოაქვთ 100 მილიარდი ტონა მადანი, საწვავი, სამშენებლო მასალები, მათ შორის: 4მილიარდი ტონა ნავთობი და ბუნებრივი გაზი, 2 მილიარდი ტონა ნახშირი. მინდვრებზე მიმოიბნევა 92 მილიონი ტონა მინერალური სასუქი და 2 მილიონი ტონა შხამქიმიკატები. ატმოსფეროში გამოიფრქვევა 200 მილიონ ტონაზე მეტი ნახშირბადის ოქსიდი, 50 მილიონი ტონა ნახშირწყალბადი, 146 მილიონი ტონა გოგირდის დიოქსიდი, 53 მილიონი ტონა აზოტისოქსიდი, 250 მილიონი ტონა მტვერი. წყალსატევებში ჩაედინება (ეშვება) 32 მილიარდი $მ^3$ გაუწმენდავი წყლები. მსოფლიო ოკეანეში ყოველწლიურად ხდება 10 მილიონ ტონამდე ნავთობი. ყოველწლიურად მიწათსარგებლობისათვის გამოუსადეგარი ხდება 6-7- მილიონი ჰა ნიადაგი.[1]

XIX და XX საუკუნეებში მეცნიერებმა ჩამოაყალიბეს შეხედულებათა სისტემა სადაც ადამიანი განიხილება გარემომცველი სამყაროს ნაწილად, ვ.ი. ვერნადსკიმ შეიმუშავა ჩვენი პლანეტის ზედა გარსის ევოლუციის საერთო სქემა, შექმნა ნოოსფეროს სტრუქტურა.

ნოოსფეროს სტრუქტურა (სქემა 12.10.1)



დედამიწაზე სიცოცხლის განვითარების ლოგიკა ადამიანთა საქმიანობას განსაზღვრავს, როგორც მთავარ ფაქტოს. ამასთანავე ბიოსფეროს შეუძლია არსებობა ადამიანის გარეშე, მაგრამ ადამიანს არ შეუძლია არსებობა ბიოსფეროს გარეშე. ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნება ადამიანსა და ბუნებას შორის არის ის მთავარი ამოცანა, რომელიც თანამედროვე თაობის წინაშე დგას. ეს მოითხოვს მრავალ ადრე ჩამოყალიბებულ შეხედულებების ცვლილებას საზოგადოებრივი ფასეულობების თანაზომადობაზე. აუცილებელია თითოეულ ადამიანს განუვითარდეს „ეკოლოგიური შეგნება", რომელიც შემდეგ განსაზღვრავს ტექნოლოგიების, საწარმოთა მშენებლობების და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.

საჭიროა და აუცილებელიცაა ლოზუნგიდან „ბუნებისგან ავიღოთ ყველაფერი" გადავიდეთ ლოზუნგზე „ბუნება-ჩვენი სახლია". დემოგრაფიულ პროცესებს ნიადაგის ეროზიას, ოზონის სისქის შემცირებასა, ცხოველთა მრავალ სახეობის სიკვდილიანობას, სამრეწველო ავარიებს მივყავართ ეკოლოგიურ კატასტროფამდე. XXI საუკუნეში გლობალური ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე ჯერ ეს პრობლემა არაა, მაგრამ ეროვნული ეკონომიკის ორიენტაციის შეცვლა ეკოლოგიის კუთხით საჭიროა განხორციელდეს დღეს. საჭიროა გადავიდეთ ადამიანთა ფასეულობების სხვა სისტემაზე, ჩამოყალიბებული ტექნოგენური ცივილიზაციიდან განსხვავებით საჭიროა ძველი ჩინური „უ-ვეი-ს" კულტურის ტიპის სისტემა, რომლის პრინციპებია:

- ბუნებრივ პროცესებში ჩაურევლობა;
- გარემოს მიზანმიმართული გარდაქმნა;
- ბუნების, როგორც კანონზომიერად მოწყობილი სივრცის გაგება.

ადამიანთა საქმიანობის ინტეგრალური შედეგები, რომლებიც თაობიდან-თაობას გადაეცემა წარმოადგენს: დემოგრაფიული, კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური, საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფა (პირადი და კოლექტიური), ცხოვრების გარემოს მდგომარეობა. ნებისმიერი ამ შედეგის გაუარესება წინამორბედ თაობისაგან მიღებულთან შედარებით ნიშნავს ადამიანთა არსებობის პირობების გაუარესებას, დროის ხანგძლივი ტენდენციით კი მის ლიკვიდაციას. ამ კუთხით განსაკუთრებულად გამოოიყოფა გარემოს მდგომარეობა, სადაც ყველა შედეგები განსაზღვრულ ხარისხში ურთიერთდაკავშირებულია და

ურთიერთწინააღმდეგობრივია. უმეტეს ეკოლოგიურ პრობლემას ახასიათებს ინტერნაციონალური ხასიათი, რომელსაც მიეკუთვნება;

- საერთაშორისო წყლების დაბინძურება ნავთობით;
- სასაზღვრო ტერიტორიებზე ჰიდრორესურსების გამოყენება;
- დაბინძურებული წყლების ჩაშვება მდინარეებში, რომლებიც მიედინება სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე;
- ატმოსფეროში გამონაბოლქვის ტრანსასაზღვრო გადატანა;
- ატმოსფეროს ოზონის ფენის დაშლა;
- იშვიათი მცენარეებისა და ცხოველების გადაშენება;
- ატმოსფეროს თბური და რადიაციული დაბინძურება და ა.შ,

საარსებო გარემოს მდგომარეობა ხასიათდება ატმოსფეროს, წყლის, მიწის მცენარეული და ცხოველთა სამყაროს, წიაღისეულის მარაგის მაჩვენებლებით. ადამიანთა არსებობა ჯერ შუძლებელია გარემოს მდგომარეობის შეცვლის გარეშე, ამიტომ თავისი საქმიანობის რეალიზაციისას ადამიანმა სისტემატურად უნდა შეაფასოს განხორციელებული ცვლილებების მაშტაბები, მათი მიზანშეწონილობა, მიღწეული გაუმჯობესება კულტურული, მეცნიერულ-ტექნიკური და დემოგრაფიული პოტენციალების, ასევე საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფით. თუ საქმინობის შედეგად ინტეგრალური შეფასება მთლიანად, ან კერძო ღონისძიებით უმჯობესდება, მაშინ ისინი მიზანშეწონილია რეალიზაციისათვის.

ეკოტურიზმი, ბუნების მოყვარულთა ტურიზმია, რომელიც ითვალისწინებს ეკოლოგიურად დაუზიანებელ ადგილებში მოგზაურობას დასვენებისა და შემეცნებითი მიზნით. ეს შეიძლება იყოს მოკლევადიანი, შაბათ-კვირის ტურიზმი ან ექსკურსია ბუნების ძეგლების, ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების ტერიტორიაზე. ასეთი ტურების დროს ხშირად ტარდება სემინარები ეკოლოგიაში, გარემოს დასუფთავების აქციები და სხვა ბუნებისდაცვითი ღონისძიებები. ეკოტურიზმის მრავალფეროვნებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- ბუნებრივი ღირშესანიშნაობები (დაცული ტეროტორიები, ნაკრძალები და ეროვნული პარკები, ბუნებრივი ძეგლები, უდაბნოების ზონები, ტყის მასივები, უნიკალური ფლორა, ფაუნა და სხვა);
- ლანდშაფტური სიმდიდრეები (მთები, ზღვა, ჭაობი, ტბა, მდინარე, წყარო, ჩანჩქერი,კულტურული ლანდშაფტები, არქიტექტურა);

- ადგილობრივი ხალხის კულტურული ღირშესანიშნაობები;

- რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურა (ღამის გათევის ბაზა, კვების ობიექტები, ტურისტული ღონისძიებები და ა.შ.)

ტურიზმი კერძოდ კი ეკოტურიზმი საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტია, ის ასახავს ადამიანის კანონზომიერ სურვილს მოინახულოს ახალი ადგილები და გაეცნოს სხვადასხვა კულტურებს. ეკოტურიზმი წარმოადგენს კარგ მაგალითს იმ მნიშვნელოვანი კავშირისა, რომელიც წარმოიქმნება ეკონომიკურ განვითარებასა და გარემომცველ გარემოს შორის ყველა თანმხლები სარგებლიანობით, დაძაბულობითა და შესაძლებელი კონფლიქტებით. ტურიზმის ზემოქმედება გარემოცველ გარემოზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თავად ტურიზმის სახეზე, ტურისტების ქმედებებზე და ტურისტული მომსახურების ხარისხზე. გარემომცველ გარემოზე ზეწოლის დიდი ნაწილი უფრო მასობრივი ტურიზმიდან მომდინარეობს. ამდენად, ტურიზმის ეროვნული და რეგიონული განვითარების გეგმები უნდა მოიცავდეს ეკოლოგიური მართვის საკითხებსაც. ტურისტებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმ ადგილის სპეციფიკის შესახებ, რომელსაც სტუმრობენ. კერძოდ თუ როგორ უნდა მოიქცნენ რათა მაქსიმალურად შეამცირონ გარემოზე ზეგავლენა. უნდა ითქვას რომ ეს ტურიზმის ინდუსტრიის მთავარი პასუხისმგებლობაა.

ეკოტურიზმის განვითარება არამარტო ქვეყნის ეკონომიკას წაადგება, არამედ ხელს შეუწყობს ბუნებრივი ადგილის მდგრად განვითარებას. ეკოტურიზმის განვითარებაში აუცილებელია რეგიონული სტრატეგიის შემუშავება, ეკოტურიზმის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების განსაზღვრა, მათი მოგების მაქსიმიზაციის შემუშავება და ისეთი სისტემის აგება, რომელიც წინ აღუდგება დაცული ტერიტორიებისათვის ზიანის მიყენებას.

მსოფლიოს ინტერესი ბიოლოგიური მრავალფეროვნებისადმი ძირითადად განპირობებულია:

1. ბიოლოგიური რესურსების სამეურნეო ათვისება გამოყენების ინტენსიობის ზრდითა და შესაბამისად, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში მათი მზარდი როლით;

2. ადამიანის ინტენსიური სამეურნეო მოქმედებისა და ბუნებრივი რესურსების დიდი ოდენობით გამოყენების გამო ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირების საშიშროებით;

3. ბილოლოგიური მრავალფეროვნების ყველა დონეზე გენეტიკურ, სახეობრივ, ბიოცენოტურ, ლანდფშატურ და ა.შ. შენარჩუნების აუცილებლობით, რომლებიც ეკოსისტემების ფუნქციონირების სტაბილიზაციისა და მათი უწყვეტი განვითარების საფუძველია.

ბიოლოგიური მრავალფეროვნება ცოცხალი ბუნების ფუნდამენტური თვისებაა, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლის უწყვეტ განვითარებასა და ბიოსფეროს მდგრადობას.

ბიომრავალფეროვნების უნიკალურ ნიმუშს ჩვენი ნაკრძალები და სხვა სახის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს. საქართველო განთქმულია მართლაც უნიკალური ბუნებრივი კომპლექსით, რომელთაც უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ფლორისა თუ ფაუნის ისტორიული განვითარების ცალკეული, დიდად საინტერესო საკითხების სწორად გარკვევისათვის.

საქართველოს ნაკრძალები დანიშნულების მიხედვით კომპლექსური ხასიათისაა, თითოეული მათგანი მოიცავს როგორც მცენარეული საფარის, ისე ცხოველთა სამყაროს ძვირფას წარმომადგენლებს.

ადამიანის მხრიდან გარემომცველ გარემოზე ეკოლოგიური ზეწოლის შემცირებისათვის აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- თითოეული ადამიანის ეკოლოგიური კუთხით აღზრდა, სწავლება რომელიც ეფუძნება ურთიერთგაგებას, მოთმინებას, სხვათა უფლებების პატივისცემას, თავაზიანობასა და თვითკონტროლს;
- კანონთა სისტემა, რომელიც რეგლამენტირებას მოახდენს მესაკუთრეთა მოქმედებას, რომლებიც ახორციელებენ ეკოლოგიურ ზეწოლას;
- გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების კონტროლის სახელმწიფო სისტემა;
- ეკოლოგიურად სუფთა კონსტრტუქტორული და ტექნოლოგიური გადაწყვეტების ეკონომიკური მხარდაჭერა ასევე ეკონომიკური ზეწოლა საწარმოებზე, რომლებიც აუარესებენ გარემომცველ გარემოს.

- გარემომცველ გარემოზე დატვირთვა დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნობაზე, ცხოვრების საშუალო დონეზე, წარმოებული პროდუქტების სტრუქტურაზე, წარმოების ეფექტიანობაზე. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში დატვირთვა გარემომცველ გარემოზე გაიზარდა არანაკლებ ოთხჯერ, ხოლო მომავალ 50 წელს კი მოსალოდნელია დატვირთვის ზრდა 8-10 ჯერ მსოფლიო ოკეანის ცნობილი ფრანგი მკვლევარის ჟაკ-ივ-კუსტოს გამონათქვამით, რომელიც ცნობილია კაპიტანი კუსტოს სახელით „თუ ადრე ბუნება აშინებდა ადამიანს, ახლა ადამიანი აშინებს ბუნებას“

12.11ეკოტურიზმი და ეკოლოგიური რისკის ფაქტორები

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის შესაბამისად თითოული ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა ამ კონვენციას ვალდებულია შეიმუშავოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების,აღდგენისა და გამოყენების რეგულირების ნაციონალური სტრატეგია და პროგრამა.რაც უფრო მაღალია ბიომრავაფეროვნების შესახებ ცოდნის დონე, მით უფრო დიდია მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალი.

ბიოლოგიური მრავალფეროვნება ცოცხალი ბუნების ფუნდამენტური თვისებაა, რომელიც უზრუნველყოფს პლანეტარული სიცოცხლის უწყვეტ განვითარებასა და ბიოსფეროს მდგრადობას.

ეკოლოგიურ სისტემათა მრავალფეროვნება სხვადასხვა ადგილსამყოფელში ბიოტურ თანასაზოგადოებასა და ბუნებაში მიმდინარე ეკოლოგიურ პროცესებს მოიცვს.

ბიომრავალფეროვნების სასარგებლო თვისებათა აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს კონკრეტული ტერიტორიების ფლორისა და ფაუნის ფუნდამენტალური ცოდნა.მხოლოდ ამ ცოდნის მოხერხებით შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს სახეობათა ბიოლოგიური თვისებების ზუსტი შეფასების პარამეტრები,რასაც რეალური პროცენტური სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.ბიომრავალფეროვნების უნიკალურ ნიმუშს საქართველოს ნაკრძალები და სხვა სახის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს.საქართველო განთქმულია მართლაც უნიკალური ბუნებრივი კომპლექსით,რომელსაც უდიდესი შემეცნებითი მნიშვნე-

ლობა აქვს ფლორასა თუ ფაუნის ისტორიული განვითარების ცალკეული დიდად საინტერესო საკითხების სწორად გარკვევისათვის.

საქართველოს ნაკრძალები დანიშნულების მიხედვით კომპლექსური ხასიათისაა,თვითეული მათგანი მოიცავს როგორც მცენარეული საფარის ისე ცხოველთა სამყაროს ძვირფას წარმომადგენლებს.

საქართველოში 19 ნაკრძალია, რომლებიც ადმინისტრაციულად 14 ნაკრძალად არის გაერთიანებული.ნაკრძალების საერთო ფართობი 181,3 ათასი ჰა-ს, ანუ ქვეყნის მთელი ტერიტორიის 2,4%_ს შეადგენს.ტყით დაფარულია 168,9 ათასი ჰექტარი.ნაკრძალთა საერთო ფართობით საქართველოს, კავკასიაში პროცენტულად პირველი ადგილი უჭირვს, ამდენად საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების კარგი პერსპექტივებია. ეს განპირობებულია არამარტო ბუნებრივი ლანდშაფტების დიდი მრავალფეროვნებით, არამედ კლიმატური ზონების ფართო დიაპაზონით, უნიკალური ეკოსისტემებით, ბუნებისა და კულტურული ძეგლების სიუხვით.რესურს ავსებ წესჩვეულებათა მრავალფეროვნება,ფოლკლორის უნიკალურობა,რეწვა და განთქმული სამზარეულო.

ეკოტურიზმის განვითარება საქართველოში მეტად მნიშვნელოვანია ცალკეული რეგიონების ეკონომიკის ამაღლებისთვის, მითუმეტეს რომ იგი არ საჭიროებს მაღალი დონის განვითარებულ ინფრასტრუქტურასა და დიდ ინვესტიციებს.

მექსიკელი ეკონომისტის ჰეკტორ ცებალოს-ლასკურიენის აზრით რომელიც თავად ტერმინ „ეკოტურიზმის“ ავტორია, ტურიზმი აერთიანებს მოგზაურობასა და ბუნებისადმი სათუთ დამოკიდებულებას,შესაძლებელს ხდის ფლორის და ფაუნის ნიმუშების ნახვითა და შესწავლით განცდილი სიხარული შევურწყათ მათი ხელშესწყობის შესაძლებლობას.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის განმარტებით „ეკოტურიზმი მოიცავს ბუნებრივი ტურიზმის ყველა ფორმას, როდესაც ტურისტების ძირითად მოტივაციას ბუნებაზე დაკვირვება და მასთან დაახლოება წარმოადგენს. „

ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარების და გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია:

- ცალკეული რეგიონების ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურუ-

ლი რესურსების ინვენტარიზაცია, მონაცემთა ბაზის შექმნა და მეცნიერულად დასაბუთებული რეკრეაციული დატვირთვების განსაზღვრა;

- ეკოტურისტული საქმიანობის საფუძველის დაგეგმვა და რეგიონის განვითარების გეგმაში მისი ინტეგრირება;

- მარშუტების პასპორტიზაცია;

- მინიმალური ინფრასტრუქტურის შექმნა, მომსახურე პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება;

ბუნებაზე ტურიზმის ზეგავლენის მართვა შესაძლებელია პირდაპირი და ირიბი გზით.

პირდაპირი მართვა გულისხმობს ძალისმიერ პოლიტიკას, კერძოდ ბუნებრივ კომპლექსებზე ზღვრული დასაშვები ტურისტული დატვირთვის შესაბამისად მნახველთა რაოდენობის შეზღუდვა, დაცული ტერიტორიების ზონებსა და სხვა.

ირიბ მიდგომას განეკუთვნება ტურისტის ქცევითი სტერეოტიპის შეცვლა, მისი ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლებით, ბუნებისა და ადგილობრივი მოსახლეობისადმი ჰუმანური დამოკიდებულებით. ამ მიდგომების ცალ-ცალკე გამოყენება შედეგს ვერ გამოიღებს, აუცილებელია მათი ერთობლივი გამოყენება.

ეკოტურიზმის პრინციპები დაფუძნებულია კაცობრიობის მისწრაფებაზე მიაღწიოს ტერიტორიის მდგრად განვითარებას,შეინარჩუნოს ბიო და სოციო-კულტურული მრავალფეროვნება. საინტერესოა განვიხილოთ ეკოლოგიური რისკის ფაქტორები,რომლებიც ასევე ეწინააღმდეგება ეკოტურიზმის პრინციპებს.

ეკოლოგიური საფრთხე ესაა რეალიზებული ანდა შესაძლებელი, მოსალოდნელი ეკოლოგიური საშიშროება, მუქარა ანთროპოგენური ანდა ბუნებრივი ზემოქმედების

შედეგად, რომელიც იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის დარღვევას ანდა გარემომცველი გარემოს გაუარესებას. ეკოლოგიური მუქარა, საშიშროება ესაა ეკოლოგიური საფრთხის ალბათობა, შესაძლებლობა, ეკოლოგიური საფრთხის წყაროები, მიზეზები შეიძლება იყოს მატერიალურ სფეროში ადამიანთა მოღვაწეობის ნებისმიერი ფორმა, პლანეტალური, რეგიონული, ლოკალური ან ობიექტური მასშტაბით, ანდა ბუნებრივი მოვლენები მიმართული გარემომცველი გარემოს ცვლილებებზე და ადამიანთა ჯანმრთელობის დარღვევებზე.

რისკი ობიექტურია და პრაქტიკულად დაკავშირებულია საქმიანობის ნებისმიერ სახესთან.არსის საფუძვლებში დევს აქსიომა საქმიანობის პონტენციურ საფრთხეზე.

რისკი სხვადასხვა პოზიციით განისაზღვრება:

1. სტატისტიკური გეგმა, რომელიც განსაზღვრულია, როგორც მოსალოდნელი სიხშირე, ანდა მოსალოდნელი საფრთხის ზემოქმედებით წარმოქმნილი არასასურველი ეფექტის ალბათობა.

2. განსაზღვრულ სიტუაციაში ზიანის,დაავადების ანდა სიკვდილიანობის ალბათობა. რაოდენობრივი კუთხით რისკი გამოიხატება სიდიდეში, რომელიც მერყეობს ნულისა (როცა ზიანს არ აქვს ადგილი) და გარკვეულ ერთეულებამდე (როცა ზიანს აქვს ადგილი).

3.რისკის ალბათობა, როცა არასასურველ ეფექტს ადგილი ექნება ინდივიდებში, ჯგუფში ან ეკოლოგიურ სისტემაში ზემომედების განსაზღვრული დოზით, ანდა საშიში აგენტის კონცენტრაციით. ე.ი ის დამოკიდებულია როგორც საშიში, მავნე აგენტის ტოქსიკურობის ხარისხზე, ასევე ზემოქმედების დონეზე.

რისკი ხასიათდება შემდეგი რაოდენობრივი მაჩვენებლებით: ზიანის სიდიდე, საშიში ფაქტორის წარმოქმნის ალბათობა, გაურკვევლობა როგორც ზიანის, ასევე მისი წარმოქმნის ალბათობის სიდიდეში. **რისკის არის რაოდენობრივი შემადგენლები მოცემულია სქემა 12.11.1 ში.**

<u>სოციალური ზიანი (ზარალი)</u> – ესაა მოსახლეობის დაუბრუნებელი (სიცოცხლის) დაკრგვის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირების, ადამიანთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუარესება.

<u>სოციალურ-ეკონომიკური ზიანი</u> – ესაა დანახარჯები მკურნალობაზე, სოციალური შრომით რეაბილიტაციაზე, ეროვნული შემოსავლის დანაკარგი გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობითა და შრომის უნარიანობის დანაკარგით.

<u>ეკონომიკური ზიანი –</u> ესაა დანაკარგები და ზარალი გამოწვეული ეროვნული მეურნეობოის ობიექტის დაზიანებით და ნგრევით.

<u>ეკოლოგიური ზიანი</u> – ესაა დანაკარგები, რომლებიც მიყენებულია გარემომცველ გარემოზე, ანდა მის ცალკეულ კომპონენტებზე.

რისკი ზიანის (ზარალის) ექვიველენტურია და შესაბამისად რისკის სიდიდე ზიანის (ზარალის) სიდიდს ტოლია.

სქემა 12.11.1

რისკის არსის რაოდენობრივი შემადგენლები



გარემომცველ გარემოში საფრთხე ის სიტუაციაა, რომელშიც განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელია არასასურველი შემთხვევის, მოვლენისა და პროცესების წარმოქმნა, რომელთა ზემოქმედებამ ადამიანებსა და გარემომცველ გარემოზე შეიძლება მიგვიყვანოს ქვემოთ ჩამოთვლილი შედეგების ერთ ან მათ ერთობლიობამდე:

- ადამიანების ჯანმრთელობის საშუალო სტატისტიკური მნიშვნელობიდან გადახრა;
- გარემომცველ გარემოს მდგომარეობის (ხარისხის) გაუარესება.

საფრთხის ფაქტორების მრავალფეროვნების გამო მათ კლასიფიკაციას ახდენენ საფრთხის წყაროების მიხედვით.

ეკოლოგიური რისკი ესაა გარემომცველ ბუნებრივ გარემოში იმ ნეგატიურ ცვლილებების გამოვლენის ალბათობა, რომელიც გამოწვეულია ანტრპოგენური ანდა სხვა ზემოქმედებით.ეკოლოგიური რისკის ქვეშ იგულისხმება აგრეთვე იმ საფრთხის ალბათობა რომელიც მიყე-

ნებულია განსაზღვრულ პერიოდში ბუნებრივ გარემოზე შესაძლებელი დანაკარგების ზიანის სახით.

განვიხილოთ რისკის სახეები და დონეები:

1. ატრიბუციული რისკი ესაა, გარემომცველი გარემოს არასასურველი ფაქტორების არსებობისას საზიანო ეფექტის რისკის გამოვლენისა და მათი არსებულად არ არსებობის რისკთა შორის სხვაობა.

- მოსახლეობოის სიკვდილიანობის, ავადმყოფობის ანდა ჯანმრთელობის სხვა გადახრების მაჩვენებლები ექსპონირებულ პოპულაციაში, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოცემული ზემოქმედებასთან.

ჩვეულებრივ ექსპონირებული ინდივიდუმებისთვის ატრიბუციული რისკი განისაზღვრება არაექსპონირებული პირისთვის არსებული მაჩვენებლებიდან შემთხვევათა სიხშირის გამოკლების გზით.

2. დასაშვები რისკი ესაა :

- განსაზღვრულ რეგიონში სერიოზული არასასურველი რისკის ეფექტის განვითარების დონე, რომელიც არ საჭიროებს სიფრთხილის დამატებით ღონისძიებებს, რამდენადაც ის მოცემულ ადგილას არ ცვლის ცხოვრების პირობებს, ე.ი რისკის ასეთი დონე არ საჭიროებს მართვის ორგანოების მხრიდან რაიმე მოქმედებას მათი შემცირებისთვის.

- არასასურველი შემთხვევის დადგომის ალბათობა, ე.ი უარყოფითი შედეგები იმდენად უმნიშვნელოა რომ რისკის ფაქტრებიდან სარგებლის მიღების გამო, ადამიანი ჯგუფი ადამიანებისა ან მთლიანად საზოგადოება მზადა წავიდეს ამ რისკზე.

3. შედრებითი, ფარდობითი რისკი:

- ესაა ადამიანებს შორის ავადობის (დავალდებულების) ურთიერთობა გამოწვეული, ან არგამოწვეული რისკის ფაქტორებით. ფარდობითი რისკი გვიჩვენებს ზემოქმედებასა და ავადობის შორის კავშირს.

გამოიყოფა ინდივიდუალური რისკის შედეგების დონეები:

1. უგულებელმყოფელი ასე ვთქვათ არაფრად გასათვალისწინებელი რისკის დონე – ინდივიდუალური რისკის დონე განპირობებული სამეურნეო საქმიანობით, რომელიც ინდივიდისათვის მისაჩნევია მცირედ, რამდენადაც ის იმყოფება ფლუკტაციის ბუნებრივი (ფონური) რისკის დონის საზღვარში.

2. მისაღები რისკის დონე – ინდივიდუალური რისკის დონე განპირობებული სამეურნეო საქმიანობით, რომელიც იმდენად დაბალია რომ

მოცემულ სოცილურ – ეკონომიკურ პირობებში მისაღებია. ის ჩვეულებრივ დაუდევრობისა და დასაშვები რისკის დონის საზღვრებშია.

3. ზღვრული დასაშვები რისკის დონე – ესა ინდივიდუალური რისკის დონე განპირობებლი სამეურნეო საქმიანობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ზღვარს დამოუკიდებლად იმისა თუ საზოგადოებისათვის ასეთ საქმიანობას რა ეკონომიკური ანდა სოციალური უპირატესობა აქვს, რამდენადაც მის გადაჭარბებას მივყავართ ინდივიდისათვის დაუშვებელ შედეგებთან.

4. უკიდურესი რისკის დონე – ინდივიდუალური რისკის დონე, განპირობებული სამეურნეო საქმიანობით, რომელიც დასაშვები დონის საზღვრებს აჭარბებს.

რისკის შეფასება არ შეიძლება იყოს ზუსტი, რამდენადაც ეკოლოგიური საფრთხე ხასიათდება გაურკვევლობით. ეკოლოგიური რისკი პრობლემების განხილვისას როგორც წესი მხედველობაში მიიღება ბუნებრივ გარემოსა და ადამიანებზე ტექნოგენური ზემოქმედების შედეგები.

მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს შემდეგი:

- ბუნებრივ ობიექტებზე (ორგანიზმები, ეკოსისტემები და ა.შ) ნებისმიერი ხანგრძლივი ზემოქმედების კუმულატიური ეფექტი ე.ი დროთა განმალობაში მოქმედებს არსებითი ზრდა და დაგროვება, რომელიც ხშირად სუსტი რაოდენობრივი ცვლილებების შეჯამებით განაპირობებს მკვეთრ ხარისხობრივ ცვლილებებს.

- ცოცხალ ორგანიზმებზე დოზური ეფექტის ზემოქმედების არა ხაზობრიობა, გამოხატული არაპროპორციულად ძლიერ ბიოლოგიური ეფექტების სახით ზემოქმედების მცირე დოზების გამო. რაც დაკავშირებული სუსტ ზემოქმედებაზე. ორგანიზმების ამაღლებულ მგრძნობელობაზე სუსტი ზემოქმედებები იწვევენ ცოცხალი არსებების ქცევის ცვლილებებს, შედარებით ძლიერ ზემოქმედება იწვევს სტრესულ ქცევას, რეაქციას როცა როგორც წესი ირთვება ორგანიზმის წინააღმდეგობის მექანიზმები. კიდევ უფრო ძლიერი ზემოქმედება (დოზები) იწვევენ ცხოველქმედების დარღვევას,იზრდება სიკვდილიანობის ალბათობა.

ცოცხალზე,გარემოს სხვადასხვა ფაქტორების სინერგიული (ერთობლივი) მოქმედება ხშირად მოულოდნელ ეფექტებს იწვევს რაც არ წარმოადგენს განხორციელებული მოქმედების პასუხების ჯამს. ერთი

ფაქტორის ზემოქმედებას შეუძლია როგორც, შეამციროს ასევე ხარისხობრივად შეცვალოს სხვათა ზემოქმედების ეფექტები.

- ცოცხალი არსებების (მათ ორის ადამიანების) არსებითი ინდივიდუალური განსხვავება გარემო ზემოქმედების მგრძნობელობაზე და არასასურველი ცვლილებებისდმი წინააღმდეგობის გაწევაზე.

- ადამიანების პოპულაცირ დახასიათებებში ცვლილებების ვადის გაგრძელების (ხანგრძლივობის) ხასიათი.

ამგავარდ, ეკოლოგიური რისკისა და საფრთხის ნორმირება ეფუძნება როგორც საფთხის წარმოქმნის წყაროების შეფასებას, ასევე ბუნებრივი ეკოსისტემების მდგრადობისა და ეკოლოგიურობის ტევადობის გამოკვლევებს, ასევე „ადამიანთა ორგანიზმების გაძლიერებას" – გომეოსტატიკურობის რეგულაციიის უნარს.

ეკოლოგიური უსაფრთხოების და რისკის შემცირების კონცეფცია ეფუძნება ბუნებრივი ეკოსისტემების თვითრეგულირებისა და თვით გაწმენდის უნარს. ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ავტომატურად რეგულირებას იმგვარად, რომ შენარჩუნებული იქნას წყლის, ნიდაგის და ჰაერის ხარისხი, ცოცხალი არსებების მიერ მათი გამოყენების ვარგისიანობა შეუძლია მხოლოდ ბიოტას. ეს მიიღწევა ორგანიზმების რიცხოვნების რეგულაციითა მრავალფეროვანი მექანიზმებით, თვითეულ მათგანს განსაკუთრებული როლი აკისრია ბიოსფეროში, ბიოგენურ ნივთიერებათა ცვლაში (წრიულ მოძრაობაში).

ეკოლოგიური უსაფრთხოება სახელმწიფოთა და თვითეული ცალკეული ადამიანის უსაფრთხოების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

ეკოლოგიურ რისკსა და საფრთხის შემცირებას ემსახურება „ეკოგანვითარების" ძირითადი პრინციპები ე.ი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომელიც მიმართულია ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებასა და აღდგენაზე:

- ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ბიომრავლფეროვნების შენარჩუნება და აღდგენა;

- ადამიანთა პოპულაციის ჯანმრთელობისა და გენოფონდის დაცვა;

- ადამიანის ბუნებრივი (ბიოლოგიურად განპირობებული) მოთხოვნილებების დაკამყოფილებისას ბუნებისადმი და ეკოლოგიური გაუნათლებლობისადმი სამომხმარებლო ურთიერთობის დაძლევა.

- წარმოების დაგეგმვა და განვითარება ბუნებრივი ეკოსისტემების თვითაღდგენის ტევადობის და უნარის შესაბამისად;

- ეკოლოგიურ იმპერატივთა გლობალური მოთხოვნების უპირატესობა რეგიონული ბუნებათსარგებლობის საჭიროებათა ურთიერთობებზე;

- აღუდგენელი ბუნებრივი რესურსების გამოყენების ჩანაცვლება აღდგენითით;

- მიწების რეკულტივაცია, ბიოლოგიური რესურსების აღდგენა;

- საზოგადოებრივი განვითარების ეკოლოგ-ეკონომიური დაბალანსება

ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების ეკონომიკური სტიმულირება;

რისკების მართვა ეკოლოგიური საფრთხეების ფორმირებისა და ზემოქმედებისას მოიცავს ორგანიზაციულ ტექნიკურ ღონისძიებათა გამოყენებას.

ამგვარად, ეკოლოგიური უსაფრთხოება ესაა სახელმწიფოს უნარი,თვისება გაკონტროლოს, შეამციროს და აიცილოს სხვადსხვა მაშტაბის ეკოლოგიური საფრთხეები, რომლებიც გამოვლენილი და შეფარებულია მეცნიერული მეთოდებით, საზოაგდოების კეთილდღეობისა და ადამიანთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის. პოლიტიკური ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობისათვის.

თანამედროვე პირობებში ერთ-ერთ ყველაზე ხელმისწვდომ და გავრცელებულ მიმართულებას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემომცველ გარემოს სხვადასხვა ასპექტების ზემოქმედებისა, წარმოადგენს ფაქტორული მიდგომა ე.ი ყურადღების გამახვილება რისკის იმ ფაქტორებზე, რომელიც უშუალოდ იწვევს ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესებას.

ამრიგად, ეკოტურიზმის მომსხურებაზე მომუშავე ფირმების ეკონომიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, მის მთავარ ინტერსს, მომსახურების რაც შეიძლება დიდი რაოდენობით შეთავაზებასთან ერთდ გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყანში ეკოტურიზმის განვითარებისა და გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მოთხოვნები, ეკოტურიზმის პრინციპები. რომელიც ეფუძნება კაცობრიობის მის-

წრაფებას მიაღწიოს ტერიტორიის მდგრად განვითარებას, ბიო და სოციო-კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

12.12 ტურიზმი და მატერიალური კულტურის ძეგლები

კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის,კულტურის,ეთნოგრაფიის,მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.

ბეთსი ჰასკელი (ტურიზმის კომიტეტი, ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში. აშშ.) საქართველოს კულტურის ძეგლების სიმრავლის შესახებ აღნიშავს, რომ „საქართველოში ნებისმიერი, ვინც სამ ოთხ მეტრზე მიწას გათხრის, ქვეყნის თითქმის ყველა მხარეში V ან VI საუკუნის ნაქალაქარს ან ნასოფლარს აღმოაჩენს, ამას საქართველოს მრავალფეროვანი ტოპოგრაფიაც ემატება, დაწყებული კავკასიის ქედის უმაღლესი მწერვალებიდან, დამთავრებული დავით გარეჯის მონასტრის უდაბნო შემოგარენით.

ტურიზმში კულტურის ძეგლების გამოყენების შესახებ არსებულ პრობლემებზე ქართველ მეცნიერთაგან პირველმა შალვა ამირანაშვილმა გაამახვილა ყურადღება ნაშრომში „ტურიზმი და მატერიალური კულტურის ძეგლები“ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტურიზმში ძეგლის, როგორც საჩვენებელი ობიექტის ჩვენების საკითხებს.

ის განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ქვეყნის აღმშენებლობის პერიოდში კულტურული ძეგლების მიმართ ფრთხილ მოპყრობაზე, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც აღმშენებლობის განვითარება მათ მოსპობას აუცილებელს ხდის. „ამ შემთხვევაში ნივთიერი კულტურის ისტორიკოსებმა უნდა გაარკვიონ რა და როგორი სახით უნდა იყოს დაცული განადგურებისაგან და თუ მათი მოშლა აუცილებლად საჭირო ხდება, უნდა იყოს ყოველი ძეგლი წინასწარ ზედმიწევნით შესწავლილი.“

ამავე ნაშრომში შალვა ამირანაშვილი ყურადღებას ამახვილებს ტურისტების როლზე კულტურის ძეგლების პროპაგანდაში „ტურისტებს უნდა დაევალოს: გასწიონ ადგილობრივ, სათანადო პროპაგანდა ნივთიერი კულტურის ძეგლთა მნიშვნელობის შესახებ, გააცნონ

მშრომელ მასებს რა ზომებია საჭირო მათი დაცვისათვის, გააკეთონ სათანადო მოხსენებები და სხვა.“

ჩემი აზრით ამ მოსაზრებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, მართლაც საინტერესო იქნება თუ ტურისტები კულტურული ძეგლების მონახულების მერე გააკეთებენ მოხსენებებს მათ ირგვლივ,

რაც ხელს შეუწყობს ამ ძეგლების შემდგომ პოპულარიზაციას.

ამავე ნაშრომში მოცემულია ის საფრთხეები, რომლებიც მატერიალური კულტურის ძეგლების მოსპობას იწვევს. „მატერიალური კულტურების ძეგლებს საფრთხეს უქადის აღმშენებლობა----- აღმშენებლობის ის დიდი მაშტაბები და ტემპი, რომელიც ახასიათებს ჩვენს ეპოქას.“.

მატერიალური კულტურის ძეგლების დაღუპვის მთავარ მიზეზად შეუგნებლობასა და უვიცობას მიიჩნევს, „ბევრს დღესაც კი არ აქვს სათანადოდ შეგნებული, როგორ ძვირფას ისტორიულ მასალას და წყაროს წარმოადგენენ მატერიალური კულტურის ძეგლები. შემთხვევით აღმოჩენილ ძეგლებს ცუდად ეპყრობიან, არ იციან მათი მეცნიერული ღირებულება, ამტვრევენ და ანადგურებენ. სამწუხაროდ არის შემთხვევები, რომ ხშირად თვით ექსკურსანტებს და ტურისტების ერთ ნაწილს არა აქვს შეგნებული ისტორიული ძეგლების მატერიალური მნიშვნელობა. საჭიროა ფართოდ მოეწყოს პროპაგანდა მატერიალური კულტურის ძეგლების მნიშვნელობის შესახებ, დაიბეჭდოს პოპულარული ლიტერატურა და სხვა“

კულტურულ ტურიზმში მნიშვნელოვანია ატრაქციებისათვის ხარისხის მინიჭების საკითხი, რომელიც მრავალ ქვეყანაში განსჯის საგანია. ტურისტულ ატრაქციებში პირველ რიგში იკვეთება იუნესკოს მიერ აღიარებული ძეგლები. ტურიზმის, როგორც დარგის განვითარებისათვის მსოფლიო მემკვიდრეობა წარმოადგენს მყიფე, არაგანახლებად შეუცვლელ რესურსს, რომელიც საჭიროებს დაცვას. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პირველად გაჟღერდა 1972 წელს ნოემბერში პარიზში იუნესკოს მეთექვსმეტე გენერალურ კონფერენციაზე. მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია, უფრო ზუსტად, მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია UNESCO-ს ერთ-ერთი წარმატებათაგანია, რადგანაც უკვე 1998 წელს მას 150 ქვეყანა შეუერთდა და 500 ძეგლი იყო შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. ეს ნუსხა შესანიშნავი იარაღია კაცობრიობის საზიარო მემ-

კვიდრეობის განდიდებისა, მისი ღირშესანიშნავი ადგილების „განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულებების შეცნობის გზით.

კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ნუსხაში შესულ ღირშესანიშნავი ადგილებისადმი, მაგრამ ის ამავდროულად თანაბრად სასარგებლოა მსოფლიოში არსებული მთელი კულტურული მემკვიდრეობისათვის -განურჩევლად იმისა, იქნება ის დიდი, თუ მოკრძალებული მნიშვნელობისა. კონვენცია სასარგებლოა იმ კუთხითაც, რომ: ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა მსოფლიო მემკვიდრეობის ღირშესანიშნავი ადგილების მოვლა-პატრონობისა თუ კონსერვაციაში, შესაძლოა აგრეთვე გამოყენებულ იქნეს კულტურული მემკვიდრეობის მქონე ყველა სხვა ღირშესანიშნავ ძეგებზე.

ქვეყნის სპეციფიკის შესაბამისად კონვენციის ყოველი წევრი მისი ტერიტორიის ფარგლებში კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის, კონსერვაციისა და პრეზენტაციისათვის შეძლებისდაგვარად უნდა ეცადოს:

- მიღებულ იქნას ზოგადი პოლიტიკა, რომლის მიზანი იქნება კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას მიანიჭოს ფუნქცია საზოგადოებრივ ცხოვრენაში და მოახდინოს ამ მემკვიდრეობის დაცვის ინტეგრაცია დაგეგმვის ყოვლისმოცველ პროგრამაში;

- მიღებულ იქნას შესაბამისი სამართლებრივი, სამეცნიერო, ტექნიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური ზომები, საჭირო ამ მემკვიდრეობის იდენთიფიკაციისათვის, დაცვისა და რეაბილიტაცისათვის.

კონვენცია შესანიშნავი იარაღია საერთაშორისო თანამშრომლობაში. იგი ეფუძნება იმ ძირითად ძალისხმევას, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნებსა და სხვადასხვა დაინტერესებული უწყებების თანამშრომლობას, რათა განდიდებულ იქნეს საერთო კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი ასპექტები.

კონვენციის მოქმედება ხორციელდება მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ (Worid Heritage Committee). ეს ადმინისტრაციული ერთეული ჩამოყალიბდა 1992 წლის ივნისში. ის საჭირო რჩევებს კულტურულ მემკვიდრეობაზე ღებულობს საკონსულტაციო ერთეულებისაგან ICOMOS და ICCROM-ისგან, ხოლო ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ კი მსოფლიო კონსერვაციის კავშირისაგან (IVCN).

სამოქმედო პრინციპები აღწერს იმ საფუძვლებს, რომლის მიხედვით

ICOMOS-მა და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა უნდა განსაზღვრონ ამა თუ იმ ღირშესანისნავი ადგილის ნუსხაში შეტანის საკითხი.

ღირშესანიშნავმა ადგილებმა სამი ერთნაირად მნიშვნელოვანი პირობა უნდა დააკმაყოფილონ:

- უნდა გაჩნდეთ განსაკუთრებულიუნივერსალური ღირებულება;
- მათ უნდა გაიარონ ავთენტურობის ტესტი;
- ისინი უნდა იყვნენ ადეკვატურად დაცული.

მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ხვდებიან, მხოლოდ ის ძეგლები, რომლებსაც კომისიის აზრით უნივერსალური მნიშვნელობა აქვს ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით. არჩევის გადაწყვეტისას გათვალისწინებული იქნება ძეგლის ორიგინალურობა, ავთენტურობა (ისტორიული ნამდვილობა) და მისი ერთიანობა (მთლიანობა). გარდა ამისა ძეგლი უნდა აკმაყოფილებდეს იუნესკოს ერთ ან რამოდენიმე კრიტერიუმს ათიდან. 2005 წლის დასაწყისამდე კულტურული და ბუნების ძეგლებისათვის კრიტერიუმები ცალ-ცალკე იყო, 2005 წლის შემდეგ კი ყოველი ძეგლისათვის საერთო კრიტერიუმები შემუშავდა. სწორედ ამის გამოა, რომ შერჩეული ძეგლთა უმრავლესობა აკმაყოფილებს, მხოლოდ ან პირველ ექვს კრიტერიუმს ან მხოლოდ ბოლო ოთხს (VII-X), თუმცა 29 ძეგლი არის ისეთი, რომელიც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს ორივე ნაწილიდან.

განვიხილოთ კულტურული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც:

I. ობიექტი წარმოადგენს კაცობრიობის შემოქმედებითი გენიის შედევრს;

II. ძეგლი წარმოაჩენს დროთა განმავლობაში ან მსოფლიოს კულტურული არეალის შიგნით დაგროვილ მნიშვნელოვან ადამიანურ ფასეულობებს, არქიტექტურისა და ტექნოლოგიების განვითარებას, მონუმენტურ ხელოვნებას, ქალაქდაგეგმარებას ან ლანდშაფტის დაგეგმარებას;

III. ძეგლი წარმოადგენს არსებული ან გადაშენებული კულტურის ორიგინალურ, ან მინიმუმ განსაკუთრებულ ნიმუშებს;

IV. ძეგლი წარმოადგენს ნაგებობათა გარკვეულ ტიპს, არქიტექტურული ან ტექნოლოგიური ანსამბლის, ან ლანდშაფტის განუმეორებელ საუკეთესო ნიმუშს, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ერთ ან რამდენიმე მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას უკავშირდება;

V. ძეგლი წარმოადგენს ადამიანის დასახლების გარკვეული ტიპის მიწის ან ზღვის გამოყენების განსაკუთრებულ საუკეთესო ნიმუშს, რომელიც ერთი ან რამოდენიმე ცნობილი კულტურისათვის ტიპიურია, ან ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედებას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში თუ შეუჩერებელი ცვლილებების გმო ძეგლს გაქრობა ემუქრება;

VI. ძეგლი უშუალოდაა დაკავშირებული მოვლენებთან ტრადიციული ცხოვრების წესთან, იდეებთან ან რელიგიურ რწმენასთან, ხელოვნებასა და ლიტერატურულ ნაწარმოებებთან, რომელსაც განსაკუთრებული უნივერსალური მნიშვნელობა აქვთ (კომიტეტი თანხმდება, რომ ეს კრიტერიუმი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ ძეგლი სხვა რომელიმე კრიტერიუმსაც აკმაყოფილებს).

- ბუნებრივი კრიტერიუმებია:

VII. ობიექტი წარმოადგენს ბუნების საოცრებას, ან ტერიტორიას, რომელსაც აქვს გამორჩეული სილამაზე და ესთეტიკური მნიშვნელობა;

VIII ობიექტი წარმოადგენს დედამიწის ისტორიის მთავარი ეტაპის გამორჩეულ მაგალითს, მათ შორის წარსულის ძეგლები, რომლებიც წარმოადგენენ სიმბოლოს გეოლოგიური პროცესებისა და რელიეფის განვითარებისა ან გეომორფოლოგიურ და ფიზიოგეოგრაფიულ თავისებურებას;

IX. ობიექტი წარმოადგენს ხმელეთის, მტკნარი წყლის, ყურეებისა და ზღვების ეკოსისტემების, ასევე ფლორისა და ფაუნის განვითარებისა და ევოლუციის გამორჩეულ და მნიშვნელოვან მაგალითს გარკვეულ ეკოლოგიურ და ბიოლოგიურ პროცესებში;

X. ობიექტი წარმოადგენს დედამიწაზე არსებულ უმნიშვნელოვანეს ტიპურ საცხოვრებელ ტექრიტორიას, მათ შორის ისეთებს, რომლებიც შეიცავენ გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, რომლებიც მეცნიერული საფუძვლების და მათი შენარჩუნების აუცილებლობის გამო ძვირფასნი არიან.

ობიექტები, რომლებიც მიჩნეულ იქნებიან უნივერსალური ფასულობის მატარებლად გაივლიან ავთენტურობის ტესტს, მოეთხოვებათ აგრეთვე იყვნენ დაცულნი ადეკვატური მენეჯმენტით, სამართლებრივი და ტრადიციული მექანიზმებით. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს სამართლებრივი დაცვის არსებობას შესაბამის სამთავრობო დონეზე.

ეფექტური მენეჯმენტისათვის ადმინისტრაციულ მოწყობას, ობიექ-ტის მოვლისა და მოფრთხილების ტრადიციულ ზომებს.

კულტურული მემკვიდრეობა მუდამ საფრთხის წინაშეა, როგორც კატაკლიზმების, ყოველდღიური ცვეთისა ასევე დაშლის გამო. ამიტომ დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს კატასტროფებისათვის მზადყოფნასა და მოვლას. საკითხისადმი ასეთი მიდგომა არა მარტო აადვილებს თანხების დაბანდებას რისკების შესამცირებლად, არამედ ამცირებს ძეგლზე ჩარევის რაოდენობასაც.

1996 წელს ივლისში დაარსდა ბლუ შილდის საერთაშორისო კომი-ტეტი. იგი ჩაფიქრებულია როგორც ანალოგი წითელი ჯვრის საერთა-შორისო კომიტეტისა, რომელიც დაფუძნებულია ჟენევის კონვენციის ფარგლებში საგანგებო ვითარებაში დახმარების აღმოსაჩენად.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირშესანიშნავი ადგილების დაცვის მიზანია მათი ავთენტურობის და იმ ღირებულებების შენარჩუნება, რომელთა გამოც მათ მიენიჭება ეს სტატუსი. შესაბამისად, ნებისმიე-რი მკურნალობა უნდა დაეფუძნოს მინიმალური ჩარევის სტრატეგიას და უნდა მოიცავდეს რეგულარული და პრევენციული მოვლის პროგ-რამას. ჩარევის ოდენობა და გამოყენებული ტექნოლოგია დამოკიდე-ბულია, როგორც თავად ობიექტზე ასევე მისი გარემოს კონტექსტსა და მასზე მოქმედ კლიმატურ პირობებზე.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირშესანიშნავი ადგილების წარმატე-ბული მკურნალობა დამოკიდებულია შეფასების ეფექტურ პროცესზე. მკურნალობის ტიპები იცვლება ძეგლის ან ღირშესანიშნავი ადგილის მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც ეფუძნება კრიტიკულ მსჯე-ლობას. ნებისმიერი სახის მკურნაობის დაგეგმვისას უაღრესად მნიშ-ვნელოვანია იმ კონკრეტული ღირებულებების გათვალისწინება, რო-მელთა გამოც ღირშესანიშნავ ადგილს მიენიჭა მსოფლიო მემკვიდრე-ობის სტატუსი. შესაბამისად მკურნალობის პრიორიტეტი უნდა დად-გინდეს საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად და მომზადდეს სათანადო სამოქმედო გეგმები.

მსოფლიო მემკვიდრეობის ღირშესანიშნავი ადგილების რესტავ-რაცია და ანასტილოზის -(ანასტილოზი ბერძ. -ისევ თავიდან დადგმა, რესტავრაციის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც დანგრეული ისტორიუ-ლი ძეგლის მისივე შენარჩუნებული ორიგინალური ნაწილების გამოყე-

ნებით აღდგენას ითვალისწინებს. ანასტილოზის კრიტერიუმების ვენეციის ქარტიითაა დადგენილი. ჩამოცვენილი ნაწილების ზუსტი ადგილმდებარეობა და მათი ზედმიწევნით გამოკვლევა აუცილებელია. დაუშვებელია მათი ჰიპოთეტურად გამოყენება რეკონსტრუქციის სამუშაოებში. პირველად ანასტილოზის მეთოდი მე-19 საუკუნეში, ათენის აკროპოლისშია გამოყენებული) წინადადება, რომელიც ზეგავლენას ახდენს მის გარემოზე, წარდგენილი უნდა იყოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტში განსახილველად. ფუნდამენტური სტრატეგია უნდა უზრუნველყოფდეს მინიმალური ჩარევის პრინციპს, რომელიც ეფუძნება რეგულარულ შემოწმებას და პრევენციულ მოვლას.

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციით ადაპტირებული საერთაშორისო ორგანიზაციებია:

1. კულტურული მემკვიდრეობის სწავლის, დაცვისა და რესტავრაციის საერთაშორისო ცენტრი (ICCROM);
2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ღირშესანისნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო (IKOMOS);
3. ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (IUVN)

იუნესკო, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უწყება, რომელიც განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამებითაა ცნობილი. თუ რომელიმე ძეგლი, შენობა ან ტრადიცია, კერძი ან თამაშობა იუნესკოს მისიის სიაშია, მას არათუ გაქრობის საფრთხე აღარ ემუქრება, არამედ გაძლიერდება, პოპულარიზება და დაცვა გარანტირებული აქვს.

2013 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა “UNESCO”-ს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „დაკარგული ტექნოლოგიების კვალდაკვალ-ტიხროვანი მინანქარი“-ს გამოფენა-პრეზენტაცია.

ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაშია. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომისიის მე-8 სესიაზე (ქ. ბაქო) მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს მიერ წარდგენილი ნომინაციის „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდის

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეტანის თაობაზე“.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში მსოფლიო მაშტაბით 878 ძეგლია შეტანილი მათ შორის საქართველოში იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სია მოიცავს სამ ძეგლს:

1. მცხეთის ისტორიული მონუმენტები-სვეტიცხოველი მდებარეობს მცხეთაში დაარსების თარიღი 1010-1029 წწ. სიაში შევიდა 1994 წელს. ჯვრის მონასტერი მდებარეობს მცხეთაში დაარსების თარიღი 586-604 წწ. სიაში შევიდა 1994 წელს.

2. ბაგრატის ტაძარი მდებარეობს ქუთაისსი, დაარსების თარიღი XII საუკუნე. 1003, სიაში შევიდა 1994 წელს. გელათის მონასტერი მდებარეობს ქუთაისში, დაარსების თარიღი XIIს. სიაში შევიდა 1994 წელს.

3. ზემო სვანეთი, მდებარეობს ჩაჟაში, სიაში სევიდა 1996 წელს.

2007 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა სპორტის სამინისტრომ იუნესკოს წევრობის კანდიდატად წარუდგინა 15 ისტორიული და ბუნებრივი ძეგლი:

1. ალავერდი-მდებარეობს კახეთში, ქალაქი ახმეტა დაარსების თარიღი XI საუკუნე;

2. ანანურის ციხე-მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დაარსების თარიღი XVI-XVIII;

3. კოლხეთის ეკოსისტემა-მდებარეობს გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა;

4. დავით გარეჯი-მდებარეობს კახეთში, დაარსების თარიღი VI საუკუნე;

5. დმანისი-მდებარეობს ქვემო ქართლში;

6. გრემი-მდებარეობს კახეთში, უახლოესი ქალაქი ყვარელი, XVI საუკუნე;

7. კვეტერა-მდებარეობს კახეთში, უახლოესი ქალაქი თელავი, X საუკუნე;

8. მთა-თუშეთი- მდებარეობს კახეთში;

9. ნიკორწმინდა-უახლესი ქალაქი ამბროლაური, დაარსების თარიღი XVI_XVII საუკუნე;

10. სამთავისი -უახლოესი ქალაქი გორი, დაარსებულია XI საუკუნეში;

11. შატილი-მცხეთა- მთიანეთის მხარეში, დაარსებულია XVI საუკუნეში;

12. ძველი თბილისი- XVI საუკუნე;

13. უფლის ციხე-უახლოესი ქალაქი გორი, დაარსებულია ძვ.წ. II_I ათასწლეულში;

14. ვანი- მდებარეობს იმერეთის მხარეში, დაარსებულია ძვ.წ. VII_Iსაუკუნეში;

15. ვარძია-ხერთვისის ციხე მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის მხარეში დაარსებულია X_XVI საუკუნეში.

საქართველოს 1999 წლის 25 ივნის მიღებული კანონის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" კულტურული მემკვიდრეობა განხილულია, როგორც კულტურის ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში დაიმკვიდრა, შეინარჩუნა ან აღიდგინა ფასეუობის მნიშვნეობა და რომელიც გადაეცემა თაობიდა თაობას.[1]

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2006 წლის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ძირითადი მიმართულებებია:

1. საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა;
2. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა;
3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ინვენტარიზაცია;
4. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციის პროგრამა;
5. სამუზეუმო რეფორმა საქართველოს მუზეუმების რეაბილიტაცია და მართვის სისტემების გაუმჯობესება;
6. დასავლეთთან ინტეგრაცია და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში;
7. კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგი საქართველოს მტელ ტერიტორიაზე;
8. კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა;
9. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის განსაკუთრებით კი კულტურული ტურიზმის განვითარებაში დიდია მატერიალური კულტურის ძრგლების როლი და მნიშვნელობა. რო-

მელთა რაოდენობა მეტად დიდია, თითქმის არა არის მხარე, სოფელი სადაც მატერიალური ძეგლი არ იყოს. საქართველოს კულტურული ტურიზმის ტურები კი მოიცავს ერთხელ ამორჩეულ უფრო ცნობად ობიექტებს და არავინ ცდილობს სიახლის შეტანას და ინოვაციური მეთოდების დანერგვას.

ბრაზილიელი მწერალი პაულო კოელიო მოგზაურებს სთავაზობს რჩევებს, სადაც მოყვანილია ამერიკელი მწერლის ჰენრი მილერის სიტყვები უცნობი ძეგლების შესახებ: ,,უმჯობესია შენთვის უცნობი ეკლესია აღმოაჩინო, რომელზეც ადრე არავის სმენია, ვიდრე გაემგზავრო რომში და თავს ვალდებულად თვლიდე სიქსტის კაპელა დაათვალიერო; ისიც ნახე, მაგრამ იხეტიალე ქუჩებში, იგრძენი თავისუფლება და იპოვე ის რაზეც შენ ჯერ კიდევ არაფერი იცი და რასაც შენი ცხოვრების შეცვლა შეუძლია‘‘.

12.13. სოციალური სახელმწიფოს თეორიული წარმოშობა

,,სოციალური სახელმწიფოს‘‘ ცნება პირველად შემოიტანა გერმანელმა მეცნიერებმა ლორენც ფონ შტაინმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

,,სოციალური სახელმწიფოსადმი‘‘ ინტერესის გააქტიურებამ ხელი შეუწყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში (1949წ) შეტანილმა დებულებამ ,,ქვეყნის დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მოწყობის‘‘ შესახებ. სოციალური სახელმწიფოს ცნება გერმანელი მეცნიერების ინტერპრეტაციით ნიშნავდა სახელმწიფოს აქტიურ სწრაფვას შეექმნა ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების დონის გარანტიერბი, აგრეთვე დაეკმაყოფილებინა საზოგადოების ყველა ფენის საბაზრო მოთხოვნილებები არსებული სტანდარტების შესაბამისად. ,,სოციალური სახელმწიფოს‘‘ ცნება ჩნდება ევროპისა და მთლიანად მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციაში. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ინგლისურენოვან ქვეყნებში, სადაც სამეცნიერო ლიტერატურაში, პრაქტიკაში შემოვიდა ,,კეთილდღეობის სახელმწიფოს‘‘ ცნება. ეს ტერმინი უფრო ფართოდ გამოიყენებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მანამდე არსებული თავისუფალი მეწარმეობის კაპიტალიზმი ეფუძნებოდა ინდივიდუალიზმის, თავისუფალი

ბაზრის, თავისუფალი კონკურენციის და ა.შ. იდეებს. თვით ეს იდეები მჭიდროდაა დაკავშირებული თითოეული ადამიანის უფლებასთან სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და კერძო საკუთრებაზე.

კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფციების შემუშავებისა და რეალიზაციაში თავისი წვლილი შეიტანეს დასავლეთის ყველა ძირითადი იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობის – ლიბერალიზმის, სოციალ-დემოკრატიის და კონსერვატიზმის წარმომადგენლებმა. დასავლეთ ევროპის რიგი გამოჩენილი კონსერვატიული მოღვაწე, მაგ ო. ბისმარკი გერმანიაში, ბ. დიზრაელი ინგლისში და სხვები სამართლიანად ითვლებიან კეთილდღეობის სახელმწიფოს ფუძემდებლებად, თუმცა დასავლეთ ევროპაში მის ფორმირებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა სოციალ-დემოკრატიამ. ცნობილი გერმანელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი რ. დარენდორფი XX საუკუნის სოციალ-დემოკრატიის საუკუნეს უწოდებდა.

სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და სოციალური დახმარების პრინციპების დამკვიდრების კვალობაზე ადგილი ჰქონდა კეთილდღეობის სახელმწიფოს ეროვნული ვარიანტების ტიპოლოგიზაციას, რომელსაც საფუძვლად ედო „კეთილდღეობის კაპიტალიზმის“ ტიპებად დაყოფა სოციალური დანახარჯების დონეების შედარების გზით, ამის კვალობაზე შვედეთი ხასიათდება ყველაზე მაღალი დონით, დიდი ბრიტანეთი საშუალო დონით, ხოლო აშშ-ი დაბალი დონით. ამ კლასიფიკაციის მიხედვით აშშ წარმოადგენს „პოზიტიურ სახელმწიფოს“, სადაც ნებისმიერი სოციალური დანახარჯები მიზნად ისახავენ ერთი მხრივ საბაზრო სისტემის განმტკიცებას, უზრუნველყოფენ შრომით სტაჟთან დაკავშირებულ სოციალურ დაზღვევას და მეორე მხრივ დახმარებას უწევენ უმუშევრებს და ნაწილობრივ მომუშავე ღარიბებს.

შვედეთი წარმოადგენს „სოციალური თანასწორობის სახელმწიფოს“ სადაც ჭარბობს გადანაწილების პრინციპი მოთხოვნილებების შესაბამისად. აქ შედეგების მეტი თანასწორობის მიღწევა წარმოადგენს ოფიციალურად დეკლარირებულ გრძელვადიან მიზანს.

დიდი მბრიტანეთი განიხილება როგორც „სოციალური დაზღვევის სახელმწიფო“, რომელსაც შუალედური მდგომარეობა ეჭირა შვედეთსა და აშშ-ს შორის. აქ გამოიყენება მატერიალური დოვლათის მინიმუმით უზრუნველყოფა, შრომის სტაჟის, პროფესიონალური სტატუსის და ა.შ. მიუხედავად.

1977 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ფ. ნორმანმა და ტ. ტიმოტიმ ნაშრომში „კეთილდღეობის სახელმწიფო“ გამოყვეს სამი სახესხვაობა:

1. „პოზიტიური სახელმწიფო“ – ესაა სოციალური დაცვის სახელმწიფო, დამყარებული ინდივიდუალიზმის იდეოლოგიასა და კორპორაციული ინტერესების დაცვაზე, რაც არ იძლევა ყველა ფენის დაცულობის მაღალი დონის გარანტიას. ამ მოდელის მაგალითად ავტორებს აშშ-ი მიაჩნიათ.

2. „სოციალური უსაფრთხოების სახელმწიფო“ უზრუნველყოფს მოსახლეობის სრულ დასაქმებას შემოსავლებით არანაკლებ საარსებო მინიმუმისა და იძლევა სოციალური შესაძლებლობების თანასწორობის გარანტიას და არა მატერიალურ თანასწორობას. ამის მაგალითად მოჰყავთ დიდი ბრიტანეთი.

3. „საყოველთაო კეთილდღეობის სოციალური სახელმწიფო“ – მასში რეალიზდება თანსწორობის, სოლიდარობის, კორპორატივიზმის პრინციპები. აქტიურად ტარდება სოციალური პოლიტიკა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურების მეშვეობით ამცირებს სხვაობას მოსახლეობის შემოსავლებში.

პლანკის სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლის ი. ალბერის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგიის მიხედვით გამოიყო კეთილდღეობის სახელმწიფოს რამდენიმე ტიპი. მაგ: იგი დასავლეთ ევროპაში განასხვავებს მის სკანდინავიურ და ანგლოსაქსონურ ვარიანტს (დანია, ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ირლნდია), ერთი მხრივ და კონტინენტალურ ვარიანტს (ბელგია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, გერმანია, შვეიცარია) მეორე მხრივ.

პირველი ყურადღებას ამახვილებს უფრო სოციალურ მომსახურებაზე, ვიდრე სოციალურ სატრანსფერტო ანარიცხებზე, ხოლო მეორე, ხელფასთან და სოციალური სტატუსის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ სოციალურ სატრანსფერტო ანარიცხებზე. მისი აზრით, კეთილდღეობის სახელმწიფოს განსხვავებული ორგანიზაციიულ და ინსტიტოციონალურ სისტემებს, ისევე როგორც განსხვავებულ ეროვნულ პოლიტიკურ ტრადიციებს.

არსებობს აგრეთვე „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ სოციალურ-დემოკრატიული; ლიბერალურ-რეფორმული და კონსერვატიული კონცეფციების გამოყოფის მცდელობები. პირველი ორი აიგო პოსტულატ-

ზე, რომლის თანახმადაც კეთილდღეობის სახელმწიფოს ერთ-ერთი მიზანი მდგომარეობს დემოკრატიის გაფართოებაში. ყველა მოქალაქეზე არა მარტო იურიდიული და პოლიტიკური, არამედ სოციალური უფლებების წარდგენაში შემოსავლების სამართლიან გადანაწილებაზე.

მათი ავტორები და მიმდევრები გამომდინარეობენ იდეიდან, რომლის თანახმადაც თითოეულ ინდივიდს უფლება აქვს ცხოვრების ღირსეულ დონეზე, განათლებაზე, ბინაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, სოციალურ მომსახურებებზე და ა.შ. ამგვარი მიდგომის საფუძველზე შემუშავდა და განხორციელდა სოციალური დახმარების მსხვილი პროგრამები, რომელზედაც დაიხარჯა სოლიდური თანხები.

კეთილდღეობის სახელმწიფოს მომხრეებს თავიანთი პოზიციების დასაცავად მოჰყავთ არგუმენტები, რომ შეუზღუდავი ბაზარი სახელმწიფოებრივი ჩარევის გარეშე იწვევს თავისუფლების შეზღუდვას და უსამართლობის გაზრდას. მათი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ კეთილდღეობის სახელმწიფო, რომელიც მიისწრაფვის ამა თუ იმ ხარისხით გადანაწილებისაკენ, წარმოადგენს ნაკლებად პრივილეგილებურთა თავისუფლების გაზრდისა და უსამართლობის გამოსწორების საშუალებას.

12.14. სოციალური ინფრასტრუქტურის არსი

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების საფუძველზე, მატერიალური ნივთობრივი წარმოებიდან გამოიყო ეკონომიკის დამოუკიდებელი სფერო – ინფრასტრუქტურა.

ინფრასტრუქტურის დარგები აწარმოებენ არა მატერიალურ პროდუქტს, არამედ მომსახურებას. ამიტომ მას მომსახურების სფეროს მიაკუთვნებენ. საერთაშორისო დარგობრივი თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვიძთ, მომსახურების სფერო ეკონომიკის მესამე სექტორად არის აღიარებული. პირველ სექტორად მიჩნეულია სოფლის მეურნეობა (მასთან ერთად: ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა), ხოლო მეორე სექტორად ინდუსტრია (სამთომოპოვებითი, გადამაუშავებელი მრეწველობა და მშენებლობა).

მომსახურების სფერო, როგორც სხვადასხვა და იმავდროულად უეთიერთრთ-დაკავშირებულ დარგთა ერთობლიობა, ჩამოყალიბდა შედარებით გვიან, ვიდრე მატერიალური წარმოების სფერო. ამასთან, მომსა-

ხურების სფეროს ზოგიერთი დარგი წარმოიშვა შორეულ წარსულში, ზოგი თანამედროვე პირობებში. საზოგადიების განვითარების ადრეულ საფეხურზე იგი არ იყო გამიჯნული მატერიალურუი წარმოებისაგან და ამ სფეროს მომსახურებაზე ყველა მოთხოვნილება უშუალოდ კმაყოფილდებოდა მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა მიერ. მხოლოდ მწარმოებლურ ძალთა შედარებით მაღალ საფეხურზე დაიწყო მომსახურების სფეროს გამოყოფა. მისი განვითარება, ფუნქციონირების განმსაზღვრელი საფუძველი, ეკონომიკური მწარმოებლური ძალების განვითარება და ამის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის ზრდაა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე მაშტაბები განაპირობებენ მომსახურების სფეროს რიგი ახალი დარგების სწრაფ განვითარებას. ქართველი მეცნიერი ლეო ჩიქავას აზრით: ,,მომსახურების სფერო წარმოადგენს ამ დარგებისა და საქმიანობათა ერთობლიობას, რომელთა პროდუქცია მომსახურების სახით აკმაყოფილებს ადამიანთა სპეციფიკკურ მოთხოვნილებებს. თანაც, ზოგიერთი

მათგანის (ცოდნა, განათლება, კულტურ და ა.შ.) რაც უფრო კულტურული, განათლებული და განსწავლულია ადამიანი, მით უფრო კარგია, როგორც პირადად მისთვის, ისე მთელი საზოგადიებისათვის.''[1]

განვითარებულ ქვეყნებში ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგ დარგობრივ ჯგუფებად: წარმოებითი, სოციალური, ინსტიტუციური და ეკოლოგიური.

სოციალური ინფრასტრუქტურა დარგთა კომპლექსია, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის აღწარმოებასთან. მასში შედის: ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება, კულტურა, სამგზავრო ტრანსპორტი, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, დასვენების ორგანიზაციის სფერო, საზოგადოებრივი კვება, საოჯახო მეურნეობის მომსახურება და სხვა.

ინფრასტრუქტურა, ფართო გაგებით უზრუნველყოფს, აღწარმოების პროცესის გარეგანი პირობების შექმნას, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი როლი სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში.

სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები ეწევიან განსაკუთრებული ტიპის მომსახურებას, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია ,,საზოგადოებრივი დოვლათის'' სახელწოდებით.

---

[1] ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა თბ. 2006 გვ. 228

ცნობილია, რომ ბაზრის მექანიზმი საშუალებას აძლევს მომხმარებელს დაიკმაყოფილოს მხოლოდ ის მოთხოვნილებები, რომლებიც გამოხატულებას მოთხოვნაში პოვებენ. მაგრამ არსებობს რიგი მოთხოვნილებები, რომელთა გაზომვა ფულით შეუძლებელია, ბაზარი მათზე არ რეაგირებს. ასეთი სახის მოთხოვნილებები უკავშირდება განსაკუთრებული ტიპის საქონელსა და მომსახურებას, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია „საზოგადოებრივი დოვლათის სახელწოდებით". საზოგადოებრივ დოვლათს აკუთვნებენ იმ საქონელსა და მომსახურებას „რომელთა წარმოებას საბაზრო სისტემა საერთოდ არ აპირებს, ვინაიდან მათი თავისებურებები მკვეთრად განსხვავდება ინდივიდუალური მოხმარების საქონლის თავისებურებებისაგან.[1] ერთი სუბიექტის მიერ საზოგადოებრივი დოვლათის მოხმარება არ ზღუდავს სხვა სუბიექტის მიერ მის მოხმარებას.

ჯანდაცვის სფეროში ზოგიერთი სახის საქმიანობა, მაგალითად, მოსახლეობის უზრუნველყოფა სუფთა წყლით და სანიტარული კეთილდღეობით, ბრძოლა დავადებების მატარებლებთან და პროფილაქტიკური ღონისძიებები ინფექციური და პარაზიტული დაავადებების წინააღმდეგ, ითვლება საზოგადოებრივ დოვლათად. ამ დოვლათით სარგებლობისას ძნელია, ან შეუძლებელია იმათი გამორიცხვა, ვინც არ იხდის, ამიტომაც მას, ვინს კერძო საწყისებზე აწარმოებს ამ დოვლათს, არავითარი სტიმული არ გააჩნია და ხშირად უარს ამბობს მასზე.

ამრიგად, საზოგადოებრივი დოვლათის ეკონომიკური მითვისების ადეკვატური ფორმა სახელმწიფო საკუთრება და შესაბამისად საყოველთაო უფასო სარგებლობის იურიდიული უფლებაა. საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სახელმწიფოს პრეროგატივაა.

სოციალური სამართლიანობა გულისხმობს არა მარტო შემოსავლების სამართლიან განაწილებას, არამედ მომსახურების, უფლება-მოვალეობების მეტნაკლებად თანაბარ განაწილებას. სწორედ ბაზრის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, კონკურენციის დაცვას და გარკვეულ ფარგლებში ოპტიმალურ შეზღუდვას შეუძლია უზრუნველყოს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვა, რომელიც განაპირობებს ადამიანების სოციალური დაცვის მეტ-ნაკლებად მყარ სისტემა

[1] ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა თბ. 1993 გვ. 34

12.15. ჯანმრთელობის დაცვა სოციალური ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი დარგია

დიდია ჯანდაცვის როლი სოციალურ და ეკონომიკურ ზრდაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ჯანმრთელობა შრომის მწარმოებლურობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა და ამიტომ უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობასთან.

ჯანდაცვის სფერო პირდაპირ ზემოქმედებს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდაზე, რაც გამოიხატება იმ მატერიალური ზარალის აცილებაში, რომელსაც მიიღებდა ქვეყნის ეკონომიკა, რომ არ ჩატარებულიყო ავადობის, ინვალიდობის საწინააღმდეგო და უდროო სიკვდილიანობასთან ბრძოლის ღონისძიებები.

საბჭოურ პერიოდში უამრავი კვლევა ჩატარდა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაზე ჯანდაცვის ზემოქმედებას ეხებოდა. აკად. ს. სტრუმილინმა კვლევის შედეგების საფუძველზე დაასკვნა, რომ დავადებათა და სიკვდილიანობის შემცირებასა და მასთან დაკავშირებით შრომითი რესურსების ზრდაზე, XX საუკუნის 60-იან წლებში ეროვნული შემოსავლის მატების 20%-ზე მეტი მოდიოდა, გარდა ამისა, ჯანდაცვის სფერო ირიბ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის ეფექტიანობაზე, რაც გამოიხატება გარემოს გაჯანსაღებაში, სამუშაო ძალის აღწარმოებაში და წარმოების სფეროში დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში.

ჯანმრთელობის ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც შემდეგში გამოიხატება: დაავადებათა კლებით მცირდება მუშა-მომსახურეთა ავადმყოფობის მიზეზით სამუშაო დროის დანაკარგები. იზრდება წარმოების მოცულობა;

– ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება უზრუნველყოფს მშრომელთა მყარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. მათ ინტელექტუალურ ფიზიკური პოტენციალის რაციონალურ ჩართვას საწარმოო შემოქმედებით პროცესში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, მექანიზებული, ავტომატიზირებული და ბუნებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე. ეს კი უზრუნველყოფს მუშაკთა საყოფაცხოვრებო-სოციალური პირობებისა და ფსიქოლოგიური ატმოსფე-

როს ოპტიმიზაციას, რაც თავის მხრივ ასტიმულირებს შრომის მწარმოებლურობას და ინტელექტუალური აქტივობის ზრდას. მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კეთილდღეობის ამაღლება ხელს უწყობს შობადობის გაზრდას, ბავშვთა ავადობისა და მოკვდავობის შემცირებას. ყოველივე ეს განაპირობებს შრომითი რესურსების გაფართოებულ აღწარმოებას, სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობის სოციალური ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის ზრდას.

საქართველოში დინამიკაში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ დახმარებაში მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებამ (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი) 2004 წელს 345,8; 2005 წელს -404,0; 2006 წელს 597,5; 2007 წელს 688, 6; 2008 წელს 835,2, ხოლო 2009 წელს კი 1021,4 შეადგინა.

როგორც ვხედავთ აღნიშნული მაჩვენებელი მზარდი ზრდით ხასიათდება დინამიკაში.

განვიხილოთ 2013-2020 წლის პერიოდში საქართველოს ჯანდაცვაში განხორციელებეული ღონისციებების სტატისტიკური მონაცემები.იხილეთ ცხრილი 12.15.1

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
სავადმყოფო საწოლების რაოდენობა, ათასი	11,6	11,7	12,8	13,8	15,1	16,0	18,0	19,0
ექიმების რაოდენობა, ათასი	22,4	24,3	22,9	26,6	27.4	31,0	32,0	25,0
მათ შორის სტომატოლოგები	1,9	1,8	2,1	2,4	2,2	2,6	2,4	2,5
საექთნო პერსონალის რაოდენობა, ათასი	15,5	15,5	16,4	17,6	18,0	18,0	20,0	22,0
ექიმთან მიმართვების რიცხვი	10974,5	11881,1	13243,9	13079,0	11493,4	12260,7	13469,6	13686,4

2013 წლის თემერვლიდან საქართველომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა დაიწყო. იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის 3.7 მილიონი მოქალაქიდან 1.9 მილიონს ჰქონდა მოქმედი სამედიცინო დაზღვევა, მათ შორის 1.6 მილიონს სახელმწიფო პროგრამების, ხოლო 300 ათასზე მეტს კერძო სადაზღვეო სქემების ფარგლებში.

2013 წლის ინიციატივით, საქართველომ უზრუნველყო სამედიცინო სერვისზე წვდომის გაუმჯობესება, რაც დასტურდება აღნიშნული მოხმარების გამოყენების მზარდი მაჩვენებლებით. დავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ყოველწლიურ ანგარიშზე დაყრდნობით 2012-2017 წლებში საქართველოში პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მოხმარება 100 სულ მოსახლეზე 2,3-დან 3.5-მდე გაიზარდა, ხოლო ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 11,3-დან 14,2-მდე.

2012-2017 წლებში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დაფინანსება 450 მილიონიდან 1092 მილიონ ლარამდე გაიზარდა. სახელმწიფო დაფინანსების გაზრდის პირობებშიც კი, საქართველო კვლავაც მცირე რესურსების ინვესტიციას ახდენს ჯანდაცვის სექტორში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ 2012-2017 წლების პერიოდში საქართველომ მთლიანი შიდა პროდუქტან მიმართებით ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები გაზარდა 1,7%-დან 2,9%-მდე ის კვლავ ჩამორჩება ლიეტუვას, ბულგარეთს რომლებიც ჯანდაცვის სექტორში მთლიან შიდა პროდუქტის 6-8% ხარჯავენ.

12.16. სოციალური დაზღვევის როლი სოციალურ ეკონომიკაში

საქართველოს კანონში „დაზღვევის შესახებ“ (1997წ.) დაზღვევა განმარტებულია, როგორც ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოების დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვეო შენატანებით (სადაზღვეო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე.

დაზღვევა საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. თანამედრობე პირობებში დაზღვევა როგორც ყველა ეკონომიკური პროცესისა და გარიგების აუცილებელი ელემენტი,

ხელს უწყობს ბიზნესის მდგომარეობას და სიცოცხლისუნარიანობას, მის აღწარმოებას. 2002 წელს მსოფლიო მაშტაბით ამ მაჩვენებელმა 2627 მილიარდი დოლარი შეადგინა, საიდანაც 1536 მილიარდი სიცოცხლის დაზღვევაზე მოდიოდა და 1091 მილიარდი სხვა სახის დაზღვევაზე.

რაც შეეხება სოციალურ დაზღვევას, ეს არის ეროვნული შემოსვლების განაწილების ურთიერთობათა სისტემა, რომელიც მდგომარეობს სპეციალური სადაზღვეო ფონდების ფორმირებაში იმ პირთა შესანახად, რომლებიც არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში. სოციალური დაზღვევის ფონდები ყალიბდება სახელმწიფო დოტაციებიდან და დასაქმებულების სადაზღვეო შენატანიდან.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სოციალური დაზღვევის სისტემა სოციალური დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაცია სიბერეში მატერიალურ უზრუნველყოფაზე, ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის მთლიანი ან ნაწილობრივი დაკარგვის, მარჩენალის დაკარგვის, უმუშევრობის შემთხვევაში. მიღებული სახსრების ოდენობა დამოკიდებულია სადაზღვეო სტაჟის ხანგრძლივობაზე, ხელფასის ოდენობაზე, შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხზე, ხელფასის ოდენობაზე და რეგულირდება კანონით.

სოციალური დახმარებისაგან განსხვავებით, როდესაც ადამიანი შემწეობას ღებულობს საზოგადოებრივი საშუალებების ხარჯზე, სოციალური დაზღვევის პროგრამების მიხედვით შემწეობის ფინანსური წყაროებია სპეციალიზირებული ფონდები, რომლებიც ყალიბდებიან დაზღვეულების უშუალო მონაწილეობით.

მოსახლეობის სოციალური დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს სათავე დაედო XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიაში. ამჟამად, მის ბირთვს აუცილებელი სოციალური დაზღვევის სისტემას შეადგენს. მას ფართოდ იყენებენ გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთსა და შვეიცარიაში.

მოგვიანებით 1946 წელს დიდ ბრიტანეთში სოციალური დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ბევერიჯის მოდელით არის ცნობილი. ამჟამად იგი გავრცელებულია დიდი ბრიტანეთის გარდა ავ-

სტრია, ირლანდია,კანადასა და ჩრდილოეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. მასში დომინირებს სახელმწიფოებრივი სოციალური უზრუნველყოფა, რომლის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფოს საგადასახადო სისტემის ხარჯზე.

საინტერესოა იტალიის სოციალური დაზღვევის მოდელი, რომელიც ისევე როგორც ევროპული ქვეყნების უმეტესობა, იყენებს ბისმარკისეულ მოდელს, რომლის სახსრები ყალიბდება მეწარმეთა და მომუშავეთა შენატანების ხარჯზე.

უმუშევრობის დაზღვევის სისტემა ფინანსდება დასაქმებულთა და დაქირავებულ მუშაკთა შენატანების ხარჯზე. დაზღვევის ფონდში შენატანების ოდენობა დიფერენცირებულია დარგების მიხედვით. ასე, მრეწველობაში იგი 4,71%-ს შეადგენს (საიდანაც 4,41% მოდის დასაქმებლის და 0,3% დაქირავებული მუშაკის წილზეა), ხოლო ვაჭრობაში 2,51% (მათ შორის 2,21 % მოდის დასაქმებულზე და 0,3 % მუშაკზე), შენატანების აკუმულირება და შემწეობის გაცემა დაკისრებულია დაქირავებული მუშაკების მომსახურების მართვაზე, რომელიც სოციალური დაზღვევის ნაციონალური ინსტიტუტის დაქვემდებარებაშია.

საქართველოში სოციალური დაზღვევა სავალდებულოა ანაზღაურებადი შრომით დასაქმებული პირებისათვის. დასაქმებული პიროვნება ექვემდებარება სავალდებულო სოციალურ დაზღვევას. სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა დასაქმებლისა და დამსაქმებლის სავალდებულო სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანები, რომელიც 1991 წელს განისაზღვრება საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის 26%-ით, სამეურნეო ორგანიზაციებისათვის 37%-ით, მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვეო შენატანი განისაზღვრება ხელფასის 1%-ით. 1997 წელს ტარიფი ერთიანი გახდა სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის 27%. ამჟამად სოციალური დაზღვევის სავალდებულო შენატანი წარმოება დაწესებულებებისათვის, მხოლოდ 20 %-ია. 2008 წლის 1 იანვრიდან კი სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესატანისა და საშემოსავლო გადასახადის ერთ მთლიანობაში გაერთიანდება 25 %-ის მოცულობით.

საქართველოში ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად უმუშევრობა რჩება. 2006 წელს მან 13,6 % შეადგინა. 1990-2006 წლებში მკვეთრად შემცირდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა წილი: 86% და 21 %

მდე. უმუშევრობის დონე პროცენტებში 2018 წელს იყო 19,2%; 2019 წელს 17,6%; 2020 წელს 18,5%; 2021 წელს კი 21,9% შეადგინა.

საქართველოში სადაზღვევო ბიზნესი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განსაკუთრებით დანვითარებადი და მიმზიდველი სფერო გახდა. 1990 წლიდან ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა კერძო სადაზღვევო კომპანიების საქმიანობას. მათი ჩამოყალიბება თითქმის ქაოტურად დაიწყო. დაზღვევის საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა 1997 წლამდე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დაზღვევის შესახებ მრავალი ცალკეული დებულება და მუხლი საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა იურიდიულად გამართა და თვით სადაზღვევო შემთხვევის მონაწილე მხარეები გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა შეიმუშავა სადაზღვევო სფეროს ლიცენზირების წესები და საწესდებო კაპიტალის მინიმალური თანხის ოდენობა 30 000 ლარიდან 1 000 000 ლარამდე გაიზარდა. უნდა ითქვას ისიც, რომ სადაზღვევო სფეროში მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაზრდის მოტივაცია ისეთივე იყო, როგორც ანალოგიური პროცესი საბანკო რეფორმების დროს. ამ ტიპის რეფორმას შედეგებიც თითქმის ანალოგიური აქვთ, ისევე როგორც ბანკების ოდენობამ მოიკლო, ასევე შემცირდა ლიცენზიის მქონე სადაზღვევო კომპანიების რაოდენობაც. 1998 წლამდე დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით საქართვევლოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედებდა 32 სადაზღვევო კომპანია, რაც ქართული სადაზღვევო ბაზრის ყველაზე რეკორდული მაჩვენებელი იყო. 2006 წელს კომპანიათა რაოდენობა 15-ს შეადგენდა, თუმცა ამავე წლის ბოლოს ორი ლიდერი კომპანიის გაერთიანება მოხდა, რომელთა ერთობლივი საქმიანობა 2007 წლიდან დაიწყება.

სადაზღვევო ბაზრის აქტიურობა მთლიანად არის დამოკიდებული საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციაზე. 1997 წლის მაისიდან ძალაში შევიდა კანონი „დაზღვევის შესახებ“, რომელმაც ყურადღება გაამახვილა სადაზღვევო ზედამხედველობისა და სადაზღვევო კონტრაქტირების საკითხების შესახებ. რეფორმა ითვალისწინებდა სახელმწიფოს მხრიდან ძირითადი პრიორიტეტებისა და მიდგომების ჩამოყალიბებას, რომლებიც შესაძლებელია დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად:

1. სადაზღვევო ბიზნესისა და სადაზღვევო ურთიერთობების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბება;

2. სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო კომპანიების წარმატებული ფუნქციონირებისა და განვითარების მხარდაჭერა.

3. ჩვენს ქვეყანაში ორივე მიმართულებით საკმაოდ ინტენსიური მუშაობა მიმიდინარეობს, რის შედეგადაც შეიქმნა დაზღვევის სფეროს მარეგულირებელი, საერთაშორისო სტანდარტების დონის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ბაზა.

სადაზღვევო ურთიერთობების რეგულირებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს სამოქალაქო, საჰაერო და საზღვაო კოდექსებში, 1997 წლის ივნისიდან მოქმედებს კანონი,,ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა“, 1999 წელს ამოქმედდა კანონი,,სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ“, რომელიც 2006 წელს გააუქმა. განვითარების მიმდინარე ეტაპზე პრიორიტეტებად გამოიკვეთა ვალდებულების პრინციპის შემოღება დაზღვევის ისეთ სახეობებში, როგორიცაა უცხოეთში გამსვლელ საქართველოს მოქალაქეთა უბედური შემთხვევისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა, საშიშ საწარმოთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის და პროფესიული პასუხისმგებლობის რისკების დაზღვევა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში თანდათან ჩამოყალიბდა მოთხოვნა დაზღვევის სხვადასხვა სახეობებზე. საზოგადოება რწმუნდება დაზღვევის საჭიროებაში და მის აუცილებლობაში. 90-იანი წლებიდან სადაზღვევო სისტემამ ბევრი ცვლილებები განიცადა, როგორც საკანონმდებლო, ასევე სტრუქტურირების და საქმინობის კუთხით.

დღეისათვის ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებულ მოთხოვნილებას აჩენს დაზღვევის მიმართ. სადაზღვევო პროდუქტთა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, დაზღვევის სხვა სახეობებთან ერთად, იძენს ჯანმრთელობის დაზღვევა. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები, კერძოდ გერმანია, საფრანგეთი, აშშ და სხვა, წარმოუდგენელია ჯანმრთელობის დაცვის სადაზღვევო მოდელის გარეშე. ხშირ შემთხვევებში დაზღვევის ეს სახეობა სავალდებულო ხასიათს ატარებს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში არც თუ ისე მაღალია სადაზღვევო კულტურა, დამატებით ბარიერებს უქმნის სადაზღვევო ბიზნესის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობას. საზოგადოების ცნობიერებაში მნიშვნელოვანი და არასასურველი კვალი დატოვა სავალდებულო დაზღვევის არსებობამ, რომელიც დიდი

ხნის განმავლობაში მომხმარებლისათვის გაურკვეველი იყო თუ რისთვის იყო საჭირო. ეს განსაკუთრებით ეხება,,ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა“-ს, რომელიც მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევას წარმოადგენდა და მიბმული იყო ავტოტრანსპორტის ტექდათვალიერების სავალდებულო წესზე.

ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე აქტუალურ სადაზღვევო პროდუქტს დღეისათვის წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევა. ამ ბაზარზე ჯერჯერობის საქართველოში მოღვაწე სადაზღვევო კომპანიები ინდივიდუალურ დაზღვევას თავს არიდებენ. ყველაზე დიდი წილი ჯგუფურ ჯანმრთელობის დაზღვევაზე მოდის, რომელიც ძირითადად კომპანიების მხრიდან თავიანთი თანამშრომლების დაზღვევით შემოიფარგლება.

ქართული ეკონომიკა განვითარების გზაზეა. იზრდება ინვესტიციები ბიზნესის სხვადასხვა დარგში. ქვეყანას გააჩნია უამრავი ბუნებრივი და ადამიანური რესურსი. გარდა ამისა, საკმაოდ მნიშვნელოვან ოდენობას აღწევს ჯანდაცვაში პირდაპირ გადახდილი თანხების მოცულობა, მაშინ როცა ჯანდაცვის პოლისის ღირებულება 10 ლარიდან იწყება. მრავალფეროვანია პოლისების სახეობები, რომელიც საზოგადოების ყველა ფენაზე არის გათვლილი.

კერძო სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა საქართველოში საკმაოდ არის წარმოდგენილი. ამ პერიოდის განმავლობაში მრავალი კომპანია შეიქმნა და დაიხურა. მათი რაოდენობა 1998 წელს 32 აღწევდა, თუმცა კომპანიათა ასეთი რაოდენობა შემდგომ წლებში არ დაფიქსირებულა.

1997 წლამდე კომპანიების საქმინობას სხვადასხვა ნორმატიული და კანონმქვემდებარე აქტებით რეგულირდებოდა. აღნიშნული წლის მაისიდან ძალაში შევიდა კანონი „დაზღვევის შესახებ“, რომელმაც რეგულირების ფორმაში მოაქცია კომპანიების საქმინობა. გარდა ამისა, ამოქმედდა კანონი,,არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ''. 1999 წლიდან დაიწყო ამ კანონის სრულფასოვანი ამოქმედებისათვის საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადების პროცესი, რომლის დროსაც პრიორიტეტად მიჩნეული იქნა შემდეგი საკითხები: სადაზღვევო რეზერვების შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაცია, სადაზღვევო კომპანიებისა და კერძო საპენსიო ფონდების გადამხდელუნარიანობის მაღალი დონის შენარჩუნება, სადაზღვევო სტატისტიკის და აღრიც-

ხვიანობის მოწესრიგება, საქმიანობის გამჭვირვალობა, დაზღვევის მომხმარებელთა უფლებების დაცვა მათი სადაზღვევო ინტერესების მაქსიმალური რეალიზაციის გზით. საქართველოს სადაზღვევო ბაზრისადმი სახელმწიფოს მხრიდან ამგვარმა მიდგომებმა ჩამოაყალიბეს მისი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო. სადაზღვევო კომპანიების მიერ ბაზრის ათვისების მაჩვენებლის ზრდის პარალელურად მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მზღვეველთა პროფესიული დონე, რაც აისხა საზოგადოებისადმი შეთავაზებული სადაზღვევო პროდუქტის ხარისხზე. იზრდება სადაზღვევო ბაზრის მოცულობა, იგი 1997 წელს 5 მლნ ლარს შეადგენდა, 1999 წელს 14 მლნ ლარს აღწევს, 2000 წელს 18 მლნ ლარს, 2001 წელს 24 მლნ-ს, 2002 წელს – 25 მლნ-ს, 2003 წელს 38.5 მლნ-ს, 2004 წელს 45 მლნ-ს, 2005 წელს 61 მლნ ლარს, ხოლო 2006 წელს 70 მლნ ლარს გადააჭარბა, რამაც გაზარდა საერთაშორისო დაინტერესება ჩვენს ქვეყანაში სადაზღვევო სფეროს რეფორმის მიმდინარეობით.

1997 წლის 29 ივნისის №330 ბრძანებულების საფუძველზე, როგორც პრეზიდენტის გამგებლობაში მყოფი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, რაც ამ დროისათვის აუცილებელი იყო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა და თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა. 2001 წელს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით დაფინანსების ალტერნატიულ, სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული შენატანების წყაროებზე გადავიდა.

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის შექმნის შემდეგ, 1999 წელს, როცა ძალაში შევიდა კანონი „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ“, ჩამოყალიბდა „სავალდებულო დაზღვევის ფონდი“, რომელიც ფინანსდებოდა იმ სადაზღვევო კომპანიების მხრიდან რომელთაც სავალდებულო დაზღვევის საქმინობისათვის ლიცენზია ჰქონდათ მოპოვებული. ფონდის საქმიანობა ამჟამად შედარებით მცირე მასშტაბებით მიმდინარეობას, რადგან,,ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის“ კანონის რიგ მუხლებზე 2009 წლამდე მორატორიუმი გამოცხადდა, ხოლო კანონი,,სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ“ საერთოდ გაუქმდა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არსებობს კიდევ ერთი სავალდებულო დაზღვევის სახეობა. გარემოს დაცვის შესახებ კანონის მე-17 მუხლი ეკოლიგიური დაზღვევის ვალდებულებას აწესებს, რომელიც ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობის ობიექტების დაზღვევას გულისხმობს.

აღნიშნული კანონი 1996 წლის ბოლოდან შევიდა ძალაში, მაგრამ ამ დროიდან მოყოლებული დაზღვევის ეს პროდუქტი არ მოქმედებს.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა ევროკავშირის პროგრამა,,ტასისისაგან'' მიიღო ტექნიკური დახმარება, რაც ითვალისწინებდა კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს დაზღვევის კონცეპტულურ საკითხებზე.

,,ტასისის'' ექსპერტების მიერ მომზადდა დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოს სადაზღვევო სისტემის მდგრადობაზე და მისი განვითარების პრიორიტეტებზე. რეკომენდაციები აგრეთვე ეხებოდა საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობის ევროკავშირის სადაზღვევო კანონმდებლობასთან შესაბამისობას და საერთაშორისო სადაზღვევო უნიფიცირებული წესების ეტაპობრივად შემოღებას საქართველოში, თანადაზღვევის და გადაზღვევის განვითარების, სადაზღვევო მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის და სადაზღვევო სპეციალისტთა მომზადების საკითხებს.

1999 წელს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური გაწევრიანდა,,დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციაში", რამაც ხელი შეუწყო საქართველოში სადაზღვევო სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებით წარმართვას.

სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ იურიდიულ პირზე, რომლის მიზანია განახორციელოს დაზღვევასთან დაკავშირებული საქმიანობა.

ლიცენზია გაიცემა პირადი, ქონებისა და პასუხისმგებლობის დაზღვევის როგორც ნებაყოფლობით, ისე სავალდებულო ფორმით განხორციელებაზე, აგრეთვე გადაზღვევაზე. ლიცენზიაში ასევე მითითებული უნდა იყოს დაზღვევის სახეობა, რომლის განხორცილების უფლებაც აქვს მზღვეველს.

სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა კონკრეტულ მზღვეველზე. მისი გადაცემა სხვა იურიდულ პირზე დაუშვებელია. ლიცენზია უვადოა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმე-

დებს. იურიდიული პირი მზღვეველის (გადამზღვეველის) და სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების უფლებას მხოლოდ ლიცენზიის მიღების შემდეგ იძენს.

ლიცენზირება არ სჭირდება სადაზღვევო აგენტის საქმიანობას, აგრეთვე სადაზღვევო რისკის, ზარალის მოცულობისა და შემთხვევის უტყუარობის შეფასებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, დაზღვევის სფეროში საკონსულტაციო და კვლევით მომსახურებას.

მზღვეველის, როგორც ორგანიზაციის, რეგისტრაცია საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის დადგენილი წესით ხორციელდება. სადაზღვევო ორგანიზაციის ორგანიზაციულ–სამართლებრივ ფორმად კი მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის და სააქციო საზოგადოებებია დაშვებული. საბიუჯეტო ორგანიზაციას სადაზღვევო ორგანიზაციის დაფუძნება ეკრძალება.

მზღვეველზე ლიცენზია გაიცემა განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

1. სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლები;
2. სახელმწიფო რეგისტრაციის დოკუმენტის ასლი, რომლის შესაბამისადაც მზღვეველი არის იურიდიული პირი;
3. ცნობები შევსებული საწესდებო კაპიტალის შესახებ;
4. მონაცემები ხელმძღვანელი პირების შესახებ;
5. ბიზნეს–გეგმა, პირობები დაზღვევის სახეობათა მიხედვით, დაზღვევის ხელშეკრულება (დაზღვევის მოწმობა, პოლისები, სერთიფიკატები და სადაზღვევო ტარიფები);
6. სალიცენზიო მოსაკრებლების გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

მზღვეველის ფინანსური სამყაროს უზრნველყოფისთვის საფუძველია მისი საწესდებო კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის არსებობა (გადაზღვევა ოპერაცია ორ სადაზღვევო კოპმანიას შორის, რომლის დროსაც დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებით ერთ–ერთი მხარე თავის თავზე იღებს რისკის ნაწილს სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ).

მზღვეველი ვალდებულია დაიცვას საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებული შემდეგი ეკონომიკური ლიმიტები:

1. ლიცენზიის აღებისას საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა (მათ შორის ფულადი ფორმით);
2. სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების შექმნის წესი;

3. სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების განთავსებისა და ინვესტირების წესი;

4. აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა;

5. მოზიდულ ფინანსურ საშუალებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობა.

აღებული სადაზღვევო ვალდებულებების შესასრულებლად მზღვეველი, სადაზღვევო შენატანების საფუძველზე მოსალოდნელი სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელ რეზერვებს ქმნის.

სადაზღვევო რეზერვები, რომელსაც ქმნის მზღვეველი, არ იბეგრება.

დაზღვევა – წარმოადგენს იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც განიცადა დაზარალებულმა ფიზიკურმა, ან იურიდიულმა პირმა, მისი მრავალ პირს შორის გადანაწილების გზით (დაზღვევის ერთობა). ზარალის ანაზღაურება მიმდინარეობს სადაზღვევო ფონდიდან, რომელსაც განაგებს სადაზღვევო ორგანიზაცია (დამზღვევი). დაზვევის ობიექტური საჭიროება განპირობებულია იმით, რომ ზოგჯერ წარმოიქმნება დამანგრეველი ფაქტორები, რომლებიც სრულიად არ ექვემდებარებიან ადამიანს (ბუნების სტიქიური ძალები) და არ იწვევენ ვისამე სამოქალაქო პასუხისმგებლობას. მსგავს სიტუაციაში შეუძლებელი ხდება ვინმეს მოეთხოვოს ზარალის ანაზღაურება და იგი „ილექება“ დაზარალებულის ქონებრივ სფეროში. დაზღვევა მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, როდესაც დამზღვევლისა და დასაზღვევის უფლებათა ურთიერთობებით გათვალისწინებული სადაზღვევო მოვლენები (რისკები) იწვევენ მნიშვნელოვან მოთხოვნას ფულში. ასე, მაგალითად ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს ასეთი მოთხოვნა, როგორც წესი, არ ძალუძს მისი დაფარვა საკუთარი სახსრებიდან საკუთარი საყოფაცხოვრებო დონის საგრძნობლად შემცირების გარაშე.

დაზღვევის ფუნქციებია:

_ ეს არის სპეციალიზირებული სადაზღვევო ფონდის ფულადი სახსრების ფორმირება, როგორც რისკების გადასახადი, რომელსაც იღებენ სადაზღვევო კომპანიები თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ. ეს ფონდი შესაძლოა ჩამოყალიბდეს როგორც აუცილებლობის, ასევე ნებაყოფლობითი წესით. გამომდინარე არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან, ქვეყნის სადაზღვევო საქმიანობა რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

სპეციალიზირებული სადაზღვევო ფონდის ფორმირების ფუნ-ქციით გადაიჭრება ინვესტიციის პრობლემა დროებით თავისუფალი სახსრების უძრავ ქონებაში, ფასიანი ქაღალდების შეძენაში და ა.შ.

ბაზრის განვითარებასთან ერთად, დროებითი თავისუფალი სახ-სრების გამოყენების მექანიზმები ხდებიან უფრო სრულყოფილები. სადაზღვევო ფონდის ფუნქციის, როგორც მაფორმილებელი სპეცია-ლური სადაზღვევო ფონდების მნიშვნელობა უფრო გაიზრდება დროთა განმავლობაში.

- ზარალის ანაზღაურება და მოქალაქეთა პირადი მატერიალური უზრუნველყოფა. სადაზღვევო ხელშეკრულების ფაგლებში ქონების ზარალის სადაზღვევო ანაზღაურების უფლება გააჩნიათ მხოლოდ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღე-ბენ სადაზღვევო ფონდის ფორმირებაში.

ზარალის ანაზღაურების წესი განისაზღვრება სადაზღვევო კომ-პანიების მიერ გამომდინარე სადაზღვევო ხელშეკრულების პირობე-ბიდან, რომლებიც რეგულირდებიან სახელმწიფოს მიერ (სადაზღვე-ვო საქმიანობის ლიცენზირება). ამ ფუნქციის მეშვეობით, სადაზ-ღვევო დაცვის ეკონომიკური აუცილებლობა ღებულობს რეალიზა-ციის ობიექტურ ხასიათის.

– სადაზღვევო შემთხვევის არიდება და ზიანის მინიმიზაცია – ვარაუდობს ზომების ფართო კომპლექსს, მათ შორის ღონისძიებების დაფინანსებას, უბედური შემთხვევების, სტიქიური უბედურების ნეგა-ტიური შედეგების შემცირების და აღკვეთის საკითხებში. Aმასვე გა-ნეკუთვნება დამზღვევზე უფლებრივი ზემოქმედება, რომელიც ემყა-რება დადებული ხელშეკრულების პირობებს და ორიენტირებულია დაზღვეული საკუთრების მიმართ გაფრთხილებით მოპყრობაზე.

დამზღვევის ზომებს, მიმართულს სადაზღვევო შემთხვევის არი-დებისა და ზიანის მინიმიზაციისაკენ, ეწოდება პრევენცია. ამ ფუნ-ქციის რეალიზაციისათვის, დამზღვევი ქმნის შემთხვევათა ღონიზ-ძიებების განსაკუთრებულ ფულად ფონდს.

საწარმოების სამოქალაქო პასუხისმგებლობის სპეციფიკა – გაზ-რდილი საფრთხის წყაროების მფლობელების (ე.ი. მათი, ვისი საქმი-ანობაც დაკავშირებულია გაზრდილ საფრთხესთან, გარშემომყოფებ-თან სატრანსპორტო საშუალებებთან, მექანიზმებთან, მაღალი ძაბ-ვის ელ.ენერგიასთან, ატომური ენერგიასთან, ასაფეთქებელი ნივთი-ერებსა და ძლიერმოქმედი საწამლავებთან) საშუალებების გამოყენე-ბა მდგომარეობს მასში, რომ ისინის მუდამ პასუხისმგებელნი არიან

ასეთი გზით მიყენებული ზიანის გამო გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დამტკიცდა, რომ ზიანი მიყენებულია დაზარალებულის ჩანაფიქრით, ან გაუთვალისწინებელი ძალის გარემოებების მოქმედებით (როდესაც შეუძლებელია ასეთი გარემოებების გათვალისწინება, თავიდან აცილება). სხვა პირისადმი ზიანის მიყენება არის სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა წარმოქმნის საფუძველი. პირი, რომლის უფლებებიც დაირღვა, იძენს უფლებას მოითხოვოს ზიანის კომპენსაცია იმ პირისაგან, რომელიც დამნაშავეა ამ ზიანის მიყენებაში, მათ შორის, ნივთობრივი უფლების დარღვევისას (რომლის ობიექტია ნივთები და ქონებრივი უფლებები) და არამატერიალური კეთილდღეობა (რომლის ობიექტია სიცოცხლე, პიროვნების ღირსება). კანონმდებლობით დადგენილი უფლების ძალით, დაზარალებულისათვის ზარალის კომპენსირება და ასევე ზიანის მიმყენებლის ვალდებულების წარმოქმნა გაძლიერებული საფრთხის წყაროს პატრონს, ბუნებრივად უჩნდება ქონებრივი ინტერესი. ჩამომდინარე აქედან, წარმოების სამოქალაქეო პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტია ქონებრივი ინტერესი დაკავშირებული იმ ვალდებულებებთან, რომლებიც ითვალისწინებენ ამ წყაროს მეპატრონის ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კანონმდებლობით; ზიანის, რომელიც მიყენებულია მესამე პირის მიერ.

სადაზღვევო სუბიექტებად გვევლინებიან: დამზღვევი – იურიდიული პირი – გაზრდილი საფრთხის წყაროს მეპატრონე; მზღვეველი – იურიდიული პირი, რომელიც განახორციელებს დაზღვევის მოქმედებას და დარეგისტრირებულია დადგენილი წესით, გააჩნია ლიცენზია უფლებით აწარმოოს წყაროს გაზრდილი საფრთხის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. ეს სადაზღვევო სუბიექტები არიან სადაზღვევო ვალდებულებების მხარეები, ანუ სადაზღვევო ხელშეკრულების მხარები.

სადაზღვევო ხელშეკრულება დაიდება ზიანის მიყენების შემთავევაში, რომელიც მიყენებული აქვს დაზარალებულს დამზღვევისგან, ანაზღაურების ფინანსური გარანტიის მიცემის მიზნით. ამ ხელშეკრულების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ის შედგენილია მესამე პირის სასარგებლოდ – დაზარაელებულის. დაზღვევის ხელშეკრულებით, დაზარალებულს უნაზღაურდება დანაკარგები (ზარალი), რომლებიც დაკავშირებულია შემდეგი ზარალის მიყენებასთან: მისი ქონების დაზიანება ან განადგურება; დაკარგული (ხელიდან გაშვებული) გამორჩენა – ხეირი; მორალური ზიანი; დამზღვევის დანახარჯები

ავარიის პირდაპირი შედეგების ლიკვიდაციაზე და სხვ. სადაზღვევო შემთხვევად, აქ გვევლინება ვალდებულებათა წარმოშობის დადგენილი ფაქტი, რომლის დროსაც, გაზრდილი საშიშროების წყაროს მეპატრონე აანაზღაურებს ზარალს, რომელიც მიადგა დაზარალებულს გაზრდილი საფრთხის წყაროს გამოყენების მეშვეობით.

ხელშეკრულებით გათვალიწინებული სადაზღვევო პრემიის ოდენობა დამოკიდებულია მზღვეველის მიერ აღებული მოვალეობების მოცულობაზე, სადაზღვევო რისკების ჩამონათვალზე, სადაზღვევო პასუხისმგებლობის ლიმიტზე, დაზღვევის ვადაზე.

დაზღვევის თეორია ითვალისწინებს შემთხვევითობის გამოვლეს თავიდან აცილებას რისკის გადანაწილების მეშვეობით. შემთხვევითობას უწოდებენ გაუთვალისწინებელ მოვლენას, რომლის გავლენა ადამიანზე დამ ის სამეურნეო პროცესებზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დაზღვევაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სოლიდარობის პრინციპი. სწორედ ამ პრინციპის მეშვეობით ერთი ადამიანის ან სამეურნეო (ორგანიზაციის) ერთეულის შესაძლო რისკი გადანაწილება სხვა დანარჩენებზე. დაზღვევის არსი ცალკეული სუბიექტის ან სამეურნეო ერთეულის მიერ მიღებული ზარალის სხვა მრავალ სუბიექტზე გადანაწიებით მავნე შემთხვევითობის გავლენის გაუვნებელყოფაში მდგომარეობს.

ეკონომიკის თვალსაზრისით დაზღვევა სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს, რომელიც მავნე შემთხვევითობებისაგან იცავს ეკონომიკურ პროცესებს. პრაქტიკულად სადაზღვევო საქმიანობა განსაკუთრებული ტიპის სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება. ამ ორგანიზაციებს სადაზღვევო ორგანიზაციებს უწოდებენ.

დაზღვევაში მონაწილეობენ შემდეგი ძირითადი მხარეები:

1. მზღვეველი ანუ სადაზღვევო ორგანიზაცია;
2. დამზღვევი ან უკვე დაზღვეული (კერძო ან იურიდიული პირი);
3. გადამღზვევი ორგანიზაცია.

დამზღვევს სადაზღვევო ორგანიზაციაში პერიოდულად შეაქვს წინასწარ განსაზღვრული თანხა. ამ თანხას სადაზღვევო პრემია ეწოდება. დაზღვეულის პერიოდული შენატანები სადაზღვევო პრემიის სახით რისკის ხარისხის მიხედვით არის გამოთვლილი.

ყოველ შემთხვევითობას, კრიზისს, ინფლაციას, სიკვდილიანო-

ბას, ხანძარს, მიწისძვრას და ნებისმიერ საზიანო მოვლენას თავიანთი დადგომის ალბათობა გააჩნია. ყოველივე ამ მოვლენის სტატისტიკური შესწავლის შემდეგ ხდება მათემატიკური დამუშავება. რაც უფრო დიდია შემთხვევის ალბათობა, მით უფრო მეტია ამ მოვლენიასთან დაკავშირებული რისკის ხარისხი. ღაც უფრო მეტია რისკის ხარისხი, მით უფრო მეტი სადაზღვევო პრემიის გადახდა უწევს დაზღვეულ მზღვეველი ორგანიზაციისათვის.

სადაზღვევო პრემიის ოდენობა განისაზღვრება დაზღვეული ღირებულების შეფარდებით, გადახდილი სადაზღვევო პრემიების რაოდენობაზე და ამ რაოდენობის დინამიკაზე. ასევე, დაზღვეული სუბიექტის ოდენობაზე. აქვე ხდება მზღვეველის ორგანიზაციის საორგანიზაციო ხარჯების და პრემიაზე პროცენტის განაკვეთის გათვალისწინება.

ყოველი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ დაზღვევის ეკონომიკის სიმძიმის ცენტრი რაღაც სავარაუდო ციფრის მიგნებაში მდგომარეობს. სადაზღვევო საქმის მთელი ტექნიკა მათემატიკაზე არის აგებული. დაზღვევის ცალკეულ დარგებში რისკის ხარისხის (ალბათობის) შეფასება განსაზღვრულია. მის გამოხდება რისკის კლასებად დაყოფა. შტატისტიკური ანალიზი, მავნე შემთხვევითობის ჯერ სხვადასხვა ჯგუფებად, ხოლო შემდგომ ამ ჯგუფების კლასებად დალაგების საშუალებას გვაძლევს. აქედან ყალიბდება ყოველი კლასისათვის აუცილებელი სადაზღვევო პრემიის განაკვეთი. რისკის ყოველი კლასის შესწავლით და პრემიების გათვლებით ყალიბდება ტარიფები დაზღვევის სახეების მიხედვით.

ყველა იმ რისკს, რომელსაც დაზღვევა შეაფასებს დააზღვევს „დაზღვეული რისკი“ ეწოდება. საფრთხის მახასიათებლების მიხედვით დაზრვევის ეკონომიკა ერთმანეთისგან განასხვავებს ობიექტურ და სუბიექტურ რისკებს.

ობიექტურია რისკი, რომელიც გარკვეული ბუნებრივი მოვლენებიდან გამომდინარეობს, ხოლო სუბიექტური ეწოდება რიკს, რომლის ძირითად მიზეზად თავად ადამიაი, მისი ხასიათი, ქცევის ნორმები გვევლინება.

რაც უფრო დიდია სუბიექტური რისკის გავლენა დაზღვევის ტექნიკურ ერთეულზე, მით უფრო ძნელდება რისკიანობის განსაზღვრა. ამიტომაც მთავარი ამოცანა დაზღვევის ტექნიკური ერთეულის სუბიექტური რისკების შემცირებაში მდგომარეობს.

დაზღვევის ეკონომიკა აუცილებელ ფაქტებს ყოველდღიური

ცხოვრებიდან აგროვებს. ეს მეცნიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ყოფასთან, ადამიანების ქცევის ცვალებად წესებთან, ქვეყნის კანონმდებლობასთან, საზოგადოებრივ მორალთან, ეკონომიკის სიჯანსაღესთან და სხვა მრავალ ფაქტორებთან.

მოდელირების საშუალებით დაზღვევა ახდენს მეცნიერულ თეორიას და ყოველდღიურობას შორის კავშირს.

სადაზღვევო კვლევა რეალური პრობლემის მოძიებით იწყება. დაზღვევის ეკონომიკა არ განეკუთვნება ისეთ მეცნიერებებს, რომელთა შესწავლის საგანი საყოველთაო განსჯის ობიექტს წარმოადგენს. მაგალითისათვის, როცა ინფლაცია სახეზეა, ფინანსისტ-ეკონომისტების გარდა მასზე დიდი თუ პატარა მსჯელობს. ანუ ფინანსების მთავარი პრობლემა ფულის მასის ოდენობა, მისი თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან, ფულადი აგრეგატების მდგომარეობა ადვილი შესამჩნევია.

დაზღვევის ეკონომიკის მთავარ პრობლემას სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობის შესწავლა ანუ რისკიანობა წარმოადგენს, შესაბამისად დაზღვევის ეკონომისტები სტატისტიკას, ბუნებრივ მოვლენებს, კანონმდებლობასა და საზოგადოების მორალურობას კომპლექსურად შეისწავლიან.

დაზღვევის მთავარი პრობლემის განსაზღვრის შემდეგ მთავარია მისი შეძლებისდაგვარად სრული მოდელირება თეორიაში. ამ დროს, რეალურ და მენციერულ პრობლემებს შორის ადექვატურობის ანუ იგივეობის პირობების დაცვა დაზღვევის ეკონომიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

რეალური პრობლემის განხილვა მეცნიერებაში საბოლოო ჯამში პრობლემის გადაწყეტის სტრატეგიებს დასახავს. რაც საბოლოოდ ისევ რეალურ სფეროში უნდა იქნეს დანერგილი და გამოცდილი. ასეთ წრიულ სვლას მოკლებული მეცნიერული კვლევა არანაირი სარგებლის მომტანი არ შეიძლება იყოს.

დაზღვევა, როგორც მეწარმეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა თავად ადამიანთა მოთხოვნილების საფუძველზე წარმოიშვა. თუ მას მასლოუს ცნობილი პირამიდის მიხედვით განვიხილავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ დაზღვევის პროდუქტი – დარწმუნებულობა ადამიანის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნილებას განეკუთვნება საკვების, ტანსაცმლის და სხვა პირველადი მოთხოვნილებების შემდგომ.

დაზღვევას შემდეგი მაკროეკონომიკური ფუნქციები გააჩნია:

1. დაზღვევა, როგორც რისკის გაუვნებლობის მექანიზმი;
2. დაზღვევა, როგორც კაპიტალის შემკრები სამეურნეო დარგი;

საქართველოში კერძო სადაზღვევო კოპანიათა ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირის დაშლიდან იკიდებს ფეხს. მათი საქმიანობის რეალურ ჩარჩოებში ჩასმა 1997 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ რაც ამ სისტემის რეფორმას ჩაეყარა საფუძველი, შეიქმნა კანონდებლობა, შემდგომ მარეგულირებელი ორგანო.

სადაზღვევო ბაზრის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს სფერო საკმაოდ განვითარებადია. მას სჭირდება დახვეწა, საერთაშორისო გამოცდილებების გაცნობა და თანდათანობით სათანადო საკანონმდებლო და ბიზნეს გარემოს შექმნა.

1997 წლიდან ქართულ ბაზარზე 68 იურიდიული პირი არსებობდა, რომლებზედაც სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია იყო გაცემული.

დღეისათვის საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 16 დაზღვევის სახეობა მოქმედებს. აქ არ იგულისხმება სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა, რომელიც გაუქმდა და ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს ქონების დაზღვევის ერთიან პაკეტში.

1. ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა
2. ქონების დაზღვევა
3. სამედიცინო დაზღვევა
4. უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა
5. სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა
6. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა
7. საწყლოსნო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა
8. გადამზიდველთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა
9. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა
10. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა
11. ტვირთების დაზღვევა
12. ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა
13. ფინანსური რისკების დაზღვევა
14. ვალდებულებების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობის დაზღვევა

15. სიცოცხლის დაზღვევა

16. საპენსიო დაზღვევა

განვიხილოთ საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის ზოგიერთი მაჩვენებლის სტატისტიკური მონაცემები. (2015-2020 წლებში)

ცხრილი 12.16.1

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა სულ, ათასი	874,9	887,3	898,1	910,0	934,3	959,3	971,3
მ.შ პენსიის მიმღები (ასაკით პენსიონერი), ათასი	707,7	720,2	732,1	745,0	762,6	782,7	793,8

აქვე განვიხილოთ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, ათასი

2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
125,3	143,0	131,5	127,8	120,0	146,6	174

ამრიგად,დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკურ კატეგორიას, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც მოიცავს ფულადი სახსრების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას, მათ გამოყენებას ზარალის ასანაზღაურებლად, განპირობებულს სხვადასხვა გაუთვალისწინებელი არახელსაყრელი მოვლენებით (რისკებით). დაზღვევა გამოხატავს სპეციალიზირებული სადაზღვევო ფონდის ფუნქციების ფორმირებას.

უცხო სიტყვები

1. პოსტულატი – ლათ. მტკიცება, რომელიც აღიარებულია რაიმე თეორიის ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე

თავი XIII.

კულტურის ეკონომიკა და რეგიონის კულტურის განვითარების თავისებურებანი

13.1. კულტურის არსი და თავისებურებანი

კულტურაში ისევე როგორც ეკონომიკაში ეკონომიკური კანონები მოქმედებენ ადამიანების სურვილებისაგან დამოუკიდებლდად. ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში კულტურაშიც არაფერია უფასო, ყველა კულტურულ პროდუქტს და მომსახურებას გააჩნია თავისი ფასი. კულტურის ეკონომიკა მიეკუთნება გამოყენებით მეცნიერებას. „კულტურა“ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიტყვაა. მას მრავალი მნიშვნელობა აქვს, რაც თვით კულტურის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებით არის განპირობებული. 2007 წელს გამოცემული სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილის „უცხოსიტყვათა ლექსიკონში“ კულტურა შემდეგ ნაირად არის განმარტებული:

1. საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და სულიერი ცხოვრების სხვა დარგებში, ამ მიღწევათა გამოყენების უნარი წარმოების გასაზრდელათ და სხვა.
2. გარკვეულ ეპოქაში რომელიმე ხალხის, ან საზოგადოებრივი კლასის ასეთი მიღწევათა დონე;
3. სამეურნეო ან გონებრივი მოღვაწეობის რაიმე დარგის განვითარების დონე, ხარისხი;

მაგალითად, შრომის კულტურა, მეტყველების კულტურა;

4. განათლებულობა, ნაკითხობა, ზრდილობა;
5. განათლებული ადამიანის მოთხოვნილებათა შესაბამისი ცხოვრების პირობების ერთობლიობა მაგალითად, ყოფაცხოვრების კულტურა.
6. რაიმე მცენარის მოყვანა გაშენება კულტურილება, მაგალითად კართოფილის კულტურა, ვაზის კულტურა.
7. ადამიანის მიერ გაშენებული მცენარე მაგალითად, სუბტროპიკული კულტურები;
8. ლაბორატორიულ პირობებში რაიმე საკვებ გარემოში მოშენებული მიკრო ორგანიზმები. მაგ: სტრეპტოკოკების კულტურა.

მატერიალური კულტურა – წარმოების საშუალებათა და მატერიალური დოვლათის ერთობლიობა, რომელიც იქმნება ადამიანის შრომით საზოგადოების განვითარების საფეხურზე.

თანამედროვე კულტუროლოგიაში კულტურის, როგორც ცნების ხუთასამდე განსაზღვრება არსებობს. დღემდე არავის ჩამოუყალიბებია კულტურის არსი ისე ზუსტად და მკაფიოდ, როგორც ეს ნიკოლოზ რერიხმა მოახერხა: „კულტურა არის ჭეშმარიტი შემეცნება. კულტურის მიზანია საკაცობრიო პრობლემების გადაჭრასთან მეცნიერული და შთაგონებითი მიახლოება. კულტურა არის ზუსტი ცოდნა ცრურწმენის გარეშე. კულტურა სიკეთეს ამკვიდრებს. კულტურა არის მშიდობიანი შრომის სიმღერა და დაუსრულებელი სრულყოფა. კულტურა არის ფასეულობათა გადაფასება. რომელიც მიმართლია ხალხის ჭეშმარიტი საგანძურის გამოსავლენად. კულტურა დამკვიდრებულია ხალხის გულში და იღვწის აღმშენებლობისათვის, რადგანაც იგი სუფევს აზრში და ცნობიერებაში. კულტურა იცავს ერის ისტორიულ ღირსებას“. აღსანიშნავია რომ სწორედ რერიხმა შექმნა კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცვის თანამედროვე საერთაშორისო საფუძვლები. მოქანდაკე ს.კონენკოვის სიტყვით: „რერიხის ზნეობრივი პრინციპები მსოფლიოს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო სამართლის ნორმებად იქცა.“[1]

დღეისათვის გეოგრაფიული და კლიმატური მრავალფეროვნების საფუძველზე ფორმირებულია კულტურის უამრავი განსაზღვრება. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული განმარტება ეკუთნის ბრიტანელ მეცნიერს ედუარდ ბერნეტ ტაილორს (1832-1917) „კულტურა შედგება ცოდნის, რწმენა წარმოდგენების ხელოვნების ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებათა და ზოგადი სხვა უნარჩვევებისაგან, რომლებიც აითვისა ადამიანმა, როგორც საზოგადოების წევრმა.“ კულტურაზე როგორც ფენომენზე საუბრისას აღსანიშნავია მისი დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა ერთობლიობა ქმნის „კულტურულ უნივერსალიებს“. ჯორჯ მერდოკმა (1897-1985) გამოყო სამოცზე მეტი კულტურული უნივერსალია. მათ შორისაა – სპორტი, სხეულის მორთვა, თანამშრომლობა,

[1] კულტურის პოლიტიკა. ევროპული და სამამულო გამოცდილება. თბილისი, 2004, გვ 230

ცეკვები, სიმღერები, განათლება, სამგლოვიარო და საქორწილო რიტუალები, ჩუქება, სტუმართმოყვარეობა, სისხლის აღრევის აკრძალვა, ხუმრობა, ენა, რელეგიური წესები, შრომის იარაღის კეთება, ამინდზე გავლენის მცდელობა, ყველა უნივერსალიაში ხასგასმულია ეპოქისათვის დამახასიათებელი სოციალური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მნიშვნელობა.

თანამედროვე კულტუროლოგიის ფუძემდებელმა ამერიკელმა მეცნიერმა ლესლი უაიტმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კულტურის შემდეგი განმარტება მოგვცა:

„კულტურა-ეს არის საგნებისა და მოვლენების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ სიმბოლიზაციის უნართან. ამრიგად, ყველაზე ფართო მნიშვნელობით, კულტურის ცნება ხაზს უსვამს ადამიანის განსხვავებას სხვა ბიოლოგიური არსებისაგან.“

სახელმწიფო წარმოადგენს კულტურის სფეროს პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტს და მისი კულტურის სფეროში მონაწილეობის თანამედროვე ფორმა, გამოიხატება კულტურული მოღვაწეობის კოორდინაციასა და რეგულირებაში, რომელიც თითოეული მოქალაქისათვის კულტურაზე ხელმისაწვდომობასთან ერთად, ხელოვნებისა და შემოქმედების ყველა სხვა სახეობის მხარდაჭერასთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებში საკუთარი კულტურის გატანასა და გავრცელებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად სამეცნიერო წრეებში გავრცელებული სხვადასხვაგვარი მოსაზრებებისა შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ კულტურის ორი სპეციფიკური ინტერპრეტაცია.:

1. კულტურა, როგორც ღირებულებებისა და ადათების ერთობლიობა, რომელიც ახდენს ადამიანთა გაერთიანებასა და ინდენტიფიცირებას სხვადასხვა ჯგუფებად.

2. კულტურა, როგორც „შემოქმედებისა და საგნების სხვადასხვა სახეობათა ერთობლიობა“, რომელსაც ქმნიან და სარგებლობენ ადამიანები.

იუნესკოს 2005 წლის კონვენციაში კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ ვკითხულობთ: „კულტურულ საქმიანობას, კულტურის საქონელს და მომსახურებას აქვს როგორც

ეკონომიკური ასევე კულტურული ხასიათი, ვინაიდან ისინი განასახიერებენ თვითმყოფადობას,ღირებულებებს და აქედან გამომდინარე არ უნდა

განიხილებოდეს როგორც მხოლოდ კომერციული ფასეულობა. აღნიშნავს რა, რომ

გლობალიზაციის პროცესები რომელსაც ხელს უწყობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება უპრეცენდეტო პირობებს უქმნის კულტურის უფრო ფართო ურთიერთქმედებას და იმავ დროულად საფრთხის ქვეშ აყენებს კულტურულ მრავალფეროვნებას, კერძოდ მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის დისბალანსის რისკის თვალსაზრისით"[1].

კულტურა, როგორც სოციალური სისტემის განმსაზღვრელი, მთლიანად განაპირობებს ქვეყნის სოციალურ, თუ ეკონომიკის უსაფრთხოებას, ასევე ყველა იმ სასიცოცხლო პროცესის უსაფრთხოებას. რომელიც სოციალურ ორგანიზმს აგებს, როგორც ერთიან მთლიანს.

კულტურის სფეროს საერთო – ეკონომიკური განვითარება განაპირობებს ეკონომიკური პირობების ფორმირებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს მომსახურების ბაზარზე კულტურის სფეროში მოღვაწე სუბიექტების კონკურენტ უნარიანობასა და მაღალ საფინანსო ეკონომიკურ შედეგებს. მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში იზრდება კულტურულ ფაქტორთა როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

გამოკვლევებმა, რომლებიც ჩატარდა სხვადასხვა ქვეყანაში აჩვენეს მჭიდრო კავშირი მთელ რიგ კულტურულ ინდიკატორებსა და განვითარებას შორის. საერთაშორისო ორგანიზაციები მაგალითად „მსოფლიო ბანკი", აღიარებენ, რომ განვითარების ისეთი პროექტები, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საზოგადოების კულტურულ მახასიათლებლებს, როგორც წესი ხშირად „ჩავარდნის" ტენდენციის საფრთხის ქვეშ არიან. საერთაშორისო სააგენტოები განვითარებად ქვეყნებს მოუწოდებენ, რომ „განვითარების პროგრამის მაქ-

[1] UNESCO-ს კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. თბილისი, 2014. გვ --

სიმალური ეფექტის მისაღწევად სათანადო ყურადღება მიექცეს კულ-ტურულ მაჩვენებლებს.“

მსოფლიო პრაქტიკა ხაზს უსვამს კულტურულ პოლიტიკასთან სისტემური მიდგომის აუცილებლობას, რომლის დროსაც წინაპლანზე იწევს კულტურული პოლიტიკის კორექციის მოქნილი ტექნოლოგია. ეს კი შესაძლებელია სოციალურ – ეკონომიკური პირობების ცვლი-ლებებით. მოქნილი ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძევა პრობლე-მები გადაწყდეს კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას. კულ-ტურის სფეროს საწარმოო ბაზარზე პროდუქტი არის სარგებლისა და ფასეულობათა ნაკრები, რომელსაც მომხმარებელი სხვადასხვანაი-რად აღიქვამს, პროდუქტი შეიძლება დავახასიათოთ მისი ტექნიკური, ან სიმბოლური მახასიათლებლის მიხედვით. ის რასაც მომხმარებელი ყიდულობს, არის სარგებლის ნაკრები, იქნება ეს რეალური თუ წარმო-სახვითი. მომხმარებელი თანახმაა გადაიხადოს ფული და მიიღოს გარ-კვეული პროდუქტი მისი სურვილების, მისი გემოვნების, ან მისი საჭი-რეობების გათვალისწინებით.

კულტურის სფეროში არსებული თანამედროვე ტენდენციები და ინფორმაცია თანამედროვე ხელოვნების შესახებ ხელმისაწდომია და აღარ არის აკრძალული, თანამედროვე ხელოვნებაში წაშლილია ადრე არსებული საზღვრები. კულტურის სფეროში ძირეული

ცვლილებების მიუხედავად თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებმა და ტენდენციებმა მაინც ვერ მოახდინა ქარ-თულ ხელოვნებასა და კულტურაზე სათანადო გავლენა. მეცნიერი ნი-ნო სანადირაძე სტატიაში „კულტურის ინდუსტრიის ფუნქციონირების ეკონომიკური და სივრცობრივი ფორმები“ აღნიშნავს „კულტურის სფერო თავისთავად უნდა ქმნიდეს მოთხოვნას, რის შედეგადაც საზო-გადოებას უვითარდება როგორც კულტურის პროცესებში თანამონა-წილეობის სურვილი, ისე ხარისხის შეფასების კრიტერიუმები“[1]

კულტურის სფეროს პროდუქტის თავისებურება იმაში მდგომა-რეობს, რომ იგი თავისთავად ქმნის მოთხოვნას. იგი ვერ დაექვემდება-რება საზოგადოების უმრავლესობის მოთხოვნას. „შეუძლებელია

[1] ნინო სანადირაძე, კულტურის ინდუსტრიის ფუნქციონირების ეკონომიკური და სივრცობრივი ფორმები. საქართველოს შ.რუსთაველის თეატრისა და კინოს უნი-ვერსიტეტი „სახელოვნებო მეცნიერება ძიებანი“ N 4 (61), 2014 გვ 91

კულტურის სფეროს ფასეული პროდუქტის ფასის განსაზღვრა და თვით ღრებულების სტანდარტული წესით გაანგარიშება, აღნიშნავს მეცნიერი ნინო სანადირაძე.[1]

კულტურა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება:

- კულტურა ადამიანის სოციალური დახასიათებაა;
- კულტურის მიზანი საზოგადოების წევრების მოთხოვნილებებს ემსახურება;
- კულტურა აკუმულაციურია, რადგან ის თაობიდან თაობაში გადადის და ხშირად ისტორიული დასაბუთება მოეპოვება;
- კულტურა ცვალებადია ადაპტირებადია, შეიძლება შეიცვალოს საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად (მისი რამოდენიმე ინსტიტუტი არის უცვლელი);
- მატერიალური წარმოების პროდუქტები გამოყენების პროცესში ცვდება, კულტურის სფეროში მიღებული პროდუქტები გამოყენებისას სულ უფრო მეტ ღირებულებას (ფასეულობას) იძენს.

კულტურის უშუალო გავლენა ეკონომიკაზე დიდია და შემდეგში გამოიხატება:

- კულტურისა და ხელოვნების სფეროში იქმნება კონკრეტული სამუშაო ადგილები, საკუთარი ავტონომიური გასაღების ბაზარი აქვს;
- საინვესტიციო პოტენციალით უშუალო წვლილი შეაქვს კონკრეტული რეგონის ეკონომიკის განვითარებაში;
- კულტურა და ხელოვნება ძირითად წყაროს წარმოადგენს: განათლების, მასმედიის ტურიზმის გართობის ინდუსტრიის განვითარებისათვის.

13.2. კულტურის პოლიტიკა

ტერმინი „პოლიტიკა“ ნიშნავს შეგნებულ ქმედებას, მიმართულს საზოგადოების მიერ მოთხოვნილ, დასახულ მიზანთან მისაღწევად.

ვიცით, რომ არ არსებობს საზოგადოება კულტურის გარეშე. ამდენად, აუცილებელია გარკვეული „კულტურის პოლიტიკის“ შემუშა-

[1] ნინო სანადირაძე და ნათია კოპალეიშვილი „კულტურის სფეროს მენეჯმენტი, აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მენეჯმენტი“ თბილისი 2019, გვ 37

ვება, რომელიც გულისხმობს კულტურის განვითარების, მისი ამოცანებისა და მიზნების განხორციელების მიზნით შესაბამისი ხერხების, მექანიზმებისა და მოქმედებათა შემუშავებას. ამრიგად, კულტურის პოლიტიკა წარმოადგენს შეგნებულ რეაგირებას კულტურის სფეროში ყველა იმ აუცილებელი საკითხების მიღებისას, რომელიც ეხება მთლიანობაში საზოგადოების კულტურულ განვითარებას.

ნებისმიერი საზოგადოების კულტურის პოლიტიკა ხორციელდება შემდეგი სახით:

1. თეორიული დებულებების გზით, რომელიც ემთხვევა საზოგადოებრივი განვითრების საერთო ტენდეციებს და განპირობებულია გარკვეული საზოგადოების იდეოლოგიით. ასევე სამეცნიერო მიღწევებით სოცილოგიისა და კულტურის სფეროში.;

2. კულტურის პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ზუსტი ფორმულილებით;

3. კულტურული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების მეთოდებისა და მექნიზმების რეალიზაციით.

სახელმწიფოსა და კულტურას შორის ურთიერთობის განხილვისას რამდენიმე კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.:

1. საჭიროა თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა კულტურის სფეროში?

2. რა ფაქტორებით (ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული) არის განპირობებული?

3. ცხოვრებაში რა სახით შეიძლება იყოს გატარებული.

ძირითადი კულტურული ფასეულობების ხელმისაწდომობას მოსახლეობის ყველა ფენისათვის უზრუნველყოფს, განაპირობებს საზოგადოების კეთიდღეობის დონის ზრდა და ინფორმაციის მასობრივი საშუალებების (ბეჭდა, რადიო ტელევიზია) განვითარება. გამომდინარე აქედან კულტურის პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება სულ უფრო აქტუალური ხდება.

ყოველი ცალკეული ქვეყნის ეროვნული კულტურული პოლიტიკისათვის ძირითადი მიმართლებები ყალიბდება საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობით.

ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ რამდენი სახელმწიფოცაა, იმდენი კულტურული პოლიტიკის კონცეფცია არსებობს, მაგრამ ამის მიუხედავად შეიძლება გარკვეული მსგავსება არსებობდეს სხვადასხვა

ქვეყნებს შორის. განვიხილოთ კულტურის პოლიტიკის მოდელები – მოდელი ეს წარმოსახვითი კონსტრუქციაა, რომელიც მექანიზმის ფუნქციონირების სპეციფიკის დემონსტრირებას ახდენს. მრავალი ქვეყნის – სხადასხვა ეკონომიკის განვითარების დონის პოლიტიკური სისტემისა და კულტურულ ტრადიციათა ბაზაზე დაყრდნობით იკვეთება კულტურის პოლიტიკის სულ მცირე 5 ძირითადი მოდელი:

1. კულტურული პოლიტიკის ლიბერალური მოდელი – კულტურის პოლიტიკის ამ მოდელის ძირითად ნიშანს წარმოადგენს კულტურის სფეროში სახელმწიფო „ნეიტრალიტეტი". სახელმწიფო არ ეხება შემოქმედებით საშუალებებსა და კულტურულ ფასეულობათა გავრცელებას. აქ იგულისხმება რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება გავლენა იქონიოს კულტურის განვითარებაზე, რათა არ შეიჭრას მის ავტონომიაში. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა კულტურულ ფასეულობათა ბაზარს აქვს. ასეთი მოდელი ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებულ შტატებში არის განვითარებული.

2. კულტურის პოლიტიკის ნაწილობრივ სახელმწიფო მოდელი – ასევ ვთქვათ კულტურის პოლიტიკის სახელმწიფოს „მოკრძალებულ დისტანციაზე" მოდელი. ეს მოდელი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ კულტურის სფეროში თავისუფლებათა დელეგირებას სპეციალური ორგანოებისადმი კერძოდ ხელოვნების საბჭოებზე, რომელსაც ის აყალიბებს მაგრამ, პირდაპირი გზით არ მართავს მას, რადგან ის მას ანიჭებს სრულ ავტონომიას გადაწყვეტილებათა მიღებაში, მის მანდატის სრული პერიოდის განმალობაში. თავისი არსით კულტურის პოლიტიკის ეს მოდელი არის ელიტარული და თავისი ორიენტაციით მიესადაგება კულტურის დემოკრატიზაციის საერთო ტენდეციებს. ამ დროს ხდება მაღალ – მხატრულ ფასეულობათა მიახლოება ფართო მაყურებლებთან, როგორც დღეს ეს ხდება დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. ამ ქვეყნებში ხელოვნების საბჭოები ისწრაფიან გაანეიტრალონ ბაზრის გავლენა ხელოვნებაზე, ერთროულად მხარს უჭერენ ელიტარულ კულტურულ დაწესებულებებსა და ადგილობრივ კულტურულ პროექტებს, რომელთა მიზანიცაა კულტურულ ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართვა. ამ მოდელის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს გერმანიის დეცენტრალიზებული კულტურის პოლიტიკა, რომელმაც კულტურის პოლიტიკის კომპენტენცია გადაამისა-

მართა რეგიონებზე. ამრიგად, კულტურის პოლიტიკის სფეროში წარმოიქმნა დიდი რაოდენობით ავტონომიური განშტოებები, რომლებიც საქსონიიდან ბავარიამდე ერთმანეთისაგან განსხვავდება. ისე როგორც შვედეთის კულტურის პოლიტიკა განსხვავდება გაერთიანებული სამეფოს, ან საფრანგეთის კულტურის პოლიტიკისაგან. ამავდროულად კულტურის პოლიტიკას გერმანულ მიწაზე აქვს საერთოც, კერძოდ ქალაქი როგორც ღერძი კულტურათა მოვლენების ძირითადი მატარებელი და საქალაქო კულტურის პოლიტიკა, როგორც კულტურის გადამწყვეტი ფაქტორი.

3. კულტურის პოლიტიკის სახელმწიფო ბიუროკრატიული საგანმანათლებლო მოდელი. ეს მოდელი განსხვავდება სახელმწიფოს აბსოლუტური ძალაუფლების კონტროლით კულტურაზე, რომელიც ხორციელდება პოლიტიკური და იდეოლოგიური აპარატის საშუალებით. ასეთ შემთხვევაში კულტურა, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროები, იმართება და იგეგმება ცენტრალიზებულად. ასეთი მოდელი დამახასიათებელი იყო არამარტო სოციალისტური ქვეყნებისათვის არამედ სოციალურ-დემოკრატიული მთავრობებისთვისაც. ისეთები როგორებიც არიან შვედეთი ან ნიდერლანდები. სოციალისტურ ქვეყნებში არამხოლოდ იგეგმებოდა კულტურის განვითარების მატერიალურ ფინანსური უზრუნველყოფა, არამედ სოციალური დაკვეთითა და იდეოლოგიის ზეწოლით კულტურული მშენებლობა მიემართებოდა შინაარსობრივ და ჟანრობრივ დონეზე. აქ შემოქმედებითი ნოვატორობის ჩარჩოები ვიწროვდება. დღეს ჩინეთის კულტურის პოლიტიკის მოდელი პრინციპში ასეთია.

4. კულტურის პოლიტიკის სახელმწიფო პრესტიჟულ საგანმანათლებლო მოდელი – საფრანგეთში განვითარებული ეს მოდელი კულტურას წარმოადგენს, წარადგენს არამხოლოდ როგორც ეროვნულ თვითმყოფადობის ფაქტორს, არამედ სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას ეროვნულ საკუთრებაზე, რაც მთელ მსოფლიოში უმნიშვნელოვანესია ქვეყნის იმიჯისა და პრესტიჟისათვის.

საფრანგეთის პირველი კულტურის მინისტრიდან ანდრე მალროდან (1960 წელი) მოყოლებული, ჟაკ ლანგამდე (80-იანი წლები) ფრანგული კულტურის პოლიტიკა ტონს აძლევდა და გავლენას ახდენდა

მრავალ მეზობელ ქვეყანაზე, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს კულტურის პოლიტიკაზე მთლიანად.

საფრანგეთში განვითარება ჰპოვა მრავალმა კონცეფციამ – დეცენტრალიზებული კულტურიდან, სოციალ- კულტურულ მოღვაწეობამდე.

5. კულტურის პოლიტიკის ეროვნულ-ემანსიპირებული მოდელი. ეს მოდელი დამახასიათებელია მრავალი განვითარებადი ქვეყნისათვის, რომლებიც მეოცე საუკუნის 10-20-იან წლებში ჯერ კიდევ კოლონიები იყვნენ. დღეს ასეთ მოდელს ვხვდებით ზოგიერთ ახლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (მოლდავეთი), ცენტრალური აზიის (ყირგიზეთი) ქვეყნებში. ამ მოდელის მთავარ თვისებას წარმოადგენს განვითარება და თვითმყოფადი კულტურის ტრადიციების შენარჩუნება, რომელიც ითრგუნებოდა კოლონიური, ან საბჭოთა სახელმწიფოს მიერ. ეს ხშირად იწვევს კულტურაში თვითიზოლაციას, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლინებას.

კულტურის პოლიტიკისათვის, ყოფილ კოლონიებში მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაა ელემენტარული კულტურის განვითარება, ამ დროს წინაპლანზე გამოდის მთელს მოსახლეობაში წერა კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია. კულტურის პოლიტიკის ასეთი მოდელია (სენეგალში, პერუში).

13.3. კულტურის პოლიტიკა გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში

კულტურა და კულტურის პოლიტიკა პოსტტოტალიტარულ საზოგადოებაში ერთი მხრივ ღრმადაა დამოკიდებული კულტურულ დაწესებულებათა საორგანიზაციო სისტემებზე, მეორე მხრივ კი ის იმყოფება დემოკრატიული ორიენტაციის ინტელიგენციის გავლენიშ ქვეშ.

გარდამავალი პერიოდის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს არასტაბილური პოლიტიკური სისტემები, გადაუწყვეტელი ეკონომიკური ურთიერთობები, ბაზრის მნიშვნელობის გადაუჭარბებელი დეკლარირება, ეროვნული თვითშეგნების ზრდა და ამით გამოწვეული „ზრუნვა“ ერის სულიერ ჯამრთელობაზე, იდეოლოგიური ცენზურის გაქრობა რელიგიური და ეროვნული პოსტულატების საფუძველზე ფაქტობრივი ცენზურის დანერგვა და ა.შ.

კულტურის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ერთდროულად სახელმწიფო იდეოლოგიური ცენზურისა და სახელმწიფო მეურვეობის გაქრობასთან ერთად ამ სფეროში, კულტურის დაწესებულებები ბაზარზე თავისთავზე მინდობილი დარჩნენ. რომელიც სინამდვილეში არც კი არსებობა. ამან გამოწვია საზოგადოების მხრიდან კულტურისადმი ინტერესის დაქვეითება. საქმე მარტო ის არ არის, რომ მოხდა ინტერესთა ორიენტაციის ცვლა, არამედ ის რომ მხატრული ნაწარმოებები დღეს აღარ ფასდება ისე, როგორც ადრე. წიგნის მაღაზიებში აღარ არის გრძელი რიგები რომელიმე წიგნზე რომელსაც დიდხანს ველოდით. თეატრის შენობების წინ იშვიათად კითხულობენ ზედმეტ ბილეთებს. სახელმწიფომ უარი თქვა აღარ ერევა კულტურის საქმეებში მისთვის დოტაციის მიცემაზე.

პოსტოტალიტარულ ქვეყანათა უმრავლესობისათვის ეროვნული კულტურული პოლიტიკის განსაზღვრითა და რეალიზაციით დაკავებულია კულტურის სამნისტროები:

- პარლამენტში შეაქვთ კულტურის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროექტები განსახილველად;
- პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე ანაწილებენ ბიუჯეტიდან გამოყოფილ ფინანსურ სახსრებს კულტურულ დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის და ეროვნული მნიშვნელობის კულტურული პროგრამების მხარდაჭერისათვის.

განვიხილლოთ კულტურის პოლიტიკის მიმართულებათა განვითარება და პრიორიტეტები. კულტურის პოლიტიკის სპეციფიკური მექნიზმები განსაზღვრავენ კულტურული მოღვაწეობის განვითარებას ისეთ სფეროში როგორიცაა მაგალითად თეატრი, ანდა საბიბლოთეკო საქმე. კულტურის სფეროში ევროპულ ქვეყანასთან თანამშრომლობა გვაჩვენებს მრავალრიცხოვან კონცეფციებს, რომლებსაც მრავალ ქვეყანაში იღებდნენ და პრაქტიკად თანდათანობით იქცეოდა. ამასთან მექანიზმები და მათი რეალიზაცია განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან კერძოდ:

- 1960-იანი წლების -კულტურის დემოკრატიზაცია:
- უწყვეტი განათლება;
- სოციალურ-კულტურული მოღვაწეობა;
- 1970-იანი წლების – კულტურის დაგეგმარება:

- სივრცითი მენეჯმენტი;
- შეფასების მეთოდების განვითრება;
- 1970-იანი წლების შუა პერიოდი – კულტურის დემოკრატია:
- კულტურა ყოფაში;
- მოქალაქეთა მონაწილეობა კულტურის ფინანსირებაში;
- 1980-იანი წლების დასაწყისი – რეგიონების კულტურა:
- ევროპული კულტურული იდენტურობა;
- ევროპის რეგიონი საზღვრების გარეშე;
- ქალაქები;
- მიკრო-რაიონები
- 1990-იანი წლების ბოლო პერიოდი – პრობლემური სოციალურ – კულტურული პროექტები:
- მიგრანტები;
- ქალები;
- ეროვნული უმცირესობები;
- ასოციალური პიროვნებები (უმუშევრები და სამართალ დამრღვევები);
- პროექტები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- 1995-იანი წლები – კულტურული თანამშრომლობა:
- საერთო ევროპული;
- დარგთაშორისი;
- სამოქალაქო საზოგადოება;
- ინტერნაციონალურიდან ზენაციონალურისაკენ;

პრიორიტეტული ინსტიტუტები: თანამშრომლობა, ქსელები.

13.4. უფლება კულტურაზე როგორც ადამიანის განუყოფელი უფლება

კულტურაზე უფლების ფიქრით როგორც ერთ-ერთ ფუნდამენტალურ ადამიანთა უფლებაზე, თეორიული აზროვნება მეორე მსოფლიო ომის დასასრულის შემდეგ დაკავდა.

სხვადასხვა საზოგადოებაში, სახელმწიფოებში კულტურაზე საზოგადოებრივი უფლებების განხორციელებისათვის ბრძოლა სხვადასხვა ფორმას იღებდა:

- საერთო კულტურული განათლებიდან საყოველთაო განათლების უფლებამდე, განსაკუთრებით ქალაქებისათვის (აფრიკული და აზიური ქვეყნები);
- ცალკეულ ეთნიკურ, ენობრივ ჯგუფებში მათივე კულტურულ ტრადიციათა სულისკვეთებით ლიტერატურის შესაქმნელად (ბოშები, ბრეტონელები და უელსელები);
- ბრძოლა შესაძლებელ თავისუფალ შემოქმედებით გამოხატვაზე, რომელიც არაა შეზღუდული საზოგადოდ მიღებული კანონებით, იდეოლოგიური აბლაბუდით, რელიგიური ცრუწრმენით (ასეთი ბრძოლა როგორც წესი დაკავშირებულია სოციალისტურ ქვეყნებთან, რომელშიც შემოქმედნი შეზღუდულნი იყვნენ ცენზურის მკცარი მოთხოვნებით. ეს ბრძოლა დამახასიათებელია ყველა ტოტალიტარული ქვეყნისათვის, როგორ იდეოლოგიურ ფუნდამენტზეც არ უნდა იყვნენ აღმოცენებულნი;
- ბრძოლა კულტურული უფლებების განხორციელებაზე განვითარებულ დასავლურ ქვეყნებში უპირველეს ყოვლისა გულისხმობს მისწრაფებას საბაზრო, ეკონომიკური ფაქტორების შესარბილებად, რაც ზღუდავს ფართო საზოგადოებისათვის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას, რადგანაც არაა აქვთ საკმარისი სახსრები ელემენტარული არსებობისთვისაც კი.

გაეროსა და იუნესკოს ოფიციალური აქტებითა და დეკლარაციებით უფლება კულტურაზე განცხადებულია, მაგრამ არცერთ ქვეყანაში სრული მაშტაბით არ არის განხორციელებული. ამიტომ, აუცილებელია კულტურის პოლიტიკის სამართლებრივი გადაწყვეტა და მექანიზმები იქნას მოძიებული, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება შემსუბუქდეს უთანასწორობათა შედეგები და განვითარდეს თვითმყოფადი განსხვავებანი, რომლის განვითარებასაც ცდილობენ მრავალრიცხოვანი იდეოლოგიური, ეკონომიკური, კულტურულ-პოლიტიკური ფაქტორები. მაგალითად, ბოშა ბავშვების უფლება განათლებაზე, რომელიც დაიყვანება იმ გარემოს ენაზე სწავლების უფლებაზე, რომელშიდაც ისინი ცხოვრობენ გამომდინარეობს საუკეთესო მოსაზრებიდან, მაგრამ ასეთი სწავლის შედეგებს მივყავართ კულტურულ განსხვავებათა წაშლამდე, კულტურულ ტრადიციათა გაქრობამდე და საკუთარ კულტურასთან გაუცხოვებამდე.

დღევანდელ მსოფლიოში, კულტურულ უფლებათა კვლევის მნიშვნელოვან ობიექტს საბაზრო პირობებში კულტურის სამეურნეო წარმოებაზე გადასვლა წარმოადგენს. მსოფლიოში არსად, განვითარებულ ქვეყნებშიც კი რომელთა დონის მიღწევასაც ვცდილობთ კულტურა, მხოლოდ და მხოლოდ ბაზარზე არ არის მინდობილი. სახელმწიფომ მეცენატობით დაწყებული როგორც საფრანგეთში, ისე სამეწარმეო კომპანიების მიერ მეცენატურ ფუნქციამდე,როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში და დიდ ბრიტანეთში კულტურა ყველა თავისი გამოვლინებით ეყრდნობა არამხოლოდ მომხმარებელს, რომელიც ყიდულობს რა შესასვლელ ბილეთს, იხდის შესაბამის ფასს მხატვრული ნაწარმოებისათვის – ბაზარზე გამოტანილ საქონელში, არამედ ის ფინანსდება სხვა წყაროებითაც.

კულტურას თუ მივმართავთ განსაკუთრებული მოგებისაკენ, როგორც მეწარმეობის მოტივს, იგი ნეგატიურ გავლენას მოახდენს მთლიანად ქვეყნის შემოქმედებით და კულტურულ ცხოვრებაზე. ამ დროს სამეწარმეო რისკი კი შემცირდება, მაგრამ შემცირდება ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებების გამოცემა, კლასიკურ მუსიკალურ ნაწარმოებთა შესრულება, ნაკლები იქნება ექსპერიმენტული ხასიათის ტელე-რადიო გადაცემები.

გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში საშუალო ოჯახებს დიდი სახსრები სჭირდება კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, რაც არა აქვთ. ამიტომ, კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დაყვანილია ტელეპროგრამების ცქერამდე, რომელთა არჩევანიც არც ისე დიდია, ყოველივე ამისათვის საჭიროა ყურადღება დაეთმოს ქვეყნის კულტურის პოლიტიკას იმისათვის, რომ მოიძებნოს სათანადო მექანიზმები ამ ქვეყნის ყოველი მოქალაქისათვის კულტურაზე, უფლების რეალიზებისათვის.

13..5 კულტურის პოლიტიკის მექნიზმები, პროფესიული გაერთიანებები

როგორც ვიცით და უკვე განვსაზღვრეთ კულტურის პოლიტიკა ესაა გაცნობიერებული მოღვაწეობა – ქმედება მიმართული საზოგადოების მიერ კულტურის სფეროში მოთხოვნილ ამოცანათა მისაღწევად.

ნებისმიერი მოღვაწეობა ითვალისწინებს შესაბამისი ინსტრუმენ-

ტების არსებობას (საშუალებებს, რომლის დახმარებითაც ხორციელ-დება აუცილებელი ცვილებები გარკვეულ მიზნებთან მიმართებით)

კულტურის პოლიტიკის მექანიზმები თავისი მოქმედების ბუნებით იყოფიან ეკონომიკურ, პოლიტიკურ სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ღირებულ-იდეურად.

მოქმედების მიმართულების მხრივ კი იყოფა მასტიმულირებლად და დამამუხრუჭებლად. ნებისმიერ საზოგადოებაში დემოკრატიულობის, შემოქმედების თავისუფლების განვითარების ხარისხი შესაძლებელია განისაზღვროს როგორც:

- კულტურის პოლიტიკის მასტიმულირებელი;
- კულტურის პოლიტიკის დამამუხრუჭებელი;

რაც უფრო მეტად სტიმულირდება კულტურული შემოქმედების განსხვავებული სახეები, რაც უფრო მცირე არის შეზღვუდები და კონტროლი, მით უფრო დემოკრატიულია საზოგადოებაში კულტურული კლიმატი და უფრო მეტად დამაჯერებელია შემოქმედებითი შედეგები საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. კულტურის პოლიტიკის მასტიმულირებელი და დამამუხრუჭებელი მექანიზმები თავს ავლენენ, როგორც ეკონომიკურ და პოლიტიკურ სამართლებრივ, ასევე მორალურ ჭრილში.

პროფესიული გაერთიანებები – ესაა ინტერესების მიხედვით ადამიანთა ჯგუფური გაერთანებები, ანდა სპეციფიკური საკითხების ლობირების ჯგუფები.

ნებისმიერი პროფესიული გაერთიანების ძირითად მიზანს, ინტერესებისათვის ბრძოლა და გარკვეული პროფესიის ავტონომიური მდგომარეობისათვის მისი წევრების პროფესიული სრულყოფილების ორგანიზება წარმოადგენს. ზოგადად გაერთიანება, რომელიც იცავს ინტერესებს პროფესიულადაა ორიენტირებული. მათი საფუძვლები სათავეს იღებს წოდებრივი, საზოგადოებრივი ფენების ორგანიზაციებიდან, რომელნიც არსებობდნენ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. ზოგიერთი მათგანი გარდაიქმნა სამხატვრო აკადემიად, ანდა ეგრეთწოდებულ „საძმოებად“. საქართველოში ამის მსგავს ორგანიზაციებად შეიძლება დასახელდეს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, ანდა კინემატოგრაფისტთა კავშირი, ან კომპოზიტორთა კავშირი. ასეთი გაერთიანებების წევრები სხვადსხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები არი-

ან, განსხვავებით პროფესიული გაერთიანებებისაგან, რომლებიც იცავენ გარკვეული პროფესიის ინტერესებს. ასეთ გაერთიანებებში გასაწევრიანებლად მათი მიზნების აღიარებაა საკმარისი, მაშინ როცა პროფესიულ გაერთიანებებში შესასვლელად საჭიროა შესაბამისი განათლება, სპეციალური გამოცდების ჩაბარება, გარკვეულ პროფესიაში მოღვაწეობა, საკუთარ წრეში ავტორიტეტის ქონა და ა.შ. მსგავს ორ ტიპად დაყოფისას მხედველობაში უნდა მივიღოთ გარკვეული პირობითობა, რამდენადაც რეალურ ცხოვრებაში მათ შორის ზღვარის გავლება საკმაოდ რთულია, რამდენადაც მიზნები, რომლებსაც ისინი მისდევენ თავიანთ მოღვაწეობაში ძალიან მსგავსია მაგალითად, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, რომელიც ტიპიურ პროფესიულ, გარკვეული ინტერესების დამცველ გაერთიანებას წარმოადგენს, ამავე დროს იღწვის სათიატრო ხელოვნების განვითრებისათვის, რაც მთლიანობაში დამახასიათებელია გაერთიანებისათვის, რომელიც ცხოვრებაში რაიმე ინტერეს ატარებს.

როგორი სახით მოქმედებს გაერთიანებები, რომელნიც მიზნად ისახავენ გარკვეულ ამოცანებს და მათი რეალიზაციისათვის გარკვეულ ზეწოლასაც ახდენენ პოლიტიკურ და სახელმწიფო სტრუქტურებზე? გარკვეული გაერთიანებების წარმომადგენლები ამა თუ იმ ხელმძღვანელ თანამდებობას იკავებენ, რაც მათ საშუალებას აძლევთ გავლენა იქონიონ პოლიტიკური პარტიისა და სახელმწიფო ორგანიზაციების პოზიციებზე. ეს შეიძლება იყოს მაგალითად რეჟისორი, რომელიც ხდება მინისტრი, იზიარებს ან იცის გაერთიანებული ჯგუფების ინტერესები, იგი ამკვიდრებს მაღალი ხარისხის პროფესიულ ინტერესებს.

საკუთარი მიზნების მიღწევის **მეორე** საშუალებას წარმოადგენს სხვადასხვა სახის ფუნქციონირებაზე ემოციურ – გრძნობითი ზემოქმედება. ეს კი ხორციელდება პრემიერებზე, გამოფენების გახსნებზე დასწრება – მოპატიჟებით და ა.შ ამით ყურადღება მოიზიდება პროფესიული გაერთიანებისაკენ და მისი ინტერესებისაკენ. **მესამე** საშუალება მდგომარეობს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მიღწევაში, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული პროფესიული გაერთანებებისათვის. პროფესიული გაერთანება ასევე ისწრაფვის წარმოუდგინოს საზოგადოებრივ აზრს, როგორც თავიან-

თი პროფესიული ინტერესები, ასევე მთელი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინტერესებიც. **მეოთხე** საშუალების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პროფესიულ გაეთიანებებს უფლება აქვთ პროფესიულ ექსპერტიზაზე იმ საკითხებში, რაც მათ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. ამის გათვალისწინებით, მთავრობა გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან ამზადებს რა შესაბამის გადაწყვეტილებებს (კანონებს) კონსულტაციებს გადის ექსპერტებთან, რომლებიც პროფესიონალურ გაერთიანებათა წევრები არიან. ამით ხარისხიანი გადაწყვეტილებათა მიღების ალბათობა მაღლდება.

13.6. კულტურის პოლიტიკის ინსტრუმენტები – პრემიები

კულტურის პოლიტიკის ყველაზე გავრცელებულ მასტიმულირებელ ინსტრუმენტს პრემიები წარმოადგენს. მას გააჩნია გარკვეული ეკონომიკური (ფინანსური სახსრები, რომლებიც გადამეცემა პრემიის ლაურიატს), პოლიტიკურ-სამართლებრივი (პრემია ფუძნდება კანონის, ან რომელიმე აქტის საფუძველზე, რომელიც მიღებულია პოლიტიკური ორგანოს, ანდა კულტურის სამართველოს, ამ ფონდის ორგანოების მიერ) და მორალური შინაარსი (პრემიის მინიჭებას თან სდევს საზოგადოებრივი აზრის ყურადღება და ხელს უწყობს ლაურიატის ავტორიტეტის ზრდას, საზოგადოებრივ და კულტურულ გარემოში.)

კულტურის პოლიტიკის ძირითადი ელემენტების ცოდნის გარეშე შეუძლებელია პრემიათა სოციო -კულტურული ფუნქციის გაგება. ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს მკვეთრად გამოხატული კულტურის პოლიტიკის დებულებანი, რაც შეეხება კულტურული შემოქმედების სფეროში პრემიების საკითხებს, პრემიების პროცედურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ სფეროში მიღებულ გარკვეულ ეტალონებთან შედარებისას მის საფუძველში დევს შეფასების კრიტერიუმები, როგორც წესი საუბარია უნივერსალურ ფასეულობებზე (შემოქმედება, ჰუმანიზმი, თავისუფლება) ამდენად აუცილებელია ვიპოვოთ მექნიზმი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება შევადაროდ ერთი მხრივ საერთო ფასეულობები და მეორე მხრივ კერძო ხელოვანის, ან კულტურის მუშაკის კონკრეტული დამსახურება. ეს შედარება შეპირისპირება სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ხორციელდება საშუამავლო მექ-

ნიზმების საშუალებით, რომელსაც საფუძვლად სამი ძირითადი ელემენტი უდევს:

ა) კონკურსის დებულება;

ბ) კონკურსის ჟიური;

გ) ჟიურის მუშაობის რეგლამენტი;

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სპეციფიკური თავისებურებანი, რაც პრემიას უნიკალურ ხასიათს აძლევს, რითაც იგი განსხვავდება სხვა პრემიებისაგან. ასეთი თავისებურებანი თავის თავში აერთიანებს გარკვეულ შეზღუდებს ნომინანტებისათვის (შემოქმედების სფერო, ენა ადგილი, დრო, ასაკი, პროფესიული კუთვნილება) რასაც პრემიის სახელწოდებასთან ერთად პრემია მიჰყავს ინდივიდუალიზაციამდე. პრემიათა მინიჭების პროცესში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ტიპიური სიტუაცია:

1. ჰეტერონომული სიტუაცია, როცა პრემიას ანიჭებენ საზოგადოების წარმომადგენელი ჟიურის წევრები, მაგრამ თავად არ არიან შემოქმედებით მუშაკები. ასეთი სიტუაცია დამახასიათებელია ე.წ საზოგადოებრივი პრემიების მინიჭებისას, როდესაც შემოქმედებითი მუშაკნი ჟიურის შემადგენლობაში უმცირესობით არიან წარმოდგენილნი.

2. ავტონომიური სიტუაცია, როდესაც კულტურული საზოგადოების ვიწრო სპეციალიზირებული ჯგუფის წარმომადგენელნი (ლიტერატორები, მხატვრები, მუსიკოსები) ანიჭებენ პრემიებს თავიანთ კოლეგებს. ასეთ ჟიურის სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ კვალიფიცირებული ჟიური.

3. შერეული სიტუაცია, როდესაც ჟიურის წევრები არიან, როგორც ფართო საზოგადოების, ასევე ვიწრო შემოქმედებითი წრის წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრემიის კულმინაციურ ფაზას, ლაურეატთა გამოცხადების აქტს და პრემიათა მინიჭებას, რომლის ძირითად ფუნქციასაც საზოგადოებრივ ფასეულობათა დამკვიდრება და იმავდროულად პრემიის ლაურიატის საზოგადოებრივი წარდგენა წარმოადგენს. კულტურის სფეროს მდგომარეობის ანალიზისას, ის მიღწევები რაშიც ენიჭებათ პრემიები, განსაკუთრებით კი კონკურსის პირობები, ჟიურის შემადგენლობა და პრემიათა ლაურეატების გაცნობა აჩვენებს კულტურის პოლიტიკაში და თავად საზოგადოებაში მიმდინარე ცვილელებს.

13.7. კულტურის პოლიტიკის შეფასება

კულტურის პოლიტიკის შეფასება გამოიყენება შემდეგი მიზნებისათვის:

- კულტურული გადაწყვეტილებით გამოწვეული რისკების შემცირებისათვის;
- მცირე ფინანსირების დროს მაქსიმალურად შესაძლებელი დადებითი ეფექტის მისაღწევად;
- ქმედების რაციონალურ – მიზნობრივი კონცეფციის განსაზღვრისათვის;
- ბიუროკრატიული ძალაუფლების შეზღუდისათვის, რომელიც თავისი ბუნებით არ წარმოადგენს პასუხისმგებელს საკუთარი მოღვაწეობის შედეგზე;
- ადმინისტრაციის მოღვაწეობის ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზაციისათვის, რომელიც მოუმზადებელია ქმედებებისათვის კულტურის ზოგიერთ ახალ სფეროში;

შეფასება როგორც მეთოდს გააჩნია ორი ძირითადი ფუნქცია:

1. იგი წარმოადგენს ინსტრუმენტს რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილებათა მიღების ხარისხის გაუმჯობესებაზე (მიზანთა არჩევის და მათი მისაღწევი აუცილებელი საშუალებების დროს).
2. წარმოადგენს წარმატებული თანამშრომლობის მიღწევის ინსტრუმენტს, მათ შორის ვინც იღებს გადაწყვეტილებებს და ვისაც ეს გადაწყვეტილებანი ეხება.

შეფასების ორივე ეს ფუნქცია დაკავშირებულია ერთმანეთთან იმდენად, რამდენადაც დემოკრატიულ სისტემაში გადაწყვეტილების მიღებისას კონსესუსის (თანხმობის) არსებობა ხელს უწყობს ეფექტიანობის მატებას გადაწყვეტილებათა შესრულებისას და კულტურის პოლიტიკის გამჭირვალობას. საბიუჯეტო შეზღვუდებისას იმ მტკიცებულობის ფაქტი არსებობს, რომ იმდენად ოპტიმალური გადაწყვეტილებანი მიიღება, რამდენადაც ეს შესაძლებელია (შეფასების მიზანს სწორედ ეს წარმოადგენს) რომ საზოგადოება ასეთ გადაწყვეტილებაზე და რეალიზაციაზე უფრო მეტ მხარდაჭერას გამოხატავდეს.

შეფასების მეთოდს გარკვეულ წილად აკრიტიკებენ ზოგიერთი ნაკლისა და სისუსტის გამო. უპირველეს ყოვლისა აკონტროლებენ

მის ზედაპირულობას, ზოგიერთი შემთხვევაში დამცველ (აპოლოგეტურ) შემართებას. მოქმედებათა დაყვანა დემოკრატიულ რიტუალამდე, ანდა თეჯირის (შირმა,ტეხილი) დადგმა, რომლის მიღმაც იმალებიან ისინი ვინც სინამდვილეში იღებენ გადაწყვეტილებებს.

შეფასების მეთოდისადმი კრიტიკული მიდგომა მეტწილად საფუძვლიანია, ამასთან კრიტიკოსები ეჭვის ქვეშ არ აყენებენ ამ მეთოდში რაციონალური მარცვლის არსებობას, რომელიც შემდეგ ელემენტებად იყოფა:

- შეფასება წარმოადგენს მექნიზმს, რომელიც აუმჯობესებს გადაწყვეტილებათა მიღების ხარისხს და ხელს უწყობს იმ კომპრომისების აცილებას, რომელიც წარმოიქმნება გარკვეული გადაწყვეტილების არჩევისას, ნათელი პარამეტრების არაარსებობის დროს.;
- შეფასება წარმოადგენს დემოკრატიულ ინსტრუმენტს. თუ კი დემოკრატია არის მოქალაქეთა მონაწილეობა დიალოგში, მითუმეტეს სწორედ ეს არის კულტურის დემოკრატიის არსი, რამდენადაც ის გულისხმობს მოქალაქეთა მონაწილეობას არამხოლოდ კულტურული მოთხოვნილებებისა და შეთავაზების განსაზღვრაში, არამედ მოქალაქეთა მიერ კულტურასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების ყველა ფაზაში;
- შეფასება განსაკუთრებულ როლს იმიტომ იძენს, რომ ხელს უწყობს კულტურული პოლიტიკის ღრმა ინტერესებში შეღწევას, რომელიც სხვა მეთოდების გამოყენებისას მიუღწეველია.

მრავალ ევროპულ ქვეყანაში, კულტურის პოლიტიკის სფეროში უკვე გავლილია ფაზა, რომელშიც შეფასება აღიქმებოდა როგორც დამატებით მოღვაწეობა. ახლა მკვიდრდება მოსაზრება, რომ იგი წარმოადგენს შემადგენელ ნაწილს კულტურის სფეროს სხვადასხვა პროგრამების რეალიზაციის ყველა ეტაპზე: იდეის კონცეფციის მიღებიდან, პროგრამის ცელკეული ელემენტების დამუშავებიდან, მის საბოლოო რეალიზაციამდე.

კულტურის პოლიტიკის სფეროში შეფასება შემდეგ მიზნებს ემსახურება:

1. იმ პროგრამათა უარყოფისათვის, რომლებიც ვერ შეძლებენ დასახულ მიზანთა გამართლებას, ანდა მათი მიღწევა დაკავშირებულია მიუღებელ დიდ ხარჯებთან.

2. პროგრამათა რეალიზაციის პროცესში ხარისხის გაუმჯობესებას.

3. საერალიზაციო, ანდა მოსამზადებელი პროგრამებისათვის, გადაწყვეტილებათა მიღების ოპტიმიზაციას.

4. გადაწყვეტილებათა მიღების საერთო პროცედურებისა და კულტურულ დაწესებულებათა მართვის ოპტიმიზაციას.

13.8 კულტურა და რეგიონები

60-იანი წლების დასაწყისიდან ევროპა განიცდის დიდ ცვლილებებს, რაც დღესაც აქტუალურია. ჩვენ დღეს ვიმყოფებით სტრუქტურული არასტაბილურობის ეტაპზე, რომელიც ხელს უშლის საზოგადოების განვითარების პროგრამის დანერგვას. ევროპის ბევრ რეგიონში თავს იჩენს ძალიან განსხვავებული ფაქტორები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ცხოვრების დაპროგრამებას მის მიზეზებსა და შედეგებს. ამას მივყავართ ექსპერიმენტირებამდე სხვადასხვა დარგში, სადაც პრიორიტეტული მნიშვნელობა გააჩნია დამოუკიდებლობას, დიალოგს, თანასწორუფლებიანობას, სოლიდარობას და განსხვავებულობის პატივისცემას. ასეთი ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა, ხალხი სულ უფრო ნაკლებად აღიქმება როგორც მორჩილი და უნებისყოფო მასა. ადამიანს უნდა, მონაწილეობა მიიღოს ყველაფერში, პაციენტს თავის მკურნალობაში, სტუდენტს სურს თავისი სწავლება საკუთარ ხელში აიღოს და ვიღცას სურს თვითდამკვიდრება კულტურულ შემოქმედებაში.

მეტროპოლიზაცია და ადგილობრივი განვითარება – ერთერთი ცვლილებაა, რომელზეც მიდის საუბარი, არის ევროპის მეტროპოლიზაცია (მეტროპოლიზაცია – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დედაქალაქი) ამას მივყავართ ცენტრების შექმნამდე, რომელიც შედგება მხსვილი ქალაქების ქსელისაგან, რომლებიც იქცევიან ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ცენტრებად და დომინირებენ ევროპის კულტურულის სცენაზე, გააჩნია რა ფართო სპექტრი მრავალფეროვანი კულტურული უპირატესობისა (მუზეუმები, უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები, თეატრები და სხვა) ისინი წარმოადგენენ თავისებურ საკურთხეველს კოსმოპოლიზმისა. (კოსმოპოლიზმი – ძვ. ბერძ მსოფლიოს

მოქალაქე) პერიფერიულ რეგიონებს, თავის მხრიც არ სურთ უკან დახევა და მათ შორის მრავალია, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პროცესთან ჩამორჩენას,იყენებენ კულტურულ ფასეულობას. პერიფერიული რეგიონების კულტურული პოლიტიკა, როგორც წესი არ წარმოადგენს შემტევს. ის დაფუძნებულია პირველ რიგში არსებული კულტურული ფასეულობების შენარჩუნებაზე. დეცენტრალიზაციის პოლიტიკა აგრძელებს განვითარების ახალ სტრატეგიას როგორც ცენტრში ასევე პერიფერიებშიც – ადგილობრივი განვითარებით. რეგიონები პრივილეგირებული პარტნიორების როლში, კულტურული განვითარების პოლიტიკის რეალიზაციაში – დღეს სულ უფრო ხშირად ვხედავთ რეგიონულ კულტურულ აქტივობას, რეგიონები ითხოვენ შესაბამის თანასწორუფლებიანობასა და პარტნიორობას კულტურული პოლიტიკის განვითარებაში. ამისათვის არის რამდენიმე მიზეზი:

- რეგიონული დეცენტრალიზაცია;
- რეგიონში სპეციალური კულტურის ფორმირება დაფუძნებული საკუთარ ისტორიაზე, ენაზე, გეოგრაფიაზე, საზოგადოებრივ – პოლიტიკურ ურთერთობებზე;

კულტურული პოლიტიკის რეგიონული ხასიათი ხელს არ უშლის რეგიონებს, ჩაერთონ მსოფლიო კულტურული პროცესში და კულტურული ფასეულობების საერთო სისტემის გაცვლაში.

უნდა ითქვას, რომ რეგიონები ხდებიან უფრო დამოუკიდებელნი კულტურული პოლიტიკის დარგში. ამავე დროს თავის შემადგენლობაში რეგიონებს შეუძლიათ დადებითი ზემოქმედება იქონიონ მუნიციპალური განათლების დონეზე, კულტურული საქმიანობის კორდინაციაზე. ამრიგად, რეგიონები წარმოადგენენ პრივილეგირებულ მონაწილეებს კულტურული დემოკრატიის საერთო პროცესში და თუ გავითვალისწინებთ ევროპული რეგიონების კულტურულ სპეციფიკას, მაშინ ისინი წარმოადგენენ კულტურული პოლიტიკის მრავალგეგმიანი განვითარების მეტნაკლებად ოპტიმალურ დონეს.

კულტურული დემოკრატია – კულტურული დემოკრატიის აზრი ნიშნავს, ადამიანისათვის, მისი შემოქმედებითი საქმიანობისათვის და მისი ცოდნისათვის პრიორიტეტული ადგილის მიჩენას. კულტურული დემოკრატია ნიშნავს პროგრეს, მაგრამ მის მისაღწევად უნდა გაკეთდეს ბევრი ინიციატივა, ქვევიდან განვითარებისათვის, კულტურული

პროცესის სხვადასხვა კატეგორიის მონაწილეებს შორის. კულტურული პროცესის ყველა მონაწილეს აუცილებელია გაეწიოს დახმარება, რათა დაიცვას თავისთავი ნიშაში თვითიზოლაციისაგან. თანამედროვე კულტურულ სფეროში დომინირებს გართობანი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საჭიროა რათა ისინიც არ დარჩნენ კულტურული დემოკრატიის პროცესის მიღმა.

სოციალურ-კულტურული სფეროს თანამშრომლები მოქმედებენ საზოგადოებრივი იეარქიის ყველა დონეზე და საქმიანობენ ყველა სფეროში. ის ხელს უწყობს კულტურის დარგში სხვადასხვა სისტემას შორის კავშირების გაუმჯობესებას. დახმარებას უწევს თავის პარტნიორებს პროექტების რეალიზაციაში, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების კულტურული პოლიტიკა ქმნის მრავალფეროვნებას სოციალურ – კულტურული სფეროს მუშაკთა პროფესიებში, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ: ინსტრუქტორები, მენეჯერები, სპეციალისტები, მასობრივი ინფორმაციის სისტემებთან კავშირში, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა. ამასთანავე, კულტურული პოლიტიკა – ეს არის არამხოლოდ ფინანსური სტრიქონი ბიუჯეტში, არამედ ინვესტიციაც ადამიანებში.

13.9. კულტურული თანამშრომლობა და პლიურალიზმი

ამათუიმ საზოგადოების განვითარების დონეზე, მსოფლმხედველობა და კულტურა დამოკიდებულია კაცობრიობის განვითარების ისტორიულ პერიოდებზე. კულტურაში განსხვავება არ ნიშნავს, რომ ერთი ხალხის კულტურა ნაკლებად ღირებულია, ვიდრე მეორესი ისინი უბრალოდ განსხვავებულები არიან, ასეთ მდგომარეობას კერძოდ ერთნაირი ღირებულების კულტურის სხვადასხვა ფორმას პლურალიზმი კულტურაში ეწოდება. პლურალიზმის ცნება კულტურაში, კულტურული თვითმყოფადობის უფლების ფუძემდებლური საკითხია. ეს უფლება ადამიანთა საზოგადოების ნებისმიერ ნაწილში ითვალისწინებს კულტურის გამოვლინების თავისებურებას, რადგანაც ეროვნული კუთვნილების გრძნობა წარმოადგენს ადამიანთა უმრავლესობის კულტურული თვითმყოფადობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. ადამიანისათვის უფლება ეროვნულ კულტურაზე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ უფლებას.

სხვადასხვა შინაარსით ეროვნული კულტურა რთული მოვლენაა, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს რამდენიმე საკვანძო ელემენტების დახმარებით:

- ენა, როგორც ეროვნული კულტურის დახასიათების პირველი განმასხვავებელი.
- ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა;
- ეროვნული კუთვნილების გრძნობა;

მულტიკულტურალიზმი – ეს არის ერთი საზოგადოების ჩარჩოებში, სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული ჯგუფების ჰარმონიული თანამშრომლობის იდეა, ან იდეალი აშენებული პლურალიზმის საფუძველზე. ტერმინის „მულტიკულტურალიზმი“ ძირითადი მნიშვნელობა, როგორც შინაარსით, ასევე გარეგნული გამოვლინებით მიეკუთნება კულტურის პოლიტიკის თავისებურებას, ან სხვადასხვა საქმიანობას კულტურის სფეროში.

მულტიკულტურალიზმის ამოსავალ წერტილს იდეის დონეზე წარმოადგენს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების რელიგიის, კულტურის საქმიანობაში სხვადასხვა ფორმების, საზოგადოებაში ენობრივი განსხვავებების ფაქტის აღიარება, დაფუძნებული პლურალიზმზე.

პოლიტიკური თვალსაზრისით მულტიკულტურალიზმი აღნიშნავს მკვეთრად გამოხატულ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელსაც გააჩნია ორი ძირითადი მიზანი:

1. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის მხარდაჭერა;
2. სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის ურთიერთობების განსაზღვრა;

მაგალითად კანადა სახელმწიფოებრივ პოლიტიკის დონეზე ისეთ ქვეყნად ითვლება, სადაც უმეტესად ყურადღება ეთმობა მულტიკულტურალიზმს, როგორც პოლიტიკური ეტალონის დამამკვიდრებელს, რომლის საფუძველზეც ეთნიკურ ჯგუფებს შორის იქმნება ურთიერთობები, რომელიც გულისხმობს თანაარსებობას, ურთიერთმოთბინებას, თანასწორობას.

ასეთი ურთიერთბები კანადაში ასე ვთქვათ „მოზაიკის“ სახით არის წარმოდგენილი, როდესაც მოსახლეობის ერთმანეთისაგან განსხვავებული ცალკეული ჯგუფები ამავე დროს შეადგენენ ერთ მთლი-

ანს. ამით ის მნიშვნელოვნად განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობისაგან, სადაც ხდება ეთნიკური უმცირესობის ასიმილაცია.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ მულტიკულტურალიზმს მივყავართ საზოგადოების დაყოფამდე და კითხვის ქვეშ აყენებს სახელმწიფოებრივ ინტეგრაციას. კრიტიკოსთა მეორე ჯგუფი ამტკიცებს, რომ ეს ნიშნავს საზოგადოებრივი და კულტურული გეტოს შექმნას (გეტო – ლათ. – არემარე, რაიონი), რომელიც ზღუდავს ეთნიკური ჯგუფების განვითარებას. მესამე ჯგუფი კრიტიკოსების თვლიან, რომ არსებობს ურთიერთ დაპირისპირება მულტიკულტურალიზმსა და სქესობრივ თანასწორობას შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ კულტურას თავის კულტურულ ტრადიციაში გააჩნია ქალის მორჩილება საზოგადოებაში და ოჯახში.

13.10. საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა

კულტურათა ერთგვაროვნება ისეთივე ძველია როგორც თავად კულტურა. უძველესი ცივილიზაციის მატერიალური კულტურიდან შეიძლება აღმოაჩინო სხვადასხვა კულტურის გადახლართვა, მაგალითად სერბიის კულტურა შუასაუკუნეების პერიოდში იმყოფებოდა გაფურჩქვნის პერიოდში, რაც ხდებოდა ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპული კულტურის ნაყოფიერი გავლენით. ზოგიერთი მნიშვნელოვანი შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები, აღმოცენდა როგორც სხვადასხვა კულტურული მიმდინარეობის შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგი. ეს პროცესი არ იყო ავტომატური, გარე კულტურის ელემენტები საკუთარ კულტურას ერწყმოდა არა მექანიკურად, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე, არამედ შემოქმედებითად, გააზრებული ფორმით. მნიშვნელოვანია რომ კულტურები მუდმივად იყვნენ ერთმანეთზე ზეგავლენის მოხდენის გარემოში. რაც იწვევს კულტურულ პროგრესს.

უნდა ითქვას ურთიერთგავლენა ყოველთვის არ ატარებდა თანამშრომლობის ფორმას, ან სტიმულირებას განვითრებული კულტურის მხრიდან. ხშირად კულტურის კონტაქტი ვლინდებოდა კულტურულ ასიმილაციის ფორმით. იმისათვის, რომ გავექცეთ კულტურულ დამო-

კიდებულებას (რომელიც წარმოადგენს არამარტო შედეგს, არამედ ეკონომიკური დამოკიდებულების ფაქტორსაც). აუცილებელია ყველა ქვეყანამ გააცნობიეროს თავისი კულტურული პოლიტიკის როლი საერთაშორისო სარბიელზე. ამ დროს მნიშვნელოვანია გავემიჯნოთ კულტურის პოლიტიკის უკიდურესობებს,რომლებსაც მივყავართ დამოკიდებულებამდე და კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვამდე, ისეთ თეორიებს, რომლებსაც მივყავართ ზოგად საკაცობრიო ფასეულობებისაგან იზოლირებამდე. საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო კულტურულ თანამშრომლობაში, საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებით: თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა ყველა ამ მსურველ ქვეყანასთან და ჩაურევლობა ერთმანეთის შინაურ საქმეებში.

კულტურული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან შესაძლებელია იყოს ორმხრივი და მრავალმხრივი. ორმხრივი თანამშრომლობა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ხანგრძლივი სახელმწიფოთა შორისო მოლაპარაკებებისა და შეთანხმების საფუძველზე, ან სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ორწლიანი პროგრამების საფუძველზე, კულტურისა და განათლების სფეროში. მრავალწლიანი კულტურული თანამშრომლობა უფრო ხშირად კულტურის დარგში საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ხორციელდება.

საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის დაგეგმვას და კორდინაციას ჩვენს ქვეყანაში ეწევა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტი, რომლის დებულება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება ნომერი 19, 2007 წლის თებერვალს იქნა მიღებული. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, სამინისტროს დებულებებით. ერთ-ერთ ფორმას საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობისა წარმოადგენს კულტურულ ინფორმაციული ცენტრების საქმიანობა. ჩვენს ქვეყანას ასეთი ცენტრები გააჩნია საზღვარგარეთის მრავალქვეყანაში. საქართველოს კულტურის დღეები ლონდონში ჩატარდა 2015 წელსს 17-19 სექტემბერს. დიდ ბრიტანეთში რაგბში მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად ლონდონში საქართველოს კულტურის დღეები გაიმართა,

ღონისძიება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე კულტურის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. ლონდონ ბრიჯზე სპეციალურად მოწყობილ სცენაზე „საქართველოს ნაციონალური ბალეტის სუხიშვილების“ და ანსაბლ „შვიდკაცას“ კონცერტი გაიმართა, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ქართული კერძები დაეგემოვნებინათ. ღონისძიების პარალელურად ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სპეციალურ მონიტორზე საქართველოს საიმიჯო ვიდეო რგოლების ჩვენება მოაწყო.

იუნესკომ წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ფართო მაშტაბიანი პროექტი 2001 წელს დაიწყო, პირველი დედაქალაქი მადრიდი გახდა. კუალა ლუმპურმა შარჟასგან წიგნის დედაქალაქის ტიტული 2020 წელს გადაიბარა, თბილისმა ეს სტატუსი 2021 წლის 23 აპრილიდან გადაიბარა 1 წლით. ამ პერიოდში მრავალფეროვანი ღონისძიებები გატარდა. 2018 წელს ჩატარდა ბერლინის ხუთ დღიანი ახალგაზრდული ლიტერატულური ფესტივალი, მასში 8 ახალგაზრდა ქართველო და 8 ახალგაზრდა გერმანელი ავტორი მონაწილეობდა. ეს ფესტივალი ერთგვარი „ლიტერატურული შესავალი“ იყო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის, სადაც 2018 წელს სწორედ საქართველო იყო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი.

2018 წლის აპრილში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით იტალიის ქალაქ პეზაროში ქართული კულტურის დღეები ჩატარდა. კულტურის კვირეული პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა და რამდენიმე სხვადასხვა კომპონენტს მოიცავდა. ქართული კვირეული 11 აპრილს პალაცო გარდარიშში ქართველი მხატვრების გამოფენით გაიხსნა. კულტურული ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა თუშური ტრადიციული მუსიკის კონცერტი, ფოტო გამოფენა და დოკუმენტური ფილმის ჩვენება. ასევე შედგა ზაზა ურუშაძის ფილმის „მანდარინები“-ს პრეზენტაცია. ქართული კულტურის დღეები პეზაროში 18 აპრილს როსინის საოპერო თეატრში გალაკონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა ოპერის ვარსკვლავებმა ნინო ლეჟავამ, ოთარ ჯორჯიკიამ და სხვებმა.

13.11. ინტელექტუალური საკუთრების არსი და ობიექტები

ინტელექტუალურ საკუთრებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მსოფლიოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების წარმოშობისა და განხორციელების სპეციალური სამართლებრივი ნორმები და მექანიზმები, რომლებმაც ასახვა პოვეს შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში, საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებში.

პროფესორ ლეო ჩიქავას განმარტებით „ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს ფრიად სპეციფიკურ ფასეულობებს და გამოხატავს ადამიანთა ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების ფლობის, განკარგვის, გამოყენებისა და მითვისების თაობაზე აღმოცენებულ ურთიერთობებს, ანუ უფრო ლაკონურად თუ ვიტყვით საკუთრების უფლებას ინტელექტუალურ პროდუქტებზე ნებისმიერ სფეროში.[1]

ინტელექტუალური საკუთრება, როგორც საკუთრების ახალი თავისებური სახე განათლების, მისი ობიექტების ბაზრის საფუძველი გახდა. ის თანამედროვე პერიოდში სწრაფად ვითარდება. აღნიშნული ბაზრის ფორმირების საწყისი ბაზა არის ქვეყნის დიდი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. ინტელექტუალური საკუთრების განსაკუთრებული საბაზრო მნიშვნელობა იმაში მდგომრეობს, რომ მაღალი სამომხმარებლო თვისებებით მისი რეალიზაცია არის ერთადერთი საშუალება სამრეწველო საქონლისა და მომსახურების კანონიერი მონოპოლოზაციის.

ინტელექტუალური კაპიტალი, როგორც საკუთრების ობიექტი წარმოების ფიზიკური საშუალებებისადმი ფლობს უპირატესობებს: ის ფიზიკურ გასხვისებას არ ემყარება. ინფომაციის გაყიდვისას ან სხვა ადამიანებისათვის, ან ორგანიზაციებისათვის გადაცემისას ცოდნა ინახება უშუალო მესაკუთრეებთან. ინტელექტუალური კაპიტალის ასეთი თავისებურება ცხოვრებაში იწვევს ინვესტიციების ფართო ნაკადს გონებრივი შრომით დაქირავებულ მომუშავეთა სწავლებაზე. ამიტომ, ამჟამად ინტელექტუალური შრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მათი ფლობა, ან ერთობლივი ფლობა. მასში საშუალებებს დებენ სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზა-

[1] ლეო ჩიქავა „ინოვაციური ეკონომიკა“, თბ. 2006 გვ.78

ციები, კერძო ფირმები და საზოგადოებრივი ფონდები, არსებული კანონები უზრუნველყოფენ მათ გარანტიას განსაზღვრულ მოგებაზე პირდაპირი, ან ირიბი გადასახადების ფორმით, პროცენტებითა და ა.შ.

ინტელექტუალური კაპიტალის ზემოქმედება მისი მფლობელის შემოსავლებზე საკმაოდ ზუსტად აისახება, რამდენადაც საბაზრო კანონების მიხედვით მესაკუთრედ არასაგნობრივი წარმოების საშუალებების ძირითადი ნაწილის მფლობელი და გამკარგველი, ანდა სპეციფიკური სასაქონლო პროდუქციის მესაკუთრე გამოდის. ის სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მის მიერ შეთავაზებული პროდუქტის მოთხოვნის ზრდაზე. ნებისმიერი მონოპოლია სახელმწიფოს, ანდა ჩინოვნიკების სახით ასეთ მოთხოვნაზე არღვევს მარტივი კვლავწარმოების სვლას, მაშინ ეს კაპიტალი საზღვარგარეთ გაედინება. ჩვეულებრივ მსგავსი სიტუაცია დამახასიათებელია სუსტი საბაზრო მეურნეობის ქვეყნებისათვის. განვითარებულ ქვეყნებში ინტელექტუალური კაპიტალის თავად ფორმირების ტექნოლოგიების ობიექტური კანონზომიერებები, მისი დაგროვება, გამოიყენება, აგრეთვე ფიზიკური და მორალური ცვეთის ვადები იწვევენ ამ კაპიტალში ინვესტიციების დიდ მოცულობას. მოცემულ შემთხვევაში ინვესტიციების ეფექტურობის ძირითადი კრიტერიუმია გამოყენებულ კაპიტალზე მაღალი მოგების ნორმა.

საერთოდ აღიარებულია, რომ ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური ზრდა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ინოვაციურ საფუძველზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია საქართველოს ზრდის მაღალი ხარისხის რეალიზაცია, რესურსდაზოგვა, წარმოების ეფექტურობა, კონკურენტული პროდუქციის გამოშვება. საქართველოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ჩვენს ქვეყანაში სანიმუშო ახალი ტექნიკით საწარმოების მცირედი იქმნება. სანიმუშო ახალი ტექნიკის ლიცენზიების, პატენტებითა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების უფლებების დაცვის სხვა საშუალებების გამოყენებით, შენელებულია ინოვაციურად აქტიური საწარმოების ზრდა. როგორც ექსპერტები ამტკიცებენ თუ საქართველოში არ იქნება სათანადო პირობები შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეალიზაციისათვის, მაშინ ისინი ადრე თუ გვიან აღმოჩნდებიან იქ სადაც, მათ გამოყენებას ნამდვილად წაახალისებს სახელმწიფო.

თანამედროვე ეკონომიკა ეყრდნობა მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას, რომლებიც ითვალისწინებენ ინტელექტუალური საკუთ-

რების განსაზღვრულ ობიექტებს. ინტელექტუალური პოტენციალის კომერციალიზაცია საშუალებას იძლევა ეკონომიკის მაღალ შემოსავლიანი სექტორისა და განახლებადი ინტელექტუალური რესურსებისათვის უზრუნველყოფილ იქნას პირობები.

ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ უ ა ლ უ რ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ა ეს არის განსაკუთრებული უფლება ინტელექტუალურ შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგების გამოყენებით, საგნობრივი კვლავწარმოების სახით შექმნილი გამოგონების ან შექმნილ ნებისმიერი ფორმის მხატვრულ ნაწარმოების კოპირება. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ფლობის უფლების გამოყენება უპირველეს ყოვლისა ნიშნავს მისი კოპირებიდან რეალური და საპატენტო შემოსავლების მიღებას (გამეორება, კვლავწარმოება). ტექნიკური და მხატვრული გადაწყვეტის კვლავწარმოების ხარჯზე და ნაკეთობათა რეალიზაციის შედეგად წარმოიქმნება შემოსავლის წყარო, მონოპოლიის ნათლად გამოხატული ნიშნების ფლობით. ინტელექტუალური სკუთრების უფლება არის მისი მფლობელის მონოპოლიური უფლება. ინტელექტუალურ საკუთრებაზე განსაკუთრებული ქონებრივი უფლების მთელი აზრი მდგომარეობს პოტენციური მოგების მონოპოლიზაციაში.

„ინტელექტუალური საკუთრება“ როგორც გაგება არსებობს 1967 წლიდან სტოკჰოლმის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისდ. სწორედ მაშინ შეიქმნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (wipo) წარმოადგენს გაერთიანებული ერების სპეციალიზირებულ სააგენტოს. აღნიშნული ორგანიზაციის ძირითად მიზნებს წარმოადგენს ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის წახალისებაზე ინოვაციების სტიმულირება, საკუთრების კულტურის დამკვიდრება და ცოდნის დონის ამაღლება. Wipo-ს შტაბ ბინა მდებარეობს ჟენევაში (შვეიცარია). wipo-ს წევრების რაოდენობა ამჟამად შეადგენს 184 ქვეყანას. აღნიშნულ ორგანიზაციაში საქართველოს წარმოადგენს „საქპატენტი“-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, რომელიც არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ის ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე; ეწევა კანონშემოქმედებით მოღვაწეობას, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების სამართლებრივად უზრუნველყოფის მიზნით ატარებს სახელმწიფო ექსპერტიზას და გასცემს დამ-

ცავ დოკუმენტებს; ახდენს საპატენტო ინფორმაციის ფორმირებასა და გავრცელებას, ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების კულტურის დამკვიდრებასა და ცოდნის დონის ამაღლებას საზოგადოებაში.

ინტელექტუალური სკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შექმნის მიზანია, რათა ინტელექტუალურ საკუთრებას მიეცეს ექსტერიტორიალური, ზენაციონალური ხასიათი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ერთეული ნორმის აღიარებისა და ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი ნორმების შეთანხმების გზით.

ინტელექტუალური საკუთრების შემადგენლობა განსაზღვრულია ამ ორგანიზაციის დაფუძნების კონვენციით.

კონვენციით ინტელექტუალური საკუთრების უფლება მოიცავს:

- ლიტერტურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ნაწარმოებებს;
- მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობას, ხმის ჩანაწერებს, რადიო და ტელეგადაცემებს;
- ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროს გამომგონებლობას;
- მეცნიერულ აღმოჩენებს;
- სამრეწველო ნიმუშებს;
- საქონლურ ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო დასახელებებს და კომერციულ აღნიშვნებს;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვას;
- სხვა ყველა უფლებას, რომელიც გამომდინარეობს სამრეწველო, სამეცნიერო, ლიტერატურის თუ ხელოვნების სფეროში ინტელექტუალური საქმიანობიდან.

ინტელექტუალური საკუთრების უფლება შედგება ორი ნაწილისაგან:

ა. სამრეწველო საკუთრებაზე უფლება;

ბ. მხატვრულ შემოქმედებით ნაწარმზე უფლება.

ამდენად, ინტელექტუალური საკუთრების სამართალში დომინირებს მოსაზრება მისი საავტორო სამართლად და სამრეწველო საკუთრების სამართლად დაყოფის თაობაზე. ასეთი დაყოფის კრიტერიუმად აღებულია თითოეული მათგანის სამართლებრივი დაცვის საგნად მიჩნეული ობიექტები.

საავტორო სამართალი ემყარება ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებათა დაცვის შესახებ ბერნის (1886 წლის) კონვენციას, სა-

ქართველო, ბერნის კონვენციის პარიზის რედაქციას 1995 წლის მაისში მიუერთდა.

ტერმისი „სამრეწველო საკუთრება“ მეცნიერულ ბრუნვაში პირველად XVIII საუკუნის დამლევიდან შემოვიდა. ეს ის დროა, როცა ყალიბდებოდა საპატენტო სამართალი. ამ პერიოდში სამართლის სფეროში დომინირებდა სამრეწველო საკუთრების თეორიები, რომლებმაც ასახვა პოვა იმდროინდელ საპატენტო კანონების მოცემულ ფორმულირებებში. სამრეწველო საკუთრების პარიზის კონვენცია მიღებულ იქნა 1883 წლის 20 მარტს. პარიზის საყოველთაოდ ცნობილი კონვენციის თანახმად, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია: პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნა ან წარმოშობის ადგილის დასახელება და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა[1], ამრიგად, სამრეწველო საკუთრების ობიექტებია:

1. პატენტები გამოგონებაზე;
2. ცნობა სასარგებლო მოდელებზე;
3. პატენტები სამრეწველო ნიმუშებზე;
4. მოწმობა სასაქონლო ნიშანზე (მომსახურების ნიაშნი);
5. საფირმო დასახელებები (მოწმობა იურიდიული პირის რეგისტრაციაზე);
6. ცნობა, მოწმობა საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელების გამოყენების უფლებაზე;
7. ნოუ-ჰაუ;

საავტორო უფლების ობიექტები:

1. სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის დისერტაციები, მონოგრაფიები, სტატიები, სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და საპროექტო სამუშაოთა ანგარიშები;
2. ლიტერატურული, დრამატული და მუსიკალურ- დრამატული სასცენო ნაწარმოებები;

[1] სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია. იხ. ნაშრომი დ. ძამუკაშვილი. პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია. ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი, თბ. 2000, გვ. 42

3. ქორეოგრაფიული ნაწარმოებები და პანტომიმები;

4. მუსიკალური ნაწარმოებები თავისი ტექსტებითა და უტექ-სტოდ;

5. აუდიოვიზუალური ნაწარმოებები, ფერწერის ნაწარმოებები, სკულპტურები, გრაფიკები, დიზაინი და სხვა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები;

6. დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები;

7. არქიტექტურის, საბაღე-საპარკო და ქალაქმშენებელი ხელოვ-ნების ნაწარმოებები;

8. ფოტოგრაფიული ნაწარმოებები და ნაწარმოებები მიღებული ფოტოგრაფიის ანალოგიური მეთოდით;

9. ~~გეოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა რუქები, გეგმები, ესკი-ზები და პლასტიკური~~

ნაწარმოებები, რომლებიც მიეკუთვნება გეოგრაფიულსა და ტო-პოგრაფიულს;

10. ელექტრო გამომთვლელი მანქანების პროგრამები, მონაცემთა ბაზები;

11. ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგია.

საავტორო სამართალი საკუთრების ობიექტის დაცვითუნარიანო-ბის კრიტერიუმად მიიჩნევს მის სიახლეს, ორიგინალობას, ინტელექ-ტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგიანობას, მთავარია, რომ საკუთრების ობიექტი იყოს შემოქმედებითი საქმიანობის ორიგინალუ-რი პროდუქტი, რომელიც განსხვავდება მანამდე არსებულისაგან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ნოუ-ჰაუ სამრეწველო საკუთრების ობიექტს წარმოადგენს. ის ტექნიკური, კომერციული, მმართველობი-თი, ფინანსური და სხვა ხასიათის ტექნიკური ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილებაა, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ფასეულო-ბას, წარმოებაში და პროფესიონალურ პრაქტიკაში. არაა უზრუნველ-ყოფილი სამართლებრივი დაცვით. (ნოუ-ჰაუს მფლობელის უფლებე-ბის დაცვას ახორციელებენ სამოქალაქო სამართლის საშუალებით)[1].

ნოუ-ჰაუს დაცვა სამამულო კანონმდებლობის ნორმებით რეგუ-

[1] Управление иновасиями в организации Учеб. пособие /А.А. Бовин, Л.Е. Чередникова, В.А. Якимович, М. омега -л, 2006 -с. 80

ლირდება ძალიან სუსტად და ხორციელდება, როგორც წესი სალიცენ-ზიო შეთანხმებების პირობებით. მოლაპარაკებებში როგორც სამრეწ-ველო საკუთრების ობიექტი ნოუ-ჰაუს არა აქვს მკვეთრად გამოხატუ-ლი საზღვრები და არ საჭიროებს სახელმწიფო რეგისტრაციას.

ტქნიკური და ტექნოლოგიური ხასიათის ნოუ-ჰაუ შეიძლება მიე-კუთვნოს დაპატენტებულ გამოგონებას, სასაქონლო ნიშანს, ანდა სამ-რეწველო ნიმუშს. ამ შემთხვევაში საპატენტო უფლებების მოცულო-ბაში შედის უფლებებიც ნოუ-ჰაუზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლე-ბა უფლებები ნოუ-ჰაუზე გადაეცეს ცალკეულ შეთანხმებებს.

ნოუ-ჰაუ როგორც ცოდნა შეიძლება არსებობდეს მატერიალურ და არამატერილურ ფორმებში. პირველ შემთხვევაში ის წარმოდგენილია ნახაზების, დოკუმენტების (საბუთების), ფოტოგრაფიულ, ელექტრო გამომთვლელ მანქანების პროგრამების სახით და ა.შ. მსგავსი სახის ნოუ-ჰაუს უწოდებენ ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ე ბ ს ან ტ ე ქ ნ ი კ უ რ დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა ს.

ნოუ-ჰაუს არამატერიალური ფორმა ასევე წარმოადგენს ცოდნას, და მათი გადაცემა ხორციელდება პერსონალის სწავლების, სპეციალის-ტების კონსულტაციის, საწარმოო მოწყობილობების აწყობა, გამართვა-ში თვალყურის მიდევნებისა და დახმარებისა და ა.შ. სახით. ნოუ-ჰაუს ასეთმა ფორმებმა მიიღეს ტექნიკური დახმარების, ტექნიკური მომსა-ხურების, მმართველობითი მომსხურებისა და ა.შ. დასახელება.

13.12 ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვის მექანიზმები

საკუთრების ნებისმიერი სხვა უფლების მსგავსად, ინტელექტუა-ლურ საკუთრებაზე უფლებები პატენტის, სასაქონლო ნიშნის დიზაი-ნით, საავტორო უფლების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს მიი-ღოს სარგებელი საკუთარი ნაშრომიდან, ან ინვესტიციიდან. უძველესი დროიდან არსებობდა სპეციალური დამღები, რომელიც ეკუთვნოდა ამა თუ იმ პროდუქციის მწარმოებელს. ინტელექტუალური საკუთრე-ბის მზარდი მნიშვნელობა თანამედროვე კომერციულ საქმიანობაში განაპირობა გაძლიერებულმა კონკურენციამ. სასაქონლო ნიშნების საშუალებით მომხმარებელს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისაგან

საქონლის მწარმოებელი, საქონლის ხარისხი და ფასი. სასაქონლო ნიშანი შეიძლება განვიხილოთ როგორც რეკლამა საქონლის მიწოდებისას, ასევე მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის კონტაქტის დამყარების საშუალება.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია შემოსავლების სამსახურს.

შემოსავლების სამსახური იცავს ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტებს, რომელიც შეტანილია „შემოსავლების სამსახური ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში". რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ეს კანონი მიღებულ იქნა 1999 წლის 23 ივნისს. ეს კანონი ადგენს საავტორო და მომიჯნავე, უფლებების დარღვევით, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე, ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის, ანდა კონტრაფაქციული პროდუქციის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე იმპორტში მოქცევისას, საწყობში /ტერმინალში/ შენახვის სხვა ადგილში შესანახად განთავსებისას, ან საქართველოდან ექსპორტირებისას სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესს. იგი ეფუძნება ვაჭრობის მსოფლიო ორგნიზაციის ფარგლებში დადებული, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ასპექტების შესახებ შეთანხმების დებულებებს სპეციალური სასაზღვრო ღონისძიების თაობაზე.

(კონტრაფაქციული პროდუქცია არის ნებისმიერი საქონელი, მათ შორის შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით, ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან და აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს).

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა ძირითადი პრინციპები მოცემულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 27-

ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორობიდან გამომდინარე არაქონებრივი და ქონებრივი ინტერესების დაცვით სარგებლის მიღების უფლება.

ინტელექტუალური საკუთრების ხელშეწყობას და დაცვას განაპირობებს შემდეგი არგუმენტები:

- კაცობრიობის პროგრესი და კეთილდღეობა სისხლხორციელადაა დაკავშირებული მრეწველობაში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვასა და კულტურის სფეროში განხორციელებულ შემოქმედებით სიახლეებთან;

- გონებრივ შრომით პროდუქციაზე უფლებების დაცვის სამართლებრივი სისტემის შექმნა ხელს უწყობს დამატებითი რესურსების გამოვლენას და სტიმულს აძლევს შემდგომ ინოვციებს;

- ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა აჩქარებს ეკონომიკური განვითარების პროცესს, ქმნის მრეწველობის ახალ დარგებსა და სამუშაო ადგილებს, აუმჯობესებს ცხოვრების პირობების ხარისხსა და დონეს.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სამართლებრივი რეგულირება ეხმარება ინოვაციური პროცესებით მართვის ეფექტურობის პროცესს. საავტორო და საპატენტო უფლებების სფეროში კანონმდებლობის არსი ინოვაციურად აქტიურ საწარმოებს საშუალებას აძლევს კონკრეტული უპირატესობის უზრუნველყოფას, გააუმჯობესოს ინოვაციური კლიმატი, ინოვაციური შედეგების ფართო გამოყენებისათვის პირობების შექმნისა და ინოვაციური პროდუქტების რეალიზაციიდან შესაბამისი მოგების მიღებას.

სამართლებრივი უზრუნველყოფა არეგულირებს ქონებრივ, აგრეთვე არაქონებრივ ურთიერთოებებს, რომელიც აღმოცენდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენებისა და სამართლებრივი დაცვის წარმოქნასთან დაკავშირებით.

ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს კონსტიტუციითაა დაცული და მასზე უფლებები ხელშეუხებელია. ქონებრივი უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე ნივთიერ საგნებზე საკუთრების უფლებებთანაა დაკავშირებული.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა საქართველოში და ის ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც არეგუ-

ლირებენ ინტელექტუალური საკუთრების სფეროს საწარმოებს არის შემდეგი:

საერთაშორისო კონვენციები /ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილეც არის საქართველო:

1. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დამფუძნებელი კონვენცია (საქართველო წევრია 1991 წლიდან);

2. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია (საქართველო წევრია 1995 წლიდან);

3. შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ რომის კონვენცია (საქართველო წევრია 2004 წლიდან);

4. საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (საქართველო წევრია 2002 წლიდან);

5. შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (საქართველო წევრია 2002 წლიდან);

6. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (საქართველო წევრია 1991 წლიდან); 7. ხელშეკრულება საპატენტო კოოპერაციის შესახებ (საქართველო წევრია 1991 წლიდან);

8. საპატენტო პროცედურების მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ ბუდაპეშტის ხელშეკრულება (საქართველო წევრია 2005 წლიდან);

9. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმება (ჟენევის აქტი) (საქართველო წევრია 2003 წლიდან);

10. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი (საქართველო წევრია 1998 წლიდან);

11. ადგილწარმოშობის დასახელების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმება (საქართველო წევრია 2004 წლიდან);

12. ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის შეთანხმება (საქართველო წევრია 2003 წლიდან);

13. შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) (საქართველო წევრია 2000 წლიდან);

14. მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV) (საქართველო წევრია 2008 წლიდან).

ადგილობრივი საკანონმდებლო აქტები ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სფეროში არის შემდეგი:

1. საპატენტო კანონი (მიღებულია 1999 წელს);

2. „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ კანონი (მიღებულია 1999 წელს);

3. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი (მიღებულია 1999 წელს);

4. „დიზაინის შესახებ“ კანონი (მიღებულია 2010 წელს);

5. „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ კანონი (მიღებულია 2010 წელს);

6. „ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ“ კანონი (მიღებულია 1999 წელს);

7. „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონი (მიღებულია 1999 წელს).

გარდა ამისა ინტელექტუალური საკუთრების ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ნორმებით ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი ითვალისწინებს ეკონომიკურ, სოციალურ, სისტემებს, სამართლებრივ მეთოდებს და ინოვაციის მხარდაჭერის საშუალებებს.

თანამედროვე მსოფლიოში გამოიყენება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამი ძირითადი ტიპი: პატენტი, საავტორო უფლება, სასაქონლო ნიშანი.

პ ა ტ ე ნ ტ ი – ეს არის დოკუმენტი, რომელიც აფიქსირებს სამრეწველო საკუთრებაზე უფლებას და ამ უფლებების მოცულობას. პატენტი ადასტურებს პრიორიტეტს, ავტორობას გამოგონებაზე. სასარგებლო მოდელებზე ანდა სამრეწველო ნიმუშებზე ასევე განსაკუთრებულ უფლებას მათ გამოყენებაზე. პატენტური დოკუმენტები წარმოადგენენ მეცნიერულ-ტექნიკური, იურიდიული და ეკონომიკური ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროებს, რომელიც აუცილებელია სახვითი გამოკვლევების ჩატარებისას და დამუშავებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური

პროგრესის პროგნოზირებისათვის, ეკონომიკური ტენდენციებისა და ა.შ. პატენტების უნიკალური თვისებები მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მოიცავენ უახლეს ინფორმაციას, რომელიც შეიძლება ემსახურებოდეს ინოვაციის წარმოებისათვის სხვა გამოგონების შექმნას.

პატენტის მფლობელ პირს უწოდებენ პატენტმფლობელს, რომელიც შეიძლება იყოს დამუშავების, შემუშავების ავტორი, მისი მემკვიდრე ან სხვა სამართალ მემკვიდრე. საქართველოში პატენტმფლობელი შეიძლება იყოს არამარტო საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სამრეწველო საქონლის დაცვით პარიზის კონვენციის მონაწილენი არიან.

პატენტმფლობელის უფლება მდგომარეობს იმაში, რომ მას შუძლია თავის შეხედულებისამებრ გამოიყენოს გამოგონება, სასარგებლო მოდელი ან სამრეწველო ნიმუში ან კიდევ აკრძალოს მათი გამოყენება თუ დარღვეულია კანონით დადგენილი მითითება. პატენტმფლობელის განსაკუთრებული უფლებების დარღვევად მიიჩნევენ არასანქციონირებულ დამზადებას, გამოყენებას, შეტანას, გაყიდვის წინადადებებს, სამეურნეო ბრუნვაში სხვა წარმოება ან პროდუქტის ამ მიზნით შენახვა.

კანონთან შესაბამისობაში განსაზღვრულია პატენტის ნიშნები:

პატენტუნარიანობის პირობას გამოგონებისათვის წარმოადგენს სიახლე, გამოგონების დონე და სამრეწველო გამოყენებადობა.

გამოგონებას მიიჩნევენ სიახლედ, თუ ის მიღწეული ტექნიკის დონისათვის არ არის ცნობილი. გამოგონება ფლობს საგამომგონებლო დონეს, თუ ის სპეციალისტებისათვის ნათელია, სამრეწველო გამოყენებადობა არის გამოგონების გმოყენების შესაძლებლობა მრეწველობის რომელიმე დარგში, ჯანმრთელობისა და სოფლის მეურნეობის ჩათვლით და ა.შ.

გამოგონების დაცვის დოკუმენტი არის პატენტი გამოგონებაზე, რომელსაც აქვს სწრაფი ხასიათი. პატენტის მოქმედების მაქსიმალური დრო არის 20 წელი. პატენტის სიდიდეს განსაზღვრავს ხელისუფლება. მისი განაღდება იწყება მოქმედების მესამე წლიდან სასარგებლო მოდელებისათვის საპატენტო უნარის პირობები არის სიახლე და სამრეწველო გამოყენებადობა. დაცვის დოკუმენტი არის მოწმობა სასარგებლო მოდელზე. მისი მოქმედების ვადა არის 5 წელი. შუამდგომლობა შეიძლება გაგრძელებულ იქნას, მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა.

სამრეწველო ნიმუშის საპატენტო უნარის პირობები არის სიახლე, ორიგინალურობა და სამრეწველო გამოყენებადობა. ორიგინალობა გულისხმობს, რომ ნაკეთობის ესთეტიკური და ერგონომიკური თავისებურებანი უნდა იყოს მისი ავტორის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი. სამრეწველო ნიმუშის დაცვის დოკუმენტი არის პატენტი, რომელიც მოქმედებს 10 წლის განმავლობაში და შუამდგომლობა შეიძლება გაგრძელებულ იქნას, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა.

პატენტმფლობელთა უფლებების დაცვა ხორციელდება საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოზე. ეს ორგანოები განიხილავენ სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე საავტორო საკითხებს, პატენტმფლობელობის დადგენას, განსაკუთრებული უფლებების დარღვევას სამრეწველო საკუთრების ობიექტების გამოყენებაზე, საავტორო დაჯილდოებასა და კომპენსაციების გადახდას.

ს ა ა ვ ტ ო რ ო უ ფ ლ ე ბ ა – არეგულირებს იმ ურთიერთობებს რომლებიც წარმოიქმნება სამეცნიერო ნაწარმოების გამოყენებით, ლიტერატურისა და ხელოვნების, ფონოგრამათა შესრულების, დადგმის კაბელური და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის შექმნასთან დაკავშირებით.

კანონით დასაცავ ნაწარმთა წრე ფართოა და მრავალფეროვანი. მათ მიეკუთვნება: ლიტერატურის, დრამატული, მუსიკალური, სასცენო, აუდიოვიზუალური, სახვითი და დეკორატიული ხელოვნების, არქიტექტურის, ქალაქგანაშენიანების ნაწარმოებები.

საავტორო უფლების ობიექტებად აღიარებენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ ნიშნებს ფლობენ ასეთ ნიშნებს მიეკუთვნება: ნაწარმოების შემოქმედებითი ხასიათი და მისი გადმოცემის ობიექტური ფორმა. უმრავლეს მეცნიერთა აზრით ნაწარმოების შემოქმედებითი ხასიათის მაჩვენებელს წარმოადგენს სიახელე. ის გამოისახება ახალ შინაარსში, ნაწარმოებით ახალ ფორმაში, ახალ იდეაში. ახალ სამეცნიერო კონცეფციაში და ა.შ. რათა შემოქმედებითმა შედეგმა მიიღოს საავტორო უფლების ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ხასიათი, ის განსახიერული, განხორციელებული უნდა იყოს რაიმე ობიექტურ ფორმაში-წერილობით, ზეპირ, ბგერით ანდა ვიდეოჩანაწერის სახით, გამოსახულებით, მოცულობით, სივრცულ ანდა სხვა.

ამგვარად, ნაწარმოები უნდა არსებობდეს ისეთი ფორმით, რომელიც ავტორის პიროვნებიდან გამოყოფილია და შეძენილი აქვს ყოფის დამოუკიდებლობა.

კანონმდებლობით საავტორო უფლება კლასიფიცირდება პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებად. პირად არაქონებრივ უფლებას მიაკუთვნებენ უფლებას ავტორობაზე, უფლება სახელზე, უფლება ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, უფლება ავტორის ავტორიტეტის, რეპუტიციის დაცვაზე.

ქ ო ნ ე ბ რ ი ვ ი უ ფ ლ ე ბ ა – ეს არის უფლება ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით ნაწარმოების გამოყენებაზე. ამგვარად, ავტორი თვითონ განსაზღვრავს იმ საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც მისი ნაწარმოები იქნება გამოყენებული. საავტორო უფლების დაცვა არ მოითხოვს ნაწარმოების რეგისტრაციას ან სხვა რაიმე ფორმალობის დაცვას.

საერთო წესით საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის მთელი ცხოვრების მანძილზე და 50 წელს მისი გარდაცვალებიდან. პერიოდის გავლისას საავტორო უფლების მოქმედება ითვლება საზოგადოებრივ ქონებად. ამგვარად, ნაწარმოები შეიძლება თავისუფლად გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო დასაჩუქრების გადახდის გარეშე.

ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო ნ ი შ ა ნ ი – მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მწარმოებლისათვის და გამყიდველისათვის, ისე სიახლის მყიდველთათვის. ის მიუთითებს იმაზე თუ განსაზღვრულ საქონელზე ვინ იღებს პასუხისმგებლობას.

სასაქონლო ნიშანის მის გამოყენებაზე უფლებას ღებულობენ მისი რეგისტრაციის საშუალებით. რეგისტრაციას ახორციელებს საპატენტო უწყება. დარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე გაიცემა მოწმობა. სასაქონლო ნიშნის მფლობელებს აქვს განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშნით სარგებლობისა და განკარგვისა, აგრეთვე სხვა პირის მიერ მისი გამოყენების აკრძალვის. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გადაწყვეტის საფუძველზე – საპატენტო უწყება ატარებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სახელმწიფო რეესტრში. რეესტრში შეაქვთ სასაქონლო ნიშანი, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი და მისი რეგისტრაციის რიცხვი. საქონლის ჩამონათვალი რომელთათვისაც დარეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი სხვა მონაცემები, რომლე-

ბიც მიეკუთვნება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, აგრეთვე ამ მონაცემებიდან გამომდინარე ცვლილებები.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოქმედებს 10 წლის განმავლობაში. სასაქონლო ნიშნის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელებულ იქნას მფლობელის განცხადებით ყოველ ჯერზე 10 წლით. იურიდიული ან ფიზიკური პირები უფლებამოსილნი არიან დაარეგისტრირონ სასაქონლო ნიშანი საზღვარგარეთის ქვეყნებში. განცხადება საერთაშორისო რეგისტრაციაში ხორციელდება საპატენტო უწყების მხრიდან.

13.13. ინტელექტუალური საკუთრების (ტექნოლოგიების) ობიექტების გადაცემის ფორმები, სალიცენზიო შეთანხმებები.

საკანონმდებლო-ნორმატიული პატენტურ-ლიცენზიური სისტემის შექმნა საშუალებას იძლევა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებით კომერციული ოპერაციების გაძღოლას საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე. მოცემული პირობები ითვალისწინებენ სიახლის, როგორც საქონლის სპეციფიკასა და განსაკუთრებულ ხასიათს, ითვალისწინებენ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გადაცემის განსაკუთრებულ სამართლებრივ (სალიცენზიო) ფორმას.

თანამედროვე პირობებში ლიცენზიებით საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობენ თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყნები, პირველ რიგში მონაწილეობის ხარისხი განისაზღვრება სახელმწიფოს ეკონომიკური და მეცნიერულ-პოლიტიკური პოტენციალით. სახელმწიფოს სალიცენზიო პოლიტიკის მთავარი მიზანი ესაა, ქვეყანაში და საზღვარგარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მომგებიანი რეალიზაციისათვის, პირობების შექმნა ეროვნული და უცხოური კერძო სამეწარმეო სტრუქტურებისათვის. აგრეთვე ეროვნული ფორმებისა და ადგილობრივი ბაზრების საიმედო დაცვის უზრუნველყოფა უცხოური კომპანიების დაპყრობისაგან.

ლ ი ც ე ნ ზ ი ა – ეს არის იურიდიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ერთი ფიზიკური ან იურიდიული პირი (ლიცენზიარი) გადასცემს სხვა პირს (ლიცენზიატს) ინტელექტუალური საკუთრების დასაცავი ობიექტის განსაზღვრული პირობებით გამოყენების უფლებას.

ლიცენზიებით ვაჭრობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ინ-

ტელექტუალური საქმიანობის შედეგების კომერციული გაცვლისას ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე ეკონომიკური ფუნქციის განხორციელებისას, საქონელ გაცვლაში ის ჩართავს განსაკუთრებულ საქონელს, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს და ამით საზოგადოებაში ასრულებს სხვა მნიშვნელოვან ფუნქციას, კერძოდ აქტიურად მონაწილეობს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ გაცვლაში. ნებისმიერი ფართო გაგებით მეცნიერულ ტექნოლოგიური გაცვლა ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე ესაა მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნისა და საწარმოო გამოცდილების სხვადასხვა ფორმების გავრცელება, ხოლო ვიწრო გაგებით ესაა პროდუქტის წარმოების პროცესში დამუშავების, დამზადების, მდგომარეობის შეცვლის, თვისებების, ნედლეულის ფორმების, მასალებისა და ან ნახევარ ფაბრიკატების მეთოდების გადაცემა.

გავრცელების საშუალებებით ტექნოლოგიური გაცვლა იყოფა ორ ჯგუფად;

1. ტექნოლოგიების გავრცელების კომერციული საშუალებები;
2. ტექნოლოგიების გავრცელების არაკომერციული საშუალებები.

ტექნოლოგიების გადაცემის არაკომერციული საშუალებები ფართო გაგებით მიეკუთვნება ტექნოლოგიურ გაცვლას და რეალიზდება მეცნიერულ-ტექნოლოგიურ ინფორმაციების გადაცემისას, ან მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლისას. მათ შორისაა: მეცნიერულ-ტექნიკური პუბლიკაციები, გამოფენები, ბაზრობები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, ურთიერთვიზიტები, მეცნიერთა პირადი კონტაქტები, სპეციალისტების მიგრაცია, ერთობლივი დამუშავება, გრძელვადიან პროგრამებში თანამშრომლობა, უსასყიდლო ტექნიკური დახმარების გაწევა და ა.შ.

ტექნოლოგუიური გაცვლის კომერციული საშუალებები დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის ვაჭრობის ოპერაციებთან, მათ გამოყენებას პროდუქციის დამზადებისა და წარმოების სრულყოფისათვის ტექნოლოგიების გადაცემისას. აქ ინტელექტუალური შრომის პროდუქტები საქონლის ხარისხში გამოდის გამოგონების, ნოუ-ჰაუს, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშების, სასელექციო მიღწევების, სასაქონლო ნიშნის, მომსახურების ნიშნის, ტექნიკური დოკუმენტაციის, ელექტრო გამომთვლელი მანქანების პროგრამების, მონაცემთა ბაზის, მიკროსქემების ტიპოლოგიის სახით. მეცნიერულ-

ტექნიკური ცოდნის ვაჭრობისას გამოიყენება სისტემის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. მათგან უფრო გავრცელებულია ათი:

1. **ლიცენზიებით ვაჭრობა** – ეს მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლის მთავარი ფორმაა. მოცემული ფორმა უფრო პერსპექტიულია ხელმისაწვდომ ბაზრებზე შრომის შეღწევისა და დაპყრობისა. სალიცენზიო ვაჭრობას შიდა კომერციულ ოპერაციებში ფართოდ იყენებენ ეკონომიკის ამღლებისა და საკუთარი საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საგარეო ბაზარზე. სალიცენზიო ვაჭრობის საგანია ინტელექტუალური საკუთრების ინდივიდუალიზაციის საშუალებები, სასაქონლო ნიშნის და მომსახურების ნიშნის ჩათვლით, საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელებით, აგრეთვე საავტორო უფლების ობიექტები, მონაცემთა ბაზისა და ელექტრო გამომთვლელი მანქანების პროგრამების ჩათვლით;

2. **მეცნიერულ-ტექნიკური მომსახურებით ვაჭრობა.** მეცნიერულ-ტექნიკური მომსახურება ეს არის ინჟინერინგი, რომელიც ვარაუდობს მოლაპარაკების საფუძველზე ცალკეული სახის ინჟინერულ-ტექნიკური მომსახურების კომპლექსის გადაცემას დაკავშირებულს გამოკვლევებთან, პროექტირებასთან, მშენებლობასთან, დამკვეთის საწარმოებში, ექსპლოატაციაში შესვლასთან ახალი ტექნოლოგიურ პროცესების დამუშავებასთან, არსებული საწარმოო პროცესების სრულყოფასთან. ინჟინერინგის გამოყენება განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტისათვის მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნისა და მსოფლიო გამოცდილების განზოგადებისა და მოზიდვისთვის აუცუილებლობით.

ინჟინერინგულ საქმინობას ყოფენ: პროექტულ-კონსულტაციურად, საიჯაროდ და მმართველობითად.

3. **საზღვარგარეთ ახალი ტექნიკის ნიმუშების შესყიდვა.** შესყიდვის მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა მანქანების მოწყობილობების, ნაკეთობების მასალების გამოცდის ჩატარება, მათი შედარება სამამულო ანალოგებთან და აუცილებლობის შემთხვევაში საკუთარი პროდუქციის მოწინავე ნიმუშების დონემდე დამუშავება და საკუთარი წარმოების შექმნისათვის კოპირება.

4. **ახალი ტექნიკის ყივა-გაყიდვა** მოიცავს კომპლექტურ ანდა ცალკეულ მოწყობილობებსა და მანქანებს. მოცემული ფორმის გაცვლა

მყიდველს საშუალებას აძლევს სწრაფად აითვისოს მოწინავე ტექნიკა და გამოიყენოს მისი უპირატესობა ეკონომიკური ეფექტისათვის, მაგრამ თანამედროვე პირობებში შესყიდული ტექნიკის შენარჩუნება საკმაოდ რთულია მისი სწრაფი მორალური დაძველების გამო;

5. **ქარხნების მშენებლობა** ასე ვთქვათ ბოლომდე ესაა ტექნოლოგიების გაცვლა, რომლის შედეგად გადამცემი მხარე თავის თავზე იღებს გენერალური მენარდის ვალდებულებებს და პასუხს აგებს ობიექტის მშენებლობის მთელ ციკლზე, კერძოდ წინასაპროექტო სამუშაოების ლიცენზიების მიცემას, კომპლექსური მოწყობილობის მიწოდებას, მონტაჟის ასამუშავებელ გამშვებ სამუშაოებს, ტექნიკურ კონსულტირებას, წარმოების ორგანიზაციასა და მართვას. მშენებლობა „გასაღების ჩაბარებამდე" ტექნიკური სიახლის დანერგვის თვალთახედვითა და განსაზღვრულ დარგებში ტექნიკის ლიკვიდაციის კუთხით წარმოადგენს ტექნოლოგიების გადაცემის მაღალეფექტურ ფორმას;

6. **ერთობლივი საწარმოები** ხშირად იქმნებიან რომელიმე კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პროგრამებისათვის. ერთობლივი საწარმოების საწესდებო ფონდში თავისი შენატანის სახით ხშირად მხარეებს შეაქვთ გამოგონება, ნოუ-ჰაუ ან სხვა სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებები.

გამოყოფენ ტექნოლოგიურად ორიენტირებად ოთხი ტიპის ერთობლივ საწარმოს:

1. ფირმებს შორის თანამშრომლობა მხოლოდ გამოკვლევებში;
2. მთლიანი საპროდუქტო ხაზის ტექნოლოგიების გაცვლა ;
3. ერთი ან მეტი პროდუქტის ერთობლივი დამუშავება;
4. ნაკეთობის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიების შესრულების მეშვეობით თანამშრომლობა.

საერთაშორისო ერთობლივი საწარმოები დაკავშირებულია ტექნოლოგიების კომერციალიზაციასა და დამუშავებასთან დაფუძნებული გაცვლის ურთიერთობებზე, რომელსაც მოიცავს საქონელი, რომელიც არ მონაწილეობს ლიცენზირებასა და ექსპორტულ ოპერაციებში. თანამშრომლობის ზოგიერთი სახე უცხოურ ფირმებს საშუალებას აძლევს თავი მოუყაროს ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს მთლიან პროდუქტში. თანამშრომლობის სხვა ფორმები ასევე ხელს უწყობენ ტექნოლოგიების გაცვლას პროდუქტების გზით. ასეთი შემთხვევების უმრავლესობაში კოოპერაციული სტრუქტირების მონაწილეები ერ-

თდროულად კონკურენტებად გამოდიან ერთ ან რამოდენიმე პროდუქტულ ბაზარზე.

7. **საწარმოო კოოპერაცია –** ეს არის იურიდიულად დამოუკიდებელი ეროვნული ანდა უცხოური ფირმებისა და კომპანიების საწარმოო-ტექნიკური კავშირის სახე. კოოპერაციის საფუძველი ერთ-ერთი პარტნიორთაგანის მოწინავე ტექნოლოგია, პატენტით დაცული და ნოუ-ჰაუს შემცველი ანდა პირებისაგან შეძენილი თანამედროვე ტექნოლოგია;

8. **ფრანჩაიზინგი** („შეღავათები, პრივილეგია“)-ეს საკონტრაქტო ურთიერთობების განსაკუთერებული ფორმაა, დაფუძნებული საქონლის, მომსახურების, ან ტექნოლოგიების გაყიდვაზე, საწარმოთა დამოუკიდებელ იურიდიულ, ან ფინანსურ ურთიერთობებში. ფრანჩარზინგზე შეთანხმებით გამყიდველი (ფრან ჩაიზერი) მყიდველს აძლევს თავისი სასაქონლო ნიშნის, საფირმო დასახელებისა და სხვა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენების უფლებას. ფრანჩაიზერის კონცეფციის შესაბამისად.

9. **ლიზინგი** – ეს მანქანებისა და მოწყობილობების არენდის სპეციფიკური ფორმაა. სალიზინგო ოპერაციის არსი მდგომარეობს ერთ მხარედ (ლიზინგის მიმცემის) ხოლო მეორე მხარედ (ლიზინგის მიმღების) წარდგენა. საქონლის განსაკუთრებული დადგენილი ვადით, განსაზღვრული ანაზღაურებით ლიზინგური მოლაპარაკების საფუძველზე. ხელშეკრულებით საქონელზე საკუთრების უფლება რჩება ლიზინგის მიმცემზე. ლიზინგის მიმღებს მიეცემა საქონლით სარგებლობის დროებითი უფლება. ხელშეკრულება ითვალისწინებს ლიზინგის მიმღების რეგულარული ტექნიკური დახმარების გაწევას ლიზინგის მიმცემის მხრიდან მომსახურებისა და კონსულტაციის სახით.

10. ერთობლივი მეცნიერულ კვლევითი და საცდელ-კონსტრუქტორული სამუშაოები კომერციულ საფუძველზე საშუალებას იძლევა თანამშრომლობის მხარეებმა შეამცირონ ამა თუ იმ მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პრობლემების დანახარჯები. ეს ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთობლივი მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისას, როგორც ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის სტადიამდე, ასევე შედეგების სამრეწველო დანერგვის სტადიაზეც.

საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთაც სურთ შეიძინონ ლიცენზიები, წყვეტენ სამ ამოცანას;

1. შესაფერისი ტექნოლოგიების შერჩევა;
2. შერჩეული ტექნოლოგიის შეფასება;
3. სალიცენზიო ხელშეკრულების შედგენა.

სასურველი ტექნოლოგიის შერჩევა ხდება საერთო ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე: საწარმოთა სარეკლამო პროსპექტებით, მეცნიერულ-ტექნიკური გამოცემების სტატიებით, პატენტების აღწერილობით, სპეციალისტების გამოხმაურებით.

შერჩეულ ტექნოლოგიას აფასეებენ შესყიდული ლიცენზიის ტექნიკო ეკონომიკური დასაბუთების დამუშავების საფძველზე. შერჩეული ტექნოლოგიის სრული ანალიზისათვის აუცილებელია კონფინდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მივიღოთ ოპციონნური შეთანხმების დასკვნის მიმართვით ამ შეთანხმების შესაბამისად ლიცენზიატს განსაზღვრული ანაზღაურებით შეუძლია განახორციელოს მისთვის აუცილებელი ობიექტის, ანდა ტექნოლოგიის გამოცდა და მიიღოს გადაწყვეტილება: შეიძინოს თუ არ შეიძინოს ლიცენზია. სალიცენზიო ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებენ გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულებებს.

გამყიდველის ვალდებულებებში შედის:

- აიღოს საფასური ოპციონზე და გადასცეს მყიდველს ტექნიკური დოკუმენტაცია;
- ლიცენზიის ანაზღაურებით ცალკეულ მყიდველს მიაწოდოს პროდუქტის ნიმუში;
- თავისი სპეციალისტები მისცეს ტექნიკური დახმარების გასაწევად;

მყიდველის ვალდებულებებში შედის:

- გამოიყენოს ტექნიკური დოკუმენტაცია მხოლოდ ოპციონნური შეთანხმების მიზნით და შეინახოს კონფიდენციალობა წლების განსაზღვრული რაოდენობისას;
- შეთანხმებასთან დამოკიდებულებით აღიაროს მოქმედი პატენტები და არ შეეწინააღმდეგოს განაცხადით პატენტების გაცემას;
- ოპციონის ვადის ამოწურვამდე ლიცენზიის შესყიდვაზე უარის შემთხვევაში დაუბრუნოს გამყიდველს ტექნიკური დოკუმენტაცია და

ყველა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება.

ყველა ინფომაციის ანალიზის შემდეგ მყიდველი ამზადებს არჩეული ტექნოლოგიის გამოყენებით პროექტის ტექნიკო-ეკონომიურ დასაბუთებას, რომელიც როგორც წესი ადგენს საწარმოო ფორმით, ის მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- გეგმის მოქმედების ვადა;
- საბოლოო პროდუქტის ტექნიკური მახასიათებლები;
- გასაღების პროგნოზირება;
- ნედლეულის არსებობა და კომუნალური მომსახურების, ტექნიკური პერსონალის სპეციფიკაცია;
- საწარმოოს სიმძლავრეები;
- მის დამონტაჟებაზე და მომსახურებაზე ხარჯები;
- სრული კაპიტალური დაბანდება და საბრუნავი კაპიტალი;
- ფინანსირების გეგმა;
- ამორტიზაცია;
- საწარმოო დანახარჯები;
- ნაკადების რაოდენობა;
- კაპიტალ – დაბანდების დაბრუნება.

ტექნიკო-ეკონომიკური დასაბუთების შედეგებით აკეთებენ დასკვნას ლიცენზიის მიზანშეწონილობაზე და მოლაპარაკებების დაწყებაზე, საწარმოსთან ან ორგანიზაციასთან სალიცენზიო შეთანხმების დამთავრებაზე.

სალიცენზიო შეთანხმებები მოიცავენ ურთიერთდამოკიდებულობის მთელ კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია სალიცენზიო პროდუქციის წარმოების ორგანიზებასთან, ანდა ლიცენზირებული პროცესის გამოყენებასთან. გარდა სამეცნიერო-ტექნიკური ასპექტებისა, შეთანხმება ასახავს ფინანსურ, საწარმოო ურთიერთობებს ლიცენზიის ობიექტის რეალიზაციაზე.

ტიპიურ სალიცენზიო შეთანხმებებს ამუშავებენ სხვადასხვა ორგანიზაციები (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიები; სამრეწველო ფირმების დარგობრივი ასოციაციები და ა.შ.)

შეთანხმება მიეკუთვნება ტიპიურს, რომელიც ლიცენზიატს აძ-

ლევს უფლებას დაპატენტებულ გამოგონებაზე ანდა ტექნიკურ პროცესზე, ტექნიკურ ცოდნასთან ერად, გამოცდილების, ნოუ-ჰაუს, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებაზე შეთანხმების საგნის გამოყენებისათვის ანაზღაურების მხრივ ლიცენზიანტი უხდის ანაზღაურებას:

- სალიცენზიო ანაზღაურება, რომლის სიდიდეს განსაზღვრავენ გამოყენებული ლიცენზიის ფაქტიური ეკონომიკური შედეგის საფუძველზე (პერიოდული საპროცენტო გადარიცხვა, მონაწილეობა მოგებაში). პერიოდული საპროცენტო გადარიცხვები ანდა მიმდინარე გადარიცხვები – „როიალტები“ დგინდება განსაზღვრული ფიქსირებული განაკვეთის სახით პროცენტებში და გადაეხდება ლიცენზიანტს გარკვეული დროის პერიოდში; ყოველწლიურად, ყოველკვარტალში, ყოველთვიურად ანდა განსაზღვრულ ვადაზე, რიცხვში;
- სალიცენზიო ანაზღაურება, რომლის სიდიდე უშუალოდ არაა დაკავშირებული ლიცენზიის ფაქტიურ გამოყენებასთან, არამედ ლიცენზიის ხელშეკრულებაში წინასწარაა დადგენილი შესაძლებელი ეკონომიკური ეფექტიდან გამომდინარე და ლიცენზიატის მოსალოდნელი მოგებიდან (პირველი სწყისი გადახდა „ნაღდი“, ფასიანი ქაღალდების გადაცემა, შემხვედრი ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემა). ხელშეკრულებაში მტკიცედ დაფიქსირებულ სალიცენზიო ანაზღაურების თანხას უწოდებენ პ ა უ შ ე ლ უ რ ს ასეთ გადახდას ადგენენ შემდეგ შემთხვევებისას:

- ლიცენზიის გადაცემა მოწყობილობების მიცემასთან ერთად;
- წარმოების საიდუმლოების ბაზაზე ლიცენზიის გაყიდვისას;
- როცა ლიცენზიანტის ქვეყანაში არსებობს სიძნელეები მოგების გადაგზავნასთან დაკავშირებით.

ამგვარად, ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტების ვაჭრობის სალიცენზიო ფორმას აქვს მნიშვნელოვანი პრაქტიკული მნიშვნელობა ინოვაციური პროცესის მონაწილეთათვის, რამდენაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას როგორც ლიცენზიური ანაზღაურება, როგორც თავად ლიცენზიების გაყიდვიდან, ასევე ტექნოლოგიების გადაცემის სხვა ფორმებიდან. ლიცენზიებით საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე განვითარება ხასიათდება თავისებურებებით:

1. თანამედროვე პირობებში ჩამოყალიბდა ლიცენზიის ბაზარი,

რომლის ძირითადი ელემენტებია-მოთხოვნა, შეთავაზება, ფასები სალიცენზიო საგნებზე;

2. ლიცენზიებით საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის საშუალო წლიური ტემპები 3-4-ჯერ აღემატება ტრადიციული საქონლის ვაჭრობის განვითარების ტემპებს;

3. ლიცენზიებით საერთაშორისო ვაჭრობა თავმოყრილია უპირატესად სამრეწველო განვითარების ქვეყნებსი; აშშ-ში, იაპონიაში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში;

4. ლიცენზიებით ვაჭრობის თანამედროვე განვითარებაზე ძლიერ მოქმედებს წარმოების მონოპოლიზაციისა და საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესები.

თანამედეროვე საწარმოს ხელმძღვანელები საკმაოდ კარგად არიან გათვითცნობიერებულნი ინტელექტუალური საკუთრების ისეთი ობიექტების გამოყენების შესაძლებლობებზე, როგორიცაა: გამოგონება, სამრეწველო ნიმუშები, სასარგებლო მოდელები, სასაქონლო ნიშანი, საფირმო დასახელება, საპროგრამო უზრუნველყოფა და ა.შ. მაგრამ ჩამოთვლილი ობიექტების გამოყენების დონე არ არის მაღალი. ეს აიხსნება იმით, რომ სხვადასხვა სახის ინტელექტუალური საკუთრების ხვედრითი წილი საწამოს ქონების შემადგენლობაში ძალიან მცირეა, მიუხედავად იმისა მათი გამოყენებიდან შემოსავლიანობა ორჯერ აღემატება მატერიალური აქტივების შემოსავლიანობას.

საწარმოები სამრეწველო საკუთრების ობიექტებთან მიმართებაში ამოცანებს წყვეტენ მათი აღრიცხვის შეფასებითა და ამორტიზაციით.

საზღვარგარეთული გამოცდილება გვთავაზობს რომ სამრეწველო საკუთრების ობიექტების შესაფასებლად გამოყენებული იქნას სტანდარტები შემოთავაზებული ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ.

13.14. ინტელექტუალური საკუთრება და საავტორო უფლებებზე საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

ბერნის კონვენცია, რომელიც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1881 წელს წარმოადგენს ფუძემდებლურ სამართლებრივ დოკუმენტს ინტელექტუალურ საკუთრებაზე. ბერნის კონვენცია ცნობს ავტორის უფლებას საკუთრებაზე, მისი ინტელექტუალური შრომის შედეგზე, ამ შრომისგა-

მოყენებაზე. ეს უფლება შეზღუდულია დროებითი ჩარჩოიტ. ქვეყნები რომლებიც შეუერთდნენ ბერნის კონვენციას, შედიან ბერნის კავშირში.კონვენციის ყველა მონაწილე თავისთავზე იღებს ვალდებულებას, ყველა სხვა ქვეყნის ავტორებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ კონვენციას, მოექცეს ისე როგორც თავის საკუთარ მოქალაქეებს. უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე შეიცავს ორ ძირითად ასპექტს: საკუთარს და მორალურს. პირველი გამოყოფს ანგლოსაქსურ საუფლებო სისტემას ხოლო მეორე – კონტინენტალურ ევროპულს. საავტორო უფლებებზე, ბერნის კონვენცია უშვალოდ დაკავშირებულია ამ დარგში ეროვნულ კანონმდებელ აქტებთან, მასში ხშირად შეაქვთ კორექტივები. მნიშვნელოვანი კორექტივა იქნა ორჯერ შეტანილი. 1952 წელს, როდესაც მიღებული იქნა ეგრეთწოდებული ფლორენციის შეთანხმება და იმავე წელს, ჟენევაში იუნესკოს ჩარჩოებში საერთო კონვენციის ხელმოწერა საავტორო უფლებებზე. ამ დეკლარაციის მიზანი მდგომარეობდა, რომ დარეგულირებულიყო საუფლებო საკითხები, რომლებიც გამომდინარეობდა ანგლოსაქსური და კონტინენტალური სისტემიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ავტორების სასარგებლოდ.

1976 წელს, იუნეკოს გენერალურ კონფერენციებზე მიღებული იქნა პროტოკოლი ფლორენციულ შეთანხმებაზე, რომელიც შეიცავდა სამ ძირითად რეკომენდაციას სახელმწიფოებისადმი, რომლებმაც ხელი მოაწერეს საერთო კონვენციას საავტორო უფლებებზე.

- არ მოხდეს საბაჟოსა და სხვადასხვა ბაჟის გადასახადების აღება შემოტანილ წიგნებზე და სხვადასხვა სასწავლო, კულტურულ და სამეცნიერო ლიტერატურაზე.

- მოხდეს მატერიალური და ფინანსური დახმარების გაწევა საერთაშორისო დაცვაზე ისეთი მასალის, როგორიცაა: წიგნები სახალხო ბიბლიოთეკებისათვის, ოფიციალური სამთავრობო გამოცემები, წიგნები და სასწავლო ნივთები უსინათლოებისათვის და სხვა.

- გამარტივდეს პროცედურა კულტურრული, სასწავლო და სამეცნიერო მასალის შემოტანაზე, რომელიც გათვალისწინებულია ბაზრობაზე და გამოფენებზე ექსპონირებისათვის.

13.15 საერთაშორისო ორგანიზაციები კულტურის სფეროში: იუნესკო

იუნესკო – გაერთიანებული ერების მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, წარმოადგენს სპეციალიზირებულ ორგანიზაციას გაეროს ჩარჩოებში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში. ეს გაერთიანებული ერების 12 ორგანიზაციიდან ერთ-ერთი სპეციალიზირებული ორგანიზაციაა რომელიც მოქმედებს საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა დარგში. იუნეკოს შტაბბინა იმყოფება პარისზი. ორგანიზაცია შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე. თავიდან მასში 15 ქვეყანა იყო გაერთიანებული დღეს მისმა რიცხვმა 193 მიაღწია. იუნეკოს ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს შეინარჩუნოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში, ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარების გზით, იუნესკოს დაფუძნების აქტი იწყება სიტყვებით: „რამდენადაც ომები იწყება ადამიანთა ცნობიერებაში, ადამიანების ცნობიერებაშივე უნდა აღიმართოს მშვიდობის ციხე – სიმაგრეებიც.“ საქართველო იუნესკოს სრულუფლებიანი წევრი გახდა 1992 წელს, იუნეკოს ამოცანები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. თავიდან პრიორიტეტებს აკუთვნებდნენ ომის მიერ შერყეული სამეცნიერო საგანმანათლებლო და კულტურულ პოტენციალს, კერძოდ ბიბლიოთეკების, კვლევითი ინსტიტუტების, სკოლების აღდგენას. უფროგვიან აქცენტი გაკეთდა ახალი დაწესებულებების შექმნაზე, შემდეგ იყო ორგანიზებული აქტები, ვენეციის, ათენის აკროპოლის დასაცავად, ინდონეზიაში ბუდისტური ტაძრის „ბორობუდურის“ შემდგომი ნგრევისაგან დასაცავად. იუნესკო წარმოადგენს ინიციატორს საავტორო უფლებების საერთაშორისო კონვენციაზე ხელის მოწერის (1952 წელი), რომელიც უზრუნველყოფს კულტურულ ფასეულობების თავისუფალ გაცვლას და იცავს მათი შემქმნელების უფლებებს „copyright ©“ “საავტორო უფლება ©“ “ქოფირაით ©“ რომელიც შეიძლება ვნახოთ ძალიან ბევრ წიგნზე და გვახსენებს ამ დოკუმენტს. იუნესკო და მსხვილი გამომცემლობები გარდა მრავალი წიგნისა უშვებს იუნესკოს ყოველთვიურ მაცნეს და ორ სპეციალიზებულ ჟურნალს: „კულტურა“ და „მუზეუმი“. იუნესკო განსაზღვრავს უფლებას კულტურაზე, როგორც ადამიანის ძირითად უფლებას და ამ ორგანიზაციაში მონაწილე ყოველ ქვეყა-

ნას საშუალებას აძლევს იმსჯელოს ამ გაგების შინაარსზე თავისი ეროვნული კულტურული პოლიტიკის ჩარჩოებში, იუნესკო ხელს უწყობს საგანმანთლებლო პროგრამების რეალიზაციას სტიმულირებს შემოქმედებითი მუშაკების და კულტურის დარგში ორგანიზატორის კვალიფიკაციის ამაღლებას. იუნესკო გამოდის რა კულტურის უფლებების დასაცავად, ის იცავს უფლებასაც და ინფორმაციის ხელმისაწდომობასაც. ამ უფლებას აქვს ორი ასპექტი: უფლება წარუდგინოს ეს ინფორმაცია სხვებს და უფლება, მიიღოს ეს ინფორმაცია. 1988 წლიდან 1999 წლის ჩათვლით იუნესკომ გამოაცხადა კულტურული განვითარების ათწლეულად, რომლის ძირითადი მიზანი იყო სტიმულირება იმ „განსხვავებებისა რომელიც აერთიანებს შემოქმედებას.“

იუნესკოს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს გენერალური კონფერენცია, რომლის მოწვევაც ხდება ორ წელიწადში ერთხელ. კონვენცია ამტკიცებს იუნესკოს ორ წლიან პროგრამასა და ბიუჯეტს, რომელიც ყალიბდება ქვეყნისა და ორგანიზაციის საწევროების შენატანით. ცალკეული ქვეყნების ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან იუნესკო დაკავშირებულია იუნესკოსთან თანამშრომლობის ეროვნული კომისიის მეშვეობით.

ევროპის საბჭო – წარმოადგენს საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციას, სადაც ევროპული ქვეყნების უმრავლესობა შედის. ევროპის საბჭოში მიღების პირობას წარმოადგენს ქვეყანაში საპარლამენტო დემოკრატიის არსებობა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. კულტურის სფეროში ევროპის საბჭო გამოდის კულტურის დემოკრატიის კონცეფციის განხორციელებისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა ევროპის საერთო კულტურის მემკვიდრეობა ხელმისაწდომი გახადოს ყველა მისი მოქალაქისათვის. კულტურული თანამშრომლობის საბჭო ეს არის ორგანო, სადაც შედის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროპულ კულტურულ კონვენციას. საბჭოს საქმიანობა ვითარდება მთელი რიგი გრძელვადიანი პროექტებისა და კონკრეტული ღონისძიებების ჩარჩოებში. მაგალითად, ორი ასეთი პროექტია „კულტურა და შემოქმედების ინდუსტრიები“ და „კულტურა და რეგიონები“. ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა ევროპული კულტურის მემკვიდრეობის მსხვილი გამოფენები. ამ გამოფენებში განსაკუთრებული წარმატება ხვდა გამოფენას „პორტუგალიური“ აღმოჩენები და ევროპის აღორძინება (ლისა-

ბონი, 1983 წელი) და უძველესი ბერძნული მითები მე-17, მე-18 საუკუნეების ევროპულ ხელოვნებაში (ათენი, 1987 წელი). საბჭოს სხვა მიმართლებებს შორის შეიძლება გამოიყოს კონკურსი ევროპულ თეატრალურ პრემიაზე, ევროპის უდიდესი მხატვრების წარმომადგენლობითი გამოფენები, ევროპული მუსიკის წელი (1985 წელი) და კინემატოგრაფიის წელი (1987 წელი). საქართველო ევროპის საბჭოს წევრი (41-ე წევრი) 1999 წლის 27 აპრილს გახდა.

ევროპის კავშირი – „წარმოადგენს განვითარებული ევროპული ქვეყნების ზენაციონალურ ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია მაასტრიხტის ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილია ყოფილი ევროპული გაერთიანების მონაწილე ქვეყნების მიერ 1992 წლის ბოლოს“ ევროპული კავშირის წინა ისტორია იწყება მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან. კულტურასთან მიმართებაში 1988 წელი ევროპული გაერთიანების შემობრუნების წელი გახდა, როდესაც მიღებული იქნა დოკუმენტი სახელწოდებით „ახალი კულტურული ინიციატივა ევროპული გაერთიანებისათვის“ ამ დოკუმენტმა განაპირობა ძირითადი მიმართულებები და კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტები, რომელიც გამომდინარეობს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივიდან. ამ მიმართულებებს მიეკუთნება:

- ევროპის კულტურული სივრცის შექმნა;
- ევროპული აუდიო ვიზუალური საშუალებების ინდუსტრიის განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომად გადაქცევის უზრუნველყოფა;
- კულტურული თანამშრომლობის განვითარება ქვეყნებთან, რომლებიც არ შედიან ევროპულ გაერთიანებაში.

მოკლედ განვიხილოთ, საქართველოს კულტურის სფეროს ეკონომიკის სტატისტიკური მონაცემები (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით)

2020 წლის მონაცემებით, საქართველოში 52 პროფესიული თეატრი ფუნქციონირება, აქედან 2 ერთეული იყო ოპერისა და ბალეტის თეატრი; 41 დრამის, მუსიკალური კომედიის და მინიატურების თეატრი; 2-ბავშვთა და მოზარდ მაყურებელთა, ხოლო შვიდი თოჯინების

თეატრი; თეატრების ნახევარზე მეტი თბილისშია, 15,4% იმერეთში, დანარჩენ ექვს რეგიონში კი ჯამში 32,7%.

ცხრილი 13.15.1

საქართველოში თეატრებისა და მაყურებელთა რაოდენობა.

მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
თეატრების რაოდენობა	49	49	49	49	49	50	52
მაყურებელთა რაოდენობა	486,9	554,5	601,8	576,8	582,7	614,6	125.6

2020 წელს ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით 80%-ით შემცირდა და 975 ერთეული შეადგინა, სპექტაკლების 67,5% ქალაქ თბილისში ჩატარდა.

2020 წელს მაყურებელთა საერთო რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 79,6% შემცირდადა 125,6 ათასი შეადგინა. საშუალოდ ერთ სპექტაკლზე დასწრების მაჩვენებელი 129 კაცით განისაზღვრა. მაყურებელთა დასწრების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქალაქ თბილისში იყო 71,0%, მეორე ადგილზე კი იმერეთი 13,8%.

განვიხილოთ საქართველოში არსებული მუზეუმების რაოდენობა და დამთვალიერებელთა რიცხვი.

ცხრილი 13.15.2

მაჩვენელბლები	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
მუზეუმების რაოდენობა (ერთეული)	193	207	219	241	248	253	249
დამთავლიერებელთა რიცხვი (ათას კაცი)	1065,8	1335,9	1674,9	1910,0	2114,7	2253,2	309,9

2020 წელს საქართველოშ 249 მუზეუმუ და მუზეუმ ნაკრძალი ფუნქციონირება, საიდანაც 100 ერთეული მემორიალურ მუზეუმს წარმოადგენდა, 70 ერთეული ისტორიულს (მხარეთმცოდნეობის), 24 ერთეული ხელოვნების, 12 ერთეული მუზეუმ ნაკრძალს, 2 ლიტერატურულს ხოლო 41 სხვა სახის მუზეუმებს.

2020 წელს მუზეუმებისა და მუზეუმ ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (ერთეული) შემდეგი იყო: თბილისი – 49 ერთეული, იმერეთი – 37 ერთეული, კახეთი 35 ერთეული, სამეგრელო ზემოსვანეთი – 31 ერთეული, აჭარა 20 ერთეული, შიდაქართლი – 18 ერთეული, გურია – 11 ერთეული, ქვემოქართლი – 10 ერთეული, მცხეთა მთიანეთი – 10 ერთეული, სამცხეჯავახეთი – 10 ერთეული, რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 5 ერთეული.

უცხო სიტყვები

1. მულტი - ლათ. ბევრი-სიტყვების ნაწილი, რომელიც რაიმეს სიმრავლეზე, ან მრავალჯერადობაზე მიუთითებს, მაგალითად, მულტიმედია.
2. კონვენცია - ლათ. ხელშეკრულება, პირობითად შეთანხმება.
3. თეჯირი - დასაკეცი დგამი, რომელიც ოთახის დროებით გადატიხვრის, ან ოთახში ცალკე კუთხის გამოყოფის საშუალებაა.
4. პოლიტიკა - ბერძ. სახელმწიფო მეცნიერება, სახელმწიფო მოღვაწეობის დარგი, რომელიც ეხება საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობას, რომლის არსია სახელმწიფო მიზნების, ფორმების და მოღვაწეობის დადგენა.

თავი XIV

ტრანსნაციონალური კორპორაციები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი როლი საქართველოს ეკონომიკაში

14.1. საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო გლობალურ პროცესებში

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ისეა მოწყობილი რომ ზოგს კეთილდღეობასა და აყვავებას სთავაზობს, ზოგს კი სიღარიბისა და სიღატაკისათვის სწირავს.

უახლესი გლობალური სოციალურ--კულტურული და ზოგად ისტორიული პროცესების შედეგად საქართველო გადაიქცა ახალი გლობალური ტენდენციების რეალიზაციის ასპარეზად, რაც მნიშვნელოვნად ცვლის მისი ისტორიული ევოლუციის ხასიათს. აღნიშნული ურთულესი ცივილიზაციური პროცესები სწრაფი და ინტენსიური ინფორმაციული ნაკადებით ზემოქმედებს მთლიანად ქვეყანაზე და თითოეულ პიროვნებაზე.

ტერმინი გლობალიზაცია წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან „გლობუსი“ და ეტიმოლოგიური მნიშვნელობით დედამიწას, მის მთლიანობას ნიშნავს. გლობალიზაციის რეალობა ეხება ნებისმიერ ადამიანს. თითოეულ ჩვენგანს გააჩნია მოთხოვნილებები სხვადასხვა სიკეთეებზე, ხშირად ვიძენთ საზღვარგარეთულ საქონელს რითაც ძალაუნებურად ვერთვებით საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. ვსარგებლობთ ინტერნეტით, მობილური კავშირგაბმულობით, პრესით, ტელევიზიით. ესა შეეხება არა მხოლოდ საქართველოს არამედ ყველა ქვეყანას. აღნიშნული პროცესები შეუქცევადია, ისე როგორც ვერ დაბრუნდება წარსული. არსებობს გლობალიზაციის მრავალი განმარტება:

გლობალიზაცია წარმოადგენს ქვეყნებსა და რეგიონერბს შორის ურთიერთდამოკიდებულოების გაძლიერების პროცესს, რომელიც არღვევს ენობრივ, ტერიტორიულ, ეკონომიკურ,პოლიტიკურტ, ფსიქიკურ ბარიერებს და მიმართულია კულტურულ ცივილიზაციური ერთობისა და რეგულირების ზეეროვნული სისტემის შექმნისაკენ[1].

[1] აბრალავა ა, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, 2005, 380 გვ.

გლობალიზაცია არის ისტორიულ მაშტაბში, სხვადასხვა ცივილიზაციების თანდათანობით მზარდი ურთიერთქმედებისა და ურთიერთშერწყმის პროცესი. გლობალიზაცია შედარებით ახალი მოვლენაა. მისი კვლევა დასავლეთში იწყება XX საუკუნის 80 იან წლებში. ტერმინი გლობალიზაცია პირველად გამოყენებულია ამერიკელი მეცნიერების ი. ლევიკინისა და რ. რობერტსონის შრომებში, 1983 წელს.

მართალია გლობალიზაცია მხოლოდ სამი ათეული წელია, რაც შესამჩნევი გახდა, თუმცა ეს პროცესი შორეულ წარსულში ღებულობს სათავეს. ერთი შეხედვით ათასწლეულების წინ ცივილიზაციური და ლოკალური კულტურები იზოლირებულად ვითარდებოდა. მაგრამ მათ შორის სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული კავშირები საუკუნეების განმავლობაში სულ უფრო ძლიერდებოდა. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიო ბაზრის გაძლიერებას მოჰყვა აღნიშნული პროცესის აზვირთება. ქვეყნები და რეგიონები დაუკავშირდნენ ერთმანეთს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით.

სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სისტემებით. თავი იჩინა გლობალიზაციის ახალმა ფაქტორებმა:გეოპოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურ-კულტურულმა, დემოგრაფიულ-ეკოლოგიურმა, ტექნოსფეროს გლობალიზაციამ და ა.შ.

გლობალიზაცია თავს იჩენს მრავალი ფორმით:[1]

1. კომუნიკაციების: კომპიუტერული ქსელი, მობილური და თანამგზავრული კავშირგაბმულობის მასიური გავრცელება, საშუალებას აძლევს ადამიანებს მომენტალურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა;

2. ორგანიზაციების თვალსაზრისით. გლობალიზაცია გამოხატულებას პოულობს კომპანიების, ასოციაციების, სააგენტოების სწრაფ ზრდაში, რომლებიც ფუნქციონირებენ, როგორც ტრანსნაციონალური სუბიექტები;

3. ეკოლოგიურად. თავს იჩენს გლობალური ეკონომიკური პრობლ;ემების სახით: კლიმატის დათბობა, ატმოსფეროს დაბინძურება და ა.შ.

4. გლობალური საქონელი და მომსახურება. შრომის საერთაშო-

[1] დათაშვილი ზ, ნაციონალიზმი და გლობალიოზაცია, თბ 2003 -445გვ.

რისო დანაწილებისა და წარმოების კოოპერაციის შედეგად თავს იჩენს საფინანსო-საბანკო კომუნიკაციებსა და სხვა მომსახურებაში;

5. სამხედრო სფეროში. გლობალური იარაღი, ატომური თერმობირთვული, კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები და ა.შ.

ეკონომიკურ გლობალიზაციაში იგულისხმება ერთიანი გლობალური ბაზრის შექმნა სახელმწიფოებს შოროის საზღვრების მოშლა. დღეს, მსოფლიო ეკონომიკაში ძრითადად ეკონომიკის კონცენტრაციის სამი რეგიონია: ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა და აღმოსავლეთ აზია.

გლობალურ პრობლემებს გააჩნიათ საერთო ნიშნები:

- ზოგადეროვნული ხასიათი, ე.ი. შეეხება მთელი (ან მისი დიდი ნაწილის) კაცობრიობის ინტერესებს;
- ურთიერთდაკავშირებული არიან ერთმანეთთან;
- მოიცავენ გარკვეულ საფრთხეს კაცობრიობისათვის და საჭიროებენ სწრაფ გადაუდებელ გადაწყვეტას;
- გადასაწყვეტად საჭიროებენ მსოფლიო თანამეგობრობის ერთობლივ ძალისხმევას.

იცვლება გლობალური პრობლემების პრიორიტეტულობაც, თუ გასული საუკუნის 70-იან წლებში აქტუალური იყო, მსოფლიოსთვის ბირთვული ომის თავიდან აცილება. დღეს წინა პლანზე წამოიწია ეკონომიკურმა პრობლემებმა, დემოგრაფიამ, სიღარიბემ, ჩამორჩენილობამ და ა.შ.

გლობალიზაციის პრობლემა გახდა საზოგადოებრივი მეცნიერების საყოველთაო ყურადღებისა და კვლევის სფერო, როგორც ყველა მოვლენას მასაც აქვს ორი მხარე დადებითი და უარყოფთი მომენტები. დადებით მხარეებთან --ურთულესი პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტის, ინფორმაციისა და მოწინავე ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელების და ა.შ. ერთად მას გააჩნია უარყოფითო მხარეები:

- გლობალიზაცია ნათლად წარმოაჩენს ეროვნული მთავრობების უუნარობას, გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგარი პრობლემები.

- ერთი შეხედვით მსოფლიო ეკონომიკა ერთიანია, მაგრამ მსოფლიო ფინანსები და ტრანსნაციონალური კორპორაციები კონცენტრირებულია სამ რეგიონში: ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთ აზიაში;

- კაპიტალის მობილურობა რატომღაც არ იწვევს ინვესტიციებისა და ლეგალური სამუშაო ძალის მასიურ გადანაწილებას;

- გლობალიზაცია თავისი შდეგებით აღრმავებს უთანაბრობას. ზოგიერთი ექსპერტის აზრით გლობალიზაცია წარმოადგენს დასავლური იმპერიალიზმის გვიანდელ გამოვლინებას;

- გლობალიზაციის შედეგებით მსოფლიო ქვეყნებისა და მოსახლეობის უმრავლესობა წაგებული რჩება. ვინაიდან გლობალიზაცია ხელს უწყობს ყველაზე წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების წინსვლას და არ ითვალისწინებს ადგილობრივი მწარმოებელი მოსახლეობის ინტერესებს;

საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესები ძალზედ წინააღმდეგობრივია. მის დადებით შედეგს ძირითადად გრძნობს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ჯგუფი, რომელზეც მოდის ნედლეულისა და ენერგომატარებლების მსოფლიო რესურსების გამოყენების ლომის წილი. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები გადაქცეულია საქონლის გასაღებისა და იაფი მუშა ხელის ბაზრებად. დღეს, მსოფლიოს 25-30 ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრობს ერთი მილიარდი ადამიანი. ე.წ. „ოქროს მილიარდი", სადაც ეკონომიკური ზრდა ემყარება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღწევებს. მაგრამ, სამრეწველო განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, მინერალური ნედლეულის ძირითადი სახეობების 70% ით დამოკიდებულია განვითარებადი ქვეყნებიდან მათ იმპორტზე. ექსპერტული შეფასებებით მდიდარი ქვეყნის ერთი მოსახლე ცხოვრების მანძილზე მოიხმარს 20-30 ჯერ მეტ რესურს ვიდრე ღარიბი ქვეყნის მოქალაქე.[1]

საერთაშორისო სტატისტიკური კვლევების მიხედვით უღარიბესი ქვეყნების ხვედრითი წილი მსოფლიო ერთობლივ შემოსავლებში სულ უფრო მცირდება. თუ 1960 წელს ის იყო 2,3, %, 1990 წელს 1,4 %, 1995 წელს 1,1,%, 2005წ.-0,9%, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნმების 10% შემოსავლების შეფარდება უღარიბესი ქვეყნების შემოსავლების 10% - ან (მსოფლიო დეცილური კოეფიციენტი), თუ 1960 წელს იყო 60. 2010 წელს შეადგენს 102.

დღეს მსოფლიო მოწინავე ქვეყნების მოსახლეობა 100 ჯერ უფრო მდიდარია ღარიბი ქვეყნების მოსახლეობაზე. აშშ მოსახლეობის მდი-

[1] პერკინსი ჯ „ეკონომიკური მკვლელის აღსარება. თბ. 2007

დარი 10% 10 000-ჯერ უკეთ ცხოვრობს 10% ეთიოპიელ ღარიბ მოქალაქეზე.

აშშ-ბი, ერაყის ომში, 2006-2011 წწ. ყოველწლიურა 87 მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავდა. მაშინ როდესაც „გაეროს“ გაანგარიშებით ამ თანხის ნახევარზე ნაკლებია საჭირო, რათა პლანეტის თითოეული მოქალაქე უზრუნველყოფილი იყოს სასმელი წყლით. საკვებით, საბაზო განათლებით და სამედიცინო მომსახურებით[1]

შედეგად მსოფლიო პოლიტიკაში განვითარებული ქვეყნები მისდევენ ორმაგ სტანდარტებს -ერთი მხრივ დემოკრატიას ქადაგებენ, მეორე მხრივ მიმართავენ დისკრიმინაციულ პოლიტიკას, განვითარებადი ქვეყნების მიმართ-გაყალბებული არჩევნების აღიარება, მიგრაციული აკრძალვები, მაღალი საბაჟო ტარიფები და ა.შ.

ამიტომ ხშირად ამობობენ, რომ გლობალიზაცია არის ის რასაც საუკუნეების განმავლობაში ეწოდებოდა კოლონიზაცია[1]. სუსტია გლობალური დემოკრატია. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების არ არსებობის გამო. ნაკლებად ახდენს ზეგავლენას მსოფლიო პროცესებზე ანტიგლობალისტთა მოძრაობები და აქციები.

ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია და გლობალიზაცია ქმნის ნოყიერ ნიადაგს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კრიმინალურ მიზნებში გამოყენებისათვის, რასაც ხელს უწყობს განსხვავებები სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში, იაფი ეკონომიკური რესურსების მისაწვდომობა, ოფშორულ ზონებში ფულის გათეთრების სიმარტივე და ა.შ. სულ უფრო იზრდება ნარკობიზნესი, იარაღით, ხელოვნების ნიმუშებით არალეგალური ვაჭრობის ტრანსნაციონალური ბიზნესი.

როგორ ხვდება საქართველო გლობალიზაციის გამოწვევას? რა ადგილიუკავია მას მსოფლიო გლობალურ პროცესებში?

მსოფლიო გლობალურ ეკონომიკაში ყალიბდება ახალი წესრიგი, რამაც შიძლება სრულიად ახალი შესაძლებლობები წარმოშვას. ახალ გამოწვევებს საქართველო მომზადებული უნდა შეხვდეს.

სტრატეგიული განვითარების ვექტორი ინაცვლებს სამხედრო პოლიტიკური სფეროდან, ეკონომიკურისაკენ. სულ უფრი პრიორიტეტული ხდება გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები. უნდა გავითვალისწინოთ და გავჭვრიტოთ ის გეოეკონომიკური სივრცე, რო-

მელშიც საქართველოს ეკონომიკას მოუწევს ფუნქციონირება, რომ წარმატებით „ჩაჯდეს“ ახალი XXI საუკუნის ეკონომიკური სივრცეში.

შეიძლება ითქვას საქართველო გლობალურ გამოწვევებს მოუმზადებელი შეხვდა, როდესაც დაიწყო გლობალური პროცესები XX საუკუნის 80-ან წლებში, საქართველო ჯერ კიდევ სსრკ-ს შემადგენლობაში შედიოდა. ამიტომ, არ შეეძლო დამოუკიდებელი გეოსტრატეგიული ინტერესების გატარება. დამოუკიდებლობის მოპოვებას 90-ან წლებში, დაემთხვა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური კრიზისი. ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები 60-70% ით შემცირდა (პ.6.2.) შდეგად საქართველო გლობალიზაციას შეხვდა, როგორც განვითარებადი ქვეყანა. დღეს საქართველოს წილი მსოფლიო მშპ-ს 0,025%[1]

ბევრი რამე თავიდან დასაწყებია. მაგრამ გაგვაჩნია ხელშმწყობი პირობები: ქვეყნიის გეოპოლიტიკური მდებარეობა, სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქციის პერსპექტივები, განათლების საკმაო დონე და მოსახლეონბის მაღალი ადაპტაციის უნარი და ა.შ. საჭიროა მათი გონივრული გამოყენება.

საქართველოს ეკონომიკა და მოსახლეობის კეთილდღეობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საგარეო ეკონომიკურ კავშირებსა და ინვესტიციებზე. დღეს საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირები აქვს მსოფლიოს 160-ზე მეტ ქვეყანასთან. ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის 70% იმპორტული საქონლის წილად მოდის. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ შუწყო ხელი ქვეყნის 2008 წლის აგვისტოს ომისა და შემდგომი მსოფლიო კრიზისიდან გამოსვლას. მედალს ორი მხარე აქვს.

მომავალში მოსალაოდნელია ეკონომიკის ინტეგრაციული, განსაკუთრებით რეგიომულ-ინტეგრაციული დაჯგუფებების გაძლიერება. საქართველო დღეს მონაწილეობს“სუამსა“ და „ბისეკში“ მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში. სუამში ჩვენ გარდა შედის უკრაინა აზერბაიჯანი, უზბეკეთი და მოლდოვა. აღნიშნულ განვითარებას აქვს პროდასავლური და ევროატლანტიკური მიმართულება.

ბისეკი არის შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია,რომელშიც შედის ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქარ-

[1] სანიკიძე გ.,,,თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“ თბ. 2001. გვ 218

თველო, ბულგარეთი, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ამ გაერთიანებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ევროპაში ინტეგრაციას.

მნიშვნელოვანია საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის პერსპექტივები, როგორც მისი მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის მთავარი ფაქტორის. სულ უფრო ვითარდება საერთაშორისო პროექტები:

- აბრეშუმის გზა ე.წ. ტრასეკას პროექტი:
- ყაზახეთი -ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი
- ბაქო-სუფსის მილსადენი:
- ბაქო-თბილისი-შახდენიზის და ბაქო- თბილისი-ეზრუმის გაზსადენი;
- მიმდინარეობს საქართველოს მეზობლებთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზების და ბათუმისა და ფოთის პორტების რეკონსტრუქცია-მშენებლობა;

XXI საუკუნეში პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში დომინირებულ მდგომარეობას დაიკავებს პოლიტიკურ ურთიერთობათა ხუთდონიანი პირამიდა[1]

1. პირამიდის საფუძველში იქნება მუნიციპალური წარმონაქმნები, რომლებსაც დაეკისრებათ ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების შესრულება;
2. რეგიონული წარმონაქმნები ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქები, შტატები, მხარეები. მათ ექნებათ შესაბამისი ფართო უფლებები;
3. ეროვნული სახელმწიფო, რომელსაც ექნება მაკროეკონომიკური ფუნქციები. მოხდება სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაცია, რამაც გლობალურ ურთიერთობათა საზღვრებში უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება;
4. რეგიონული ცივილიზაციური გაერთიანებები ევროკავშირი, ნეფტა და ა.შ.
5. გლობალური გაერთიანებები: გაერო, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. მომავალში მათი ზეგავლენა კიდევ უფრო გაძლიერდება.

---

[1] აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, 2005-380გვ.

როგროც ზემოთ აღვნიშნეთ, გლობალიზაციის საწყისები მომდინარეობს უძველესი დროიდან. ისტორიულად ნებისმიერი რელიგია რწმენას ეროვნებაზე და სახელმწიფოზე მაღლა აყენებდა. როცა ქრისტიანობა, ბუდიზმი ან ისლამი ვრცელდება ამა თუ იმ ერებში აუცილებელი იყო ხალხს უარი ეთქვა იმ წეს- ჩვეულებებზე, ტრადიციებსა და იდეებზე, რომლებიც მათთვის ახლობელი და წინაპრებიდან მომდინარე იყო, მაგრამ ახალ სარწმუნეობას არ შეესაბამებოდა. ე.ი. ხალხი უარს ამბობდა ეროვნული კულტურის საკმაოდ დიდ ნაწილზე და მის ნაცვლად ახალ, რელიგიურ კულტურას ითვისებდა.

აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ საუკუნეების მიღმა, რომელიმე რელიგიის გავრცელება უკვე თავისთავად იყო თავისებური „რელიგიური გლობალიზაცია“ ისლამი მაგალითად საერთოდ უარყობს ეროვნულ დაყოფას და ყველა მუსლიმანი ერთ საზოგადოებას „უმმას“ წევრად მიაჩნია. შესაბამისად ჩამოყალიბა ერთიანი ისლამური საზოგადოება და კულტურა. მუსლიმანებს საკუთარ ენაზე ლოცვაც კი აკრძალული აქვთ. ამ მიზნით მხოლოდ არაბული ენა გამოიყენა. ასევეა კათოლიკურ რელიგიაში წირვა-ლოცვა მხოლოდ ლათინურ ენაზე უნდა შესრულდეს.

იგივე შეიაძლება ითქვას იმპერიებზეც, სადაც მიზანმიმართულად ხორციელდება იმპერიაში მცხოვრები ხალხის ენობრივი, კულტურული თუ რელიგიური განსხვავებების წაშლის პროცესი. მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე. თავის დროზე, ადგილი ჰქონდა ბერძნული და აღმოსავლური კულტურების უნიკალურ სინთეზს, რაც მსოფლიო ისტორიაში ელინიზმის სახელითაა ცნობილი. მსგავს პროცესებს ჰქონდათ ადგილი რომის იმპერიაში, ბრიტანეთის კოლონიებში (მაგალითად ინგლისური ენის საყოველთაო გავრცელება)და თვით საბჭოთა კავშირშიც.

მაგრამ, ტრადიციული ეკონომიკური სისტემის პირობებში გლობალიზაციის პროცესი ნაკლებად მაშტაბური იყო. XVIIსაუკუნიდან საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებამ ხელი შეუწყო გლობალური ტენდენციების გაძლიერებას. ამავე პერიოდში იწყება კოლონიალიზაციის პროცესი. იგი დაიწყო ინგლისის კოლონიებით: აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ინდოეთი, სამხრეთ აფრიკა და ა.შ. ესპანეთის: მექსიკა, არგენტინა, პერუ,ჩილე, პარაგვაი, ურუგვაი, ბოლივია. პორტუგალიის: ბრაზილია, ანგოლა, საფრანგეთის: ალჟირი, კამერუნი, ჰაიტი და ა.შ. კო-

ლონიალიზმა გააფართოვა გლობალიზაციის პროცესი. გაიზარდა კოლონიების მეტროპოლიებზე დამოკიდებულება. დღეს განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა წარსულში კოლონიებს წარმოადგენდა. კოლონიების უმრავლესობამ დამოუკიდებლობა მოიპოვა XX საუკუნეში. აღნიშნულ საუკუნეში მსოფლიომ ასევე სხვა მრავალი გლობალური მნიშვნელობის მოვლენა გადაიტანა. მათ შორის აღსანიაშნავია ორი მსოფლიო ომი. საციალისტური ბანკისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „ცივი ომის“ დასრულებით ჩამოყალიბდა ერთპოლუსიანი მსოფლიო.

მძლავრი ფინანსური კაპიტალის მქონე ქვეყნებმა კი არ დაასამარეს კოლონიური სისტემა არამედ მხოლოდ გარგნული ფორმა შეუცვალეს, ძირიადი პრინციპები კი შეინარჩუნეს. ზემოქმედების მთავარი ბერკეტი დღეს ეკონომიკა და ფინანსებია. სამხედრო სიძლიერემ მეორე პლანზე გადაიწია. „ახალი კოლონიალიზმის“ ამოსავალი პრინციპია: ერთი შეხედვით საერთაშორისო ორგანიზაციების:გაეროს, ევროსაბჭოს, მსოფლიო ბანკის და ა.შ. წევრობა. მიიღეს კონსტიტუცია, დემოკრატიული გზით აირჩიეს პარლამენტი და პრეზიდენტი. გააჩნიათ სახელმწიფო ატრიბუტიკა და სიმბოლიკა-დროშა, გერბი, ჰიმნი, და ა.შ. მაგრამ, მეორე მხრივ, რეალურად დამოკიდებულნი არიან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებზე და ტრანსნაციონალურ კაპიტალზე, რომელსაც აკონტროლებს ძირითადად აშშ-ბი. მესამე მსოფლიოს ქვეყნების ვალმა ორნახევარ ტრილიონ დოლარს მიაღწია, მისი მომსახურების ღირებულებამ კი 400 მილიარდს წელიწადში. 2006 წლის მონაცემებით ეს იმაზე მეტია, რასაც მესამე მსოფლიოს ყველა ქვეყანა განათლებისა და ჯანდაცვისათვის ხარჯავს და 20 ჯერ მეტი, რასაც განვითარებადი ქვეყნები ღებულობენ ყოველწლიურად ეკონომიკური დახმარების სახით.[1]

ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ) აღრმავებენ გლობალიზაციის პროცესს. ამჟამად მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის ბირთვს 500 ტრანსნაციონალური კორპორაცია შეადგენს, რომლებიც ფაქტიურად განუსაზღვრელ ეკონომიკურ ძალაუფლებას ფლობენ. მათგან 170 ევროპულია, 162 ამერიკული, 126 იაპონური და მხოლოდ 22 სხვადასხვა ქვეყნიდან. ე.ი. ტნკ-ის 92% სამ მსოფლიო ეკონომიკურ ცენტრზე მოდის.

---

[1] პერკინსი ჯ „ეკონომიკური მკვლელის აღსარება. თბ. 2007

პრესტიჟულ ჟურნალ „ეკონომისტის“ მონაცემებით მსოფლიო თვითმფრინავმშენებლობისა და ავტომობილების წარმოების ნახევარზე მეტს, ხუთი უმსხვილესი ტნკ. აკონტროლებს. უფრო მაღალია კონცენტრაციის ხარისხი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. სამოქალაქო თვითმფრინავების ბაზრის მოცულობა წელიწადში 16 ათასი ახალი თვითმფრინავია და შეფასებულია ერთ ტრილიონ დოლარად. აღნიშნულ ბიზნესშო ორი კომპანია ბატონობს:ამერიკული „ბოინგი“ და ევროპული „ეირბას ინდასტრი“ მსხვილი ტნკ-ს ეკონომიკური სიმძლავრე, მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული, რამოდენიმე ქვეყნის სიმძლავრის ტოლია. მაგალითად ამერიკული კორპორაცია General Motors-ის წლიური ბრუნვის მოცულობა აჭარბებს ისეთი ქვეყნების მშპ-ს მოცულობას, როგორიცაა შვედეთი, ავსტრია და შვეიცარია ერთად აღებული[1] გაეროს მიერ დადგენილია კრიტერიუმები, რომლებიც ტნკ-ს გამოარჩევს დანარჩენი საერთაშორისო კორპორაციებისაგან.:

1. წლიური ბრუნვა(გაყიდვათა მოცულობა) არანაკლებ ერთი მილიარდი დოლარის;
2. ფილიალების რაოდენობა მსოფლიოს ექვს და მეტ ქვეყანაში;
3. საზღვარგარეთული აქტივების ხვედრითი წილი კომპანიის აქტივების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 25-30% ისა
4. კომპანიის ბრუნვის მთლიანი მოცულობის 20-30% უნდა მოდიოდეს საგარეო ოპერაციებზე, ე.ი. რეალიზდებოდეს რეზიდენტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ[2]

გლობალური პრობლემები წარმოიშვება ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში. აღნიშნული წინააღმდეგობათა გადაწყვეტით დაინტერესებული უნდა იყოს მსოფლიო თანამეგობრობა. მსოფლიო გლობალური პრობლემები შეიძლება 4 ჯგუფში გაერთიანდეს.

1. პოლიტიკური-მშვიდობა, დემილიტარიზაცია და კონვერსია, ლოკალური ომები და ეთნოკომპლიქტები, საერთაშორისო ტერორიზმი, ე.წ. „ურჩი ქვეყნების“ პრობლემა;
2. ეკონომიკური-ტრანსეროვნული კაპიტალი, ეკონომიკური და

[1] მოვსესიანი ა, ოგნივცევი გ, მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო 1-2 ტომი. თბ 2003. გვ454

[2] აბრალავაა „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, 2005. გვ 380

სავაჭრო ომები და კონფლიეტები. განვითარებადი ქვეყნების ჩამორ-ჩენილობისზრდა, წინააღმდეგობა ე.წ. „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ საერ-თაშორისო ვალი;

3. სოციალური-უმუშევრობა და სირატაკე. უთანაბრობის ზრდა მსოფლიო მოსახლეობსის შემოსავლებში. ნარკომანია, შიდსი და სხვა-დასხვა დაავადებები. მეგაპოლისების პრობლემა.

4. ეკოლოგიური-რესურსების შეზღუდულობა, სასურსათო, დე-მოგრაფიული, ნარჩენები და დაბინძურება. კლიმატის დათბობა, ოზო-ნის შრე, მდგრადი განვითარება.

ყველა გლობალური პრობლემა საჭიროებს პოლიტიკურ გადაწყვე-ტას. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშვება სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები, რომლებიც შეიძლება გადაიზარდოს რევოლიციებსა და ომებში. მათ შორის მსოფლიო ომში. განვლილი მსოფლიო ომები და სისხლიანი რევოლუციები აღნიშნულის მაგალითია.

გლობალიზაცია და მეგაეკონომიკის ჩამოყალიბება უბიძგებს კა-ცობრიობას იდეოლოგიის კონვერგენციისაკენ და საერთო მსოფლიო ფასეულობების შექმნისაკენ. მსოფლიოს ადამიანები სულ უფრო მე-ტად აღიქვამენ თავს ერთიან ორგანიზმებად. ქვეყნები სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. თანდათან ქმნიან რა ერთიან კულტურას. ბიზნესის წარმართვის საერთო წესებს. ქცევის განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, მისი მიახლოება ევროპულ სტანდარტებთან-ბოლონიის ევროპულ სისტემასთან.

კულტურის არსებობა მომდინარეობს ადამიანთა საზოგადოების შექმნიდან. კულტურა სცილდება მხოლოდ იდეოლოგიის ჩარჩოებს. კულტურები ყალიბდება სხვადასხვა დონეზე-ოჯახის, კლანების, სოფ-ლის, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის და ა.შ. კულტურული იდენტურობა ახასიათებს, როგორც ერს, ისე სახელმწიფოს. კულტურული იდენტუ-რობის ყველაზე დიდი კონსტრუქციაა ცივილიზაცია, რომელოშიც სხვადასხვა ხალხების იდენტიფიცირება ხდება. მათი დამაკავშირებე-ლი ესთეტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული, თუ სოციალური ტრა-დიციებით. ფაქტიურად ცივილიზაციები ტრანსნაციონალური ერთო-ბებია. ცივილიზაციები დინამიურია სივრცესა და დროში, სხვადასხვა კულტურების გაერთიანებასთან ერთად ისინი ყალიბდება წარსული ცივილიზაციების ფასეულობებსა და იდეებზე. მაგალითად, შუა საუ-

კუნეების ქრისტიანობა გარკვეულ წილად დაეფუძნა ძველბერძნულ და რომაული ცივილიზაციების ფასეულობებს.

კულტურის გლობალიზაცია ერთ ერთი წინააღმდეგობრივი მოვლენაა. საუკუნეებისა და ათწლეულების განმავლობაში ერები საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებას ეროვნული კულტურის შენარჩუნების ფასად ახერხებდნენ. დღეს ეროვნული კულტურის ნაცვლად ყალიბდება დასავლური, ძირითადად აშშ-ის კოსმოპოლიტური იდეოლოგია და კულტურა. სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობას აცვია ერთნაირად. უსმენს ერთსა და იმავე მუსიკას. უყურებს ერთსა და იმავე ფილმებს და ტელეგადაცემებს. იკვებება ერთი და იმავე საკვებით და სასმელით: კოკა-კოლა, მაგდონალდსი და ა.შ. შედეგად თანდათან ერთნაირ ფასეულობებს იძენს. განსხვავებები ხალხებსა და ქვეყნებს შორის იშლება. დრო და სივრცე იკუმშება. თანამედროვე კომუნიკაციებისა და მედიის საშუალებებით. ყალიბდება უეროვნებო, კოსმოპილიტური მსოფლიო მოქალაქე.

გლობალიზაციის პრობლემამ მედია იდნდუსტრიაც მოიცვა. დღეს 81 უმსხვილესი ტელესაკომუნიკაციო კორპორაციიდან 39 ამერიკულია, 29 ევროპული, 8 იაპონური, ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობებში ლიდერობენ ასოშეიტედ პრესი და როიტერი. საერთაშორისო სატელევიზიო ახალ ამბებში CNN, BBC, EURONIUS, EUROSPORT, MTV დაა. შ. ტელევიზია დღეს ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია, რომ მის გარეშე ცხოვრება უკვე წარმოუდგენლია. ასევე კულტურული გლობალიზაციის გამოხატულებაა კინოინდუსტრია, ტურიზმი, ინგლისური ენის საყოველთაო გავრცელება.

ნებისმიერი რელიგოია რწმენას ეროვნებაზე და სახელმწიფოზე მაღლა აყენებს. როცა ქრისტიანობა, ბუდუზმი ან ისლამი ვრცელდებოდა ამა თუ იმ ერებში აუცილებელი იყო ხალხს უარი ეთქვა იმ წეს - ჩვეულებებზე, ტრადიციებსა და იდეებზე, რომლებიც მათთვის ახლობელი და წინაპრებიდან მომდინარე იყო, მაგრამ ახალ სარწმუნოებას არ შეესაბამებოდა. ე.ი. ხალხი უარს ამობობდა ეროვნული კულტურის საკმაოდ დიდ ნაწილზე და მის ნაცვლად ახალ რელიგიურ კულტურას ითავსებდა. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ საუკუნეების მიღმა, რომელიმე რელიგიის გავრცელება უკვე თავისთავად იყო თავისებური „რელიგიური გლობალიზაცია“.

საერთაშორისო უნივერსალური ენის იდეაXIX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა. მსოფლიოში ხუთი ათასზე მეტი ენაა. მათ შორის დამწერლობის მქონე ათასზე ნაკლებია. მიუხედავად ესპანური და გერმანული ენების პოპულარობისა და ჩინური ენის მაშტაბურობისა, მსოფლიო ენად მაინც ინგლისური იქცა. აღნიშნულს შემდეგმა გარემოებამ შეუწყო ხელი. პირველ რიგში აშშ და ინგლისის ეკონომიკურ-პოლიტიკურმა და სამხედრო სიძლიერემ. ასევე მეცნიერულ ტექნიკური რევოლუციის მიღწევებმა.

მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურა ძირითადად ინგლისურენოვანია. ყველაზე სოლიდური 6 000 სამეცნიერო ხასიათის ჟურნალი 40% აშშ-ზე მოდის 20% დიდ ბრიტანეთზე. ასევე სხვა ქვეყნებში გამომავალი სამეცნიერო ნაშრომებისა და სტატიების უმრავლესობა ინგლისურენოვანია. რუსულ და გერმანულ ენებზე დაბეჭდილი სტატია და ნაშრომი ხშირად შეუმჩნეველლია სანამ ინგლისურად არ ითარგმნება. დღეს, ნებისმიერი დარგის მეცნიერისათვის, ინგლისური ენის ცოდნის გარეშე სერიოზული წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია მისი საპიროსპირო ფენომენის ნაციონალიზმის გაძლიერება. შიძლება ითქვას გლობალიზაცია და ნაციონალიზმი თანამედროვე ეპოქის მთავარი დაპირისპირებული ძალებია.

თუ ახლო წარსულში ნაციონალიზმი განიხილებოდა, როგორც სიძველის გადმონაშთი. ბოლო პერიოდში, ნაციონალიზაციამ როგორც იდეოლოგიამ და სოციალურმა მოძრაობამ უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიოს ფორმირების პროცესში. სოციალისტური ბანაკის კოლაფსის შემდეგ, ნაციონალური ნიშნით,XX საუკუნის დასასრულს ოთხი სახელმწიფო დაიშალა

- საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია და ეთიოპია(აფრიკაში) წარმოიშვა 22 ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა კვლავ არ შენელებულა. დღეს უკვე ავტონომიები ითხოვენ დამოუკიდებლობის აღიარებას (კოსოვოს, აფხაზეთის, და ყოფილი სამხრეთ ოსეთის მაგალითი)

ნაციონალიზმის არსშია დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა, ხალხთა განსაკუთრებული კულტურისა და ისტორიის არსებობის ხაზგასმა.

ნაციონალური სიმბოლოებია: ენა, ეროვნული დღეასწაულები, დროშა, ჰიმნი, გერბი, ჩასაცმელი, საკვები და ა. შ.[1]

ნაციონალიზმის თანახმად ცალკეული ერები და შესაბამისად „ეროვნული გრძნობა“ - ათასწლეულების მანძილზე არსებობს. თუმცა ნაციონალიზმის დოქტრინა XVIII საუკუნის დასასრულიდან იწყებს გავრცელებას. XIX საუკუნის დასაწყისში ევროპა ნაციონალური მოძრაობების აღმავლობის ფაქტის წინაშე დადგა. იმპერიები თანდათან თმობდნენ პოზიციებს. პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ გეოპოლიტიკური სურათი რადიკალურად შეიცვალა. 1991 წელს დაიშალა ერთ-ერთი უდიდესი იმპერია საბჭოთა კავშირი.

როგორც გლობალიზაციას, ნაციონალიზმსაც გააჩნია პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. პოზიტიურია:

- ნაციონალიზმი იწვევს ლეგიტიმურობის პრინციპის შექმნასა და გაძლიერებას. ემყარება სახელმწიფო მართვის თანამედროვე სისტემას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა გამოხატოს საკუთარი ხალხის ინტერესები;
- ნაციონალიზმი ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციოპების რეალიზაციას, ის საშუალებაა, რომლითაც წარმომადგენლობის პრინციპი უნდა განხორციელდეს საერთაშორისო არენაზე;
- ნაციონალიზმს გააჩნია მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფუნქცია. იგი იწვევს საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობის გაძლიერებას, კულტურულ ერთიანიბას და ა.შ.
- ნაციონალიზმი იყო და რჩება საზოგადოების შემოქმედებისა და მრავალფეროვნების წყაროდ: ხელოვნების, ლიოტერატურის, ენის, სპორტის და ა.შ. მიღწევებში.

მაგრამ მას გააჩნია ნეგატიური მხარეებიც:

- ნაციონალიზმი არის კონფლიქტებისა და ომების მთავარი მიზეზი;

ქმნის წინააღმდეგობებს სავაჭრო ეკონომიკური, თუ სხვა თანამშრომლობისათვის;

- სეპარატიზმის ხელშეწყობით ასუსტებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებებს;
- სახელმწიფოების შიგნით შიძლება მოხდეს ძალაუფლების უზურპაცია ეთნიკური უმცირესობების ჩაგვრა და ა.შ.

2006-2007 წლების ეკონომიკურ ზრდას საქართველოში მოჰყვა ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი რეიტინგის ცვლილება პოზიტიური კუთხით.

მსოფლიო ბანკის გამოკვლევებით, საქმიანი აქტივობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, 2007 წელს, საქართველომ 175 ქვეყანას შორის შთამბეჭდავი შედეგი აჩვენა და 112- ე ადგილიდან 37-ზე გადაინაცვლა. უკან ჩამოიტოვა ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა იტალია და ესპანეთი. საგრძნობი წინსვლა აღინიშნება ბიზნესის დაწყების სფეროშიც: საქართველო 59-დან 36-ე ადგილზე გადავიდა. შემცირდა ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურათა რაოდენობა და მათი განხორციელების დრო. სამართლებრივი ბაზის სრულყოფის საფუძველზე გამარტივდა საკუთრების რეგისტრაციის პროცედურა და შემცირდა ვადებიი.

2011 წლის ანგარიშის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა და 93-ე პოზიციიდან 88-ე პოზიციაზე გადაინაცვლა.

თუმცა საინტერესოა, რატომ არ მოსდევს ამას ბიზნესის მასიური განვითარება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება?

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების შედარებითი ანალიზისათვის გამოიყენება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომელიც Wall Street Journal da Heritaje Foundation -ის მიერ 1995 წლიდან ფართოდ ქვეყნდება მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობისათვის. ამ მაჩვენებლით ქვეყნებს ენიჭებათ სპეციალური საერთაშორისო რეიტინგი, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მათ ადგილს მსოფლიოს გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში. 2008 წელს რეიტინგში მონაწილეობდა 157 ქვეყანა. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი წარმოადგენს შემდეგი 10 ინდექსისი საშუალო არითმეტიკულს:

1. ბიზნესის თავისუფლების;
2. ვაჭრობის თავისუფლების;
3. საგადასახადო თავისუფლების;
4. მთავრობისაგან თავისუფლების;
5. ფულადი თავისუფლების;
6. ფინანსური თავისუფლების;

7. საკუთრების უფლების დაცვის;
8. კორუფციისაგან თავისუფლების;
9. საკუთრების უფლების დაცვის;
10. შრომითი ურთიერთობების თავისუფლები.

ინდექსი იზომებას სკალით 0-დან 100 მაჩვენებამდლე. 100 შეესაბამება მაქსიმალურ თავისუფლებას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე უშუალო კავშირშია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დინამიკასთან. ამ ინდექსის მიხედვით ქვეყნები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

ა. თავისუფალი 80-100 ქულა;

ბ. ძირითადად თავისუფალი 70-79,9;

გ. ზომიერად თავისუფალი 60-69,9;

დ. ძირითადად არათავისუფალი 50-59,9;

დესპოტური 0-49,9 ქ.[1]

„ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით საქართველო 69,3 ქულით, 2007 წლის მონაცემებით, ზომიერად თავისუფალი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება[2]

ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია“ თავისუფლების სახლი“ (Freedom Hous)ყოველწლიურად ამზადებს დეტალურ კვლევას „გარდამავალი ეკონომიკსი ქვეყნების“ პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლების შესახებ.

ქვეყნები ფასდება სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორების პრაქტიკული როლის გათვალისწინებით, ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლების მდგომარეობასთან მიმართებაში. შეფასებები, რომლებიც მოცემულია „გარდამავალი პერიოდის ქვეყნების“ კვლევაში, წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს იმის გასარკვევად, თუ ესა თუ ის ქვეყანა რა ზომით წარმოადგენს დემოკრატიულ,ან ავტორიტარულ სახელმწიფოს.

---

[1] www.economy. ge.

[2] ბარათაშვილი ე, ბულია ლ, ასათიანი ო, ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების კლასიფიკაცია და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესების შდარებითი ანალიზი (საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების მაგალითზე), ჯ. ეკონომიკა 2009 ნომერი 1-2, გვ 237-249

Freedom House-ის მიერ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დემოკრატიულობის ხარისხის შეფასება ხდება შვიდბალიანი შკალით. 1 შეესაბამება დემოკრატიული განვითარების ყველაზე მაღალ, ხოლო 7 ყველაზე დაბალ დონეს.

2004 წლიდან ორგანიზაცია Freedom House იყენებს მსოფლიოს ქვეყნებში დემოკრატიის განვითარების დონის შეფასების ახალ მაჩვენებელს „დემოკრატიული განვითარების რეიტინგს", რომელიც წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილი შვიდი მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულს:

1. საარჩევნო პროცესის დემოკრატიულობა;
2. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა;
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებლობა;
4. დემოკრატიული მმართველობა;
5. სასამართლო სისიტემისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობა;
6. კორუპციის დონე.

„დემოკარატიული განვითარების რეიტინგის" მიხედვით სხვადასხვა ქვეყნებში მმართველი რეჟიმების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი შეფასებით: მყარი დემოკრატია 1-2 ბალი; თითქმის მყარი დემოკრატია 3 ბალი; გარდამავალი მდგომარეობა ან შერეული რეჟმი 4 ბალი; თითქმის ჩამოყალიბებული ავტორიტარული რეჟიმი 5 ბალი, ჩამოყალიბებული ავტორიტარული რეჟმი 6-7 ბალი.

საქართველო 1999-2002 წლებში Freedom House რეიტინგული შფასების თანახმად გარდამავალი მდგომარეობის ქვეყნების სტატუსს ინარჩუნებს. 1999 წელს-4,17ბალი, 2001 წელს-4,33ბალი, 2002 წელს-4,58 ბალი, 2003 წელს -4,83 ბალი, 2004 წელს წელს-4,83 ბალი, 2005 წელს-4,96 ბალი, 2006 წელს-4,86 ბალი, 2007 წელს-4,68 ბალი) საქართველოს ბევრი აღარ უკლია, რომ თითქმის ჩამოყალიბებული ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნების ჯგუფში გადავიდეს.

როგორც დემოკრატიული განვითარების რეიტინგების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს საქართველო ჯერ კიდევ საკმარისად შორისაა რეალური დემოკრატიისგან, რაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სენია.

საერთაშორისო ეკონომიკური პარამეტრების შედარებითი ანალი-

ზით საქართველოში ტრანსფორმაციული პროცესები კიდევ საკმაო ხანს გაგრძელდება. ევროპის კავშირში გაწევრიანებისათვის მიღწეულ უნდა იქნეს ე. წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმების შემდეგი პარამეტრები:

1. მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 3.1% (თუმცა აღნიშნული ეხება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს. საქართველოსთვის აღნიშნული პარამეტრის მოთხოვნა უფრო მეტი იქნება)
2. მშპ ერთ სულზე (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით) 4900 ევრო;
3. ინვესტიციების წილი მშპ-ში 22,81%;
4. უცხოური ინვესტიციები მოსახ-ის ერთ სულზე 83 ევრო;
5. საგადასახადო შემოსავლები მშპ-ს მიმართ 32%;
6. ბიუჯეტის დეფიციტი არაუმეტეს 3,3%;
7. საგარეო ვალი მშპ-ს მიმართ 36%;
8. ექსპორტით იმპორტის გადაფარვა 74,6%;
9. საბაჟო შემოსავლები მშპ-ს მიმართ 4%;
10. უმუშევრობის დონე) მკაცრი კრიტერიუმით)10,9% და ა.შ.

საქართველოსთვის აღნიშნული კრიტერიუმებიდან ზოგიერთი, მაგალითად 2,4,8 საკმაოდ რთულად მისაღწევი იქნება.

საქართველოსთვის ყველაზე დიდი გამოწვევა მოკლე დროში სწრაფად მზარდი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნაა, რომელმაც არა მარტო სიღარიბის დაძლევა და მოქალაქეთა კეთილდღეობა უნდა უზრუნველყოს, არამედ მდგრადი საფძველი შეუქმნას. ქვეყნის სახელმწიფოებრივ ერთიანობას. ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, კრედიტის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემებია ინვესტორთა უფლებების დაცვის მიმართულებით. სრულყოფას საჭიროებს საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობა.

თუ სახელმწიფო მართვის სტრუქტურები დაკომპლექტებულია სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მაღალზნეობრივი და მაღალანაზღაურებადი კადრებით. საზოგადოება დემოკრატიულად განათლებულია და გააჩნია გავლენიანი საზოგადოებრივი აზრი. შესაძლებელია ჩამოყალიბდეს რეალური ძალაუფლების მქონე ლეგიტიმური ინსტიტუტები და შეიქმნას სოციალური წესრიგის ისეთი სისტემა, რომელიც

მოახდენს მოსახლეობის მოთხოვნილებების ჰარმონიზაციას და სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად დაარეგულირებს ძირითადი სოციალური სუბიექტების (ხელისუფლება, მეწარმეები, ინტელიოგენცია და ა.შ.) ქცევის წესებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

14.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების არსი

XX-XXI საუკუნის მიჯნაზე საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარებაში ტრანსნაციონალური კორპორაციები გვევლინებიან კომერსანტებად, ვაჭრებად, ინვესტორებად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამავრცელებლებად და შრომითი მიგრაციის სტიმულატორებად. ისინი ბევრად განაპირობებენ მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების სტრუქტურას და დინამიკას, კონკურენტუნარიანობის დონეს, აგრეთვე კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასა და ტექნოლოგიის გადაცემას. აკონტროლებენ მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 2/3-ს, მათზე მოდის სამრეწველო წარმოების დაახლოებით ½, არა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა 10% მუშაობს ტრანსნაციონალური კორპორაციების საწარმოებში. ისინი აკონტროლებენ მსოფლიოში არსებული პატენტების, ლიცენზიების და ნოუ-ჰაუს დაახლოებით 4/5-ს.

ტნკ წამყვან როლს ასრულება წარმოების ინტერნაციონალიზაციაში, რომელიც სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებს შორის, საწარმოო კავშირების გაფართოებისა და გაღრმავების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტნკ-ებს მცირე ქვეყნების ეკონომიკაში.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ქვეშ იგულისხმება მსხვილი ფირმა ან სხვადასხვა ქვეყნის ფირმების გაერთიანება, რომელსაც საზღვარგარეთული აქტივები (კაპიტალდაბანდებები) გააჩნია და ძლიერ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე მსოფლიო მაშტაბით.

ტნკ-ებს შემდეგი ძირითადი მახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ:

– რეალიზაციის თავისებურებები: ფირმა თავისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაციას საზღვარგარეთ ახორციელებს, რითაც ძლიერ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე;

– წარმოების განლაგების თავისებურებები: საზღვარგარეთის ქვეყნებში განთავსებულია ზოგიერთი მისი ქალიშვილი საწარმო და ფილიალი;

– საკუთრების უფლებათა თავისებურებები: ფირმის მესაკუთრენი სახვადასხვა ქვეყნის რეზიდენტებს (მოქალაქეებს) წარმოადგენენ.

საკმარისია ფირმის თუნდაც ერთი ზემოთ აღნიშნული ნიშანი აღმოჩნდეს, რომ ტნკ-ის კატეგორიაში მოხვდეს, ზოგიერთ მსხვილ კომპანიას ერთდროულად სამივე მახასიათებელი ნიშანი გააჩნია. ყველაზე მნიშვნელოვნად პირველ ნიშანს მიიჩნევენ, ამ კრიტერიუმის მიხედვით აბსოლიტურ ლიდერს შვედური ფირმა „Nestle“ წარმოადგენს, რომელიც თავისი პროდუქციის 99% – ზე მეტის ექსპორტირებას ახდენს.

XX საუკუნის 60-იან წლებში გაერო ტნკ-თა რიცხვს მიაკუთვნებდა ფირმებს 100 მლნ. დოლარის წლიური ბრუნვის ოდენობით და არანაკლებ ექვს ქვეყანაში განთავსებული ფილიალებით.

ამჟამად, გაერო ტრასნაციონალურს იმ კორპორაციებს მიაკუთვნებს, რომელიც შემდეგ ფორმალურ მახასიათებლებს მოიცავს:

– მათ გააჩნიათ საწარმოო რგოლები არანაკლებ ორ ქვეყანაში;

– ტარდება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობით;

– საწარმოო რგოლები ერთმანეთთან აქტიურად ურთიერთქმედებენ: მიმდინარეობს რესურსებისა და პასუხისმგებლობის გაცვლა.

პრაქტიკაში ტნკ-ების სამ ძირითად ტიპს განასხვავებენ:

პირველ ტიპს მიეკუთვნება კომპანიები, რომლებიც შექმნილია ერთი ქვეყნის აქციონერული კაპიტალის გამოყენებით, მმართველობითი კონტროლისა და საქმიანობის ინტერნაციონალური სფეროთი. ტნკ-ების სათაო კომპანია განლაგებულია ბაზისურ ქვეყანაში, ხოლო ქალიშვილი კომპანიები და ფილიალები – მთელ მსოფლიოში.

მეორა ტიპს მიეკუთვნებიან მრავალეროვნული კორპორაციები, რომლებიც ინტერნაციონალურია გამოყენებული კაპიტალის, კონტროლისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით. ისინი აერთიანებენ მსოფლიო მეურნეობის ორი ან მეტი ქვეყნის ეროვნულ კომპანიებს.

მესამე ტიპი არის საერთაშორისო კოპორაციული კავშირები, რომლებიც წარმოადგენენ სამრეწველო, საბანკო და სხვა კონცერნების მე-

ურნეობებს მსხვილი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. ასეთი კავშირები ძირითადად იქმნება ელექტრონული, ელექტროტექნიკურ, ქიმიურ, სანავთობო ავტომობილი და ავტომშენებელ, ინფორმატიკის სფეროში. საქმიანობის მაშტაბის მიხედვით ტრანსნაციონალური კორპორაციები იყოფა მსხვილ და მცირედ ფირმებად. პირობით კრიტერიუმს წლიური ბრუნვის სიდიდე წარმოადგენს. ასე მაგალითად მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მსხვილ ტნკ-ებს მიაკუთვნებენ მხოლოდ მათ, რომლებსაც წლიური ბრუნვა 1 მლრდ დოლარი ჰქონდათ, თუ მცირე ტნკ-ის საშუალოდ 3-4 საზღვარგარეთული ფილიალი გააჩნია, მსხვილ ტნკებში მათი რიცხვი ათეულებს ასეულებსაც კი აღწევს.

ცალკე გამოყოფენ ტრანსნაციონალურ ბანკებს, როგორც ტრანსნაციონალური კომპანიების განსაკუთერებულ სახესხვაობას, რომლებიც საერთაშორისო მაშტაბით ახორციელებენ ბიზნესის დაკრედიტებას და ფულადი ანგარიშების ორგანიზაციას.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც სამი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობას წარმოადგენს:

1. უცხოური აქტივების წილი აქტივების მთლიან მოცულობაში;
2. უცხოეთში განხორციელებული გაყიდვების წილი, გაყიდვების მთლიან მოცულობაში;
3. უცხოურ ფილიალებში დასაქმებულთა წილი, დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში, რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, მით უფრო დიდია უცხოური ფილიალების როლი ტნკ-ს საქმიანობაში.

ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_{ტ} = 1/3\ (A1\ /A + B1\ /\ B + S\ 1\ /\ S) \times 100\%$$

სადაც: $I_{ტ}$ – ტრანსნაციონალიზაციის ინდექსია %-ში

A1 – საზღვარგარეთული აქტივები

A – მთლიანი აქტივები

R1 – უცხოური ფილიალების მიერ საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მოცულობა

R – საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მთლიანი მოცულობა;

S1 – საზღვარგარეთული შტატი

S – კომპანიის მუშაკთა მთლიანი შტატი.

14.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების ევოლუცია

XVI-XVII საუკუნეებში ჩასახულმა ტნკ-ებმა თავისი არსებობის მნძილზე სერიოზული ევოლუცია განიცადეს. ბრიტანული აღმოსავლეთ ინდური კომპანია, რომელიც 1600 წელს დაარსდა თავის დამფუძნებლებს შორის ინგლისელი კომერსანტების გარდა აერთიანებდა ჰოლანდიელ ვაჭრებს და გერმანელ ბანკირებს. ასეთი კომპანიები XX საუკუნემდე მხოლოდ ვაჭრობას მისდევდნენ, ამიტომ კაპიტალისტურ მეურნეობაში მათ გადამწყვეტი როლი არ ენიჭებოდა, ისინი თანამედროვე ტნკ-ების წინამორბედად ითვლებიან.

ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებაში სამ ეტაპს გამოყოფენ პირველ ეტაპზე მე-20 საუკუნის დასაწყისში, ტნკ-ები ინვესტირებას უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურად სუსტად განვითარებული უცხოური ქვეყნების სანედლეულო დარგებში ახდენენ, სადაც იქმნებოდა აგრეთვე შემსყიდველი და გამსაღებელი ქვედანაყოფები. მაღალტექნოლოგიური სამრეწველო წარმოების აწყობა საზღვარგარეთ მაშინ ქვეყანაში არ იყო სათანადო კვალიფიკაციის პერსონალი, ხოლო ტექნოლოგიები ჯერ კიდევ სრულყოფას საჭიროებდა, ტრანსნაციონალიზაციის სუბიექტებად ამ პერიოდში, ჩვეულებრივ გვევლინება სხვადასხვა ქვეყნის ფირმების გაერთიანებები (საერთაშორისო კარტელები), რომლებიც იყოფდნენ გასაღების ბაზრებს, ატარებდნენ შეთანხმებულ საფასო პოლიტიკას და ა.შ..

ტრანსნაციონალური კორპორაციების მეორე ეტაპი იწყება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. იგი დაკავშირებულია საზღვარგარეთული საწარმოს ქვედანაყოფების როლის გაძლიერებასთან, არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებში. საზღვარგარეთული საწარმოო განყოფილებები სპეციალიზდებიან ძირითადად იმავე პროდუქციის წარმოაბაზე, რომლის წარმოება ადრე ტნკ-ის „მშობლიურ“ ქვეყანაში ხდებოდა. თანდათანობით ტნკ-ები სულ უფრო ორიენტირებულნი ხდებიან ადგილობრივი მოთხოვნისა და ადგილობრივი ბაზრის მომსახურებაზე.

1960-იან წლებში ტნკ-ების რაოდენობისა და მნიშვნელობის სწრაფი ზრდა ძირითადად მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენის შედეგად მიმდინარეობდა. ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ და საწარ-

მოო ოპერაციების გამარტივებამ, დაბალკვალიფიციური პერსონალის გამოყენების შესაძლებლობამ ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების სივრცობრივი განცალკავების შესაძლებლობები შექმნა. სატრანსპორტო და ინფორმაციული კომუნიკაციების განვითარებამ ხელი შეუწყო ამ შესაძლებლობების რეალიზაციას. შესაძლებელი გახდა საწარმოო პროცესის უმტკივნეულოდ დაყოფა და ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების განთავსება იმ ქვეყნებში სადაც წარმოების ეროვნული ფაქტორები უფრო იაფი იყო. დაიწყო წარმოების სივრცობრივი დეცენტრალიზაცია, მასთან ერთად მართვის კონცენტრაცია.

ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების თანამედროვე მესამე ეტაპზე, XX საუკუნის დასასრულიდან ტნკ-ს განვითარების ძირითადი თავისებურება გლობალური მაშტაბის წარმოებისა და რეალიზაციის ქსელის შექმნაში მდგომარეობს.

ქალიშვილი ფირმების შესაქმნელად ადგილის შერჩევისას მთავარი როლი საწარმოო დანახარჯების ანალიზს ენიჭება, რომლებიც ხშირად განვითარებად ქვეყნებშია უფრო დაბალი. პროდუქცია კი იმ ქვეყნებში იყიდება, სადაც მასზე მაღალი მოთხოვნაა- ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში.

2004 წლის მდგომარეობით მსოფლიოში 64 ათასი ტნკ აღირიცხა, რომელიც 830 ათას უცხოურ ფილიალს აკონტროლებდა, მაშინ როდესაც 1939 წელს 30 ტნკ, 1970 წელს 7 ათასი, 1976 წელს 11 ათასი ფუნქციონირებდა.

ტნკ-ების როლი თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში შემდეგი მაჩვენებლებით ფასდება:

1. ტნკ-ები მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 2/3 აკონტროლებენ;
2. მათზე მოდის სამრეწველო წარმოების დაახლოებით ½;
3. ტნკ-ების საწარმოებში არასასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა თითქმის 10% მუშაობს;
4. ტნკ-ები მსოფლიოში არსებული პატენტების, ლიცენზიების და ნოუჰაუს დაახლოებით 4/5 -ს აკონტროლებდნენ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები ბიზნესის ელიტას წარმოადგენენ. ასევე თვითტრანსნაციონალურ კორპორაციებში გამოიყოფა ელიტარული ე.წ. სუპერ მსხვილი კომპანიები, რომლებიც მეტოქეობას

უწევენ მრავალ სახელმწიფოს წარმოების, ბიუჯეტის და თანამშრომლების „ხელქვეითების“ რაოდენობის მიხედვით.

არსებობს მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიათა ორი ყველაზე ცნობილი რეიტინგი: 1. ჟურნალი „Fortune“, რომელიც ახდენს არასაფინანსო კომპანიების რანჟირებას წლიური მოგების მოცულობის მიხედვით. 2. გაზეთი „Finansial Times“ ყველა კომპანიის რანჟირებას აქტივების ღირებულების მიხედვით.

14.4. ტრასნაციონალური კორპორაციების დადებითი და უარყოფითი მხარეები ფუნქციონირებად ქვეყნების ეკონომიკაზე

ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო მეტად გვევლინება ამა თუ იმ ქვეყნის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად. ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა საერთაშორისო სისტემაში.

მიმღები ქვეყნები (ქვეყნები, რომელშიც მოქმედებენ სათაო ფორმის ფილიალები და შვილობილი კომპანიები) ინვესტიციების ნაკადიდან მრავალმხრივ მოგებულნი რჩებიან. უცხოური კაპიტალის ფართო მოზიდვა ხელს უწყობს ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებას, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. ქვეყანაში იმ პროდუქციის წარმოების ორგანიზებით, რომელიც ადრე შემოჰქონდათ, იმპორტის აუცილებლობა ისპობა. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელი და ძირითადად ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები მნიშვნელოვან წილად ხელს უწყობენ ქვეყნის საგარეო-სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას.

ტნკ-ს საქმიანობა ადგილობრივი კომპანიების ადმინისტრაციას აიძულებს კორექტივები შეიტანოს ტექნოლოგიურ პროცესში, საწარმოო ურთიერთობების ჩამოყალიბებულ პრაქტიკაში, მეტი სახსრები გამოყონ მუშაკთა მომზადებასა და გადამზადებაზე, მეტი ყურადღება დაუთმონ პროდუქციის ხარისხს, მის დიზაინს, სამომხმარებლო თვისებებს. ხშირად უცხოურ ინვესტიციებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პროდუქციის ახალი სახეობების გამოშვება, მენეჯმენტის ახალი სტილი, საზღვარგარეთული ბიზნესის პრაქტიკიდან საუკეთესო გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა მოყვება.

აცნობიერებენ რა ტნკ-ების საქმიანობის დადებით შედეგებს, მიმღე-

ბი ქვეყნებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციები პირდაპირ მოუწოდებენ განვითარებად ქვეყნებს, მოიზიდონ ტნკ ტექნიკური მოდერნიზაციის განსახორციელებლად, ხოლო ამ ქვეყნების მთავრობები თავის მხრივ აქტიურად იბრძვიან ამისათვის, ერთმანეთთან კონკურირებით.

ტნკ-ს საქმიანობას დიდი სარგებლობა მოაქვს იმ ქვეყნებისათვის, საიდანაც საერთაშორისო ფირმებს კპიტალი გააქვთ, რამდენადაც ტრანსნაციონალიზაცია ზრდის საშუალო მოგებას და მისი მიღების საიმედობას, ტნკ-ს აქციათა მფლობელებს შეუძლიათ მაღალი და მდგრადი შემოსავლის იმედი იქონიონ.

ტნკ-ს საწარმოებში დასაქმებული მაღალკვალიფიციური მუშაკებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს, შრომის მსოფლიო ბაზრიდს ფორმირებას. გადადიან რა ქვეყნიდან ქვეყანაში, ისინი ახალ სამუშაო ადგილებს ქმნიან, რაც მთავარია, ტნკ-ს საქმიანობის შედეგად ხორციელდება ინსტიტუტების იმპორტი – იმ „თამაშის წესებისა“ (შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბეგვრის პრინციპების, კონტრაქტების დადების პრაქტიკის და ა.შ.), რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა.

ტნკ-ები აძლიერებენ კაპიტალის გამტანი ქვეყნების გავლენას მიმღებ ქვეყანაზე.

ტნკ-ების საქმიანობის აქტიური საწარმოო, საინვესტიციო და სავაჭრო საქმიანობა ორი ფუნქციის განხორციელების საშუალებას იძლევა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიო მეურნეობისათვის:

– ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება;

– პროდუქციის წარმოებისა და განაწილების საერთაშორისო რეგულირება/

ტრანსნაციონალური კორპორაციები ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრციას და მდგრად ეკონომიკურ კავშირებს ქმნის სხვადასხვა ქვეყნებს შორის. მათი მეშვეობით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკების ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ჩართვით, რის შედეგად, წმინდა ეკონომიკური საშუალებებით ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, სპონტანურად იქმნება გლობალური ეკონომიკა.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების დადებით მხარეებთან ერთად, ადგილი აქვს მათ ნეგატიურ ზეგავლენას, რო-

გორც იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, ანუ იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, სადაც განლაგებულია მეთაური კომპანია.

განვიხილოთ ტნკ-ების ზემოქმედების ძირითადი უარყოფითი ნიშნები მიმღები ქვეყნების ეკონომიკაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ ეროვნულ უსაფრთხოებას:

– მიმღები ქვეყნების კომპანიებზე შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში არაპერსპექტიული მიმართულებების თავსმოხვევის შესაძლებლობა, მიმღები ქვეყნების მოძველებული და ეკოლიგიურად საშიში ტექნოლოგიების განთავსების ადგილად გადაქცევის საშიშროება.

– უცხოური ფირმების მიერ მიმღები ქვეყნების სამრეწველო წარმოებისა და სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურების ყველაზე განვითარებული და პერსპექტიული სეგმენტების დაპყრობა.

– რისკების ზრდა, საინვესტიციო და საწამოო პროცესების განვითარებაში. - სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება, ტნკ-ების მიერ შიდა ფასების გამოყენების შედეგად.

ნაციონალური მთავრობა დაინტერესებულია თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ამაღლებაში და სამამულო ბიზნესის სტიმულირებაში. ფლობენ რა უზარმაზარ ფინანსურ შესაძლებლობებს, საერთაშორისო კორპორაციებს შეუძლიათ თავიანთი შემოსავლების ხელყოფის მცდელობის აღკვეთა ძალისხმიერი მეთოდების ორგანიზების გზით, დაწყებული ადგილობრივი პოლიტიკოსების მოსყიდვით და დამთავრებული მათთვის მიუღებელი მთავრობების წინაალმდეგ შეთქმულებების დაფინანსებითაც კი.

ტრანსნაციონალიზაცია კორპორაციებისათვის ეკონომიკურ რისკებს ამცირებს, მაგრამ ზრდის მათ მიმღები ქვეყნებისათვის. საქმე ისაა, რომ ტნკ-ებს ადვილად შეუძლიათ თავიანთი კაპიტალის ქვეყნებს შორის გადაადგილება. ქვეყანაში არაჯანსაღი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შემთხვევაში, ტნკ-ებს შეუძლიათ თავიანთი კაპიტალის გატანა სხვა ქვეყნებში. ასეთ პირობებში ვითარება იმ ქვეყანაში საიდანაც ტნკ-ს თავისი კაპიტალი გააქვს, უფრო მძიმდება, ვინაიდან კაპიტალის მასობრივი ამოღება უმუშევრობას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს იწვევს.

ტნკ-ების საქმიანობის შედეგებზე მცდარი შეხედულება არის. მოსაზრება, თითქოს საერთაშორისო ოპერაციების შედეგად ზოგიერთი

ქვეყანა აუცილებლად მოგებული რჩება, დანარჩენი კი ზარალობს, რეალურ ცხოვრებაში კი შესაძლებელია სულ სხვა შედეგიც: ორივე მხარე შეიძლება მოგებული, ან წაგებული დარჩეს. ტნკ-ების საქმიანობიდან მოგება-ზარალის ბალანსი ბევრადაა დამოკიდებული მთავრობების, საზოგადოებრივი და ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მხრიდან მათ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებაზე.

14.5. ტრანსნაციონალური კორპორაციების საინვესტიციო საქმიანობის მოტივაციები

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობათა მოტივაცია შეიძლება ოთხ ტიპად წარმოვადგინოთ:

1. რესურსების მაძიებელნი;
2. ბაზრის მაძიებელნი;
3. ეფექტიანობის მაძიებელნი;
4. სტრატეგიული აქტივების მაძიებელნი.

რესურსების მაძიებელნი არიან საწარმოები, რომლებიც უცხოეთში ახდენენ ინვესტირებას იმ მიზნით, რომ მიიღონ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსები უფრო დაბალი რეალური ღირებულებით, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. ამ შემთხვევაში ძირითადი მოტივი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის არის ის, რომ გადააქციონ ინვესტორი კომპანია უფრო მომგებიან და კონკურენტუნარიან საწარმოდ იმ ბაზრებზე, რომლებსაც იგი ემსახურება. რესურსების მაძიებელთა ფილიალების მიერ წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი გაიტანება ექსპორტში, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში.

გამოიყოფა რესურსების მაძიებელთა სამი ტიპი:

პირველი – ფიზიკური სახის რესურსების მაძიებელი. ესენი არიან ძირითადად სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებიდან. მომსახურებაში პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება ადგილობრივი რესურსების ექსპლოატირების მიზნით, მაგალითად ტურიზმი, მშენებლობა, ბურღვითი სამუშაოები, ნავთობის მოპოვებისათვის და სხვა.

მეორე ჯგუფი – რესურსების მაძიებლებისა მოიცავს ტნკ-ს, რომლებიც მიისწრაფვიან იყოლიონ დიდი რაოდენობით იაფი და კარგად

მოტივირებული დაბალი ან ნახევრად კვალიფიციური სამუშაო ძალა. ამგვარი სახის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს როგორც წესი, ახორციელებენ სამრეწველო ან მომსახურების ტნკ-ები იმ ქვეყნებიდან, საიდანაც ძვირადღირებული სამუშაო ძალაა. ასეთი პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება მეტწილად შედარებით ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში.

მესამე ტიპი რესურსების მაძიებლებისა განპირობებულია ფირმების სურვილით აივსონ ტექნოლოგიური საშუალებები, მენეჯმენტის ან მარკეტინგის სფეროში დაგროვილი გამოცდილება.

საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტირებას დღემდე ძირითადად სწორედ რესურსების მაძიებლები ახორციელებენ. საქართველოში ბევრი ჩართვა სათანადო სახსრების არსებობის გამო ვერ ხერხდება. შესაბამისად, უცხოელ ინვესტორებს ეძლევათ შესაძლებლობა აითვისონ ეს რესურსები და მიიღონ შესაბამისი სარგებელი. თანამედროვე ეტაპზე საქართველო გამოირჩევა იაფი სამუშაო ძალის არსებობით, რაც აგრეთვე მიმზიდველი გარემოებაა უცხოელი ინვესტორისათვის, ვინაიდან მათ შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ ფირმის საწარმოო დანახარჯები.

ბაზრის მაძიებელნი არიან საწარმოები, რომლებიც ინვესტირებას ახდენენ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში, რათა უზრუნველყონ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ ქვეყნის ან მეზობელი ქვეყნების ბაზარზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ბაზრის მცირე მოცულობისა საქართველოში უცხოური ფირმების ერთი ნაწილი სწორედ ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით შემოვიდნენ (მაგ: ჯეოსელი, გაზპრომი, ლუკოილი და სხვა).

ეფექტიანობის მაძიებლები – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით, კომპანიის ეფექტიანობის ამაღლებას გულისხმობს, რესურსების იმგვარად განაწილებას, როდესაც მაქსიმალური უკუგება მიიღება. ამგვარი სახის სარგებელი მოიცავს რისკების დივერსიფიკაციის გამოყენებას. ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ ტნკ-ებს შიგნით შრომის განაწილებისას კაპიტალტევადი, მაღალი ტექნოლოგიური და ინფორმაციული ხასიათის საქმიანობა კონცენტრირდება განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო შრომატევადი და რესურსტევადი წარმოება განვითარებად ქვეყნებში.

სტრატეგიული აქტივების მაძიებლები ტნკ-ები გულისხმობს მოცემული კომპანიის მიერ უცხოური კორპორაციის აქტივების ათვისებასა და მისი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების, განსაკუთრებით კი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას. სტრატეგიული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელება მეტწილად დაკავშირებულია ფირმების მიერ საკუთარი აქტივების რესტრუქტურირებასთან, რომელიც დაკავშირებულია დასახული მიზნების მიღწევისათვის.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი სწორედ ინვესტორთა აღნიშნულ ჯგუფებს ეკუთვნის. მათ შემოსავალს ძირითადად ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა უწყობს ხელს, იგი უძველესი „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია. მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო, მილსადენი მარშუტები საქართველოში და ფართო საერთაშორისო კავშირების განვითარების წინაპირობაა.

ტნკ-თა საერთაშორისო საქმიანობათა ახსნა შესაძლებელია კიდევ სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც არ თავსდებიან ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიების ჩარჩოებში. ისინი შეიძლება კლასიფიცირებულ იქნან შემდეგ სამ ჯგუფად: ინვესტიციებით თავის დაღწევა, ინვესტიციათა მხარდაჭერა, პასიური ინვესტიციები.

ინვესტიციებით თავის დაღწევა – ზოგიერთი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ხორციელდება იმის გამო, რომ ფირმას სურს თავი დაღწიოს საკუთარ ქვეყანაში მისი საქმიანობის შემზღუდველ კანონმდებლობას, ან მთავრობის მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

ინვესტიციებით თავის დაღწევა დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკაშიც დომინირებს მთავრობის ინტერვენციონისტური პოლიტიკა.

მხარდაჭერი ინვესტიციების ძირითადი მიზანია მხარი დაუჭიროს საწარმოს დანარჩენი ნაწილის საქმიანობას. ისინი საშუალებას აძლევს მშობელ კომპანიას მიიღოს მოგება. მხარდამჭერი ინვესტიციებიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია ვაჭრობასთან დაკავშირებული ინვესტიციები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ხელი შეუწყონ და გაადვილონ ინვესტორი კომპანიის საქონლისა და მომსახურების ექსპორტი.

პასიური ინვესტიციების ერთ-ერთი გამოვლინებაა მცირე ფირმების ან ინდივიდუალური ინვესტორების მიერ კაპიტალდაბანდებათა განხორციელება უძრავ ქონებაში. უმეტეს შემთხვევაში, ამგვარი ინ-

ვესტორების ძირითადი მიზანია საზღვარგარეთ დასასვენებელი ადგილების შესყიდვისათვის ხელშეწყობა, თუმცა ზოგჯერ ისინი მიმართულია მიწაზე და საკუთრებაზე ფასების ამაღლების მოლოდინზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება შეიძლება მოხდეს შემდეგი ხერხებით:

1. გულისხმობს ერთი ფირმის მიერ სხვა ქვეყანაში უკვე არსებული საწარმოო ერთეულის შესყიდვას.

2. „მწვანე ველის“ ინვესტიცია გულისხმობს ერთი ფირმის მიერ სხვა ქვეყანაში მისი ფილიალების მშენებლობას ყოველგვარი წინასწარი საწარმოო ბაზის გარეშე.

სამუშაო ძალაზე ზემოქმედება: თავისი საქმიანობით ტნკ-ები და მათი ფილიალები უშუალო, ან არაპირდაპირ გავლენას ახდენენ სამუშაო ძალის ხარისხზე, მის ზედაპირზე, სტაბილუობაზე და ანაზღაურების მოცულობაზე.

პირდაპირი ზეგავლენა გულისხმობს ტნკ-ების ფილიალებს შორის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, ხოლო არაპირდპირი კი ტნკ-თა საქმიანობის შედეგად მასპინძელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე დასაქმების ზრდას.

14.6. სამეურნეო საქმიანობის ტრანსნაციონალიზაცია და საქართველოს ენერგეტიკის ბაზარი

საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი უცხოური ტრანსნაციონალური კორპორაცია ფიგურირებს. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე XXI საუკუნის დასაწყისში საქმიანობს უცხოური კომპანიები, რომელთა ეკონომიკური სიძლიერე, საქართველოს ფარგლებს გარეთ ბევრად აღემატება საქართველოს მშპ-ის სამრეწველო წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის მოცულობის მაჩვენებლებს.

ყველაზე მძლავრი ტნკ-ები ოპერირებენ სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში („British Petroleum”, „Exxon Mobil”, „Газпром“ „Лукойл“ და სხვა) მაგალითად, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაში მონაწილეობდა 12 უმსხვილესი ტნკ, მათ შორის დიდი ბრიტანეთის „British Petroleum“, „Exxon“, „Amoko“, „Лукойл“ და სხვა.

საქართველოს ელექტროენერგიის ბაზარი საკმაოდ რთულ სისტემას წარმოადგენს, მასში გაერთიანებულნი არიან ელექტროენერგიის

მწარმოებელი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კომპანიები, რომელთა დიდი ნაწილი ჰიდროელექტროსადგურებია, აგრეთვე რამდენიმე თბოგენერაციის ობიექტი. არსებობს მჭიდრო ურთიერთდამაკავშირებელი ხაზები მეზობელ სომხეთთან, აზერბაიჯანსა და რუსეთთან, შესაძლებელია ელექტროენერგიის ამ ქვეყნებიდან როგორც იმპორტირება, ისე ექსპორტირებაც. გადაცემის ლიცენზიას ორი კომპანია ფლობს: საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა და „საქრუსენერგო", სადისტრიბუციო კომპანიების რაოდენობა სამია: „ენერგო პრო საქართველო", „თელასი" და კახეთის სადისტრიბუციო კომპანია". ასევე რამდენიმე მცირე სადისტრიბუციო კომპანია, რომელთა მოვალეობაა ელექტროენერგიის განაწილება და მომხმარებლებისათვის მიწოდება.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში სწრაფად ვითარდება გაზის ბაზარი. ყალიბდება ახალი სატრანზიტო საიმპორტო მარშრუტები და ბაზარზე შემოდიან ახალი მომწოდებელები. ქვეყნის მთავარი გაზსადენი გათვალისწინებულია საქართველოს მომხმარებელებისათვის ბუნებრივი აირის მიწოდებისა და სომხეთსა და თურქეთში გაზის ტრანზიტისათვის. იძენს რა ენერგორესურსების სატრანზიტო ქვეყნების ფუნქციას და ახორციელებს რა რეგიონული ინტეგრაციის პოლიტიკას, საქართველო აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბაქო-თბილისი ერზრუმის საექსპორტო გაზსადენის განვითარებაში, რომელიც 2006 წლიდან ფუნქციონირებს, რაც კასპიის ზღვის ენერგორესურსების საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტირების, საქართველოსა და მთლიანად რეგიონში მიწოდების უსაფრთხოების გაძლიერების საშუალებას იძლევა.

ამჟამად, საქართველოში ბუნებრივი აირის იმპორტირება შესაძლებელია რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან. რუსეთიდან მომწოდებელი „Газпром"-ია, ხოლო აზერბაიჯანიდან ორი – აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია (SOKAR) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენების კონსორციუმის კომერციული ოპერატორი კომპანია STATOIL. ქვეყნის ტერიტორიაზე მაგისტრალური გაზსადენის მეშვეობით გაზის ტრანსპორტირებას ახორციელებს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ დაფუძნებული გაზის ტრანსპორტირების კომპანია.

არსებობს ოთხი მსხვილი გაზგამანაწილებელი კომპანია („ყასტრანსგაზი", „იტერა", „ენერჯი ინვესტი", საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია – GIEC)

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას 2007 წელს კონტრაქტები ჰქონდა გაფორმებული უცხოელ მიმწოდებლებთან.

საქართველოს ტელეკომუნიკაციების პროვაიდერმა, „კავკასუს ონლაინმა“ და აშშ-ს ტნკ „Tyco Telecommunicationg“ ხელი მოაწერეს კონტრაქტს ზღვის ფსკერზე 1100 კმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის მშენებლობაზე, რომელიც საქართველოს ფოთის შავი ზღვის ნავსადგურს ბულგარეთის ქალაქ ვარნასთან დააკავშირებს. ეს სისტემა ქართულ ბაზრებს თანამედროვე ზღვისქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით პირდაპირ დააკავშირებს დასავლეთ ევროპასთან. ეს საინფორმაციო მაგისტრალი ძირითადად საქართველოს ემსახურება, მისი ეფექტი შეიძლება მთელი კასპიის რეგიონში გავრცელდეს, რაც გაზრდის საქართველოს, როგორც ევროპისა და კასპიის რეგიონის დამაკავშირებელი ქვეყნის სტატუსს.

თბილისში უნივერმაღ „თბილისის“ ადგილას აშენდა კომერციული, გასართობი და საქმიანი ცენტრი „Willbrooc platinum Tbilisi plaza”, რომლის ღირებულება 100მლნ დოლარია ტნკ „Willbrooc Managemont international“ და არქიტექტურისა და მშენებლობის მენეჯმენტში მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი კომპანია „Bovis Lend Lease“ განახორციელეს. ეს კომპლექსი 85 ათას კვადრატულ მეტრს იკავებს. სადაც ათასამდე ადამიანია დასაქმებული.

საქართველოში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა მომსახურების სფეროში, ფეხი მოიკიდეს საერთაშორისო კომპანიებმა „Mariott“, „Sheration“, „Silk Round Group“ აბრეშუმის გზის ჯგუფი. გაიხსნა საფირმო მაღაზიები, ტნკ-ების მომსახურების ცენტრები“

„SONI“, „NOKIA“, „HIUNDAI“, „TOYOTA“, „NISSAN“ და ა.შ. დაფუძნდნენ გერმანიის, თურქეთის, ისრაელის საფინანსო-საბანკო ორგანოზაციები.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ტნკ. „Exxon Mobil“ ნავთობს ბათუმიდან აგზავნის. ამჟამად, საქართველო ცდილობს გააფართოოს სატრანზიტო შესაძლებლობები. ამ მიზნით ყულევში ირლანდიური ტნკ „Cenal Enerjy“ აშენებს ახალ 12 მლნ ტონის წარმადობის ნავთობტერმინალს.

14.7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში

ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განათავსებენ საკუთარ მატერიალურ და არამატერიალურ აქტივების კაპიტალს, ტექნოლოგიებს, სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოებს. მართვისა და ორგანიზაციის პრაქტიკას, სავაჭრო ქსელს, რათა აამაღლონ თავისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და წარმოების მომგებიანობა. ეკონომიკური გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია ტნკ-ის ექსპანსიური საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, რომელიც ხორციელდება პირდაპირი, პორტფელური და სხვა ინვესტიციების სახით.

ტნკ-ების პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნაციონალური ეკონომიკების შეკავშირებაში და ხელს უწყობენ საერთაშორისო წარმოების ინტეგრირებული სისტემის შექმნას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურაში, 70-იან წლებამდე დომინირებდა მომპოვებელი მრეწველობა, შემდეგ პერიოდში გადამამუშავებელი მრეწველობა, ხოლო 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დომინირებს მომსახურების სფერო.

პუი-ის მოტივაცია და მამოძრავებელი ძალა განსხვავდება ქვეყნებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით.

ტრანსპორტირების ხარჯები, სავაჭრო ბარიერები, საერთაშორისო და ევროკავშირების ხარისხის სტანდარტებთან შეუსაბამობა, ის ფაქტორებია, რომლებიც ზღუდავს ამ ტიპის ინვესტიციების შემოდინებას, ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მრავალი პუბლიკაცია მიეძღვნა მიმღები ქვეყნისათვის პუი-ის მნიშვნელობას. როგორც ცნობილია, საინვესტიციო აქტივობა განაპირობებს მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ახალ სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზაზე აყალიბებს ქვეყნის საწარმოო პოტენციალს. მას მოსდევს ახალი ტექნოლოგიების მოზიდვა და ეროვნული წარმოების მოდერნიზაცია, იგი ხელს უწყობს უცხოურ პარტნიორებთან სამეურნეო თანამშრომლობის მჭიდრო კავშირების დამყარებას, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახ-

დენს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და განვითარებას. თუმცა, უცხოურმა ინვესტიციებმა შეიძლება გაამწვაონ ვითარება შრომის ბაზარზე იმდენად, რამდენადაც მათი უკონტროლო მიზიდვის შემთხვევაში შესაძლებელია მიმღებ ქვეყანაში მოძველებული და ეკოლოგიურად „ბინძური“ წარმოებისა და მისი შესაბამისი სამუშაო ადგილების თავმოყრა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) შეიძლება სხვა ნეგატიური შედეგების მიზეზიც გახდეს (შიდა ინვესტიციების გამოვლენა უცხოური ინვესტიციების მიერ, ხოლო ადგილობრივი ფირმებისა – უფრო კონკურენტუნარიანი კომპანიების მიერ, მოსახლეობის შემოსავლებში არსებული დიფერენციის გაღრმავება, ქართული საწარმოს გადაქცევა უცხოური კომპანიების მიერ, სანედლეულო დანამატად, წაროების მოცულობის შემცირება, ან საერთოდ დახურვა საზღვარგარეთ გაყვანის მიზნით, უცხოური კომპანიების მიერ მეწარმეობის ახალი დარგებისა და სფეროების მონოპოლია, ადგილობრივი კომპანიების წილის მკვეთრი შემცირება, რასაც გარკვეულწილად ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების შემცირება მოჰყვება და სხვა).

საქართველოს მიმზიდველობას უცხოელი ინვესტორებისათვის დღემდე უმეტესწილად მოსახლეობის დაბალი შემოსავლები და იაფი მუშახელი განსაზღვრავდა. პოტენციურად კი გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ერთი მხრივ რეკრეაციულმა და ინსტიტუციონალურმა (პორტები, გზები,ტელეკომუნიკაციები) უპირატესობებმა, ხოლო მეორე მხრივ აგლომერაციულმა (სამხრეთ კავკასიის რეგიონის, დსთ-ს ბაზრებთან სიახლოვე „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვანი საკვანძო პუნქტის სტატუსი) ფაქტორებმა. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პერსპექტიულია მომსახურების ბაზრებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

იმისათვის, რათა მოვახდინოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე პუი-ის ზემოქმედების შეფასება, საჭიროა გაირკვეს, თუ რამდენად იზრდება ინვესტიციების მოცულობა, რომლის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები. კერძოდ 2005 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 450 მლნ. აშშ დოლარი, 2006 წელს 1190 მლნ., 2007 წელს 2015 მლნ. 2008 წელს 1564 მლნ. და 2009 წელს 658 მლნ.

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2009 წელს მთლიანი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რომელიც 658,4 მლნ აშშ. დოლარს წარმოადგენადა იყვნენ: არაბეთის გაერთიანებული ემირატები 162, 8 მლნ დოლარი (24,7%); თურქეთი 97,9 მლნ. დოლარი (14,9%); პანამა 74,7 მლნ დოლარი (11,4%), გაერთიანებული სამეფო 72,3 მლნ დოლარი (11,0%) და დანარჩენი ქვეყნები 250,6 მლნ. დოლარი (38,1%)

აღსანიშნავია, რომ 2003 წლიდან ინვესტიციების უდიდესი ნაწილი ჯერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მოგვიანებით კი სამხრეთ-კავკასიური (შაჰ-დენიზის) გაზსადენის მშენებლობას უკავშირდებოდა. საერთაშორისო კონსორციუმების წილმა 2005 წელს საინვესტიციო ნაკადების 75% შეადგინა.

2006 წელს ნავთობსადენის ინვესტიციების წილი შემცირდა პუი-ში. საქართველოში ინვესტიციების მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენდა პრივატიზაცია ქსელურ ინდუსტრიებში (ტელეკომუნიკაციები, ელექტროენერგიის წარმოება და განაწილება, პორტები, ნავთობტერმინალები, მედია). უძრავ ქონებაში) სასტუმროები), მძიმე მრეწველობაში ან ნედლეულის მოპოვებაში. პრივატიზების შედეგად მიღებული საინვესტიციო ნაკადები თავისი ბუნებით ერთჯერადია, თუ მათ არ მოჰყვება შემდეგი მსხვილი კაპიტალდაბანდებები.

საქართველოში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2009 წელს შემდეგ სურათს იძლევა: უძრავი ქონება 22,4%, მრეწველობა 21,2% მშენებლობა, 16,0% ტრანსპორტი კავშირგაბმულობა 25%, დანარჩენი სექტორები 25,4 %.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა
საქართველოს ეკონომიკაში (2013-2021) (მლნ აშშ დოლარი)

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
სულ	1 039.2	1 837.0	1 728.8	1 654.0	1 980.8	1 317.1	1 335.8	572.0	1 152.8

ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს პუი-ის როლს ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის მაშტაბით, არის ე.წ. ინვესტიციების ინდიკატორი, ანუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

პირდაპირი ინვესტიციების ხარისხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების მიერ დღეისათვის შე-

მუშავებულია და პრაქტიკაში გამოიყენება სხვა შეფარდებითი მაჩვენებლებიც, რომლებიც ახასიათებს პუი-ს განხორციელების ინტენსივობას, ამა თუ იმ ქვეყანაში და აგრეთვე უცხოური ინვესტიციების განხორციელებისათვის ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის მზაობის ხარისხს.

აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის ყველაზე განმაზოგადებელ ინდიკატორებს მიეკუთვნება გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონგრესის ექსპერტების მიერ შემუშავებული პუი-ის ინვესტიციებისა და შესაძლებლობების ინდექსი.

14.8. საქართველოში საინვესტიციო გარემო და საკანონმდებლო ბაზა

ინვესტიციური დანახარჯები წარმოადგენს ერთობლივი მოთხოვნისა და შესაბამისად,დანახარჯების მეთოდით გაანგარიშებული, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)-ის მნიშვნელოვან კომპონენტს. ინვესტიციური დანახარჯების ზრდა, ერთის მხრივ მულტიპლიკატორის ეფექტის მოქმედების შედეგად, განაპირობებს მშპ-ის უფრო არსებით ზრდას, მეორეს მხრივ კი იგი უფრო ხელს უწყობს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირება-განვითარებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ინვესტიციური აქტივობის ზრდა პროდუქციის გამოშვების გადიდების აუცილებელი პირობაა. ამასთან წარმატებული საინვესტიციო საქმიანობის აუცილებელ პირობას, თავის მხრივ წარმოადგენს გამართული სამართლებრივი ბაზის არსებობა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველსავე წელს საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის მიზნით მიღებულ იქნა ორი კანონი ,,უცხოური ინვესტიციების შესახებ",რომელიც არეგულირებდა ქვეყნის შიდა ინვესტიციების ფორმირებისა და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.

1995 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი ,,უცხოური ინვესტიციების შესახებ", რომელმაც ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი შესაბამისი კანონი.

1996 წლის 12 ნოემბერ, საქართველოს პარლამენტის მიერ, მიღებულ იქნა ახალი კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" ამასთან შესაბამისი დადგენილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა საინვესტიციო საქმიანობის შესახებ მანამდე მიღებული ყველა კანონი. აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ, 2002 წლის 19 ივნისს, მიღებულ იქნა კანონი:" საქართველოს ეროვნუ-

ლი საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, ხოლო 2006 წლოს 30 ივნისს კი, კანონი: „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ დღეისათვის კი ეს სამი კანონი ერთობლიობაში არეგულირებს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებიოს სამართლებრივ საფუძვლებს.

ცალ-ცალკე განვიხილოთ თთოეული კანონის მოქმედების სფერო, ზოგადი დებულებები, მიზნები და ამოცანები

1996 წლის 12 ნოემბერს მიღებული „საინვესტიციო საქმიანობის ხელშერწყობისა და გარანტიების შესახებ“, საქართველო კანონის ფარგლებში მოექცა, როგორც უცხოური, აგრეთვე ადგილობრივი ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება. შესაბამისად დადგინდა თანაბარი სამართლებრივი რეჟიმი და გარანტიები, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე უცხოური ინვესტიციების ხელშესაწყობად, რაც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარების აუცილებელი პირობაა.

აღნიშნული კანონის მიღებამდე მოქმედი კანონმდებლობით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა უცხოური ინვესტიციებისათვის უპირატეს ხელშეწყობას, რაც მიზნად ისახავდა უცხოური ინვესტიციების წახალისებას და ეროვნულ ეკონომიკაში მათ მოზიდვას. თუმცა აღნიშნულმა მიდგომამ არ გაამართლა. როგორც ჩანს, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ უცხოელი ინვესტორები, კაპიტალდაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ყურადღება აქცევენ არა მხოლოდ მათთვის მინიჭებულ შეღავათებს, არამედ ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოს და მის ხელსაყრელობა არახელსაყრელობას ბიზნესის განვითარებისთვის, მ.შ. ადგილობრივი ინვესტორების უფლებების შელახვა, მათდამი აგრესიული დამოკიდებულება აფრთხობს სერიოზულ უცხოელ ინვესტორებს, ვინაიდან მიუთითებს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს არსებობაზე, რის გამოც მათი უმრავლესობა თავს არიდებს (მათთვის სპეციალური შეღავათების მინიჭების შემთხვევაშიც) გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელებას.

1996 წლის 12 ნოემბერს მიღებული „საონვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა: ინვესტიციების არსი, ამ კანონით განსაზღვრული მიზნებისათვის(როგორც ცნობილია არსებობს ინვესტიციების სხვადასხვა განმარტება შესაბამისი მიზნებიდან გამომდინარე. ასე მაგალითად, მაკროეკო-

ნომიკურ ანალიზში ინვესტიციაში ითვლება დანახარჯები, ახალი საწარმოების, მანქანა -მოწყობილობების და ახალი საცხოვებელი სახლების შესაძენად, აგრეთვე სასაქონლო მარაგების ზრდა), საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი და ობიექტი, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების სამართლებივი სტატუსი და ინვესტიციების დაცვის გარანტიები

აღნიშნული კანონის თანახმად:

ა) ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს: ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; უძრავი და მოძრავი ქონება- მიწა შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა ფასიანი ქაღალდები; უძრავი და მოძრავი ქონება -მიწა შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კონპესაცია) პატენტი, ლიცენზია, „ნოუ ჰაუ" გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

ბ) საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებად, ანუ ინვესტორად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში,

გ) უცხოელ ინვესტორად ითვლება; უცხოეთის სახელმწიფო მოქალაქე მოქალაქეობის, არმქონე პირი, რომელიც არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ, იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ,

დ) საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტიცია შიძლება განხორციელდეს საზღვარგარეთის ნებისმიერი ფორმის ობიექტებში, რომელშიც ინვესტირება აკრძალული არ არის ამ კანონით.

ე) დადგენილია საინვესტიციო საქმიანოპბის სუბიეტების სამართლებრივი სტატუსი, ანუ მათი უფლებები და მოვალეობები, კერძოდ აღნიშნულია რომ:

- საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებ-

ლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა, ინვესტორს უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო დაწესებულებებში ნებისმიერი სახის ვალუტით გახსნას მიმდინარე და სხვა ანგარიშები, ინვესტორს უფლება აქვს აიღოს სესხი საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებული საბანკო და საფინანსო დაწესებულებებიდან, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან, ინვესტორს უფლება აქვს შეიძინოს აქციები, ობლიგაციები და სხვა სხვა ფასიანი ქაღალდები და როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ არსებული ქონება, ინვესტირების შედეგების, ფლობის, გამოყენების, განკარგვის უფლებები ინვესტორის გადაწყვეტილებით შიძლება გადაეცეს სხვა იურიდიულ პირს ან ფიზიკურ პირს კანონით დადგენილი წესით. უფლებების ასეთი გადაცემისას მხარეთა ურთიერთობა წესრიგდება ხელშეკრულების საფუძველზე, უცხოელ ინვესტორს გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლების გადასახადის შემდეგ, აქვს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საქართველოს საბანკო დაწესებულებაში საბაზრო კურსით კონვერსიისა და საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპარტრიაციის უფლება, უცხოელ ინვესტორსს უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება და ა.შ.

- ინვესტორი ვალდებულია საქმიანობას ეწეოდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად;
- გარანტირებულია ინვესტიციების სამართლებრივი დაცვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. გადაწყვეტილება ინვესტიციის ჩამორთმევის შესახებ, ასევე კონპენსაციის პირობები შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სასამართლოში, თუ მხარეთა შეთანხმებით, ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გასათვალისწინებელი. კომპენსაცია, რომელიც მიეცემა ინვესტორს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის რეალურ საბაზრო ღირებულებას უშუა-

ლოდ იმ მომნტისათვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა. კომპენსაცია უნდა გაიცეს ყოველგვარი შეფერხების გარეშე და იგი უნდა მოიცავდეს იმ ზარალსაც, რომელიც ინვესტორმა განიცადა ჩამორთმევის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდამდე. უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს საქართველოს საბანკო დაწესებულებებში მოახდინოს საკომპენსაციო თანხის კონვერსია საბაზრო კურსით და თავისუფლად და შუფერხებლად გადიტანოს იგი საზღვარგარეთ.

- ზ) განსაზღვრულია ეკონომიკური საქმიანობის ის სფეროები, რომლებშიც ინვესტირება აკრძალულია საქართველოს ტერიტორიაზე;

- თ) ინვესტორს უცხოელის სამუშაოზე მიღების უფლება აქვს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. უცხოელს რომელიც მუდმივად არ ცხოვროს საქართველოში, გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლების გადახდის შემდეგ აქვს მის მიერ მიღებული შემოსავლების საზღვარგარეთ დაუყოვნებელი და შეუფერხებელი გადაყვანის ან გატანის უფლება. არ შეიძლება დაწესდეს საწარმოს ხელმძღვანელ ორგანოებში სავალდებულოდ ასარჩევს ან დასანიშნ საქართველოს მოქალაქეთა აუციილებელი მინიმალური რიცხვი.

ი) დავა უცხოელ ინვესტორსა და საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს შორის წყდება მხარეთა შთანხმებით დადგენილი წესით ან საქართველოს სასამართლოში. დავა უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფო ორგანოს შორის, თუ მისი გადაწყვეტის წესი არ არის განსაზღვრული მათი შეთანხმებით ან საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს სასამართლოში.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, ცხადია რომ აღნიშნული კანონის მიზანია ისეთი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება, საინვესტიციო საქმიანობის ისეთი გარანტიების შექმნა, რომელიც ხელს შუწყობს საინვესტიციო აქტივობის ამაღლებას და მოზიდული ინვესტიციების მწარმოებლურ გამოყენებას.

- აღნიშნული კანონით გათვალისწინებული არ არის ინვესტიციების, მით უფრო რეინვესტირებული კაპიტალის რეგისტრაცია-აღრიცხვის წესი. ასეთი წესის დადგენა სავალდებულოს გახდიდა ინვესტორთა მიერ ადექვატური აღრიცხვის განხორციელებას და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის და სტატისტიკის სამსახურისათვის, რაც აუცილე-

ბელია ინვესტიციების დარგობრივი განაწილებისა და მათი ეფექტიანობის შეფასებისათვის.

1 „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი“

2002 წლის 19 ივნისს მირებული საქართველოს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის სფეროში არსებული საჯარო მიზნების განხორციელების სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს და მათი განხორციელების კონკრეტულ მექანიზმს. აღნიშნული კანონით დადგენილი წესები ვრცელდება სახელმწიფოს მონაწილეობით შემუშავებულ ყველა სახის საწარმოო-საინვესტიციო პროგრამაზე და მათ განხორციელებაში მონაწილე სუბიექტებზე, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით, აგრეთვე საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

ამ კანონის მიზნებია:

ა) საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორი გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამის საწარმოო-საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ეფექტიანი ხარჯვის მექანიზმის შექმნა და მათი მართვის უზრუნველყოფა;

ბ) საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებისას საწარმოო-საინვესტიციო პროექტების წარმდგენი ორგანიზაციებისადმი სამართლიანი და არადისკრიმინაცილული დამოკიდებულების უზრუნველყოფა;

გ) საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების საჯაროობის უზრუნველყოფა;

დ) საწარმოო-საინვესტიციო [პროგრამების დაფინანსებისა და სახელმწიფო ხელშეწყობის სისტემის შექმნის უზრუნველყოფა;

ე) საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებისათვის ხელის შეწყობა და ამ მიზნით სამართლებრივი საფუძვლის შექმნისათვის საჭირო წინადადებების შემუშავების ხელშეწყობა.

აღნიშნული კანონის თანახმად გადაწყდა მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანოს „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ შექმნა- საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების, კოორდინა-

ციისა და მონიტორინგის მიზნით. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის წარმოების განვითარების საინვესტიციო ფონდი (შემდგომში-ფონდი) გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების ძირითად წყაროდ.

სააგენტოს ძირითად მიმართულებებად კი განისაზღვრა:

ა) ფონდის სახსრების მიზნობრივი გამოყენება, ანუ მათი რაციონალური მართვა და განაწილება-თავდებობის, სუბვენციისა და სუბსიდიის სახით;

ბ) პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკების წარმოება, საწარმოო საინვესტიციო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციებისა და გრანტების მოზიდვის მიზნით;

გ) საწარმოო-საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაციების ანგარიშების საფუძველზე საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების სფეროში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, გაანალიზება და საქართველოს პრეზიდენტის მიერ სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად წინადადებების მომზადება;

დ) იმ კრიტერიუმების განსაზღვრ, რომელბსაც უნდა აკმაყოფილებდეს საწარმო, საწარმოო-საინვესტიციო პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის უფლების მისარებად;

ე) კონკურსის საფუძველზე საწარმოო-საინვესტიციო პროექტების შერჩევა, რომელთა საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება განხორციელდება ფონდის სახსრებით;

ვ) სახელმწიფო საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის დაფინანსების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ საქართველოს ეკონომიკასა და მდგარდი განვიტარების სამინისტროსთვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა;

ზ) საინვესტიციო გარემოს შექმნისა და მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების მიზნით წინადადებების მომზადება;

თ) ამ კანონის მოქმედებისათვის საჭირო სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება, გამოცემა და მისი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია.

ი) საწარმოო-საინვესტიციო პროექტის წარმდგენი ორგანიზაციი-

სათვის საექსპორტო და საკონსულტაციო- სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა და ა.შ.

აღნიშნული კანონით ასევე განისაზღვრა მეწარმეობის განვითარების პროგრამების განხორციელების სახელმწიფო ხელშეწყობის შემდეგი ფორმები:

ა) წარმოების ან დარგის განვითარების მიზნით საწარმოო-საინვესტიციო პროექტით მოთხოვნილი დაფინანსების თავდებობა;

ბ) სუბვენცია, რომლის არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში იგი უბრუნდება საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს;

გ) სუბსიდია.

ამრიგად „საქართველოს ეროვნულ;ი საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ კანონის თანახმად იქმნება მუდმივმოქედი დამოუკიდებელი ორგანი-საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რომლის მიზანია საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობა და სახელმწიფო საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების ფინანსური უზრუნველყოფა-მისთვის კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

3.2006 წლის 30 ივნისს მირებული საქართველოს კანონის „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ მიზანია: „ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა-ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით“;

ამრიგად ეს კანონი ავსებს ინვესტიციებთან დაკავშირებით ზემოთ განხილულ წინა ორ კანონს. ასე მაგალითა: „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ კანონი ინვესტიციად აღიარებს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კაპიტალის დაბანდებას (მუხლი3, პუნქტი1-ა), ხოლო „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ მოცემულ კანონში კი აღნიშნულია, რომ „ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომლებიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კანონით დგინდება განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის“ (მუხლი 2, პუნქტი 1-2). ანუ ამ კანონით წინა კანონთან შედარებით, გაფართოვდა ინვესტიციას მიკუთვნებულ კაპიტალდაბანდებათა არეალი. ამასთან კაპიტალდაბან-

დებათა ფართო სპექტრის მოცვის თვალსაზრისით, „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ აღნიშნმული კანონი სრულ შესაბამისობაშია საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ 1996 წლის 12 ნოემბერს მირებულ კანონთან.

- „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს,“ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ წინა კანონით განსაზღვრულის დამატებით მიენიჭა ახალი ფუნქციები და უფლებები-ინვესტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სფეროში. კერძოდ, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიენიჭა ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის სფეროში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის სტატუსი (მუხლი 3, პუნქტი2) ამასთან აღნიშნულმა კანონმა სააგენტოს მიანიჭა უფლება „იყოს ინვესტორის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობებში. ამ მიზნით ინვესტორსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებით სააააგენტო ეხმარება ინვესტორს საინვესტიციო საქმიანობისთვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ან ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. სააგენტო აღნიშნულ უფლებამოსილებებს ახორციელებს ანაზღაურებად საწყისებზე, გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების განხორციელების შემთხვევისა. მომსახურების საფასური განისაზღვრება სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით. მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების განხორციელება. სააგენტოს ამ მუხლით განსაზღვრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ ღუდავს ინვესტორს, ადმინისტრაციულ ორგანოებტან ურთიერთობა განახორციელოს უშუალოდ ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით“ (მუხლი3, პუნქტი 3-4).

„ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“- კანონით, წინა ორ კანონთან შედარებით, გაფართოვდა აგრეთვე ინვესტორის უფლებებიც. კერძოდ, ინვესტორს უფლება აქვს: მოითხოვოს ნებისმიერი ლიცენზიის /ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემასა და ქონების შეძენას, ინვესტიციების განხორციე-

ლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიებით.

- **აღნიშნული კანონით ასევე განისაზღვრა: წინასწარი ლიცენზიის, ან ნებართვის გაცემისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭების წესი.**

უცხო სიტყვები

1. კონსორციუმი – ლათ. თანამონაწილეობა, რამდენიმე მსხვილი ბანკის ან კაპიტალისტის მონოპოლიური გაერთიანება რაიმე მსხვილი ფინანსური ოპერაციის ერთობლივად ჩატარების მიზნით.
2. ექსპანსია – ლათ. მონოპოლისტური გაერთიანების გავლენის სფეროს, გაფართოება, ახალი ტერიტორიების დაპყრობისაკენ მისწრაფება.
3. ინტერვენცია – ლათ. ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეში.
4. კარტელი – ფრან. კაპიტალისტური მონოპოლიის ერთ-ერთი მთავარი ფორმა, მრეწველობის რომელიმე დარგის მსხვილ მეწარმეთა გაერთიანება მოგების გადიდებისა და ბაზარზე ბატონობის უზრუნველყოფის მიზნით.
5. რეზიდენტი – ფრან. 1. დაზვერვის საიდუმლო წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოს გარკვეულ რაიონში. 2. რომელიმე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუდმივად უცხო ქვეყანაში ცხოვრობს.
6. სუბვენცია- ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ან მეურნეობის ცალკეული სფეროებისათვის სახელმწიფო ფინანსური დახმარების სახეობა. ფულადი თანხა, რომელიც ბიუჯეტის ზემდგომი დონიდან გამოიყოფა განსაზღვრული ვადით და კონკრეტული მიზნით, შესაბამის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ან ადმინისტრაციულ ტერიტორიული წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

თავი XV

საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების აქტუალური საკითხები

15.1. მდგრადი განვითარების არსი

ეკონომიკის აქტუალური ამოცანების რეალიზაციის მთავარი პირობა სამეურნეო სისტემის მყარი განვითარების მოდელზე გადასვლა, რაც საზოგადოების წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისა და სოციალურ სტაბილურობას განაპირობებს.

კონცეპტუალურად ეკონომიკური მდგრადობა არის ავტონომიური სამეურნეო სისტემის მდგომარეობა, რაც დროის გარკვეულ მომენტში, მისი მიზანმიმართული ფუნქციონირების უნარს უზრუნველყოფს.

მყარი განვითარების ცნება ანუ გრძელვადიანი პროგრესის პრობლემებზე შეხედულება, პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილი დოკუმენტში გამოჩნდა. მასში სამეურნეო სისტემის ისეთი განვითარება იგულისხმება, რომელიც ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური სფეროების რეგულირებას უკავშირდება.

მდგრადი განვითარების განმარტების მრავალი ვერსია არსებობს, თუმცა ამ ტერმინის ყველაზე გავრცელებული განმარტება ბრუნდტლანდის ანგარიშიდან მოდის, რომელშიც ნათქვამია, რომ „მდგრადი განვითარება არის ისეთი განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე თაობის საჭიროებებს მომავალი თაობების საჭიროებების გათვალისწინებით“.[1]

მდგრადი განვითარება, რომელიც სოციალური გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ასპექტების დაბალანსებული ურთიერთმოქმედებაა ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი საშუალებაა და არა ბარიერი. შესაბამისად მდგრადი განვითარება წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის სტაბილური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას და გამონაკლისი არც საქართველოა.

---

[1] ანგარიში, რომელიც შემუშავებული იქნა ბრუნტალდის კომისიის მიერ, რომელსაც ოფიციალურად გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისია ეწოდა

გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების ფონზე ქვეყანაში გარემოს დეგრადაცია და ბუნებრივი რესურსების არარაციონალური მოხმარება მნიშვნელოვან რისკს შეუქმნის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას. მიწის ეროზია, წყლისა და ჰაერის დაბინძურება, უკანონო ჭრები და ტყის დეგრადაცია იმ გარემოსდაცვითი პრობლემების, მხოლოდ რამოდენიმე მაგალითს წარმოადგენს, რომელიც აქტუალურია დღეს საქართველოში.

გარემოს მდგრადობის გაუარესება და ბუნებრივი რესურსების შემცირება ზღუდავს მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ელემენტარული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ისეთ საჭირო რესურსებზე, როგორიცაა სასმელი წყალი, სუფთა ჰაერი, საკვები, ხის მასალა მშენებლობისა და გათბობისათვის და სხვა.

აუცილებელია შეიქმნას მყარი საფუძველი იმისათვის, რომ ქვეყანაში იყოს ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემო, გაუმჯობესდეს მოსახლეობის კეთილდღეობა, შეიქმნას უკეთესი პირობები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში.

მდგრადი განვითარების კონფერენციამ ცხოვრებაში საგზური მიიღო გარემოსა და განვითარების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე. აღნიშნა, რომ „დღევანდელი დღის გლობალური პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი შესაძლებლობა – ეს მდგრადი განვითარებაა“[1]

კონფერენციაზე მიღებული იქნა შემდეგი დოკუმენტები:

1. რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ;
2. დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის;
3. განცხადება ტყეებისადმი დამოკიდებულების პრინციპების შესახებ;
4. გაეროს კონვენცია კლიმატის ცვლილებების შესახებ.
5. კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ

„რიოს“ პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1972 წელს, როდესაც 113 ქვეყნის წამომადგენლები შეიკრიბნენ სტოკჰოლმში პირველ მსოფლიო კონფერენციაზე გარემოს დაცვის შესახებ. გარემოსა და განვი-

[1] Осинова Ю. М. Экономическое теория на пороге XXI века Москва, 1998. ст

თარების საკითხებზე სპეციალური მსოფლიო კომისია გ.ჰ. ბრუნ-ტლანდის მეთაურობით შეიქმნა 1983 წელს და მდგრადი განვითარე-ბის საინტერესო ვერსიაც, რომელიც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ., ამ წელს იქნა მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურად ეფექ-ტური ასპექტის დომინირება განვითარების კონცეფციაში რეალური საშიშროებით ემუქრება საზოგადოების განვითარებისათვის აუცილე-ბელი რიგი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების გამოლევას. ამჟა-მად აუცილებელია გაიზარდოს წარმოების ეფექტურობა. ამდენად დღევანდელი თაობის ზრუნვას მომავალზე, მათი ყოფაცხოვრების პი-რობებზე წარმოადგენს მდგრადი განვითარების კონცეფციის მთავა-რი იდეებიდან ერთ-ერთს.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის დ. ნორთის აზრით „ეკონომი-კის ეფექტიანი ორგანიზაცია ეკონომიკური ზრდის გასაღებია. იგი ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბებას იწვევს, რომელიც ინდივიდუა-ლური ეკონომიკური ძალისხმევის ამაღლებისათვის ქმნის სტიმულებს და მოგების ინდივიდუალურ ნორმას საზოგადოებრივთან აახლოებს“[1]

ეკონომიკის მყარი განვითარების ამოცანების გადაწყვეტის ფუ-ძემდებლური მეთოდოლოგიური პრინციპია ეკონომიკური სინამდვი-ლის განპირობებულობა, რომელიც მოიცავს:

1. ობიექტური და სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებე-ბისა და ძირითადი ეკონომიკური ინტერესების ფორმულირება სივ-რცობრივ დროით განზომილებაში;

2. საერთო სოციალური კეთილდღეობის ოპტიმალური შერწყმა მეურნე სუბიექტების ეკონომიკურ ინტერესებთან.

ეფექტურ – მდგრადი განვითარების პოზიციიდან ნებისმიერი ორ-განიზაციული სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იქნას სისტემის სახით, რომელიც მოიცავს ელემენტების სიმრავლეს ან ქვესისტემებს (ქვეყანა, რეგიონი, დარგები, ფირმები, ბუნებრივი რესურსები და ა.შ.) რომლებიც ერთმანეთს შორის ურთიერთქმედების პროცესში წარმოქ-მნიან ერთიან სოციალურ-ეკოლოგიურ ეკონომიკურ სისტემას. კონ-კრეტული ქვეყანა წარმოადგენს ღია სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონო-მიკურ სისტემას საზღვრებით, რომლის ფარგლებში ურთიერთქმედე-

[1] Nort D.C. and Thomas R.P. The Rise of the Western World, Cambridje Vniversity Press, 1973, P.1.

ბენ განსაკუთრებული თვისებებისა და სისტემური პრინციპების მქონე მისი ქვესისტემები.

სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტების რიცხვს მიეკუთვნება სამეურნეო სუბიექტები – ფირმები, კორპორაციები, ბანკები, საწარმოო კოოპერატივები, საფერმო მეურნეობები და სხვა. ისინი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის შემცირებული მოდელები, რამდენადაც მათში ვლინდება ნიშნები და კანონზომიერებანი. ისინი ინტენსიურად ურთიერთქმედებენ ერთმანეთს შორის და ქმნიან მატერიალურ გარემოს, ან ეკონომიკის სტრუქტურას.

15.2. მდგრადი განვითარების კრიტერიუმები და ინდიკატორები

მთავარი მეთოდოლოგიური თეზისი სოციალურ-ეკოლოგიური-ეკონომიკური სისტემის მდგრადობის არის, მდგრადობის კრიტერიუმების ცვლილება შიდა და გარე ფაქტორების მოქმედებისაგან დამოკიდებულებით.

მდგრადი სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს კომპრომისი მოსახლეობას, გარემოსა და სახელმწიფოს შორის. მდგრადობის პირობას წარმოადგენს კომპრომისის შენარჩუნება ბუნებასა და საზოგადოებას შორის. ამ კომპრომისის დარღვევა იწვევს სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის არამდგრადობას.

სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესები განისაზღვრება საზოგადოების მოღვაწეობის, წარმოების ფაქტორების ოთხი კრიტერიუმის საშუალებით:

1. სამუშაო ძალა (მოსახლეობა-სოციალური ფაქტორები);
2. ადამიანის შრომით შექმნილი ძირითადი კაპიტალი (ეკოლოგია-ბუნება);
3. ბუნებით შექმნილი ძირითადი კაპიტალი (ეკოლოგია-ბუნება);
4. ნორმატიულ-საკანონმდებლო და კრედიტ-საფინანსო კონპონენტები (ინფრასტრუქტურა)

ყველაფერი ეს შეიძლება აისახოს შემდეგი სქემით:



სოციალურ-ეკოლოგიური-ეკონომიკური სისტემა

ქვეყნის მყარი ეკონომიკური განვითარება მიწოდების, მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორებით განისაზღვრება. მიწოდების ფაქტორებია:

– შრომის რაოდენობა და ხარისხი;

– ძირითადი კაპიტალის მოცულობა და ხარისხი;

– ტექნოლოგიის დონე.

წარმოების პრობლემა არსებითად დამოკიდებულია რესურსების იშვიათობასა და შეზღუდულობასთან, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის არსებობის საკითხიც.

ეკონომიკური სიმყარე, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების შედეგი დამოკიდებულია ადამიანისეულ ფაქტორზე, პასუხისმგებლობასა და პროფესიონალიზმზე. პასუხისმგებლობა დიდ მნიშვნელობას იძენს განვითარების პროცესის რეგულირებაში.

ეკონომიკურ სიმყარეს სამეურნეო სისტემის ინტეგრალური თვისებით, ასევე ცალკეული ნიშნებითა და კრიტერიუმებით, კერძოდ საექსპორტო შეფასებებისა და უპირატესობის ფორმულებით განსაზღვრავენ.

ეკონომიკური სიმყარის განმაზოგადებელი მახასიათებლებია:

– წარმოების მოქნილობა, როგორც მოდერნიზაციისა და დივერსიფიკაციის უნარი;

– კონკურენტუნარიანობა, სიახლეებისა და ნოვაციებისადმი ორიენტაცია;

– ეფექტიანობა, კომერციული საქმიანობის შემოსავლიანობისა და ფინანსური სტაბილურობის ეფექტიანობა ქონების საერთო ღირებულებით, აქტივების სიდიდით, ლიკვიდობის კოეფიციენტით, მოგების

მოცულობისა და მისი განაწილების სტრუქტურით და სხვა მახასიათებლებით განისაზღვრება.

მყარი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ფუნქციების რეალიზაციის მექანიზმი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, სურვილი კი შესაძლებლობებს შეესაბამებოდეს.

მყარი განვითარება არის არა მარტო ეკონომიკური მაჩვენებლების გარკვეული დონის შენარჩუნება, არამედ მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობას შორის ბალანსის დამყარება. ამასთან, მყარი განვითარება ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პოზიტიურ ცვლილებებსაც გულისხმობს. კერძოდ, ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების მახასიათებლების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება განვითარების ერთ-ერთი ინდიკატორია. სამეურნეო ცხოვრებაში ინდიკატორებად სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური მახასიათებლები გამოიყენება. ასე, რომ მშპ-ს მოცულობა ეკონომიკის ყველა სფეროში საქმიანობის შედეგებით განპირობებულია ამიტომ, იგი ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლებიცაა.

ამგვარად, ეკონომიკის ყველა სფეროში ინდიკატორების ამორჩევა რეგულირების პრაქტიკულ ამოცანებზე დამოკიდებულია. თუმცა, მათი სიმრავლეც მეტად ართულებს საბოლოო შედეგებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

15.3. ეკონომიკური მდგრადობა გლობალიზაციის პირობებში

გეოეკონომიკური სივრცისა და მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბებასთან ერთად ფართო აღიარებას პოულობს ეროვნული ეკონომიკის „ლიდერობის“ იდეა. ამჟამად, ეკონომიკური ურთიერთობები ხელსაყრელ თანამშრომლობაზე ორიენტირდება.

მსოფლიო მეურნეობის ფარგლებში ეროვნული ინტერესების დაცვა საკუთარი სამეურნეო საქმიანობის განვითარებისა და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის სასურველი პირობების შექმნას გულისხმობს. ლიდერობისათვის ბრძოლა და კონკურენცია კი საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის სხვადასხვა ფორმებს წარმოაჩენს.

ინტეგრაცია მსოფლიო მეურნეობაში ქცევის პირობებს განსაზღვრავს და პარტნიორობას პოლიტიკური და ეკონომიკური თავისებუ-

რებების გათვალისწინებას გულისხმობს. ასეთ პირობებში, ურთიერთობების ნორმებისა და რეჟიმების დადგენაში სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი ინსტიტუტების მარეგულირებელი როლი არსებითად იზრდება. ეს ურთიერთობები ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკათა მყარი განვითარების პრინციპებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში სამეურნეო სისტემის რგოლები, ინტერესების ობიექტური ერთიანობის გამო, შეთანხმებულად მოქმედებენ და ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და კომუნიკაციებს აყალიბებენ.

ამით მსოფლიო სამეურნეო განვითარების საერთო პირობები და პარამეტრები ყალიბდება. ეროვნული ეკონომიკა ბუნებრივია საერთაშორისო გაცვლიდან მაქსიმალური შედეგების მიღებას ცდილობს.

გარდა ამისა, ეკონომიკური განვითარების ინტერესები გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღებისადმი პრაქტიკულ მიდგომებს საჭირობს. მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში ეკონომიკური სიმყარის უზრუნველყოფა სახელმწიფოებრივი რეგულირების გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია.

ეკონომიკური სიმყარე განსაზღვრული პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე სტაბილური მიწოდებით ფასდება. მაგ. ნედლეულის მიწოდებით ან კონკრეტული სახის მომსახურების გაწევით.

ქვეყნის ეკონომიკის მყარი განვითარება იმ ახალი წინადადებების პერსპექტიულობით ფასდება, რომლებიც ცივილიზაციის პროგრესს უწყობენ ხელს და მეცნიერების უახლეს მიღწევებს ეყრდნობა. დღეს მთავარი ორიენტირი მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზარია.

მეცნიერებატევადი წარმოების პროდუქცია განსაკუთრებით სწრაფად რეაგირებს ბაზრის მდგომარეობაზე. ეს კი განახლების შესაძლებლობების გამოვლენის ინტერესზე არსებით გავლენას ახდენს. სამეურნეო საქმიანობაში შესაბამისი პირობები განვითარების ეკონომიკური სიმყარის ინოვაციურ-ინვესტიციური ფაქტორებით განისაზღვრება.

15.4. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების როლი და გავლენა ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე

სახელმწიფოების განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკა და შრომის საერთაშორისო დანაწილების ისტორიული გამოცდილება

მსოფლიო და ეროვნულ ბაზრებზე საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გაცვლის თავისებურებებს განაპირობებს. თუმცა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპის აღიარება და მხარდაჭერა ძლიერი კონკურენტებისაგან საშინაო ბაზრის, ეკონომიკური აგენტებისა და მეწარმეების დაცვის ღონისძიებებსაც არ გამორიცხავს.

ასეთ პირობებში ეროვნულ ინტერესებს ცივილიზებულად, მოლაპარაკების, პროცესების წარმოებითა და ეკონომიკური ურთიერთობების მთავრობათაშორისი რეგულირებით იცავენ.

საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში მეტად პრაქტიკული გამოდგა ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების ჩარჩოებში მიღებული დოკუმენტები, განსაკუთრებით სხვადასხვა „წონის“ მქონე ქვეყნებს შორის პრობლემების გადაჭრაში. მისი მემკვიდრის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კომპეტენციების სფერო გაფართოვდა, უწინარეს ყოვლისა მომსახურებით. (განსაკუთრებით ფინანსური პროდუქტებით) ვაჭრობის სფეროში ვმო-ს მიზანია მსოფლიო მეურნეობის მაშტაბით კონკურენციის პირობების გათანაბრება.

სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ასპექტი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებაა, რაც ღია საგადამხდებლო და სავაჭრო სისტემაში სრულუფლებიან მონაწილეობას განაპირობებს. თუმცა, ორგანიზაციაში გაწევრიანება განსაზღვრული პირობებით ხდება და ამის გამო, მათი ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებთან შესატყვისობა მეტად აუცილებელია. ორგანიზაციის პირობების მიღება მთავრობის მიერ სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მეთოდების გამოყენებაზე არსებით გავლენას ახდენს.

სავალუტო-საფინანსო ურთიერთობების სფეროში თანამშრომლობის მიზნით შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), იგი მუდმივ მოქმედი ორგანოა და საერთაშორისო სავალუტო პრობლემების გადასაწყვეტად კონსულტაციებისა და ურთიერთქმედების მექანიზმს ქმნის, დაინტერესებულ მხარეებს დროებით აძლევს საერთო რესურსებს.

სსფ საერთაშორისო კრედიტებისა და მონაწილე ქვეყნების გადახდიუნარიანობის გარანტია. მსოფლიო სავალუტო სისტემის საფუძველია „მცურავი“ კურსები და მრავალვალუტური სტანდარტები. აუცილებლობის შემთხვევაში, სავალუტო-საფინანსო კრიზისის დაძლევისათვის სსფ. ახდენს სავალუტო ბაზარზე ინტერვენციას, სრულყოფს

სავალუტო-საკრედიტო სტატისტიკას და შეიმუშავებს სტანდარტებს, რაც ცალკეული ქვეყნების შედარების საშუალებას იძლევა.

სსფ-ის წევრობა აუცილებელი პირობაა მსოფლიო ბანკის ჯგუფში გაერთიანებისათვის. აქ შედის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, გარანტიებისა და ინვესტიციების მრავალმხრივი სააგენტო. სსფ-ის საკრედიტო-საინვესტიციო საქმიანობა საერთაშორისო

ვაჭრობის ხანგძლივი ზრდის სტიმულირებისა და დაბალანსებული საგადამხდელო ვალდებულებების არსებობას უწყობს ხელს.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შესაძლებლობები უდავოა და მათთან ურთიერთობების დარეგულირება ქვეყნის კრედიტუნარიანობას აუცილებლად აამაღლებს. ამასთან, ეს ინსტიტუტები, სახსრების გამოყოფისას მეტად მკაცრ პირობებს აყენებენ და მათ დაცვას ინტენსიურად აკონტროლებენ. ამგვარად, ცალკეული ქვეყნის მთავრობის წინაშე მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას ეროვნული პრიორიტეტების დაცვისა და ეროვნულ ეკონომიკაში მათი კაპიტალის მოზიდვიდან, ეკონომიკური სარგებლობის მიღება. წარმოადგენს.

მსოფლიოში დაკრედიტებისა და საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულმა სხვადასხვა პოლიტიკურმა და სამეურნეო სიტუაციამ ვალის მომსახურების საერთო პირობების ფორმირება განაპირობა. კომერციულმა ბანკებმა და ორგანიზაციებმა ურთიერთდამოკიდებულება ორგანიზაციულად ლონდონის კლუბის შექმნით გააერთიანეს, სესხის გამცემმა სახელმწიფოებმა კი – პარიზის კლუბის შექმნით.

კლუბებთან შეთანხმება ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინების პრინციპით იგება. ასეთი ურთიერთობების საფუძველია რესტრუქტურიზაციის იდეა, რომელიც ქვეყანაში ფაქტიური სიტუაციის ანალიზის, ან განსაზღვრული პირობებით ვალის ნაწილის ჩამოწერით რეალიზდება.

ცალკეული სახელმწიფოს, როგორც მეურნე სუბიექტის განვითარების გზები რთული და მოულოდნელობით სავსეა. ამის გამო, მოვლენების წინასწარ განსაზღვრა მეტად ძნელია. აღიარებს რა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს და ერთიანდება საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, სახელმწიფო ვალდებულია აქტიურად დაიც-

ვას ეროვნული ინტერესები. ამის გამო ეროვნული ეკონომიკის მყარი განვითარების ამოცანები ხდება ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული დებულებების შემუშავება და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ეროვნული დოქტრინის რეალიზაციისათვის ტაქტიკური მიმართულებების სახელმწიფოებრივი რეგულირება.

საქართველოში მდგრადი განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ ძირითადი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას.

დოკუმენტს – დღის წესრიგი 21-ე საუკუნისათვის, რომელსაც ხელი მოაწერა საქართველომ, მოუწოდებს ქვეყნებს შეიმუშაონ მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული და ჰარმონიზებულია სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით პოლიტიკასა და გეგმებთან. 2002 წელს ჩატარებულმა მსოფლიო სამიტმა მოუწოდა ქვეყნებს, არა მარტო შეემუშავებინათ ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგია, არამედ 2005 წლიდან დაეწყო მისი განხორციელება.

ძირითადად საკანონმდებლო აქტს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, წარმოადგენს საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 10 დეკემბერს.

მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება, როგორც დღის წესრიგი 21-ე საუკუნისათვის განხორციელების ნაწილი, რომელიც დაიწყო 1996 წელს მსოფლიო

ბანკის ფინანსური დახმარებით. პროგრამა დამტკიცდა 2000 წელს. მასში გამოკვეთილია გარემოსდაცვითი მართვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების საშუალო და მოკლევადიანი მიზნები.

მთავრობის პროგრამა „საქართველო სიღარიბის გარეშე“, რომელიც წარმოადგენს მთავრობის სტრატეგიულ ხედვას 2008-2012 წლებისათვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით, მთავრობის მიზნებსა და ამოცანებში შემდეგი ჩანაწერია: ბუნებრივი რესურსების მართვას განახორციელებს კერძო სექტორი – გაიზარდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა. ეს, ერთის მხრივ უზრუნველყოფს ეკონომიკურ ეფექტია-

ნობას, ხოლო მეორეს მხრივ მინიმუმამდე შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას.

საქართველოს არა ერთი ვალდებულება აქვს ნაკისრი საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით, მდგრადი განვითარების კუთხით.კერძოთ,

გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის, რომელსაც 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ კონფერენციაზე („რიოს სამიტი“) მსოფლიო ქვეყნების მეთაურებმა ხელი მოაწერეს და რატიფიკაცია მოახდინა 1994 წელს.

1997 წელს მსოფლიო ქვეყნების მიერ მიღებულ იქნა კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის „კიოტის ოქმი“, რომლითაც ქვეყნებმა ახალი, უფრო მკაცრი ვალდებულებები იკისრეს: „კიოტის ოქმის“ დანართ B-ში ჩამოთვლილი განვითარებული ქვეყნების უმეტესობამ 2008-2012 წლების პერიოდისათვის სათბურის გაზების ემისიები 1990 წლის დონესთან შედარებით უნდა შეამცირონ 8%-ით[1]. საქართველო კიოტის ოქმს მიუერთდა 1999 წელს.

აღსანიშნავია, 2000 წელს გაეროს გენერალური ანსამბლეის მიერ შემუშავებულ დეკლარაციაში დასახული ათასწლეულის განვითარების მიზნები და პრინციპები. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს 2000-2015 წლებში განხორციელებულ მიზნებსა და ამოცანებს. დოკუმენტში ერთ-ერთ მიზანს, კერძოდ მე-7 მიზანს წარმოადგენს ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ ამოცანას:

1. მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება ქვეყნის პოლიტიკასა და პროგრამაში და ბუნებრივი რესურსების შემცირების (დეგრადირების) ტენდენციების შეჩერება;
2. 2015 წლისათვის მოსახლეობის იმ ნაწილის განახევრება, რომელსაც სტაბილურად არ მიუწვდება ხელი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელ წყალზე;

[1] ლომთაძე ზ. შვანგირაძე მ. ლაზრიევი გ. „კლიმატის ცვლილებების კონვენცია და კიოტოს პროტოკოლი საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი“ თბ. 2006

3. საბინაო სექტორის ჰარმონიზაცია საერთაშორისო მოთხოვნებთან, მათ შორის მუნიციპალური (სოციალური) საცხოვრისის კომპონენტის განვითარება.

საქართველომ, როგორც ათწლეულის დეკლარაციის ხელმომწერმა ქვეყანამ, აღებული ვალდებულებების განხორციელება დაიწყო ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის შემუშავებით, რომელიც დამტკიცდა 2003 წელს. 2004 წლის ივნისში მომზადდა ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების ეროვნული საბაზრო ანგარიში, რომლის შემუშავების პროცესში ფაქტიურად განხორციელდა მსოფლიოში აღიარებული მიზნების, ამოცანების ნაციონალიზაცია და საქართველოს რეალობასთან მისადაგება.

15.5. ეკონომიკური უსაფრთხოების არსი

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების, როგორც ეროვნული ინტერესების დაცვის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია, ასევე ამ ინტერესების რეალიზაციის პირობაცაა. ეროვნულ ინტერესებში მოიაზრება, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, თავდაცვითი, სამართლებრივი ასევე ეკოლოგიური ასპექტები.

უკანასკნელ პერიოდში ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში სულ უფრო იზრდება ეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკა საზოგადოების არსებობის, განვითარების და საერთოდ ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია, ეროვნული უსაფრთხოება არ არსებობს ეკონომიკური უსაფრთხოების გარეშე. ეს უკანასკნელი ორგანულ კავშირშია ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან.

„ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის დაცვას იმ შიდა და გარე ნეგატიური ფაქტორებისაგან, რომლებიც არღვევს აღწარმოებითი პროცესების ნორმალურ ფუნქციონირებას, საფრთხეს უქმნის ქვეყნის რესურსული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას, ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და სოციალურ ორიენტირებულობას, აფერხებს ეკონომიკურ

ზრდასა და ხელს უშლის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას“[1] ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

ეკონომიკკური უსაფრთხოება განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების სისტემას ეროვნული ინტერესების რეალიზაციის პროცესში. იგი თავდაცვით, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, იდეოლოგიურ, კულტურულ, დემოგრაფიულ და სხვა სახის უსაფრთხოებასთან ერთად ქმნიან ეროვნულ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოება თავის მხრივ მოიცავს ინვესტიციურ, ენერგეტიკულ, სანედლეულო, სასურსათო, ფინანსურ, ფულად-საკრედიტო სავალუტო, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, საგარეოეკონომიკურ და ა.შ. უსაფრთხოებებს. ეკონომიკური უსაფრთხოება აისახება იმ ღონისძიებათა ერთობლიობაში, რომელიც ქვეყანაში ტარდება ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის თვალსაზრისით. ეკონომიკური უსაფრთხოება მოიცავს ეკონომიკურ სისტემას და განიხილება მაკრო, მიკრო, მეზო და მეგა ეკონომიკურ დონეზე.

ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილებლობა განპირობებულია ფაქტორთა კომპლექსით:

1. განსხვავება ეროვნულ ინტერესებში;
2. რესურსების შეზღუდულობა და ამ რესურსებით უზრუნველყოფის სხვადასხვა დონე;
3. კონკურენციის ფაქტორის მნიშვნელობის ზრდა წარმოებასა და გასაღებაში.

ცნობილი რუსი მეცნიერ-ეკონომისტი ლ. აბალკინი ეკონომიკურ უსაფრთხოებას განმარტავს როგორც პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობასა და მდგრადობას.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია არის ქვეყნის სტრატეგია საკმაოდ მყარი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკით, რომლის გლობალური გეოპოლიტიკური მიზნები გათვლილია ეკონომიკურად და განმტკიცებულია ორგანიზაციული ღონისძიებებით. იგი ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, საზოგადოების სოციალურ-ეკო-

[1] მაღლაკელიძე თ. „ეკონომიკური უსაფრთხოება“ 2002წ. გვ.22

ნომიკური სტაბილურობისა და პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში დიდი ადგილი უჭირავს ეროვნული უსაფრთხოების საკვანძო ელემენტებს – ქვეყნის კულტურულ – ისტორიულ თვითმყოფადობას, მისი ტრადიციების და წეს-ჩვეულებების დაცვას.

ეკონომიკური უსაფრთხოება მოწოდებულია გადაწყვიტოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები. მისი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების აღიარება და გარანტირებული დაცვა.

ეს ინტერესებია:

– ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სუვერენული განვითარების დაცვა;

– ეკონომიკის სტაბილურობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

– ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა;

– ქვეყნის კულტურულ-ისტორიული თვითმყოფადობის, მისი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვა;

– სავაჭრო ეკონომიკის მოქნილი მექანიზმის შექმნა და ბაზრის სტიქიური ძალების აღკვეთა;

– ეროვნული ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფა;

– საკუთრების დაცვა;

– კონკურენციის დაცვა;

– საბიუჯეტო-საგადასახადო ფედერალიზმის პრინციპების რეალიზაცია და საბიუჯეტო-საგადასახადო უფლებამოსილების ოპტიმალური ტერიტორიული განაწილება;

– საკმარისი საბრუნავი პოტენციალი;[1]

– სამამულო წარმოების პროდუქციის გასაღების ბაზრების დაცვა;

– ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ტექნოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

– სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

– ფინანსური სფეროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

---

[1] Курс переходной экономики. Под.ред. Абалкина Л. Н. М. 1997 стр. 121

– საიმედო სოციალური ბაზრის შექმნა და მოსახლეობის სოციალური დაცვა;

– ეკონომიკაზე შიდა და ტრანსნაციონალური კრიმინალური სტრუქტურების ზემოქმედების ნეიტრალიზაცია და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას საშიშროებას უქმნის ნეგატიური დესტრუქციული ხასიათის პროცესები, რომლებიც ეწინააღმდეგება ეკონომიკურ ინტერესებს, ხოლო პოზიტიური, კონსტრუქციული პროცესები ხელს უწყობს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ფაქტორები, რომლებიც საშიშროებას უქმნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას შემდეგია: წარმოების დაცემა და საშინეო ბაზრის დაკარგვა; სასურსათო დამოუკიდებლობის დაკარგვა, უმუშევრობის ზრდა და შრომის მოტივაციების შესუსტება; ეკონომიკის კრიმინალიზაცია; მეცნიერული კოლექტივების დაშლა; მუდმივი დისპროპორციები ფინანსურ უზრუნველყოფაში; საგარეო ბაზრების დაკარგვა და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორები. ეკონომიკური უსაფრთხოების შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება:

1. ბუნებრივი ფაქტორები – ქვეყნის უზრუნველყოფის დონე საკუთარი ბუნებრივი რესურსებით;
2. სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ დარგების განვითარებაზე (ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მდგომარეობა და ა.შ.);
3. მეცნიერულ-ტექნოლოგიური ფაქტორები (ტექნოლოგიების განვითარების დონე, ინტელექტუალური საკითხების უფლების და ცვა და ა.შ.);
4. საფინანსო-საკრედიტო ფაქტორები;
5. ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორები;
6. შრომითი რესურსების გამოყენების ფაქტორები;
7. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (შრომის ანაზღაურება, შრომის პირობები და ა.შ.)

ეკონომიკური უსაფრთხოების გარე ფაქტორებს მიეკუთვნება:

1. საგარეო ეკონომიკური კავშირების ოპტიმალური სტრუქტურების განვითარების ფაქტორები;
2. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ფაქტორები;

3. საგარეო-ეკონომიკური ოპერაციებისადმი კონტროლის ფაქტორები;

ამრიგად, ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი დიდ როლს ასრულებს ეროვნული ეკონომიკის მთელი კომპლექსის რეალიზაციაში.

15.6. საქართველოს საგარეო ვალის პრობლემა

ეკონომიკური უსაფრთხოების გარე ეკონომიკურ მექანიზმი მიეკუთვნება მაღალ დონეს, ვიდრე შიდა ეკონომიკური მექანიზმი. იგი უშუალოდ ზემოქმედებს მთელ სისტემაზე. იმისათვის რომ ამ მექანიზმმა რაციონალურად შეასრულოს თავისი ფუნქციები, აუცილებელია ინფორმაცია ეროვნული ეკონომიკის არსებული მდგომარეობისა და ქვეყანაში მატარებელი იმ რეფორმების შესახებ, რომლებმაც იგი დასახულ მიზნამდე უნდა მიიყვანოს.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე გარე ეკონომიკური მექანიზმის ზემოქმედების მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ საქართველოს საგარეო ვალის პრობლემა.

მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება, ერთი მხრივ ფინანსური რესურსების საერთაშორისო მობილურობის მაღალი დონით და მეორეს მხრივ უთანაბრო ეკონომიკური განვითარებით, ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვისა და შიდა ინვესტიციების განხორციელებისათვის საკუთარი ფინანსური რესურსების მწვავე უკმარისობით. ამ გარემოებამ ობიექტურად წარმოშვა როგორც შიდა, ისე საგარეო სავალო ვალდებულებათა ზრდა, მათი შეუსრულებლობის ტენდენცია, რომელიც სულ უფრო კანონზომიერ ხასიათს იღებს.

ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულებისა დ მზარდი ღიადობის პირობებში სულ უფრო ღრმავდება ფინანსური გლობალიზაციის პროცესი. კაპიტალის ინტერნაციონალიზაციამ ახალი თვისებრივი ნიშნები შეიძინა. საგარეო ვალი გახდა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის განუყოფელი ელემენტი.

სახელმწიფო ვალისათვის გაიღება სარგებელი (პროცენტი). სახელმწიფო ვალის როგორც პრობლემის მნიშვნელობაზე მიუთითებს კითხვები:

1. ეროვნული შემოსავლის რა ნაწილს შთანთქავს სარგებლის გადასახდელები?

2. როგორია სახელმწიფო და კერძო ვალზე გადასახდელის ზოგადი სიდიდე, სხვა ქვეყნების ვალის სიდიდესთან შედარებით?

3. როგორია მოსალოდნელი ტენდენციები?

წარმოდგენა, რომ ვიქონიოთ თანამედროვე სახელმწიფო ვალზე, უნდა გავითვალისწინოთ არა ვალის აბსოპლიტური სიდიდე, არამედ ვალის თანაფარდობა ქვეყნის მთლიან საზოგადოებრივ პროდუქტთან.სახელმწიფო ვალის ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ინდუსტრიიულად განვითარებული ქვეყნების რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტი მუდმივად მზარდი სიდიდეა. ამ ქვეყნებში იზრდება მოსახლეობის რიცხოვნობა(ნაწილობრივ იმიგრაციის ხარჯზე), ახალი ტექნიკის დანერგვისა და მუშაკთა კვალიფუიკაციის ზრდის საფუძველზე იზრდება შრომის მწარმოებლურობა. ის რაც მე 17,,მე 18 საუკუნეში დიდ ვალად ითვლებოდა, ახლა უმნიშვნელო სიდიდედ გვეჩვენება, რადგან ვალის მოცულობის ზრდას, თან ახლდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ)- ის, უფრო სწრაფი ზრდა. ახლა, ჯერ -ჯერობით ყოველ შემთხვევაში სახელმწიფო ვალის თანამედროვე სიდიდე არ არის ისეთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პრობლემა, როგორიცაა ინფლაციის, დასაქმების, ეკონომიკის დაქვეითების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკონომიკური ზრდის, საკმარისი ტემპის და ა. შ. პრობლემები.

საბიუჯეტო დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პრობლემად გახდომაში ხელს უწყობს შემდეგი გარემოებები:

1. კეინზიანური მიმართულების მრავალი ეკონომისტი თვლის, რომ საბიუჯეტო დეფიციტი მასტიმულირებლად მოქმედებს ეკონომიკაზე, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის სისტემატურმა დეფიციტმა საბოლოდ შიძლება გამოიწვიოს ჭარბი მოთხოვნის ინფლაცია;

2. სახელმწიფო ვალის ზრდასთან ერთად, სწრაფად იზრდება მასთან დაკავშირებული გადასახდელები, რომელიც წარმოადგენს სამთავრობო ხარჯების ნაწილს. პროცენტული გადასახდელების ასტრონომიული ზრდა ართულებს სამთავრობოო ხარჯების კონტრო-

ლის პრობლემას და მაშასადამე ართულებს მომავალი დეფიციტის სიდიდის კონტროლის პრობლემას;

3. საბიუჯეტო მსხვილი დეფიციტი აძნელებს ბალანსის მიღწევას საერთაშორისო ვაჭრობაში.

ვალი, როგორც მოცემული ქვეყნის მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან, უცხოური ქვეყნების მთავრობებისაგან და კომერციული დაკრედიტების ინსტიტუტებიდან მიღებულ უცხოურ ვალუტაში დენომირებული აქტივები, ამ ქვეყანას აძლევს ინვესტირებისა და მოხმარების იმაზე მეტ შესაძლებლობას, ვიდრე მისი ეკონომიკიდან ქმნის.

ნებისმიერი ქვეყნისათვის საგარეო ვალის მოზიდვა შემდეგი ორი ფაქტორით განისაზღვრება:

1. რა რაოდენობის უცხოური კაპიტალის ათვისება შეუძლია ქვეყანას;

2. რა რაოდენობის ვალის მომსახურება შეუძლია ქვეყანას რისკის გარეშე.

სესხები იყოფა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, სამთავრობო ორგანიზაციების, ორმხრივი, მრავალმხრივი და სხვა ფინანსური კრედიტების კატეგორიებად.

ქვეყნის კრედიტუნარიანობის შეფასებისა და საგარეო ვალის განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებელი. ოქროსავალუტო რეზერვების გარდა ყველაზე გავრცელებულია შემდეგი მაჩვენებლები:

1. საგარეო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან;

2. საგარეო ვალის შეფარდება ექსპორტთან;

3. საგარეო ვალის მომსახურებისათვის გადასახადების საერთო თანხის შეფარდება ექსპორტთან და სახელმწიფოს შემოსავლებთან;

4. საპროცენტო თანხის შეფარდება ექსპორტთან;

5. საგარეო სესხების წილი ბუიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებაში.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანას აქვს საგარეო დავალიანება, მათი უმრავლესობა წმინდა მევალეა, მათ შორის განვითარებული ქვეყნებიც.

საგარეო ვალმა განსაკუთრებული როლი ითამაშა განვითარება-

დი ქვეყნების ეკონომიკაში, რომლის სიდიდე მე-20 საუკუნის 70-იან წლებიდან მოყოლებული სულ უფრო იზრდება და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო კრედიტის სისტემაში.

90-იანი წლების დასაწყისში მოვლენებმა, რომლებიც უკავშირდება სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის კონვერსიასა და ეკონომიკური სისტემის შეცვლას, სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დააყენა აღნიშნული ქვეყნები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით საბჭოთა კავშირის საგარეო ვალი 95,3 მლრდ დოლარი იყო, რომელმაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთი. 1997 წლის მონაცემებით გარდამავალი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის საგარეო ვალი 282,0 მლრდ. დოლარს შეადგენდა.[1] ეს მწვავე პრობლემა ფართო მსჯელობის საგანი გახდა და დარეგულირდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ლონდონისა და პარიზის კლუბების მიერ გარკვეული ვალდებულებების სანაცვლოდ მიღებულ იქნა კრედიტები საგანგებო და გრძელვადიანი ღონისძიებების განსახორციელებლად, რომელთა შესრულებაზე კონტროლს სსფ ახორციელებს და მომდევნო ტრანშეს მიღების გარანტიაცაა. ეკონომიკის ადაპტირებისადმი და საბაზრო გარემოსადმი შეგუებისაკენ მიმართული ეს ღონისძიებები ითვალისწინებს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევისა და სტრუქტურულ ცვლილებებს, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვას, ეკონომიკის გლობალიზაციისადმი შეგუებას და ა.შ.

ამ პერიოდიდან მოყოლებული დაბალი განვითარების დონის (მოსახლეობის ერთ სულზე 765 დოლარამდე მშპ.) და მაღალი დავალიანების მქონე ქვეყნების მიმართ, აგრეთვე იმ ქვეყნების მიმართ, რომელთა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 766 დოლარიდან 3035 დოლარამდეა (საშუალო დონის ქვედა ზღვარი) ხორციელდება სხვადასხვა ოპერაციები ვალის მომსახურებისა და მისი გადახდის პირობების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროცესების დარეგულირების მიზნით ფუნქციონირება დაიწყო ე.წ. „ჰიუსტონის პირობებმა“[2]., „ლიონის პირობებმა სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის „ინიციატივებმა“ და ა.შ.

---

[1] World Economic Outlook. October, 1997. p. 206

[2] Debt Rescheduling Vnder the Paris Club. Svt-Mfp Auqust, 1999

საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნები მოქმედებენ „ჰიუსტონის პირობების“ მიხედვით. ამ უკანასკნელმა ფუნქციონირება დაიწყო 1990 წლის სექტემბრიდან. იგი არ ითვალისწინებს ვალისა და გადასახადების შემცირებას, მაგარამ გულისხმობს ვალის დაფარვის შედარებით შეღავათიან პირობებს, „ჰიუსტონის პირობები“ ითვალისწინებს კრედიტის დაფარვას 15 წელში, შეღავათიან პირობებს 8 წლის განმავლობაში, საბაზრო საპროცენტო განაკვეთს.რაც შეეხება არაკომერციულ კრედიტებს, მათი დაფარვის ვადა 20 წელია „ტორონტოს პირობები“, რომელიც ფუნქციონირებდა 1988-1991 წლებში, ახორციელებდა ვალისა და გადასახადების ძირითადი ნაწილის შემცირებას 30-33 %-ით, ხოლო „ლონდონის პირობების“ მიხედვით შემცირება 50% შეადგენდა (1991-1994 წლებში) „ნეაპოლის პირობების“ მიხედვით, რომელიც 1995 წლიდან მოქმედებს, შემცირება 67%-ს შეადგენს, ხოლო „ლიონის პირობების“ მიხედვით 80%-ს.

1996 წლის ბოლოს სსფ-მა მსოფლიო ბანკმა შეიმუშავეს „ინიციატივები“, რომლებიც ავსებენ ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს. „ინიციატივები“ გულისხმობს სსფ-ში გადასახადების შემცირებას.[1]

1998 წლიდა დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის კრედიტების მიღება გაცილებით შეღავათიანია. „ტორონტოს პირობებით“ ვალდებულება 1/3-ით მცირდება, „ლონდონის პირობები“ ვალდებულებითა ნახევრად შემცირებას გულისხმობს, ხოლო „ნეაპოლის პირობები“ 2/3 -ით შემცირებას.

ვალების მომსახურება მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, რც თავის მხრივ სოციალური ხარჯებისა და სახელმწიფო ფინანსების შემცირებას იწვევს. საგარეო ვალის მომსახურებაზე 1999-2000 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის 14,5% დაიხარჯა.[2].

სახელმწიფო ვალის შესახებ კანონი გამომდინარე, საქართველოს საგარეო ვალი პირობითად შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს:

1. დავალიანება დსთ-ის სივრცეში (რუსეთი, უკრაინა, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი,. აზერბაიჯანი, სომხეთი);

---

[1] Федакина Л.Н. Мировая внимняя заложность: теория и практика урегулирования.М. ст. 8

[2] მაღლაკელიძე თ. „ეკონომიკური უსაფრთხოება“ თბ. 2002 გვ. 164.

2. საზღვრგარეთის ქვეყნების მთავრობათა მიერ გამოყოფილი კრედიტები (ჩინეთი, თურქეთი, ავსტრია, გერმანია, აშშ, იაპონია, ირანი);

3. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები.

საზღვარგარეთის მთავრობათა მიერ საქართველოსათვისგამოყოფილი კრედიტები ორ ჯგუფად იყოფა: ა. 1992-1994 წლებში გამოყოფილი კრედიტები(ჩინეთი, თურქეთი, ავსტრია, ირანი) და ბ. 1995 წლიდან მიღებული კრედიტები (გერმანია, აშშ, იაპონია).

ჩინეთმა კრედიტი გამოყო სოფლის მეურნეობის ტექნიკის შესაძენად, თურქეთმა სასაქონლო წარმოებისათვის, ავსტრიამ - სასტუმროს საერთაშორისო სტანდარტებით მშენებლობისათვის, ირანმა – გაზის იმპორტისათვის.

მეორე ჯგუფის კრედიტები ითვლება სამთავრობო კრედიტებად და განკუთვნილია ცალკეული დარგების რეაბილიტაციისათვის.

1994 წლიდან საქართველომ სსფ-ის ხელშეწყობით დაიწყო ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, რისთვისაც ამ ფონდიდან მიიღო კრედიტები ჰიპერინფლაციის აღკვეთისა და მკაცრი ფულადსაკრედიტო პოლიტიკის გატარების, ფასების ლიბერალიზაციის, პრივატიზაციის, საკანონმდებლო ბაზის შექმნის, ეროვნული ბანკის სარეზერვო ფონდის გაზრდისა და ა.შ. მიზნით.

მსოფლიო ბანკის კრედიტები გამიზნული იყო სახელმწიფო სექტორის ინსტიტუციური განვითარებისათვის, კერძო სექტორის ჩამოყალიბებისა და პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისათვის.

ევროგაერთიანებიდან მიღებული კრედიტები მიზნად ისახავდა ქვეყნის უზრუნველყოფას კვების პროდუქტებითა და მედიკამენტებით.

საზღვარგარეთული გამოცდილებიდან ცნობილია, რომ საგარეო სახელმწიფო ვალის სიდიდე ნორმალურად ჩაითვლება, თუ ვალზე გადასახადების საერთო თანხა არ აჭარბებს ექსპორტის 20 %-ს, ხოლო ვალის წლიური ზრდის მოცულობა მშპ-ის 15-18 % არ აღემატება.

ქვეყნის კრედიტუნარიანობის მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია უცხოური კრედიტები მოხმარდეს ინვესტიციური ხასიათის მიზნობრივი პროექტების დაფინანსებას, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საგარეო სესხებით საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდოსა და ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა.

საზღვარგარეთული მოვალე ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, რონ საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია ან სხვა ღონისძიებები (ჩამოწერა, გაყიდვა მეორეულ ბაზრებზე და ა.შ.) მხოლოდ ამსუბუქებს სავალო ტვირთს და დადებით ეფექტს დროებით განაპირობებს, მაგრამ პრობლემას კარდინალურად არ ცვლის. იგი ეფექტიანი სტაბილიზაციური და სტრუქტურული რეფორმების გატარებასთან ერთად, ვინაიდან სავალო კრიზისის მთავარი გამომწვევი მიზეზი არა იმდენად ქვეყნის მიმდინარე ფინანსური სიძნელეებია, რამდენადაც გაძლიერებული გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო მეურნეობრივ სისტემაში მისი ეკონომიკის სტრუქტურული შეუსაბამობა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 2021 წლის იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის მოცულობამ 31,57 მილიარდი ლარი შეადგინა, სახელმწიფო ვალიდან 25,7 მილიარდი ლარი საგარეო ვალს წარმოადგენდა.

აქვე საინტერესო განვხილოთ მთლიანი შიდა პროდუქტი (მილიარდი დოლარი) დინამიკაში.

2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
15,11	16,49	17,19	17,63	14,95	15,14	16,24	17,6	17,48	15,89

15.7. ეკოლოგიური უსაფრთხოება და მდგრადი განვითარების კონცეფცია

თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების არნახულმა განვითარებამ, სამრეწველო პოტენციალის ფართოდ ამოქმედებამ, ბუნებრივი რესურსების ზღვარგადასულმა ჩართვამ სამეურნეო საქმიანობაში და ა.შ. ეროვნული უსაფრთხოების ეს მეტად მრავალწახნაგოვანი მხარე წინა პლანზე წამოსწია და ზოგადსაკაცობრიო ინტერესების რეალიზაციის პრიორიტეტულ მიმართულებად წარმოჩინდა.

თანამედროვე პირობებში დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ განვითარდა ეკოლოგიური ეკონომიკის კონცეფცია. ეს კონცეფცია მხარს უჭერს ეკოლოგ – ეკონომიკური სისტემის შექმნის იდეას და გვთავაზობს მისი რეალიზაციისათვის ორ გზას: პირველი

მიმართულების წარმომადგენლები მთელ ეკოსისტემას ეკონომიკური საქმიანობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ და მოითხოვენ ეკონომიკურ საქმიანობაში ბუნებრივი პროცესების ჩართვას. მეორე მიმართულების წარმომადგენლები ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას მეურნეობრიობის ტრადიციული მეთოდების გამოყენებას უკავშირებენ. მეორე მიმართულებამ მიიღო ენვაირონმენტალური დეტერმინიზმის სახელწოდება. ეს არის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით გარემო წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს. ეს განსაკუთრებით ეხება სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, სადაც ახალი ტექნოლოგიების უქონლობისა და მწირი სამეწარმეო გამოცდილების გამო ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აიძულებს ამ ქვეყნებს მოახდინონ მოძველებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების იმპორტი, რომელთა გამოყენების გრძელვადიანი შედეგების შესახებ ინფორმაციასაც კი არ ფლობენ.

როგორც საზღვარგარეთული გამოცდილება გვიკარნახებს, ეკოლოგიური რეგულირება და აქედან გამომდინარე ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს. მან ზემოქმედება უნდა მოახდინოს აღწარმოებით პროცესებზე, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნებსა და საბაზრო კონიუქტურაზე. მით უმეტეს დღეს, ეკოლოგიური წონასწორობა ისეა დარღვეული საქართველოში, რომ თუ სამეურნეო განვითარების თანამედროვე ტენდენციები არ შეიცვალ, მან შეიძლება გამოიწვიოს ეკოლოგიური კატასტროფები.

საქართველოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევამ (ათასი ტონა) სტაციონალური წყაროებიდან 2005 წელს შეადგინა 24; 2006 წელს 28; 2007 წელს 28; 2008 წელს 26 და 2009 წელს 21 შეადგინა.

ავტოტრანსპორტის მიერ მავნე ნივთიერებების გაფრქვევა (ათასი ტონა) 2005 წელს შეადგინა 246; 2006 წელს 256; 2007 წელს 295; 2008 წელს 311 და 2009 წელს 349 ათასი ტონა შეადგინა.[1]

ჩვენს ქვეყანაში გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მი-

[1] საქართველო ციფრებში 2010 წელი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზეზი რესურს და ენერგოტევადი მოძველებული მანქანა – მოწყობილობები და ტექნოლოგიებია,

რომელსაც დომინირებული ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკაში და განსაკუთრებით უარყოფით ეფექტს იძლევა მათი გამოყენება გადამამუშავებელ დარგში, სიტუაციას ამძიმებს ეკოლოგიურად საშიში საქონლის იმპორტი. მათ შორის ეკოლოგიური საფრთხის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება დავასახელოთ ჯანმრთელობისათვის საშიში კვების პროდუქტები, რაც სასურსათო უსაფრთხოებას ეჭვქვეშ აყენებს.

სატყეო მეურნეობა საქართველოს მთელი ტერიტორიის დაახლოებით 39,9% ტყითაა დაფარული. აქედან არსებული მონაცემებით დაახლოებით 0,5 მლნ ჰა ე.წ. ხელუხლებელ ტყეებს, 2,2 მლნ. ჰა სახეცვლილ ბუნებრივ ტყეებს, 0,06 მლნ ჰა კი ხელოვნურად გაშენებულ ტყეებს განეკუთვნება. ტყეების (მერქნის) საერთო მარაგი დაახლოებით 430 მეტრ კუბს შეადგენს, ხოლო მერქნის მარაგის საშუალო წლიური შემატებ 4,0 მლნ. მეტრ კუბია.

2002 წლიდან, ხე-ტყის მოპოვების მოცულობა თითქმის გაორმაგდა. ძირითადად ხდება საშეშე მერქნის მოპოვება, რომელსაც 80% სოფლად მცხოვრები მოსახლეობისა იყენებს როგორც ძირითად ენერგიის წყაროს.

საქართველოში ტყის ფონდი შეადგენს 3005 ათას ჰექტარს. დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფო ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების მოვლას. 2005 წელს სახელმწიფო ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების რაოდენობა 18 ერთეულს შეადგენდა; 2006 წელს 21 ერთეულს და 2009 წელს 22 ერთეულს.

საინტერესოა თუშეთის ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, ლაგოდეხის ნაკრძალი, კინტრიშის ნაკრძალი, კოლხეთის ეროვნული პარკი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ქობულეთის ნაკრძალი, ალგეთის ეროვნული პარკი და სხვა.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე და დაბინძურების სტაციონალური წყაროების კონტროლის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2005 წელს ჩამოაყალიბა გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას.

გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ გამოვლენილი გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების ფაქტების რაოდენობა და მათ მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობები დიდ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის, რომლისდ მზარდი დინამიკა ზიანს მიაყენებს როგორც ბუნებრივ გარემოს, ასევე ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხო და მდგრად განვითარებას.

გარემოს დაცვაზე ეკონომიკური ბერკეტების ზემოქმედების სისტემა საგადასახადო და საკრედიტო ხასიათის ღონისძიებათა ნაკრებია, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საქართველოში ეკოლოგიური რეგულირების მიზნით.

მართალია ქვეყანაში, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, საქართველოს მოქალაქეებმა ჯერ კიდევ ვერ გამოიმუშავეს ბუნებრივ გარემოზე ზრუნვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უნარ-ჩვევები, მაგრამ თუკი საზოგადიოების ფართო მასებისათვის ცნობილი გახდება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით გარემოზე მიყენებული ზიანისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო თანხების ოდენობები, მაშინ აღნიშნული ქმედება

იქნება ერთ-ერთი ეფექტური საშუალება გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში.

2020 წლისათვის ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის მიხედვით კვლევის მონაწილე 180 ქვეყანას შორის საქართველო 102-ე ადგილზეა, რაც წინა წლების საფუძველზე მდგომარეობის გაუარესებაზე მიგვანიშნებს. საქართველოს EPI ინდექსის ქულა 2020 წელს 41,3 შეადგინა. საქართველოში 2021 წლის მონაცემებით 13 ეროვნული პარკია.

2020 წელს დაცულ ტერიტორიებს დაემატა ერუშეთის ეროვნული პარკი, რომლის შექმნისა და მართვის შესახებ კანონი მიღებულია და ძალაში შევიდა 2021 წლის პირველ იანვრიდან.

2021 წლის 26 ივნის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი გახდა კოლხეთის ტროპიკული ტყეები და ჭაობები (კოლხეთის ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერიტორიები).

უცხო სიტყვები

1. დენომინაცია – ლათ. გადარქმევა – ქაღალდის ფულის ნიშნების სახელის გამოცვლა და მათი ნორმალური ღირებულების შემცირება.
2. პოზიტიუერი – დადებითი მაგ. პოზიტიური მსჯელობა.
3. კონსტრუქციული – რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდგომ მუშაობას.
4. მუნიციპალიტეტი – გერ. ქალაქისა ან სოფლის თვითმმართველობის ორგანო.
5. დეგრადაცია – ფრან. დეგრადირება თანდათანობით გაუარესება რაიმე თვისებისა დაქვეითება დაცემა.
6. პროტოკოლი – ბერძ. დიპლომატური პროტოკოლი ერთობლიობა წესებისა, რომლებსაც მოსდევენ მთავრობები, საგარეო საქმეთა უწყებანი, დიპლომატები, სხვა ოფიციალური პირები საერთაშორისო ურთიერთობებში.
7. ემისიები – ლათ. გამოშვება.

თავი XVI

მეწარმეობა და კლასტერული პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკაში

მდიდარი ქართული კულტურული მემკვიდრეობა
გამოხატული უნიკალური ხელოვნების ნიმუშებით
ვერ შეიქმნებოდა, ჩვენს მოსახლეობაში,
შესაბამისი სამეწარმეო ჩვევებისა და შრომის
მაღალი კულტურის გარეშე.

16.1. მეწარმეობის განვითარების ისტორია საქართველოში

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები მეტყველებს საქართველოს ტერიტორიაზე ათასწლეულების მიღმა, მეურნეობის გაძღოლის მყარ ტრადიციებზე. ანტიკური ხანის ძველ ბერძენ მოაზროვნეებს : ქსენოფონტეს, ჰიპოკრატეს, არისტოტელეს აღწერილი აქვთ როგორც საქართველოს ბუნება ისე ქართული ტომების მესხების, კოლხების, ხალიბების და სხვათა ყოფა-ცხოვრება და წეს-ჩვეულებები.[1]

საქართველოსში მეწარმეობის ისტორია ქვის ხანის უძველესი ეპოქიდან იწყება. პალეოლითის ეპოქის წინაგვაროვნული საზოგადოების მიერ დამზადებული იარაღები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში ხარაგაულის, თერჯოლის ზესტაფონის რაიონებში. ქართველმა წინაპრებმა ეტაპობრივად გაიარეს შრომის დანაწილების საყოველთაო სახეები-მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა.

ძვ.წ VIII-VIIსაუკუნეებში აითვისეს რკინის წარმოება. ამ დროს დასრულდა ხელოსნობის ცალკე დარგად ჩამოყალიბების პროცესი. განსაკუთრებით განვითარდა: მეთუნუქეობა, მჭედლობა, რთვა და ქსოვა. ასევე საიუველირო განვითირება.

მაშინდელი საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა მრავალი სავაჭრო სატრანზიტო გზა. მაგალითად, „აბრეშუმის გზა“, ჩინეთს ბი-

[1] ასათიანი რ, „საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწყმო და პერსპექტივა. თბ. 2002 გვ48

ზანტიასა და რომთან აკავშირებდა. ძვ. წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებში კოლხეთის დაბლობის ზღვისპირეთში ჩამოყალიბდა დასახლებები-ტრაპეზუნდი, ფასისმა(ფოთი), დიოსკურია(სოხუმი), პიტიუნტი(ბიჭვინთა) და ა.შ.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საქართველოში უკვე მოქმედებდა მონათმფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ელინურმა ცივილიზაციამ.

IV საუკუნიდან მონათმფლობელობის წიაღში ფეოდალიზმი ჩაისახა. იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდაVI საუკუნეში.

V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში ქართლის სამეფომ დიდ სამეურნეო აღმავლობას მიაღწია. გაუმჯობესდა სამიწათმოქმედო ტექნიკა, დაიწყო რკინის გუთნის გამოყენება. დაიხვეწა შინამეურნეობის გაძღოლის წესები. შიქმნა ქართული არქიტექტურის უძველესი ნიმუშები. დაიწყო რკინის გუთნისა და რეგულარული სარწყავი სისტემების გამოყენება. საყოველთაოდ განთქმული იყო ქართული ფოლადის ნაკეთობები. ფართოდ გავრცელდა ვაზის კულტურის მრავალი სახეობა, მოგვიანებით ჩვენმა წინაპრებმა გამოიყვანეს ვაზის ხუთი ათასი ადგილობრივი ჯიში.

XII საუკუნეში ფეოდალურმა ურთიერთობებმა ეკონომიკური და კულტურული განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. აღნიშნულ პერიოდში შეიქმნა ტირიფონის, რუისის, ურბნისის, მუხრანის, ალაზნის, სამგორის და შიდა კახეთის სარწყავი არხები, გაღრმავდა შრომის დანაწილება (სპეციალზაცია) სულ უფრო მეტი შინამეურნეობა ფართოვდებოდა და ექცეოდა სავაჭრო ბრუნვაში. საუკეთესო საქონელი საზღვარგარეთ გადიოდა. იმ დროს საქართველო ითვლებოდა ევროპა-აზიის გავლენიან სახელმწიფოდ, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობები გააჩნდა ბიზანტიასთან, ეგვიპტესთან ერაყთან, სირიასთან, ირანთან, ინდოეთთან, რუსეთთან და ა.შ. საექსპორტო საქონელს შეადგენდა მაშინდელი საყოფაცხოვრებო ნივთები. აგრეთვე ბამბა და აბრეშუმი, ბეწვეული და ძვირფასი სამოსელი, ღვინო, თაფლი და ა.შ.

იმ დროს საქართველოში ფუნქციონირებდა ისეთი გაერთიანებები, როგორიცაა ხელოსანთა და ვაჭართა ასნაფები (ამქრები), რაინდობა და „ლაშქარნი“ სავანეებისა და მონასტრების ძმობანი და ა.შ. მსგავსი

გაერთიანებები წარმოადგენდნენ თვითმართველობის ორგანოებს, რომლის წევრები საერთო მიზმენით შეკავშირებული, საკუთარი და თანამოძმეების ყოფა-ცხოვრების მოწესრიგებას ცდილობდნენ. ყოველ ასეთ გაერთიანებას ჰყავდა „უხუცესად“ წოდებული თავჯდომარე. იგი უძღვებოდა თავისი ხელობის საერთო საქმეებსა და ხელისუფლების წინაშე თანამეხელობეთა ინტერესებს იცავდა.

თამარ მეფის დროინდელ სახელმწიფო მართვის სისტემას შემდეგი სახე გააჩნდა: მეფე ითვლებოდა ქვეყნის ერთმმართველად. მას ემსახურებოდა სათათბირო ორგანო-დარბაზი(დღევანდელი პარლამენტი) სასამართლო (I ვეზირი), გამგეობა ანუ პრეზიდიუმი (მცირე დარბაზი), ცალკეულ რეგიონებს განაგებდნენ ერისთავები, ციხისთავები და ხევისთავები. მამულებს-მამასახლისები. დარგობრივი მართვის სათავეში იდგა მანდარტუხუცესი II ვეზირი (დღევანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი), სამხედრო მინისტრი (ამირსპარსალარი) მეჭურჭლეთუხუცესი III ვეზირი (ფინანსთა მინისტრი), მის ფუნქციებში შედიოდა ასევე ვაჭრობა და ქალაქების მეურნეობის მართვა[1].

XIII საუკუნის დასაწყისში ეკონომიკური ურთიერთობები იმდენად განვითარებული იყო, რომ შეიქმნა პირობები საბაზრო ურთიერთობებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ჩასახვისათვის. მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპაში აღნიშნული ურთიერთობები მკვიდრდება ოთხი საუკუნის შემდეგ XVII საუკუნიდან. სამწუხაროდ საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირებას ხელი შეუშალა მონღოლების შემოსევებმა. სისხლისმღვრელმა ომებმა ქვეყანა ეკონომიურად დაასუსტა და შეამცირა.

XIV საუკუნიდან იწყება ხანმოკლე გამოცოცხლება გიორგი V ბრწყინვალეს მეფობის დროს გადაგდებულ იქნა მონღოლთა უღელი და აღდგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მაგრამ ამავე საუკუნის ბოლოდან იწყება თემურ ლენგის შემოსევები 1386-1403 წლების 8 ლაშქრობას მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეწირა. მტერი ანადგურებდა ნათესებს, კაფავდა ვენახებს, შლიდა სარწყავ არხებს, ხოცავდა პირუტყვს, ანგრევდა საცხოვრებელ სახლებს. ამ პერიოდიდან

[1] ბარათაშვილი ე, თაკალანძე ლ, აბრალავა ა, „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“, თბ 2007 გვ 712

იწყება საქართველოს ეკონომიკის ხანგძლივი დაქვეითება, რასაც მოჰ-ყვა ქვეყნის პოლიტიკურად დაშლა ცალკე სამეფოდ-ქართლის, კახეთის, იმერეთის, და სამცხე -სათაბაგოს სამთავროდ. XVI საუკუნეში აღნიშ-ნული პროცესი უფრო გაღრმავდა და დამოუკიდებელ ერთეულად ჩა-მოყალიბდა: ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები.

XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასის სასტიკმა შემოსევებმა კი-დევ უფრო დაასუსტა ქვეყანა. საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობის აქტიური ნაწილი -ხელოსნები და ვაჭრები.

საქართველოს ეკონომიკაზე დამანგრეველი გავლენა მოასხდინა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალთა და სპარსტა ბატონობამ. ერთ დროს ევროპა-აზიის შესაყარზე მდებარე გავლენიანი ქვეყანა, გვიან შუა საუკუნეებში, დაქუცმაცდა ცალკეულ სამთავროებად. დაუ-წერელი კანონის მიხედვით, როცა ქვეყანა ეკონომიკურად სუსტდება ის იშლება. მტრების მრავალჯერადი შემოსევები ანადგურებდნენ კულტურულ მემკვიდრეობას, მაგრამ მოსახლეობა მაინც ახერხებდა ქვეყნის თავიდან აღორძინებას. აღნიშნული მიუთითებს ჩვენს მოსახ-ლეობაში მეურნეობის (ბიზნესის) მართვის თანდაყოლილ ჩვევებზე.

ეკონომიკის აღმავლობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყე-ბა. ამავე პერიოდს განეკუთვნება ქართული ეკონომიკური აზრის გან-ვითარება.

1801 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლით, საქარ-თველომ შეიძლება ითქვას თავი დააღწია სამხრეთის ქვეყნების აგრე-სიას. მაგრამ დაკარგა დამოუკიდედბლობა და ფაქტიურად რუსეთის კოლონიად გადაიქცა.

თუ რუსეთში აგრარული რეფორმა ჩატარდა 1861 წელს, საქარ-თველოში 60-იანი წლების მეორე ნახევარში.[1] ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა საქართველოში შეენარჩუნებინა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობები. ცნობილი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის აზ-რით მაშინდელი „რეფორმა იყო მძარცველობისა და ყაჩაღობის, სი-ყალბისა და დანაშაულის დაკანონება“

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში, წინააღმდეგობ-რივად, მაგრამ თანდათანობით ფეხს იკიდებს საბაზრო ურთიერთობე-

[1] ნიკოლაძე ნ, რჩეული ნაწერები ტ 1. თბილისი „საბჭ საქართველო“ 1931, გვ 177

ბი. აღნიშნულს ხელი შეუწყო 60-იან წლებში, ბატონყმობის გაუქმებამ და საგლეხო რეფორმამ.

გამოჩნდენენ ე.წ. „წარმატებული“ ქართველი მეწარმეები. 1871 წელს ჰაიდერბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის დამთავრების და ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა დავით ბაქრაძე. მან თბილისში გახსნა არყისა და კონიაკის წარმოება და გახდა ამ სფეროში ყველაზე წარმატებული მეწარმე კავკასიასა და მთელ რუსეთის იმპერიაში. მოგვიანებით ამავე ბიზნეს ეწევა იაკობ ზუბალაშვილი, რომელმაც თბილისში ასევე დიდი ქარვასლა გახსნა. მასში შედიოდა 10 სავაჭრო მაღაზია, ღვინის სარდაფი და სასტუმრო 71 ნომრით, 1873 წელს მანვე, კავკასიაში პირველმა გახსნა შაქრის ქარხანა. დაწინაურდნენ აგრეთვე მისი ნათესავები სტეფანე, გიორგი და ანტონ ზუბალაშვილები, რომლებიც თბილისის კომერციული ბანკის უმსხვილესი აქციონერებიც გახდენე. საყოველთაოდ ცნობილია მათი საქველმოქმედო საქმიანობაც.

დავით სარაჯიშვილი 1884 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ფირმას, რომელიც ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა სახეობას აწარმოებდა. მისმა ნაწარმა პარიზისა და სხვა ცნობილ საერთაშორისო გამოფენებზე უამრავი მედალი და ჯილდო მოიპოვა. მან პირველად მოახდინა საკონიაკე სპირტის ფრანგული ტექნოლოგიით გამოხდა და მუხის კასრებში დაძველება. რუსეთის ბაზარზეც გავიდა და ღირსეულ კონკურენციას უწევდა ევროპიდან შემოტანილ სასმელებს. 1899-1913 წლებში სარაჯიშვილის პროდუქცია 14 მედლით დაჯილდოვდა, რომელთა შორის 8 ოქროსი იყო. ამ დროს მისი ნაწარმი რუსეთის ბაზრის 23% ფლობდა.

დავით სარაჯიშვილის ცხოვრების კრედო იყო „ყველგან და ყველაფერში უნდა იყო პატიოსანი ადამიანი. ეს უფრო მეტია ვიდრე იყო მილიონების პატრონი“ იგი მონაწილეობდა საქართველოში იმ დროს მიმდინარე თითქმის ყველა საქვეყნო საქმეში: ეკლესია -მონასტრების აღდგენა-რესტავრაცია, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა. მხოლოდ ახალგაზრდა თაობის სტიპენდიებისათვის ყველწლიურად 30 000 მანეთი ჰქონდა გამოყოფილი. გარდაცვალების შემდეგ (დაიღუპა 1913 წელს განუკურნებელი ავადმყოფობით) საკუთარი უძრავი და მოძრავი ქონების დიდი ნაწილი საქართველოს დაუტოვა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ი. ბაგრატიონ-მუხრანელის მეურნეობაში, სპეციალური ტექნოლოგიით ქართული ღვინო მასალებიდან დამზადებულ იქნა პირველი შამპანიური, რომელმაც მოგვიანებით საყოველთაოდ გაითქვა სახელი „ბაგრატიონის“ სახელწოდებით.

წარმატებულ ბიზნეს-საქმიანობას ეწეოდნენ აგრეთვე იაკობ, ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები, მიტროფონე ლაღიძე და სხვები.

იქმნებოდა რძის გადამამუშავებელი საწარმოები. განვითარდა ყველ-კარაქის წარმოება. ასევე თამბაქოს, ეთერზეთების, პურპროდუქტების, ხილეულის წვენების, მათ შორის ლაღიძის წყლების და ლუდის წარმოება.

ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, თბილისში ყოველთვის არსებობდა რეგიონში ცნობილი ბაზრები, რომლებიც იზიდავდნენ ევროპელ და აზიელ ვაჭრებს. მათ შორის აღსანიშნავია თათრის მოედნის ბაზარი, რომელიც არსებობდა XVIII საუკუნის დასაწყისიდან. აგრეთვე ავლაბრის ბაზარი, მაედნის ბაზარი. გარდა ამისა ყოველ კვირას თბილისის ცენტრალურ მოედანზე იმართებოდა საკვირაო ბაზრობა, სხვადასხვა გართობებისა და საცირკო სანახაობების ფონზე.

XIX საუკუნიდან თბილისში გამოჩნდა ქარვასლები (საქმიანი ეზო) პირველი ასეთი ქარვასლა იყო „ბატონიშვილების ქარვასლა“ სიონის ტაძრის გვერდით. იგი აერთიანებდა 62 სასტუმრო ოთახს, 30 სავაჭრო დუქანს, საწყობებსა და ღვინის სარდაფებს. მის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 15 სახელოსნო და გააჩნდა დიდი მოედანი ქარავნების მისაღებად.

1820 წელს გაიხსნა სარქისოვის ქარვასლა. 1923 წელს სარაჯიშვილის.

1830 წელს ჩამოყალიბდა „სოფლის მეურნეობის, მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წახალისების საზოგადოება“

1836 წელს დაარსა „ქართული ღვინის კომპანია“, როგროც სამეწარმეო სააქციო საზოგადოება.

1867 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ხელოსანთა გამგეობა, რომელიც იხილავდა ხელოსანთა პრობლემებს, მოსახლეობის საჩივეებს. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოსა და შეკვეთის დათქმულ ვადაზე შუსრულებლობისათვის აწესებდა საჯარიმო სანქციებს.

შთამბეჭდავი იყო ადელხანოვის ფირმების მიღწევები. იგი აწარმოებდა ტყავს, ფეხსაცმელსა და ჩულეულს. მოიხმარდა ძიროთადად ადგილობრივ ნედლეულს. მზა ნაწარმი გაჰქონდა, როგორც რუსეთში ისე მთელს საიმპერიო სივრცეში.

ბამბეულის მოზრდილი სართავ-საქსოვი ფაბრიკა ეკუთვნოდა მირზოევს,რომელმაც სავაჭრო კაპიტალის უდიდესი ნაწილი სამრეწველო კაპიტალად აქცია. მისი ფაბრიკა აღჭურვილი იყო ინგლისური მანქანა დანადგარებით.

1871 წელს გაიხსნა პირველი რკინიგზა-ფოთი ზესტაფონის ხაზი. 1872 წელს ფოთი დაუკავშირდა თბილისს, ხოლო 1883 წელს ერთმანეთს დაუკავშირდა ბათუმი-თბილისი-ბაქო.

1875 წელს ილია ჭავჭავაძის ინიციატივით შეიქმნა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი.

1887 წლის ბოლოს თბილისში აშენდა პირველი ელექტროსადგური. შემოვიდა მსხვილი გერმანული კაპიტალი მოგვიანებით მსოფლიოში ცნობილი ფირმების „სიმენსის“ „ზინგერის“ „გელზენკირხერის“ და სხვების სახით.

1896 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი სინდიკატი „შავი ქვა“ რომელიც 200ზე მეტ ადგილობრივ მრეწველს აერთიანებდა. იხსნებოდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები.

XIX საუკუინის დასასრულს კაპიტალიზმი მყარად მკვიდრდება საქართველოში. იწყება შავი ზღვისპირეთის საკურორტო რესურსების ათვისება.

XX საუკუნის დასაწყისში მომრავლდა შემსყიდველ ვაჭართა ფენა.

მსხვილი სამრეწველო წარმოებიდან აღსანიშნავია ქვანახშირისა და მარგანეცის საწარმოები. ჭიათურის მარგანეცის საბადოებში უცხოური ინვესტიციები პირველად ჩაიდო 1900 წელს. იქ მოპოვებული მანგანუმის 92-99% ინგლისში, გერმანიაში აშშ, საფრანგეთსა და ბელგიაში გადიოდა. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ჭიათურაზე მოდიოდა მარგანეცის მსოფლიო მოპოვების 45,5%, რაც მსოფლიო ექსპორტის 47% შეადგენდა.

ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება 1840 იანი წლებიდან დაიწყო, მისი მომხმარებლები იყვნენ საქართველოს რკინიგზა. შავი ზღვის ფლოტი და მოსახლეობა. თუ 1880 -იან წლებში ერთი მუშის საშუალო

წლიური მწარმოებლურიობა 2 700 ფუთ ქვანახშირს შეადგენდა. 1913 წლისათვის 7000 ფუთამდე გაიზარდა.

თუ 1898 წელს მრეწველობაში 16 ათასი მუშა მუშაობდა 1902 წელს მათმა რიცხვმა 21 ათასს გადააჭარბა.

XIX საუკუნეში ამქრების საზოგადოებებში გაერთიანებული იყვნენ კალატოზები, ხუროები, დურგლები. ხარაზები, ზეინკლები, მრღებავები. აღნიშნული საზოგადოებები ინარჩუნებდნენ საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ წეს-ჩვეულებებს. კურთხევისა და დალოცვის რიტუალებს. გააჩნდათ საკუთარი წესდება, სიმბოლიკა და გერბი. დღესასწაულები და მფარველი წმინდანები. დაწესებული ჰქონდათ ხელოსნად კურთხევის სამი საფეხური: შეგირდი-ქარგალი-ოსტატი (ე.წ. „უსტაბაშის ინსტიტუტი)

1918-1921 წლები იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის სამი წელი. ამ პერიოდში განხორციელდა აგრარული რეფორმა და გლეხობისათვის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა. მაგრამ 1921 წლის თებერვალში უკვე „წითელმა“ რუსეთნმა კვლავ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

1921-1991 წლებში საქართველოში ჩატარდა სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების მცდელობის ექსპერიმენტი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობამ შესანიშნავად აუღო ალღო. საბჭოთა პერიოდში კერძო საკუთრება, მეწარმეობა, აკრძალული იყო და სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულებრივ საქმიანობად ითვლებოდა. მაგრამ, საქართველოში ის მაინც არსებობდა თუმცა ჩრდილოვან ფორმებში.

საბჭოთა საქართველოს დროს არსებული „კვაზისაშუალო კლასი“ შედგებოდა პარტიულ სამეურნეო ნომენკლატურებისაგან, ე.წ. „ელიტარული ინტელიგენციისა“ და მეწარმეებისაგან. აკრძალვის მიუხედავად მაინც არსებობდა მეწარმეთა ფენა ე.წ. „ჩრდილოვანი მეწარმეები „საბჭოთა საქართველოში 1970-80 იან წლებში, კერძო ბიზნესის ჩრდილოვან ფორმებში არსებობამ, ჩამოაყალიბა „ჩრდილოვანი მეწარმის“სპეციფიკური ტიპი, რომელიც არ იხდიდა გადასახადს. კორუფციისა და ჩრდილოვანი კავშირების დახმარებით იყენებდა სახელმწიფო რესურსებს - ნედლეულს, ენერგოშმცველებს, წარმოების საშუალებებს და ა.შ.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირში დაიწო ე.წ. გარდაქმნა. 1987 წელს მიღებული კანონით „სახელმწიფო საწარმოს(გაერთიანების) შესახებ“ მწვანე შუქი აენთო მეწარმეობის განვითარებას. თავდაპირველად გავრცელდა საიჯარო ურთიერთობები, სოფლის მეურნეობაში -ფერმებზე და ბრიგადებზე. საყოფაცხოვრებო მომსახურებაში-მცირე სავაჭრო საწარმოებზე, კაფეებზე და ა.შ. იმავე 1987 წელს ძალაში შვიდა კანონი „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ რომელიც ხსნიდა შეზღუდვებს თვითდასაქმებაზე. 1988 წელს მიიღეს კანონი „კოოპერაციის შესახებ“ რითაც შიქმნა კოოპერატივების სამეურნეო დამოუკიდებლობასა და თვითმართველობის იურიდიული პირობები. მათ უფლება ეძლეოდათ შეხედულებისამებრ გაეწიათ ხარჯები. ჰქონდათ საკუთარი ანგარიში ბანკში და ა. შ. შედეგად კოოპერატივები (მათში დასაქმებულთა რიცხვი) მაღალი ტემპით იზრდებოდა. სამეურნეო ეფექტიანობაც 7-8 ჯერ აღემატებოდა ანალოგიურ დარგში სახელმწიფო სექტორების მაჩვენებელს. ზედაპირული ანალიზით მიმდინარეობდა გარდაქმნის დადებითი პროცესი. მაგრამ მთავარი იყო ის, რომ კოოპერატივების უმრავლესობა ძირითადად მის სახსრებს იყენებდა. აღნიშნულმა სტიმული მისცა ჩრდილოვანი ურთიერთობების სახეშეცვლილ გამოვლინენებებს. ახალ მეწარმეებში კვლავ შენარჩუნდება მომხმარებლური ფსიქოლოგია.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპები სრულიად განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს მეწარმეს. საჭიროა:

- არა მხოლოდ პროდუქციის წარმოება, არამედ მისი რეალიზაცია (ამისთვის ის უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რომ გაუძლოს კონკურენციას);
- არ შეასრულოს „ზემოდან“ ნაკარნახევი გეგმიური დავალება, არამედ თავად ააწყოს ბიზნესი და უზრუნველყოს საკმაო მოგება;
- არ ელოდოს, მოითხოვოს „იჩალიჩოს“ ფონდებისა და მატერიალური სახსრების გამოყოფისათვის არამედ შეიძინოს ისინი ბაზარზე;
- არ დაელოდოს, თუ როდის მიაწვდიან ახალ ტექნიკას, ტექნოლოგიებს,არამედ თავად მოიძიოს;
- არ დაემალოს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს არამედ მუდმივად იყოს საქმის კურსში, თუ რა სიახლეა მის სფეროში;

- არ შეიზღუდოს თანამშრომელის ანაზღაურების მაქსიმალური განაკვეთით, არამედ ყოველნაირად წაახალისოს, ვინაიდან ამაზე იქნება დამოკიდებული მისი შრომისნაყოფიერება;
- არ გადაიტანოს პასუხისმგებლობა სხვაზე არამედ თავად აგოს პასუხი ყველაფერზე.

აღნიშნულ რეალიებს ქართველი მეწარმეების უმრავლესობა მოუმზადებელი შეხვდა.

1991 წლიდან დაიწყო დამოუკიდებელი ეკონომიკის მშენებლობა, მაგრამ საქართველოს სპეციფიკის გაუთვალისწინებლობამ და მოუმზადებელმა რეფორმებმა, ქვეყანა მოაქცია უმწვავეს ეკონომიკურ კრიზისში. ვინაიდან ვერც დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური გარემო უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენციის დაცვას. საღი აზრი მეწარმეებს კვლავ ჩრდილოვანი ბიზნესისკენ უბიძგებს. ქართულ ეკონომიკაში ლეგალურობის ფასი ბევრად მაღალია, ვიდრე არალეგალურობის, ანუ გადასახადების კეთილსინდისიერად გადახდისა და ბიუროკრატიულ პროცედურებზე გაწეული დანახარჯები მეტია, ვიდრე კორუფციის დახმარებით დასჯის რისკისა და „ჩრდილოვანი გადასახადები“ უკან არ უბრუნდება ის სიკეთეები, (კეთილმოწყობილი გზები, უფასო სამედიცინო მომსახურება, განათლება და ა.შ.), რომლებიც მას ეკუთვნის როგორც საზოგადოების სრულფასოვან წევრს. შედეგად იკარგება სტიმული გადასახადების კეთილსინდისიერად გადახდისა და პიროქით, ძლიერდება შემოსავლების დამალვის ფსიქოლოგიური მოტივაცია, როდესაც ხელისუფლება ვერ იცავს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის კეთილდრეობას და სამართლიანობის პრინციპების დაცვას იგივეს აკეთებს მეწარმე(საზოგადოება)

მეწარმეობის განვითარება საქართველოში ხუთ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. მონათფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან დაწყებული XIX საუკუნემდე. ტრადიციული ეკონომიკური სისტემის პირობებში არსებობდა ძირითადად წვრილი ხელოსნების, ვაჭრობისა და მევახშეობის სახით;

2. XIX საუკუნე და XX საუკუნის 20-იან წლებამდე. აღნიშნული პერიოდი მოიცავს მეწარმეობის აღმავლობის პერიოდს. ფართოდ გან-

ვითარდა წვრილი წარმოება. მანუფაქტურები შეცვალა ფაბრიკა-ქარხნებმა;

3. 1921-1991 წწ საბჭოთა ეკონომიკური სისტემის პირობებში მეწარმეობა აკრძალული იყო. თუმცა რეალურად არსებობდა ჩრდილოვან ფორმებში;

4. 1991-2003 წ.წ. გარდამავალ პერიოდში პრივატიაციისა და რადიკალური პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმების ფონზე წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა, ძირითადად ისევ ჩრდილოვან ფორმებში;

5. 2003 წლიდან დღემდე. სტაბილურობა ერთი შეხედვით დამყარდა მაგრამ ბიზმნესის მასიურად განვითარება სამწუხაროდ არ ხდება.

მაშასადამე, ქართულ მოსახლეობაში არსებობს მეწარმეობის განვითარების რეალური შესაძლებლობები, როგორც მორალურ-ფსიქოლოგიური ისე ისტორიული. მეურნეობის გაძღოლის ჩვევები და ტრადიციები უნიკალური ფენომენია და როგროც პრაქტიკა ადასტურებს მათ ცვლილებაზე ნაკლებ გავლენას ახდენს პოლიტიკური და სხვა ხასიათის ფაქტორები. ამასთან, ისინი ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან შეგუების მაღალი უნარით გამოირჩევიან. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ყველა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის და პოლიტიკური ვითარების პირობებშიც არ ჩამკვდარა ჩვენს მოსახლეობაში თავისუფალი მერწარმეობისაკენ, შემოქმედებითი, ინდიავიდუალური მეურნეობისაკენ მისწრაფება.

16.2. ბიზნესის ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში

უკეთესი ცხოვრებისაკენ, შემოსავლების
გამრავლებისკენ სწრაფვა ბუნებრივი პროცესი და
ეკონომიკური ლოგიკით ნაკარნახევი საბოლოო მიზანია

ბიზნესი ფუნქციონირებს გარკვეულ პირობებში, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან სამეწარმეო გარემოს. აღნიშნული წარმოადგენს სხვადასხვა ფაქტორების (ობიექტური და სუბიექტური) ნაკრებს, რომელიც საშუალებას აძლევს მეწარმეს მოახდინოს დასახული მიზნების

რეალიზაცია. ბიზნეს გარემო არის ქვეყანაში ფორმირებული კეთილ-სასურველი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი და კულტურულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ბაზრის მონაწილე სუბიექტებისათვის უზრუნველყოფს ბიზნესის წარმართვის თავისუფლებას.

როგორეც ინტეგრირებული და რთული სისტემა ბიზნეს გარემო იყოფა შიდა და გარე გარემოდ. გარე გარემო არაა დამოკიდებული მეწარმეზე. იგი მოიცავს:

- ეკონომიკურ მდგომარეობას ქვეყანაში და რეგიონში;
- პოლიტიკურ სიტუაციას;
- სამართლ;ებრივ სივრცეს;
- სოციალურ-კულტურულ გარემოს;
- მეცნიერულ-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სფეროს;

შიდა გარემო მოიცავს:

- საჭირო ოდენობის საკუთარი კაპიტალის არსებობას;
- ფირმის ორგანიზაციოულ-სამართლებრივი ფორმის სწორ არჩევანს;
- მოღვაწეობის სფეროს და პარტნიორების სწორ შერჩევას;
- ბაზრის შესწავლას და მარკეტინგული კვლევების პროფესიონალურად წარმართვას;
- კადრების შერჩევას და პერსონალის მართვას;
- კომერციული საიდუმლოების უსაფრთხოებას და ა.შ.

ბიზნესზე მოქმედებს შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები: შიდა ინფლაციის და უმუშევრობის დონე; ინვესტიციების დინამიკა; კრედიტების მისაწვდომობა; გადასახადების განაკვეთები და ა.შ. გარე-სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა, სავალუტო კურსი, მსოფლიო ბაზრის კონიუქტურა დაა.შ.

მცირე ბიზნესის წილი საქართველოს საერთო გამოშვებაში 6.6%-ია და 6 ჯერ ჩამორჩება ევროკავშირის შესაბამისი მაჩვენებელი (40%) საშუალო ბიზნესის წილი 9,2%-ია ევროკავშირში 18%.საწინააღმდეგო შემთხვევასთან გვაქვს საქმე მსხვილ ბიზნესში. თუ საქართველოში

აღნიშნული მაჩვენებელი 84%ია, ევროკავშირში ამის ნახევარია[1] აღ-ნიშნული ეკონომიკის მონოპოლიზაციაზე და მის არაეფექტურ სტრუქტურაზე მიუთითებს.

საერთაშორისო ანალიტიკური სააგენტოს „კონტროლ რისკ გრუ-პის“ მიერ გამოქვეყნებული 2007 წლის „რისკების შეფასების რუკაზე“ საქართველო მაღალ ბიზნეს და საშუალო პოლიტიკური რისკების მქონე ქვეყნების რიცხვში მოხვდა. დაბალის რისკის მქონე ქვეყნებია: ნორვეგია, ფინეთი, სინგაპური, აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი. საშუა-ლო რისკის მქონე: ესტონეთი, ლიტვა, შვედეთი, ჩინეთი და ა.შ. მაღა-ლი რისკის ქვეყნებია: ეთიოპია, შრი-ლანკა, სომალი, ერაყი, ტაჯიკე-თი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდავეთი, რუსეთი და ა.შ.[2]

მცირე ბიზნესის მაშტაბების განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუ-მებია: დასაქმებულების რაოდენობა და ბრუნვის მოცულობა, გაეროს კლასიფიკაციით წვრილ მეწარმედ ითვლება 10-მდე დასაქმებული, მცირედ 10-100, საშუალოდ 101-500. მსხვილად 500-ზე მეტი. აშშ-ში არის 4,5 მილიონი მცირე ფირმა, 7,5 ინდივიდუალური საწარმო

საქართველოში ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყ-ნებში, მცირე საწარმოთა შექმნის სამი გზა არსებობს: პრივატიზა-ცია, მსხვილი სახელმწიფო საწარმოს დანაწევრება და მეწარმის პირა-დი ინიციატივა.

მცირე საწარმოები გავრცელებულია საცალო ვაჭრობაში, საზო-გადოებრივ კვებაში. მათ რიცხვს განეკუთვნება საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ავტომობილების სარემონტო სახელოსნოები, სამშენებ-ლო-სარემონტო სამუშაოები, საშუამავლო ფირმები და ა.შ. მეწარმეო-ბის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორ-მებია: ინდივიდუალური საწარმო, შეადგენს საერთი რიცხვის 52%-ს; შპს 32,5%-ს დანარჩენი (სააქციო და სოლიდური პასუხისმგებლობის

[1] არჩვაძე ი., საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკუ-რი მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი, ჯურნალი სოციალური ეკონომიკა 2010, ნომერი 1 გვ8-13

[2] ცაავა, გ. აბრამია თ, ცაავა დ, რისკოლოგია. ფინანსური და საბანლო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, თბ 2007 გვ 567.

საზოგადოებები, კოოპერატივები და ა.შ.) 15,5% მათგან 93,3% კერძო საკუთრებაშია, 6,6% სახელმწიფო საკუთრებაში[1]

საქართველოს მკვეთრად უარყოფითი ექსპორტ-იმპორტის ბალანსი გააჩნია. იმპორტის წილი შიდა მოხმარებაში 68-70%-ია. მნიშვნელოვანი პრობლემაა კონტრაბანდა, რომელიც ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას. ადგილობრივი მეწარმე კონკურენციას ვერ უწევს იაფფასიან, დაუბეგრავად შემოტანილ პროდუქციას.

მნიშვნელოვანი პრობლემაა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და კერძო ინტერესი, ხელისუფლება ვერ გამოდის საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტად. ზოგჯერ კი პირიქით თავად მიმართვას მის ხელახალ გადანაწილებას.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მდიდარი გამოცდილება არსებობს,[2] მისი საქართველოს პირობებთან ადაპტაციისათვის, საჭიროა მოხდეს გადასვლა, კონცეპტუალურ საფუძველზე დამყარებულ მცირე ბიზნესის მხარდამჭერ, შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და განვითარება;
- საგადასახადო შეღავათების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ლეგალური ბიზნესის განვითარებას;
- შეღავათიანი მიზნობრივი დაკრედიტება, ფინანსური დახმარების პროგრამები, ბიზნესის დაწყების, გაფართოებისა და მოდერნიზაციისათვის. მოწყობილობის და ნედლეული შესაძენად და ა.შ.
- უმუშევრობისადმი დახმარების სახელმწიფო პროგრამები, სტიმულს აძლევს მსურველებს საკუთარი საქმის დაწყებაში;
- მცირე ფირმების ინოვაციური მოღვაწეობის და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განვითარების პროგრამები;
- რეგისტრაციის და ლიცენზიების გამარტივებული წესის შემოღება;
- საჭირო ინფორმაციის შეგროვება, შენახვა ანალიზი და პროგნოზირება;

---

[1] ერქომაიშვილი გ, ფირმის ეკონომიკა, თბ 2005 გვ 312.

[2] ოთინაშვილი რ. ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის, ანტიკრიმინალური ასპექტები. თბ სტუ, 2005. გვ 440

- სანედლეულო მატერიალურ-ტექნიკურ და სხვა სახის რესურსებთან მისაწვდომობის შეღავათიანი პირობების შექმნა;
- თანამშრომლების და ხელმძღვანელობის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაში დახმარება;
- მომზადება სასწავლო კურსების, საინფორმაციო ბიულეტინების, მეთოდური გამოცემების გამოკვლევების ჩატარება ბიზნესის მართვის პრობლემებზე;
- სახელმწიფო შესყიდვები და მხარდაჭერა სახელმწიფო კონტრაქტების მიღებაში;
- მეწარმეობის ახალი დარგებისა და მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა;
- მცირე ბიზნესის განვითარების რეგიონული ცენტრების ფართო ქსელი ცენტრალური, ადგილობრივი რესურსების კოორდინაციისათვის;
- დახმარება საგარეო-ეკონომიკური მოღვაწეობის განხორციელებაში საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში: ექსპორტ -იმპორტის, სამეცნიერო-ტექნიკურ, უცხოური ინვსტიციების მოზიდვაში მხარდაჭერა;

ბიზნესის შექმნა, ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია. ზოგიერთი ბიზნესი ვერ უძლებს კონკურენციულ ბრძოლას. ზოგიერთი პირიქით აფართოებს საქმეს. ამიტომ ეკონომიკურ აგენტებს უხდებათ ხშირად შერწყმა ან დანაწევრება.

საქართველოში ბიზნესის კეთების კუთხით 2020 წელს საქართველო 190 ქვეყანას შორის მე-7 ადგილზე გავიდა და ქვეყნის სარეიტინგო ქულა 83,7 შეადგინა[1].

2022 წლის 1 იანვრიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი ამოქმედდა. ახალი კანონი სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა დაფუძნების, რეგისტრაციის საკითხებსა და პროცედურებს მოაწესრიგებს.

კანონიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ნოემბრის N791 ბრძანებით დამტკიცდა სამეწარმეო სა-

[1] ქოქრაშვილი ქ, სამეწარმეო სამართალი, თბ, სტუ 2007 გვ 348.

ზოგადოებების სტანდარტული წესდებები, რომელთა გამოყენება საწარმოს სურვილის შესაბამისად შეეძლება.

ახალი რეგულაციებით, 2022 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ სუბიექტებს განესაზღვრათ 2 წლის ვადა სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

16.3. კლასტერების არსი,მათი სახეები და როლი ეკონომიკაში

მესამე ათასწლეულის დასაწყისში თვალსაჩინო გახდა სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების რადიკალური ტრანსფორმაცია, გლობალიზაციის შედეგად, წარმოების ფაქტორები უფრო მობილური გახდა, გაძლიერდა და ქვეყნებს შორის კონკურენცია, გაქრა ბევრი ტრადიციული დარგი და გაჩნდა ახალი დარგთაშორისი სტრუქტურები, ამიტომაც განვითარებისა და კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად მთავარი ხდება კომპანიებს შორის ურთიერთკავშირები, რამაც დასაბამი მისცა ახალ ქსლურ სტრუქტურებს - კლასტერებს.

კლასტერული პოლიტიკა წარმოადგენს ახალ მიმართულებას ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაში.

საქართველო ვერ იქნება შორს ამ პრობლემებისაგან იმდენად, რამდენადაც კლასტერული მიდგომის წანამძღვრები ქვეყანაში არსებობს. ეს იმას მოწმობს, რომ საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვადასხვა ქვეყნებისათვის ფრიად აქტუალურია კლასტერული მიდგომის გამოყენება საწარმოების, რეგიონებისა და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნებისათვის.

ე.წ. ახალი ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს იმას, რომ სამრეწველო სტრუქტურის სრულყოფა, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება შესაძლოა ძალზე ეფექტური აღმოჩნდეს წვრილ და საშუალო კომპანიებთან წამყვანი მწარმოებლების სუბკონტრაქტული ურიერთიერთობების დივერსიფიცირებული სისტემების არსებობის პირობებში. ეს უკანასკნელი თავიანთ თავზე იღებენ ცალკეული კვანძებისა და კომპონენტების კონსტრუირების და წარმოების მთელი რიგი წვრილი სპეციალიზირებული ამოცანების გადაწყვეტას.

თანამედროვე ინდუსტრიულ კომპლექსში ინტეგრირებული წვრილი მრეწველობა მისი მოდერნიზაციის ფაქტორი ხდება. იგი ასევე ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაზე ორიენტირებული საწარმოო კლასტერების ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს,არა მარტო ექსპორტის განვითარებას, არამედ იმპორტ ჩანაცვლების ზრდასაც, რაც არსებითად ცვლის მცირე ბიზნესის როლს საზოგადოების ეკონომიკურ სისტემაში. მცირე საწარმოები წარმოადგენს არა მხოლოდ მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ უპირველეს ყოვლისა წარმოების რესტრუქტურიზაციის, მისი კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორს.

კლასტერი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული კომპანიების: მოწყობილობათა მიმწოდებლების, მაკომპლექტებელი, სპეციალიზებული მომსახურების, ინფრასტრუქტურის, ასევე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების და სხვა ორგანიზაციების გეოგრაფიულად ლოკალიზებულ ურთიერთშემავსებელ ჯგუფს, რომელიც აძლიერებს ცალკეული კომპანიებისა და მთლიანობაში კლასტერის კონკურენტულ უპირატესობებს.[1]

კლასტერის ცნება დასავლურ ლიტერატურაში, კერძოდ კი ეკონომიკურ თეორიაში შემოღებულ იქნა მაიკლ პორტერის მიერ: „კლასტერი – ეს „არის განსაზღვრულ დარგებში გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზებული მომწოდებლების, მომსახურების მომწოდებლების შესაბამის დარგებში მომუშავე ფირმებს, ასევე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფები (მაგალითად, უნივერსიტეტების, სტანდარტიზაციის სააგენტოების, აგრეთვე სავაჭრო გაერთიანებების), რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, მაგრამ, იმავდროულად ეწევიან ერთობლივ საქმიანობას.[2]

ამრიგად, კლასტერად ჩამოყალიბებისათვის გეოგრაფიულად მოსაზღვრე ურთიერთდაკავშირებული კომპანიები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ განსაზღვრულ სფეროში, აერთიანებდეთ ერთობლივი საქმიანობა და ავსებდნენ ერთმანეთს.

---

[1] Рудневаб П. С. Опыт создания структурных кластеров в развитых странах 2007. №18

[2] Портер, М. Конкуренсия М.Издат дом „Вильямс“ 2003

ტერმინი „კლასტერი“ ეკონომისტებს შორის პოპულარული გახდა 1980-იან წლებიდან. ამჟამად კლასტერული მიდგომის გამოყენება განიხილება, როგორც ტერიტორიების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა.

არსებობს კლასტერების სამი სხვა ვრცელი განმარტება თვითეულ მათგანში ხაზი გასმულია მათი ფუნქციონირების ძირითად ნიშნებზე:

6. მონათესავე სექტორების შიგნით ეკონომიკური აქტივობის რეგიონულად შეზღუდული ფირმები, რომლებიც, ჩვეულებრივ მიმაგრებულია ამა თუ იმ სამეცნიერო დაწესებულებებზე (სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებზე, უნივერსიტეტებზე და ა.შ.);

7. ვერტიკალური საწარმოო ჯაჭვი, სექტორთა ვიწრო წრე, რომელშიც საწარმოო პროცესის მომიჯნავე ეტაპები წარმოქმნიან კლასტერის ბირთვს (მაგალითად, ჯაჭვი „მიმწოდებელი-მწარმოებელი-გამსაღებელი-კლიენტი“) ამავე კატეგორიაში ხვდება სათაო ფირმების ირგვლივ შექმნილი ქსელები;

8. მრეწველობის დარგები (მაგალითად, „ქიმიური კლასტერი“) ან სექტორების ერთობლიობა აგრეგაციის უფრო მაღალ დონეზე (მაგალითად, „აგროსამრეწველო კლასტერები“)

სისტემური მიდგომის პოზიციიდან გამომდინარე, კლასტერი -ეს არის განსხვავებულ დარგებში მომუშავე სამეურნეო საქმიანობის ურთიერთდაკავშირებული სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურაში და ერთობლივად ფუნქციონირებენ განსაზღვრული მიზნით. რამდენიმე დამოუკიდებელი მეურნე სუბიექტებისაგან ეფექტური ტექნოლოგიური ჯაჭვის ფორმირება სტრატეგიული ღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ გრძელვადიან დაბანდებებს მათ რეალიზაციაში და შესაძლებელია, მხოლოდ მათი თვითორგანიზაციის საშუალებით, აღნიშნული

პოტენციური სისტემის შიგნით და გარეთ შექმნილი წინამძღვრების ურთიერთქმედების შედეგად. ასეთმა ურთიერთქმედებამ შეიძლება დამატებითი მოგება მოუტანოს თითოეულ სუბიექტს, სტიმული მისცემს ფუნქციონირების ერთიანი სისტემის შექმნას, უწყვეტი მთლიანი სისტემის უზრუნველყოფას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის კატეგორიული განვითარება-ეს არის ბიზნესის განსაზღვრული ინსტრუმენტი. საბაზრო ეკონომიკაზე

ორიენტირებული საზოგადოება თავისი მეურნე სუბიექტებისათვის საქმიანობის წესებს აყალიბებს კანონების, მხარდაჭერის ინსტიტუტების და ა.შ. მეშვეობით ამიტომაც მოცემული წესების ფარგლებში არსებული კლასტერი სხვა არა არის რა, თუ არა განსაზღვრული სახით ორგანიზებული სივრცე, რომელიც წარმატებით განვითარების საშუალებას აძლევს მსხვილ ფირმებს,\მცირე საწარმოებს, მომწოდებლებს, ინფრასტრუქტურის ობიექტებს, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს, უმაღლეს სასწავლებლებს და სხვა ორგანიზაციებს. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც რომ, კლასტერში უპირველესად მიიღწევა სინერგეტიკული ეფექტი, იმდენად რამდენადაც კონკურენტი საწარმოების მონაწილეობა ურთიერთმომგებიანი ხდება.

კლასტერები შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს, როგორც გრძელვადიანი კონტრაქტების საფუძველზე რესურსებისა და სპეციფიკკური უპირატესობების ეფექტიანი გამოყენების გზით სამეწარმეო პროექტების ერთობლივი რეალიზაციისათვის გაერთიანებული ამა თუ იმ ბაზრის მონაწილე ფირმების ჯგუფები. ისინი უპირატესად იყენებენ ჰორიზონტალურ კავშირებს, სპეციალიზაციას და ავსებენ ერთმანეთს, რითაც აახლოებენ უფრო მაღალი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

კლასტერის განმასხვავებელი ნიშანია მიზნობრივი სამეწარმეო საქმიანობა. კლასტერის ფარგლებში ერთიანდება არა მხოლოდ წარმოებითი, არამედ ინოვაციური ბიზნესი, პროდუქციის ხარისხის კომპლექსური მართვა, სერვისული მომსახურება. უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერები ქმნიან პირობებს ინვესტიციების მოსაზიდად, რადგან მათი შექმნისათვის საჭირო ინიციატივა, ინოვაციები, ინტეგრაცია, ინტერესი - ინვესტორების მოზიდვის აუცილებელი პირობაა.

კლასტერული მოდელის დანერგვის მთავარი ამოცანაა მეწარმეთა ფსიქოლოგიის შეცვლა, საერთო ეკონომიკური მოგების მისაღებად კლასტერული გაერთიანების ყველა მონაწილის პატიოსანი, ღია და უთიერთმომგებიანი თანამშრომლობის შესაძლებლობის გაგება.

კლასტერი საწარმოთა შემადგენლობის თვალსაზრისით შეიძლება იყოს მრავალრიცხოვანი ან მცირე რიცხოვანი, ან მოიცავდეს დიდ და მცირე საწარმოებს სხვადასხვა თანაფარდობით იგი წარმოადგენს იმ „ასპარეზს“ სადაც ხორციელდება რეალური ურთიერთქმედება ადგი-

ლობრივ სამეწარმეო სტრუქტურებს, ასევე სამეწარმეო სტრუქტურებსა და სხვა ინსტიტუტებს შორის.

16.4. კლასტერების მახასიათებელი მაჩვენებლები

კლასტერის არსის განმარტების შემდეგ ყურადღება უნდა გავამახვილოთ და განვიხილოთ კლასტერებისათვის დამახასიათებელი მაჩვენებლები შეიძლება გამოიყოს კლასტერებისათვის დამახასიათებელი 12 მაჩვენებელი:

1. კვლევისა და განვითარების შესაძლებლობები;
2. სამუშაო ძალის კვალიფიკაცია;
3. შრომითი პოტენციალის განვითარება;
4. მომწოდებლების სიახლოვე;
5. კაპიტალის არსებობა;
6. სპეციალიზებული მომსახურების ხელმისაწვდომობა;
7. ურთიერთობები მოწყობილობების მომწოდებლებთან;
8. ასოცირებადი სტრუქტურები;
9. ქსელების ფორმირების ინტენსივობა;
10. სამეწარმეო ენერგია;
11. ინოვაციები და სწავლება;
12. კოლექტიური ხედვა და ხელმძღვანელობა.[1]

ყვლაზე განვითარებულ კლასტერებს გააჩნიათ ხუთი პრინციპული მახასიათებელი, რომელთაგან პირველი სამი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კლასტერების შექმნის სასტარტო წინამძღვარი.

1. კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა. კლასტერის განვითარების საკვანძო პირობა როგორც ბაზარზე ასევე თვით კლასტერში კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა. კონკურენტუნარიანობის ინდიკატორად შეიძლება განვიხილოთ: კლასტერში შემავალი კომპანიებისა,,და სექტორების მწარმოებლურობის შედარებით მაღალი დონე; პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მაღალი დონე; კომპანიების საქმიანობის მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები.

[1] Рудневаб П. С. Опыт создания структурных кластеров в развитых странах 2007. №18

2. კლასტერების განვითარებისათვის კონკრეტული უპირატესობის არსებობა რეგიონში. მაგალითად, მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა, ნედლეულის ხელმისაწვდომობა, სპეციალიზებული ადამიანური რესურსების მაკომპლექტებელი მომსახურების მომწოდებლების, სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მწარმოებელი სპეციალიზებული ორგანიზაციების, აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობა და სხვა ფაქტორები. ტერიტორიის კონკრეტული უპირატესობის ინდიკატორებად შეიძლება განხილულ იქნას: მოზიდული უცხოური ინვესტიციების შედარებით მაღალი დონე კლასტერში შემავალი საწარმოების ან სექტორების დონეზე.

3. გეოგრაფიული კონცენტრაცია და სიახლოვე – კლასტერების მთავარი მონაწილეები ერთმანეთთან გეოგრაფიულად ახლოს არიან განლაგებული და აქვთ აქტიური ურთიერთქმედების შესაძლებლობა, გეოგრაფიული მაშტაბი შეიძლება იცვლებოდეს კლასტერის ტიპიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე და მოიცავდეს ქვეყნის ერათ ან რამდენიმე რეგიონს. გეოგრაფიული კონცენტრაციის ინდიკატორებად შეიძლება განხილულ იქნას მოცემული რეგიონის სპეციალიზაციის მაღალი დონის განმსაზღვრელი სხვადასხვა მაჩვენებლები.

4. მონაწილეთა ფართო წრე და „კრიტიკული მასის“ არსებობა. – კლასტერი შეიძლება შედგებოდეს რეგიონის ფარგლებს გარეთ გასატანი საბოლოო პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი კომპანიებისაგან; მაკომპლექტებელ, მოწყობილობებისა და სპეციალიზებული მომსახურების მომწოდებლების; ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების; სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა მხარდამჭერი ორგანიზაციებისაგან, ინდიკატორებად შეიძლება განხილულ იქნას საწარმოებსა და კლასტერში შემავალ სექტორებში დასაქმების მაღალი დონის განმსაზღვრელი მაჩვენებლები, კლასტერში შემავალი კომპანიებისა და ორგანიზაციების ოდენობა.

5. კლასტერების მონაწილეებს შორის კავშირებისა და ურთიერთმოქმედების არსებობა. – კლასტერის განვითარებაში წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამუშაო კავშირებისა და კლასტერის მონაწილეებს შორის ძალისხმევის კოორდინაციის არსებობა, ეს კავშირები შეიძლება განსხვავებული ბუნების

იყოს სათაო კომპანიებსა და მომწოდებლებს, თვით მომწოდებლებს შორის ფორმალიზებული ურთიერთობების, მოწყობილობათა და სპეციალიზებული სერვისი მომწოდებლებთან თანამშრომლობის, კომპანიებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო კვლევითი და საცდელ -საკონსტრუქორო სამუშაოებისა და საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციაში თანამშრომლობის ჩათვლით.

კვლევის პროცესში მ. პორტერმა აღმოაჩინა, რომ ყველაზე კონკურენტუნარიანი ტრანსნაციონალური კომპანიები უსისტემოდ როდია მიმობნეული სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ ხასიათდება კონცენტრირების ტენდენციით. ეს იმით აიხსნება, რომ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიღწევის შემდეგ ფირმა ან ფირმათა ჯგუფი აფართოებენ თავიანთ დადებით გავლენას უახლოეს გარემოცვაზე: მომწოდებლებზე, მომხმარებელსა და კონკურენტებზე. გარემოცვის წარმატებები კი, თავის მხრივ გავლენას ახდენს მოცემული კომპანიის კონკურენტუნარიანობის შემდგომ ზრდაზე.

ამის შედეგად ყალიბდება კლასტერი – ფირმების, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული დარგების გაერთიანება, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მათგანის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

სარგებელი კლასტერში ვრცელდება კავშირების ყველა მიმართულებით;

- სხვა დარგებიდან მოსული ახალი მწარმოებლები აჩქარებენ თავიანთ განვითარებას, სტიმულს აძლევენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს და უზრუნველყოფენ აუცილებელ საშუალებებს ახალი სტრატეგების დასანერგად;
- ხდება ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა და სიახლეების სწრაფი გავრცელება მრავალრიცხოვან კონკურენტებთან კონტაქტის მქონე მომწოდებლების ან მომხმარებლების არხებით;
- კლასტერის შიდა ურთიერთკავშირები, ხშირად აბსოლუტურად მოულოდნელიც კი, აჩენს ახალ გზებს კონკურენციაში და ბადებს სრულიად ახალ შესაძლებლობებს;
- ადამიანური რესურსები და იდეები ქმნიან ახალ კომბინაციებს.

16.5. კლასტერი – კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინსტრუმენტი

კლასტერების შემოქმედებითი საქმიანობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი მონაწილეების უმრავლესობა უშუალოდ არ უწევს კონკურენციას ერთმანეთს, არამედ ემსახურება დარგის სხვადასხვა სეგმენტს. მათი შექმნა მეტად მნიშვნელოვანია განვითარების ინოვაციურ გზაზე ეკონომიკის გასაყვანად, რაც მოითხოვს ინოვაციური პროცესის იმ მონაწილეთა მუდმივ კონტაქტებს, ვინც სამეცნიერო კვლევების, საცდელ – საკონსტრუქტორო სამუშაოების და საწარმოო პროცესის კორექტირებას ახდენენ. ასეთ ურთიერთობას კორპორაციული ინტერესებით განპირობებული თავისებურებებიც გააჩნია, რომლებიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ორგანიზაციის ინოვაციურ ინტეგრაციას, მისი სიდიდის მიუხედავად საშუალო და მცირე ბიზნესი უფრო იოლად ეგუება კონიუქტურის ცვლილებას, რადგან ნაკლებადაა დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობასა და დონეზე, ხოლო მსხვილი ნაციონალური და ტრანსნაციონალური კომპანიები ქმნიან მსხვილ ფინანსურ რესურსებს გრძელვადიანი სტრატეგიული მანევრის უზრუნველსაყოფად.

ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მიდგომა კლასტერების კლასიფიკაციისადმი.

აჟამად ექსპერტები აღწერენ კლასტერების 7 ძირითად მახასიათებელს, რომელთა კომბინაციასაც ეყრდნობა ამა თუ იმ კლასტერული სტრატეგიის არჩევანი.

1. გეოგრაფიული: ეკონომიკური აქტივობის სივრცითი კლასტერების აგება ადგილობრივიდან დაწყებული (მაგალითად, მებაღეობა ნიდერლანდებში) და ჭეშმარიტად გლობალურით დამთავრებული (აეროკოსმოსური კლასტერი);
2. ჰორიზონტალური; რამდენიმე დარგი, სექტორი შეიძლება შედიოდეს უფრო მსხვილ კლასტერში (მაგალითად მეგაკლასტერების სისტემა ნიდერლანდების ეკონომიკაში);
3. ვერტიკალური: კლასტერებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს საწარმოო პროცესების მომიჯნავე ეტაპებს ამასთან, მნიშვნელოვანია ის, თუ ქსელის რომელი მონაწილეა ინოვაციების ინიციატორი და საბოლოო შემსრულებელი კლასტერის ფარგლებში;

4. ლატერალური: კლასტერში ერთიანდებიან სხვადასხვა სექტორები, რომლებიც ეკონომიას უზრუნველყოფენ მაშტაბის ეფექტის ხარჯზე, რაც ქმნის ახალ კომბინაციებს (მაგალითად მულტიმედიური კლასტერი);

5. ტექნოლოგიური: ერთი და იგივე ტექნოლოგიებით მოსარგებლე დარგების ერთობლიობა (მაგალითად ბიოტექნოლოგიური კლასტერი);

6. ფოკუსური: ერთი ცენტრის ირგვლივ თავმოყრილი ფირმების კლასტერი – საწარმოები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ან სასწავლო დაწესებულებები;

7. თვისებრივი: არსებითია არა მხოლოდ ის, ნამდვილად თანამშრომლობენ თუ არა ფირმები, არამედ ისიც თუ როგორ აკეთებენ ისინი ამას. ქსელი ყოველთვის ავტომატურად როდი ასტიმულირებს ინოვაციების განვითარებას. ხდება ხოლმე, რომ ქსელში პირიქით ახშირებენ ინოვაციურ პროცესებს და ახალისებენ თავდაცვით ქცევას.

კლასტერები დარგებს შესაბამისად განსხვავებულია ზომით, მოცულობით, განვითარების დონით კლასტერების ბუნება შესაძლებელს ხდის მათი საზღვრების ცვალებადობას ახალი კომპანიებისა და დარგების გაჩენის, ბიზნესის განვითარების და მისი განხორციელების პირობების ცვლილებების შესაბამისად.

კლასტერების და არა იზოლირებული კომპანიებისა და დარგების დომინირება მნიშვნელოვანია რეგიონული ეკონომიკისათვისაც, სადაც შეინიშნება ურთიერთდაკავშირებული დარგების მაღალი გეოგრაფიული კონცენტრაცია. კლასტერების განვითარების სტრატეგიების შემუშავებისა და რეალიზაციისას წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ბიზნესის ლიდერების აქტიური პოზიცია და პოზიტიიური პარტნიორობა რეგიონების სხვადასხვა სამეწარმეო ჯგუფების ინტერესებს შორის.

რეგიონში კლასტერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირობაა დარგების სპეციალიზაციის არსებობა. სპეციალიზაციაში იგულისხმება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ფორმა, რომელსაც ასახავს პროდუქციის ცალკეული სახეების ან მისი ნაწილების წარმოების თავმოყრას დამოუკიდებელ დარგებში, წარმოებასა და სპეციალიზებულ საწარმოებში.

რეგიონის ადმინისტრაციისათვის კლასტერი ყველაზე თანამედროვე, მოხერხებული ინსტრუმენტია სამრეწველო პოლიტიკაში; მეორეც, იგი კარგი ასპარეზია ბიზნესთან ურთიერთქმედებისათვის; მესამე, რეგიონულ ადმინისტრაციას აკისრია დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი სახსრები, დრო და ცოდნა. კლასტერული მიდგომა გვაძლევს ეფექტურ ინსტრუმენტებს ძირითადი ბიზნესის მისაღწევად. ეს მიზნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: რეგიონის შემოსავლიანობის ზრდა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა.

კოოპერაციის ჩვეულებრივი ფორმებისა და სუბიექტების კოორდინაციისაგან განსხვავებით, კლასტერული სისტემები ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1. ლიდერი საწარმოების არსებობით, რომლებიც განსაზღვრავენ მთელი სისტემის გრძელვადიან სამეურნეო, ინოვაციურ და სხვა სტრატეგიას;
2. კლასტერული სისტემის მონაწილე მეურნე სუბიექტების ძირითადი მასის ტერიტორიული ლოკალიზაციით;
3. კლასტერული სისტემის მონაწილე მეურნე სუბიექტების კოოპერაციული კავშირების მდგრადობიტ, მისი მონაწილეების უმრავლესობისათვის ამ კავშირების პრიორიტეტული მნიშვნელობით;
4. სისტემის მონაწილეთა ურთიერთქმედების გრძელვადიანი კოორდინაციით მისი ბიზნეს-პროგრამებისა და სტრატეგიული მიზნების ფარგლებში.

კლასტერი ხელს უწყობს კონკრეტული სამეურნეო ეფექტის მიღწევას და აძლიერებს ცალკეული კომპანიების და აქედან გამომდინარე, მთლიანად კლასტერის კონკურენტულ უპირატესობებს, კლასტერები დარგებზე უფრო ეფექტურად ამყარებენ მნიშვნელოვან კავშირებს. უზრუნველყოფენ დარგების ურთიერთშევსებას, ხელს უწყობენ ტექნოლოგიების, ჩვევების განვითარებას და ბიზნესის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას. საწარმოების სტრატეგიული მართვისათვის ეს კავშირები ფუძემდებლურია კონკურენტულ ბრძოლაში, ბიზნესის განვითარების მიმართულებების განსაზღვრაში.

ინოვაციების დანერგვაში, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში, საწარმოო დანახარჯების შემცირებაში და ა.შ.

კლასტერები ემსახურება შემდეგი მიზნების შესრულებას;

1. კლასტერის მონაწილეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე;

2. მიდგომების უნიფიკაციის ხარჯზე, დანახარჯების შემცირებას და შესაბამისი მეცნიერებატევადი მომსახურების ხარისხის ამაღლებას სინერგიის ეფექტსა და ხარისხში. ლოგისტიკაში, ინჟინერინგში, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ა.შ.

3. დასაქმების უზრუნველყოფას მსხვილი საწარმოების რეფორმირებისა და აუტსორინგის პირობებში;

4. კლასტერების მონაწილეთა ინტერესების კონსოლიდირებულ ლობირებას ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში.

ამრიგად, კლასტერის, როგორც მეურნეობრიობის ეკონომიკური ურთიერთქმედებისა და კავშირების ახალი ფორმის განვითარება ხელს უწყობს განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღწევას, რომელიც ვლინდება შემდეგ მიმართულებებში:

1. კომპანიებისა და ეკონომიკის სექტორების მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. უფრო მაღალგანვითარებულ კლასტერებში მომუშავე კომპანიები მეტად მწარმოებლურია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ კლასტერებში მომუშავეები.

2. ინოვაციური პოტენციალის ამაღლებაში. უფრო მაღალგანვითარებულ კლასტერებს მეტი ინოვაციური პოტენციალი გააჩნიათ, რაც გამოიხატება თუნდაც პატენტების რაოდენობაში;

3. ახალი კომპანიების სტიმულირებაში. განვითარებული კლასტერები ხელს უწყობენ ახალი მცირე და საშუალო კომპანიების წარმოქმნასა და განვითარებას;

4. რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკურ განვითარებაში. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. კლასტერების განვითარება დადებით გავლენას ახდენს რეგიონში დასაქმების დონესა და სტრუქტურაზე, ხელფასის დონეზე;

5. რეგიონში დასაქმების უზრუნველყოფაში, მისი სტრუქტურის გაუმჯობესებაში, ხელფასის გადიდებაში.

16.6. კლასტერების ფუნქციონირების საზღვარგარეთული გამოცდილება

კლასტერები იმპულს აძლევენ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების განვითარებას, ხელს უწყობენ ტერიტორიების ორგანიზაციის ახალი ქსელური რესურსის მობილიზებას, საფუძველს უყრიან ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას.

მსოფლიოში კლასტერის აქტიური განვითარება მიიჩნევა ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურ მიმართულებად.

მსოფლიოში კლასტერების აქტიური განვითარება მიიჩნევა ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურ მიმართულებად.

მეწარმეობის განვითარების კლასტერული კონცეფცია ფოკუსირდება რეგიონის კორპორაციულ სტრუქტურებს, საინვესტიციო, საშუამავლო, სამეცნიერო, სასწავლო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირებზე.

კლასტერული კონცეფციის არსი მდგომარეობს იმ რეგიონების კონსოლიდებული პოტენციალის რალიზაციაში, რომელთა ეკონომიკური ტერიტორია წარმოადგენს საფუძველს ევროპული თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხოლო რეგიონული ეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტა-ევროპული თანამეგობრობის საქმიანობის ერთერთ მთავარ მიმართულებას.

ევროკავშირში ყველანაირ ზომას მიმართავენ ევროპის მრეწველობის ინოვაციურობის ასამაღლებლად. ამ მიზნით, ზენაციონალურ დონეზე რეალიზებულ იქნა ინოვაციურ კლასტერებს შორის კოოპერაციის განვითარების რამდენიმე პროგრამა: ევროკავშირი კლასტერულ პოლიტიკას განიხილავს როგორც დარგებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის, ინოვაციური პოტენციალის ამაღლების, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს.

თავდაპირველად, ფირმათაშორისი თანამშრომლობისადმი უნიფიცირებული მიდგომა შემუშავებულ იქნა დანიაში 1989-1990 წლებში. 1992 წელს კლასტერებში გაერთიანებული იყო ქვეყნის ყველა ფირმის 40%, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ექსპორტის 60% -ს.

გერმანიაში ტერიტორიების განვითარებას ხელს უწყობს ფედერალური ორგანო, რომლის შესაბამისადაც მიწებს გააჩნიათ მეტი დამოუკიდებლობა და ახორციელებენ განვითარების საკუთარ პროგრამებს

თავიანთი სახსრებით. გერმანიაში მუშაობს სამი საუკეთესო კლასტერი და მაღალი ტექნოლოგიების შვიდი კლასტერი, რომელთაც მიღებული აქვთ საპატიო წოდება „XXI საუკუნის სილიკონის ველი“ – ეს არის მიუნხენი, ჰამბურგი, დრეზდენი.

კლასტერებმა იმპულსი მისცეს იმ ქვეყნების რეგიონების განვითარებას, რომლებიც იყენებდნენ მათ პრინციპებს. განვითარების შესამჩნევი ტემპი შეინიშნება ავსტრიის ეკონომიკაში, სადაც ამოქმედდა ტრანსასაზღვრო კლასტერები გერმანიასთან, იტალიასთან, შვეიცარიასთან, უნგრეთთან, გააქტიურდა კავშირები საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან. ინდუსტრიას ვერ ექნება მომავალი, თუ კი ის არაა საქმიან კავშირში მეცნიერებასტან, არ ავითარებს წარმოებას, მომარაგებასა და რეალიზაციას. კლასტერული მოდელის საფუძველზე რაციონალური და ეფექტენია განვითარების კონკრეტული მაგალითია ავსტრიაში და ავტოსამშენებლო ინდუსტრიის აღმავლობა. 2000 წელს, შტირიისა და ზემო ავსტრიის მიზების ორ კლასტერში კონცენტრირებულ საავტომობილო წარმოებაში მომუშავე 30000 პირმა გამოუშვა 8,1 მლრდ. დოლარის პროდუქცია, ანუ მთელი ქვეყნის წარმოების მოცულობის 10%-ზე მეტი.

ავსტრიაში გამოვლენილი 76 რეგიონული კლასტერი, სპეციალიზაციიდან გამომდინარე, პირობითად დაიყო 6 კატეგორიად: სამრეწველო, ტექნოლოგიურ, საგანმანათლებლო, საექსპორტო, შერეულ, მომსახურების სფეროს კლასტერებად.

ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზისადმი კლასტერული მიდგომა პოპულარული გახდა ფინეთში მას შემდეგ, რაც იგი პირველად გამოიყენეს 1991-1993 წწ. ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკის შესამუშავებლად.

გარდა ამისა, მოცემული პროექტის ფარგლებში ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ მოამზადა დირექტივები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნული სამრეწველო სტრატეგია, რამაც შესაძლებელი გახადა მაკროეკონომიკური რეგულირებიდან კლასტერების განვითარებაზე დაფუძნებულ სამრეწველო და ტექნოლოგიურად კონკურენტულ პოლიტიკაზე გადასვლა.

გაანალიზდა ყველაზე პერსპექტიული დარგები. კრიტერიუმები გახდა მდგრადი ექსპორტის არსებობა და უცხოური ინვესტიციების ნაკადი. განისაზღვრა „კლასტერული კარკასი“, რომლის შედგენას წინ უსწრებდა დიდი და შრომატევადი სამუშაო. შედგენილ იქნა სატყეო

მეურნეობის, ფერადი მეტალურგიის, ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციების, ეკოლოგიის, ჯანდაცვის, ტრანსპორტის, ქიმიის, მშენებლობის, სურსათის კლასტერული რუკები.

ფინეთის კლასტერების წამყვანი ფირმების რიცხვში შედის მთელი რიგი მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების საწარმოო და სერვისული ქვედანაყოფები, ისეთები როგორიცაა „Eriksson“, “ Siemens” “ Fujitsu”, “IBM”. მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ ფინეთში წარმოებებისა და კვლევითი ცენტრების შექმნა მიზნად ისახავს არა მხოლოდ მომხმარებლამდე მიახლოებას, არამედ მეტწილად ორიენტირებულია კვალიფიციური სამუშაო ძალის უპირატესობათა და ეროვნული სისტემის შესაძლებლობათა გამოყენებაზე.

სატყეო, საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური კლასტერები ფინეთის ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესია, ისინი უზრუნველყოფენ ექსპორტის ძირითად მოცულობას და ქმნიან მშპ-ის მნიშვნელოვან ნაწილს. სატყეო კლასტერის ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამამუშავებელი კომპანიები უკვე დიდი ხანია ახდენენ განვითარების გლობალური სტრატეგიის რეალიზაციას, აქტიურად იძენენ კომპანიებს საზღვარგარეთ და გააჩნიათ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შრომის მწარმოებლურობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მთელს მსოფლიოში.

თავის წიგნში „მესამე ტალღა“ ო. ტოფლერმა მათ უწოდა „XXI საუკუნის ტალღა”.

იტალიაში რეგიონული კლასტერების განვითარებისადმი ინტერესი ეყრდნობა ინდუსტრიული ოლქების განვითარების წარმატებულ გამოცდილებას. ეს რაიონები, რომლებიც უმთავრესად განლაგებულია ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში, ხასიათდება ფირმების, როგორც წესი, ტრადიციული დამამუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოების კონცენტრაციის მაღალი ხარისხით. ინდუსტრიულ რაიონებში გაერთიანებულ ფირმებს სტაბილურად გააჩნია უფრო მაღალი შემოსავლიანობა და მწარმოებლურობა, ვიდრე სხვა რაიონებში განლაგებულ ანალოგიურ საწარმოებს. 1981 წელს აღნიშნული რაიონები სთავაზობდნენ 900 ათას სამუშაო ადგილს და წარმოების აღნიშნულ სფეროში სამუშაო ადგილების 8,6%-ს.

იტალია კლასიკური მცირე ბიზნესის ქვეყანაა, სადაც ამჟამად 4 მლნ ფირმიდან მხოლოდ 2% მიიჩნევა მსხვილ საწარმოდ (მათში და-

საქმებულია 1000 და მეტი მომუშავე). სულ იტალიაში, ფუნქციონირებს 200 ინდუსტრიული ოლქი, რომელიც აერთიანებს 60 ათას საწარმოს მასში დასაქმებული 6000 ათასი ადამიანით. ინდუსტრიულ ოლქებში ფუნქციონირებს 1 მლნ-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილებით 4-6 მლნ. ადამიანს.

ინდუსტრიული ოლქების საწარმოები ამაღლებენ თავიანთ ტექნოლოგიურ დონეს, იწყებენ ექსპანსიას სხვა რეგიონებში. ასე მაგალითად, ხილის გადამუშავებიდან ისინი გადადიან კონსერვების წარმოებისათვის მოწყობილობების გადამუშავებაზე, გადამუშავების ფუნქციებს კი აკისრებენ სამხრეთის რეგიონებს. ფეხსაცმლის მწარმოებელი საწარმოები იწყებენ მისი წარმოებისათვის მოწყობილობების გამოშვებას. სამომხმარებლო ხასიათის პროდუქციის აწყობის ფუნქციები გადაეცემა მესამე ქვეყნებს.

საფრანგეთში სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო რთულად ხდებოდა მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე გადასვლა. რამდენადაც აქ ტრადიციულად ძლიერი იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო სექტორი, რომელშიც დასაქმებული იყო სამუშაო ძალის 25%. იწარმოებოდა პროდუქციის 30% და ექსპორტის ¼. 1995 წელს მიღებულ იქნა ტერიტორიების მოწყობისა და განვითარების პროგრამა. შეიქმნა ტერიტორიათა განვითარების მართვის ორგანიზაცია და მათი მოწყობის ფონდი. 1997-1999 წლების განმავლობაში შემუშავდა და დამტკიცდა საწარმოო კლასტერების სისტემით გაერთიანებული რეგიონების განვითარების პროგრამების 99 პროექტი.

ტრადიციული სამრეწველო სექტორები (მანქანათმშენებლობა, საფეიქრო, ხისდამამუშავებელი, ავეჯის წარმოება) ნერგავს ტექნიკურ სიახლეებს: ავტომატიზაციას, კომბინირებას, შეფუთვას, კადრების მომზადებას, ახალი წარმოებები ვითარდება მულტიმედიის სფეროში, მაკროელექტრონიკაში, ბიოტექნოლოგიაში. საწარმოები ურთიერთქმედებენ ლოზუნგით: „სისტემა მეტია, ვიდრე მასში შემადგენელი ელემენტების ჯამი“.

რეგიონული ინტეგრაციის განვითარება ხდებოდა დიდ ბრიტანეთშიც. 1990-იან წლების შუა ხანებში გადაიხედა სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტები. ამის შემდეგ ფორმირებულ იქნა ე.წ. საპროგნოზო ტექნოლოგიური პროგრამა. უკვე 10 წელზე მეტია შოტლანდია, უელსი,

ჩრდილოეთ ირლანდია და ინგლისის ჩრდილო აღმოსავლეთი წარმატებული რეგიონული დინამიური განვითარების დემონსტრირებას ახდენენ ავტომობილების, ელექტრონიკის, ქიმიკატების წარმოებაში და ზოგიერთ ტრადიციულ სექტორში. მაგალითად კვების პროდუქტებისა და სასმელების, ტანსაცმლისა და საფეიქრო ნაწარმის წარმოებაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადადგა, იყო ქვეყნის ყველა რეგიონული კლასტერის გამოვლენა და კარტოგრაფია. აღსანიშნავია ბრიტანეთის სამხრეთის კლასტერები მომსახურების სფეროსაკენ იხრებიან (პროგრესული უზრუნველყოფა,საქმიანი მომსახურება და ა.შ.) ჩრდილოეთის კლასტერები კი ძირითადად ვითარდებიან სასაქონლო წარმოების ბაზაზე. ლონდონი და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი გამორჩეულია ყველაზე მაღალკონცენტრირებული და წარმატებით განვითარებადი კლასტერებით.

აშშ-ის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგიონების ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების რთულ სისტემაზე, რომელთა შორის ტერიტორიულ განლაგებას და მაღალკვალიფიციურ პერსონალს არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი აკისრია, თუმცა, არა გადამწყვეტი. გარდა ამისა, არც დარგობრივი სტრუქტურა, არც ახალი მაღალტექნოლოგიური დარგები სრულად როდი განსაზღვრავენ რეგიონის ეკონომიკურ ზრდას. ყველაზე დინამიურად ვითარდებიან ის რეგიონები, სადაც ჩამოყალიბდა ე.წ. სამრეწველო ანუ ინოვაციური კლასტერები – საწარმოთა (სამრეწველო კომპანიების, კვლევითი ცენტრების, სამეცნიერო დაწესებულებების), სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პროფკავშირების (სპეციალიზებული მიმწოდებლების), სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პროფკავშირების (სპეციალიზებული მომწოდებლების ტერიტორიული კონცენტრაციის ბაზაზე), ტექნოლოგიური ჯაჭვით შეკავშირებული ძირითადი მწარმოებლების და მომხმარებლების კომპლექსი, ეს კომპლექსები დარგობრივი მიდგომის ალტერნატიულ მიდგომას წარმოადგენს მაღალ კონკურენტუნარიანობას და სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას განაპირობებენ ფაქტორები, რომლებიც სტიმულს აძლევენ ახალი ტექნოლოგიების გავრცელებას. ეს უპირველესად არის მეცნიერების, განათლების, დაფინანსების, სახელმწიფო პოლიტიკისა და მრეწველობის ურთიერთქმედების ხასიათი და სტრუქტურა. სი-

ცოცხლისუნარიანობით გამორჩეული ინოვაციური აქტივობის კლასტერები იქმნება დარგთაშორისი კავშირების დივერსიფიკაციის საფუძველზე, ტექნოლოგიური ცოდნისა და კავშირების სხვადასხვა წყაროების მრავალფეროვნება აიოლებს წარმოების ფაქტორების კომბინაციას და ნებისმიერი ინოვაციის წინამძღვარი ხდება.

ტერიტორიულ-ინოვაციურ-სამრეწველო კლასტერებს საფუძვლად უდევს ახალი ცოდნის, ტექნოლოგიებისა და პროდუქციის გავრცელების განსაზღვრული მდგრადი სისტემა ე.წ. ტექნოლოგიური ქსელი ისინი ეყრდნობიან ერთობლივ სამეცნიერო ბაზას. კლასტერის საწარმოებს გააჩნიათ დამატებითი კონკურენტული უპირატესობანი შიდა სპეციალიზაციისა და სტანდარტიზაციის განხორციელების, ინოვაციების დანერგვაზე დანახარჯების მინიმიზაციის გზით. ამგვარი კლასტერების მნიშვნელოვანი თავისებურებაა მათ სტრუქტურაში მცირე ბიზნესის მოქნილი სამეწარმეო სტრუქტურების არსებობა, რომლებიც ქმნიან ზრდის ე.წ. ინოვაციურ წერტილებს.

კანადის ეკონომიკის კლასტერული განვითარების გამოცდილება ხასიათდება მრეწველობის განვითარებული სტრუქტურის არსებობით, მისი მაღალი ინოვაციური ხასიათით, ასევე მაღალტექნოლოგიური კლასტერების შექმნის წარმატებული მაგალითებით.

კანადას დიდი გამოცდილება გააჩნია შემდეგი კლასტერული ინიციატივების რეალიზაციაში: ბიოტექნოლოგიური (მონრეალი, ტორონტო, ვანკუვერი, ოტავა, ჰალიფაქსი); საინფორმაციო-ტელეკომუნიკაციური (ვანკუვერი, კალოგარი, კვებეკი და სხვა); მაღალი ტექნოლოგიების (მონრეალი, ტორონტო, ვანკუვერი) მეღვინეობის (ნიაგარა); კვების მრეწველობის (ტორანტო) და სხვა. საინტერესოა კანადის გამოცდილება კომპლექსური რეგიონული კლასტერების შექმნაში, რომლებიც აერთიანებენ მთელ რიგ სამრეწველო კლასტერებს (ედმონტონი)

ცენტრის ტექნოლოგიური კლასტერი ინიციატივების კვალდაკვალ კანადის მთავრობა ფედერალურ დონეზე მხარს უჭერს კლასტერებს ინვესტირების მოზიდვის პოლიტიკის რეალიზაციაში, ეხმარება საგარეო ბაზარზე კომპანიების პროდუქციის რეალიზაციაში, სამუშაო ძალის ბაზრის რეგულირებაში, პერსპექტიული მეცნიერული კვლევებისა და გამოგონებების ინვესტირებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში და ა.შ.

კლასტერული პოლიტიკის მხარდაჭერა იგრძნობა კანადის პროვინციების დონეზეც, იგი გამოიხატება სამეცნიერო გამოგონებათა დაფინანსებაში, საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციაში, საგარეო ინვესტიციების მოზიდვასა და თანამდევი მომსახურების გაწევაში. პროვინციების დონეზე კლასტერული პოლიტიკის მართვაში წამყვანი როლი აკისრია რეგიონული განვითარების სააგენტოებს- პროვინციების მთავრობასთან არსებულ მმართველ კომპანიებს. სააგენტოების მონაცემები ერთგვარი საძირკველია კლასტერული ინიციატივების წარმოქმნისა და მხარდაჭერისათვის, ისინი აყალიბებენ რეგიონის განვითარების სტრატეგიას და ქმნიან ბიზნეს-გეგმებს უახლესი მიზნების მისაღწევად.

რეგიონული განვითარების სააგენტოების მთავარი ამოცანებიდან შეიძლება გამოიყოს:

1. კლასტერის პოტენციური სტრატეგიული შესაძლებლობების განსაზღვრაში კომპანიების დახმარება და ანალიზი იმისა, თუ როგორ შეიძლება მათი უკეთ გამოყენება;
2. კლასტერის მთავარ მონაწილეებს შორის თანამშრომლობის აგების ინსტიტუციონალური ან ქსელური მექანიზმების შემუშავება;
3. კვლევით ორგანიზაციებსა და კომპანიებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხარისხის ამაღლება, ასევე დახმარება გამოგონებითა კომერციალიზაციაში;
4. ინვესტიციების მოზიდვა კლასტერში დაფინანსების საინვესტიციო წყაროების დეფიციტის დასაფარავად;
5. ინფრასტრუქტურის სრულყოფა;
6. კლასტერის მონაწილეთა დონის ასამაღლებლად დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და რეალიზაციაში;
7. მომწოდებელთა ჯაჭვის განვითარება;
8. ახალი ბიზნეს -ინიციატივების განვითარების მხარდაჭერა;

კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციაში განსაკუთრებული როლი ეკისრება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს. კლასტერების შექმნის პროცესის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იაპონიის ეკონომიკის გამოცდილება, რომელიც თავდაპირველად ეფუძნებოდა მთელ რიგ მსხვილ საშუალო და მცირე საწარმოების ქსელს შორის სუბსაიჯარო და სუბსაკონტრაქტო კავშირების სისტემის შექმნას. ტიპიური მსხვილი იაპონური კლასტერი შედგება ერთი შედარებით მსხვილი სა-

თაო საწარმოსაგან, რომელიც სარგებლობს გეოგრაფიულად მასთან ახლოს განლაგებული სუბსაიჯარო ფირმების ორი ან სამი დონის მომსახურებით. ვერტიკალური ინტეგრაციის ნაცვლად, პირველი დონის დამოკიდებული სუბმოიჯარეები სათაო საწარმოსთან დაკავშირებული არიან გრძელვადიანი ხელშეკრლებებით. ანალოგიურადაა მოწყობილი პირველი და შემდგომი დონეების მომწოდებლების კავშირები.

იაპონიაში არის კონკრეტული გადაწყვეტილებების რეალიზაციის გამოცდილება კუნძული ხოკაიდოში, სადაც 1990 -იანი წლების პირველ ნახევარში შეიქმნა სამრეწველო კლასტერების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისა და განვითარების სტიმულირების ცენტრალური ორგანიზაცია.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ ამჟამად თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ ინტეგრაციის პროცესებს, მ.შ. კლასტერების განვითარების გზით.

კლასტერებზე აგებული ეკონომიკა – ეს არის კონკურენტუნარიანი და ინვესტიციურად მიმზიდველი ეკონომიკის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს და წარმოებაში რთავს არა მხოლოდ რეგიონის მსხვილ საწარმოებს, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესს

16.7. კლასტერების განვითარება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

ტრანზიტული ეკონომიკის სახელმწიფოებს ამჟამად გააჩნიათ გარკვეული გამოცდილება კლასტერული ტექნოლოგიებისა და მექანიზმების განვითარებაში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შეინიშნება მრეწველობის კლასტერიზაციის პროცესები. ვიშეგრადის ჯგუფის ხუთ ქვეყანაში (უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, სლოვენია) შემუშავებულია კლასტერიზაციის მხარდამჭერი სპეციალური პროგრამები. მასში მონაწილეობენ სხვა ქვეყნებიც, მ.შ. ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა.

ორგანიზაციამ „ცენტრალური ევროპის ინიციატივა“, რომელიც აერთიანებს 17 სახელმწიფოს, შეიმუშავა კლასტერიზაციის პრინციპები, ვიშეგრადის ჯგუფის ხუთი ქვეყნისათვის. აღნიშნული ორგანიზაცია ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას ადგილობრივ და

რეგიონულ პარტნიორებს, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, ატარებს კლასტერების კვლევას, ავლენს ძირითად პრობლემებს, წინააღმდეგობებს კლასტერიზაციის განვითარების გზაზე. განსაზღვრავს კლასტერული ანალიზის ძირითად დებულებებს და მათ საფუძველზე შეიმუშავებს სტრატეგიული რეკომენდაციების კრებულს რეგიონებისათვის ადგენს მათი განვითარების პერსპექტივებს და წყვეტს მათთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებმა შეცვალეს თავიანთი სახელმწიფო პოლიტიკის ორიენტაცია ევროპული ბაზრის მიმართულებით და წარმოადგენენ ყველაზე თანმიმდევულ ჯგუფს კლასტერიზაციის რეალიზაციაში.

მსოფლიოში იზრდება მოთხოვნა ორგანული მიწათმოქმედების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, რომელსაც აგრო მწარმოებლებისათვის ბევრად მეტი მოგება მოაქვს, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გაყიდვას ბაზარზე. ამ პირობებში, უკრაინისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მის ცალკეულ რეგიონებში ორგანული მიწათმოქმედების ტექნოლოგიების დანერგვა. უკრაინაში ორგანული მიწათმოქმედების კლასტერისა და მასთან ახლოს მყოფი სოფლის ტურიზმის კლასტერისათვის განსაკუთრებით ვარგისია დუნაისპირა რეგიონი. საზოგადოებრივი ფერმერული ეკოლოგიური ორგანიზაციები გახდნენ ორგანული მიწათმოქმედებისა და მწვანე ტურიზმის კლასტერის შექმნის ინიციატორები.

კლასტერული ინიციატივების განვითარება უკრაინაში ითხოვს შემდეგი ამოცანების მოგვარებას:

1. შემუშავდეს და დამტკიცდეს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია ინოვაციური კლასტერული სტრუქტურების საფუძველზე;

2. საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილ იქნას მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი საქმიანი გარემოს შექმნა, აქცენტი გაუკეთდეს ხელისუფლებასთან, ბიზნესთან, მეცნიერებასთან, განათლებასთან და ინოვაციური ქსელური სტრუქტურების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე.

3. შეიქმნას კონკურენტუნარიანობის ეროვნული და რეგიონული საბჭოები რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ინოვაციური კლასტერული გაერთიანებების და სხვა ქსელური ფორმირებების პროექტების შემუშავებასა და რეალიზაციას;

4. უზრუნველყოფილ იქნას ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა ინოვაციური ქსელური სტრუქტურების განვითარებასა და ფუნქციონირებაში მონაწილე სპეციალისტების მომზადება-გადამზადებისათვის;

5. ჩატარდეს ფუნდამენტური კვლევები ქვეყანაში ეროვნული და რეგიონული საწარმოო კლასტერების ფორმირების პრიორიტეტების განსასაზღვრავად.

კლასტერიზაციის პროცესების განვითარებაში დინამიკა შეინიშნება სამოთხეშიც განსაკუთრებით განვითარდა საიუველირო და ალმასის დამუშავების, კონიაკისა და ღვინის დამზადების, აგროსამრეწველო პროდუქტების, ლითონის ნაკეთობების, ასევე სამთო და ტურისტულ დარგში არსებული კლასტერები.

იქმნება ახალი კლასტერები საინფორმაციო ტექნოლოგიებში, რომლებიც ეწევიან მომსახურებას აუტსორინგის საფუძველზე, კლასტერებს დიდ დახმარებას უწევენ როგორც მთავრობა, სომხეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქმიანი ორგანიზაციები, ისე სომხური დიასპორა, რომელიც აქტიურად ეხმარება ფინანსური რესურსებით და ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერტს.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა სომხეთის ფარმაცევტული კლასტერი, რომლის უნიკალურობა მდგომარეობს სამკურნალო ბალახებისაგან დამზადებული მედიკამენტების წარმოებაში.

ყაზახეთში ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაციის მიზნით, ჯერ კიდევ 2003 წელს დაამტკიცეს ინდუსტრიულ-ინოვაციური განვითარების სტრატეგია 2015 წლამდე. მას საფუძვლად დაედო ეროვნული კლასტერების ჩამოყალიბება ნავთობის, გაზის, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის, სამშენებლო მასალებისა და ტურიზმის, ინჟინერინგის, სატრანსპორტო-ლოგისტიკური მომსახურების სექტორში.

ყაზახეთის განვითარების უმთავრესი საფუძველია მისი ნავთობისა და გაზის რესურსები.

ეკონომიკის კლასტერიზაცია თურქეთში ხორციელდება 1990-იანი წლებიდან და პოპულარული გახდა ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. რეგიონების უმეტესობის კლასტერული განვითარების სპეციფიკურობა იმაში გამოიხატება, რომ მათში იქმნება ძირითადად დაბალი ან საშუალო ტექნოლოგიური კლასტერები დაბალი კვალიფიკაციის შრო-

მის მაღალი ინტენსივობით. აღნიშნულის შედეგად წარმოიშვა ბევრი კლასტერი საფეიქრო, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კვების პროდუქციის, სუვენირების წარმოებაში.

ამრიგად მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ სამრეწველო პროგრესი უზრუნველყოფს არა ცალკეულ საწარმოებს, არამედ მათ გაერთიანებებს, ჯგუფებს,კლასტერებს და ქსელებს.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, კლასტერული მიდგომა მთელს მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ეკონომიკათა კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკა.

კლასტერული მიდგომის რეალიზაციისათვის გაწეულსაქმიანობას შეიძლება ვუწოდოთ კლასტერიზაცია. ის გულისხმობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მხარდამჭერი ინსტიტუტების მიერ საწარმოთა კლასტერებად გაერთიანებისა და მათ შორის არაფორმალური დამოკიდებულებებისა და ქსელური თანამშრომლობის მიზნით გაწეულ ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებათა კომპლექსს. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს კლასტერიზაცია ემსახურება არა მხოლოდ სამრეწველო პოლიტიკის მიზნებს მიღწევას (კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ინოვაციურობის გაძლიერება) არამედ იგი წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების სტიმულირებისათვის.

16.8. რეგიონული კლასტერების თეორია და საქართველო

მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი გლობალიზაციის პროცესები, საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერება კონკურენტუნარიანობის მართვის პარადიგმის ცვლილებების ობიექტური წინამძღვარი გახდა, რაც მდგომარეობს ტრადიციულ სამრეწველო პოლიტიკაზე უარის თქმასა და კლასტერულ პოლიტიკაზე დაფუძნებულ ახალ სამრეწველო პოლიტიკაზე გადასვლაში. გლობალიზაციის შედეგად, წარმოების ფაქტორები უფრო მობილური ხდება, ძლიერდება კონკურენცია ქვეყნებს შორის, ამიტომაც განვითარებისა და კონკურენტებზე უპირატესობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინოვაციები და განათლება, არამედ საწარმოებს შორის ურთიერთკავშირები, რამაც დასაბამი მისცა ახალ ქსელურ სტრუქტურებს-კლასტერებს.

კლასტერული კონცეფცია ემყარება კონკრეტული რეგიონის კონ-

კურენტუნარიანობას, რომელიც დამოკიდებულია ურთიერთ დაკავშირებული დარგების კლასტერის არსებობაზე.

კლასტერების ან სამრეწველო ჯგუფების თეორიამ გაგრძელება ჰპოვა ამერიკელი მეცნიერის მ. ენრაიტის ნაშრომებში. მან შექმნა „რეგიონული კლასტერის“ თეორია და მისცა მას შემდეგი განმარტებები:

რეგიონული კლასტერი – ეს არის მეურნეობის ერთ ან რამდენიმე მონათესავე დარგში მომუშავე ფირმების ეკონომიკური აგლომერაცია.

ენრაიტის თეორიის თანახმად კონკურენტული უპირატესობანი იქმნება არა ნაციონალურ დონეზე, არამედ რეგიონულზე, სადაც მთავარ როლს ასრულებენ რეგიონების განვითარების ისტორიული წინამძღვრები, ბიზნესის წარმოების კულტურის, წარმოების ორგანიზაციისა და განათლების მიღების მრავალფეროვნება.

საბჭოთა ეკონომიკაში თანამედროვე კლასტერული წარმონაქმნების პირველსახე იყო ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი (ტსკ), რომელიც წარმოადგენდა „სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების სივრცითი ორგანიზაციის ფორმას, რომელიც ყველაზე სრულად პასუხობდა მათი განვითარების ამოცანებს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში“.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გადასვლამ მეურნეობრიობის საბაზრო მოდელზე ტსკ-ს ელემენტებსა და ურთიერთკავშირების სტრუქტურიდან გააქრო მნიშვნელოვანი სტრუქტურა წარმომქმნელი რგოლი-წარმოებისა და პროდუქციის მიწოდების დავალება. პროდუქციის ძირითადმა და უმსხვილესმა მყიდველმა-სახელმწიფომ დაკარგა თავისი როლი ტსკ-ის საქმიანობაში საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების ხასიათის ცვლილებასთან დაკავშირებით. ასევე გაქრა არსებული საწარმოო-სამეურნეო კავშირები საწარმოებსა და თვით საწარმოებსა და სახელმწიფოს შორის.

ერთ-ერთი ამოცანა, როგორც ქვეყნის ისე რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში არის კლასტერიზაციის პოტენციალის გამოვლენა.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, კლასტერული მიდგომა არის არა მხოლოდ სამრეწველო პოლიტიკის მიზნების მიღწევის საშუალება, (სტრუქტურული ცვლილებები, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ინოვაციური მიმართულების გაძლიერება და სხვა) არამედ

ის წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების სტიმულირებისათვის, რომელიც საბოლოო ჯამში შეიძლება მდგომარეობდეს რეგიონის სავაჭრო ბალანსის სტიმულირებაში, დასაქმების ამაღლებაში, სახვადასხვა დონის ბიუჯეტებში ანარიცხებისა და ხელფასის ზრდაში, რეგიონის მრეწველობის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

უნდა ვაღიაროთ საქართველოში მსხვილი კონკურენტუნარიანი სტრუქტურების შექმნის აუცილებლობა. ასეთი სტრუქტურები შეიძლება იყოს დარგთაშორისი კლასტერული წარმონაქმნები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას და უზრუნველყოფენ ეკონომიკის განვითარებას.

კლასტერის აგება შესაძლებელია განხორციელდეს სამი ვარიანტით:

- „ზევიდან ქვევით“, როცა კლასტერის სტრატეგიის განსაზღვრა მთლიანობაში და მისი რესურსებით მხარდაჭერა ხორციელდება „ზევიდან“;

- „ქვევიდან ზევით“, როცა ცალკეული პროექტები და პროგრამები ინტეგრირდება და ერთიანდება კლასტერში „ქვევიდან“;

- შერეული ვარიანტი, როცა პარალელურ რეჟიმში დროში ერთმანეთს ერწყმის ორივე მიდგომა.

კლასტერის შექმნისაკენ მიმართული პოლიტიკა იწყება რეგიონში მათი წარმოქმნისათვის უკვე არსებული წინამძღვრებით, რომელთაგან უმთავრესია:

- კლასტერის განვითარებისათვის ფუძემდებლური მესაკუთრეებისა და კლასტერის ფარგლებში თანამშრომლობით დაინტერესებული საწარმოების არსებობა;

- კოოპერაციული და სხვა კავშირების, ურთიერთქმედების დამუშავებული მექანიზმების, ურთიერთნდობის მაღალი დონის არსებობა;

- საწარმოთა და ორგანიზაციათა მაღალი ინოვაციურ-ტექნოლოგიური დონე;

- კლასტერის პოტენციური მონაწილე საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, რასაც განსაზღვრავს პროდუქციის მაღალი მოცულობა;

- შემდგომი ინოვაციური განვითარების სურვილი;

- ხელისუფლების ორგანოების დაინტერესება რეგიონის ეკონომიკის განვითარების კლასტერული ვარიანტით და კონკურენციისა და თანამშრომლობის გაფართოებით;

- ბიზნესთან ურთიერთქმედების გამოცდილების არსებობა ხელისუფლების ორგანოებში, მათ შორის ეკონომიკის ის სექტორში, რომელშიც ნავარაუდევია კლასტერის ფორმირება;

- კარგი ნორმატიული სამართლებრივი ბაზის არსებობა რეგიონში;

- სისტემური მუშაობა რეგიონში ბიზნესის მხარდაჭერის არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სრულყოფისათვის;

- რეგიონის ხელმძღვანელობის მზაობა ბიზნესთან დიალოგისათვის;

- -თანამშრომლობის პირობებით;

- პროფესიული განათლების მაღალკვალიფიციური სისტემის არსებობა, რომელსაც გააჩნია ეკონომიკის შესაბამისი სექტორებისათვის კადრების მომზადების გამოცდილება.

რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად პირველ ეტაპზე აუცილებელია გაანალიზდეს ოთხი ძირითადი მიმართულება: განისაზღვროს მომუშავეთა რაოდენობა და კვალიფიკაცია, ასევე დაწესებულებათა რიცხვი, რომლებიც მონაწილეობენ სავარაუდო კლასტერის მოცემულ სექტორში; ლოკალური კლასტერების ხვედრითი წინა კლასტერში და მათი ხვედრითი წინა რეგიონში; ქვეყანაში; განისაზღვროს დანახარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა ტექნოლოგიური პროცესის ყველა ტრგოლში, ნედლეულისა და მარალების მოწოდებით დაწყებული და პროდუქციის რეალიზაციით დამთავრებული; განისაზღვროს კლასტერის ზრდის ტემპი.

კლასტერების სასიცოცხლო ციკლი შედგება 4 სტადიისგან:

- ემბრიონალური, ჩანასახის სტადიაში მყოფი კლასტერები-ფორმირების პირველ ეტაპზე მყოფი კლასტერები;

- განვითარებადი კლასტერები;

- მომწიფებული კლასრტერები – მდგრადი და შემდგომი განვითარების პოტენციალის მქონე კლასტერები;

- მომაკვდავი-თავისი საქმიანობის დასრულების სტადიაში მყოფი კლასტერები.

საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებისათვის აქტუალურია კლასტერული მიდგომის გამოყენება საწარმოების რეგიონებისა და მთლიანად ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნებისათვის და აქ უკვე არსებობს კლასტერული მიდგომის წანამძღვრები.

საზღვარგარეთული გამოცდილებისა და ქვეყნის სპეციფიკური პირობების შესწავლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს კლასტერული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგიური საფუძვლები.

დღეს მსოფლიოში მთავრობები განიხილავენ კლასტერებს, როგორც მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას საწარმოების განვითარებასა და ინოვაციაში. კლასტერები გადაიქცა მნიშვნელოვან ინსტრუმენტად კონკურენტუნარიანი ინდუსტრიებისა და ბიზნესების განსავითარებლად, როგორც ინდუსტრიულ, ასევე განვითარებად ეკონომიკებში, მათ შორის, საქართველოში.

გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციამ (UNIDO)ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგად გამოვლენილ იქნა საქართველოში 57 აღმოცენებადი და პოტენციური გადამამუშავებელი და აგრობიზნესის კლასტერი.კვლევა ჩატარდა UNIDO-ს კლასტერული მეთოდოლოგიის მიხედვით – თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. კერძოდ, კლასტერები გამოვლინდა თბილისსა და საქართველოს 9 რეგიონში: კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არ ჩატარებულა კვლევა, ხოლო მცხეთა-მთიანეთში კლასტერები არ გამოვლინდა).

57-ვე კლასტერის რანჟირება განხორციელდა სხვადასვა კრიტერიუმის მეშვეობით, მათ შორის, ექსპორტის კონკურენტუნარიანობა, დასაქმებულთა საერთო რაოდენობა, გარემოზე ზეგავლენა, ინვესტიციების განხორციელების პოტენციალი და სხვა.

კლასტერების პირველი ათეული გამოიყურება შემდეგნაირად:

ღვინო (კახეთი);

ფარმაცევტული სექტორი (თბილისი);

მეფრინველეობა (ქვემო ქართლი);

მეთევზეობა (სამეგრელო-ზემო სვანეთი);

ღვინო (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი);
ღვინო (ქვემო ქართლი);
ავეჯი (თბილისი);
საიუველირო ნაკეთობები (თბილისი);
მზა ტანსაცმლის წარმოება (თბილისი);
ხილისა და ბოსტნეული გადამუშავება (სამეგრელო-ზემო სვანეთი).

უცხო სიტყვები

1. სინერგიზმი – ბერძ თანამშრომლობა ხელის შეწყობა. კოორდინირებული ურთიერთქმედების სისტემური ეფექტი. სინერგიის კანონის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სისტემის თვისებათა ჯამი და მისი წარმომქმნელი კომპონენტების თვისებითა ჯამი სხვადასხვა სიდიდეებია, უფრო ზუსტად, „მთელი მეტია მისი ნაწილების ჯამზე". სისტემის თვისებათა ჯამსა და მისი შემადგენელი ელემენტების თვისებათა ჯამს შორის სხვაობას ეწოდება სინერგიული ეფექტი. ეს არის დამატებითი ეფექტი, რომელიც წარმოიქმნება სისტემის ცალკეული კომპონენტების შემოქმედებითი ურთიერთზემოქმედების კვალობაზე, რაც უფრო მაღალია სისტემის ორგანიზებულობა, მით უფრო მეტია სისტემის თვისებათა ჯამი მისი კომპონენტების თვისებათა ჯამზე.
2. ექსპანსია – ლათ. გავლენის სფეროს გაფართოება.
3. კარტოგრაფია გერ. გეოგრაფიული რუკების შედგენის მეცნიერება. თვით რუკების შედგენა.
4. პარადიგმა – ბერძ. მაგალითი, ნიმუში.ლატერალური-ლათ. გვერდითი.
5. ფოკუსური - ლათ. 1. გარდატეხილი ან არეკლილი სხივების გადაკვეთის წერტილი. 2. ანთებითი პროცესის კერა.
6. უნიფიკაცია - ლათ. საერთო ნორმაზე გადაყვანა; გაერთიანება.
7. კონსალტინგი – საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს სპეციალური კომპანიებ, რომლებიც მიმართულია სამეურნეო საქმიანობის ფართო წრის საკითხების კონსულტირებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. როზეტა ასათიანი „საქართველოს ეკონომიკა“ ახალი ეპოქა თბ. 2009წ
2. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა, წარსული, აწყმო, პერსპექტივა მოკლე მიმოხილვა თბ. 2002.
3. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე „საინოვაციო მენეჯმენტი“ თბ.2009
4. აბრალავა ა. „გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ“, (მონოგრაფია) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001
5. ამირანაშვილი შ. ტურიზმი და მატერიალური კულტურის ძეგლები თბ. 1933 საქართველოს პტეს-ის გამომცემლობა.
6. აბულაძე კ. „სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები“ თბ. 2008წ.
7. ასათიანი რ. „საქართველოს ეკონომიკა წარსული, აწყმო პერსპექტივა“ თბ. 2002წ
8. ბარათაშვილი ე. გალახვარიძე ნ. გრძელიშვილი ნ. ნადარეიშვილი ნ. „რეგიონული ეკონომიკა“ თბ. 2010წ.
9. ბარათაშვილი ევგენი, ზარანდია ჯანდრი „საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა“ თბ. 2007წ.
10. ბარათაშვილი ე. ნაკაიძე გ. ჯანელიძე ნ. საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო მეურნეობის ლიდერები. თბ. 2000წ.
11. ბარათაშვილი ე. გალახვარიძე ნ. გრძელ;ისშვილი ნ. ნადარეიშვილი ნ. „რეგიონული ეკონომიკა“ თბ., 2010
12. ბარათაშვილი ნ.- „კავკასიის გეოპოლიტიკური ასპექტები“ თბ. 2003.
13. ბარათაშვილი ე, ქოქიაური ლ. მენეჯმენტის პრინციპები თბ. 2010.
14. ბ. არათაშვილი ე. ვეშაპაძე შ. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა თბ. ვერჟი“ 2002წ.
15. ბარათაშვული ე. ზარანდია ჯ. აბრალავა ა. რეგიონალიზმი თეორია და პრაქტიკა. თბ. 2009 წ.
16. ე. ბარათაშვილი, ზ. ნასარაია. ჯ. ზარანდია, ა. აბრალავა, რ. ქუთათელაძე, თ. გოდერძიშვილი, ლ. მამულაშვილი, გ. ერქომაიშვილი, თ. ლაგვილავა. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2022
17. ნინო ბარათაშვილი გლობალიზაციის თანამედროვე და ახალი მსოფლიო წესრიგი თბ.2004წ.

18. ბასილია თ. სილაგაძე ა. ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე თბ., 2001.
19. ვ. ბურკაძე, ო. ქეშელაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული პროგრამა თბ. 2001
20. ბაბუნაშვილი თ. საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემები და გზები, თბ., 2000
21. ბარათაშვილი ე. ჯოლია გ. გრძელიშვილი ნ, მუმლაძე ი. სუხნიშვილი დ. ჩახვაშვილი დ. „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება“ ნაწ. 1 თბ. 2011.
22. ა. გუნია სუვენერული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი თბ. 1991წ.
23. ნაირა გალახვარიძე, თამარ ზარგინავა, ევგენი ბარათაშვილი „ინოვაციათა მენეჯმენტი“ თბ. 2015
24. გაჩეჩილაძე გ. „თვალსაზრისი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესახებ და გაზეთი „ჩვენი მრეწველობა“, 2003წ.
25. გოგოხია რ. კილასონია გ „ფერმერული მეურნეობის ჰორიპიზონტები“ თბ. 1999
26. ნაირაგალახვარიძე ტურიზმი და მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმის მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. ბათუმი 2014 5-6 ივლისი, გვ.312-316.
27. ნაირა გალახვარიძე, გარემომცველი გარემოს მენეჯმენტის სისტემა და ეკოტურიზმი, ბათუმის მე-2 საერთასორისო კონფერენცია“ საზღვაო ინდუსტრიის ინოვაციური გამოწვევები: საზღვაო ტრანსპორტი, საინჟინრო ტექნოლოგიები, ლოჯისტიკა, ტურიზმი. ბათუმი 2016 გვ. 204-208.
28. ნაირა გალახვარიძე, საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები და მათი ახლებურად გადაწყვეტის ზოგიერთი ასპექტი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი მოამბეXX, თბილისი 214 გვ. 72-28. მილენა დრაგიჩევიჩ – შეშიჩი, ბრანიმირ სტოიკოვიჩი, კულტურა, მენეჯმენტი ანიმაცია, მარკეტინგი. თბილისი 2007.
29. მერაბ ვანიშვილი, დათა ფარულავა., „ფინანსების საფუძვლები“ თბილისი 2015

30. მსოფლიო ეკონომიკა. შ. ვეშაპიძის რედაქციით.
31. ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები (მონოგრაფია) თბ 2002წ.
32. ზარადია ჯ. საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის გზები საქართველოში ჟურნალი „მაცნე“ 2003წ.
33. კაკულია რ. ავტონომიური რესპუბლიკების საფინანსო საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა გარდამავალ პერიოდში, ბათუმი-თბილისი, შრომების კრებული 2001წ.
34. თაკალაძე ლ. ტრანსნაციონალური კორპორაციები – ბიზნესის ელიტა. ჟურნალი ეკონომიკა №8 2006წ.
35. თურქია გ. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში, ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა №2 2008წ.
36. ირაკლი კობახიძე კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა თბ. 2019.
37. პ. კოღუაშვილი, გ. ზიბზიბაძე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა თბ. 2010წ.
38. პ. კოღუაშვილი, საქართველოს სასურსათო უშიშროება რეალობა და პროგნოზები 2004წ.
39. პ. კოღუაშვილი, ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით თბ 2013 წ.
40. მოურავიძე დ. რეგიონული მეთოდოლოგიური მიდგომები საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზების, პროგრამების, ინდიკატური გეგმებისა და ეკონომიკური პოლიტიკის სისტემაში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სკ. ინსტიტუტის (სერპკ-ს) შრომების კრებული ტ.V თბ. 2000წ.
41. მალაშხია გ. საქართველოს ეკონომიკა საუკუნის პანორამის შტრიხები თბ. 2002წ.
42. მიქელაძე ი. ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები თბ. 1980წ.
43. მაღლაკელიძე თამაზი „ეკონომიკური უსაფრთხოება“ თბ. 2002 წ.
44. რამაზ ოთინაშვილი „საქართველოს ეკონომიკა“ სახელმძღვანელო თბ. 2009
45. პაპავა ვ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები თბ.1991წ.
46. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა თემა 1 თბ. 2005წ.

47. პაპავა ვლ. პოსტკომუნისტურუ კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა თბ. 2002წ.
48. სტატისტიკური წელიწდეული 2009 წ.
49. საქართველო ციფრებში 2010 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
50. ნინო სანადირაძე, კულტურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმარება. თბილისი 2011
51. ნინო სანადირაძე, ნათია კოპალეიშვილი, კულტურის სფეროს მენეჯმენტი. აუდიო – ვიზუალური ხელოვნების მენეჯმენტი. თბილისი 2019
52. ტულუში მ, ფარესაშვილი ნ, საქართველოში უმუშევრობის რეგულირების მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხები, სოციალური ეკონომიკა, თბ. 2007წ
53. ქოქიაური ლ. ინვესტიციების თეორიული გენეზისი. თბ. 2007წ.
54. ყუფუნია გ „საქართველოს ეკონომიკა“ თბილისი 2000წ.
55. გურამ ყუფუნია „განვითარების ეკონომიკა“ თბ. 2006წ.
56. შრომის ეკონომიკა თბ.2004 წ.
57. შუბლაძე გ. დოლიკაშვილი ლ, ჯოლია გ, ჩეკურიშვილი ნ. „ტურიზმის მენეჯმენტი“ თბ. 2008 წ.
58. ჩიქავა ლ. „საქართველოს ეკონომიკა“ (პრგ) „მერიდიანი“ 1995წ.
59. ჩიკვაიძე თ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდული XXIსაუკუნის მიჯნაზე თბ. ესპსკი -ს შრომების კრებული ტ I1996 წ.
87. 60.ჩუბინიძე გ. „რეგიონული ეკონომიკა და მართვა“ ქუთაისი, შ.ს. ქუთაისიმფორმი 2002წ.
60. ლ. ჩიქავა „ინოვაციიური ეკონომიკა“, თბ. 2006
61. ძნელაძე დ, დასაქმება, შრომა და მოსახლეობის სოციალური დაცვა, თბ. გამომცემლობა „პირველი სტამბა“ 2000წ.
62. სამრეწველო საკუთრების პარიზის კონვენცია. იხ. ნაშროპმი დ. ძამუკაშვილი. პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი, თბ 2000წ.
63. ჭითანავა ნ. „საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის კარიბჭესთან‘’ ესპსკი – ის შრომების კრებული ტ.II თბ. 1997წ.
88. 65.შ. ჭალაგანიძე, „საინოვაციო საქმიანობის პრობლემები საქართველოში“. თბ. 2000.

66. ჭალაგანიძე შ. საინოვაციო საქმიანობის განვითარების ოგიერთი საკითხი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი №63 2001 წ.
67. ი. ჭავჭავაძე, თხზულ. სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით ტ. 6-7, 1956წ.
68. წულუკიძე გ. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2008წ. თბ. 2009 წ.
89. წულაძე ნ, მაღლაფერიძე ა, საქართველოს დემოგრაფიული წელიწდწეული 2008წ. თბ.2009წ.
69. გრიგილ ჯანხოთელი „საქართველოს ეკონომიკა“ თბ. 2007წ.
70. Атали Ж. На пороге нового тысячалетия (перевод с фанд) М. 1993
71. Павел Таранов. Звёзды Мировой Философий. Золотая философия Т I М. 1999с
72. Ханигтон С. Смолкновениее цивилизасий, Жур Полис 1994№1
73. Нухоаев Хож – Ахмед „Ведено или Вамингтон“ М. 2001
74. Тяглов С.Р.Кузнесов Н.Г.Насиональная экономика М. 20009
75. Демографический энциклопедический словарь М 2009ю
76. Хрестоматия экономической теории М. Юрист 2000
77. Портер М. Международная конкуренсия М. Международным отношения 1993
78. Авинесова Г.А. Сервисная деятельность: История и современная практика, предпринимательство, Учебное пособие для студентов вузов /Г. А. Аванесова, изд М. 2007
79. Балаева А. Предводителева М. Сфера услуг в мировой экономике: тенденций развития МЭ и МО. 2007 №3 С. 23-28
80. Н.Г. Кузнецова С.Г. Тяглова, Национальная экономика, система потенсиалов М. 2009.
81. Градобитова Л.Д. Исаченко Т.М. Транснациональные корпораций в современных международных экономических отношениях. М 2002г.
82. Цихан, Т. В. Кластерная //Теория экономического развития Теория и практика управления, 2003 №5
83. Портер, М. Конкуренсия М.Издат дом „Вильямс“ 2003
84. Соколенко, С. И. Производственные системы глобализации: Сети Ходов Л. Г. Основи государственной экономической ролитики. Учевник М. Бек, 2007
85. Яременко Ю. В. Прогнозы развития народного хозяйства и варианты экономической политики М. Наука 2007.

86. Дворяков В. А. Экономическая безопасность теория и реалность. Угроз. М. 2000
90. http://www.geplac.org/
91. www.statistics.ge
92. http://www.mof.ge/
93. http://www.economy.ge/
94. http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_id=289&lang=geo
95. http://www.economy.ge/ge/media/news/stambolis-ministerialze-baqo-tbilisi-yarsis-rkinigzis-mseneblobis-droulad-dasrulebaze-setanxmdnen
96. http://chalaepec.wordpress.com/2013/04/18/saqarTvelo-da-msoflio/
97. http://chalaepec.wordpress.com/2013/04/18/saqarTvelo-da-msoflio

შინაარსი

შესავალი 5

თავი I საქართველოს ეკონომიკა, საგანი და ამოცანე 10

1.1. საქართველოში ეკონომიკური აზრის განვითარების მოკლე ისტორია 10

1.2. ეკონომიკა, როგორც მეურნეობა და მეცნიერება 16

1.3. საქართველოს ეკონომიკის საგანი 19

1.4. ეროვნული ეკონომიკის შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლები 24

1.5. საქართველოს ეკონომიკის, როგორც მეცნიერების ამოცანები 30

1.6. საქართველო, როგორც სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი და გლობალიზაცია 31

1.7. გლობალიზაცია და საქართველოს განვითარების პერსპექტივები 36

1.8. ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 42

თავი II. საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და რესურსები 45

2.1. საქართველოს გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა 45

2.2. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები 48

2.3 საქართველოს მდინარეები 51

2.4. საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ბუნებრივ-ტერიტორიულიი ლანდშაპტები 53

2.5. ჰიდროენერგეტიკული რესურსები და ენერგიის არატრადიციული სახეები 56

2.6. მინერალური რესურსები 58

2.7. ეკონომიკური პოტენციალის არსი, სტრუქტურა და მაჩვენებლები 63

2.8. საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასების და გამოყენების რეგიონული ასპექტები 66

თავი III. საქართველოს ეკონომიკის კონვერსიის ობიექტური აუცილებლობა და თავისებურებანი 80
3.1. საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში 80
3.2. საბაზრო მეურნეობის ფორმირება საქართველოში 85
3.3. საქართველოს ეკონომიკის კონვერსიის განხორციელების წინაპირობები დათავისებურებები 94
3.4. საკუთრების განსახელმწიფოებრიობა, როგორც ინსტიტუციური ბაზის ფორმირების საფუძველი 98

თავი 4. საქართველოს მოსახლეობა და შრომითი რესურსები..... 106
4.1. მოსახლეობა და მასთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები 106
4.2. მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუტურა 110
4.3. ადამიანური კაპიტალი 114
4.4. შრომითი რესურსები 116
4.5. კულტურა და საზოგადოება 123
4.6. შრომის ბაზარი, ხელფასი, მოსახლეობის დასაქმება და უმუშევრობის პრომლემები 127
4.7. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში..... 134
4.8. ცხოვრების დონე და საარსებო მინიმუმი 139

თავი 5. საქართველოს რეგიონული ეკონომიკა 145
5.1. საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყონის საკთხები..... 145
5.2. საქართველოს ტერიტორიული განმვითარების ნეგატიური ტენდენციები და მათი დაძლევის ამოცანები..... 153
5.3. საქართველოს ეკონომიკური სივრცის მოდერნიზაციისა და ეკონომიკური დარაიონების პრობლემები 158
5.4. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების თანამედროვე ტენდენციები 168

თავი VI. ეკონომიკური ზრდა ქვეყნის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი 176
6.1. ეკონომიკური ზრდის არსი და მისი შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები 176

6.2. ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობისა და ხარისხის ძირითადი მახასიათებლები 181
6.3. ეკონომიკური ზრდის შედეგების შეფასება და გაზომვა 184
6.4. ეკონომიკური ზრდის ხასიათის განმსაზღვრელი მიზეზები და ფაქტორები 189
6.5. ეკონომიკური ზრდის წონასწორული მოდელი 193
6.6. ინტელექტუალური კაპიტალი, როგორც ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორი 199
6.7. საქართველოს მაკროეკონომიკის პოლიტიკის თავისებურებები 203
6.8. ეკონომიკური ზრდა და საქართველო 205

თავი VII. ინოვაციები,საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში 208
7.1. ინოვაციების ძირითადი განსაზღვრებები და კლასიფიკაცია 208
7.2. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა 219
7.3. საინოვაციო საქმიანობის რეგიონული ასპექტები 225
7.4. ტექნოლოგიების გადაცემის პროცესების თანამედროვე ტენდენციები 230
7.5. ინოვაციები საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში 239

თავიVIII. კონკურენტუნარიანობა და მისი კომპლექსური შეფასება 246
8.1. კონკურენცია, როგორც ეკონომიკური კატეგორია 246
8.2. გლობალიზაცია და კონკურენცია 248
8.3. კონკურენტუნარიანობის კონცეფცია 250
8.4. რეგიონული კონკურენტუნარიანობა და მისი შეფასების კრიტერიუმები 251
8.5. ქვეყნებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის რეიტინგული შეფასებები 255
8.6. მაკროკონკურენტუნარიანობის ფაქტორები 259
8.7. კონკურენტუნარიანობის თანამედროვე ფაქტორები 261
8.8. რეგიონული კონკურენტუნარიანობის გამოთვლის მეთოდიკა და კონკურენციის დაცვა 262

თავი IX- საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური საფუძვლები და საბიუჯეტო ურთიერთობები 271
9.1. ქართული კონსტიტუციონალიზმი და საქართველოს კონსტიტუცია..... 271
9.2. სახელმწიფო მმართველობის მოდელები..... 276
9.3. ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის თეორიული ასპექტები..... 280
9.4. საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური საფუძვლები და სახელისუფო დონეების საკითხები 287
9.5. სახელმწიფო ურთიერთობები ფედერალიზმის პირობებში 289
9.6. საქართველოს საფინანსო სისტემა, საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო სისტემა 297
9.7. ბიუჯეტის როლი და ადგილი საზოგადოებრივი ფინანსების სისტემაში..... 300
9.8. რეგიონის საგადასახადო პოტენციალი და მისი გამოთვლა 307
9.9 საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მიმართულებების განზოგადება ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე..... 312

თავიX სოფლის მეურნეობა 315
10.1. ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა 315
10.2. სოფლის მეურნეობის მოკლე ისტორიული დახასიათება და განვითარების პოზიციური სურათი 316
10.3. მევენახეობა-მეღვინეობა და მისი როლი საქართველოს სოფლის მეურნეობაში 326
10.4. სასოფლი-სამეურნეო წარმოების თავისებურებანი 348
10.5. მიწის ფონდი და მიწით სარგებლობა 355
10.6. მიწის რეფორმა და მისი შედეგები 358
10.7. მიწის სახელმწიფო კადასტრი და მიწის მონიტორინგი 361
10.8. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და გაადგილება..... 365
10.9. სასოფლო სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები 368
10.10. აგრობიზნესის სტრუქტურა და ამოცანები 378

10.11 ადამიანური რესურსების კაპიტალიზაციის პრობლემა სოფლის მეურნეობაში..... 383

თავი XI საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემები და მისი განვითარების გზები..... 396

11.1 სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკის თავისებურებები..... 396

11.2 მრეწველობა, როგორც ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი 400

11.3 მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა..... 405

11.4. მრეწველობის განვითარების კონცეპტუალური საკითხები 409

11.5. სამრეწველო საწარმოების ზეგავლენა გარემოზე-ეკოლოგიური პასპორტი 411

თავიXII. მომსახურების სფეროს არსი და მისი ადგილი ეკონომიკურ სისტემაში 418

12.1. მომსახურების მნიშვნელობა და არსი 418

12.2. მომსახურება როგორც საქონლის სპეციფიკური სახეობა 421

12.3. მომსახურების კლასიფიკაციის კრიტერიუმები..... 423

12.4. მომსახურების განვითარების მიზანი..... 430

12.5. მსოფლიო ეკონომიკაში მომსახურების ადგილი..... 438

12.6. მომსახურების ადგილისა და როლის განმსაზღვრელი ფაქტორები 442

12.7 სერვისული საქმიანობის თეორიული საფუძვლები 444

12.8 სახელმწიფოს სოციალურ-დაცვითი ფუნქციები და ძირითადი მიმართულებები..... 447

12.9 ტურიზმის განვითარება საქართველოში 450

12.10. გარემოს მენეჯმენტის სისტემა და ეკოტურიზმი 459

12.11. ეკოტურიზმი და ეკოლოგიური რისკის ფაქტორები 465

12.12. ტურიზმი და მატერიალური კულტურის ძეგლები..... 474

12.13. სოციალური სახელმწიფოს თეორიული წარმოშობა..... 483

12.14 სოციალური ინფრასტრუქტურის არსი..... 486

12.15 ჯანმრთელობის დაცვა სოციალური ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი დარგი..... 489

12.16. სოციალური დაზღვევის როლი ეკონომიკაში..... 491

თავი XIII კულტურის ეკონომიკა და რეგიონის კულტურის განვითარების თავისებურებანი 508
13.1. კულტურის არსი და თავისებურებანი..... 508
13.2. კულტურის პოლიტიკა..... 513
13.3. კულტურის პოლიტიკა გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში 517
13.4. უფლება კულტურაზე, როგორც ადამიანის განუყოფელი უფლება..... 519
13.5. კულტურის პოლიტიკის მექანიზმები, პროფესიული გაერთიანებები და კულტურის პოლიტიკის ინსტრუმენტები..... 521
13.6. კულტურის პოლიტიკის ინსტრუმენტები-პრემიები..... 524
13.7. კულტურის პოლიტიკის შეფასება 526
13.8. კულტურა და რეგიონები 528
13.9. კულტურული თანამშრომლობა და პლურალიზმი 530
13.10 საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა..... 532
13.11 ინტელექტუალური საკუთრების არსი და ობიექტები..... 535
13.12. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვის მექანიზმები..... 541
13.13. ინტელექტუალური საკუთრების (ტექნოლოგიების) ობიექტების გადაცემის ფორმები სალიცენზიო შეთანხმებები..... 549
13.14 ინტექლექტუალური საკუთრება და საავტორო უფლებებზე საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები 557
13.15. საერთაშორისო ორგანიზაციოები კულტურის სფეროში-იუნესკო 559

თავი XIV. ტრანსნაციონალური კორპორაციები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი როლი საქართველოს ეკონომიკაში 564
14.1. საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო გლობალურ პროცესებში 564
14.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების არსი 582
14.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების ევოლუცია 585
14.4. ტრანსნაციონალური კორპორაციების დადებითი და უარყოფითი მხარეები ფუნქციონირებად ქვეყნების ეკონომიკაზე..... 587

14.5. ტრანსნაციონალური კორპორაციების საინვესტიციო საქმიანობის მოტივები 590
14.6. სამეურნეო საქმიანობის ტრანსნაციონალიზაცია და საქართველოს ენერგეტიკის ბაზარი 593
14.7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში 596
14.8. საქართველოში საინვესტიციო გარემო და საკანონმდებლო ბაზა 599

თავი XV. საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება 609
15.1. მდგრადი განვითარების არსი 609
15.2. მდგრადი განვითარების კრიტერიუმები და ინდიკატორები 612
15.3. ეკონომიკური მდგრადობა გლობალიზაციის პირობებში 614
15.4. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების როლი და გავლენა ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე 615
15.5. ეკონომიკური უსაფრთხოების არსი 620
15.6. საქართველოს საგარეო ვალის პრობლემა 624
15.7. ეკოლოგიური უსაფრთხოება და მდგარდი განვითარების კონცეფცია 630

თავიXVI.მეწარმეობა და კლასტერული პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკაში 635
16.1. მეწარმეობის განვითარების ისტორია საქართველოში 635
16.2. ბიზნესის ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში 645
16.3. კლასტერების არსი, მათი სახეები და როლი ეკონომიკაში 650
16.4. კლასტერების მახასიათებელი მაჩვენებლები 654
16.5. კლასტერი-კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინსტრუმენტი 357
16.6. კლასტერების ფუნქციონირების საზღვარგარეთული გამოცდილება 661
16.7. კლასტერების განვითარება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 668
16.8. რეგიონული კლასტერების თეორია და საქართველო 671

გამოყენებული ლიტერატურა 677

CONTENTS

Introduction 5

Chapter I Georgian Economy, Subject and Task..... 10
1.1. Economic Thought Development in Georgia Short History 10
1.2. Economics as Agriculture and Science 16
1.3. The subject of Georgian economy..... 19
1.4. Methodological foundations of the study of the national economy.... 24
1.5. Objectives of the Georgian economy as a science..... 30
1.6. Georgia as South-Eastern Europe Region and Globalization..... 31
1.7. Globalization and Georgia's development prospects..... 36
1.8. A brief history of the old trade and transit routes of the Transcaucasia Review 42

Chapter II. Natural-economic conditions and resources of Georgia..... 45
2.1. Geographical and geopolitical location of Georgia..... 45
2.2. Natural-climatic conditions of Georgia 48
2.3 Rivers of Georgia 51
2.4. Established on the territory of Georgia Natural-territorial landscapes 53
2.5. Hydropower resources and energy Unconventional faces 56
2.6. Mineral resources 58
2.7. The essence, structure and indicators of economic potential..... 63
2.8. Georgia Natural Resource Potential Assessment And Regional Aspects of Uses 66

Chapter III. The objective necessity of the conversion of the Georgian economy And features 80

3.1. Economy of Georgia within the Soviet Union 80
3.2. Formation of market economy in Georgia 85
3.3. Implementation of conversion of Georgian economy Prerequisites Customization 94
3.4.Nationalization of property as an institution Basis of base formation 98

Chapter IV. Population of Georgia and Labor Resources 106
4.1. Population and related problems 106
4.2. Demographic structure of the population 110
4.3. Human capital 114
4.4. Labor Resources 116
4.5. Culture and society 123
4.6. Labor market, wages, employment of the population And unemployment problems 127
4.7. State Employment Policy in Georgia 134
4.8. Living standard and subsistence level 139

Chapter V. Regional Economy of Georgia..... 145
5.1. Administrative division of Georgia and the country Administrative-territorial arrangement Issues 145
5.2. Negative tendencies of territorial development of Georgia And their tasks 153
5.3. Modernization of the economic space of Georgia and Problems of economic zones 158
5.4. Development of mountainous regions of Georgia Modern Trends 168

Chapter VI. Economic growth is a determining factor in the development of the country 176
6.1. The essence of economic growth and methodological bases of its assessment 176
6.2. Key characteristics of efficiency and quality of economic growth 181
6.3. Evaluate and measure the results of economic growth..... 184
6.4. Causes and factors determining the nature of economic growth..... 189
6.5. Equilibrium model of economic growth..... 193
6.6. Intellectual capital as a key factor in economic growth..... 199
6.7. Peculiarities of Georgian Macroeconomic Policy 203
6.8. Economic growth and Georgia 205

Chapter VII. Innovations in the development of the Georgian economy..... 208
7.1. Basic definitions and classification of innovations 208

7.2. State Innovation Policy 219
7.3. Regional aspects of innovation activities 225
7.4. Modern trends in technology transfer processes 230
7.5. Innovations in the development of the Georgian economy 239

Chapter VIII. Competitiveness and its complex assessment 246
8.1. Competition as an economic category..... 246
8.2. Globalization and competition 248
8.3. Concept of competitiveness..... 250
8.4. Regional competitiveness and its evaluation criteria..... 251
8.5. Rated assessments of the competitiveness of countries and regions 255
8.6. Macro-competitiveness factors..... 259
8.7. Modern factors of competitiveness 261
8.8. Regional competitiveness calculation methodology and competition protection..... 262

Chapter IX – Constitutional Foundations of State-Territorial Arrangement of Georgia and Budget Relations 271
9.1. Georgian constitutionalism and the Constitution of Georgia 271
9.2. Models of State Governance 276
9.3. Theoretical aspects of territorial state arrangement..... 280
9.4. Constitutional bases of state-territorial arrangement of Georgia and issues of government levels 287
9.5. State relations in terms of federalism 289
9.6. Georgian financial system, budget arrangement and budget system..... 297
9.7. The role and place of the budget in the public finance system..... 300
9.8. The tax potential of the region and its calculation..... 307
9.9 Generalization of budget revenue growth directions on the example of EU countries 312

Chapter X Agriculture..... 315
10.1. Sectoral structure of economics..... 315
10.2. Short historical description of agriculture and positional picture of development..... 316
10.3. Viticulture-winemaking and its role in Georgian agriculture..... 326
10.4. Peculiarities of agricultural production 348

10.5. Land fund and land use 355
10.6. Land reform and its consequences 358
10.7. State Land Cadastre and Land Monitoring..... 361
10.8. Specialization and relocation of agricultural production..... 365
10.9. Organizational forms of agricultural enterprises 368
10.10. Structure and tasks of agribusiness..... .378
10.11 The problem of capitalization of human resources in agriculture 383

Chapter XI Problems of Industrial Development of Georgia and Ways of Its Development 396
11.1 Peculiarities of state industrial policy..... 396
11.2 Industry as an important sector of the national economy 400
11.3 Sectoral structure of industry..... 405
11.4. Conceptual issues of industrial development 409
11.5. Environmental Impact of Industrial Enterprises-Ecological Passport 411

Chapter XII. The essence of the service sector and its place in the economic system 418
12.1. The importance and essence of service 418
12.2. Service as a specific type of goods..... 421
12.3. Service classification criteria..... 423
12.4. The purpose of service development..... 430
12.5. A place of service in the world economy 438
12.6. Determinants of place and role of service 442
12.7 Theoretical foundations of service activities 444
12.8 Social protection functions and main directions of the state 447
12.9 Tourism Development in Georgia 450
12.10. Environmental management system and ecotourism 459
12.11. Ecotourism and environmental risk factors..... 465
12.12.Tourism and monuments of material culture 474
12.13. Theoretical origin of the social state 483
12.14 The essence of social infrastructure 486
12.15. Health care is the most important field of social infrastructure..... 489
12.16. The role of social insurance in the economy..... 491

Chapter XIII Cultural Economy and Peculiarities of Cultural Development of the Region 508
13.1. Essence and peculiarities of culture 508
13.2. Culture policy 513
13.3. Cultural policy in countries in transition 517
13.4. Right to culture as an inalienable human right 519
13.5. Cultural policy mechanisms, trade unions and cultural policy instruments 521
13.6. Cultural Policy Tools-Bonuses 524
13.7. Assessment of cultural policy 526
13.8. Culture and regions 528
13.9 Cultural Cooperation and Pluralism 530
13.10 International Cultural Cooperation 532
13.11 The essence and objects of intellectual property 535
13.12. Mechanisms for legal protection of intellectual property objects 541
13.13 Forms of Transfer of Intellectual Property (Technology) Objects License Agreements 549
13.14. Intellectual Property and International Legal Aspects of Copyright 557
13.15. International organizations in the field of culture – UNESCO 559

Chapter XIV. Transnational corporations, foreign direct investment and their role in the Georgian economy 564
14.1. Georgian economy in world global processes 564
14.2. The essence of transnational corporations 582
14.3. The evolution of transnational corporations 585
14.4. Pros and Cons of Transnational Corporations On the economies of functioning countries 587
14.5. Motives for investment activities of transnational corporations 590
14.6. Transnationalization of economic activity and the Georgian energy market 593
14.7. The role of foreign direct investment in the Georgian economy 596
14.8. Investment environment and legal framework in Georgia 599

Chapter XV. Sustainable and secure development of the Georgian economy 609
15.1.The essence of sustainable development 609

15.2.Criteria and indicators for sustainable development 612
15.3. Economic sustainability in the context of globalization..... 614
15.4. The role and impact of international economic organizations on the sustainable development of the economy 615
15.5. The essence of economic security 620
15.6. Georgia's foreign debt problem 624
15.7. The concept of ecological security and sustainable development 630

Chapter XVI – Entrepreneurship and Cluster Policy in the Georgian Economy 635
16.1. History of Entrepreneurship Development in Georgia 635
16.2. Problems of business operation in Georgia 645
16.3. The essence of clusters, their types and role in the economy 650
16.4. Characteristics of clusters..... 654
16.5. Cluster-A tool to increase competitiveness 657
16.6. Abroad experience of operating clusters 661
16.7. Cluster development in transition economies..... 668
16.8. Theory of regional clusters and Georgia 671

Evgeni Baratashvili
Zurab Nasaraia
Naira Galaxvaridze
Leila Mamulashvili

GEORGIAN ECONOMY

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-241-8